Ზ. ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲕᲘᲚᲘ

ᲐᲘ ᲠᲐᲡ ᲐᲕᲒᲝᲖᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
სამეფო ტ ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
19 თბილისი 33

წინასიტყვაობა

წინამდებარე შრომა—„აი რას ამბობს ისტორია“, მიზნად ისახავს ზოგად ხაზებში, მაგრამ კონკრეტულ ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით, გადმოგვცეს მშრომელი მასების: მონების, ყმა-გლეხებისა და მუშების (ე. ი. ძირითადი მწარმოებელი კლასების) მდგომარეობა. მათი ეკონომიური და უფლებრივი ყოფის ისტორია კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნიდან დღემდე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ასეთი ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე მშრომელი ადამიანის მდგომარეობის სურათის წარმოსახვისათვის საჭირო მრავალი ისტორიული ფაქტის მოყვანა და გაშუქება შეუძლებელი ხდება ერთ წიგნში. ამ გარემოების გამო ნავარაუდევია, რომ ზემოაღნიშნულ თემას მიეძღვნას საერთოდ ოთხი წიგნი; აქედან ჩვენს მიერ დაწერილ პირველ წიგნში გადმოცემული ეპოქა ქრონოლოგიურად მოდის ახალი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნემდე (მონათმფლობელური ფორმაციის დამთავრებამდე) და ძირითადად მონათა ეკონომიური მდგომარეობისა და უფლებრივი ყოფის ისტორიის გადმოცემით იფარგლება. ნავარაუდევი ორი მომდევნო წიგნიდან, თითოეული ცალ-ცალკე მიეძღვნება მონობის შემდგომი ფორმაციების (ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი) ძირითად მწარმოებელ კლასთა — ყმა-გლეხებისა და მუშათა კლასის მდგომარეობას. უკანასკნელ მეოთხე წიგნში კი განხილული იქნება ექსპლოატაციის ყოველგვარი ბორკილებისაგან განთავისუფლებული საბჭოთა ადამიანის გმირული შრომა და ბრძოლა კომუნიზმის ასაშენებლად.

ფორმაციების მიხედვით მასალის ასეთი განაწილების დროსაც აღნიშნული შრომა პრეტენზიას არ აცხადებს, რომ იგი ყოველმხრივ სრული და ამომწურავი იყოს. შეუძლებელიცაა მას ასეთი მიზანდასახულობა ჰქონდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ აღებული საკითხის შესწავლისადმი მრავალი მხრივ მიდგომის შესაძლებლობას, ისტორიული პერიოდის ხანგრძლივობასა და აღებულ თემაზე ისტორიული ფაქტების მონბლანის არსებობას.

აღნიშნული გარემოების გამო, ბუნებრივია, რომ ჩვენ არ შეგვეძლო აღებულ თემასთან დაკავშირებულ ყველა მოვლენისა და ფაქტის გამოდევნება. ჩვენ მხოლოდ იმას ვცდილობთ, რომ ჩვენ მიერ მშრომელი ადამიანის მდგომარეობის (პირველ წიგნში — მონათა მდგომარეობის) წარმოდგენისათვის გონებით აგებულ შენობას ჰქონოდა: კარები და ფანჯრები, ჭერი და იატაკი. ამავე დროს ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ შენობის რომელიმე ნაწილში ცალკეული ბზარების არსებობა თემის სირთულისა და მასალის სიუხვის გამო გარდუვალად იჩენს თავს და, ამიტომ ეს ბზარები წინასწარვე ივარაუდება წინამდებარე შრომაში.

მარქსიზმის წარმოშობამდე ისტორიული მეცნიერების აქილესის ქუსლი ის იყო, რომ იგი ვერ ხედავდა ხალხს და, თანაც, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერების უცოდინრობის გამო, იგი ამ საზოგადოების განვითარებას და მის ისტორიას სწყვეტდა მისი ნამდვილი საფუძვლებისა და მიზეზებისაგან — წარმოების წესისა და მწარმოებლებისაგან. ამ გარემოების გამო, ისტორიულ მეცნიერებას მარქსამდე ადამიანთა საზოგადოების ისტორია ესახებოდა, როგორც დიდ ადამიანთა, მეფეთა, მხედართმთავართა და დამპყრობთა შეუზღუდველი ნებისა და მოქმედების გამოვლინება და გამოხატულება. ძველი ბერძნებიდან დაწყებული ისტორიული მეცნიერების ეს ნაკლი უკლებლივ ყველა ხალხის მატიანეში აისახა. ქართული ისტორიოგრაფიის ამ ნაკლს უჩიოდა ილია ჭავჭავაძეც, რომელიც წერდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ხალხი არა ჩანს და იგი მხოლოდ მეფეების ისტორიას გადმოგვცემსო.

მარქსიზმის პრინციპების საფუძვლებზე ისტორიული მეცნიერების აგებამ, მანამდე შეცდომების ლაბირინთში მოხეტიალე ცოდნის ეს დარგი პირველად აქცია ნამდვილ მეცნიერებად და გამოიყვანა იგი ფართო შემოქმედებითი შესაძლებლობის გზაზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, ადამიანთა საზოგადოების ისტორიის შესწავლა შეუძლებელია წარმოების გახვითარებისა და წარმოების წესების ისტორიის შესწავლის გარეშე. ხოლო წარმოების განვითარებისა და წარმოების წესების შესწავლა შეუძლებელია თვით ამ მწარმოებელთა, ე. ი. მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ისტორიის, ხალხის ისტორიის, შესწავლის გარეშე.

„...საზოგადოების განვითარების ისტორია, — წერს ამხანაგი სტალინი, — არის, უწინარეს ყოვლისა, ისტორია წარმოების განვითარებისა, ისტორია წარმოების წესებისა, რომლებიც სცვლიან ერთიმეორეს საუკუნეთა მანძილზე, ისტორია საწარმოო ძალთა და ადამიანების წარმოებით ურთიერთობათა განვითარებისა.

ნაშასადამე, საზოგადოებრივი განვითარების ისტორია ამასთან ერთად არის ისტორია თვით მატერიალური დოვლათის მწარმოებლებისა, ისტორია მშრომელი მასებისა, რომლებიც წარმოებითი პროცესის ძირითად ძალებს წარმოადგენენ და ანხორციელებენ საზოგადოების არსებობისათვის აუცილებლად საჭირო მატერიალური დოვლათის წარმოებას.

მაშასადამე, ისტორიულ მეცნიერებას, თუ მას სურს იყოს ნამდვილი მეცნიერება, აღარ შეუძლია საზოგადოებრივი განვითარების ისტორია მეფეთა და მხედართმთავართა მოქმედებამდე, სახელმწიფოების „დამპყრობელთა“ და „დამმორჩილებელთა“ მოქმედებამდე დაიყვანოს. არამედ, უწინარეს ყოვლისა, მან ხელი უნდა მოჰკიდოს მატერიალური დოვლათის მწარმოებლების ისტორიას, მშრომელი მასების ისტორიას, ხალხთა ისტორიას“[1].

ამ მშრომელი მასების ისტორიის შესწავლას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ მარქსიზმის კლასიკოსები. ამ თემაზე სპეციალური შრომაც დაწერა ენგელსმა: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“. ენგელსის ამ წიგნის მნიშვნელობაზე ლენინი წერდა: „ეს წიგნი იყო საშინელი ბრალდება კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის მიმართ. შთაბეჭდილება, რომელიც მან მოახდინა, მეტად დიდი იყო. ენგელსის წიგნს ყველგან იმოწმებდნენ როგორც თანამედროვე პროლეტარიატის მდგომარეობის საუკეთესო სურათს. და მართლაც, არც 1845 წლამდე და არც შემდეგ არ გამოსულა მუშათა კლასის გაჭირვების ასოდენ მკაფიოდ და უტყუარად ამსახველი არც ერთი ნაწარმოები“[2].

მაგრამ, როგორც ცნობილია, ენგელსს განზრახვა ჰქონდა, ამ თემაზე დაეწერა მშრომელი მასების მთელი ისტორიის მომცველი

---

1 საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950 წ., გვ. 149—150 (ხაზი ჩემია—მ. ა.).

2 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 2. გვ. 10—11.

თხზულებაც, სათაურით „მონობის სამი ძირითადი ფორმა".[1] მონობის ამ სამ ძირითად ფორმაში ენგელსი გულისხმობდა ანტაგონისტური ფორმაციების მშრომელი მასების ე. ი. ძირითადი მწარმოებელი კლასების: მონების, ყმა-გლეხების და მუშათა კლასის მონობას. რომ ეს ასეა, ეს ნათლად ჩანს ენგელსის სხვა შრომებიდანაც. „მონობა,— წერდა იგი,—პირველი, ანტიური მსოფლიოსთვის დამახასიათებელი ფორმაა ექსპლოატაციისა; მას საშუალო საუკუნეებში ბატონყმობა მოსდევს, ახალ ეპოქაში დაქირავებული შრომა. ეს მონობის სამი დიდი ფორმაა; ისინი ახასიათებენ ცივილიზაციის სამ დიდ ეპოქას"[2].

ენგელსს სიკვდილმა შეუშალა ხელი, მან განზრახული შრომის მხოლოდ შესავალი დაწერა, რომელიც 1896 წელს გამოქვეყნდა სათაურით „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქცევის პროცესში". ამგვარად, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერებისა, რომელიც ესოდენ ბეჯითად ცდილობს თავი აარიდოს მშრომელი მასების ისტორიის გადმოცემას და, რომელსაც არსებითად არც ძალუძს ამ ამოცანის დაძლევა, მარქსიზმის კლასიკოსებს ეს საკითხი ყოველთვის მიაჩნდათ ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად და პირველი რიგის ამოცანად, რომლის გარეშეც, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, ისტორიულ მეცნიერებას არც შეუძლია იყოს ნამდვილ მეცნიერებად.

საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ, რომელიც ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, უდიდეს წარმატებას მიაღწია ისტორიული პროცესის კარდინალური საკითხების შესწავლისა და დამუშავების საქმეში, მათ შორის მშრომელი მასების ისტორიის შესწავლის საკითხში. ამ უკანასკნელ თემას ეძღვნება წინამდებარე შრომაც, რადგანაც, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, „აი რას ამბობს ისტორია"-ს მიზანდასახულობა სწორედ ისაა, რომ მშრომელი მასების მდგომარეობაზე მარქსიზმის კლასიკოსების გენიალური დებულებებიდან გამოსვლით, ისტორიული ფაქტების მოყვანით და შეძლებისდაგვარად მათთვის მეცნიერული ინტერპრეტაციის მიცემით მკითხველს გააცნოს საზოგადოების მატერიალური

---

1 ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950 წ. გვ. 340.

2 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ. გვ. 179.

დოვლათის მწარმოებელი მშრომელი მასების ისტორია, ექსპლოატირებულ კლასთა ცხოვრების პირობები და ის, თუ რას ამბობს ეს ისტორია (წიგნის სათაური) ამ კლასების წარსულ ისტორიულ ყოფასა და მდგომარეობაზე.

ამ გარემოების გამო ძირითადი თემატიკური ხაზი, რომელზედაც დაფუძნებულია „აი რას ამბობს ისტორია“, არ მისდევს არც მონოგრაფიისა და არც სამოქალაქო ისტორიის გადმოცემის პრინციპს. მას აქვს მხოლოდ ერთი ცენტრალური ამოცანა: პოპულარულ-მხატვრული ფორმით, რამდენადაც ეს შესაძლებელია ისტორიული ხასიათის წიგნისათვის, გადმოსცეს ძირითადი მწარმოებელი კლასების (მონების, ყმა-გლეხებისა და მუშათა კლასის) მდგომარეობა, გადმოსცეს ისე, როგორც ეს ისტორიულად იყო ამ კლასების მიერ გავლილი ექსპლოატაციის ყველა ძირითადი ფორმის (მონობა, ყმობა, დაქირავებული შრომა) პირობებში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი თემატიკური პრინციპით დალაგებული და მარქსისტული მეთოდოლოგიით გაანალიზებული წიგნი, ერთგვარ სამსახურს გაუწევს საბჭოთა მკითხველს და, კერძოდ, ჩვენს გმირულ საბჭოთა ახალგაზრდობას, იმ ახალგაზრდობას, რომელიც ლენინ-სტალინის ნაცადი პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმის დიდებული შენობის ხარაჩოებს შეჰფენია, ზეცაზე იერიში მიაქვს მიწაზე კომუნისტური საზოგადოებისა და ცხოვრების დასამკვიდრებლად.

ამ ახალგაზრდობის აკვანი დაირწა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა ლენინისა და სტალინის გენიამ დალეწა მონობის ყველა ბორკილი და აღგავა პირისაგან მიწისა ყველა ჯურის ექსპლოატატორები. ამის შედეგად საბჭოთა ახალგაზრდობა ბედნიერია იმით, რომ საკუთარ ზურგზე არ გადუტანია ძველი ცხოვრების სიმუხთლე და ვარამი, ექსპლოატაცია და გაჭირვება. მაგრამ ამ ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს წარსული, უნდა იცოდეს ისტორია. მან უნდა იცოდეს, თუ რაოდენად ბედკრული იყო ისტორიის სიღრმეში ჩაძირულ ეპოქათა ახალგაზრდობის ცხოვრება. ისტორიის გაყვითლებულ ანალებში იგი ნახავს ისეთ ფაქტებს, როდესაც მონათმფლობელები მონა კაცებისა და ქალებისაგან სპეციალურ სამომშენებლო მეურნეობებს ქმნიდნენ ახალგაზრდობის მოსამრავლებლად, რათა ამ გზით მიღებული „ნამატი“ (ახალგაზრდო-

ბა) ბაზარზე გაეყვანათ გასაყიდად როგორც პირუტყვი. იყო ისეთი დროც (ფეოდალური ეპოქა). როდესაც ყმა გლეხთა ახალგაზრდებ. ასევე ბითუმად და ცალობით ყიდდნენ ბაზარზე.

ახალგაზრდობის მდგომარეობა შეცვლილი ფორმით ასევე მძიმე იყო და არის დღესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამერიკაში პლანტაციების მუშახელით მომარაგების მიზნით, ევროპელი „ცივილიზებული" კოლონიზატორები კუნძულ ცელებესზე ბრიტანელებს ძალით სტაცებდნენ პატარა ბავშვებს. ეს „მოტაცებული ახალგაზრდობა,—წერს მარქსი,—ცელებესის საიდუმლო საპყრობილეში იყო დამწყვდეული, ვიდრე არ მიაღწევდა იმ ასაკს, რომელიც საკმარისი იყო გემებზე მონების დასატვირთავად"[1]. ამგვარად, ეს ბავშვები თავიანთ უბედურ სიყმაწვილეს ციხეში ატარებდნენ, მთელ შემდგომ ცხოვრებას კი — ამერიკის პლანტაციებზე მონურ შრომაში.

მაგრამ არა მარტო კოლონიებში, არამედ კაპიტალიზმის მეტროპოლიებშიაც მძიმე იყო და არის ბავშვთა მდგომარეობა. ენგელსი გადმოგვცემს, რომ მეცხრამეტე საუკუნის ორმოციანი წლების ინგლისში მეწარმენი ბავშვებს ამუშაებენ „...იშვიათად ხუთი წლის ასაკიდან, ხშირად ექვსი წლიდან, ძალიან ხშირად შვიდი წლიდან, მეტწილად კი რვა-ცხრა წლის ასაკიდან, რომ სამუშაო დრო გრძელდება ხშირად 14—16 საათს (ჭამისთვის მოხმარებული დროის ჩაუთვლელად) დღეში, რომ ფაბრიკანტები ზედამხედველებს ნებას აძლევენ ბავშვებს სცემონ, აწამონ და ხშირად თვითონაც კი სჩადიან ამას"[2].

ამგვარად, კაპიტალი, რომელიც, მარქსის თქმით, იმთავითვე ყრმათა იროდისებური შემუსვრით დაიბადა[3], შემდეგაც თავისი საკუთარი ზრდისათვის დიდი რაოდენობით იწოვდა ბავშვთა სისხლსა და

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. 694.

[2] ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, 1935 წ., გვ. 145.

[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. 699. ქრისტეს წარმოშობის შესახებ არსებული ლეგენდებით, ებრაელთა მეფე იროდმა სიზმარში ნახა, რომ გაჩნდა ყრმა, რომელიც ბოლოს მოუღებდა იროდს და თვითონ დაიკავებდა მის ადგილს. რადგან იროდმა არ იცოდა თუ სახელდობრ რომელი იყო ეს ბავშვი, ამ საშიშროებისა თავიდან ასაცილებლად, მან ორი წლის ასაკის ქვემოთ თითქოს ყველა ბავშვი დახოცა ბეთლემში.

ენერგიას. „მრავალი კაპიტალი, — წერს მარქსი, — რომელსაც დღეს შეერთებულ შტატებში არავითარი დაბადების მოწმობა არ გააჩნია, მხოლოდ ბავშვების სისხლია, კაპიტალადქცეული რომ იყო გუშინ ინგლისში"[1].

აი რას ამბობს ისტორია ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ წარსულ ეპოქებში და დღესაც კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში, და აი რის გახსენებამ უნდა შემატოს სწავლასა და შრომაში ჩაბმული ჩვენი გმირი ახალგაზრდობის მაჯას ძალა და გონებას — შემოქმედება. ამ ახალგაზრდობამ ბედნიერი აწმყოს შაებნელ შორეულ წარსულთან შედარებით, უნდა გაიჭარმაგოს ენერგია და გააძლიეროს თავისი შრომითი გმირობა ბუნების იმ გრანდიოზულ გარდაქმნაში, რომელიც ჩვენში ხორციელდება დიდი სტალინის გენიით და რომელზედაც დაფუძნებულია ახალი ისტორია და ახალი ქვეყანა. ქვეყანა, სადაც ....საბჭოთა უკანასკნელი მოქალაქე, კაპიტალის ბორკილებისაგან თავისუფალი, გაცილებით უფრო მაღლა დგას მაღალი თანამდებობის ყოველ საზღვარგარეთელ მოხელეზე. რომელიც თავისი კისრით ეწევა კაპიტალისტური მონობის უღელს"[2].

„აი რას ამბობს ისტორია"-ს ძირითადი დანიშნულება ის არის, რომ ფაქტიური. ისტორიული მასალის მოყვანით და მისი გაანალიზებით საბჭოთა მასობრივ მკითხველს ერთგვარი დახმარება გაუწიოს იმის გაგებაში, თუ, მსოფლიო ისტორიული პროცესის თვალსაზრისით, განვითარების რომელ საფეხურზე ვართ ჩვენ—საბჭოთა ადამიანები დღეს, და სად იყო მშრომელი ადამიანი ჩაძირული „ვუშინ" და „გუშინწინ", ასეული და ათასეული წლების წინათ, როგორი გზებით მოდიოდა ეს ადამიანი წინ, ვიდრე იგი ჩვენს ქვეყანაში ლენინისა და სტალინის გენიით იპოვიდა თავის თავს და თვითონვე დაისაკუთრებდა თავის თავს.

„აი რას ამბობს ისტორია" მიზნად ისახავს საბჭოთა მკითხველს გაუწიოს დახმარება — ძველის ნგრევისა და დაღუპვის, ახლის დაბადებისა და შენების იმ გრანდიოზული შენაცვლების გაგებაში, რომელიც დღეს ხდება კაპიტალისტურ სამყაროში. იქ კი, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, აჯანყებული ხალხები ლეწავენ და ისტორიის უფსკრულში ისვრიან მეფეთა გვირგვინებს და ამ ქვეყნების პრეზი-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. 698.

[2] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1951 წ., გვ. 734—735.

დენტებისა და პრემიერების საკარძლებს. გუშინდელი კაპიტალისტური სახელმწიფოების დაღუპვით გამარჯვებული ეს ხალხები დღეს იქ ამკვიდრებენ სახალხო დემოკრატიის რეჟიმს და ღასაწყისს აძლევენ ახალ ერას ამ ქვეყნების ისტორიაში.

ამერიკელი იმპერიალისტების ცდა, ატომური ყუმბარებით და ბაქტერიოლოგიური იარაღით გადაარჩინონ ბურჟუაზიული სამყარო ამ დაღუპვას — ეს არის ისტორიული აუცილებლობით ამოძრავებული რევოლუციის ქარიშხლის მუჭში დაჭერის არა მარტო ფუჭი, არამედ თანაც რეგვნული და დონკიხოტური ცდა.

ბურჟუაზიული სამყაროს დაღუპვის განაჩენი გამოტანილი აქვს თვითონ ისტორიას, რომელსაც აღმასრულებლად აუცილებლობა ჰყავს და რომლის განაჩენიც, მისი გაუქმების თვალსაზრისით, არავითარ ადამიანურ ძალასა და კასაციას არ ემორჩილება.

ისტორიის ამ განაჩენით ათეულმა ხალხებმა უკვე დაამსხვრიეს და დაგლიჯეს კაპიტალისტური მონობის ბორკილები. ამ ბორკილების მსხვრევის არეს გაფართოებას სხვა ქვეყნებშიც ვერ შეაჩერებენ ვერც ტრუმენები და ჩერჩილები, ვერც ეიზენჰაუერები და მონტგომერები, ვერც მათი ღმერთები და ვერც ჯოჯოხეთიდან გამოწვეული მათი კერბერები[1].

ისტორიამ ბურჟუაზიული საზოგადოების მესაფლავის როლი პროლეტარიატს დააკისრა. იგი წარმატებით ასრულებს და შეასრულებს კიდეც თავის ამ ისტორიულ მისიას მსოფლიო მასშტაბით. ბურჟუაზიას არ ძალუძს შეუცვალოს პროლეტარიატს ეს როლი. ანდა ძალისა და მეცნიერების დახმარებით თავიდან მოიცილოს იგი ამ როლის შესრულებამდე.

ამ მხრივ სასაცილო მდგომარეობაში ჩაიყენა თავი ამერიკელმა ფიზიოლოგმა ბრიტნიმ. მან წამოაყენა წინადადება, რომ ხელოვნური განაყოფიერების გზით შექმნან „მონა-ადამიანმაიმუნთა“ რასა. „სათბურებში“ გამოყვანილ ამ „მონა-ადამიანმაიმუნებს“ ამერიკელი „სწავლულის“ აზრით, არ უნდა ჰქონდეთ გაფიცვის მოწყობის უნარი, თავისუფლების სიყვარულის გაგება და, ამგვარად, არც ინტერესი და ცდა მის მოსაპოვებლად. ამ ხელოვნურად შექმნი-

---

[1] კერბერი, ანუ ცერბერი — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ჯოჯოხეთის კარების მოდარაჯე, მეტად ავი და ბოროტი სამთავიანი ძაღლი იყო, რომელსაც ტანი ბალნის მაგიერ გველების თავებით ჰქონდა დაფარული.

ლი „მონა-ადამიანმაიმუნებით“ ბრიტნი ვარაუდობს ამერიკელი მუშების შეცვლას წარმოებაში, თავიდან მათ მოცილებას და ქვეყნის შიგნით მუშათა კლასის წინააღმდეგობის დაძლევას.

გასაგებია, რომ ამერიკელ „სწავლულთა“ ეს ნაბოდვარი უფრო მეტად არის დაცილებული განხორციელების შესაძლებლობასა და სინამდვილეს, ვიდრე ყველაზე ფანტასტიკური არაბული ზღაპრები.

და ბოლოს, „აი რას ამბობს ისტორია“ მიზნად ისახავს სიმდიდრისა და სიღარიბის პოლუსთა ურთიერთ შეპირისპირებისა და კონტრასტისათვის, ექსპლოატირებული კლასების (მონები, ყმა-გლეხები, მუშები) მძიმე და გაჭირვებული მდგომარეობის დახატვის გვერდით, ექსპლოატატორული კლასების (მონათმფლობელები, ფეოდალები, კაპიტალისტები) უზრუნველყოფილი და ფუქსავატური ცხოვრების სურათის მოხაზვასაც, იმ სურათის მოხაზვას, როდესაც პირველნი უქონლობასა და სიღარიბეში იხრჩობოდნენ, მეორენი კი სიგიჟესა და უაზრობამდე მიდიოდნენ მასების ექსპლოატაციით დაგროვილი ქონების ფლანგვასა და განიავებაში.

ასეთია მოკლედ „აი რას ამბობს ისტორია“-ს ზოგადი მიზანდასახულობა. თუ როგორ შესრულდება და როგორ შეისხამს ხორცს საერთოდ ეს დაპირება, მკითხველს შეუძლია თავისი საბოლოო დასკვნის გამოტანა მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოიცემა „აი რას ამბობს ისტორია“-ს შემდეგი სამი წიგნიც. რაც შეეხება პირველ წიგნს, რომელიც მიზნად ისახავს ისტორიაში პირველი ექსპლოატირებული კლასის, მონათა კლასის მდგომარეობისა და მათი ეკონომიური და უფლებრივი ყოფის ისტორიის გადმოცემას, მის ნაკლსა და დეფექტებზე მკითხველს ახლავე შეუძლია მსჯელობა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ არც ერთ ქვეყანაში მკითხველთა მასა ისე კრიტიკული და მომთხოვნი არ არის ავტორის მიმართ, როგორც კომუნიზმის მშენებელი, ყოველგვარი რუტინისა და დოგმატიკისაგან თავისუფალი საბჭოთა მკითხველი. ამიტომ ასეთ პოპულარულ წიგნზე მისი აზრი წიგნის ღირსება-ნაკლოვანების შესახებ ყველაზე საუკეთესო ბარომეტრია და ჩვენც დიდი ხალისით მივიღებთ მისგან ყოველ სამართლიან შენიშვნას.

ერთი შეხედვით „აი რას ამბობს ისტორია“-ს ზემოაღნიშნულ ამოცანებთან თითქოს კავშირი არ უნდა ჰქონდეს ამ პირველი წიგნის შესავალს, სადაც მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხები

აღძრული და პირველ სამ თავს. შესავალში აღძრული ეს მეთოდოლოგიური საკითხები დიდი ხანია საყოველთაოდ ცნობილი და გარკვეულია მარქსისტულ ლიტერატურაში და საბჭოთა სკოლაში ისტორიის სწავლების საკითხთან დაკავშირებით ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებებში. მაგრამ თუ ჩვენ ზოგიერთი ეს საკითხი მაინც აღვძარით, ეს არა იმიტომ, რომ ასეთი მეთოდოლოგიური ნაკლოვანებანი დამახასიათებელი იყოს ჩვენი ისტორიული მეცნიერებისათვის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სფეროში ან ისტორიის სწავლების დაყენების საქმეში, არამედ ძველოლად შემდეგ ორ მოსაზრებათა გამო: 1. ჩვენი აზრით, ისტორიაში

ისეთი საკითხავი წიგნის გამოცემა, რომელსაც ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში მშრომელი კლასების მდგომარეობის წარმოსახვა აქვს მიზნად დასახული, გაუმართლებელი იქნებოდა, თუ იგი მკითხველს არ მისცემდა წიგნის დასაწყისშივე ერთგვარ, თუნდაც არასრულ წარმოდგენას ისტორიული მეცნიერების რაობასა, მიზანსა და ამოცანებზე. რადგანაც ისტორიის შესწავლა მარტო ისტორიული ფაქტების გროვით, მათი უბრალო მოთხრობით და მექანიკური დაზეპირებით არ შეიძლება, ამიტომ საჭიროა, ახალგაზრდა მკითხველი თანდათან მიეჩვიოს ისტორიული ფაქტების შესწავლის დროს ერთიმეორისაგან მათ გამოყვანას და მათში ჩაქსოვილი კანონზომიერების მიგნებას.

2. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და პირადად ამხანაგი სტალინის ზრუნვისა და მისი გენიალური შრომების დახმარების შედეგად, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებულმა საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ, როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე ისტორიის სწავლების დაყენების საქმეში, უდიდეს წარმატებებს მიაღწია ჩვენში. მაგრამ, ამ საერთო წარმატებათა ფონზე, აქა-იქ, როგორც გამონაკლისი შემთხვევა, იმ ცალკეული მკვლევარების და პედაგოგების მუშაობაში, რომელნიც ჩამორჩნენ ჩვენი დღეების მოთხოვნილებას მეცნიერებაში, ეს მეთოდოლოგიური საკითხები შეიძლება დარღვეული იყოს. მათ სწორად გაგებასა და დაყენების საერთოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სამეცნიერო-კვლევით, ისე პედაგოგიური მუშაობის პრაქტიკასა და ისტორიული ფაქტების გააზრებული, მეცნიერული ათვისებისათვის. ყოველივე ამის გამო ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, ეს საყოველთაოდ ცნობილი მეთოდოლო-

გიური საკითხები კვლავ გაგვეხსენებინა მკითხველისათვის, რადგანაც, როგორც ამხანაგი სტალინი წერს: „...უმართებულო იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს არ ღირდეს დროის დაკარგვა ზოგიერთი [illegible]თვის ცნობილი ჭეშმარიტების განმეორებაზე"[1].

რაც შეეხება წიგნის პირველ სამ თავს, ჩვენ აგრეთვე მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ, რომ მონობის მდგომარეობაზე ახალგაზრდობისა და მასობრივი მკითხველისათვის დაწერილი წიგნი პირდაპირ ამ მონათმფლობელური ურთიერთობის წარმოქმნიდან დაგვეწყო. თუ წიგნს მონათმფლობელური ფორმაციის წარმოქმნიდან, ე. ი. ჩვენგან დაახლოებით ექვსი ათასი წლით დაშორებული ეპოქიდან დავიწყებდით, მაშინ იმ მკითხველისათვის, რომელსაც ჩვენ ამ წიგნის მომხმარებლად ვითვალისწინებთ, უყურადღებოდ დარჩებოდა კაცობრიობის მთელი პრეისტორია. მისი განვითარების ჯოჯერი და პირველყოფილი თემური საფეხურები, ე. ი. ადამიანთა საზოგადოების ისტორიის უზარმაზარი, თითქმის ასჯერ უფრო ხანგრძლივი პერიოდი.

ამის გამო ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ „აი რას ამბობს ისტორია"-ს თავისი მასობრივი მკითხველი აჩქარებული ტემპით მაინც გამოეტარებინა ამ ხანგრძლივ პერიოდზე და ზოგადი მიმოხილვით მაინც გვეჩვენებინა მისი ძირითადი ეტაპები. ამისათვის საჭირო გახდა, რომ ადამიანის წარმოშობის ისტორია, დაწყებული თვით მისი წინაპრების ისტორიით, მოკლედ და პოპულარულად მაინც გადმოგვეცა. ადამიანის წარმოშობის შესახებ კი მეცნიერულ შეხედულებაზე ათასეული წლით უფრო ადრე რელიგიური შეხედულება არსებობდა. ამ შეხედულებას ადამიანის წარმოშობა დედამიწისა და მთელი ორგანული სამყაროს წარმოშობასთან ერთად. უცაბედი ექვსდღიანი ღვთაებრივი აქტიდან გამოჰყავდა და, ამგვარად, ყველა მათ წარმოქმნას ერთმანეთთან და ერთ საწყისთან (ღმერთთან) აკავშირებდა. ჩვენც აქ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რელიგიის მიერ პრობლემების ამ დალაგებას, როგორც ის ადამიანის გონებაში ისტორიულად პირველად ჩამოიქნა, ფეხდაფეხ მივყოლოდით და წიგნის პირველი და მეორე თავი, თვით ამ რელიგიური და მეცნიერული შეხედულებებისა და მათი ისტორიის გადმოცემისათვის მიგვეძღვნა.

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ. გვ. 11.

წიგნის მესამე თავში ძალიან მოკლედაა განხილული ის პერიოდი, რომელიც ადამიანმა თავისი წარმოშობის შემდეგ გაიარა ჯოგური და გვაროვნული წყობილების დროს, ვიდრე იგი მონათმფლობელური ფორმაციის ზღუდემდე მივიდოდა.

ამგვარად, წიგნის შესავალი და პირველი სამი თავი გამიზნულია როგორც ძირითად თემასთან მისასვლელი გზები. მათ, ერთი მხრივ, მასობრივ მკითხველს უნდა გააცნონ რელიგიური შეხედულება ადამიანისა და ქვეყნის წარმოქმნისა და ადამიანთა თავდაპირველი ისტორიის შესახებ და, მეორე მხრივ, მისცენ მას ზოგადი მეცნიერული წარმოდგენა ამ საკითხზე და მოხაზონ კიდეც ამ ორ შეხედულებათა შორის ბრძოლის ძირითადი ეტაპები თანამედროვე ეპოქამდე.

ამ თავებში მოყვანილი დოკუმენტური მასალა ცხადყოფს მთელ იმ მძიმე გზას, რომლითაც ისტორიულად მეცნიერება მიდიოდა წინ და ძალუმად ჰფანტავდა რელიგიურ წყვდიადს. როცა მეცნიერების მრავალი გენერალი, ჯორდანო ბრუნოს მსგავსად, ჭეშმარიტების გულისათვის უშიშრად იწვავდა თავს რელიგიის მიერ დანთებულ ცეცხლში.

წიგნის მეოთხე თავიდან იწყება უკვე მონათმფლობელური ფორმაცია. ამ ფორმაციაში მონების მდგომარეობის დასახასიათებლად. რაც ამ წიგნის მთავარი ამოცანაა, საკმაო რაოდენობით მოყვანილი და გაანალიზებულია ისტორიული ხასიათის დოკუმენტები და ფაქტიური მასალა. ეს მასალა მკითხველს დაეხმარება იმ მძიმე პირობების წარმოდგენაში, რომელშიაც კაცობრიობის ისტორიის ეს პირველი ექსპლოატირებული კლასი იყო მოქცეული. ეს პირობები კი მართლაც ჯოჯოხეთური იყო, რადგანაც მონათმფლობელები მთელი თავიანთი დაწერილი და დაუწერავი უფლებით პირდაპირ ველურად ექცეოდნენ მონებს, როცა მათ აუქციონით ყიდდნენ, მარილზე სცვლიდნენ, მზითვად ატანდნენ ქალიშვილს, აგირავებდნენ, ავადმყოფობის დროს ქუჩაში აგდებდნენ როგორც გატეხილსა და გაცვეთილ საგანს, ჰკლავდნენ და თან ატანდნენ საფლავში თავის პატრონს, შიმშილობის დროს ხოცავდნენ და მათი ლეშით კვებავდნენ ცირკის ცხოველებს (მხეცებს), სვამდნენ მათ სისხლს ბნედის საწინააღმდეგო „წამლად“, ერთმანეთს ახოცინებდნენ ან მხეცებს აგლეჯინებდნენ რომის ცირკში რომის არისტოკრატიის გასარ-

თობად, ალაყაფის კარებზე აბამდნენ ძაღლის მაგიერ ეზოს საყარაულოდ და ა. შ.

ძველ ქვეყნებში მონების ამ მძიმე მდგომარეობის გაცნობისა და მისი გადმოცემის დროს ჩვენ არ უნდა დავკარგოთ ისტორიული პერსპექტივა, ერთი მხრივ, იმ დროისათვის მონობის ისტორიული აუცილებლობისა და, მეორე მხრივ, მისი პროგრესული მნიშვნელობის შესახებ, როგორც ეს დაემართა ევგენი დიურინგს. დიურინგიო, წერდა ენგელსი, „ბერძნობაზე ცხვირაწეული ლაპარაკობს, იმიტომ რომ იგი მონობას ეყრდნობოდა"[1]-ო. მონობა არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში შემთხვევით წარმოქმნილ მოვლენად, რომლის თავიდან აცილება და რომლისთვისაც საერთოდ გვერდის ახვევა შესაძლებელი ყოფილიყოს. პირიქით, მონობისა და მონათმფლობელური ფორმაციის წარმოქმნა ისტორიულად გარდუვალი მოვლენა იყო.

„შრომის პირველმა დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ შრომის პროდუქტიულობის გაძლიერებასა, მაშასადამე, სიმდიდრის ზრდასთან და წარმოების ასპარეზის გაფართოებასთან ერთად, საერთოდ მოცემულ ისტორიულ პირობებში, გარდაუვალი აუცილებლობით გამოიწვია მონობის დამყარება"[2]. „პირველად მონობამ გახადა შესაძლებელი, — წერს თავის სხვა შრომაში ენგელსი, — შრომის დანაწილება დიდი მასშტაბით მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის და ამით ნიადაგი მოუმზადა ანტიური ქვეყნის აყვავებას ბერძნობის სახით. თუ მონობა არ ყოფილიყო, არც საბერძნეთის სახელმწიფო, ხელოვნება და მეცნიერება იქნებოდა; თუ მონობა არ ყოფილიყო, არც რომის იმპერია იქნებოდა. ხოლო ბერძნობისა და რომის იმპერიის მიერ ჩაყრილი საძირკვლის გარეშე თანამედროვე ევროპა ვერ აშენდებოდა. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი ჩვენი ეკონომიური, პოლიტიკური და გონებრივი განვითარების წანაძღვარს წარმოადგენს ისეთი მდგომარეობა, სადაც მონობა ისევე აუცილებელი იყო, როგორც საყოველთაოდ აღიარებული. ამ გაგებით ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ: თუ ანტიური მონობა არ ყოფილიყო, არც

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1933 წ., გვ. 148.

[2] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 163 (ბაზი ჩვენია — მ. ა.).

თანამედროვე სოციალიზმი იქნებოდა"[1]. ყოველივე ამ შედეგების გათვალისწინებით „...მონობის შემოღება იმდროინდელ პირობებში დიდი პროგრესი იყო"[2]. იმ დროისათვის მონობის ეს პროგრესულობა კი თვითონ ედო საფუძვლად მის აუცილებლობას.

რამდენადაც მონობა ზრდიდა დოვლათის წარმოებასა და ექსპლოატაციის გზით მისი მითვისების შესაძლებლობას, იმდენად იგი თანდათანობით უფრო ფართო მასშტაბით ინერგებოდა წარმოებაში და იმდენადვე უფრო და უფრო უარესდებოდა ოვით მონების მდგომარეობა.

მონობის წარმოქმნას და ამ მონების მძიმე მდგომარეობის დახასიათებასა და გადმოცემას წინამდებარე წიგნში მიძღვნილი აქვს თერთმეტი თავი. ამ თავებში დოკუმენტური მასალის საფუძველზე განხილულია მონობის წარმოქმნის წყაროები, მონური შრომის გამოყენება მეურნეობასა და ოჯახში, მონების რაოდენობა და ფასი, მონების უფლებრივი მდგომარეობა და დასჯის სახეები, მონათა ემანსიპაციის საკითხი ანტიკურ ლიტერატურაში.

აქედან ცალკე თავი აქვს მიძღვნილი ანტიკურ შეხედულებათა და, კერძოდ, არისტოტელეს შეხედულების გადმოცემას და გარჩევას მონურ შრომასა და მონაზე. არისტოტელეს ამ მოძღვრების გადმოცემასა და გარჩევას ჩვენ შედარებით მეტი ადგილი იმიტომ დავუთმეთ, რომ არისტოტელე იყო „ძველი დროის უდიდესი მოაზროვნე" (მარქსი) და მასში, როგორც მონათმფლობელური იდეოლოგიის ყველაზე დიდ წარმომადგენელში, ყველაზე უფრო სრულად აისახა ანტიკური მონათმფლობელური შეხედულებანი მონასა და მონურ შრომაზე. იმის მტკიცებით, რომ მონობა თვით ბუნებამ დააწესა და იგი მარადიული კატეგორიაა, რომლის გარეშეც არასდროს ადამიანთა არც ერთ საზოგადოებას არსებობა არ შეუძლია, რომ ეს მონობა თვით მონებისთვისაც სამართლიანი და სასარგებლო მოვლენაა,—არისტოტელე, ბერძნებს შორის ეს „ყველაზე უნივერსალური თავის მქონე ადამიანი" (ენგელსი), მონათმფლობელური კლასის ინტერესების ყველაზე თავგამოდებულ დამცველად გვევლინება. ყოველივე ამის გამო გასაგებია, რომ მონათმფლობელური იდეოლოგიის გარკვევა

1 ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1933 წ. გვ. 146—147.

2 იქვე, გვ. 147.

და მისი გადმოცემა თვით ამ იდეოლოგიის ბურჯის — არისტოტელეს გარეშე უაზრო და გაუმართლებელი იქნებოდა.

შრომაში გლადიატორთა ბრძოლას ცალკე თავი აქვს დათმობილი იმ მიზნით, რომ მკითხველისათვის უფრო ნათელი გამხდარიყო მონათმფლობელური კლასის მორალური გახრწნა და მანკიერება. როდესაც მონათმფლობელი მონის უმოწყალო ექსპლოატაციას არ სჯერდებოდა და მის ნაძალადევ სიკვდილსა და სისხლის ღვრას თავისშექცევისა და გართობის საშუალებად იყენებდა.

შრომაში სამი თავი აქვს მიძღვნილი მონების მძიმე ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობით გამოწვეულ აჯანყებათა მიმოხილვას. მონების ამ აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობას იწვევდა არა საერთოდ დოვლათის სიმცირე ძველ ქვეყნებში, არამედ მონების კლასობრივი მდგომარეობა და მათი ჩაგვრა. იმისათვის, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში უფრო ცხადი ყოფილიყო ის უზარმაზარი ეკონომიური უფსკრული. რომელიც მონებსა და მათ მეპატრონე შეძლებულ მონათმფლობელთა შორის არსებობდა, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შევხებოდით ძველი ეგვიპტის ფარაონთა ცხოვრებას, რომელნიც მხოლოდ ერთი თავიანთი საფლავის (პირამიდის) აგებაზე მონათა და დაკაბალებულ გლეხთა ერთ ძილიარდზე მეტ შრომადღეს ფლანგავდნენ. ამავე მიზნით, მონათმფლობელებისა და მონების ცხოვრების პირობებს შორის არსებული უდიდესი განსხვავების საჩვენებლად ერთი თავი შრომაში მიძღვნილი აქვს მდიდარ მონათმფლობელთა ცხოვრებას ძველ რომში.

ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ აგრეთვე ერთი თავი მიგვეძღვნა მონათმფლობელური რომის ზოგიერთ რეგვენ და მთვარესთან მოარშიყე იმპერატორთა ცხოვრებისათვის. ამ თავში ჩვენ შევეცადეთ მკითხველისათვის მიგვეცა წარმოდგენა, თუ ვის ხელში იყო ადამიანთა და სახელმწიფოთა ბედ-იღბალი იმ ეპოქაში, როდესაც ფილოსოფოსები მონებად იყვნენ, ხოლო ეს რეგვენები მემკვიდრეობის წყეული კანონისა და ცხოვრების უკუღმართობის ძალით — იმპერატორებად. შრომის ამ მონაკვეთში მკითხველი ამოკრეფს ცნობებს, თუ მონათა ექსპლოატაციით შექმნილი რაოდენი დოვლათი ნიავდებოდა ზეფუფუნებითი ცხოვრებისა, ზღვაზე ხიდის გადებისა და სხვა ამგვარი გიჟური ვარაუდების განხორციელების ცდისათვის.

როგორც ცნობილია, მონათმფლობელური ფორმაციის დროს გარდა მონებისა და მონათმფლობელებისა იყო აგრეთვე წვრილი მწარმოებელი გლეხებისა და ხელოსნების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა. მათი მდგომარეობა თანდათან უფრო მძიმე ხდებოდა ეაფი მონური შრომის კონკურენციით მათი გაღატაკებისა და ექსპროპრიაციის გამო. ამის შედეგად მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლოს ლუმპენპროლეტარები გახდნენ.

მონათმფლობელური ფორმაციის სოციალური ურთიერთობის სურათი სრული არ იქნებოდა, თუ ჩვენ არ შევეხებოდით ამ წვრილმწარმოებელთა მდგომარეობას და მათ ბრძოლას მსხვილ მონათმფლობელთა წინააღმდეგ. წინამდებარე შრომაში ამ საკითხს მიძღვნილი აქვს ოთხი თავი და ისიც უმთავრესად რომის ისტორიიდან, რადგანაც ამ წვრილმწარმოებელ ღარიბთა და ლუმპენპროლეტართა ბრძოლას შეძლებულ მონათმფლობელთა წინააღმდეგ ყველაზე უფრო მძაფრი ხასიათი სწორედ რომში ჰქონდა.

როგორც ცნობილია, მონათმფლობელური ფორმაციის ყველაზე კლასიკური ქვეყნები — საბერძნეთისა და რომის სახელმწიფოები ეყვნენ. ამ ქვეყნებში მმართველობის ძირითად ფორმად მათი ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში მონათმფლობელური დემოკრატია იყო. ეს დემოკრატია არათუ არავითარ უფლებებს არ აძლევდა ქვეყნის დოვლათის ძირითად მწარმოებელ კლასს — მონებს, არამედ ეს უფლებები წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა იმ ღარიბ რომაელთა მიმართაც, რომელთაც მოქალაქის უფლება ჰქონდათ მიცემული. მარქსიზმის მეთოდოლოგიის საფუძველზე. შესაძლებელი ხდება იმის გამოვლინება, რომ არსებითად ეს დემოკრატია (ამ დემოკრატიის დროს არსებულ საარჩევნო სისტემის გარკვევას წინამდებარე შრომაში ცალკე თავი აქვს მიძღვნილი) — მონათმფლობელთა დიქტატურის მმართველობის ფორმა იყო.

საერთოდ ძველი ისტორიის ყველა ამ რთული სოციოლოგიური ხასიათის საკითხებს, (ისევე როგორც მთლიანად ისტორიის და სხვა მეცნიერებათა საკითხებს) ნათელი ეფინებათ და გასაგები ხდებიან მხოლოდ მარქსიზმის მოძღვრების სინათლეზე, მარქსიზმის, რომელიც ისტორიული პროცესის შემეცნებასა და გამოცდილებას ეყრდნობა და რომლის ჩამოყალიბებაც ადამიანის გონების ყველაზე უდიდეს მინაღწევს წარმოადგენს. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავ-

ლობაში ამ შემოქმედებით მარქსიზმს დაუღალავად ანვითარებდა და ახალ საფეხურზე აჰყავდა ამხანაგ სტალინს. ამხანაგი სტალინის გენიალურმა შრომამ—„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, მისმა სიტყვამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე და ამ ყრილობის მიერ მიღებულმა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებმა, საბჭოთა ხალხს პრაქტიკული მოქმედების საბრძოლო პროგრამა დაუსახეს და კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი მოძრაობის გზებზე ახალი წვლილი შეიტანეს მარქსიზმის თეორიაში. ამავე დროს ამხანაგი სტალინის ამ შრომებმა და ყრილობის გადაწყვეტილებებმა ნათელი პერსპექტივა დასახეს ყველა დარგის მეცნიერების და მათ შორის ისტორიული მეცნიერების შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისათვის. მარქსიზმის ამ მოძღვრების მომარჯვების საფუძველზე, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ჩვენი ამოცანაა მკითხველის წინაშე აღვადგინოთ იმ მძიმე მდგომარეობის სურათი, რომელშიაც ისტორიულად ქვეყნის დოვლათის მწარმოებელი მშრომელი მასები იმყოფებოდნენ.

ასეთია „აი რას ამბობს ისტორია“-ს მიზანდასახულობა საერთოდ და, კერძოდ, მისი პირველი წიგნის თემატიკა და არქიტექტონიკა.

შესაძლებელია, ზოგიერთი ეპოქის მიჯნები ზუსტი არ იყოს, ანდა აქ მოყვანილი ფაქტიური ისტორიული მასალა სავსებით მთლიან წარმოდგენას ვერ იძლეოდეს აღებულ საკითხზე. ერთ შემთხვევაში ეს ნაკლი შეიძლება მიეწეროს ავტორს, რომელმაც ვერ მიაგნო და ვერ გამოიყენა მეცნიერების მიერ ამ საკითხზე მოპოვებული მიღწევები, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს შეიძლება აიხსნას სათანადო მასალის ნაკლებობით და საერთოდ თვით ისტორიულ მეცნიერებათა სპეციფიკური მდგომარეობით.

შრომაში მარქსიზმის კლასიკოსებიდან მოყვანილ ციტატებს მითითებული აქვთ სათანადო წყაროები. სხვა შემთხვევაში წყაროებს იშვიათად ვასახელებთ, რადგანაც ასეთი ხასიათის შრომაში ეს არც არის აუცილებელი და წიგნსაც გადატვირთავდა.

შესავალი

ისტორია მეტად საინტერესო მეცნიერებაა. თვით სახელწოდება „ისტორია“ ბერძნული სიტყვაა და პირველად ნიშნავდა რაიმე მოვლენის თუ საგნის შესწავლას, გამორკვევას, გაგებას, თხრობას. ასეთ ფართე ცნებად იხმარება სიტყვა „ისტორია“ დღესაც ბუნების და საზოგადოების უკვე გარდასული და მომხდარი მოვლენების შესწავლისა და გაგების აღსანიშნავად.

ამგვარად, სიტყვა „ისტორიას“ მეტად ფართო და მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს იმისდა მიხედვით, თუ საზოგადოებისა და ბუნების რომელი დარგისა და მოვლენის მიმართ არის იგი მიყენებული და ხმარებული. ერთ შემთხვევაში იგი (ისტორია) შეიძლება წმინდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებს მოიცავდეს, როგორიცაა, მაგალითად, მზის სისტემის ისტორია, დედამიწის ისტორია, ბიოლოგიის ისტორია, ბოტანიკის ისტორია და სხვა. მეორე შემთხვევაში კი — წმინდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინებს, როგორიცაა, მაგალითად, კლასთა ბრძოლის ისტორია, სამართლისა და სახელმწიფოს ისტორია, ტექნიკის ისტორია, ადამიანთა საზოგადოების ისტორია და ა. შ.

აქედან ადამიანთა საზოგადოების ისტორიის შესწავლა ცალკე მეცნიერულ და სასწავლო დისციპლინად არის გამოყოფილი და სიტყვაში „ისტორია“ მეტწილად სწორედ მას გულისხმობენ. ჩვენი ახალგაზრდობა საშუალო სკოლებში იწყებს და ამთავრებს ადამიანთა საზოგადოების ამ ისტორიის (მსოფლიო ისტორიის) ზოგადი კურსის შესწავლას. შემდეგ ამ ახალგაზრდობის უმრავლესობას თავისი ცოდნის გაღრმავება ამ საგანში ისტორიული ხასიათის წიგნების დამოუკიდებლად შესწავლის გზით უხდება. მაგრამ იმისათვის, რომ ისტორიის შესწავლისადმი მათ შერჩეთ მისწრაფება, საჭიროა, საშუალო სკოლაშივე ჩავუნერგოთ მოსწავლეებს ისტორიის

სიყვარული, მისი შესწავლის მნიშვნელობის შეგნება და მივცეთ მათ ამ საგნის შესწავლისათვის სწორი მიზანდასახულობა და საკმაო მეთოდოლოგიური წანამძღვრები.

როგორც ცნობილია, ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი ისტორიას სოციალური შინაარსისაგან სცლიდა და მას ისეთსაც თავ-შესაქცევი ამბების თხრობად მიიჩნევდა, როგორადაც გოგოლის პეტრუშკა წიგნს. პეტრუშკასათვის კი, როგორც ცნობილია, მნიშვნელობა ჰქონდა არა წიგნის შინაარსს, არამედ მხოლოდ წიგნის კითხვის პროცესს. თავის გართობას იმაზე ჩხირკედელაობით, თუ ასოების სხვადასხვაგვარი შეერთებით როგორ მიიღებოდა სხვადასხვა სიტყვა. პეტრუშკას ეგონა, რომ წიგნი ამ ამოცანისათვის იყო დაწერილი და ამ უცნაური გართობისა და თავის შექცევის გარდა მას სხვა არაფერი დანიშნულება არ გააჩნდა. ასეთ შეხედულებას ისტორიაზე ჩვენში ადგილი არა აქვს, მაგრამ ჩვენ გაგვაჩნია სხვა ხასიათის ნაკლი. ჩვენში ჯერ კიდევ არიან აქა-იქ ისეთი ისტორიკოსები, რომლებიც ვერ ამაღლდნენ მარქსიზმის კლასიკოსების მიერ ისტორიული მეცნიერების წინაშე დასმული ამოცანების გაგებამდე, მიდიან ნაკლები წინააღმდეგობის გზით და ისტორიას მომხდარი მოვლენების შინაარსის უბრალო გადმოცემად და რეგისტრაციად აქცევენ, მათში არსებულ კანონზომიერებათა შემეცნებისა და ისტორიული პროცესის ასახსნელად მათი მომარჯვების და გამოყენების გარეშე.

„აი რას ამბობს ისტორია"-ს შესავალში ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევჩერდეთ ისტორიის სწავლების საქმეში მეთოდოლოგიური მნიშვნელობის ზოგიერთ ისეთ საკითხზე, რომელთა უგულვებელყოფაც. როგორც აღნიშნულია ზემოთ, გაუმართლებელი იქნებოდა.

1. ისტორიის სწავლების დროს, უპირველეს ყოვლისა, ნათლად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი ამ საგნის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ახალგაზრდა თაობის კულტურისა და ცოდნის ჰორიზონტის ზრდისათვის. ისტორიის სწავლების ეს მნიშვნელობა შეპირობებულია თვით მისი საგნის ხასიათით და შინაარსობლივად ამ საგნის არეში მოქცეულ საკითხთა სიმრავლით.

რადგანაც ადამიანთა საზოგადოების ისტორიის მეცნიერული შესწავლა, უპირველეს ყოვლისა. გულისხმობს ამ საზოგადოების

ტექნიკის, მისი წარმოების იარაღების და მისი წარმოებითი ურთიერთობის შესწავლას, ამიტომ მსოფლიო ისტორიის შესწავლა სინანთროპიდან დღემდე გულისხმობს წარმოების იარაღების ზოგად შესწავლას ქვის უბრალო იარაღებიდან შიდაატომური ენერგიის გამოყენებამდე. როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, წარმოების იარაღების და წარმოებითი ურთიერთობის ეს შესწავლა კი აუცილებლად დაკავშირებული უნდა იყოს მატერიალური დოვლათის მწარმოებლების, ე. ი. მშრომელი მასების ისტორიის, ხალხთა ისტორიის შესწავლასთან. ამასთან ერთად ისტორია ზოგადად შეისწავლის აგრეთვე კულტურისა და მეცნიერების საკითხებს. იგი შეისწავლის მეცნიერული აზრის გაქანების ისტორიას პირველყოფილი ადამიანის გონებრივი უმწეობიდან, როცა მას ათის ფარგლებში დათვლაც კი უჭირდა, თანამედროვე ეპოქამდე, როდესაც ადამიანმა მარსზე ასტრობოტანიკას ჩაუყარა საფუძველი, დედამიწა აღწერა და აწონა და სინათლის წელიწადით სამყაროში მანძილის გაზომვა დაიწყო.

ერთი სიტყვით, ისტორიის შესწავლით ადამიანი ხელახლა წარმოდგენაში აღადგენს მსოფლიო ისტორიისა და კულტურის იმ დიადი შენობის კონტურებს, რომელიც ადამიანთა მრავალ ასეულ თაობას თავისი გონებითა და ხელით ნამდვილად ჰქონდა შექმნილი ცხოვრებაში. ხოლო მსოფლიო ისტორიის მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე დაგროვილი ამ ცოდნისა და გამოცდილების შეთვისებას, უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ადამიანის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისა და მისი გონებრივი საუნჯის გამდიდრებისათვის.

ისტორიის შესწავლას ასეთი უტილიტარული და პრაქტიკული თვალსაზრისით უყურებდნენ ჯერ კიდევ ამ ოცი საუკუნის წინათ მცხოვრები ანტიკური ეპოქის ისტორიკოსები. ასე მაგალითად, პოლიბიოსი (ცხოვრობდა დაახლოებით 205—123 წლებში) წერდა, რომ „წარსულის შემეცნება ყველა სხვა ცოდნაზე უფრო მეტად სასარგებლო შეიძლება იყოს ადამიანებისათვის. ...ისტორიიდან ამოკრეფილ გაკვეთილებს ყველაზე უფრო საიმედოდ მიჰყავს ადამიანი განათლებისაკენ და ამზადებს მას საზოგადოებრივი საქმიანობისათვის“. „.....უნდა შევიგნოთ,—წერდა შემდეგ პოლიბიოსი,—რომ უკეთეს სკოლად სწორი ცხოვრებისათვის ჩვენ გვემსახურება მოვლენათა ნამდვილი ისტორიიდან ამოღებული გამოცდილება

რადგანაც ჩვენთვის ზიანის მოუყენებლად მხოლოდ იგი ქმნის ადამიანებს შეუმცდარ მოსამართლეებად იმისა, რაც უკეთესია ყოველი დროისა და ყოველი მდგომარეობის პირობებში“-ო.

ისტორიის შესწავლის უტილიტარულ მნიშვნელობას უფრო ხაზგასმით აღნიშნავდა პირველ საუკუნეში მცხოვრები ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი. ისტორიკოსებიო, წერდა დიოდორე, „თავიანთ ისტორიულ შრომებში მკითხველებს გადმოსცემენ ცხოვრების უძვირფასეს ცოდნასა და გამოცდილებას. ისტორიული შრომების საფუძველზე დაგროვილ ცოდნას და სხვა ადამიანთა წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზების გაგებას ჩვენ უხიფათო გზით მივყევართ ცხოვრების გამოცდილების შემეცნებამდე... ეს კი ძალიან კარგია, რომ სხვისი შეცდომები შეგვიძლია გამოვიყენოთ ჭკუის სასწავლ მაგალითებად სხვადასხვა შემთხვევის დროს მთელს ჩვენს ცხოვრებაში, და, რომ ჩვენ არ მოგვიხდება თვითონ ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოვიქცეთ, არამედ დაგვჭირდება მხოლოდ მივბაძოთ იმას, რაც სწორად იყო მოქმედებული“. ამგვარად, ძველმა ისტორიკოსებმა მიაგნეს ისტორიის შესწავლის უტილიტარულ მნიშვნელობას, თუმცა, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერების უცოდინრობის გამო, ისინი მთელი სიღრმით ვერ ჩასწვდნენ ამ საკითხს.

2. მაგრამ ისტორიის მნიშვნელობა მარტო იქიდან ამოღებული ცოდნითა და გამოცდილებით როდი ამოიწურება. მას აქვს აგრეთვე უდიდესი აღმზრდელობითი ზემოქმედება და დადებით ისტორიულ პიროვნებათა შესწავლისას ადამიანში (მოსწავლეში) ჰუმანიზმისა და სათნოების ჩანერგვის ძალაც. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის შესახებაც ვარ ძველს წარმოდგენას ჩვენ ისევ ძველ ისტორიკოსებთან ვხვდებით. ასე მაგალითად, იგივე დიოდორე წერდა: „..ძის წყალობით, რომ ისტორია მუდამ მოგვაგონებს ჩვენ მხნეობას, ერთნი მისი გავლენით გრძნობენ მოწოდებას — დააარსონ ქალაქები, მეორენი კი ქმნიან კანონებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ცხოვრების სიმყარეს; სხვები ესწრაფვიან ადამიანთა მოდგმის საკეთილდღეოდ იმუშაონ მეცნიერებასა და ხელოვნებაში. და რადგან ყოველივე ამით იზრდება ადამიანთა კეთილდღეობა, ამიტომ პირველი ქება უნდა მიეძღვნას ამის პირველ მიზეზს — ისტორიას“.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისტორიას ჰყავს არა მარტო ადამიანთა მოდგმის საკეთილდღეოდ მზრუნველი ეს დადებითი გმირები, რომლებზედაც დიოდორე ლაპარაკობს, არა მარტო ხელსამართლობისა და ველური ექსპლოატაციის წინააღმდეგ აჯანყებული სპარტაკები და პუგაჩოვები, მიუნცერები და რაზინები, არა მარტო მეცნიერების გულისათვის ცეცხლში დამწვარი ბრუნოები[1], არა მარტო, საერთოდ, ისეთი ადამიანები, რომელნიც ქმნიდნენ ქალაქებს, წინ მიჰყავდათ მეცნიერება და ხელოვნება და აუმჯობესებდნენ ადამიანთა კეთილდღეობას, არა, ისტორიას ჰყავდა და ჰყავს უარყოფითი პიროვნებანიც. ბოროტი ადამიანები — ქალაქთა დამრბევნი და სიცოცხლის მომსპობნი — ასურბანიპალები[2] და ალარიხები[3], თემურ ლენგები[4] და მუხამედ მეორენი[5], უდანაშაულო ადამიანთა მასობრივი გაჟლე-

---

1 ჯორდანო ბრუნოზე იხ. ამ წიგნში გვ. 73.

2 ასურბანიპალზე იხ. ამ წიგნში გვ. 127.

3 ალარიხი იყო გუთების ბელადი, რომელმაც 410 წლის 14 აგვისტოს ალყით აიღო რომი, გაძარცვა და დაანგრია იგი, მისი მრავალი მცხოვრები შემუსრა, მრავალი ტყვედ წაიყვანა და უფრო მეტი კი ალყის დროს შიმშილით ამოწყვიტა. ამ შიმშილის შესახებ იმდროინდელი მწერალი იერონიმე (335—420 წწ) წერდა: „რომი დასცა არა იმდენად მახვილმა, რამდენადაც შიმშილმა და ავადმყოფობამ. შიმშილით გაგიჟებულნი ყოველგვარ საზღვარს გადასცდნენ: ერთმანეთს გლეჯდნენ. დედა არ ზოგავდა თავის ძუძუმწოვარ ბავშვს და მისი მუცელი უკანვე იღებდა იმას, რაც მან შობა“-ო.

4 თემურ ლენგი (1336—1405 წწ) იყო მონღოლთა და შუა აზიის მუსლიმანთა მეფე. მის მიერ შექმნილი იმპერიის საზღვრები ჩინეთიდან ვოლგამდე და ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევდა. „მსოფლიოს დასახლებული ნაწილიო, — ამბობდა იგი, — იმად არ ღირს, რომ მას ორი მეფე ჰყავდესო“. თემურმა 27 სახელმწიფოს მეფეები ჩამოაგდო ტახტიდან და თვითონ შეიერთა მათი ქვეყნები. მან ერთხელ თიხასა და კირში ამოვლებული 2.000 კაცი ცოცხლად ჩაყარა საძირკველში და ზედ კედელი ააგო. სპარსეთის ქ. ისპაჰანის მოედანზე მან 70 ათასი ადამიანის თავისაგან პირამიდები აღმართა და ამით „ორიგინალობაში გაუსწრო წინ“ ეგვიპტის ფარაონებს, რომლებიც პირამიდებს ლოდებისაგან აგებდნენ. თემურ ლენგი საქართველოშიაც შემოიჭრა და მისმა ურდოებმა ააოხრეს და მოსრეს ჩვენი ქვეყანაც.

5 მუხამედ II იყო თურქეთის სულთანი, რომელმაც 1453 წ. ბოლო მოუღო ბიზანტიის სახელმწიფოს და აიღო მისი სატახტო ქალაქი კონსტანტინოპოლი, რის შემდეგაც მას სტამბოლი შეერქვა. ქალაქი (კონსტანტინოპოლი) ველურმა თურქებმა სასტიკად აიკლეს და ააოხრეს. მნახველ ფრანდზის გადმოცემით: ქალაქის მრავალ ადგილას მიწა არ ჩანდა იქ დაყრილ მკვდართა სიმრავლისაგან. ტაძრები, სასახლე-

ტისათვის „დუშეგუბკების“ მომწყობი ჰიტლერები და ბაქტერიოლოგიური ომის წამომწყები ტრუმენები, რიჯუეები და სხვა მათი მსგავსი მუწუკები და ვამპირები.

ისტორიის შესწავლის უდიდესი აღმზრდელობითი ძალა იმაშია, რომ მან მოსწავლეებში ჩანერგოს პატივისცემისა და მადლიერების ღრმა გრძნობა ისტორიის დადებითი გმირებისადმი და ზიზღისა და რისხვის გრძნობა კაცობრიობის მტრებისა და მუწუკების — უარყოფითი ადამიანების მიმართ, რომელნიც შეიარაღებული ხელით სპობდნენ და სპობენ სიცოცხლეს, ანადგურებდნენ და ანადგურებენ ხალხის მიერ მძიმე შრომით შექმნილ სიმდიდრესა და დოვლათს. გასაგებია, რომ თვით მასალის ხასიათი უადვილებს მასწავლებელს ამ ამოცანის შესრულებას, დანარჩენი კი მის პედაგოგიურ დახელოვნებაზეა დამოკიდებული.

მაგრამ ისტორიის ამ უარყოფით პიროვნებებზე—შეიარაღებულ მკვლელებზე საუბრის დროს მასწავლებელმა არ უნდა დაივიწყოს შეუიარაღებელი, „პატიოსნების“ და „კანონიერების“ ქურქში გახვეული ჩუმი მკვლელებიც. მან არ უნდა დაივიწყოს ე. წ. „სოციალური მკვლელობა“. რომლის მსხვერპლიც, როგორც ენგელსი აღნიშნავს. არა ნაკლებია ვიდრე პირველი მკვლელობისა. ეს შეუიარაღებელი მკვლელები არიან საერთოდ ექსპლოტატორული კლასები: მონათმფლობელები, ფეოდალები და ბურჟუაზია. მათ მიერ შექმნილი მძიმე პირობების გამო მილიონობით მონა. ყმა-გლეხი და მუშა შიმშილისაგან ნელი სიკვდილით ესალმება წუთისოფელს.

„ერთი ადამიანი, — წერს ენგელსი, — თუ მეორეს ფიზიკურ ზიანს მიაყენებს. ასეთ ზიანს. თუ მას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვება, ჩვენ მკვლელობას ვუწოდებთ; თუ მკვლელმა წინასწარ იცის, რომ ვნება სასიკვდილო იქნება, მის ქმედობას ჩვენ განზრახ მკვლელობას ვუწოდებთ. მაგრამ თუ საზოგადოება (ბურჟუაზია —

ები და ხელოვნების ძეგლები თურქმა იანიჩარებმა ჯერ გაძარცვეს და მერე დაანგრიეს და მოსპეს. ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის კონსტანტინე XI მოჭრილი თავი მუხამედ II ბრძანებით მაღალ სვეტზე გამოჰკიდეს. ამ მუხამედ მეორემ, ბოსტნიდან ნესვის მომპარავი ქურდი რომ ეპოვნა, თავის 14 მოსამსახურეს მუცელი გაუპრა. ხოლო ერთ მონას თავი მხოლოდ იმისათვის მოსპრა, რომ მისი კისრის კუნთების მოძრაობა ეჩვენებინა იტალიელი მხატვრის დეენტილო ბელიოლინისათვის, რომელიც მას (მუხამედ II) სურათს ხატავდა.

მ. ა.) ასეულ პროლეტარს ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ ისინი უეჭველად უდროო, არაბუნებრივი სიკვდილისათვის არიან განწირულნი, სიკვდილისათვის, რომელიც ისევე ძალადობითია, როგორც ხმლისაგან ან ტყვიისაგან სიკვდილი,.....ეს ისეთივე მკვლელობაა, როგორც ცალკე პირის მკვლელობის აქტი, მხოლოდ—ფარული, მზაკვრული მკვლელობა"[1]. ამ მკვლელობას ინგლისურმა მუშათა გაზეთებმა „სოციალური მკვლელობა" უწოდეს. ენგელსი წერს, რომ 21 თვის მანძილზე „ჩემი ინგლისში ყოფნის დროს აღმაშფოთებელ პირობებში შიმშილით მოკვდა სულ მცირე 20—30 ადამიანი[2]".

ამ მხრივ და ამავე ნიადაგზე არა ნაკლებ შემაძრწუნებელი სურათი გვაქვს ფეოდალურ და მონათმფლობელურ ფორმაციებში. ისტორიის სწავლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ისაა, რომ მსმენელთა წინაშე მასწავლებელმა აღადგინოს ეს მძიმე სურათი სოციალურ მკვლელობაზე და ამით გაუადვილოს მათ იმ ჯოჯოხეთური მდგომარეობის წარმოდგენა, რომელშიაც ისტორიულად ექსპლოატირებული კლასები იმყოფებოდნენ.

3. რადგან ისტორიული მეცნიერება გვერდს ვერ აუხვევს ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერების საკითხებს, ამიტომ ისტორიის სწავლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ის გარემოება რჩება, რომ ისტორიული მასალის შესწავლის პროცესში მსმენელებს ჩავუნერგოთ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერების შესახებ წარმოდგენა. ჩვენის აზრით, სცდებიან ის ისტორიკოსები, რომელნიც ფიქრობენ, რომ ეს მხოლოდ ისტორიული მატერიალიზმის საკითხია და ამიტომ მათ ევალებათ მსმენელებისათვის მხოლოდ ფაქტიური მასალის გადაცემა — ამ მასალის გაანალიზების. მისი კანონზომიერების და მისგან გამომდინარე ისტორიულ აუცილებლობაზე წარმოდგენის შემუშავების გარეშე.

ასეთი ვითარების დროს ძველი ისტორიის სპეციალისტი არ აქცევს, მაგალითად, ყურადღებას მონათმფლობელური ფორმაციის დაღუპვის ისტორიული აუცილებლობის და მისი ფეოდალიზმით შეცვლის თეორიულ დასაბუთებას. ხოლო შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტი. თავის მხრით უყურადღებოდ სტოვებს ფეოდა-

---

[1] ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, 1935 წ., გვ. 98.

[2] იქვე, გვ. 40.

ლიზმის დაღუპვისა და კაპიტალიზმით მისი შეცვლის ისტორიულ აუცილებლობის დასაბუთებას. ხოლო ყოველივე ამის შედეგად, ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში უდიდესი გარდატეხის ამ ეპოქების მოსპობა და წარმოქმნაც კი მსმენელებს შემთხვევით წარმომდგარ მოვლენებად ეჩვენებათ.

ამ საკითხის ასეთი მცდარი გაგების გამოა, რომ ზოგჯერ ისტორიკოსები მსმენელებს მხოლოდ ფაქტიურ მასალას აწვდიან, ისტორიული მატერიალიზმის სპეციალისტები კი — შიშველ სქემებს. ასეთ ვითარებაში მსმენელებს, რა თქმა უნდა, უძნელდებათ ერთმანეთთან მათი დაკავშირება და ერთმანეთისაგან მათი გამოყვანა. ამ არანორმალურ შემთხვევებს ბოლო იმით უნდა მოეღოს, რომ ისტორიკოსებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ თავიანთი მასალის მეთოდოლოგიურ ჩამოყალიბებას ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებით, ხოლო ისტორიული მატერიალიზმის სპეციალისტებმა ამ მეცნიერების ზოგადი პრინციპები უფრო მეტად უნდა შემოსონ ისტორიული მასალით.

მარქსიზმის წარმოშობის შემდეგ ისტორია საზოგადოებრივ მოვლენათა უბრალოდ ჩამოთვლისა და აღწერის ნაცვლად მწყობრ მეცნიერებად იქცა, სწორედ ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერების აღმოჩენის შედეგად. ამ კანონზომიერებაზე წარმოდგენა მსმენელს უნდა მიეცეს თვით ისტორიული მასალისა და ფაქტების შესწავლის დროს. ამისათვის კი საჭიროა, რომ თვითონ ისტორიის მასწავლებლები კარგად დაეუფლონ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მოძღვრებას ადამიანთა საზოგადოების ფორმაციების განვითარებაზე და მათ კანონზომიერებაზე.

მარქსიზმის მიხედვით, ადამიანთა საზოგადოების თავის არსებაში თვითონ გააჩნია თავისი განვითარების ობიექტური კანონზომიერება. ეს კანონზომიერებანი არც ღმერთსა და არც ადამიანს არ შეუტანია მასში, და ამიტომ არც არავის შეუძლია მისთვის ამ კანონზომიერებათა წართმევა ან მისი მოსპობა.

ადამიანთა საზოგადოების ამ ობიექტურ კანონზომიერებას ქმნიან მისი ეკონომიკური განვითარების კანონები. ეს კანონები კი ისევე დამოუკიდებელნი არიან ადამიანის ნებისაგან და ობიექტურ ხასიათს ატარებენ, როგორც ბუნებათმეცნიერების კანონები. ეხება რა ადამიანთა საზოგადოებაში ამ ეკონომიკური ხასიათის კანონებს,

ამხანაგი სტალინი წერს: „აქაც ისევე, როგორც ბუნებათმეცნიერებაში, ეკონომიკური განვითარების კანონები წარმოადგენენ ობიექტურ კანონებს, რომლებიც ასახავენ ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ეკონომიკური განვითარების პროცესებს. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი და, დაეყრდნობიან რა მათ, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, სხვა მიმართულება მისცენ ზოგიერთი კანონის ნგრევითს მოქმედებას, შეზღუდონ მათი მოქმედების სფერო, გასაქანი მისცენ სხვა კანონებს, რომლებიც გზას იკაფავენ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მოსპონ ისინი ან შექმნან ახალი ეკონომიკური კანონები“[1].

ზოგიერთი ეკონომისტი და ისტორიკოსი უარყოფს საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონების ამ ობიექტურ, ადამიანთა ნებისაგან დამოკიდებულ ხასიათს, რის გამოც ისინი ორივე ფეხებით ადვილად ვარდებიან სუბიექტურ იდეალიზმში. ეს შეცდომა კი, როგორც ამხანაგი სტალინი წერს, იქიდან გამოდის, რომ „ისინი, როგორც ჩანს, ერთმანეთში ურევენ მეცნიერების კანონებს, რომლებიც ასახავენ ბუნებასა თუ საზოგადოებაში ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტურ პროცესებს, და იმ კანონებს, რომლებსაც გამოსცემენ ხოლმე მთავრობები, რომლებიც იქმნება ადამიანთა ნებით და რომლებსაც მხოლოდ იურიდიული ძალა აქვთ. მაგრამ მათი ერთმანეთში არევა არასგზით არ შეიძლება“[2].

4. ადამიანთა საზოგადოების ამ ობიექტურ კანონზომიერების შემეცნებაზე დაყრდნობით მარქსიზმმა აღმოაჩინა ისტორიული მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა — ადამიანთა საზოგადოებრივი ფორმაციების წარმოქმნისა და მოსპობის ისტორიული აუცილებლობის საკითხი. მარქსიზმის გაგებით, ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებელი, საზოგადოების ეს ობიექტური კანონზომიერებანი „...მოქმედებენ და ხორციელდებიან რკინისებური აუცილებლობით“[3], და „მაშინაც კი, როდესაც საზოგადოებამ მიაგნო

---

1 ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ., გვ. 5—6.

2 იქვე, გვ. 4.

3 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. LIII.

თავისი განვითარების ბუნებრივი კანონის კვალს... იგი ვერ გადაახტება ბუნებრივ განვითარების ფაზებს და ვერც გააუქმებს მათ დეკრეტებით. მაგრამ მას შეუძლია შეამოკლოს და შეანელოს მშობიარობის ტკივილები"[1].

კაცობრიობის საბედნიეროდ და ექსპლოატატორთა საუბედუროდ, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ეს კანონზომიერება, რომელიც რკინისებური აუცილებლობით ხორციელდებოდა და ხორციელდება, მსოფლიო მასშტაბით მიდის კლასობრივი საზოგადოების და, ამგვარად, ექსპლოატატორული კლასების ნეგაციისაკენ, რომელთა უკანასკნელ რგოლსაც ბურჟუაზიული კლასი წარმოადგენს. ხოლო ადამიანთა საზოგადოების განვითარების ამ გარდუვალი გზით სვლა ემთხვევა მუშათა კლასის ისტორიულ მისიას და, საერთოდ, მშრომელ და ექსპლოატირებულ ადამიანთა ინტერესებს.

კაპიტალიზმის დამსხვრევისა და სოციალიზმის წარმოქმნის ამ ისტორიული აუცილებლობის რაობა არც ესმით და არც უნდათ, რომ ესმოდეთ ბურჟუაზიის სოციალ-დემოკრატ იდეოლოგებს. სოციალიზმის ისტორიული აუცილებლობის თავიანთ კრიტიკაში ისინი ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ საკითხის სრულიად არამართებულ დაყენებას. მათი ტიპიური წარმომადგენელი შტამლერი წერდა: თუ მთვარე აუცილებლად უნდა დაბნელდეს, რა საჭიროა მისი დაბნელებისათვის ხელის შესაწყობად აქ, მიწაზე, პარტიის მოწყობა, რომელიც სულ ერთია, მთვარის ამ დაბნელებას ვერც დააჩქარებს და ვერც დააგვიანებს. თუ სოციალიზმი აუცილებლად უნდა დამყარდეს, მაშინ რა საჭიროა ბრძოლა მისი დამყარებისათვისო.

შტამლერსა და მის მსგავს გონებაჩლუნგ ადამიანებს, ასეთი ანალოგიის დროს მსგავსება იგივეობაში გადააქვთ და არ ესმით, რომ ეს ანალოგია ვერ ამართლებს თავის თავს, რადგანაც მაშინ, როდესაც მზისა და მთვარის დაბნელების დაჩქარება პარტიებს და, საერთოდ, ადამიანებს არ ძალუძთ, მათ ძალუძთ ბურჟუაზიული კლასის „მზისა" და „მთვარის" დაბნელებისა და სოციალიზმის მზის ამობრწყინების დაჩქარება. ამ დაჩქარების საშუალებაა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებული მუშათა კლასის ბრძოლა კომუნისტური და მუშათა პარტიების მეთაურობით.

---

1. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. LIV.

რომელთაც შემეცნებული აქვთ ისტორიული პროცესის კანონზომიერება, მოქმედებენ მისი მიმართულებით, აჩქარებენ მისი მსვლელობის პროცესს და, ამგვარად, ხელს უწყობენ ბურჟუაზიული საზოგადოებიდან სოციალისტური საზოგადოების დაბადების პროცესს.

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე (469—399 წწ) ამბობდა, რომ ადამიანს პოტენციაში აქვს ჭეშმარიტების გაგების უნარი და მე, ჩემი მოხდენილი კითხვების მიცემის საშუალებით, მხოლოდ ვეხმარები მას ჭეშმარიტების ამ მიგნებაში ისევე. როგორც დედაჩემი ფაინარეტა[1] ეხმარება ორსულ ქალს ბავშვის დაბადებაში. მაგრამ, ამბობდა სოკრატე, ფაინარეტას არავითარი ძალითა და გზით არ შეუძლია ეს ბავშვი დააბადებინოს არა ორსულ ქალს, ე. ი. იმას, ვისაც იგი მუცელში არა ჰყავსო.

ასევე დგას დაახლოებით საკითხი ადამიანთა საზოგადოებაში ისტორიულ აუცილებლობათა მიმართაც. კაპიტალიზმი რომ საკუთარი თავის დამსხვრევისა და ახალ ფორმაციაში გადასვლის ამ ისტორიული აუცილებლობით არ ყოფილიყო ფეხმძიმედ და თვით მასში რომ არ მწიფდებოდეს სოციალისტური რევოლუციის პირობები, მაშინ მისგან არავითარი გზით და ძალით არ შეიძლებოდა ახალი საზოგადოების, სოციალისტური საზოგადოების დაბადება. მაგრამ საქმეც ისაა, რომ საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერების მსვლელობით „კაპიტალიზმი ფეხმძიმედაა რევოლუციით“[2] და ამის გამო იგი ისტორიული აუცილებლობით ამწიფებს თავის თავშივე თავის საკუთარ ნეგაციას და ახალი, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის საჭირო წანამძღვრების წარმოქმნას. ეს წანამძღვრები კი არ შეიძლება თანდათან არ იზრდებოდეს კაპიტალიზმის შიგნით ისევე, როგორც ნაყოფი არ შეიძლება არ იზრდებოდეს დედის მუცელში და, ამგვარად, არ დადგეს მისი დაბადების მომენტი.

სოციალისტური საზოგადოების წარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად ობიექტურ წანამძღვარს კაპიტალიზმის დროს ის გარემოება წარმოადგენს, რომ წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი მითვისების კერძო ფორმაშია მოქცეული. მაგრამ მათ შორის ასეთი წინააღმდე-

1 სოკრატეს დედა ფაინარეტა ბებიაქალი (მაიეუტიკა) იყო.

2 საკ. კ. 3 (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950 წ., გვ. 156.

ვობა დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს, „...რადგანაც, — წერდა ამხანაგი სტალინი. ჯერ კიდევ 1906 წელს თავის შრომაში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, — წარმოების საზოგადო ხასიათს არ შეეფერება მითვისების კერძო ხასიათი, რადგანაც დღევანდელ კოლექტივისტურ შრომას აუცილებლად უნდა მოჰყვეს კოლექტიური საკუთრება, ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ სოციალისტური წყობილება ისევე აუცილებლად მოჰყვება კაპიტალიზმს, როგორც ღამეს დღე“[1]. კაპიტალიზმის ღამის დასასრულის და სოციალიზმის დღის დასაწყისის თარიღი ზებუნებრივი ძალით და მეტაფიზიკური უცვლელობით კი არ წესდება, არამედ იგი დამოკიდებულია ძველი საზოგადოების დაღუპვისა და ახლის დაბადების ობიექტური პირობების მომწიფებაზე და პარტიისა და მუშათა კლასის მიერ იმ სუბიექტური ფაქტორების მოხერხებულად გამოყენებაზე, რომელნიც არსებობენ მოცემულ სიტუაციაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი პროგრესიული და უკვე ოქტომბრის რევოლუციის პრაქტიკით დამტკიცებული ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც შემდეგ დიდი წარმატებით გამოიყენეს და იყენებენ ახლაც სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები, სწორედ იმაშია, რომ ხელი შეუწყოს ამ ახალი ორგანიზმის მომწიფებას, ხოლო შემდეგ მის დაბადებას ფეხმძიმე კაპიტალიზმიდან. დრო მოიგოს ძველი საზოგადოებიდან ახლის დაბადების ამ დაჩქარებით, როდესაც ამის შესაძლებლობას თვით ისტორიულად შექმნილი მდგომარეობა იძლევა, და არ უცადოს კაპიტალიზმის ავტომატურ კრახს, როგორც ამას დაუსრულებელი ლოდინის მეხოტბე ყველა ჯურის ოპორტუნისტები მოითხოვდნენ და მოითხოვენ.

ასეთ შემთხვევებში, თვით ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერების შემეცნებიდან გამომდინარე ძალდატანებას იმ ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორების ზრდისათვის ხელის შესაწყობად, რომლებიც კაპიტალიზმის წინააღმდეგ მოქმედებენ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასეთი ძალდატანების მნიშვნელობაზე მარქსი წერდა: „ძალდატანება ბებიაქალია ყოველი ძველი საზოგადოებისა, როდესაც იგი ახალის მშობიარეა. ძალდატანება თვით ეკონომიური პოტენციაა“[2]. ამ ძალდატანებით კი დაბადების

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 319.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 693.

პროცესში მყოფ ახალ საზოგადოებას „შეუძლია შეამოკლოს და შეანელოს მშობიარობის ტკივილები“[1].

ისტორიულ მეცნიერებას, თუ მას სურს ნამდვილ მეცნიერებად დარჩეს და სხვაგვარი სურვილი კი მას არც შეიძლება ჰქონდეს, არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ასეთი კარდინალური საკითხების გარკვევას და თავისი მოვალეობა მხოლოდ ფაქტიური მასალის გამოვლინებისა და გადაცემის ამოცანით განსაზღვროს, რადგან ისტორიას მხოლოდ ამ ფაქტიური მასალის ანალიზი და ისტორიული კანონზომიერების დადგენისათვის მისი მოხმარება აქცევს მეცნიერებად.

5. მაგრამ ის გარემოება, რომ ადამიანთა საზოგადოებას გააჩნია ობიექტური კანონზომიერება, რომლის შემეცნება და შესწავლა ისტორიულ მეცნიერებას შეუძლია, იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიულ მეცნიერებას შეეძლოს აქ აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევა. ამიტომ ერთ-ერთი ამოცანა ისტორიის სწავლებაში ის არის, რომ მსმენელებს ჩავუნერგოთ ისტორიული მეცნიერების სპეციფიკისა და ამ სპეციფიკის ისტორიულად განმსაზღვრელი პირობების გაგება, იმის გაგება, რომ შეუძლებელია მრავალი ისტორიული მოვლენის ექზაქტური (ზედმიწევნით სწორი) შესწავლა და, რომ, სწორედ ამის გამო ისტორიულ მეცნიერებას ასეთ საკითხებში არც უნდა წაეყენოს აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევის უიმედო მოთხოვნა. ასეთ საკითხთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, საკითხი წარსულ ეპოქათა საზღვრების დადგენისა და მათი გენეზისის შესახებ. „ვინაიდან ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში სხვადასხვა ეპოქებს შორის აბსტრაქტულად მტკიცე განმაცალკევებელი საზღვრითი ხაზები ისევე არ არსებობს, როგორც დედამიწის ისტორიის ეპოქებს შორის“[2].

მაგრამ არა მატო ისტორიაში და არა მარტო საზოგადოების სხვადასხვა ეპოქებს შორის საზღვრების დადგენის საკითხში, არამედ მრავალ სხვა მეცნიერებაშიც და მრავალ სხვა საკითხშიც ასეთი აბსოლუტური ჭეშმარიტების ძიება მიუღწეველი და უიმედო რჩება. დიალექტიკური მეთოდის გაბატონებამ მეცნიერებაში დიდი ხანია აღმოაჩინა, რომ ნამდვილად ამ „აბსოლუტური ჭეშმარიტების“ მანტიაში გახვეული იყო კურიოზები, როგორც მაგალითად, ის, რომ

---

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. LIV.

2 იქვე, გვ. 321.

„ზუსტად ადგენდნენ“ დედამიწისა და ადამიანის წარმოშობის წელს, თვეს, დღესა და საათსაც კი.

როგორც ენგელსი წერდა, ასეთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებათა მიღწევის იმედი მოხსნილია მეცნიერების სამივე დიდ დარგში, როგორც იმ მეცნიერებებში, რომლებიც მკვდარ ბუნებას სწავლობენ, ისე იმათშიაც, რომლებიც ცოცხალ ბუნებას სწავლობენ, და ბოლოს, თვით ისტორიულ მეცნიერებაში. რა თქმა უნდა, ამბობს ენგელსი, მეცნიერების ყველა ამ დარგში მიღწეულია ზოგიერთი ბანალური ხასიათის ჭეშმარიტება, როგორც, მაგალითად, მეცნიერებათა პირველი დარგისათვის ის, რომ ორჯერ ორი ოთხია, რომ სამკუთხედის სამი კუთხე ორ სწორ კუთხეს უდრის და ა. შ., მეცნიერებათა მეორე დარგისათვის ის, რომ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი, თუ მას საჭმელი არ ექნა, შიმშილით მოკვდება, რომ ფრინველებს ნისკარტი აქვთ და სხვა, ან მეცნიერებათა მესამე დარგისათვის ის, რომ ადამიანებს საზოგადოდ უშრომოდ ცხოვრება არ შეუძლიათ, რომ ნაპოლეონი გარდაიცვალა 1821 წლის 5 მაისს[1] და სხვა.

აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევის საკითხში მეცნიერების ყველა დარგი და, მაშასადამე, ისტორიულიც, ზემოთ ჩამოთვლილ და მათ მსგავს სხვა ბანალურ ჭეშმარიტებებს ვერ გასცდებიან და ვერ მიაღწევენ მას, არამედ მხოლოდ შედარებით ჭეშმარიტებათა რგოლების გავლის გზით მიუახლოვდებიან აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ამიტომ, წერს ენგელსი, „...ვინც ნამდვილი, უცვლელი, უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტების მასშტაბით უდგება შემეცნებათ, რომელნიც საგანთა ბუნების მიხედვით ან მრავალი თაობის განმავლობაში რელატიური უნდა დარჩნენ, ისე რომ მხოლოდ თანდათან მიაღწიონ სისრულეს, ან რომელნიც კოსმოგონიის, გეოლოგიის, კაცობრიობის ისტორიის მსგავსად საბოლოოდ დაუსრულებელნი და ნაკლულოვანი დარჩებიან, ისტორიული მასალის ნაკლულოვანობის გამო, იგი ამით მხოლოდ თავის საკუთარ უმეცრებასა და გაუგებრობას ამტკიცებს“[2].

ზემოაღნიშნულის გამო ისტორიული მეცნიერებანი, მართალია, თანდათან უფრო მეტად მიუახლოვდებიან თავიანთ ასახვასა

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი. 1933 წ. გვ. 63—65.

[2] იქვე, გვ. 66. (ხაზი ჩვენია—მ. ა.)

და შემეცნებაში ადამიანთა საზოგადოების მიერ განვლილ ისტორიულ პროცესებს, მაგრამ ისინი მაინც ღარიბნი დარჩებიან მათი საკვლევი ობიექტისა და პროცესების ექზაქტური (ზედმიწევნით სწორი) ასახვის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, ისტორიული მეცნიერება მოკლებულია და მოკლებული იქნება შესაძლებლობას, დააკვირდეს, თუ როგორ ხდება „მაიმუნ-ადამიანის“ გაადამიანება, რამდენადაც „მაიმუნ-ადამიანები“ დიდი ხანია უკვე აღარ არსებობენ და მათი ისტორია მილიონი წლების მიღმა არის დარჩენილი.

ისტორიული მეცნიერება მძიმე მდგომარეობაშია ადამიანთა საზოგადოების ძველი ეპოქების შესწავლის დროსაც. დღეს დედამიწაზე არსად აღარ გვხვდება ადამიანთა ჯოგური ცხოვრების საფეხურები. ათეულ საუკუნეთა წინათ მოისპო აგრეთვე მონათმფლობელური ფორმაციაც თავისი კლასიკური ფორმით. ისტორიულ მეცნიერებას, რა თქმა უნდა, არ ძალუძს ამ ფორმაციის ხელოვნური განმეორება, და შემდეგ მისი „ცოცხალი“ შესწავლა, როგორც ამას თავისი საკვლევი ობიექტის მიმართ ახერხებს ზოგიერთი ზუსტი მეცნიერება.

მეორე მხრით, ჯოგური და გვაროვნული წყობილების დროის ადამიანს არ ჰქონდა დამწერლობა, ამიტომ წერილობითი ხასიათის წყაროები ამ ეპოქების შესახებ ისტორიულ მეცნიერებას არ გააჩნია. მათი ისტორიის შესწავლა ხერხდება მხოლოდ მათ მიერ დანატოვარ და მიწაში დამარხულ მატერიალურ ძეგლთა საშუალებით, რომლებსაც წერილობით წყაროებზე კიდევ უფრო ნაკლებ შეუძლიათ მოგვცენ ამ ეპოქების ადამიანთა ცხოვრების სრულყოფილი სურათი. მართალია, რაც უფრო მეტი რაოდენობით და მრავალსახეობით გამოავლენს მიწის წიაღიდან არქეოლოგია ამ ეპოქების ადამიანის ხელისა და გონების ნაწარმს, მით უფრო მეტად გაზრდის ეგი ჩვენი ცოდნისა და წარმოდგენის ფარგლებს მათ შესახებ, მაგრამ აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევის იმედი აქ, ისტორიული მასალის ნაკლებობის გამო, მაინც ყოველთვის მიუღწეველი დარჩება. ისტორიული (სოციალური) მოვლენების შემეცნებაში აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევის ამ შეუძლებლობას ქმნის არა მარტო ისტორიული მასალის ნაკლებობა და ამ მოვლენების დაცილება ჩვენგან დროში, არამედ უმთავრესად თვით საზოგადოებრივი მოვლენების რთული ხასიათი.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიაში ჩვენ არაფრის ცოდნა არ შეგვიძლია და, რომ არავითარი კანონზომიერების აღმოჩენა ადამიანთა საზოგადოების განვითარების შესახებ ჩვენ არ ძალგვიძს. ისტორიულ მოვლენებზე ჩვენი ცოდნის რელატიური ხასიათი ისევე ვერ ხდის შეუძლებლად ჩვენს მიერ ამ მოვლენების შემეცნებას, გაგებას და მათი კანონზომიერების დადგენას საერთოდ, როგორც, მაგალითად, მათემატიკური კანონების დადგენას და მისი კანონზომიერების შემეცნებას, საერთოდ, ხელს არ უშლის თვით ამ მათემატიკური მეცნიერების რელატიური ხასიათი. მათემატიკაში კი, როგორც ცნობილია, დიალექტიკის აღმოჩენით, „ცვალებადი ოდენობის შემოღებით და მისი ცვალებადობის განვრცობით დაუსრულებლივ მცირესა და დაუსრულებლივ დიდამდე ზნეობრივად უმწიკვლო მათემატიკამ დაჰკარგა თავისი უმანკოება; მან იგემა შემეცნების ვაშლი, რამაც მას, ერთი მხრით, უზარმაზარი წარმატების, ხოლო მეორე მხრით, შეცდომების სარბიელი გაუხსნა. ყოველივე მათემატიკურის აბსოლუტური სისწორისა, დაურღვეველი უცილობლობის ქალწულებრივი მდგომარეობა სამუდამოდ მოისპო.“[1]

ამგვარად, მსმენელებში ჩვენი ცოდნის რელატიურობის დანერგვა აუცილებელი პირობაა, რომ მოხსნილი იქნეს ისტორიული მოვლენების ცოდნისადმი აბსოლუტური ჭეშმარიტების საზომით მიდგომა და, ამგვარად, ამ მოვლენებიდან ასეთი ჭეშმარიტების გამოყვანის ცდა და მოლოდინი.

6. ისტორიის სწავლებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს აწმყოს წარსულთან და წარსულის აწმყოსთან დაკავშირებას. ზოგიერთი მასწავლებელი და მკვლევარი კი, რომელთაც თავიანთი სპეციალობის გამო წარსულ ეპოქებთან აქვთ საქმე, ამ წარსულს სწავლობენ ან ასწავლიან თანამედროვეობისაგან მოწყვეტით. მათ არ ესმით, ან არ უნდათ გაიგონ, თუ ეს წარსული, ისტორიულ ეპოქათა ბრუნვით, როგორ და რა კანონზომიერებით მოვიდა თანამედროვეობამდე. რაკი ასეთ კავშირს ვერ ხედავენ, მათ წარმოდგენაში მსოფლიო ისტორია

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1933 წ., გვ. 63.

არ აისახება როგორც ერთიანი ისტორიული პროცესი. ასეთი ყაიდის ისტორიკოსები ცოცხლობენ მეოცე საუკუნეში და „ცხოვრობენ“ კი წარსულში. ისინი დგანან ისტორიის აკვანთან და არ იცნობენ თანამედროვეობის სახით უკვე დაჭარმაგებულ და ამ აკვნიდან ამოსულ ისტორიას. მათთვის გაუგებარია თანამედროვე ისტორიული მოვლენების ხასიათი. მათ არ ძალუძთ ამ მოვლენების წარსულთან დაკავშირება და ისტორიული განვითარებით იქიდან მათი გამოყვანა. ისინი წარსულსა და აწმყოს შორის, წარსულზე დაყრდნობით და აწმყოს უგულებელყოფით, ჩინეთის კედელს ქმნიან. ამ კედლის იქით წარსულს აქცევენ, ხოლო მის აქეთ თავისთავად ამ წარსულისაგან მოწყვეტილი აწმყო რჩება. ამგვარად, ისინი ცოცხალ ისტორიას და მის ერთიან მსოფლიო ისტორიულ კანონზომიერებას შუაზე იმგვარად გლეჯენ, რომ მისი ცალკეული ნაწილები ერთმანეთს ვეღარ უკავშირდებიან.

ამავე ხასიათის მეორე ნაკლი ის არის, რომ ზოგიერთი მასწავლებელი, რომელიც ახალი ეპოქის ისტორიაში მუშაობს, უგულებელყოფს წარსულ ისტორიას, არ გრძნობს მისი შესწავლის საჭიროებას და, ამგვარად, არც მას ძალუძს მსოფლიო ისტორიის ერთ მთლიან პროცესად წარმოდგენა. ყოველივე ამის გამო მისთვის გაუგებარი რჩება არა მარტო წარსულის, არამედ ახალი ეპოქის მრავალი მოკლენაც, რომელთა ფესვებიც იმ ეპოქის იქით იწყება, რომლითაც მის მიერ არჩეული სპეციალობა შემოიფარგლება.

ასეთ მასწავლებელს ძველი ისტორია, მისი არცოდნის გამო ძალზე ღარიბად ეჩვენება და ყოველი მოვლენის გენეზისს ახალი დროით ათარიღებს. იგი ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ზოგიერთ ამ მოვლენათაგანს ძველ ეპოქაში დაბადების მოწმობა „ჯიბეში“ უდევს და ახალ დროში კი მხოლოდ მისი შემდგომი განვითარება არის მოქცეული, რომ მისი ეს განვითარება წარსულ ეპოქაში აღმოცენებული ფესვებიდან მოდის და ამ ფესვების გადაჭრით იგი ჰაერში გამოკიდებული რჩება. ამის გამო ასეთ მოვლენას იურიდიულად და ბიოლოგიურად არსებობის არავითარი საფუძველი არ გააჩნია, როგორც დაბადების აუცილებელი კანონზომიერების დარღვევით საიდანღაც უცბად მოფრენილს.

ასეთი ყაიდის ისტორიკოსებისათვის, რომელნიც აწმყოს წარ-

სულისაგან სწყვეტენ, სრულიად გაუგებარი ხდება მსოფლიო ისტორიის ერთი მთლიანი და უწყვეტი პროცესის სახით წარმოდგენა. მათთვის გაუგებარი ხდება — როგორ აკავშირებდნენ სხვადასხვა ეპოქის მოვლენებს ერთმანეთთან მარქსიზმის კლასიკოსები და როგორ უნდა იქნეს, მაგალითად, გაგებული ენგელსის დებულება, რომ „თუ ანტიური მონობა არ ყოფილიყო, არც თანამედროვე სოციალიზმი იქნებოდა“[1]. ისინი შეწუხებულნი არიან ამ ანტიკური და თანამედროვე ანტიპოდური მოვლენების — მონობისა და სოციალიზმის ერთმანეთთან დაკავშირებით და არ ძალუძთ მათ შორის ისტორიულად მთელ რიგ გარდამავალ რგოლთა საშუალებით დამყარებული კავშირის დანახვა.

მათ არ შეუძლიათ აგრეთვე გაიგონ, თუ მარქსი „კაპიტალში“, რომლის მიზანსაც, თვით მარქსის განცხადებით, „... თანამედროვე (ე. ი. კაპიტალისტური — მ. ა.) საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონის აღმოჩენა შეადგენს“[2], რატომ ეხება, ვთქვათ, არისტოტელეს შეხედულებას საქონელზე[3], იმ არისტოტელეს შეხედულებას, რომელიც კაპიტალიზმის გენეზისამდე თითქმის 20 საუკუნით ადრე ცხოვრობდა მონათმფლობელური ფორმაციის დროს.

ერთი სიტყვით, პირველი ჯგუფის ისტორიკოსებისათვის გაუგებარია, თუ საით, როგორ და რა გზით წავიდა შემდეგ ძველი ისტორია და მათ მიერ შესწავლილი ეპოქა, ხოლო მეორეთათვის გაუგებარია, საიდან, როგორ და რა გზით მოვიდა ახალი ისტორია და მათ მიერ შესწავლილი ეპოქა. პირველნი მსოფლიო ისტორიის მიერ განვლილ შარაგზას მოჰყვებიან გარკვეულ მანძილამდე და შემდეგ თვალთაგან ეკარგებათ მისი მსვლელობა; მეორენი კი ამ შარაგზის უკანასკნელ ბოლოს იცნობენ და დროთა სიღრმეში ეკარგებათ მისი დასაწყისი და მისი მსვლელობის ხასიათი ამ დასაწყისში.

რა თქმა უნდა, არავინ არ აყენებს საკითხს, რომ ისტორიკოსი ყველა ეპოქას ერთნაირად დაეუფლოს დეტალებში, ყველა ეპოქები იკვლიოს და წეროს მათზე. ეს შეუძლებელიც არის თვით ისტორიული პროცესის ხანგრძლივობისა და ფაქტიური მასალის აურაცხელო-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1933 წ., გვ. 147.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. LIV.
[3] იქვე, გვ. 26—27.

ბის გამო. ამის გარდა საჭიროცაა, რომ ისტორიკოსს კვლევისა და შესწავლის თავისი სპეციალური უბანი ჰქონდეს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისტორიკოსმა მსოფლიო ისტორიის შარაგზის ძირითადი სანიშნო ბოძები, მისი მძაფრი მოსახვევები და მისი მთლიანი კანონზომიერება კარგად უნდა იცოდეს. მსოფლიო ისტორიის ამ ძირითადი, მაგისტრალური ხაზის ცოდნა კი იმის საშუალებას იძლევა, რომ სპეციალობის მიხედვით „ძველებმა" წარსული არ მოსწყვიტონ აწმყოს და „ახლებმა" კი აწმყო—წარსულს, რომ მსოფლიო ისტორიის ეპოქები ერთმანეთის გვერდით კი არ დალაგდნენ, არამედ რიგის მიხედვით და სოციალური მშობიარობის გზით ერთმანეთისაგან გამოვიდნენ და, ამგვარად, მსოფლიო ისტორია ერთი მთლიანი და უწყვეტი განვითარების პროცესის სახით წარმოსდგეს.

ერთი სიტყვით, ისევე როგორც შეუძლებელია მდინარის რეჟიმის დადგენა (და ეს კარგად იციან ჰიდროლოგებმა და კლიმატოლოგებმა), თუ არ ვიცით სათავიდანვე მისი ყველა შენაკადი და მის ბასეინში წლის დროთა მიხედვით დაცემული ნალექის რაოდენობა, ასევე შეუძლებელია ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერების დადგენა (შემეცნება) თვით ამ საზოგადოების ისტორიის შესწავლის გარეშე ან მხოლოდ მისი ერთი პატარა უბნის შესწავლით.

ისტორია ასეთი დიდი უწყვეტი მდინარეა. ამ მდინარეში ყველა ფორმაციებისათვის დამახასიათებელ საერთო კანონებს ენასკვებიან ცალკეულ ფორმაციათა სპეციფიკური კანონები და ამ ნიადაგზე ქმნიან ისინი მსოფლიო ისტორიული პროცესის და მისი კანონზომიერების მთლიანსა და უწყვეტ ჯაჭვს. ამ ჯაჭვის ცალკეულ რგოლებს (ფორმაციებს) აქვთ თავიანთი სპეციფიკური, წარმავალი ეკონომიკური კანონებიც, რომლითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, და მასთან ერთად მათ აქვთ ყველა მათთვის დამახასიათებელი საერთო, ზოგადი ეკონომიკური კანონებიც, რომლითაც ეს ფორმაციები ერთმანეთს უკავშირდებიან. გარდა ამისა, თვით ამ სპეციფიკურ და წარმავალ ეკონომიკურ კანონებშიც ძველის მოსპობა ახლის გამარჯვების პირობად ხდება, რის გამოც თითოეული ამ ფორმაციის იზოლირებულად აღება და შესწავლა—ისტორიულ მეცნიერებას უდიდეს შეცდომად მიაჩნია.

წარსულსა და აწმყოს ამ კავშირის გაუგებლობაში ძევს იმის მი-

ზეზი, თუ რატომ არ შეიძლება ხვალინდელი დღის (მოვლენის) გაგება დღევანდელის გარეშე და დღევანდელისა გუშინდელი და გუშინწინდელი დღის (მოვლენის) გაგებისა და შესწავლის გარეშე. დღეს მომხდარი მოვლენის აქტს თავისი ემბრიოლოგიური ფესვები გუშინდელ დღეში აქვს, რადგანაც დაბადება არასოდეს წინ არ უსწრებს ჩასახვას, პირიქით კი — განვითარების კანონია.

როგორც ლაიბნიცი ამბობდა, „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა". ჩვენ სწორედ იმიტომ არ შეგვიძლია წარსულის შესწავლის გარეშე აწმყოს გაგება, რომ აწმყოს მოვლენები უცბად კი არ ცვივიან ზეციდან მიწაზე, არამედ იქმნებიან აქვე დროის წინ მიმავალ ისტორიულ პროცესში, ისახებიან წარსულში და იბადებიან აწმყოში. სწორედ ამ გარემოების გამო შეუძლებელია შევისწავლოთ მოვლენის დასასრული (თანამედროვეობა), თუ არ შევისწავლით მისი განვითარების წინა საფეხურებს, რომლებსაც ისტორიულად ის ეყრდნობა და რომლებზედაც ის ღგას თავისი განვითარებით.

ბიოლოგია ორგანიზმს ჩანასახიდანვე სწავლობს, და სწავლობს არა მის ცალკეულ ნაწილებს, არამედ მთლიანად ორგანიზმს, არა მარტო მის თავს, არამედ ტანსაც, რომელზედაც ეს თავი დგას. ბიოლოგებმა კარგად იციან, რომ ყოველი სახეობის ცხოველურ ტანს მისი შესაბამისი თავი აქვს ამოზრდილი, და ბერძნულ მითოლოგიაში შექმნილი სფინქსები ზოოლოგიამ არ იცის. ისტორიულ საკითხებშიც ერთი მოვლენის თავი მეორე მოვლენის ტანს არ მოედგმება და, პირიქით, რადგანაც სოციალურ მოვლენებს ურთიერთ ორგანულად დაკავშირებული თავისი საწყისი ფესვები, განვითარების საფეხურები და მათგან გამომდინარე და მათგანვე შეპირობებული დასასრული აქვთ, სწორედ ამიტომ, ისტორიული მოვლენების ერთმანეთისაგან ამ გამომდინარეობაში, წარსულისა და აწმყოს კავშირის ამ გაუგებლობაში არის ზემოაღნიშნულ ვაი-ისტორიკოსთა აქილესის ქუსლი.

7. ისტორიის სწავლებისას ზოგიერთი ისტორიკოსი გატაცებულია მხოლოდ ფაქტების თავმოყრით და მათი გადაცემით ამ ფაქტების განზოგადებისა და მათში ისტორიული კანონზომიერების გამოვლინებისა და დანახვის გარეშე. ეს ისტორიკოსები, რომელნიც თავიანთ ამოცანას მსმენელთათვის მხოლოდ ამ ფაქტიური მასალის

გადაცემაში ხედავენ, დიდად ჩამორჩებიან მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს. მათ შეუძლიათ ასწავლონ არა ისტორია, არამედ მხოლოდ ისტორიის ფაქტები, ააგონ მსმენელთა წარმოდგენაში არა ისტორიის შენობა, სადაც თითოეულ ფაქტს თავისი ისტორიული ადგილი ექნება დაკავებული, არამედ მხოლოდ თავი მოუყარონ მასალას ასეთი შენობის ასაგებად.

ცხადია, რომ ფაქტიური მასალის ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთზე მოწყვეტით მილაგებით, მსმენელთა წარმოდგენაში არ შეიქმნება ისტორიული პროცესის ამსახველი სურათი. ამიტომ ბუნებრივია, თუ ერთიმეორიდან გამოუყვანელი და ერთმანეთზე მიყრილი ეს ფაქტები თავის ადგილს ვერ პოულობენ და გარკვეული პრინციპით ვერ ლაგდებიან თვით ისტორიული პროცესის მიერ მათთვის მიჩენილ ადგილზე. აქ არც ამ ფაქტთა „მშობლები“ ჩანან, რომელთაგანაც ისინი ისტორიულად წარმოიქმნენ, და არც მათი „შვილები“, ე. ი. შემდეგი ფაქტები, რომელთა მშობლებადაც ისინი შემდეგ გარდაიქმნენ. ამ გარემოების გამო ეს ფაქტები მეტაფიზიკურ უძრაობაში არიან და ვერც წარსულს უკავშირდებიან და ვერც მომავალს.

გასაგებია, რომ ასეთი ყაიდის ისტორიკოსები, ფაქტების ასეთი თავმოყრით, მეცნიერებაში შავი მუშის როლს უფრო ასრულებენ, ვიდრე იმ ოსტატისას, რომელსაც ძალუძს ამ ფაქტებისაგან მსმენელთა წარმოდგენაში ისტორიული პროცესის შენობის აღდგენა. ასეთ ისტორიკოსებს ისტორიკოსობისათვის აკლიათ მთავარი: მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია, მისი ის მტკიცე დუღაბი, რომელიც ამ ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებში შინაგანი კავშირის აღმოჩენით და ერთმანეთისაგან მათი წარმოქმნის დადგენით, ურთიერთ უკავშირებს მათ და ამ გზით აღადგენს ისტორიული პროცესის სურათსა და შენობას.

ასეთ ისტორიკოსებს ხშირად თავი მოაქვთ ფაქტების ცოდნით, რისთვისაც მათ ერთგვარი საფუძველი აქვთ, და აცხადებენ — „მეცნიერება ფაქტების გარეშე არ არსებობსო“, რაშიაც ისინი აგრეთვე მართალნი არიან. მაგრამ ისინი ივიწყებენ იმას, რაშიაც მართალნი არ არიან, სახელდობრ, იმ გარემოებას, რომ ფაქტი აუცილებელი მასალაა მეცნიერებისათვის და არა თვით მეცნიერება, რომ მეცნიერება იქ იწყება, სადაც დგება საკითხი ამ ფაქტების გაჩენისა და მათი კანონზომიერების შეცნობისა და შესწავლის შესახებ.

მეტეოროლოგია, მაგალითად, იმ ფაქტების კონსტანტირებით კი არ ხდება მეცნიერებად, რომ ზამთარში თოვლი მოდის და ზაფხულში სეტყვა, არამედ იმით, რომ იგი ამ ფაქტებში (მოვლენებში) აღმოაჩენს კანონზომიერებას და ხსნის, თუ რით არის ეს გარემოება გამოწვეული. რატომ ხდებიან ეს მოვლენები, როგორც წესი, ასე და არა, ვთქვათ, შებრუნებით. იმ ფაქტის კონსტანტირება კი არ არის მეცნიერება, რომ დეკემბერში დღე მოკლეა და ივნისში გრძელი, არამედ იმის ახსნა, თუ რატომ და როგორ ხდება ეს ასე და რით არის იგი შეპირობებული და გამოწვეული.

ასევე დგას საკითხი ყველა სხვა და მათ რიცხვში ისტორიულ მეცნიერებაშიც. მომხდარი სოციალური მოვლენების და ფაქტების უბრალო ჩამოთვლა და აღნუსხვა კი არ აქცევს ისტორიას მეცნიერებად, არამედ მათი ახსნა, მათი კანონზომიერების გახსნა და აღმოჩენა. ამიტომ მარტო ისტორიული ფაქტების დაზეპირებით არ შეიძლება განისაზღვროს ისტორიკოსის ამოცანა. მას უნდა შეეძლოს ამ ფაქტებისათვის ისტორიულად განკუთვნილი ადგილის მიჩენა ობიექტური კანონზომიერების საერთო პროცესში, უნდა შეეძლოს ამა თუ იმ ფაქტის წარმომქმნელ მიზეზებთან ერთად იმ მიზეზების მიგნებაც, რომლებმაც ეს ფაქტი ნეგაციაში გადაიყვანეს და მისგან სხვა ახალი ფაქტისა და მოვლენის დაბადების შესაძლებლობა და აუცილებლობა შექმნეს.

8. არა ნაკლებ საზიანოა ისტორიის სწავლებაში ზოგადი სქემებით და დებულებებით გატაცება, პროკრუსტეს სარეცელის მსგავსი, რაღაც საყოველთაო მეტრის დადგენა, რომლითაც ეს სქემატიკოსი ისტორიკოსები ყოველ ისტორიულ მოვლენას ზომავენ და ანგარიშს არ უწევენ ცალკეული ეპოქების საკუთარ, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ კანონზომიერებასა და თავისებურებას. ამ ზოგად სქემებში მათ ძალით „შეჰყავთ“ ისტორიული ფაქტი და მოვლენა. უგულვებელყოფენ კონკრეტული მასალისა და ფაქტების შესწავლის საჭიროებას, ახდენენ მათ ნიველირებას და, ამგვარად, მათთვის დამახასიათებელ კონკრეტულ თვისებათა ჩამოცილებით „მიჰყავთ“ ისინი საკუთარ „უარყოფამდე“ და „ლიკვიდაციამდე“.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ასეთ ისტორიკოსებს არაფერი საერთო არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ მარქსიზმთან. ხშირად კონკრეტულ ფაქტებისა და მოვლენების შესწავლის არსაჭიროების

აბრით დაფარულ უგულვებელყოფაში ასეთ ისტორიკოსთა მიერ თვით ამ ფაქტებისა და მოვლენების უცოდინრობა იმალება. მარქსიზმის მეთოდოლოგიისა და კონკრეტული ისტორიული მასალის არცოდნას მიჰყავს ისინი იქითკენ, რომ ისტორიისათვის გამოიმუშაონ მათემატიკური აქსიომების მსგავსი, ყველა ეპოქისათვის თანაბრად სავალდებულო რაღაც გაქვავებული სქემები და მხოლოდ ამ ზოგადი სქემებით ახსნან ყოველი ისტორიული ფაქტი და მოვლენა.

ისინი ივიწყებენ, რომ მსოფლიო ისტორიის შესწავლა არ შეიძლება ყველა დროისა და ეპოქისათვის რაღაც სავალდებულო, ამ ზოგადი, უძრავი და მუდმივი კანონების დაზეპირებით. ისინი ივიწყებენ, რომ ისტორია მათემატიკა როდია, რომ მისი კანონების ბუნებაზე არც დრო, არც ეპოქა და არც გეოგრაფია არ მოქმედებდეს.

პითაგორის თეორემას, სწორკუთხოვანი სამკუთხედის ჰიპოტენუზის კვადრატის ამავე სამკუთხედის კატეტების კვადრატთა ჯამთან თანასწორობის შესახებ, რომელიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში XVIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დღემდე არ დაუკარგავს თავისი ძალა და არც დაკარგავს მას მომავალში. ასეთი სამკუთხედი რომ სინანთროპს აეგო, ეს კანონი მაშინ ისევე იქნებოდა ძალაში, როგორც ის ძალაშია დღესაც. ასევე, ორჯერ ორი, რომელიც ჩვენთვის ოთხია, არ შეიძლება იგი ხუთი იყოს სამყაროს სხვა პლანეტებზე მცხოვრები ადამიანებისათვის.

მაგრამ ასეთი ზოგადი, ყოველი დროისა და ადგილისათვის მათემატიკური კანონების მსგავსად, მთელი თავისი ხასიათით ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ე რ თ ნ ა ი რ ა დ სავალდებულო კანონები ადამიანთა საზოგადოების ისტორიას არ გააჩნია. სწორედ ამის გამო ადამიანთა საზოგადოების ისტორიის კანონები არ შეიძლება გაიგივებული იქნეს მათემატიკური მეცნიერების კანონებთან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანთა საზოგადოებას საერთოდ არ გააჩნდეს ზოგიერთი საერთო ხასიათის ეკონომიკური კანონი, რომელსაც იგი თავისი განვითარების ყველა ფორმაციაში დაემორჩილება. ეს რომ მართლაც ასე იყოს და საზოგადოების ყველა ფორმაციისათვის საერთო ეკონომიკური კანონები რომ არ არსებობდეს, მაშინ საზოგადოებრივი ფორმაციები ერთმანეთისაგან მოწყვეტილნი იქნებოდნენ და მსო-

ფლიო ისტორიას უწყვეტი პროცესის ხასიათი აღარ ექნებოდა, ვინაიდან ამ ფორმაციების ურთიერთ დამაკავშირებელი საერთო ეკონომიკური კანონების არ არსებობის პირობებში, ეს ფორმაციები ერთმანეთისაგან სრულიად გათიშულნი და მოწყვეტილნი იქნებოდნენ თავიანთ სპეციფიკურ ეკონომიკურ კანონთა ნიადაგზე. მეორე მხრით, ამ ფორმაციებს რომ მარტო ზოგადი და მხოლოდ საერთო ეკონომიკური კანონები გააჩნდეთ, მაშინ მათ შორის არსებითი განსხვავების ყველა საზღვარი წაშლილი იქნებოდა.

მარქსიზმი ცალმხრივად სთვლის ამ საკითხის როგორც პირველ, ისე მეორეგვარად დაყენებას და ყველა ამ ფორმაციებისათვის აღიარებს, როგორც საერთო, ისე სპეციფიკურ ეკონომიკურ კანონთა არსებობას. ამ საკითხის შესახებ ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი თავის გენიალურ შრომაში—„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" წერს: „სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციები თავიანთ ეკონომიკურ განვითარებაში ემორჩილებიან არა მარტო თავიანთ სპეციფიკურ ეკონომიკურ კანონებს, არამედ იმ ეკონომიკურ კანონებსაც, რომლებიც ყველა ფორმაციისათვის საერთოა, მაგალითად, ისეთ კანონებს, როგორიცაა ერთიან საზოგადოებრივ წარმოებაში საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის კანონი, ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარების პროცესში საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა შორის ურთიერთობის კანონი. გამოდის, რომ საზოგადოებრივი ფორმაციები არა მარტო გამოყოფილია ერთიმეორისაგან თავიანთი სპეციფიკური კანონებით, არამედ დაკავშირებულიც არიან ერთმანეთთან ყველა ფორმაციისათვის საერთო ეკონომიკური კანონებით"[1].

ისტორიულმა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს როგორც ის კანონები, რომლებიც საერთო არიან ყველა ფორმაციისათვის, ისე ის კანონებიც, რომელნიც სპეციფიკურია მათთვის. საზოგადოების ამ საერთო და სპეციფიკური ეკონომიკური კანონების და მათი ურთიერთობის შესწავლისა და გახსნის გარეშე ისტორია მეცნიერებად ვერ გახდება. „...ისტორიული მეცნიერების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, — წერს ამხანაგი სტალინი, — წარმოების კანონე-

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ., გვ. 77.

ბის, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კანონების, საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონების შესწავლა და გახსნა"[1].

ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ამ საერთო და სპეციფიკური ეკონომიკური კანონების აღმოჩენა და შესწავლა აქცევს ისტორიას წარსული სოციალ-ეკონომიური მოვლენების შემსწავლელ მეცნიერებად, და ამავე დროს საფუძვლად ედება მეცნიერულ წინასწარმეტყველებას, მომავალი სოციალური მოვლენების პროგნოზებს და, საერთოდ, საზოგადოების ისტორიის მოძრაობის გათვალისწინების შესაძლებლობას ამ მომავალში. მარქსმა და ენგელსმა სწორედ საზოგადოების ისტორიის ეკონომიური განვითარების ობიექტური კანონზომიერების აღმოჩენისა და შესწავლის საფუძველზე შესძლეს კაპიტალიზმის დაღუპვისა და სოციალიზმის წარმოქმნის აუცილებლობის წინასწარმეტყველება შვიდი ათეული წლით ადრე, ვიდრე ეს მოვლენები დაიწყებოდა რუსეთში.

ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში, ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებში კი ასეთი წინასწარხედვა და წინასწარმეტყველება იმიტომ ხდება შესაძლებელი, რომ ისევე, როგორც ბუნების კანონზომიერება, „...საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოების განვითარება — აგრეთვე შეცნობადია, ხოლო მეცნიერების მონაცემები საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ — სარწმუნო მონაცემებია, რომლებსაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვთ.

მაშასადამე, მეცნიერება საზოგადოების ისტორიის შესახებ, მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მთელი სირთულისა, შეიძლება გახდეს ისეთსავე ზუსტ მეცნიერებად, როგორიც არის, ვთქვათ, ბიოლოგია, მეცნიერებად, რომელსაც შეუძლია ისარგებლოს საზოგადოების განვითარების კანონებით პრაქტიკული გამოყენებისათვის"[2].

ისტორიის ასეთ ზუსტ მეცნიერებად ჩამოყალიბების შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევისათვის, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, საჭიროა მთელ რიგ პირობათა დაცვა და შესრულება.

---

1 საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950 წ., გვ. 150.

2 იქვე, გვ. 140—141.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე მისი ეკონომიკური განვითარების კანონები „...ბუნების მეცნიერების კანონებისაგან განსხვავებით, არახანგრძლივია, რომ ისინი, მათი უმეტესობა მაინც, გარკვეული ისტორიული პერიოდის განმავლობაში მოქმედებენ, რის შემდეგაც ადგილს უთმობენ ახალ კანონებს"[1]. ეს გარემოება კი იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოების ისტორიის შესწავლას, ყველა ფორმაციების ახსნას და ყველა წყობილებისა და მოძრაობის შეფასებას, ჩვენ არ შეიძლება მივუდგეთ ყოველი დროისა და ეპოქისათვის ერთნაირად სავალდებულო, რაღაც გაქვავებული ზოგადი სქემებითა და მეტრით, არამედ „...ყოველი საზოგადოებრივი წყობილება და ისტორიაში არსებული ყოველი საზოგადოებრივი მოძრაობა შეფასებული უნდა იქნეს არა „მარადიული სამართლიანობის" ან რაიმე სხვა წინასწარაღებული იდეის თვალსაზრისით, როგორც ამას ხშირად სჩადიან ისტორიკოსები, არამედ იმ პირობების თვალსაზრისით, რომლებმაც წარმოშვეს ეს წყობილება და ეს საზოგადოებრივი მოძრაობა და რომლებთანაც ისინი დაკავშირებულნი არიან"[2].

ერთი სიტყვით. როგორც ეს ამხანაგმა სტალინმა გენიალურად გაარკვია, „ყველაფერი დამოკიდებულია პირობებზე, ადგილსა და დროზე. გასაგებია, — წერს შემდეგ ამხანაგი სტალინი, — რომ საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ასეთი ისტორიული მიდგომის გარეშე შეუძლებელია არსებობა და განვითარება მეცნიერებისა ისტორიის შესახებ, ვინაიდან მხოლოდ ასეთი მიდგომა იხსნის ისტორიულ მეცნიერებას შემთხვევითობათა ქაოსად და ყოვლად უაზრო შეცდომათა გროვად გადაქცევისაგან"[3].

9. ისტორიის სწავლების დროს ზოგჯერ შეიმჩნევა მარქსიზმის კლასიკოსთა ციტატების არამართებულად გამოყენების შემთხვევები. ეს ისეთი ვითარების დროს ხდება, როდესაც ისტორიკოსს შემცდარად აქვს გაგებული და ახსნილი ისტორიული ფაქტი და მოვლენა, დარწმუნებული კი არის რომ მიგნებული აქვს ჭეშმარიტება.

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ. გვ. 6.

[2] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950 წ., გვ. 134.

[3] იქვე, გვ. 134.

ასეთ შემთხვევებში, ამ „ჟეშმარიტების“ არგუმენტირებისათვის ამგვარი თალმუდისტების მიერ მარქსიზმის კლასიკოსებისაგან მოყვანილი ციტატები კი არ ადასტურებენ, არამედ უარყოფენ იმას, რის დასადასტურებლადაც ისინი იყო მოყვანილი. სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო ეს, რადგანაც ამ ციტატებიდან ერთი და, რა თქმა უნდა, სრულიად სწორი დასკვნა გამოდის, ხოლო საკვლევი ფაქტების იმ ინტერპრეტაციიდან, რასაც ამ ციტატების მომყვანი იძლევა, მეორე და, რა თქმა უნდა, შემცდარი. ამგვარ გარემოებაში ჩაყენებულ მარქსიზმის კლასიკოსთა ციტატებს ვერ უკავშირდება ასეთ ისტორიკოსთა მიერ მოცემული ინტერპრეტაცია, ვერ ეხორცება და ვერ პოულობს მათთან ორგანულ კავშირს.

ყოველივე ეს კი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ამ ციტატების აზრი და მნიშვნელობა არა სწორად იყო გაგებული და არა მართებულად მიყენებული აღებული ფაქტების შემცდარ ინტერპრეტაციასთან. „ასე მოსდით ყოველთვის, — წერს ამხანაგი სტალინი,—მედავითნეებსა და თალმუდისტებს, რომლებიც, რაკი ვერ სწვდებიან საქმის არსს და ციტატები მოჰყავთ ფორმალურად, იმ ისტორიულ პირობებთან დაუკავშირებლად, რომლებსაც ციტატები ეხება, მუდამ ვარდებიან გამოუვალ მდგომარეობაში“[1]. „მათ ჰგონიათ, რომ თუ დაიზეპირებენ ამ დასკვნებსა და ფორმულებს და შეუდგებიან მათს წაღმა-უკუღმა ციტირებას, შეეძლებათ გადაწყვიტონ ყოველი საკითხი....“[2] ასეთ ისტორიკოსებს, რა თქმა უნდა, არაფერი არ შეიძლება საერთო ჰქონდეთ მარქსიზმთან.

10. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის წარმოქმნის შემდეგ ისტორიის სწავლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ყოველთვის იყო და რჩება კაცობრიობის ისტორიაში ამ რევოლუციით მომხდარი გრანდიოზული გარდატეხის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ჩანერგვა მსმენელებში. ამ მსმენელებმა ნათლად უნდა წარმოიდგინონ ოქტომბრის რევოლუციით აღმართული ის უდიდესი წყალგამყოფი ხაზი, რომლის იქითაც დარჩა მშრომელი ადამიანის მონური, ბატონყმური და კაპიტალისტური ექსპლოატაციის ველური ფორმებით ადამიანთა საზოგადოების მთელი წინაისტორიის დინება

---

1 ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები 1950 წ., გვ. 50.

2 იქვე, გვ. 52.

და, რომ მის აქეთ დასაბამი მიეცა კაცობრიობის ისტორიის ახალ ერას, მის ნამდვილ ისტორიას.

1920 წლის 6 ნოემბერს ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომაზე ოქტომბრის რევოლუციის და მისი სამშობლოს — საბჭოთა რუსეთის მიერ ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში მოხდარი ამ უდიდესი გარდატეხის მნიშვნელობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ლუთერის ცნობილ სიტყვებს თუ გადავასხვაფერებთ, რუსეთს შეუძლია სთქვას: „მე ვდგავარ, ძველი, კაპიტალისტური, და ახალი, სოციალისტური, სამყაროს მიჯნაზე, აქ, ამ მიჯნაზე, მე ვაერთიანებ დასავლეთის პროლეტარების ძალ-ღონესა და აღმოსავლეთის გლეხობის ძალ-ღონეს იმისათვის, რომ დაყამსხვრიოთ ძველი სამყარო. შემეწიოს მე ღმერთი ისტორიისა[1]". 1921 წელს კი ამხანაგი სტალინი წერდა, რომ „...1917 წლის ოქტომბერი ნიშნავს მსოფლიო სოციალური ფრონტის გარღვევას და ქმნის შემობრუნებას მთელ მსოფლიო ისტორიაში"[2].

ოქტომბრის რევოლუციის მიერ მსოფლიო ისტორიის ეს შემობრუნება იმით არის შეპირობებული, რომ „ოქტომბრის რევოლუცია არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ რევოლუციად „ნაციონალურ ჩარჩოებში". იგი, უწინარეს ყოვლისა, არის ინტერნაციონალური, მსოფლიო ხასიათის რევოლუცია, ვინაიდან ის ნიშნავს ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ"[3].

ჯერ კიდევ თითქმის ერთი საუკუნის წინათ მარქსი კაპიტალისტური საზოგადოების ამ დაღუპვაზე წერდა, რომ „...ამ საზოგადოებრივი ფორმაციით მთავრდება ადამიანთა საზოგადოების წინა-ისტორია"[4]-ო. ადამიანთა საზოგადოების ამ წინაისტორიის დასასრულს და ნამდვილი ისტორიის გენეზისს ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ იმით მისცა დასაწყისი, რომ მუშათა კლასისათვის ძალაუფლების გადაცემით მან შემოაბრუნა მსოფლიო ისტორიის მსვლელობა რუსეთში და შექმნა წყალგამყოფი ხაზი. ამ ხაზის

---

1 ი. სტალინი, თხზ., ტ. IV, გვ. 428.

2 ი. სტალინი, თხზ., ტ. V, გვ. 115.

3 ი. სტალინი, თხზ., ტ. X, გვ. 255.

4 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1932 წ., გვ. 42.

იქით დარჩა ადამიანთა საზოგადოების წინაისტორია ათეულ საუკუნეთა მანძილზე მშრომელი ადამიანების ასეულ თაობათა ურვითა და წუხილით, სისხლითა და ცრემლებით, დამცირებითა და ჩაგვრით. ამ ხაზს აქეთ კი საბჭოთა ადამიანებმა ლენინისა და სტალინის გენიით დაიწყეს ადამიანთა საზოგადოების ნამდვილი ისტორიის, სრულიად ახალი, თავისუფალი და შემოქმედებითი ცხოვრების შენება.

ეს მშრომელი ადამიანები მთელი თავიანთი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე პირველად დაეპატრონენ თავიანთ თავს და, ყოველგვარი ხასიათისა და ფორმის ექსპლოატაციის მოსპობის შედეგად, მათ აღარ აწუხებთ არც მონათმფლობელი და არც ფეოდალი, არც ბურჟუა და არც მღვდელი და ჩაფარი.

„რევოლუციები წარსულში, — წერდა ამხანაგი სტალინი 1927 წელს თავის ცნობილ სტატიაში: „ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი",—ჩვეულებრივ იმით თავდებოდა, რომ მმართველობის საჭესთან ექსპლოატატორთა ერთ ჯგუფს ცვლიდა ექსპლოატატორთა მეორე ჯგუფი. ექსპლოატატორები იცვლებოდნენ, ექსპლოატაცია რჩებოდა. ასე იყო მონების განმათავისუფლებელ მოძრაობათა დროს. ასე იყო ყმების აჯანყებათა პერიოდში. ასე იყო ცნობილი „დიდი" რევოლუციების დროს ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში... ოქტომბრის რევოლუცია ამ რევოლუციებისაგან პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ განსხვავდება. იგი თავის მიზნად ისახავს არა ექსპლოატაციის ერთი ფორმის შეცვლას ექსპლოატაციის მეორე ფორმით, ექსპლოატატორთა ერთი ჯგუფისა — ექსპლოატატორთა მეორე ჯგუფით, არამედ ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობას, ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორული ჯგუფის მოსპობას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, დღემდე არსებულ ყველა ჩაგრულ კლასთა შორის ყველაზე რევოლუციური კლასის ძალაუფლების დამყარებას, ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციას"[1].

ამავე შრომაში ამხანაგი ი. სტალინი წერდა, რომ „...მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი განვითარების ისეთ დონემდე მივიდა, როდესაც რევოლუციის ცეცხლმა აუცილებლად უნდა იფეთქოს ხან იმპერიალიზმის ცენტრებში, ხან პერიფერიაში, არარად აქციოს

1 ი. სტალინი, თხზ. ტ. 10, გვ. 255—256.

კაპიტალისტური დანაკერები და დღითი-დღე მოაახლოოს კაპიტალიზმის დაცემა. სწორედ ისე, როგორც ეს ცნობილ არაკშია: „კუდს ამოათრევ — ცხვირი ეფლობა, ცხვირს ამოათრევ—კუდი ეფლობა“[1]. ამხანაგ სტალინის ეს გენიალური წინასწარხედვა საოცარი სიზუსტით გამართლდა. მისი ხელმძღვანელობით და ლენინის მიერ ნაჩვენები გზით საბჭოთა ხალხმა თავის ქვეყანაში ბოლო მოუღო ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარ ექსპლოატაციას, ააშენა სოციალიზმი და ამჟამად ძალუმად ეწევა ზეცისკენ კომუნიზმის დიად შენობათა კედლებს.

ამავე დროს თავისი სისტემის ლპობაში შესული მსოფლიო კაპიტალიზმი კუდითაც და ცხვირითაც ჩაეფლო კრიზისში. ამ კრიზისისა და გმირი საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელი როლის შედეგად კაპიტალიზმის სისტემას ჩამოსცილდა აზიისა და ევროპის, კოლონიებისა და მეტროპოლიების მთელი რიგი ქვეყნები. ეს ქვეყნები დაადგნენ სოციალისტური განვითარების გზას, გააძლიერეს მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმის კვდომის, ადამიანთა საზოგადოების წინაისტორიის დამთავრებისა და მის ნამდვილ ისტორიაში გადასვლის საერთო პროცესი.

გასაგებია, რომ ისტორიის სწავლება ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ მან მსმენელში ჩანერგოს ამ ისტორიული ძვრებისა და პერსპექტივის ცხადი წარმოდგენა და გაარკვიოს იგი ოქტომბრის რევოლუციით მომხდარი მოვლენების რთულ სიტუაციაში. ამ ამოცანის მიღწევისათვის კი აუცილებელია ისტორიული ეპოქების ერთმანეთთან დამაკავშირებელი კანონზომიერების შესწავლა და რიგის მიხედვით ერთმანეთისაგან მათი გამოსვლის ახსნა.

მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელნიც კარგად იქნებიან დაუფლებულნი მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას ისტორიული პროცესის ობიექტურ კანონზომიერებაზე და შესწავლილი ექნებათ თვით ეს ისტორია, შეეძლებათ გონებით აღმართულ ევერესტის თხემზე ასვლა და მსოფლიო ისტორიის მიერ გავლილი მთელი შარაგზის დანახვა, რომლის არც დასაწყისი და არც მკვეთრი მოსახვევები არ დაეკარგებათ მათ გარდასული ეპოქების დროთა ბურუსში.

---

[1] იქვე, გვ. 263.

* * *

აი ამ გარდასულ ეპოქათა დროთა ბურუსშია ჩაძირული ადამიანთა წარმოქმნისა და ბავშვობის პერიოდი. რადგან „აი რას ამბობს ისტორია“-ს საქმე აქვს ადამიანთან, რომელიც არც უცბად გაჩენილა ღმერთისგან, არც წვიმას ჩამოჰყოლია ზეციდან და არც ნაყოფივით ამოზრდილა მიწიდან, როგორც ამას ფიქრობდნენ ძველები, ჩვენ ჯერ ისტორიულად უნდა „მივიღოთ“ ეს ადამიანი, როგორც ჩვენი თემის ობიექტი, ხოლო შემდეგ შეუდგეთ მისი ცვალებადი მდგომარეობისა და ყოფის შესწავლას წინაკლასობრივ და კლასობრივ საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციებში. ყოველივე ამისათვის კი საჭირო ხდება, რომ ზოგადად მაინც გადავავლოთ თვალი ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში ამ ადამიანის წარმოქმნას „სულითაც“ და „ხორცითაც“, ე. ი. გონებრივი და ფიზიკური განვითარებითაც.

ერთი სიტყვით, ადამიანის ისტორია მოკლედ და ზოგადად, ჩვენ მისი მოდგმის ბავშვობის პერიოდის ისტორიით უნდა დავიწყოთ. ამ პერიოდში კი ადამიანი მეტად უბადრუკი იყო თავისი ტექნიკით და უმწეო თავისი აზროვნებით. შემდეგ, დროთა ვითარებაში, როცა ადამიანმა დასძლია თავისი ბავშვობის პერიოდის ტექნიკური უმწეობა, და დავაჟკაცდა აზროვნებასა და მეცნიერებაშიც, მან იმის შესწავლაც დაიწყო, თუ ტექნიკური და გონებრივი დაბადების აკვანში ვინ იყო და რა იყო იგი წინათ.

მაგრამ, როგორც ტექნიკური განვითარების მხრივ ადამიანმა გაიარა ხანგრძლივი პროცესი და შედარებითი სრულყოფისათვის ამ სფეროში უცბად არ მიუღწევია მას, ისევე ისტორიული მეცნიერებაშიც იგი უცბად და ერთბაშად ვერ მივიდა თავისი ბავშვობის პერიოდის აღმოჩენის, მისი ხასიათის შეცნობის და საკუთარი თავის წარმოქმნის მეცნიერულ გაგებამდე. ამას დასჭირდა ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი. ამ პერიოდში ჩასახული მეცნიერული აზრი ყველა ამ საკითხებზე სასტიკ ბრძოლას ეწეოდა მასზე ადრე ჩასახულ რელიგიასთან. ამ ბრძოლაში და ბოლოს, მეცნიერებამ შესძლო ცრუ რელიგიური უნივერსალიზმის დაძლევა. ეს ბრძოლა, როგორც ამას ჩვენ თვით ამ ბრძოლის ისტორიის შესწავლა გვაუწყებს, აღსავსეა მეტად მძაფრი მომენტებით და ადამიანისა და ქვეყნის წარმოქმნის საკითხში რელიგიასა და მეცნიერებას შორის ურთიერთ სამკვდრო-სასიცოცხლო შემართებით.

I. რელიგია და მეცნიერება დედამიწის წარმოქმნისა და ორგანული სამყაროს განვითარების შესახებ

მეტად საინტერესოა ადამიანის ისტორია, მისი წარსული ყოფა, მისი ტიტანური შეჭიდება ჯერ ბუნების ძალებისა და, შემდეგ კი სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. ეს ადამიანია, წერდა ფრანგი ფილოსოფოსი ჰოლბახი: „იწყებს იმით, რომ რკოს სჭამს და მხეცებს ებრძვის საკვებისათვის, ხოლო ათავებს იმით, რომ ზეცას ზომავს. პირველად ის უბრალოდ მუშაობდა და თესდა, შემდეგ მიწისმზომელობა, ე. ი. გეომეტრია მოიგონა. სიცივისაგან თავის დასაცავად ის პირველად მის მიერ დამარცხებული მხეცების ტყავს იცვამდა; ათასი წლების შემდეგ კი ფარჩასა და ოქროს ქსოვილში ეხვევა. გამოქვაბული და ქოხი მისი პირველი სადგურებია, ხოლო ბოლოს ის სასახლეებს აშენებს“.

ერთი სიტყვით, ეს ადამიანი, რომელიც, რუსი მეცნიერის ლობაჩევსკის გამოთქმით, მოწოდებულია, რომ საბოლოო ანგარიშით ბუნების მბრძანებელი და მეფე იყოს, თავად მეტად სუსტ არსებას წარმოადგენდა. მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმაო ცოდნა და გამოცდილება. მისი იარაღები იმდენად მარტივი და ბლაგვი იყო, რომ მთელი მისი დრო მიჰქონდა არსებობისათვის აუცილებელი საკვების, საცხოვრებელი ბუნაგის და ტანსაცმლის შექმნასა და მოპოვებას. ამიტომ ამ პერიოდში ადამიანი გონებრივად მეტად ჩამორჩენილი იყო. მას არ გააჩნდა არავითარი იდეოლოგია, მათ შორის, არც ყველაზე ძველი და ყველაზე ადვილი — რელიგია. 1883 წლის 17 მარტს მარქსის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ენგელსი აღნიშნავდა, რომ მარქსმა „...აღმოაჩინა ის მარტივი ფაქტი, რომელიც მიჩქმალული იყო იდეოლოგიურ მოსაზრებათა სამოსელში, რომ ადამიანებმა პირველყოვლისა უნდა იზრუნონ საჭმელზე, სასმელზე, საცხოვრებელ ბინაზე და ტანისამოსზე და მხოლოდ შემდეგ

ეწეოდნენ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და სხვა"[1].

ბურჟუაზიულ მკვლევართა შეხედულების წინააღმდეგ, რომელნიც რელიგიურ რწმენას ადამიანის თანდაყოლილ თვისებად მიიჩნევენ, მარქსიზმის კლასიკოსთა მოძღვრებით, ადამიანი თავის ისტორიას იწყებს ყოველგვარი იდეოლოგიის და, მათ შორის, რელიგიის უქონლად.

მაგრამ დიდი ხნის წინათვე ეს ურელიგიო პერიოდი თავდება და ადამიანი ქმნის თავის პირველ იდეოლოგიას რელიგიის სახით. რელიგიის წარმოქმნის ეს შესაძლებლობა განსაზღვრული იყო თვით ადამიანის საცხოვრებელი პირობებისა და მისი იარაღების შემდგომი გაუმჯობესებით. სწორედ იმ ეტაპზე, როდესაც ადამიანმა თავისი იარაღების განვითარებით რამდენადმე შეამოკლა პირველი რიგის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო დრო და გაიუმჯობესა არსებობის პირობები, მას არ შეიძლებოდა არ დაბადებოდა აზრი, იმის გასაგებათ თუ რა გარემოში, ვისა და რას შორის უხდებოდა მას ცხოვრება და არსებობა.

ამ ეპოქაში ადამიანმა პირველად თავის თავის დარად, ე. ი. ცოცხლად წარმოიდგინა მთელი ხილული სამყარო, ყველა არსებული საგანი და ამ გზით მოვიდა იგი ანიმიზმამდე[2]. მისი მაშინდელი წარმოდგენით, ცოცხალნი იყვნენ, მოძრაობდნენ, მოქმედებდნენ, აზროვნებდნენ და ლაპარაკობდნენ მცენარეები და ცხოველები[3], მთები, მდინარეები, მზე, მთვარე, ერთი სიტყვით, ყველა ხილული საგანი. ამავე დროს ამ საგნებს, ადამიანის გაგებით, შეეძლო როგორც სიკეთის, ისე ბოროტების ჩადენა.

ანიმიზმი — ეს იყო მეტად საშინელი რწმენა ადამიანისათვის.

---

[1] ფ. ენგელსი, წერილები კარლ მარქსის სიკვდილის შესახებ, 1933 წ., გვ. 5.

[2] ანიმიზმი წარმოსდგება ლათინური სიტყვა „anima"-საგან, რაც ნიშნავს „სულს". ანიმიზმი პირველყოფილი ადამიანის ისეთ რწმენას ეწოდება, როცა მას ყველა საგანი და ბუნების ყველა მოვლენა სულიერად, ე. ი. ცოცხლად მიაჩნდა.

[3] ასეთი პრიმიტიული წარმოდგენა დიდხანს შერჩა ბევრ ტომს. ასე მაგალითად, ევროპელების მიერ ახალ ზელანდიაში პირველად მიყვანილი ცხენის შესახებ ადგილობრივი მცხოვრებნი კითხულობდნენ — რა ენაზე ლაპარაკობს იგიო. ხოლო ზოგიერთი ველური ტომი მიცვალებულს ფეხებს ამტვრევდა ან უკრავდა — არსად წავიდესო.

რადგან იგი შიშისაგან თრთოდა და ცახცახებდა ყოველი საგნის წინაშე. მას ეშინოდა იმ მიწისა, რომელზედაც ფეხი ედგა, იმ საგნისა, რომელიც ხელში ეჭირა და ყველა საგნისა, რასაც ხედავდა და რაც მის ირგვლივ იყო. ადამიანი ყოველთვის იმის მოლოდინში იყო, რომ ამ ცოცხალი ქვეყნისა და საგნებისაგან მას თავს დაატყდებოდა რაიმე გაუთვალისწინებელი და უცაბედი უბედურება, რომელიც ძოსპობდა და წალეკავდა მას.

საკუთარი თავისათვის თავისივე ფანტაზიით შექმნილი ამ საშიშროებიდან ადამიანს ისევ თავის ფანტაზიით შექმნილ გამოსავლად ის ეჩვენებოდა, რომ მუხლი მოედრიკა ამ საგნების წინაშე, მოწიწებით მოპყრობოდა მათ, თაყვანი ეცა და გაეღმერთებინა ისინი. იგი ფიქრობდა, რომ მათი გულის მოგებით და მონადირებით შეძლებდა არა მარტო მათი რისხვის თავიდან აცილებას, არამედ მათგან დახმარებისა და სიკეთის მიღებასაც. ასეთი გზით ადამიანი მივიდა რელიგიის იმ ფორმის შექმნამდე, რომელსაც ისტორიაში ფეტიშიზმი ეწოდება.

ძველი ხალხები, რომელნიც განვითარების ამ საფეხურზე იდგნენ, აღმერთებდნენ კატას, ძაღლს, ნიანგს, თაგვს, ხარს, ძროხას, მცენარეებს და სხვა. ერთი სიტყვით, ისეთი საგნები, რომლებიც გასაღმერთებლად გამოდგებოდნენ, ბევრი იყო და ამიტომ პირველყოფილ ადამიანებს ბლომად ჰყავდათ ღმერთები. შემდეგ ისტორიულ ხანაში მათი რიცხვი შემცირდა, მაგრამ მაინც არც ისე დიდი ხნის წინათ, ინდოეთში ღმერთების რიცხვი 330 მილიონს აღწევდა. საერთო ღმერთის გარდა, ძველად ადამიანს მრავალი საკუთარი ღმერთიც ჰყავდა[1].

ფეტიშიზმის პერიოდი — ეს არის ადამიანის დაბეჩავების პერიოდი, როცა იგი ამ ქვეყნად ყველაზე დაბალ და უმწეო არსებად თავის თავს თვლიდა, ხოლო თაგვი და კატა კი ღმერთის რანგამდე ჰყავდა აყვანილი.

ამ უძველეს პერიოდში, ზოგიერთი ტომის წარმოდგენით, პირველი ადამიანები მთვარიდან ჩამოცვივდნენ მიწაზე, ზოგის აზრით, ისინი ნაყოფივით პირდაპირ ხეებზე ამოიზარდნენ ან კვერცხიდან

---

[1] ქართულ ენაში შემორჩენილი გამოთქმა, რომელიც დღემდე აქა-იქ კვლავ იხმარება:—„მე და ჩემმა ღმერთმა“, შეიძლება უძველეს პერიოდში ქართველ ტომთა მრავალღმერთიანობის გადმონაშთი იყოს.

გამოიჩეკნენ და ა. შ. განვითარების შემდეგ საფეხურზე, როცა ტექნიკის წინსვლამ მნიშვნელოვან სიმაღლეს მიაღწია, საზოგადოება კლასებად დაიყო და ძველ აღმოსავლეთში მონარქიული ტიპის სახელმწიფოები წარმოიშვა, ადამიანი უკვე ერთი და ყოვლისშემძლე ღმერთის არსებობის რწმენამდე მივიდა. აი სწორედ ეს ყოვლისშემძლე ღმერთი ჯერ თვითონ შექმნა ადამიანმა და მერე ამ ღმერთს „შეაქმნევინა" თავისი თავიცა და მთელი ხილული სამყაროც.

ამგვარად, თავისი დასაწყისით რელიგია წარმოადგენს ყველაზე უძველეს იდეოლოგიას, რომელიც შექმნა ადამიანმა და რომლითაც იგი პირველად შეეცადა საკუთარი თავისა და გარესამყაროს ახსნასაც. „რელიგია, — წერს ენგელსი, — მეტისმეტად პირველყოფილ ხანაში წარმოიშვა ადამიანის უვიცური, ველური წარმოდგენებიდან თავის თავისა და გარეგანი ბუნების შესახებ"[1].

განვითარების იმ შორეულ საფეხურზე, როცა პირველად ისახებოდა რელიგიური წარმოდგენები, ადამიანთა საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო კლასებად დაყოფილი და, ამიტომ ეს პირველყოფილი რელიგიაც კლასობრივ ხასიათს არ ატარებდა. საერთოდ, წინასწარ შედგენილი გეგმითა და მიზნით რელიგიური სისტემების გამოგონება ვინმე მატყუარების მიერ შეუძლებელია. „ისეთ შეხედულებას, — წერს ენგელსი, — რომლის თანახმად ყველა რელიგია და მასთან ერთად ქრისტიანობაც გამოგონილია მატყუარების მიერ,— შეხედულებას, რომელიც გაბატონებული იყო საშუალო საუკუნეების თავისუფლად მოაზროვნეთა დროიდან XVIII საუკუნის განმანათლებლებამდე, უკანასკნელთა ჩათვლით, — უკვე აღარავის დაკმაყოფილება აღარ შეეძლო"[2].

შემდეგ, როდესაც ადამიანთა საზოგადოება კლასებად დაიყო, რელიგიამაც კლასობრივი ხასიათი მიიღო. იმ დროიდან დაწყებული რელიგია გაბატონებული კლასის ხელში ხდება მასებზე უდიდესი ზემოქმედების მომხდენ ძალად, რომელიც უადვილებს ამ კლასს მასების ჩაგვრასა და ექსპლოატაციას. ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასეული წლების დასაწყისიდან, როდესაც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოიქმნება დესპოტური ტიპის მონარქიული

---

1 ფ. ენგელსი, ლუდვიგ ფეირბახი, 1940 წ., გვ. 50.

2 ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1939 წ. გვ. 3.

სახელმწიფოები განუსაზღვრელი და შეუზღუდველი უფლებებით აღჭურვილი მეფეებით, ეს გარემოება ღმერთების ურთიერთ დამოკიდებულების საქმეში ზეცაშიც იწვევს ცვლილებებს. ეს ცვლილებები იმაში გამოიხატა, რომ პოლითეიზმი (მრავალღმერთიანობა) შეიცვალა მონოთეიზმით (ერთღმერთიანობით). მიწაზე სოციალურ ცხოვრებაში მომხდარ ამ ცვლილებებს არც შეიძლებოდა, ზეცაში შესაბამისი გამოძახილი არ გამოეწვია, რადგანაც, როგორც მარქსი წერს, „რელიგიური ქვეყანა რეალური ქვეყნის ანარეკლია მხოლოდ"[1].

1846 წლის ოქტომბერში მარქსისადმი მიწერილ წერილში ენგელსი აღნიშნავდა, რომ ზეცაში ერთი და ყოვლისშემძლე ღმერთის იდეის წარმოქმნა ვერასოდეს ვერ მოხერხდებოდა მიწაზე დესპოტური ტიპის სახელმწიფოს წარმოქმნის გარეშე, რომლის სათავეშიც შეუზღუდველი უფლებით დგას ერთი მეფე და რომელზედაც ლაპარაკს ზედმეტად სთვლის ფეიერბახიო. ერთი და ყოვლისშემძლე ღმერთი, — წერდა შემდეგ ენგელსი. — ვერასოდეს ვერ წარმოიქმნებოდა ყოვლისშემძლე ერთი მეფის გარეშე. ეს ერთიანი ღმერთი, რომელიც აკონტროლებს ბუნების მრავალრიცხოვან მოვლენებს, აერთიანებს ბუნების ურთიერთ მოწინააღმდეგე ძალებს, მხოლოდ ასლია აღმოსავლეთის ერთიანი დესპოტისა, რომელიც მოჩვენებით ანდა ნამდვილად აერთებს თავიანთ ინტერესთა წინააღმდეგობაში დაჯახებულ ადამიანებს[2]. აი რა გზით მივიდა ძველი ადამიანი ერთი და ყოვლისშემძლე ღმერთის არსებობის იდეამდე.

ამ ერთ და ყოვლისშემძლე ღმერთზე ძველ ადამიანთა შეხედულების ანარეკლი კარგად არის შერჩენილი მაჰმადიანურ რელიგიაში. ამ რელიგიის მიხედვით, ალახს (მაჰმადიანთა ღმერთს) აქვს 99 ატრიბუტი (ძირითადი და არსებითი ნიშანი). მისი ეს ატრიბუტებია, მაგალითად ის, რომ იგი (ღმერთი, ამ შემთხვევაში ალახი) მუდმივია (63-ე ატრიბუტი), ყოველთვის არსებული (64-ე ატრ.), ყოვლისშემძლე (69-ე ატრ.), პირველი (73-ე ატრ.), უკანასკნელი

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 45.

[2] К.Маркс и. Ф. Энгельс, соч., т. XXI., стр. 45.

(74-ე ატრ.), ხილული (75-ე ატრ.), ფარული (76-ე ატრ.), მმართველი (77-ე ატრ), ყველაფრის საწყისი (95-ე ატრ.), ყველაფრის ბოლო (97-ე ატრ.) და ასე შემდეგ.

ყოვლისშემძლებელი ღმერთის არსებობის ამ რწმენის ჩანერგვამ ადამიანი დააშინა, დააპატარავა და დააჩიავა მის წინაშე. ადამიანი ცდილობს გაიგოს — რა ესიამოვნება და რით შეიძლება აამოს ამ ღმერთს, რომ მის მიმართ რაიმე საწინააღმდეგო მოქმედებით არ გამოიწვიოს მისი რისხვა და თავს არ დაიტეხოს რაიმე უბედურება. ამიტომ ადამიანი თავის თავს და თავის მოქმედებას ყოველთვის შებოჭილად, შეკრულად და დაბმულად გრძნობს ამ ღმერთისაგან.

ღმერთის მიმართ ადამიანის ასეთი ვასალური დამოკიდებულება გაჩნდა ადამიანის მიერ ღმერთის არსებობის იდეის შექმნასთან ერთად. მაგრამ ამ ურთიერთობის აღმნიშვნელი და გამომხატველი სიტყვა „რელიგია" უფრო გვიან, ანტიკურ ხანაში გაჩნდა. ძველი რომაელები ადამიანისა და ღმერთის ამ უხსოვარ დროიდან დამკვიდრებულ ურთიერთობას გამოხატავდნენ სიტყვით „რელიგია" (religio), რაც ნიშნავს „დაბმას", „შეკვრას". ამ სიტყვით რელიგიის მორწმუნე ძველი ხალხები გამოხატავდნენ იმ აზრს, რომ ღმერთს თავისი ყოვლისშემძლეობით ადამიანის ნებისყოფა დაბმული და შებოჭილი ჰყავს და, რომ ამ ადამიანის ყოველგვარი მოქმედება ზღვარდებული და დეტერმინებულია.

ღმერთის მიერ ადამიანის ნებისყოფის და მოქმედების ამ შებოჭვის რწმენა ყველაზე რელიეფურად აღბეჭდილია ინდოელთა ძველ რელიგიაში. ინდოელთა რწმენით, ბავშვის დაბადების მეექვსე ღამეს მასთან მიდის ბედის დამწერი ღმერთი ვიდგატა და შუბლზე აწერს მთელი მისი მომავალი ცხოვრების მსვლელობასა და თავგადასავალს. ამგვარად, ინდოელთა წარმოდგენით, ადამიანს მთელ თავის ცხოვრებაში არ შეუძლია სხვა რამის გაკეთება და მოქმედება, გარდა იმისა, რაც მას ბედის დამწერმა ღმერთმა ვიდგატამ დააწერა შუბლზე. ერთი სიტყვით, რომაელთა ტერმინი რომ ვიხმაროთ, ინდოელთა რწმენით ვიდგატას მიერ შუბლზე ბედის დაწერით ადამიანი ხდება რელიგიური, ე. ი. „დაბმული" და „შებოჭილი".

ვიდგატას მისაღებად ინდოელები დიდ სამზადისს ეწეოდნენ: ოთახში შლიდნენ პალმის ფოთლებს და ჭრელი გველის ტყავებს,

მაგიდაზე აწყობდნენ ტკიბილეულობასა და ხილს. იქვე სდებდნენ მელანსა და კალამს. ეშინოდათ, არაფერი არ ეწყენინებინათ ვიდგატასთვის და ამით არ გამოეწვიათ მისი განრისხება, რაც მათი გაგებით იმაში იჩენდა თავს, რომ იგი მეტად მძიმე ბედს განუსაზღვრავდა ახლად დაბადებულს.

ღმერთის შექმნა დიდ უბედურებას წარმოადგენდა ადამიანისათვის, რადგანაც მომავლისათვის ის დიდი ხნით კარგავდა მსოფლგაგების დამოუკიდებლობას. იგი მრავალ ათეულ თაობათა მანძილზე ძრწოდა და ცახცახებდა მისივე ტვინისა და ფანტაზიის მიერ ნაშობი ამ „ირრეალური არსების“ წინაშე. პირველყოფილი ადამიანის მიერ შექმნილი ღმერთის ეს იდეა იმდენად ღრმა და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ვარიაციით იგი ცოცხლობს დღესაც კი, რადიოსა და შიდაატომური ენერგიის გამოყენების ეპოქაშიც, და ამ რწმენისაგან ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა მრავალი ათეული მილიონი ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ხოლო ისტორიულად ამ რწმენამ გამოიწვია მრავალი გვემა. შექმნა მავნე ილუზიები. (მაგ., საიქიოსა და სამოთხის შესახებ) და იმსხვერპლა ათეულ მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე. იგი საუკუნეთა მანძილზე მაჯლაჯუნასავით აწვა ადამიანის გონებას და ხელს უშლიდა მის გაღვიძებულ ცნობიერებას ბუნებისა და სოციალური მოვლენების მეცნიერული გაგების საქმეში.

ერთი სიტყვით, იმ შორეულ ეპოქაში, რობელსაც ჩვენ აქ ვეხებით, რელიგია გახდა ადამიანის ცრუ და უნივერსალურ მსოფლგაგებად. „რელიგია, — ამბობს მარქსი, — არის ზოგადი თეორია ამ სამყაროსი, მისი ენციკლოპედური კომპენდიუმი, მისი ლოგიკა პოპულარული ფორმით“[1]. რელიგიის ეს უნივერსალური ხასიათი აიხსნება მის მიერ საკითხთა „გადაწყვეტის“ სიადვილით. საჭიროა დაისვას მხოლოდ რაიმე პრობლემა, რომ რელიგიამ ყოველგვარი ძიებისა და არგუმენტაციის გარეშე მოუნახოს მას პასუხი. რელიგიის წინაშე წამოჭრილი ყველა ამ პრობლემის პასუხი და გადაწყვეტა კი ამოდის

---

[1] კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი, 1946 წ. გვ. 5.

ღმერთიდან, როგორც ყველა საგანთა არსებობისა და მათი ყოველ-გვარი ცვალებადობის მიზეზიდან.

რელიგიურად საკითხის გადაწყვეტის ამ სიადვილით აიხსნება ის გარემოება, რომ დედამიწისა და ადამინის წარმოშობის პრობლემა რელიგიამ ადრევე, ჯერ კიდევ ამ ათეული საუკუნეების წინათ „გადაწყვიტა", მაშინ, როდესაც მეცნიერებას ეს პრობლემები გადაწყვეტილი აქვს მხოლოდ ძირითად ხაზებში და ისინი კიდევ საჭიროებენ შემდგომ დაზუსტებას და დასაბუთებას.

ყველაზე უძველესი ხალხების: ეგვიპტელების, ბაბილონელების, ჩინელების, ინდოელების, ძველი ებრაელების და სხვათა რელიგიაში ეს საკითხები თავისებურად, რელიგიურად უკვე ადრევე იყო გადაწყვეტილი. ასე მაგალითად, „ბიბლიის" მიხედვით, რომელიც ძველ ებრაულ ენაზე მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში (IX—III საუკუნეები ძველი წელთაღრიცხვით) იწერებოდა, დედამიწა, ადამიანი, ცხოველები, მცენარეები, ზეცა, მთვარე და საერთოდ მთელი ხილული სამყარო შექმნილია ღმერთის მიერ ექვსი დღის განმავლობაში. ამავე დროს „ბიბლიას" ზუსტად აქვს „დადგენილი", რომ ღმერთის მიერ დედამიწისა და ადამიანის შექმნა მოხდა 7500 წლის წინათ.

მაჰმადიანური რელიგიის მთავარი ენციკლოპედიის „ყურანის" მიხედვითაც, ალახმა 6 დღეში შექმნა ადამიანი და დედამიწა. ეს დედამიწა, ყურანის თანახმად, დაბჯენილია ალახის მიერვე შექმნილ უზარმაზარ ხარზე, რომელსაც 4.000 თვალი, ამ ფენივე ყური და ფეხი აქვს. ეს ხარი იმდენად დიდია, რომ მისი ერთი ფეხიდან მეორემდე 500 წლის სავალი მანძილიაო. ძველი ეგვიპტელების ღმერთ ატონისადმი მიმართულ ერთ-ერთ ჰიმნში აღნიშნული იყო, რომ ატონმა შექმნა დედამიწა, ცხოველები და ადამიანი. ეროი სიტყვით, ყველა ძველ ხალხებს სწამდათ, და მათ რელიგიაშიც ამა თუ იმ ვარიანტით აღიარებული იყო ღმერთის მიერ ადამიანის დედამიწის და მთელი კოსმოსის შექმნის იდეა.

ამ იდეას აღიარებდა და აღიარებს ქრისტიანული რელიგიაც „ბიბლიის" ვარიანტის მიხედვით. აქ განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ქრისტიანული ეკლესიის მესვეურები სხვადასხვა დროს ღმერთის მიერ ქვეყნისა და ადამიანის გაჩენის სხვადასხვა თარიღს აყენებდნენ.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, „ბიბლიის“ მიხედვით ღმერთის მიერ დედამიწისა და ადამიანის შექმნა ივარაუდებოდა 7500 წლის წინათ. ქრისტიანი მწერალი ლოქტანციუსი კი (ცხოვრობდა III—IV საუკუნეში) ამტკიცებდა—ღმერთმა ქვეყანა გააჩინა 5800 წლის წინათ ჩემამდე და იგი ჩემს შემდეგ 200 წლის გავლისას დაიღუპება 6000 წლის ასაკშიო. XVI საუკუნეში მცხოვრები რომის პაპი გრიგოლ XIII ამტკიცებდა, რომ ღმერთმა ქვეყანა და ადამიანი შექმნა 5199 წელს ქრისტეს წინ.

ეკლესიის უვიცი თეორეტიკოსებიდან „სიზუსტის რეკორდი“ ამ საკითხში მაინც XVII საუკუნეში მცხოვრებ ინგლისელ მღვდელს ჯონ ლაიტფუგს ეკუთვნის. ეკლესიის ეს ბრწყინვალე მამა თავისი „გულმოდგინე გამოკვლევებით“ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ღმერთმა ადამიანი გააჩინა ქრისტეს დაბადებამდე. 5004 წლის 23 ოქტომბერს, დილის 9 საათზე. ამგვარად, როგორც ვხედავთ, მეტად უბრალოდ და ისიც მხოლოდ ფანტაზიით „სწყვეტდა“ ყველა რელიგია დედამიწისა და ადამიანის წარმოქმნის ესოდენ რთულ საკითხებს.

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და შემდეგ ახალ დროშიც რელიგია ცდილობდა, ეკლესიის მსახურთა ქადაგებით და აგრეთვე ცეცხლისა და მახვილის საშუალებით კვლავ უზრუნველეყო თავისი დოგმების მონოპოლიური მდგომარეობა მეცნიერებაში, კერძოდ, ქვეყნისა და ადამიანის წარმოქმნის საკითხში.

ახლაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში რელიგია ისევ ასრულებს თავის კლასობრივ დაკვეთას: უვიცობის ბურუსში მასების გახვევით და ზეციური ჯილდოების შეპირებით — ემსახუროს გაბატონებულ კლასებს და გაუადვილოს მათ მასების ექსპლოატაცია.

როგორც ყოველთვის, ისე ამჟამადაც, განსაკუთრებით რეაქციულ როლს ასრულებს კათოლიკური ეკლესია, რომელსაც რომის პაპი პიი XII უდგას სათავეში. დიდი ხანია ვატიკანი (პაპების რეზიდენცია) ვეღარ იცლის ზეცისა და ანგელოზებისათვის. იგი გატაცებულია მიწიერი საქმეებით, მას სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში დაბანდებული აქვს 95 მილიარდი ფრანკი. ხოლო ყველა კათოლიკურ ქვეყანაში ვატიკანის მორჩილი უზარმაზარი არმია, რომელთაგან მარტო იტალიაში 70.000 მღვდელი და 400.000 მონაზონი ითვლება, ჩაბმულია ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში და

საკუთარი ძალითაც და ღმერთების მოშველიებითაც იბრძვიან დემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ.

ეკლესიის ეს „მამები“ სწვავენ მარქსიზმის კლასიკოსთა და მრავალ პროგრესულ მწერალთა თხზულებებს. ისინი ცდილობენ მათ წინააღმდეგ მბრუნავი ისტორიის ბორბლის შეჩერებას, ებრძვიან მეცნიერებასა და პროგრესს. ასე მაგალითად, 1935 წელს იორკის ინგლისელი არქიეპისკოპოსი ამბობდა: „მე მსურს, რომ ყოველგვარი გამოგონებები შეწყდეს. მე რომ შიდაწვის ძრავის მოსპობა შემეძლოს, რა თქმა უნდა, ამას გავაკეთებდი“-ო.

ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთი შტატის უმაღლეს სასწავლებლებში დღესაც აკრძალულია ლექციებში ისეთი აზრის გატარება, რომელიც ეწინააღმდეგება „ბიბლიის“ დოგმებს ქვეყნისა და ადამიანის გაჩენაზე. სამყაროს წარმოშობის საკითხებზე ბურჟუაზიულ ქვეყნებში ყველაზე უფრო მიღებულია ინგლისელი იდეალისტი ასტრონომის ჯინსის თეორია. ჯინსი ამტკიცებს, რომ „სული არის მატერიალური სამყაროს შემქმნელი და მმართველი“. ფიზიკოსი ირდანი, ასტრონომი ხოილი, ბონდი და სხვები კი პირდაპირ წერენ — მატერია „არარაობისაგან“ წარმოიქმნაო. ასეთი მტკიცებით ბურჟუაზიული სწავლულნი კვლავ ბიბლიურ დოგმებამდე ეშვებიან და ცდილობენ რაღაც საერთო საფუძველი გამონახონ რელიგიისა და მეცნიერების შესარიგებლად. ფრანგი ბიოლოგი დიუნიუ თავის წიგნში „ადამიანთა ბედი“ პირდაპირ წერს — თუ წინათ მეცნიერება ძირს უთხრიდა რელიგიას, ახლა იმას უნდა მივაღწიოთ, რომ მეცნიერებამ განამტკიცოს რელიგიის საფუძველიო.

ერთი სიტყვით, ბურჟუაზიას კარგად აქვს შეგნებული, რომ მისი ბატონობა ემყარება არა მარტო ფიზიკურ ძალას, არამედ აგრეთვე რელიგიის მიერ ამ ბურჟუაზიის სასარგებლოდ დამუშავებულ და შერყვნილ რწმენასა და მორალს. ამიტომ ბურჟუაზია ცდილობს, თავისი ბატონობის საშუალებათა არსენალში ყოველგვარ ვითარებაში შეინარჩუნოს რელიგია. ერთი ამერიკელი კონგრესმენი დორნი, დეპუტატთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა: „მე ისეთი პოლიტიკის მომხრე ვარ, რომ ერთ ხელში გვეჭიროს თოფი, მეორეში კი — ბიბლია“. მაგრამ ბურჟუაზია განწირულია თვით ისტორიის მიერ და მის ბატონობას დიდი ხნით ვერ უზრუნველყოფს ვერც ბიბლია და ვერც თოფი და ზარბაზანი. ხალხთა გაცნობიერება

და მეცნიერების წინსვლა საფუძველს აცლის მასებზე ბურჟუაზიული
იდეოლოგიის ზემოქმედების ამ უაღრესად აქტიურ ბერკეტს —
რელიგიას. „რელიგია,—წერს მარქსი,—მხოლოდ მოჩვენებითი მზეა,
რომელიც ადამიანის გარშემო მოძრაობს მანამდე, სანამ იგი თავის
თავის გარშემო მოძრაობას დაიწყებდეს"[1].

ასეთია მეტად მოკლედ რელიგიის წარმოშობის საკითხი, მისი
კლასობრივი არსი და მისი შეხედულება დედამიწისა და ორგანული
სამყაროს წარმოქმნის საკითხზე. მაგრამ დედამიწის, ადამიანისა და
საერთოდ, მთელი ხილული სამყაროს წარმოქმნის ეს რელიგიური
ახსნა და ღმერთიდან მათი გამოყვანა, ძველადვე არ აკმაყოფილებდა
მრავალ გამოჩენილ მოაზროვნესა და სწავლულს. მათთვის ისტო-
რიულადაც და ლოგიკურადაც თანდათან ნათელი ხდებოდა მთელი ის
დაუძლეველი წინააღმდეგობა, რასაც ეს რელიგიური „ახსნა"
შეიცავდა.

ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავი არიან პირველი ბერძენი
ფილოსოფოსები, რომელთაც საფუძველი დაუდეს ზოგად, გულუბრ-
ყვილო მატერიალისტურ მოძღვრებას ბუნებასა და ადამიანის
შესახებ. „უძველესი ბერძენი ფილოსოფოსები, — წერს მათ შე-
სახებ ენგელსი,—იმავე დროს ბუნების მკვლევარნიც იყვნენ"[2].

ამ ფილოსოფოსთა მოძღვრების მეცნიერული ხასიათი, უპირ-
ველეს ყოვლისა, იმაში მჟღავნდებოდა, რომ იგი ანტაგონისტურ
წინააღმდეგობაში იმყოფებოდა, საერთოდ, რელიგიასთან და, კერძოდ,
„ბიბლიაში" მოცემულ მის დოგმებთან ქვეყნისა და ადამიანის
წარმოქმნის შესახებ. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ პირველმა ბერძენ-
მა ფილოსოფოსმა თალესმა (ცხოვრობდა დაახლოებით 624—547
წლებში) ფაქტიურად უარყო იმ დროს ჩამოყალიბების პროცესში
მყოფი ბიბლიური დოგმები ღმერთის მიერ დედამიწის შექმნის
შესახებ. თალესის აზრით, ყველა არსებულის საწყისი (სუბსტანცია)
არის წყალი და ყველაფერი, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება,
წყლისაგან წარმოიშვება. ამგვარად, თალესის მიხედვით წყალი,
რომლისაგანაც ყველა სხვა კონკრეტული საგანი ჩნდება, როგორც

---

[1] კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი, 1946 წ., გვ. 6.

[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950 წ., გვ. 190.

მისი სხვაგვარი სახით ყოფნა, თვითონ მუდმივია და არავის მიერ გაჩენილი არაა.

თალესის მომდევნო ფილოსოფოსებიდან ანაქსიმანდრე (610—546 წწ.) ყველა არსებულის პირველ საწყისად (სუბსტანციად), საიდანაც კონკრეტული საგნები და მთელი მრავალფეროვანი ბუნება წარმოიქმნა, სთვლიდა „აპეირონს", ე. ი. განუსაზღვრელსა და თავდაპირველად რომელიმე ნიშნის (თვისების) ჭარბად უქონლობის გამო გარკვეულობას მოკლებულ მატერიას. ანაქსიმენი კი (588—524 წწ) ასეთ დასაბამად ჰაერს აღიარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მილეთელ ფილოსოფოსთა ეს შეხედულება მეტად გულუბრყვილო და მეცნიერულად არა სწორი იყო, იგი მაინც წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, რამდენადაც ის დედამიწისა და მისი საგნების მრავალსახეობის წარმოქმნაში ღმერთის მონაწილეობას უარყოფდა და ქვეყნის გაჩენა მისი მატერიალური საწყისებიდან (წყალი, „აპეირონი", ჰაერი) გამოჰყავდა. ასეთივე გულუბრყვილო მატერიალისტურ და ანტირელიგიურ ხასიათს ატარებდა ამ პირველ ფილოსოფოსთა ანტროპოლოგიური შეხედულებებიც. ასე მაგალითად, ანაქსიმანდრეს აზრით, „ადამიანი თევზიდან წარმოიშვა და წყლიდან ხმელეთზე გამოვიდა"[1]. პსევდოპლუტარქეს გადმოცემით, სხვა ადგილას ანაქსიმანდრე ამბობდა, რომ „თავდაპირველად ადამიანი წარმოიქმნა სხვა სახის ცხოველთაგან".

ღმერთის მიერ ქვეყნის შექმნის იდეა უფრო კატეგორიული ფორმით უარყო ფილოსოფოსმა ჰერაკლიტე ბნელმა (544—475 წწ). „სამყარო, ერთიანი ყოველივესაგან, — წერდა ჰერაკლიტე, — შექმნილი არ არის არცერთი ღმერთისაგან და არცერთი ადამიანისაგან, არამედ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ჰქრება"[2]. ჰერაკლიტეს მიხედვით, კოსმოსის (სამყაროს) პირველსაწყისი (სუბსტანცია) არის ცეცხლი. ამ ცეცხლისაგან, როგორც მისი სახესხვაობა, წარმოიქმნება და შემდეგ მას უბრუნდება ყველა კონკრეტული საგა-

---

1 ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950 წ., გვ. 190.

2 საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950 წ., გვ. 137.

ნი. „ამ ცეცხლს,—ამბობს ჰერაკლიტე,—ენაცვლება ყველაფერი და ცეცხლი — ყველაფერს, როგორც ოქროს ენაცვლება ყველა საქონელი და ოქრო — ყველა საქონელს“.

მეორე ბერძენმა ფილოსოფოსმა ქსენოფანემ (570—466 წწ) გაილაშქრა ღმერთის მიერ ადამიანის შექმნის რელიგიური მოძღვრების წინააღმდეგ. იგი ჭეშმარიტებას ამ ფორმულის შეტრიალებაში, ე. ი. ადამიანის მიერ ღმერთის შექმნაში ხედავდა. ამავე დროს, ქსენოფანეს აზრით, ამ ღმერთებს ადამიანი ჰქმნის თავის ხატად და მსგავსად. „...ხარებს, ცხენებს და ლომებს, — წერდა ქსენოფანე, — რომ ხელები ჰქონდეთ და შეეძლოთ ამ ხელებით ადამიანთა მსგავსად ხატვა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნა, მაშინ ცხენები ღმერთებს გამოხატავდნენ ცხენების მსგავსად, ხარები კი — ხარების მსგავსად...“. სამყაროს წარმოქმნის შესახებ რელიგიურ შეხედულებას უარყოფდა ცნობილი ფილოსოფოსი ანაქსაგორიც (დაახლ. 500—428 წწ). მისი აზრით, არარაობისაგან რაობის გაჩენა არავის არ ძალუძს, ამიტომ არარაობისაგან ღმერთის მიერ ქვეყნის შექმნის რწმენაც უსაფუძვლო და დაუსაბუთებელიაო.

ღმერთის მიერ სამყაროსა და ადამიანის წარმოქმნის რწმენის უარყოფასთან ერთად მუშავდებოდა ახალი შეხედულება ამ პრობლემების გადასაწყვეტად. ასე მაგალითად, ბერძენ ფილოსოფოსსა და ბუნებისმეტყველ ემპედოკლეს აზრით (490—430 წწ), თავდაპირველად გაჩნდნენ არა ორგანიზმები, არამედ მათი ცალკეული და ერთმანეთისაგან დაცილებული ნაწილები, რომელთა გაერთიანებითაც შემდეგ შეიქმნა ორგანიზმები.

გულუბრყვილოა და თანაც ერთგვარად საინტერესო ემპედოკლეს ანთროპოლოგია, მისი შეხედულება ადამიანის გაჩენაზე. ჩვენამდე მოღწეულ ერთ ფრაგმენტში ემპედოკლე ამბობს: დედამიწიდან „აღმოცენდა მრავალი უკისრო თავი, ხელები, რომელთაც მხრები არ ჰქონდათ, მოძრაობდნენ აქეთ-იქით, და თვალები, რომლებიც უშუბლოდ დახეტიალებდნენ“. სივრცეში მოხეტიალე ორგანიზმის ეს ცალკეული ნაწილები სიყვარულის ძალით შემდეგ ერთმანეთს უერთდებიან და, ემპედოკლეს აზრით, ადამიანს ქმნიან. ადამიანის წარმოშობის ასეთი ახსნა მეტად გულუბრყვილო და არა მეცნიერულია, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ემპედოკლეს ანთროპოლოგიიდან განდევნილია ღმერთი და ადამიანის წარმოქმნის საკითხში უარყოფილია მისი დახმარების საჭიროება.

სამყაროზე მატერიალისტურმა მოძღვრებამ, რომელიც თავისი მახვილით რელიგიის წინააღმდეგ იყო მიმართული, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ლევკიპისა და დემოკრიტეს ფილოსოფიაში. დემოკრიტე (დაახლ. 460—370 წწ) ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე და ბუნებისმეტყველი იყო. მან მთელი თავისი სიცოცხლე ბუნების კვლევა-ძიების საქმეში გაატარა და უდიდეს სიხარულს ეძლეოდა, როდესაც ბუნების დიდი წიგნიდან მის რომელსამე კანონზომიერებას ამოიკითხავდა და აღმოაჩენდა. „მე მირჩევნია. — წერდა დემოკრიტე,—ერთი კაუზალური ურთიერთობის აღმოჩენა სპარსეთის მეფედ ყოფნას“-ო.

დემოკრიტემ, ლევკიპთან ერთად, შექმნა ატომისტური თეორია. ამ თეორიის მიხედვით, არაფერი არ არსებობს, გარდა მატერიის სხვადასხვა ფორმის და სიდიდის უმცირესი და განუყოფელი ნაწილაკებისა — ატომებისა[1] და ცარიელი სივრცისა. ამ ცარიელ სივრცეში ეს ატომები მოძრაობის საშუალებით ან უერთდებიან ერთმანეთს და ქმნიან საგნებს, ან სცილდებიან ერთიმეორეს და შლიან მას. თვითონ ატომები კი მუდმივად არსებობენ. ისინი არც ჩნდებიან და არც ისპობიან. ამიტომ მათი რიცხვი ყოველთვის ერთი და იგივე იყო, არის და იქნება. საკითხის ამგვარად დაყენებით დემოკრიტემ უარყო ღმერთის მიერ ქვეყნის შექმნის ლეგენდა, რადგანაც ქვეყანა მისი მრავალსახოვანი საგნებით შედგება მუდმივად არსებული ატომებისაგან, რომელთა არც წარმოქმნა და არც მოსპობა არ ხდება.

დემოკრიტეს ეპოქაში ცხოვრობდა მედიცინის გამოჩენილი ფუძემდებელი ჰიპოკრატე (დაახლ. 460—377 წწ). ჰიპოკრატემ უარყო მაგიური წესებით და ლოცვებით „განკურნების“ ტრადიცია და ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა რეალურ ფაქტორთა და წამალთა ზემოქმედების შესწავლა დააყენა ყურადღების ცენტრში.

ორგანული სამყაროს წარმოშობის საკითხში ანტიკურ მოაზროვნეთაგან უფრო სწორ თვალსაზრისზე იდგა არისტოტელე (384—322 წწ), რომელიც „ერთ-ერთი უღრმესი მოაზროვნე და უმდიდრესი მეცნიერული გენია იყო, — ადამიანი, რომლის მსგავსიც არ

---

1 სიტყვა „ატომი“ წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან „atomos“, რაც ნიშნავს „განუყოფელს“, „გაუპრელს“, „განუცალკევებელს“. მატერიის ასეთ „განუყოფელ“ ნაწილაკად ჰქონდათ წარმოდგენილი ატომი დემოკრიტედან დაწყებული XX საუკუნემდე. ამჟამად ატომს შლიან და ტექნიკაში იყენებენ მის უდიდეს ძალას, ე. წ. შიდაატომურ ენერგიას.

წარმოუქმნია არც ერთ ეპოქას“ (ჰეგელი). თავის „ᲛᲠᲝᲛᲐᲨᲘ“ „ცხოველთა ისტორია“ არისტოტელე წერდა: „ბუნება თანდათან გადადის უსულო საგნებიდან ცხოველებისკენ და ამიტომ ძნელია აღმოვაჩინოთ, სად არის საკუთრივ საზღვარი და სად შუალედობა ამ თანდათანობრივ რიგში (ფორმაში). რადგანაც უსულო საგნებს თან მოჰყვება პირველად მცენარეები, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ერთნი უფრო მეტად ამჟღავნებენ სიცოცხლეს, ვიდრე მეორენი“.

არისტოტელეს საბუნებისმეტყველო გამოკვლევებზე და, კერძოდ, მის იმ წიგნზე, რომლიდანაც ჩვენ ეს ციტატი მოვიყვანეთ, ახალი დროის ცნობილი ბუნებისმეტყველი ჟორჟ კიუვე წერდა: „უყოყმანოდ ეს ერთ-ერთი ყველაზე განსაცვიფრებელი შრომათაგანია, რომელიც ჩვენ ძველმა მსოფლიომ დაგვიტოვა, ერთ-ერთი უდიდესი ძეგლია, რომელიც კი ადამიანის გენიას შეუქმნია საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში“.

ბუნებათმეცნიერების განვითარება უფრო სწრაფად წავიდა წინ ელინისტურ ეპოქაში. არისტოტელეს მოწაფემ თეოფრასტემ (ტირტამოსმა) შემდგომი განვითარება მისცა ბოტანიკას და საფუძველი ჩაუყარა მეცნიერებას ნიადაგმცოდნეობის შესახებ. მათემატიკოსი ჰიპარქე (II საუკუნე) მუშაობდა დედამიწიდან მთვარემდე და მზემდე არსებული მანძილის პრობლემაზე. მათემატიკოსმა არისტარქე სამოსელმა გამოთქვა აზრი დედამიწის ბრუნვის შესახებ თავისი ღერძისა და მზის ირგვლივ და ამით მოგვცა კოპერნიკის ჰელიოცენტრისტული თეორიის წანამძღვრები.

ამგვარად, ელინისტურ ეპოქაში ბერძნული ბუნებათმეცნიერების განვითარებამ შეარყია ბიბლიური დოგმები ზეცის შესახებაც. ამ დოგმებით კი მზე და მთვარე ღმერთისგან იყო გაკეთებული და დედამიწასთან ახლოს ცაზე მიკრული, როგორც მოძრავი და უფასო სანათურები. ეს „სანათურები“ დედამიწის ირგვლივ ტრიალებდნენ მათი შემქმნელი ღმერთის განკარგულებით და უნათებდნენ და უადვილებდნენ ადამიანს ცხოვრების პირობებს.

იერიში მიტანილ იქნა ღმერთის უნივერსალობის წინააღმდეგაც. ცნობილმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ეპიკურემ (342—270 წწ) თავისი მოხერხებული კრიტიკით ღმერთს ჩამოხადა ქველმოქმედების და ყოვლისშემძლეობის საბურველი, რომელშიაც იგი რელიგიის

მსახურთ ჰყავდათ გახვეული. ეპიკურე ამბობდა, რომ, თუ ყველაფერი, როგორც მორწმუნეები ფიქრობენ, ღმერთისაგან იღებს საწყისს, მაშინ ბოროტებაც ღმერთისაგან იღებს საწყისს, და, მაშასადამე, ღმერთი კეთილი არ ყოფილაო. ხოლო, თუ ღმერთი კეთილია და ძას ბოროტების მოსპობა უნდა, მაგრამ ეს არ ძალუძს, მაშინ იგი ყოვლისშემძლე არ ყოფილაო. ერთი სიტყვით, საკითხის ამგვარი დაყენებით, ამ ორი ძირითადი „ატრიბუტიდან" ერთ-ერთს ეპიკურე აუცილებლად ართმევდა ღმერთს.

ღმერთის ყოვლისშემძლეობის ეს კრიტიკა და ქვეყნისა და ადამიანის წარმოქმნაში მისი მონაწილეობის უარყოფა, ხელს უწყობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების შემდგომ ზრდას. ეს მეცნიერება თავისი განვითარების ახალ საფეხურს აღწევს რომში.

რომაელი ბუნებისმეტყველებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პლინიუს უფროსი (23—79 წწ), რომელსაც წაუკითხავს და შეუსწავლია ამ დარგში იმ დროს არსებული ლიტერატურიდან დაახლოებით 2000 წიგნამდე. პლინიუსი თავის წიგნში „ბუნებისმეტყველების ისტორია", რომელიც 37 განყოფილებისაგან შედგება, ეხება ბოტანიკას, ზოოლოგიას, მინერალოგიას, ფიზიკას, ასტრონომიას, გეოლოგიას, გეოგრაფიას, ტექნიკას და, საერთოდ, ცოდნის თითქმის ყველა დარგს. მისი ეს შრომა იმდროინდელ ენციკლოპედიას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, პლინიუსის ეს შრომა დაზღვეული არაა ზოგიერთი აშკარა კურიოზული ხასიათის შეცდომისაგან, როგორიცაა, მაგალითად, ცალთვალა ან ერთფეხიანი ადამიანების არსებობა და სხვა. მიუხედავად წიგნის ამ ნაკლისა, პლინიუსი ზოგჯერ სწორ და გაბედული ხასიათის ანტირელიგიურ დასკვნებამდე მიდის. ასე მაგალითად, იგი წერს, რომ „უკლებლივ ყველასათვის — უკანასკნელი დღის შემდეგ იგივე მდგომარეობა იქმნება, რაც დაბადების პირველ დღემდე იყო. სიკვდილის შემდეგ სული და სხეული ისევე არაფერს არ გრძნობენ, როგორც არ გრძნობდნენ დაბადებამდე. ერთი და იგივე ამაოება გვაიძულებს გავამარადისოთ ჩვენი ხსოვნაც და ვერწმუნოთ კიდეც სიცრუეს საიქიო ცხოვრების შესახებ... ყველაფერი ეს ბავშვური ილუზია და მარადისობისაკენ ადამიანთა ხარბად ბიმსწრაფი ოცნებაა. უფრო ადვილი და საიმედოც არის დავეყრდ-

ნოთ ჩვენს თავს და ცდას, რომლებიც მოწმობენ იმას, თუ რა ვიყავით ჩვენ დაბადებამდე".

საკითხის ამგვარი, მეტად მახვილგონიერი დაყენებით პლინიუსი ერთის დარტყმით ანგრევს და ლეწავს ყოველგვარი რელიგიის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს — საიქიოს არსებობის რწმენას. ერთი სიტყვით, პლინიუსის მიხედვით, არც ერთმა ადამიანმა არ იცის, თუ რა იყო და სად იყო ის დაბადებამდე. ამის შესახებ მას არაფერს არ აძლევს არც მეხსიერება და არც გამოცდილება. ასევე ადამიანს, რომელიც სიკვდილით ჰკარგავს შეგრძნების უნარს და იქცევა ისეთივე უგრძნობ მატერიად, როგორიც ის ოდესღაც დაბადებამდე იყო, არ შეუძლია ისევ ცხოვრება, განცდა და შეგრძნება. ამიტომ საიქიოში ცხოვრების განგრძობის რწმენა მხოლოდ ბავშვური ფანტაზიის ნაყოფიაო.

პლინიუს უფროსის შემდეგ რომის ერთ-ერთი გამოჩენილი ბუნებისმეტყველი და დიდი დიაპაზონის მედიკი იყო გალენი პერგამელი (131—201 წწ). გალენი ბევრს წერდა ორგანიზმის ცალკეული ნაწილების ურთიერთ ფუნქციონალურ შეფარდებასა და შეწყობაზე, და მათ ახსნაში ხშირად მიდიოდა „აბსოლუტური მიზანშეწონილობის" იდეალისტურ გაგებამდე. ასე მაგალითად, გალენი წერდა: „რამდენადაც ადამიანი უგონიერეს ცხოველად ითვლება, იმდენად მისი ხელიც წარმოადგენს ორგანოს, რომელიც გონიერ არსებას შეეფერება; სხვა ცხოველებთან შედარებით იგი იმიტომ კი არ არის გონიერი, რომ მას აქვს ხელები, როგორც ამას ანაქსაგორი ამბობდა, არამედ, იმიტომ აქვს მას ხელები, რომ იგი ყველაზე გონიერია, როგორც ეს სწორად დაადგინა არისტოტელემ".

რა თქმა უნდა, გალენი და მისი მასწავლებლებიც სცდებიან საკითხის ამგვარად გადაწყვეტაში. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა საკითხის ეს „გადაწყვეტა", არამედ ის, რომ თვით ასეთი ხასიათის საკითხებს ანტიკური ეპოქა აყენებდა.

ეს ანტიკური მონათმფლობელური ეპოქა შუა საუკუნეებში ფეოდალურმა ეპოქამ შესცვალა. ფეოდალური ეპოქა, მართალია, წინ იდგა საწარმოო ძალების განვითარების მხრივ მონათმფლობელურ ფორმაციასთან შედარებით, მაგრამ ამავე დროს ის თავისი პირველი ნახევრის მანძილზე უკან იდგა მეცნიერების განვითარების მხრივ.

ანტიკური ეპოქის მეცნიერების მრავალი მინაღწევი საშუალო საუკუნეებში დავიწყებას მიეცა და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში ერთ ხანს გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს სქოლასტიკამ და ეკლესიურმა დოგმებმა. ეს იყო პერიოდი, როდესაც ცდით შემოწმებული ცოდნისა და გონივრული დასკვნების ადგილი ბრმა რწმენამ დაიჭირა. ამ დროს უფრო მტკიცედ შევიდა ძალაში წინათ, ორი ეპოქის ზღურბლზე ნეტარი ავგუსტინეს მიერ (354—430 წწ) გამოცხადებული პრინციპი: „credo quia absurdum" („მწამს იმიტომ, რომ აბსურდია") და „ავტორიტეტი საღვთო წიგნებისა მაღლა სდგას ადამიანის გონების ყოველგვარ უნარზე".

ეს პრინციპები, სქოლასტიკის დებულებასთან ერთად — „რწმენა წინ უსწრებს გააზრებას", საფუძვლად დაედო გონებრივ სფეროში მოღვაწეობის მთელ საქმიანობას. ამის გამო, როგორც ენგელსი წერს: „შუა საუკუნეების მსოფლმხედველობა უპირატესად თეოლოგიური (ე. ი. ღვთისმეტყველური — მ. ა.) მსოფლმხედველობა იყო... ამასთან ერთად, სამღვდელოება იყო ერთადერთი განათლებული კლასი. აქედან თავისთავად გამომდინარეობდა, რომ ეკლესიის დოგმა გადაქცეული იყო გამოსავალ მომენტად და საფუძვლად ყოველგვარი აზროვნებისა. იურისპრუდენცია, ბუნებათმცოდნეობა, ფილოსოფია — მთელი შინაარსი ამ მეცნიერებისა ეკლესიის მოძღვრებასთან შესაბამისობაში მოჰყავდათ"[1].

ერთი სიტყვით, საშუალო საუკუნეებში ანტიკური მეცნიერებისა და კულტურის განვითარება, რომელიც რომისა და საბერძნეთის მონათმფლობელური დემოკრატიის არსებობის დროს იყო შექმნილი, შეჩერდა. შედარებით თავისუფალ ანტიკურ აზროვნებას, რომლისთვისაც პრინციპების განსაზღვრას და მიმართულების მიცემას ასე ძალუმად ვერ ახერხებდნენ წარმართული რელიგიები, დროებითი საზღვარი დაედო და საშუალო საუკუნეების ბნელეთში შთაინთქა.

ამ პერიოდშიო, წერს იტალიური ლიტერატურის ისტორიკოსი ადოლფო ბარტოლი, „თითქოს გონება სუდარაში გაეხვია საფლავში ჩასასვლელად, სადაც იგი მრავალ საუკუნეს დარჩა. გონების სხივი ჩაქრა. ქვეყანამ თავისი მხიარულებით, ბუნებამ თავისი სიმშვენიერით შესწყვიტა ადამიანის გულთან ბაასი. სულის

---

1 К. Маркс. и Ф. Энгельс, соч. т. XVI, ч. I, стр. 295.

უმაღლესი სწრაფვა ცოდვად იქნა მიჩნეული. ზეცა ჩამოწვა დედამიწაზე და ახრჩობდა მას თავისი საშინელი ჩახვევნით“.

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება შუა საუკუნეების ისტორიის მეორე პერიოდი, პერიოდი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფეოდალიზმის აყვავებისა, ხელოსნობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებისა. ამ პერიოდში შედარებით ვითარდება ვაჭრობა და უფრო მაღალ დონეს აღწევს საწარმოო ძალებიც ასეთ ვითარებაში თვითონ ცხოვრების პირობები მოითხოვდა კულტურული დონის ამაღლებას და ამ გარემოებათა გამო ისახება კიდეც ერთგვარი, თავად უმნიშვნელო, მაგრამ თანდათან მზარდი გარდატეხა ამ დარგში.

რადგან „შუასაუკუნეობრიობა სრულიად პრიმიტიული მდგომარეობიდან წარმოსდგა. მან აღგავა პირისაგან მიწისა ძველი ცივილიზაცია...“[1], ახლა საჭირო ხდება კულტურის დარგში ყველაფრის თავიდან დაწყება. მოქმედებას იწყებენ სკოლები, სადაც წერა-კითხვას, ლოცვებს, ეკლესიურ დოგმებს და სხვ., ასწავლიან. მალე ჩნდებიან უნივერსიტეტებიც.

ეკლესია ცდილობდა სქოლასტიკური დოგმების დასანერგად გამოეყენებინა ეს ახლად წარმოქმნილი უნივერსიტეტები და ხშირად კიდევაც აღწევდა ამას. მაგრამ ადრევე გამოჩნდნენ ცალკეული სწავლულნი, რომელნიც არ იზიარებდნენ ეკლესიის საყოველთაოდ ცნობილ ამ დოგმებს და ცდიდან მიღებული ცოდნისა და, საერთოდ, გონივრული დასკვნების პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ მას. ასეთ სწავლულთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა და ბრძოლაც დოგმატიკოსებსა და ამ პროგრესულად მოაზროვნე პირთა შორის უფრო და უფრო მწვავდებოდა და მძაფრდებოდა.

ასეთ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა XII საუკუნეში მცხოვრები პეტრე აბელიარი. პ. აბელიარმა გაილაშქრა ანსლემ კენტერბერელის (1033—1109 წწ) მიერ დამკვიდრებული დოგმის წინააღმდეგ, რომ „რწმენა წინ უსწრებს გააზრებას“. აბელიარი წერდა, რომ „რწმენა შეიძლება მხოლოდ ისეთი ჭეშმარიტების, რომელიც უკვე გასაგები გახდა გონებისათვის“. „დაეჭვების წყალობით, — წერდა

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. VIII, стр. 128.

შემდეგ იგი, — ჩვენ მივდივართ გამოკვლევამდე, ხოლო გამოკვლევის წყალობით აღვიქვამთ ჭეშმარიტებას“.

ამგვარად, აბელიარმა უარყო საეკლესიო დოგმები, რომელთა დამტკიცება არც გონებით და არც ცდით (გამოკვლეეით) არ ხერხდებოდა და, რომლებიც დამყარებული იყვნენ მხოლოდ ბრმა რწმენაზე. აბელიარისათვისო, წერდა ენგელსი, მთავარია არა „რწმენა, რომ გავიგოთ“, არამედ „გაგება, რომ ვირწმუნოთ“[1]. აბელიარის მიერ დაწყებული საეკლესიო დოგმების კრიტიკა განაგრძო ინგლისელმა ფილოსოფოსმა როჯერ ბეკონმა (1214—1294 წწ), რომელმაც სინამდვილის გაგებისათვის პირველ ადგილზე ცდის საკითხი დააყენა.

ცდის მნიშვნელობას ბუნების შესწავლის, მეცნიერების წინსვლისა და რელიგიური დოგმების უარყოფის საქმეში აგრეთვე ხაზი გაუსვა დიდმა იტალიელმა მეცნიერმა ლეონარდო და ვინჩიმ (1452—1599 წწ).

„მთელი ფილოსოფია, — წერდა იგი, — დაწერილია იმ გრანდიოზულ წიგნში, რომელიც მუდმივად გახსნილი დევს ჩვენს წინაშე, მე ვლაპარაკობ სამყაროზე, მაგრამ იმისათვის, რომ გავიგოთ ის, საჭიროა წინასწარ შევისწავლოთ მისი ენა და საწერი ნიშნები. იგი დაწერილია მათემატიკის ენაზე და მისი ეს საწერი ნიშნებია — სამკუთხედი, წრეხაზი და სხვა გეომეტრიული ფიგურები, რომელთა გამოცნობის გარეშე არ შეიძლება არც ერთი სიტყვის გაგება; უამისოდ კი შეიძლება მხოლოდ უაზროდ ვიხეტიალოთ ლაბირინთში“.

ლეონარდოს აზრით, ბუნების შესწავლა იმიტომ ხერხდება, რომ თვით ეს „ბუნება არ არღვევს თავის კანონებს“. ბუნების ამ შესწავლისა და ცოდნისათვის კი ცდას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც „ცოდნა, — წერდა იგი, — ცდის შვილია“. მაგრამ ცდისათვის ამ მნიშვნელობის მიკუთვნებით ლეონარდო ამ ცდის მონა როდი ხდება. მან კარგად იცის, რომ ცდა ყოველთვის კონკრეტულია და ვერ იტევს და ვერ იძლევა ცდის ობიექტად აღებული საგნის და

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. X, стр. 300.

მით უფრო მთელი ბუნების მრავალსახოვან და მრავალკუთხოვან კანონზომიერებას მთელი მისი განშტოებებით და სირთულით. ლეონარდოს გაგებით, ცდით მიღებული შედეგები მოითხოვენ გონების მიერ დამუშავებას და გააზრებას, რის შემდეგაც ხდება გასაგები საყოველთაო კავშირ-ურთიერთობის შემადგენელ ნაწილად და მონაწილედ მათი ყოფნა, მათი კავშირი და მათი მნიშვნელობა.

ერთი სიტყვით, ლეონარდოს თავისი დროისათვის საკვირველი სიღრმით აქვს გაგებული მეცნიერებისათვის თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობისა და ურთიერთობის საკითხის მნიშვნელობა, თეორიისათვის წამყვანი როლის მიჩენით ამ ურთიერთობაში. აი მისი სიტყვებიც: „ვინც გატაცებულია პრაქტიკით და უგულებელყოფს თეორიას, იმ მეზღვაურს ჰგავს, რომელიც მოგზაურობას იწყებს ესაზოდ და უკომპასოდ. მან არასოდეს არ იცის—საით მიცურავს“. „მეცნიერება — მეთაურია, პრაქტიკა — ჯარისკაცები“, — დაასკვნის ბოლოს ლეონარდო.

შუა საუკუნეების მეცნიერების ისტორიაში ახალი ხანა მაინც დიდი პოლონელი მეცნიერის ნიკოლოზ კოპერნიკის (1473—1543 წწ) შრომის — „ციურ სხეულთა მოქცევის შესახებ“ გამოქვეყნებით იწყება. ამ შრომითო, წერდა ენგელსი, „...იწყება ბუნების კვლევის თეოლოგიისაგან განთავისუფლების თარიღი“[1]. კოპერნიკი 40 წელიწადი ებრძოდა ამ თემას, ვიდრე იგი საბოლოოდ დაიმორჩილებდა მასალას და მწყობრ მეცნიერულ სისტემად ჩამოაყალიბებდა მას.

ამ შრომაშია ჩამოყალიბებული კოპერნიკის ცნობილი ჰელიოცენტრისტული თეორია, რომლის ერთგვარი თეორიული წინამძღვრები ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვამდე შექმნეს ბერძნებმა (არისტარქე სამოსელი). მაგრამ მაშინ იგი უმთავრესად თეორიის სფეროში იყო გააზრებული და მათემატიკური დასაბუთება და სხვა მამტკიცებელი არგუმენტები მისი სუსტი იყო. ახლა კოპერნიკმა რთული მათემატიკური ფორმულებით და გაანგარიშებით შესძლო მისთვის უფრო დახვეწილი მეცნიერული სახის მიცემა.

კოპერნიკის მიხედვით დედამიწა უძრავი და ამავე დროს სამყაროს ცენტრი როდია, არამედ იგი თავის ღერძის ირგვლივაც მოძრაობს და, სხვა პლანეტებთან ერთად, მზის გარშემოც. ეს მზე კი,

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950 წ., გვ. 9.

როგორც ჩვენი სამყაროს ყველაზე უდიდესი სხეული, მის ცენტრს წარმოადგენს. კოპერნიკმა კარგად იცოდა, რომ მისი ეს თეორია ანგრევდა და აცამტვერებდა ზეცის მთელ ბიბლიურ შენობას, რომლის მიხედვითაც მზე (ბერძნულად „ჰელიოს“) კი არ იყო სამყაროს ცენტრი, არამედ უძრავი დედამიწა.

გეოცენტრიზმის ჰელიოცენტრიზმით შეცვლას არ შეეძლო არ გამოეწვია ეკლესიის თავდასხმა კოპერნიკზე, რომელმაც ზეციდან დაიწყო რელიგიის დოგმების მოშლა. ამიტომ კოპერნიკი აყოვნებდა მზის სისტემის შესახებ დაწერილი წიგნის მზის სინათლეზე გამოტანას და გამოცემას. ბოლოს 70 წლის მოხუცმა მეცნიერმა მაინც გადაწყვიტა თავისი დიდი გონებისა და 40 წლის დაძაბული შრომის ნაყოფის დაბეჭდვა.

ამ წიგნმა, რომელიც მისი ავტორის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში გამოვიდა, სიკვდილის სარეცელზე მოუსწრო კოპერნიკს და საფლავში მიმავალი მეცნიერის სახელი უკვდავებას აზიარა. კოპერნიკი თავის ამ შრომაში წერდა, რომ შეიძლება გამოჩნდნენ ყბედები, რომელთაც მათემატიკური მეცნიერებისა არაფერი გაეგებათ, და მოისურვონ ერთი ხელის მოსმით უარყონ ჩემი დებულებები. ანდა სასაცილოდაც აიგდონ ისინი. ასეთ უვიცებს მე ყურადღებას არ მივაქცევ. „მათემატიკური საგნები იწერება მხოლოდ მათემატიკოსებისათვის“. მართლაც და, როდესაც ლუთერანული ეკლესიის მამამთავარმა მარტინ ლუთერმა (1483—1546 წწ) შეიტყო კოპერნიკის მტკიცება მზის იოგვლივ დედამიწის მოძრაობის შესახებ, გაბრაზებულმა წარმოთქვა: „ამ სულელს უნდა გადაატრიალოს ასტრონომიის მთელი ხელოვნება, მაგრამ, როგორც საღვთო წიგნებში სწერია, იისუს ნავინმა მზის უბრძანა გაჩერება და არა დედამიწას“.

კოპერნიკს სიკვდილმა „უშველა“ და ინკვიზიციამ ვერ მოასწრო კოცონზე მისი დაწვა, სამაგიეროდ, ამ ინკვიზიციამ შური იძია მის წიგნებსა და მის მოწაფეებზე და ცეცხლში დაფერფლა ისინი. მაგრამ ამით მან ვერ შეძლო შეუძლებელი — ვერც დედამიწის ბრუნვის შეჩერება, ვერც მზისა და სამყაროს დაპატარავება.

კოპერნიკის ამ გენიალურ აღმოჩენას უშიშრად გაჰყვნენ მისი მოწაფეები ცეცხლსა და წამებაში სიკვდილის თაღებქვეშ მიმავალი გზით. მათ ეს მოძღვრება დაიცვეს და განავითარეს საკუთარი სიცოცხლის დაღუპვის ფასად. ჭეშმარიტად, ესენი იყვნენ დიდი

მეცნიერნი და დიდი მოქალაქენი, აზრისა და უტეხი ნებისყოფის ტიტანები.

პოლონელი კოპერნიკის ამ წამებულ მოწაფეთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია იტალიელი მეცნიერი ჯორდანო ბრუნო (1548—1600 წწ). ბრუნო დაიბადა კოპერნიკის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ, სამხრეთ იტალიაში. მან თავად სასულიერო განათლება მიიღო და ამავე ხაზით დაიწყო სამსახური. ბრუნო მალე დარწმუნდა ეკლესიის დოგმების სიყალბეში და სასულიერო პირთა გათახსირებაში. ამავე ხანებში იგი გაეცნო კოპერნიკის მოძღვრებას და მისი ერთგული მიმდევარი გახდა.

ბრუნო ვერ მალავდა, ვერც კოპერნიკისადმი ამ თანაგრძნობას და ვერც თავისი საკუთარი ოფიციალური მოვალეობისაგან განდგომას. ამის გამო იგი აითვალისწუნეს და ბრუნო იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო. იგი სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ჟენევაში, პარიზში, ლონდონში, ფრანკფურტში და სხვაგან.

თავის შრომებში ბრუნო ეხებოდა ზოგად საბუნებისმეტყველო საკითხებს და წერდა, რომ „ცხოველები და მცენარეები ბუნების წარმონაქმი ცოცხალი არსებანი არიან, და თვით ბუნება კი... სხვა არაფერია, თუ არა ღმერთი საგნებში". ეს პანთეისტური მოძღვრება ღმერთის ბუნებასთან გაიგივების შესახებ XVI—XVII საუკუნეებში მატერიალისტური მოძღვრების გადმოცემის შენიღბული ფორმა იყო.

კოპერნიკის მოძღვრებიდან გამოსვლით ბრუნო ანვითარებდა სამყაროს უსასრულობის იდეას. ამ საკითხზე „დიალოგებში" იგი წერდა: სამყარო „არავითარი სახით არ შეიძლება იყოს გარემოცული და ამიტომ განუსაზღვრელი და უსასრულოა". „სამყარო არ იბადება,—წერს შემდეგ ბრუნო,—რადგანაც არ არის სხვაგვარი ყოფნა, რომელიც მას სურდეს და ელოდეს, ვინაიდან იგი ფლობს ყველა ყოფიერებას. იგი არ ისპობა, რადგანაც არ არის სხვა საგანი, რომლადაც მას შეეძლოს გარდაქმნა, ვინაიდან იგი წარმოადგენს ყოველგვარ საგანს. მას არ შეუძლია დაპატარავება ან გადიდება, ვინაიდან იგი უსასრულოა". სამყაროს უსაზღვროების ამ თეორიიდან ბრუნო აკეთებდა დასკვნას სხვა პლანეტებზეც სიცოცხლისა და ცხოვრების არსებობის შესაძლებლობის შესახებ.

თავისი ამ მოძღვრებით სამყაროს წარმოუქმნელობისა და მოუსპობლობის, მისი უსასრულობისა და მის სხვა პლანეტებზედაც

სიცოცხლის არსებობის შესახებ ჯორდანო ბრუნომ გონებით დანთებულ ცეცხლს მისცა „ბიბლიის“ არგუმენტთა მთელი არსენალი. სამყაროს წარმოუქმნელობის და უსასრულობის მტკიცებით ბრუნომ მოხსნა ღმერთის მიერ ქვეყნის შექმნის ბიბლიური „არგუმენტი“, სამყაროს მოუსპობლობის მტკიცებით—ღმერთის მიერ ქვეყნის მოსპობის დამუქრების „არგუმენტი“[1]. ხოლო სხვა პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის დაშვებით — ღმერთის მიერ სიცოცხლის გაჩენისა და ადამიანის შექმნის „არგუმენტი“.

ამგვარად, ბრუნომ კოპერნიკის მოძღვრების შემდგომი განვითარებით დალეწა და დაამსხვრია ყველა ჯურის რელიგიის საბუთები ზეცისა და სამყაროს შესახებ. ჯერ კიდევ წინა თაობათა ათეისტების მიერ მიწიდან განდევნილ ღმერთებს, ბრუნომ ახლა ზეცაშიაც წაართვა თავშესაფარი. ამით მან რელიგიისა და თეიზმის კრიტიკა უფრო სრულყოფილი გახადა.

კათოლიკური ეკლესია ვერ ურიგდებოდა ბრუნოს მიერ მეცნიერული არგუმენტებით იერიშის მიტანას მის ძირითად საფუძვლებზე. საჭირო იყო ამ დროს გერმანიაში (ფრანკფურტში) მცხოვრები ბრუნოს (სადაც ის თავისი ახალი წიგნების დაბეჭდვას ამზადებდა) იტალიაში მოყვანა და უსისხლოდ დასჯა (ე. ი. დაწვა). 1591 წელს ბრუნოს ფრანკფურტში წერილი მისწერა ვენეციელმა სენიორმა ჯიოვან მოჩენიგომ, რომელიც ამ დროს უკვე სახელგანთქმულ პროფესორს სთხოვდა ვენეციაში ჩასვლას და მასწავლებლობის დაწყებას მის კარზე. ჯორდანო ბრუნო წამოეგო ამ ანკესზე, ჩავიდა ვენეციაში, სადაც იგი შეიპყრეს და ინკვიზიციას გადასცეს. ინკვიზიციამ მას რამდენჯერმე მოუწყო დაკითხვა, რომლის დროსაც ბრუნოს მამაცურად ეჭირა თავი და მტკიცედ იცავდა თავის დებულებებს. მეოთხე დაკითხვაზე (1592 წ. 2 ივნისს) მან განაცხადა:

---

1 ეკლესიამ შექმნა თავისი „მეცნიერების“ ქვედარგი — მოძღვრება ქვეყნის მოსპობის, ქვეყნის დასასრულის შესახებ (ესხატოლოგია), რომლის მიხედვითაც, თუ ადამიანები არ დაიცავდნენ რელიგიური მოძღვრების ყველა დოგმასა და წესს, გაბრაზებული ღმერთი მოსპობდა ქვეყანას. ამავე დროს „ქვეყნის ეს მოსპობა“ შეიძლებოდა მომხდარიყო ყოველ წუთსა და ყოველ წამს. ამ მუქარითა და შიშით ესხატოლოგიას განუწყვეტელ თრთოლვასა და ცახცახში ჰყავდა მორწმუნენი.

„მე ვფიქრობ, რომ ჩემს წიგნებში შეიძლება მოიძებნოს კათოლიკური რწმენისადმი მრავალი მტრული დებულება“-ო.

8 წელიწადს სტანჯავდნენ და აწამებდნენ ბრუნოს ციხეში ეკლესიის მამები. ისინი მას პირდებოდნენ სასჯელის შემსუბუქებას ან მისგან სრულიად განთავისუფლებას, თუ კი ბრუნო ხელს აიღებდა თავის მოძღვრებაზე, გამოაცხადებდა მას შეცდომად, ხოლო ეკლესიის დოგმებს — ჭეშმარიტებად. წინააღმდეგ შემთხვევაში მას კოცონზე დაწვით ემუქრებოდნენ. მაგრამ მეცნიერების ამ მამაც გენერალს შეუძლებლად მიაჩნდა ჭეშმარიტებაზე დამყარებული თავისი საკუთარი რწმენის ღალატი და ყოველთვის ისტუმრებდა მათ ლაკონიური პასუხით—მე უარსაყოფი არაფერი მაქვსო.

რა შორს იყო წასული ჯორდანო ბრუნო თავისი ეპოქის ფილისტერებთან შედარებით, რომელნიც საერთო საქმისათვის, თუ მასში მათი კერძო ინტერესები არ იყო ჩამარხული, თითს თითზე არ დაადებდნენ. ჯორდანო ბრუნო კი ცეცხლში იგდებდა თავს საერთო პრინციპისა და ჭეშმარიტებისათვის, რომელთანაც მას საკუთარი და მხოლოდ პირადი ინტერესი ისევე ააცლოვებდა და აშორებდა, როგორც ყველა სხვა დანარჩენს.

როდესაც ინკვიზიციამ ვერც წამებითა და ვერც მუქარით ვერ დაიყოლია ბრუნო საკუთარი მოძღვრებისა და რწმენის უარყოფაზე, მაშინ ცეცხლს მიანდეს მისი მოდრეკა. 1600 წლის 8 თებერვალს ცხრა გენერალური ინკვიზიტორის ხელმოწერით მას და მის წიგნებს კოცონზე დაწვის განაჩენი გამოუტანეს. იმავე წლის 17 თებერვალს ბრუნო ეკლესიის ეზოში მიიყვანეს ანთებული სანთლით ხელში და ყელზე მოდებული თოკით. ჯალათმა აქ იგი კარდინალების წინაშე წამოაჩოქა, რომლებმაც ბრუნოს შიშითა და ცახცახით წაუკითხეს დაწვის განაჩენი. განაჩენის მოსმენის შემდეგ ბრუნო ფეხზე წამოდგა და წარმოთქვა თავისი ცნობილი ფრაზა: „თქვენ უფრო მეტად გაშინებთ ამ განაჩენის წაკითხვა, ვიდრე მე მისი მოსმენა“-ო.

ამის შემდეგ ბრუნო გადაიყვანეს პომპეუსის ანტიკური თეატრის ნანგრევების გვერდით მდებარე ყვავილთა მოედანზე მომზადებულ კოცონთან. გააშიშვლეს, ინკვიზიციის 1557 წლის 14 მარტის დეკრეტის თანახმად ენა დაუგლიჯეს გახურებული შანთით, კოცონზე ალმართულ ბოძზე მიაკრეს და ცოცხლად დაწვეს.

ასე წამებით დაიფერფლა ცეცხლში ის ტვინი, რომელმაც სამყაროს უსასრულობის თეორია შექმნა და ასტრობიოლოგიის პირველი კონტურები მოხაზა. მეცნიერების შემდგომმა წინსვლამ დაადასტურა და განავითარა ჯორდანო ბრუნოს შეხედულებები. გამოჩენილმა საბჭოთა ასტრონომმა ა. ტიხოვმა შესძლო ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშნის დადგენა მარსზე და დედამიწაზე არსებულ მცენარეთა შორის, და ამით საფუძველი ჩაუყარა მეცნიერების ახალ დარგს — ასტრობოტანიკას.

ბრუნოს შეხედულება სამყაროს უსაზღვროების შესახებ დღეს საყოველთაოდ აღიარებულია საბჭოთა ასტრონომიაში. საბჭოთა ასტრონომების მიერ 1947 წელს ჩატარებული გამოკვლევით, მარტო ჩვენს გალაქტიკაში, ე. ი. ვარსკვლავთა იმ სისტემაში, რომელშიაც ჩვენი დედამიწა შედის, ირიცხება დაახლოებით 150 მილიარდი ვარსკვლავი, და მისი განივი უდრის 80.000 სინათლის წელს[1]. ის მზე, რომელიც „ბიბლიის" მიხედვით ღმერთმა გააკეთა და ცაზე მიაკრა როგორც პატარა, კეცისოდენა ნათურა, ნამდვილად თავისი მოცულობით 1.301.100-ჯერ მეტია დედამიწაზე. ამავე დროს ჩვენს გალაქტიკაში მყოფი ზოგიერთი ვარსკვლავი 100-ჯერ დიდია მზეზე, ხოლო ყველაზე პატარა კი — ორჯერ ნაკლები დედამიწაზე.

მაგრამ სამყარო რომ ამ 150 მილიარდი ვარსკვლავისაგან შედგებოდეს მხოლოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მაინც განსაზღვრული ყოფილა. როგორც ვთქვით, ამ 150 მილიარდი ვარსკვლავისაგან მხოლოდ ჩვენი გალაქტიკა შედგება. მაგრამ 1924 წელს აღმოჩენილ იქნა, რომ ჩვენი გალაქტიკის გარდა, არსებობენ სხვა გალაქტიკებიც. ამჟამად აღმოჩენილ ამ გალაქტიკათა რიცხვი ას მილიონს უდრის, რომელთაგან ყველაზე შორეული გალაქტიკა ჩვენგან 500 მილიონი სინათლის წლით არის დაშორებული, და, რა თქმა უნდა, იმის იქით კიდევ სხვა გალაქტიკები იქნება, და ასე შემდეგ, და ასე დაუსრულებლად.

კოპერნიკის და ბრუნოს შეხედულება ჩვენი დედამიწის მზის ირგვლივ მოძრაობის შესახებ იმდენად დაზუსტდა, რომ დაახლოებით შესაძლებელი გახდა მისი სიჩქარისა და მის მიერ წლის განმავ-

---

[1] როგორც ცნობილია, სინათლის სხივი წამში გადის 300.000 კილომეტრს. სინათლის წელი ეწოდება იმ მანძილს, რასაც ამ სიჩქარით სხივი გაივლის ერთი წლის განმავლობაში, ე. ი. დაახლოებით ცხრანახევარ ბილიონ კილომეტრს.

ლობაში განვლილი მანძილის გაზომვაც. ეს სიჩქარე საათში უდრის დაახლოებით 100.000 კილომეტრს, ხოლო წლის განმავლობაში განვლილი მანძილი — 946 მილიონ კილომეტრს.

თავისი პრინციპით სწორი მეცნიერული დიაგნოზების დადგენისა და თავისი მოწამებრივი სიკვდილის გამო ჯორდანო ბრუნოს სახელი უკვდავი შეიქნა მეცნიერებისა და მომავალი თაობებისათვის. ეკლესია კი დღემდე განაგრძობს ბრძოლას ბრუნოს ამ მოძღვრების წინააღმდეგ. 1914 წლის დადგენილებით ეკლესიამ კვლავ დაადასტურა თავისი ძველი „ბიბლიური“ დოგმა, როცა თავის დადგენილებაში ჩასწერა, რომ „დედამიწა უძრავია, მზე კი მოძრაობს“-ო. ხოლო ბრუნოს წიგნები ამჟამადაც ისევ აკრძალული აქვს რომის პაპს. მაგრამ ეკლესიას რა ბოროტების ჩადენაც შეეძლო ბრუნოს მიმართ, ის უკვე გააკეთა მან 1600 წლის 17 თებერვალს, ახლა მას ბრუნოს მეორედ დაწვა აღარ შეუძლია, ხოლო ბრუნოს ხსოვნისა და პატივისცემის აღმოფხვრა ხალხის გულიდან და მეცნიერებიდან მასზე არაა დამოკიდებული.

1889 წელს, ყვავილთა მოედანზე, ე. ი. იქ, სადაც თითქმის სამი საუკუნის წინათ ბრუნო ცეცხლს მისცეს, მადლიერმა ადამიანებმა ნებაყოფლობით საერთაშორისო მასშტაბით შეგროვილი ფულით ძეგლი აუგეს მას. ნიჭიერმა მოქანდაკე ეტორე ფერარიმ დამწვარი ბრუნო 289 წლის შემდეგ კვლავ „გააცოცხლა“ ქვაში. ხოლო 1950 წელს გაზეთ „უნიტაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში — „ბრუნო და ჩვენ“ იტალიის კომპარტიის ბელადი ტოლიატი წერდა: ჩვენ პატივს ვცემთ ბრუნოს ხსოვნას, რადგანაც „იგი იყო ჩვენი ერთ-ერთი წინამორბედი“-ო.

ბრუნოს გარდა, ეკლესიას სხვა მრავალი მეცნიერიც ჩაუგდია ცეცხლში შეშასავით. მაგრამ ამით, რა თქმა უნდა, მან ვერ შეძლო მეცნიერების განვითარების შეჩერება. ამ დროს უკვე თანდათან ძლიერდებოდა წინათვე დაწყებული აღორძინების (რენესანსის) პერიოდი, რომელიც ახალსა და თანდათან მზარდ ეკონომიურ და სოციალურ საფუძვლებს ეყრდნობოდა.

სწორედ კაპიტალისტური წარმოების ამ დასაწყისთან და მის შემდგომ ზრდასთან დაკავშირებით იწყება მეცნიერებისა და კულტურის ეს მძლავრი აღმავლობა. ამ აღმავლობამ (რენესანსმა) დაგლიჯა სქოლასტიკის არტახები და შუა საუკუნეების ბნელეთში

ახალი სხივსატყორცნი ფანჯარა გამოჭრა. რენესანსი თანდათან უფრო ძალუმად ფართოვდებოდა, ფანტავდა წყვდიადსა და ბიძგს აძლევდა ბუნების კვლევასა და მეცნიერების განვითარებას.

„ბუნების თანამედროვე კვლევა, ისე როგორც მთელი ახალი ისტორია, — წერდა ენგელსი, — იმ მძლავრი ეპოქიდან თარიღდება, რომელსაც ჩვენ, გერმანელები, იმ დროს ჩვენს თავს დამტყდარი ნაციონალური უბედურების გამო, რეფორმაციას ვუწოდებთ, ფრანგები — რენესანსს, ხოლო იტალიელები ჩინკვეჩენტოს უწოდებენ, და რომელსაც ვერც ერთი ეს სახელწოდება ამომწურავად ვერ გამოხატავს. ეს არის ის ეპოქა, რომელიც მე-15 საუკუნის მეორე ნახევრით იწყება“[1]. „ეს იყო, — წერს შემდეგ ენგელსი, — უდიდესი პროგრესული გადატრიალება, როგორიც კი მანამდე კაცობრიობას განუცდია, ეს ისეთი დრო იყო, რომელსაც ბუმბერაზები ესაჭიროებოდა და რომელმაც ბუმბერაზები წარმოშვა, ბუმბერაზები აზრის სიძლიერით, გზნებითა და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით“[2]. ამ ბუმბერაზთა რიცხვს ეკუთვნიან სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ლეონარდო და ვინჩი, კოპერნიკი, ბრუნო და სხვები, რომელთა სახელი ამ ეპოქაში ათეულობით ითვლებოდა.

ამ პერიოდში მოწინავე მეცნიერებაში ღრმად დაინერგა ის რწმენა, რომ ისეთი რთული საკითხები, როგორიც იყო დედამიწისა და მთელი ორგანული სამყაროს წარმოქმნა, ვერ გადაწყდებოდა ძველი მეთოდებით, ძველი გზით, როდესაც საწერ-კალმითა და ქაღალდით გულმოდგინედ მომარაგებული რომელიმე სწავლული სამუშაო მაგიდას მიუჯდებოდა მყუდრო კაბინეტში და ამა თუ იმ საკითხზე თავისი ფანტაზიისა და ვარაუდის ქაღალდზე გადმოტანას იწყებდა. ნამდვილი მეცნიერება მტკიცებითი არგუმენტაციის გარეშე შეუძლებელია, მტკიცება კი ფაქტებს საჭიროებს. ხოლო ფაქტიური მასალა დედამიწისა და ადამიანის წარმოქმნის შესახებ არ შეიძლებოდა კაბინეტში მოძებნილიყო. კაბინეტში შეიძლება „აღმოჩენების“ მოხდენა, ლამაზი თეორიების „დადგენა“, ურთულესი საკითხების „გადაწყვეტა“, მაგრამ ისევ და ისევ ქაღალდზე და ისევ ფანტაზიის ნავარდით. შემდეგ, სინამდვილესთან შეხებისას,

---

1 ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950 წ., გვ. 7.

2 იქვე, გვ. 8.

აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ კაბინეტში ფანტაზიით ნაშობი „აღმოჩენა“ ნამდვილად აღმოუჩენელია, „დადგენილი“—დაუდგენელია და „გადაწყვეტილი“ — ისევ გადასაწყვეტი.

ასეთი იოლი გზით და მეთოდით, მსგავსად ჯონ ლაიტფუგისა, მხოლოდ კურიოზების დადგენა შეიძლება, რომლის „გამოანგარიშებითაც“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანი ღმერთმა შექმნა ძველი წელთაღრიცხვით 5004 წლის 23 ოქტომბერს, დილის 9 საათზე.

მოწინავე სწავლულთათვის ნათელი გახდა, რომ ვისაც ნამდვილად სურს მეცნიერების გოლგოთაზე ასვლა და ჭეშმარიტების მიღწევა, მან საამისოდ უნდა აირჩიოს ძნელად სავალი საცალფეხო გზა, რომლის გადალახვა დიდ ნიჭს, ენერგიას და მოთმინებას მოითხოვს. ამ გზით სიარულის დროსაც ზოგჯერ შესაძლებელია იმედის გაცრუება და მწვერვალთან მიახლოვებისას ფეხის ასხლეტა და ისევ დაბლა დაქანება. მაგრამ საჭიროა ისევ და ისევ ძალ-ღონის მოკრეფა. დაშვებული შეცდომების გათვალისწინება და კვლავ იერიშზე წასვლა, ვიდრე მიზანი მიღწეული არ იქნება.

„მეცნიერებასთან მისასვლელადო, — წერდა მარქსი, — არ არსებობს ფართო სამხედრო გზა, და მხოლოდ იმას აქვს შანსი მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა, რომელსაც მის კლდოვან ბილიკებზე ასვლა მოითხოვს“[1].

როდესაც მეცნიერები დაადგნენ ამ ძნელად სავალ გზას და დაიწყეს ბუნების შესწავლა თვით ბუნების მასალებით და მასში ჩამარხულ კანონზომიერებათა აღმოჩენით, საპნის ბუშტებივით გასკდა ამ ლაიტფუგების კურიოზები და „ბიბლიური“ დოგმები ღმერთის მიერ ქვეყნისა და ადამიანის, მცენარეებისა და ცხოველების შექმნისა და დასაბამიდან მათ სახეობათა რაოდენობრივი და მორფოლოგიური უცვლელობის შესახებ.

აღმოჩნდა, რომ ბუნება თვით იძლევა თავის თავის შესწავლის გასაღებს მასთან მისული გონებაგახსნილი ადამიანისათვის. აღმოჩნდა, რომ დაახლოებით ოთხი მილიარდი წლის მანძილზე „ნაცხოვრებ“ ჩვენს „მოხუც“ დედამიწას, რომელსაც წინ კიდევ მრავალი მილიარდი წელი აქვს „საცხოვრებლად“ დარჩენილი, თვითონვე აქვს

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. LI.

აღბეჭდილი ცათა ქვეშეთში საკუთარ ზურგზე გადატანილ მოვლენათა ისტორია. აღმოჩნდა, რომ გარდასულ დროთა სიღრმეში მომხდარი ყველა ეს გეოლოგიური და ბიოლოგიური ამბები იქმნებოდნენ და მიმდინარეობდნენ ისე, რომ არც სცენაზე და არც დარბაზში, ე. ი. არც მოქმედ პირად და არც მაყურებლად ჯერ კიდევ არ ყოფილა მათი შემმეცნებელი სუბიექტი — ადამიანი. მაგრამ მაინც დედამიწაზე მომხდარი და მის მიერ გადატანილი ყველაზე დიდი და მძაფრი მოვლენები უკვალოდ არ გამქრალან და არ დაკარგულან.

ეს საკვირველი და თანაც საბედნიერო გარემოება იმიტომ გამხდარა შესაძლებელი, რომ თვით ბუნება თითქოს ერთგვარად ჰგავს იმ მუნჯს, რომელსაც წერა შეუძლია. ბუნება თავის მკერდსა და თავის ქანებზე თავისებურად აღიბეჭდავდა და იტოვებდა მის მიერ გადატანილი ყველა დიდი და მძაფრი მოვლენის კვალს. აღიბეჭდავდა მას უფრო ღრმად და უფრო მტკიცედ, ვიდრე საფლავის ქვის წარწერებია. დედამიწის გეოლოგიურმა ქანებმა და მასში შემორჩენილმა პალეონტოლოგიურმა ნაშთებმა შესაძლებლობა მისცეს თანამედროვე მეცნიერებას, დაახლოებით მაინც შეექმნა წარმოდგენა დედამიწის, სიცოცხლის, მცენარეების, ცხოველების და ადამიანის წარმოქმნის პროცესისა და მათი მიახლოებითი თარიღის შესახებ.

ბუნებრივი დაშლის გზით ურანის ატომის ჰელიუმსა და ტყვიაში გადასვლით გეოლოგიამ განსაზღვრა, რომ ჩვენი დედამიწა წარმოშობილი უნდა იყოს დაახლოებით 3—4 მილიარდი წლის წინათ. ხოლო არაორგანული მატერიის თანდათანობით განვითარებისა და ორგანულში მისი გადასვლის გზით—სიცოცხლე დედამიწაზე, ყველაზე უმარტივესი მცენარეებისა და ცხოველთა ორგანიზმების სახით, ზღვებსა და ოკეანეებში წარმოქმნილა დაახლოებით ამ 1500 მილიონი წლის წინათ. შემდეგ, 500 მილიონი წლის წინათ, წარმოქმნილან თევზები, მერე კი უკვე ხმელეთზე მცხოვრები მცენარეები და ცხოველები. „ბიბლიის“ მტკიცება — მცენარეები და ცხოველები ღმერთმა შექმნა იმდენი სახეობისა, რამდენიც ისინი დღესაც არიან და მომავალშიც იქნებიანო — საბოლოოდ გაცამტვერდა.

მეცნიერებამ დარვინის ევოლუციური თეორიის საფუძველზე, რომელიც შემდგომ განავითარეს მისი ზოგიერთი ხარვეზების გამოსწორებით მიჩურინმა და ლისენკომ, აგრეთვე პალეობოტანიკისა და

პალეოზოოლოგიის მონაცემების საფუძველზე დაამტკიცა, რომ მცენარეთა და ცხოველთა სახეობანი მუდმივ იცვლებოდნენ და იცვლებიან რაოდენობრივადაც და მორფოლოგიურადაც. ამ სისტემატურ ცვალებადობაში ეს მცენარეები და ცხოველები ან იღუპებოდნენ, ან თავიანთ მოდგმას აუმჯობესებდნენ არსებობისთვის ბრძოლასა და გარეშე პირობების შეცვლასთან და შეგუებასთან დაკავშირებით. სწორედ ამ ნიადაგზე ხდებოდა ზოგიერთი ძველი სახეობის გადაშენება და ახლის წარმოქმნა. ყოველივე ამის გამო დაახლოებით ცხოველთა ის 1.400 ათასი და მცენარეთა 320 ათასი სახეობა, რომელსაც ბოტანიკა და ზოოლოგია იცნობს, ყოველთვის როდი არსებობდა. ძველად ყოფილა მცენარეთა და ცხოველთა მრავალი ათასი ისეთი სახეობა, რომელიც გამქრალა და დღეს აღარ არის, მეორე მხრით, წარმოქმნილა და დღეს არსებობს მცენარეთა და ცხოველთა მრავალი ათასობით ისეთი სახეობა, რომელიც ძველად არ ყოფილა.

ერთი სიტყვით, ფაქტების მთელი მონბლანით დამტკიცდა, რომ ბუნებას საფუძვლად უდევს ჰერაკლიტეს მიერ პირველად შენიშნული ის დიდებული პრინციპი, რომელიც გამოხატულია ორ ბრძნულ სიტყვაში: „პანტა რეი" და რაც იმას ნიშნავს, რომ — „ყველაფერი მიედინარეობს", „ყველაფერი იცვლება". ჰერაკლიტეს ამ სიტყვებს გერცენმა, გამოთქმის ლაკონიურობისა და შინაარსის სიუხვის გამო, ყველაზე გენიალური სიტყვები უწოდა, როგორიც კი ოდესმე უთქვამს ვინმეს კაცობრიობის ისტორიაში. ამ სიტყვებში გამოხატული დიადი პრინციპი კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე მართლდება ბუნებაში. ასე მაგალითად, პალეოზოოლოგიამ (მეცნიერება, რომელიც მიწიდან ამოღებული ძვლების საშუალებით სწავლობს უკვე გადაშენებულ ცხოველთა სახეობებს) აღმოაჩინა, რომ დღეს აღარ არის ჯერ კიდევ ამ 150—300 მილიონი წლის წინათ მცხოვრები გიგანტური ქვეწარმავალი დიპლოდოკი, რომლის სიგრძე 20 მეტრზე მეტი იყო, წონით აღწევდა 25 ტონამდე და დღე-ღამეში 400 კილოგრამამდე საჭმელს ნთქავდა. აღარ არის აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკაში მრავალი მილიონი წლის წინათ მცხოვრები არსიონოტერიუმი, ან კიდევ ამ სამოცი მილიონი წლის წინათ მცხოვრები გიგანტური ჩლიქოვანი ცხოველი უინტატერიუმი.

სამაგიეროდ, დედამიწის ძველ ფენებში პალეოზოოლოგიამ ვერ იპოვა ზოგიერთი იმ ცხოველის ნაშთები, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, როგორიცაა, მაგალითად: ლომი, ვეფხვი, ცხენი, სპილო და ა. შ., რაც იმას ამტკიცებს, რომ ეს ცხოველები უძველს დროში არ ყოფილან და შემდეგ წარმოშობილან. ბიოლოგიური მეცნიერების სწორ მეთოდოლოგიურ გზაზე დაყენებამ, რაც მასში მარქსიზმის დანერგვით გამოიხატა, იმდენად შეუწყო ხელი მის წინსვლას, რომ ამჟამად მან თავის საკვლევ სფეროში დედამიწის გარე სამყაროც კი მოაქცია და საფუძველი ჩაუყარა ასტრობიოლოგიას.

მაგრამ ორგანული სამყაროს წარმოქმნის პრობლემებში ყველაზე საინტერესო და რთული ადამიანის წარმოშობისა და მისი წინაპრების საკითხი იყო.

II. ადამიანის წინაპრები. შრომის როლი მაიმუნ-ადამიანის გააადამიანების საქმეში

ადამიანის შორეულ წინაპართა განვითარება მისი ადრეული რგოლებითა და განშტოებებით თავად იმ კანონზომიერებას ემორჩილებოდა, რომელიც საფუძვლად ედო მთელ ორგანულ სამყაროს. ბიოლოგიური მეცნიერების განვითარებამ არა მარტო ადრევანათელი გახადა მთელი უსუსურობა „ბიბლიური“ დოგმებისა ღმერთის მიერ ადამიანის უცბად გაჩენის შესახებ, არამედ მე-18 საუკუნის შუა წლებიდან მან დაიწყო კიდეც იმ შორეულ წინაპრების ძიება, რომელთაგანაც ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში ადამიანი უნდა წარმოქმნილიყო.

ამ პერიოდში მაიმუნის ადამიანთან მსგავსებამ მოწინავე მეცნიერები მიიყვანა მათი ნათესაობის პრობლემასთან. მაგრამ რელიგია აქაც ჩაერია საქმეში. მისი განმარტებით, მაიმუნთა წინაპრები წინათ ადამიანები ყოფილან, ისინი რაღაც ცოდვის ჩადენისათვის ღმერთს მაიმუნებად გადაუქცევია და ამის გამოა ამ უკანასკნელებში შემორჩენილი ადამიანთან მსგავსების ზოგიერთი ნიშანიო.

რელიგიის ეს არაფრის ამხსნელი „ახსნა“, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა მეცნიერებს, რომელნიც მაიმუნის ადამიანთან მსგავსების ნამდვილი მიზეზების ძიებით იყვნენ დაინტერესებულნი. ეს ძიება კი, რასაკვირველია, ერთბაშად ვერ დადგა სათანადო მეცნიერულ ნიადაგზე, მაგრამ მან შეძლო თანდათან შეცდომებისაგან განთავისუფლება და სწორ გზაზე გამოსვლა. შვედ მეცნიერს ლინეის (1707—1778 წწ) ეს მაიმუნები „ტყის გარეულ ადამიანებად“ მიაჩნდა. მან ცხოველები ექვს კლასად გაყო მათი სხეულებრივი მსგავსების მიხედვით, და მაიმუნები და ადამიანები ერთად მოათავსა ძუძუმწოვართა კლასში.

უფრო სწორ პოზიციაზე იდგა ფრანგი მეცნიერი ლამარკი (1744—1829 წწ). 1809 წელს ლამარკმა გამოაქვეყნა წიგნი „ზოოლოგიის ფილოსოფია“, რომელშიაც გამოთქვა აზრი, რომ მაღალი განვითარების მქონე ორგანიზმები ვითარდებოდნენ დაბალი განვითარების მქონე ორგანიზმებისაგან და, რომ განვითარების ამ კანონთა ძალით მაიმუნები ადამიანთა შორეული წინაპრები უნდა იყვნენო. 1859 წელს გამოვიდა ჩარლზ დარვინის ცნობილი წიგნი—„სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით“. 1871 წელს კი დარვინმა სპეციალური შრომა უძღვნა ადამიანის და მაიმუნის ახლო ნათესაობის საკითხს.

საერთოდ მეცნიერებს ერთ ხანს ეგონათ, რომ ამჟამად მცხოვრებ მაიმუნთაგან შორეულ დროში წარმოიქმნენ ადამიანები. მეცნიერებამ შემდეგ დააზუსტა, რომ ადამიანი წარმოსდგა არა ამჟამად მცხოვრებ მაიმუნთა უძველეს თაობათაგან, არამედ ამჟამად მცხოვრებ მაიმუნთა უძველეს თაობებს და ადამიანს ერთი საერთო წინაპარი ჰყავდათ. ამ საერთო წინაპრისაგან მომდინარე სხვადასხვა გარდამავალ რგოლთა ერთი სახეობისაგან ახლა მცხოვრები მაიმუნები წარმოქმნილან, ხოლო იქიდანვე მომდინარე სხვა შტოსაგან, მთელ რიგ შუალედ რგოლთა გავლით — მაიმუნ-ადამიანი (პითეკანთროპოსი).

„ადამიანი, — წერს პროფესორი ფრიც კანი, — მაიმუნის ახლო ნათესავია, მაგრამ იგი არ წარმოშობილა არც ერთი ახლა მცხოვრები მაიმუნისაგან... ადამიანი და ადამიანის მსგავსი მაიმუნი წარმოშობილნი არიან საერთო წინაპრისაგან, რომელიც უნდა ვეძებოთ ძველი მსოფლიოს უკვე გადაშენებულ უმდაბლეს მაიმუნთა (ნახევრად მაიმუნთა) შორის. ადამიანის მსგავსი თანამედროვე მაიმუნებისაგან განსხვავებით, ადამიან-მაიმუნის ეს წინაპარი ჯერ კიდევ არ იყო ცალმხრივად სპეციალიზებული არსება, და მას ჰქონდა „ინდიფერენტული“, უფრო კი ადამიანური ნიშნები, მაგალითად, თითქმის ერთნაირი სიგრძის ფეხები და ხელები, თითქმის ერთნაირი კბილები, უკეთესად განვითარებული ცხვირი, შორიშორს გამდგარი თვალები და ადამიანის მსგავსი სხვა ნიშნები, რაც თანამედროვე მაიმუნებში გამქრალია“[1].

---

[1] იხ. Человек и природа, ტ. VI. ნაწ. I. გვ. 49.

პროფ. ფ. კანის მიხედვით, ახლა მცხოვრებ მაიმუნთაგან არც შეიძლებოდა ადამიანის წარმოქმნა, რადგანაც მათი განვითარება, მათი ცალმხრივი სპეციალიზაციით, როგორც მცოცავი ან მბობღავი ცხოველისა, უკვე დასრულებულია, და ამიტომ მათგან ახალი სახეობა ვერც წარმოდგებოდა.

თავად ადამიანისა და ადამიანის მსგავსი მაიმუნის საერთო წინაპარნი უნდა ყოფილიყვნენ ნახევრად მაიმუნები (ლემურები), რომელნიც დაახლოებით 50 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ. მეცნიერებაში ამჟამად მიღებული აზრის თანახმად, რამდენიმე მილიონი წლის შემდეგ ამ ნახევრად მაიმუნისაგან წარმოიქმნა პარაპითეკი, რომლის ქვედა ყბა 1911 წელს გეოლოგმა შლოსერმა აღმოაჩინა ეგვიპტეში ფაიუმის უდაბნოში და მას უწოდეს კიდეც ეს სახელი—„პარაპითეკი" („მაიმუნთან ახლო მდგომი"). იგი პატარა ტანის კატისოდენა ცხოველი უნდა ყოფილიყო.

ამ პარაპითეკისაგან დაახლოებით 30 მილიონი წლის წინათ გაჩნდა პროპლიოპითეკი, ე. ი. უძველესი, უფრო დიდი მაიმუნი. რომლის ქვედა ყბა იმავე მიდამოში იპოვა შლოსერმა. ამ პროპლიოპითეკისაგან დაახლოებით ათი თუ თხუთმეტი მილიონი წლის წინათ გაჩნდნენ თანამედროვე მაიმუნები: გიბონი, ორანგუტანგი და უკვე გადაშენებული დრიოპითეკი. ამ დრიოპითეკისაგან, რომლის ძვლების ნარჩენებიც ნაპოვნია აზიასა და ევროპაში, წარმოიშვა გორილა, შიმპანზე და უკვე გადაშენებული ავსტრალოპითეკი, ე. ი. სამხრეთის მაიმუნი.

ეს ავსტრალოპითეკი უნდა იყოს უკვე მაიმუნ-ადამიანის ახლობელი წინაპარი, რადგანაც მისგან უნდა გაჩენილიყო „პითეკანთროპი" (ბერძნულად „პითეკოს" — მაიმუნი, „ანთროპოს" — ადამიანი). ამ პითეკანთროპის, ანუ „მაიმუნ-ადამიანის" თავის ქალის სარქველი, ბარძაყის ძვალი და რამდენიმე კბილი ჯერ კიდევ 1891 წელს იპოვა ჰოლანდიელმა მეცნიერმა დიუბუამ (1858—1940 წწ) კუნძულ იავაზე.

თავისი განვითარებით ეს პითეკანთროპი მაიმუნზე წინ დგას, მაგრამ ადამიანს ჩამორჩება. ერთი სიტყვით, იგი მაიმუნსა და ადამიანს შუა დგას. მისი თავის ქალის მოცულობა უდრის 850 კუბ. სანტიმეტრს, მაშინ როდესაც მაიმუნის თავის ქალის მოცულობა საშუალოდ უდრის 600 კუბ. სანტიმეტრს, ხოლო ადამიანის თავის

ქალისა — 1250 კუბ. სანტიმეტრს. როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ამ პითეკანთროპს უკვე შეეძლო ამართული სიარული, რისთვისაც მას „სწორად მოსიარულე მაიმუნ-ადამიანს უწოდებენ“.

პითეკანთროპისაგან უნდა წარმოქმნილიყო სინანთროპი. იგი ცხოვრობდა დაახლოებით 500.000-იან წლებში. მისი ძვლების ნაშთები 1927—1937 წლებში იპოვეს ქალაქ პეკინის ახლოს ჩინეთში და ამიტომაც მეცნიერებაში მას შეერქვა სინანთროპი, ე. ი. ჩინური ადამიანი („sina“ — ჩინეთი, „anthropos“ — ადამიანი). ეს სინანთროპი უკვე ადამიანი იყო, რადგანაც მას ჰქონდა უმარტივესი იარაღები და ხმარობდა ცეცხლს, რაც დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სინანთროპის შემდგომ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს ჰაიდელბერგელი ადამიანი, რომლის ზოგიერთი ძვლებიც ნაპოვნია ქ. ჰაიდელბერგის (გერმანია) მახლობლად. ამ ჰაიდელბერგელ ადამიანზე უფრო მაღლა იდგა შემდეგ ნეანდერტალელი ადამიანი. მისი ძვლები 1856 წელს იპოვეს რაინთან ნეანდერტალის ველზე გამოქვაბულში, დიუსელდორფის ახლოს. ნეანდერტალელი ადამიანის თავის ქალის მოცულობა უდრიდა 1230 კუბ. სანტიმეტრს. იგი უნდა წარმოქმნილიყო 200.000 წლის ახლო ხანებში ევროპასა, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

ამ ნეანდერტალელი ადამიანის შემდგომი განვითარებისაგან წარმოიქმნა ორინიაკელი, ანუ იმავე ჯგუფს მიკუთვნებული კრამანიონელი ადამიანი, რომლის ნაშთები პირველად აღმოჩენილ იქნა საფრანგეთში, დორდონსა და კრამანიონში. ეს კრამანიონელი ადამიანები ცხოვრობდნენ დაახლოებით 80.000—60.000 წლებში და ისინი დიდად განსხვავდებიან მათი წინამორბედი ნეანდერტალელი ადამიანისაგან. ისინი თავისი ანატომიური აღნაგობით თანამედროვე ადამიანის ტიპისანი არიან და ზედაპალეოლითის საფეხურზე დგანან.

ასეთია მეტად მოკლედ, სქემატიურად მოცემული, ათეული მილიონი წლების მანძილზე გავრცობილი ის გზა, რომელიც ადამიანის შორეულმა და ახლობელმა წინაპრებმა გაიარეს უმდაბლეს საფეხურზე მდგომი ლემურიდან პარაპითეკამდე, პარაპითეკიდან მაიმუნ-ადამიანამდე და მაიმუნ-ადამიანიდან ადამიანამდე. (იხ. 87-ე გვ. სქემა ადამიანისა და მაიმუნის ევოლუციის შესახებ, ამოღებული წიგნიდან. „Рассказы о науке и ее творцах“ 1946 წ. გამოცემა.).



მაიმუნისა და ადამიანის ევოლუციის სქემა

მაიმუნთან ადამიანის ნათესაობის იდეას, რომელიც ესოდენ გაძლიერდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით კი ლამარკის მოძღვრების შემდეგ, ცეცხლითა და მახვილით შეხვდნენ რელიგიის მსახურნი, ყველა ჯურის ქურუმები და ეკლესიის მამები. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ იდეის მიღება და გაბატონება დაანგრევდა ღმერთისაგან ადამიანის შექმნის „ბიბლიაში“ მოცემულ უსუსურ ხეხულას.

რადგან რელიგიას არ შეეძლო რაიმე არსებითი არგუმენტი დაეპირისპირებინა მეცნიერების ამ ჭეშმარიტი მტკიცებისათვის, მან იმის განცხადებაღა მოახერხა, რომ ადამიანისა და მაიმუნის ერთი საერთო წინაპრისაგან გამოყვანა ამცირებს ადამიანსაო. წინააღმდეგ ღვთის მსახურთა დიდი გაბოროტებისა, მეცნიერები არაფერს სათაკილოს არ ხედავდნენ იმაში, რომ ადამიანი და მაიმუნი ერთი წინაპრისაგან არიან ისტორიულად წარმოქმნილნი და ამდენად ერთმანეთთან დანათესავებულნი. ჯერ კიდევ 1740 წელს ცნობილი შვედი მეცნიერი და კლასიფიკატორი კარლ ლინეი წერდა: „ზოგი ფიქრობს, რომ მაიმუნი ადამიანისაგან განსხვავდება უფრო მეტად, ვიდრე დღე განსხვავდება ღამისაგან, მაგრამ თუ ევროპული სახელმწიფოს განათლებულ პრემიერ-მინისტრს გვერდით ამოვუყენებთ ჰოტენტოტს კეთილი იმედის კონცხიდან, ძნელი იქნება იმაზე ფიქრი, რომ მათ თავდაპირველად ერთნაირი წარმოშობა აქვთ“.

XVIII და XIX საუკუნის გაბედულ მეცნიერებს არ აშინებდათ ადამიანისა და მაიმუნის გენეალოგიურ ნათესაობათა შესახებ თავიანთი მეცნიერული დასკვნებისა და ჰიპოთეზების საჯაროდ აღიარება და დაცვა. ამ დროისათვის უკვე წარსულს ჰქონდა ჩაბარებული საშუალო საუკუნეების სქოლასტიკა, როცა ინკვიზიცია ცეცხლში ჰყრიდა მეცნიერებს „ბიბლიის“ დოგმების საწინააღმდეგო აზრის გამოთქმისათვის. პირადი შეურაცხყოფა და დაცინვა კი ვერ აკავებდა ამ მეცნიერებს თავიანთ მეცნიერულ შეხედულებათა ქადაგებისაგან, რადგან დაცინვისა და შეურაცხყოფის ღირსნი ნამდვილად თვითონ ეს ცრუ საეკლესიო „სწავლულები“ იყვნენ თავიანთი ჩამორჩენილობის გამო.

ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი დავა ცნობილ მეცნიერ ტომას

ჰექსლსა და ოქსფორდის ეპისკოპოს ვილბერფორს შორის 1860 წელს. ეს დავა ჩარლზ დარვინის წიგნის — „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით“ გამოსვლასთან დაკავშირებით მოეწყო. თეოლოგიური დოგმებით დამძიმებული ვილბერფორსი დისპუტზე ამბობდა: „რა საზღვრებამდე უნდა დავუშვათ ჩვენ სახეთა გარდაქმნა? ნუთუ შეიძლება ვერწმუნოთ იმას, რომ ყველაზე მეტად სასარგებლო სახესხვაობა ბოსტანში გაზრდილი ბოლოკისა ცდილობს ადამიანად გახდომას? (აპლოდისმენტებმა და სიცილმა დაფარა ეპისკოპოსის ეს სიტყვა). მე მინდა შეველაპარაკოთ პროფესორ ჰექსლს,— განაგრძო ეპისკოპოსმა, — რომელიც ჩემს პირდაპირ ზის და ემზადება, ნაწილ-ნაწილ დამფლითოს, როცა მე გავათავებ ჩემს სიტყვას, სთვლის თუ არა ის, რომ თვითონ არის იგი წარმოშობილი მაიმუნისაგან პაპის ან ბებიის მხრივ?“

მეცნიერულ პაექრობაში გამოსული თავაშვებული ეპისკოპოსის მთელი არგუმენტაცია დაყრდნობილი იყო „ბიბლიური“ დოგმებისა და რიტორიკის ნარევზე. ამიტომ მან ვერ აიცდინა საპასუხო სიტყვით გამოსული ჰექსლის მომაკვდინებელი მახვილი. „ადამიანსო, — ამბობდა ჰექსლი თავის სიტყვაში, — არა აქვს მიზეზი რცხვენოდეს იმისა, რომ მის წინაპარს მაიმუნი წარმოადგენს. მე უფრო შემრცხვებოდა, რომ წარმოშობილი ვიყო მოუსვენარი და ყბედი ადამიანისაგან, რომელიც არ კმაყოფილდება თავის საკუთარ საქმიანობაში საეჭვო წარმატებით, ერევა სამეცნიერო საკითხებში, რომელთა შესახებაც მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს, რათა მხოლოდ დააბნელოს ისინი თავისი რიტორიკით და მსმენელთა ყურადღება ჩამოაცილოს დავის ნამდვილ საკითხს მჭერმეტყველური გადახვევებით და რელიგიურ ცრურწმენათა მოქნილი გამოყენებით“.

ამჟამად მეცნიერებაში სადავო აღარ არის ადამიანის მაიმუნთან ნათესაობის საკითხი, რაზედაც თითქმის ამ ერთი საუკუნის წინათ ასე მწვავედ ედავებოდა ვილბერფორსი დარვინისტ ჰექსლს. ამ ხნის განმავლობაში ამ საკითხის შესწავლამ დიდად წაიწია წინ და დააზუსტა ადამიანის მაიმუნთან მსგავსების საერთო და განმასხვავებელი ნიშნებიც. მეცნიერ კიზსის გამოკვლევით, ადამიანსა და მაიმუნებს (შიმპანზეს, გორილას, ორანგუტანგს და გიბონს) საშუალოდ, შედარებითი ანატომიის მიხედვით, საერთო ნიშნები

აქვთ 623, ხოლო ისეთი ნიშნების რიცხვი, რომლებიც მარტო ადამიანს ახასიათებენ და მაიმუნებს კი არა, აღწევს 312-მდე.

მაიმუნისა და ადამიანის საერთო და განმასხვავებელი ფიზიკური და ფსიქიკური ნიშნების შესწავლის საქმემ დიდად წაიწია წინ ჩვენს ქვეყანაში. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა წარმოებს სოხუმის სანაშენეში, რომელიც 1927 წლიდან არსებობს და რომელშიაც 200-მდე მაიმუნზე ახდენენ დაკვირვებას და შესწავლას[1].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად მაიმუნის და ადამიანის მსგავსებისა და მათ შორის ესოდენ მრავალი საერთო ანატომიური ნიშნის არსებობისა, ადამიანი მაიმუნიდან კი არ გაჩენილა, არამედ ისტორიულად ორივენი ერთი საერთო წინაპრისაგან მომდინარეობენ, ე. ი. ისინი „მამა-შვილები" კი არ არიან, არამედ მეტად შორეული ბიძაშვილები, რომელთაგან არც ერთი, არც ცალ-ცალკე და არც ერთად აღებულნი, არ გვანან მათ ამ საერთო და ამჟამად უკვე გადაშენებულ წინაპრებს.

ათეული მილიონი წლების განმავლობაში ამ საერთო წინაპრიდან მომავალი შტოები უფრო და უფრო სცილდებოდნენ და შორდებოდნენ ერთმანეთს. ადრევე დაწყებულ ამ დაცილებას დრიოპითეკის შემდეგ აღარსად ჰქონია უშუალო შეხების წერტილები.

თუ ადამიანის წინაპრისა და მაიმუნის ამ დაცილებას თავად ბიოლოგიური კანონზომიერება მართავდა, უკვე ავსტრალოპითეკის შემდეგ, როგორც უნდა ვივარაუდოთ, და განსაკუთრებით კი მაიმუნ-ადამიანის (პითეკანთროპის) ცხოვრებაში თანდათან ძლიერ მნიშვნელობას შრომითი ჩვევები ღებულობს. სწორედ ამ შრომითი ჩვევების გამომუშავების ზრდამ და მათმა თანდათან განმტკიცებამ მაიმუნ-ადამიანი დააყენა გაადამიანების გზაზე და, საბოლოო ანგარიშით, გამოჰყო იგი ცხოველთა სამეფოდან და აქცია ნამდვილ ადამიანად.

ხოლო ის საკითხი, თუ რა როლი ითამაშა შრომამ და შრომის იარაღებმა მაიმუნ-ადამიანის გაადამიანების საქმეში და როგორ წარმოადგენს შრომა და შრომის იარაღების შექმნა მარტოოდენ

---

[1] სოხუმის ამ სანაშენეს მუშაობაზე იხ. საინტერესო წიგნი: Проф. Г. З. Рогинский. Навыки и зачатки интеллектуальных действий у антропоидов (Шимпанзе), Ленинград. 1948.

ადამიანურ თვისებას, ახსნილი აქვთ მარქსიზმის ფუძემდებლებს. ენგელსმა ამ საკითხს სპეციალური შრომა უძღვნა სათაურით: „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქცევის პროცესში“. ხოლო მარქსს თავისი თხზულებების, კერძოდ, „კაპიტალის“ I ტომის სხვადასხვა ადგილას არა ერთხელ აქვს აღძრული ეს საკითხი.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ადამიანი და მაიმუნი წარმოიქმნენ საერთო წინაპრისაგან, და ავსტრალოპითეკით დაწყებული ადამიანის წინაპრის გზა გაეყარა იმ მაიმუნებს, რომელნიც დღეს არსებობენ. ამ ავსტრალოპითეკიდან მილიონი წლების შემდეგ ჩნდება უკვე მაიმუნ-ადამიანი (პითეკანთროპი).

ამ პითეკანთროპს, როგორც მისი ძვლების ნარჩენების შესწავლიდან მეცნიერები დაასკვნიან, უნდა შესძლებოდა უკვე ვერტიკალური სიარული, რის გამოც მას „პითეკანთროპოს ერექტუს“, ე. ი. ამართულად მოსიარულე მაიმუნ-ადამიანს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს პითეკანთროპი ამართულ სიარულს ეუფლებოდა, რაც, როგორც წესი, ცხოველთა მთელი სამეფოდან მხოლოდ ადამიანს ახასიათებს, იგი მაინც ისევ მაიმუნ-ადამიანად რჩებოდა; მას ჯერ კიდევ ხანგრძლივი პერიოდი აშორებდა ნამდვილ ადამიანად გარდაქცევისაგან.

ადამიანად მისი გარდაქმნის პროცესში გადამწყვეტი როლი შეასრულა შრომამ. ენგელსი წერს, რომ „შრომა ადამიანის მთელი სიცოცხლის პირველი ძირითადი პირობაა და მასთან იმდენად, რომ ჩვენ გარკვეული აზრით უნდა ვთქვათ: შრომამ შეჰქმნა თვით ადამიანი“[1]. მარქსი წერს, რომ „შრომას ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფორმით, რომლითაც იგი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის კუთვნილებას შეადგენს“[2]. მაგრამ რით უნდა დაეწყო თავდაპირველად ადამიანის წინაპარს ეს შრომა? ენგელსი წერს: „შრომა იარაღების დამზადებით იწყება“[3].

---

1 ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქცევის პროცესში, (იხ. „ბუნების დიალექტიკა“, 1950 წ., გვ. 171).

2 კ. მარქსი, კაპიტალი ტ. I, გვ. 138—139.

3 ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქცევის პროცესში, (იხ. „ბუნების დიალექტიკა“, გვ. 177).

იარაღის დასამზადებელი ოპერაციების ცდა კი ადამიანის წინაპარს შეეძლო მხოლოდ მაშინ დაეწყო, როდესაც მისი წინა კიდურები თანდათან დაიწყებდნენ განთავისუფლებას თავისი ძველი და ძირითადი ფუნქციისაგან — სხეულის ერთ ადგილიდან მეორეზე გადაადგილების, ე. ი. სიარულის ფუნქციისაგან. როდესაც ადამიანის ეს წინაპარი უკანა კიდურებზე დაყრდნობით მიეჩვეოდა ვერტიკალურ სიარულს, და ამ გვარად, მოძრაობის ფუნქციისაგან თანდათანობით განთავისუფლებული წინა კიდურები ადამიანის წინაპრისა — ხელებად გარდაქმნას დაიწყებდნენ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, პითეკანთროპი უკვე ეჩვეოდა ვერტიკალურ სიარულს და, ამგვარად, მასში ერთი ადამიანური თვისება უკვე მუშავდებოდა. მაგრამ როგორ და რა გზით ხდებოდა, ან უნდა მომხდარიყო ეს? ენგელსი წერს: „საფიქრებელია, რომ უწინარეს ყოვლისა თავიანთი ცხოვრების წესის გამო, რაც ცოცვის დროს ხელებს სხვა ფუნქციებს აკისრებს, ვიდრე ფეხებს, ამ მაიმუნებმა დაიწყეს ვაკე მიწაზე სიარულის დროს ხელების დახმარების გადაჩვევა და სულ უფრო და უფრო ამართული სიარულის შეთვისება. ამით გადამწყვეტი ნაბიჯი იქნა გადადგმული მაიმუნიდან ადამიანზე გადასასვლელად“[1].

ადამიანის წინაპართა ვერტიკალურ მდგომარეობაზე გადასვლის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აღნიშნა ამხანაგმა ი. სტალინმა თავის შრომაში „ანარქიზმი და სოციალიზმი?“. ამხანაგი სტალინი ამ შრომაში წერდა: ადამიანის წინაპარს და მის ჩამომავალ ადამიანს რომ „...მუდამ ოთხ ფეხზე ეარნა, ძირს ეცქირა და იქიდან ეკრიფა შთაბეჭდილებანი; მას შესაძლებლობა არ ექნებოდა მაღლა და გარშემო მიმოეხედნა, მას შესაძლებლობა არ ექნებოდა, მაშასადამე, უფრო მეტი შთაბეჭდილებანი მიეწოდებინა ტვინისათვის, ვიდრე ოთხფეხ ცხოველს. ეს ყველაფერი მისი შეგნების განვითარებას საფუძვლიანად შეაფერხებდა“[2].

---

1 ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გადაქცევის პროცესში („ბუნების დიალექტიკა“, გვ. 171.).

2 ი. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 294—295.

ამგვარად, ადამიანის წინაპრის ვერტიკალურ მდგომარეობაზე გადასვლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ ეს წინაპარი შემდეგ შრომის დახმარებით ადამიანად გადაქცეულიყო. ამ-ჟამად არსებულ მაიმუნთა გაადამიანების პროცესი იმიტომაც არ დაიწყო, რომ მათ გაადამიანების ამ დასაწყის საფეხურს — ვერტი-კალურ მდგომარეობაზე გადასვლას ვერ მიაღწიეს.

ერთი სიტყვით, ვერტიკალური სიარული, როგორც აღნიშნული იყო, მარტოოდენ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი, და ზოგ-ერთი ძუძუმწოვარა ცხოველი, გამონაკლისის სახით, მას მხოლოდ იშვიათად მიმართავს. ასე მაგალითად, „პრიმიტიულ ძუძუმწოვარ-თაგან,—წერს ფ. კანი,—ნახევრად ამართულად დადიან კენგური და ციყვი. მაგრამ ყველა ამ ცხოველსაც განთავისუფლებული წინა კი-დურები ისევ და ისევ სხეულის გადაადგილებისათვის ემსახურება". რაც შეეხება მაიმუნს, „ყველა ამჟამადაც არსებულ ადამიანის მსგავს მაიმუნს შეუძლია ამართული დგომა და მხოლოდ ორ ფეხზე სიარუ-ლი. მაგრამ მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში და ისიც მეტისმეტად უმწეოდ. მათი ბუნებრივი სიარული ნახევრადამართულ მდგომარეობაში ხდება და ხელების გამოყენებას შეიცავს"[1].

ამგვარად, სრულყოფილი ვერტიკალური სიარული ცხოველთა-გან მხოლოდ ადამიანს შეუძლია. სწორედ ამიტომ ადამიანის წინა კიდურებს დაკარგული აქვს სხეულის გადაადგილების ფუნქცია და ხელებად არიან გარდაქმნილი. მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანის წინაპარს ვერტიკალურად სიარულის უნარი გამოემუშავებინა და ამის პარალელურად და ამასთან ერთად თავისი წინა კიდურები ხელებად გარდაექმნა, საჭირო იყო ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი.

რამდენადაც ადამიანი ვერტიკალურ სიარულს ეჩვეოდა და მისი წინა კიდურების ხელებად გარდაქმნა ხდებოდა, იმდენად შრომითი ჩვევები უფრო და უფრო მტკიცდებოდა. შრომითი ჩვევების ეს თანდათანობითი განვითარება და განმტკიცება კი, თავის მხრით, თვით ხელის სრულყოფაზე მოქმედებდა. „ამრიგად, ხელი არის არა მარტო შრომის ორგანო, არამედ იგი მ ი ს ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ც ა ა"[2].

---

[1] ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქცევის პროცესში, („ბუნების დიალექტიკა", გვ. 171).

[2] იქვე, გვ. 173.

ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში შრომითი ჩვევების ამ გამომუშავებისა და განმტკიცების წყალობით „...ადამიანის ხელმა სრულქმნილების იმ მაღალ საფეხურს მიაღწია, რომელზედაც მან შესძლო ჯადოსნური ძალით შეექმნა რაფაელის ნახატები, თორვალდსენის ქანდაკებანი, პაგანინის მუსიკა“[1].

აღსანიშნავია, რომ ხელის უდიდესმა მნიშვნელობამ ადამიანის ორგანიზმისა და ადამიანის მთელი ცხოვრებისათვის ძველადვე მიიპყრო ფილოსოფოსთა და მეცნიერთა ყურადღება. ასე. მაგალითად, არისტოტელეს გადმოცემით, ფილოსოფოსი ანაგსაგორი ამბობდა, რომ „ცხოველთაგან ადამიანი ყველაზე გონიერი არსებაა ხელების წყალობით“. თვითონ არისტოტელე კი თავის აზრს ხელის მნიშვნელობაზე ასე გადმოგვცემს: „... ხელი არის იარაღთა იარაღი“. ფილოსოფოსი ემ. კანტი, ადარებდა რა ერთმანეთს ხელისა და ტვინის მნიშვნელობას, წერდა, „ხელი გარეგანი ტვინიაო“. დარვინი კი ამბობდა: „ადამიანს არ შეეძლო მიეღწია დედამიწაზე თავისი ახლანდელი გაბატონებული მდგომარეობისათვის ხელების დაუხმარებლად, რომლებიც ასე ბრწყინვალედ არიან მოწყობილნი მისი ნებისადმი მორჩილებისათვის“.

ხელის უდიდეს მნიშვნელობას აღნიშნავდა პროფ. ფ. კანიც. „მაიმუნი, — წერდა იგი, — დარჩა ცხოველად, რადგან მას თავისუფალი ხელი არ გააჩნდა, ვინაიდან მას იგი (ე. ი. თავისი წინა კიდურები — მ. ა.) პირველყოფილ ტყეში ხეებზე ცოცვისათვის სჭირდებოდა. ადამიანის წინაპრები კი, როგორც უნდა ვიფიქროთ, ცხოვრობდნენ უტყეო ადგილებში, მათ არ სჭირდებოდათ ტოტებს ჩასჭიდებოდნენ და ამიტომ ისწავლეს ხელების თავისუფლად მოხმარება, როგორც იარაღისა და ხელსაწყოსი“.

ვერტიკალურ სიარულზე გადასვლისა და აგრეთვე შრომის შედეგად ხელის წარმოქმნის პარალელურად ხდებოდა ადამიანის სხეულის სხვა ორგანოების შეცვლაც. „ადამიანის ხელის თანდათანობით გაფაქიზება-დახვეწილობამ და მასთან ერთად ამართული სიარულისათვის ფეხის განვითარებამ იმავე თანაფარდობის კანონის ძალით უეჭველად უკუზეგავლენა მოახდინა ორგანიზმის სხვა ნაწილებზეც“[2].

---

[1] იქვე, გვ. 173.

[2] იქვე, გვ. 174.

ამ თანაშეფარდების კანონის მოქმედების გამო, წერს პროფ. ფ. კანი, ადამიანის „თავის ქალას და კბილებს შეეძლოთ უკვე შეეწყვიტათ თავისი თავდაპირველი დაბალი ხასიათის სამუშაოს შესრულება. კბილები დაპატარავდა, ყბები შეიჭმუხნა, წინ გამოწეული დინგი, როგორც ეს ცხოველებს აქვთ, გაქრა. სახის მთელმა ქვედა ნაწილმა უკან გადაიწია და ამის სამაგიეროდ განვითარდა შუბლი, მის უკან კი წარმოიქმნა გადიდებული სივრცე ჩვენი უმნიშვნელოვანესი ორგანოსათვის — ტვინისათვის... ასეთია პირველი და უმნიშვნელოვანესი რიგი ცვლილებებისა, რაც გამოიწვია (ადამიანის — მ. ა.) ვერტიკალურმა დგომამ. ამ რიგის ცვლილებების პარალელურად მიმდინარეობს სხვაც. ვერტიკალური დგომის წყალობით გულმკერდი თავისუფალი ხდება, რის შედეგადაც ჩნდება ხმა. ერთი მხრით, ხმის განვითარებამ და, მეორე მხრით კი, ტვინის განვითარებამ მიგვიყვანა მეტყველებამდე“.

ასეთია ვერტიკალურ მდგომარეობაზე ადამიანის წინაპრის თანდათან გადასვლის უდიდესი ისტორიული შედეგი. მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ ამ ვერტიკალურ მდგომარეობაზე გადასვლას ადამიანისათვის ჰქონდა და დღესაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეები.

როგორც ფ. კანი აღნიშნავს, მოძრაობის ტექნიკის თვალსაზრისით ტანის ვერტიკალური მდგომარეობა უეჭველად გაუარესებას წარმოადგენს. ეს ისევეა, როგორც ის, რომ, მაგალითად, ლოკომოტივი მოძრაობდეს მხოლოდ უკანა ორ თვალზე და აგებული იყოს ვერტიკალურ პრინციპზე. ადამიანის მოცულობის ყველა სხვა ცხოველი ადამიანს თავისუფლად უსწრებს მოძრაობაში. გარდა ამისა, ადამიანს მეტად უძნელდება მოძრაობა არა თანაბარ რელიეფში, ჰკარგავს წონასწორობას კიბეზე ასვლისას და სიბნელეში, ტექნიკური საამშენებლო ლოგიკის საწინააღმდეგოდ იგი დაბლა ვიწროა და მაღლა განიერია, დაბლა მსუბუქია და მაღლა მძიმე და გადატვირთული.

ტანის ვერტიკალური მდგომარეობის გამო ადამიანის შიდა ორგანოები განლაგებულია სართულების მსგავსად ერთმანეთის მაღლა. ამიტომ ადამიანის გული ზედმეტად გადატვირთულია სისხლის მაღლა მიწოდებით დაძაბვის გამო, რაც შემდეგ, ადამიანის ხანში შესვლის პერიოდში მთელ რიგ დაავადებებს იწვევს. მეორე

მხრით, სწორედ სხეულის ვერტიკალური მდგომარეობის გამო არასაკმარისად ხდება ფილტვის ზედა ნაწილში ჰაერის გაწმენდა და მისი რეგულირება სისხლით, რაც აგრეთვე მთელ რიგ დაავადებათა მიზეზი ხდება. მაგრამ ვერტიკალურ მდგომარეობაზე გადასვლით გამოწვეული ყველა ეს უარყოფითი მხარე სრულიად უმნიშვნელოა მის დადებით მხარეებთან შედარებით.

ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის წინაპრის ვერტიკალურ მდგომარეობაზე გადასვლას ხელის წარმოქმნისა და შრომითი პროცესის ჩვევების გამომუშავების საქმეში აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

მაგრამ როდის უნდა დაეწყო ადამიანის წინაპარს ეს შრომითი პროცესი, რომელიც თავდაპირველად თვით შრომის პირველი იარაღების დამზადების ცდაში უნდა გამოხატულიყო?

ამ საკითხის დეტალების გამორკვევა და მისი ზუსტი დადგენა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. უეჭველია, რომ ეს პროცესი მეტად დიდ ისტორიულ ეპოქას მოიცავს. მეცნიერებმა აღმოაჩინეს იარაღის დასამზადებლად ადამიანის წინაპართა მოგვიანო პერიოდის ცდის შედეგები. მათ ჩინეთის ახლანდელ სატახტო ქალაქ პეკინის ახლოს იპოვეს გამოქვაბული, რომელშიაც აღმოჩნდა ქვის საგნები. ისინი შექმნილნი არიან 500.000-იან წლებში მცხოვრები წინაისტორიული ადამიანის — სინანთროპის მიერ, და მათ ერთგვარი, მეტად უმნიშვნელო ნახელავი ატყვიათ.

მეცნიერებაში მიღებული აზრით, ეს საგნები განეკუთვნებიან ადამიანის მიერ შექმნილ უმარტივეს იარაღთა რიგს, ხოლო მათი გამკეთებელი სინანთროპი კი, მაიმუნ-ადამიან პითეკანთროპისაგან განსხვავებით აღიარებულია წინაისტორიულ ადამიანად. სინანთროპის წინაისტორიულ ადამიანად მიჩნევის უფლებას, ქვაზე ადამიანის ამ ნახელავთან ერთად, ის გარემოებაც გვაძლევს, რომ სინანთროპმა უკვე იცოდა ბუნებაში ნაპოვნი ცეცხლის შენახვა და მოხმარება, რაც აგრეთვე, როგორც ნათქვამი იყო, მხოლოდ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი.

ქვის ეს პირველი და უბრალო იარაღები ადამიანს არ შეეძლო უცბად გაეკეთებინა. ამ იარაღების გაკეთების პირველ ცდებსა და მათ გაკეთებას შორის ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი უნდა

გასულიყო. „ვიდრე ადამიანის ხელი, — წერს ენგელსი, — პირველ კაჟს დანად გადააქცევდა, ალბათ, დროის ისეთი გრძელი პერიოდი უნდა გასულიყო, რომელთან შედარებით ჩვენთვის ცნობილი ისტორიული ხანა უმნიშვნელო პერიოდად მოჩანს"[1].

ჩვენ ბევრი დეტალები არ ვიცით ამ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის შესახებ, როცა ადამიანის წინაპარი იარაღის გაკეთების ცდით გაადამიანების გზაზე დგებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით მთავარი ფაქტორები — შრომა და შრომის იარაღების გაკეთების ცდა, რასაც იგი აქეთკენ მოჰყავდა. ერთი სიტყვით, როგორც მოხდენილად წერს პროფ. კანი, — „მეცნიერება ადამიანის წარმოშობის შესახებ იმ პოლიციის მდგომარეობაში იმყოფება, რომელმაც ქურდების ორგანიზაციის ფართედ განშტოებულ ქსელს მიაგნო, მაგრამ რომელსაც ჯერ კიდევ არ მოეპოვება ცნობები ცალკეულ მონაწილეთა და მათ ურთიერთობათა შესახებ".

იარაღის გაკეთების ცდასთან ერთად, ადამიანში ხდებოდა შრომითი ჩვევების გამომუშავება, რადგანაც, როგორც აღნიშნული იყო, ეს შრომითი ჩვევები იარაღის გაკეთების ცდაში ისახებოდა. მაგრამ ამ „პირველ ადამიანთა რიგი", რომელთაც იარაღის გაკეთებით და შრომის ჩვევების გამომუშავებით დასაბამი მისცეს ადამიანის გამოყოფას ცხოველთა სამეფოდან, მაინც დიდად განსხვავდებოდა თანამედროვე ადამიანისაგან გონებრივი განვითარების, თვით ტვინის სიდიდისა და სხეულის კონსტიტუციის მხრივ. ამ განსხვავებას თანდათან ამცირებდა და შლიდა სინანთროპსა და მის შემდგომ მოდგმაში — ჰაიდელბერგელ, ნეანდერტალელ და კრომანიონელ ან ორინიაკელ ადამიანებში შრომითი პროცესი და მის შედეგად სამუშაო იარაღების განვითარება.

ეს ცვლილებები კი იმიტომ ხდებოდა, რომ შრომითი პროცესის დროს ადამიანს, როგორც მარქსი წერს, „...მოძრაობაში მოჰყავს თავისი ორგანიზმის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს. ამ მოძრაობის საშუალებით იგი მოქმედებს გარეშე ბუნებაზე, შეაქვს მასში ცვლილება და ამავე

---

1 იქვე, გვ. 173.

დროს შეაქვს ცვლილება თავის საკუთარ ბუნებაშიაც"[1]. სინანთროპი-დან დაწყებული სხეულის ფიზიკურ აღნაგობასა და კონსტიტუციაში შრომითი პროცესით გამოწვეული ეს ცვლილებები, ადამიანთა მთელ შემდგომ მოდგმაში გრძელდებოდა, რის შედეგადაც ამ 30.000 წლის წინათ ადამიანის ორგანიზმმა მიიღო დაახლოებით ის სახე, რომელიც მას დღეს აქვს.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ადამიანში დღესაც არაა დასრულებული მისი სხეულის ფიზიკური კონსტიტუციის სრულქმნის პროცესი, რის საბუთადაც მათ მოჰყავთ საშვილოსნოს „გამოვარდნა", ნაწლავების გადახლართვა, ნაწლავის „გამოვარდნა" და სხვა. ამ მეცნიერთა აზრით, ფიზიკურად სრულქმნილ ორგანიზმს ეს მოვლენები არ უნდა ახასიათებდეს და როდესაც ადამიანის ორგანიზმი სრულყოფილი კონსტიტუციის სახეს მიიღებს, რის პროცესიც დღესაც გრძელდება, აღნიშნული მოვლენები მოისპობაო.

ის ცვლილებებიც, რომლებიც ადამიანს შრომითი პროცესში ბუნებაზე ზემოქმედების დროს თავის საკუთარ არსებაში შეაქვს გონებრივი განვითარების მხრივ, (რითაც მას წინ მიჰყავს ცხოვრება, მატერიალური და სულიერი კულტურა,) რა თქმა უნდა, კვლავ გრძელდება და მომავალშიაც გაგრძელდება, რადგანაც ეს შრომითი პროცესი „...ანვითარებს ამ უკანასკნელში (ე. ი. ადამიანში — მ. ა.) მთვლემარე სხვადასხვა ნიჭს და მათ ამოქმედებას თავის საკუთარ ძალას უმორჩილებს"[2].

მაგრამ ადამიანი განმარტოებულად კი არ კბრძვის ბუნებას რობინზონ კრუზოსავით, არამედ ადამიანთა კოლექტივთან ერთად და გარკვეულ სოციალურ გარემოში. ამიტომ ადამიანის ამ ინტელექტუალური განვითარების წარმართვაში განმსაზღვრელ როლს თვით ეს სოციალური გარემო, მისი (ე. ი. ადამიანის) საზოგადოებრივად განსაზღვრული მდგომარეობა და ამ საზოგადოების საწარმოო იარაღების განვითარება თამაშობს. ეს გარემოება იმ საფუძველს ეყრდნობა, რომ ადამიანი არა მარტო იარაღის გამკეთებელი ცხოველია (ფრანკლინი), არამედ, ამავე დროს საზოგადოებრივი ცხოველიც (არისტოტელე).

---

1 კ. მარქსი კაპიტალი, ტ. I, გვ. 138.
2 იქვე, გვ. 138.

ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ცხოველთა სამეფოდან გამოყოფისთანავე ადამიანი უცბად არ გამხდარა ნამდვილ ადამიანად. წინააღმდეგ „ბიბლიისა“, მას კიდევ დიდი დრო დასჭირდა ვიდრე ასეთ ადამიანად გახდებოდა. ასეთ ადამიანად კი იგი გახადა შრომითი ჩვევების განმტკიცებამ და ირაღების გაუმჯობესებამ, რაც წინ ეწეოდა მის ფიზიკურსა და გონებრივ განვითარებას.

იარაღის გაკეთებით ადამიანი საბოლოოდ დასცილდა აუარებელი სახეობის დანარჩენ ცხოველთა მთელ სამყაროს და დასაბამი მისცა თავისი ადამიანური ისტორიის დასაწყისს. „შრომის საშუალებათა მოხმარება და შექმნა, — წერს მარქსი, — თუმცა მათი ჩანასახი ზოგი გვარის ცხოველებსაც უკვე მოეპოვებათ, სპეციფიურად ადამიანის შრომის პროცესს ახასიათებს. ამიტომ ფ რ ა ნ კ ლ ი ნ ი ადამიანს განსაზღვრავს როგორც „a toolmaking animal“-ს — იარაღის მკეთებელ ცხოველს“[1].

ამგვარად, როგორც მარქსი ამბობს, ყველა სხვა ცხოველებში, გარდა ადამიანისა, შრომის საშუალებათა მოხმარება და შექმნა ჩანასახის მდგომარეობას არ გასცილებია, ეს ცხოველები ამ იარაღების ნამდვილ შექმნამდე და მოხმარებამდე არ მისულან. „ხელით ზოგიერთი მაიმუნი, — წერს ენგელსი, — ხეზე ბუდეს იშენებს ანდა, როგორც შიმპანზე, ტოტებს შეა სახურავსაც კი იკეთებს ავდარში თავის შესაფარებლად. მტრებისაგან თავის დასაცავად ისინი ხელს ჰკიდებენ კეტს ანდა ნაყოფებსა და ქვებს უშენენ მათ. ისინი ტყვეობაში უამრავ მარტივ, ადამიანებისაგან გადმოღებულ ოპერაციებს ასრულებენ ხელით“. ...„მაგრამ მაინც თვით ყველაზე უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი ველურის ხელს ასობით ისეთი ოპერაციების შესრულება შეუძლია, რომელთაც ვერც ერთი მაიმუნის ხელი ვერ წაბაძავს. არც ერთი მაიმუნის ხელს არასოდეს თუნდაც სულ უხეში ქვის დანაც კი არ დაუმზადებია“[2].

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ადამიანთა ცხოვრებაში ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი მომენტი, ყველაზე დიდი მიღწევა და აღმოჩენა, იმათგან, რაც კი აქამდე მომხდარა, ან მომავალში მოხ-

---

1 კ. მარქსი კაპიტალი, ტ. I, გვ. 140,

2 ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქცევის პროცესში, (იხ. „ბუნების დიალექტიკა“, გვ. 172.).

ღება — ესაა სწორედ პირვანდელი უმარტივესი იარაღის გაკეთება. რომ ადამიანის წინაპარს (მაიმუნ-ადამიანს) ხანგრძლივ პროცესში ამ პირველი და გადამწყვეტი აქტისათვის არ მიეღწია, ის ადამიანად ვერ გადაიქცეოდა და, ამგვარად, ადამიანური განვითარების ყველა შესაძლებლობა დახშული იქნებოდა. მაშინ მოხსნილი იქნებოდა თვით ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების ისტორია. არ იქნებოდა არც ჰომეროსი და არც რუსთაველი, არც არისტოტელე და არც სპინოზა, არც ალექსანდრე მაკედონელი და არც ნაპოლეონი, არც ბეთხოვენი თავისი სიმფონიებით და არც შიდაატომური ენერგიის აღმომჩენი ჟოლიო კიური. არ იქნებოდა არც ვოლგა-დონის არხი და არც მოსკოვის მიწისქვეშა რკინიგზა, არც ჯადოქრული რადიო და არც რეაქტიული თვითმფრინავი. ყოველივე ამის მაგიერ, ბუნება დღესაც უადამიანოდ იქნებოდა თავისი პირველყოფილი უბიწოებით და ხელშეუხებლობით. მას არ ეყოლებოდა შემმეცნებელი სუბიექტი და, ამის გამო თავის ისტორიასაც იგი ვერაკისში ვერ გამოხატავდა და ვერ ასახავდა. აი ასეთი განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა „პირველი“ იარაღის გაკეთებას.

მართლაცდა, ამ პირველყოფილი ადამიანიდან, რომელმაც ქვის უბრალო ბლაგვი იარაღები გააკეთა, განუზომლად უფრო მცირე მანძილია თანამედროვე ადამიანამდე, რომელიც ზღვებს უკან ახევინებს და მთებს ანგრევს, ვიდრე ის მანძილი, რომლითაც ეს „პირველი იარაღის“ გამკეთებელი ადამიანი დასცილდა ცხოველთა სამეფოს მთელ დანარჩენ სამყაროს. ქვის ამ პირველ ბლაგვ იარაღებში პრინციპულად პოტენციაში უკვე მოცემული იყო შესაძლებლობა ყველა იმ სასწაულებრივი ტექნიკური აღმოჩენისა, რასაც ახლანდელმა ადამიანმა მიაღწია, და ან მიაღწევს მას ჰომაკალში.

ქვის ეს იარაღები და მშვილდ-ისარი ქმნიდნენ მაშინ ტექნიკურ ბაზას, რომელზედაც აღმოცენებული იყო მათი შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობა — პირველყოფილი თემური წყობილება ანუ წინაკლასობრივი საზოგადოება. ეს წინაკლასობრივი საზოგადოება დაშალა და ახალი წარმოებითი ურთიერთობა შექმნა ქვის იარაღებიდან ლითონის იარაღებზე გადასვლამ.

III. წინაკლასობრივი საზოგადოება და მისი დაშლა.

ადამიანი თავისი წარმოშობის შემდეგ ნახევარ მილიონ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა ისეთ საზოგადოებაში, რომლის დროსაც არ იყო არც კერძო საკუთრება, არც კლასები და არც სახელმწიფო. ახლა ასეთი საზოგადოება დიდი ხნის გამქრალია ან განვითარების ახალ ეტაპშია გადაზრდილი, და ათეულ საუკუნეთა მანძილით ჩვენგან დაშორებული და ისტორიის სიღრმეში დარჩენილი. მაგრამ XIX საუკუნეში ასეთი საზოგადოების გვიანდელი პერიოდის ცალკეული ნაპერწკლები აქა-იქ კიდევ ბჟუტავდა ოკეანეთა ზოგიერთ კუნძულებზე და კონტინენტთა მიყრუებულ ადგილებში. ესენი იყვნენ შედარებით მცირერიცხოვანი ტომები, რომელნიც თავიანთი სოციალური და გეოგრაფიული პირობების წყალობით დიდად ჩამორჩნენ ისტორიულ განვითარებას.

იმ დროს, როდესაც მოწინავე ქვეყნებში ორთქლის მანქანა, რკინიგზები და ელექტროენერგია იყო, ეს ჩამორჩენილი ტომები ჯერ ისევ ველურობის საშუალო საფეხურზე იდგნენ და პალეოლითის ტექნიკას ვერ გასცილებოდნენ. ეს საბრალო ხალხები არა მარტო „ისტორიამ დასაჯა“ ასეთი დუნე და დაგვიანებული განვითარებით, არამედ კიდევ უფრო მეტად — ევროპელმა და, პირველ რიგში ინგლისელმა ოკუპანტებმა სრული ფიზიკური განადგურებით.

ინგლისის ამ კოლონიზატორებზე ჯერ კიდევ ფრანგი ფილოსოფოსი ჰოლბახი წერდა, რომ ისინი—„სხვისი თავისუფლების მტერი“, „გამყიდველი, მანკიერი, გარყვნილი[1]“ ხალხიაო. მათ ცეცხლითა და მახვილით დაიწყეს მოსრა ათეულობით ამ პატარა და ჩამორჩენილი ხალხებისა. ინგლისელი ოკუპანტები დაუზოგავად ჟლეტდნენ ამ უდანაშაულო და უბედურ ტომებს მხოლოდ იმისათვის, რომ ხელთ ეგდოთ მათი მიწა-წყალი.

წინათ ეს ხალხები ასეული საუკუნეების განმავლობაში ბინად-

---

[1] გ. ვ. პლეხანოვი, ნარკვევი მატერიალიზმის ისტორიიდან, 1923 წ., გვ. 42.

რობდნენ თავიანთ მიწა-წყალზე და მძიმე, ღარიბულ, მაგრამ პატიოსან ცხოვრებას ეწეოდნენ. შემდეგ მათ არსებობას მიაგნო ევროპელი კოლონიზატორების „ცივილიზებულმა“ ხელმა. რომელმაც მოახრჩო და შესწყვიტა არა მარტო მათი ბუნებრივი განვითარება, არამედ თვით მათი არსებობაც.

ინგლისელ ოკუპანტებს არ ჩამორჩებოდნენ ესპანელი, პორტუგალიელი, ფრანგი და სხვა კოლონიზატორები, რომელნიც ამერიკის აღმოჩენის პირველივე წლებიდან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამერიკის და ახლად აღმოჩენილი სხვა ქვეყნების ოკუპაციასა და იქაური ძველი ბინადარი მოსახლეობის ჟლეტაში. საფრანგეთის მეფე ფრანცისკ I (1515—1547 წწ) ახლად აღმოჩენილ ამერიკის განაწილებაში საფრანგეთის პრეტენზიის გამო წერდა: „მზე მე ისევე მინათებს, როგორც სხვებს. მე ძალიან მინდა, ადამის ანდერძში ვნახო ის პარაგრაფი, რომელიც მართმევს ჩემს წილს მსოფლიოს მემკვიდრეობაში“.

ახლად აღმოჩენილ ამერიკაში შესეულ „განათლებულ“ ევროპელ ოკუპანტთა, კერძოდ, ესპანელთა ურდოების თარეში და მათი შემზარავი უაჩაღობა მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, დაწვრილებით აღწერა თავის წიგნში — „ინდოეთის ისტორია“[1] თვით ამ ამბების უშუალო მნახველმა დე ლას კაზასმა. „ესპანელებმა,—წერდა იგი,— დაიტაცეს მათი ქონება (ე. ი. ადგილობრივი ძველი მოსახლეობის — ინდიელების ქონება—მ. ა.). ისინი მათსავე თვალწინ აუპატიურებდნენ მათ ცოლებსა და ქალიშვილებს, უსასტიკესად ასახიჩრებდნენ მათ, სიამოვნებას ნახულობდნენ მათთვის ხელის, ფეხის, ყურების მოჭრაში, თვალების დათხრასა და ენის ამოძრობაში, ჩამოხრჩობასა და დაწვაში, მათი ბავშვების მიწაზე გასრესაში და ძაღლებისთვის შესაჭმელად მიგდებაში“.

იმავე დე ლას კაზასის გადმოცემით, ერთმა ესპანელმა, როდესაც მას ნადირობის დროს ძაღლებისათვის საჭმელი შემოაკლდა, ინდიელ ქალს მკერდიდან ბავშვი მოჰგლიჯა, ხმლით აკუწა იგი და თავის ძაღლებს შესაჭმელად მიუყარა.

---

1 ამერიკას, როგორც ცნობილია, მაშინ შეცდომით „ინდოეთს“ უწოდებდნენ, და ამის გამო ამერიკის ძველ ბინადარ მოსახლეობასაც ევროპელებმა „ინდიელები“ შეარქვეს.

ეს მცირე ექსკურსი, ჩვენი ძირითადი საკითხიდან გადახვევით, იმიტომ გავაკეთეთ, რომ ნათელი გაგვეხადა, თუ რა საქმიანობით იყვნენ გართულნი ბურჟუაზიული კოლონიზატორები, რომელნიც სხვამხრივ სრულ უმოქმედობას იჩენდნენ თავისთავად მეცნიერებისათვის დიდად საინტერესო ამ ჩამორჩენილი ტომების ყოფა-ცხოვრების და მათი სულიერი და მატერიალური კულტურის მეცნიერული შესწავლის საქმეში. ამ შესწავლას ბევრი რამის მოცემა და ახსნა შეეძლო საერთოდ ადამიანთა პირველყოფილი მდგომარეობის მოგვიანო პერიოდების შესახებ, რომლებიც ევროპის ცივილიზებულ ერებს დიდი ხნის წინათ ჰქონდათ გავლილი და, რომელთა შესახებაც მათ წერილობით წყაროებში საჭირო ცნობები არ მოიპოვებოდა.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში ჯერ ევროპელი და მერე ამერიკელი თეთრი რასის კოლონიზატორები სპობდნენ და ანადგურებდნენ ამ ხალხებს, ხელთ იგდებდნენ მათ მიწა-წყალს, ხოლო მათი კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიის შესწავლას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ.

ისინი ამ ხალხებს, მათი ჩამორჩენილობის გამო, მეცნიერული კვლევა-ძიების ღირსად არ სთვლიდნენ. მათ არ ესმოდათ, რომ ეს ხალხები სწორედ თავისი ამ ჩამორჩენილობის გამო იყვნენ მეცნიერებისათვის საინტერესონი, რამდენადაც მათი შესწავლა გასაღებს იძლეოდა ისტორიული განვითარების გარდასულ საფეხურთა გახსნისა და გაგებისათვის. არა ევროპელი ხალხების ისტორიის შესწავლისადმი ეს ქედმაღლური დამოკიდებულება ძლიერად გამოხატა ვოლტერმა, რომელიც წერდა, რომ „მათი წინაპრები იმდენად საჭიროებენ ისტორიულ აღწერას, რამდენადაც მათი ქვეყნის მელები და ვეფხვები“.

ყოველივე ამის შედეგად, დიდი ხნის განმავლობაში ბნელით იყო მოცული ადამიანთა ისტორიის ეს დასაწყისი საფეხურები, მათი სპეციფიკურობა და ხასიათი. ბურჟუაზიულმა ისტორიულმა მეცნიერებამ, რომელმაც კლასთა ბრძოლის არსებობა აღმოაჩინა ისტორიაში (მენიე, გიზო, ტიერი), დიდი ხნის განმავლობაში წინაკლასობრივი საზოგადოების არსებობას ვერც მიაგნო და ვერც ვერავითარი მასალა მოგვცა მის შესახებ. ხოლო მარქსსა და

ენგელსს, რომელნიც სპეციალურად კაპიტალისტურ ეკონომიკას და ზედნაშენებს იკვლევდნენ, მაშინ თავიანთ ძიების საგნად არ ჰქონდათ ეს საკითხი გადაქცეული. ამიტომ მათ წარსული საუკუნის ორმოციან წლებში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული თავიანთი შეხედულება წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიაზე. როგორც ცნობილია, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" პირველ გამოცემაში 1848 წელს ისინი წერდნენ: „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია"-ო[1].

ამ პერიოდში არ იყო აგრეთვე აღმოჩენილი ძველ ოჯახთა ფორმების ხასიათი და მათი თანდათანობითი განვითარება. ეს ოჯახები კი ერთგვარ ფორმას, თუ ორგანიზაციულ ჯერედს წარმოადგენდნენ წინაკლასობრივი საზოგადოების არსებობისას. „სამოციანი წლების დასაწყისამდე,—წერდა ენგელსი,—შეუძლებელი იყო ოჯახის ისტორიაზე ლაპარაკი. ისტორიული მეცნიერება ამ დარგში ჯერ კიდევ სავსებით მოსე წინასწარმეტყველის ხუთი წიგნის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა"[2].

გვიან, მაგრამ ბოლოს მაინც ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ დაიწყეს ამ საკითხების შესწავლა. 1861 წელს გამოვიდა ბახოფენის წიგნი „დედის უფლება", რომელმაც, ენგელსის თქმით, დასაწყისი მისცა ოჯახის მეცნიერული შესწავლის საქმეს. 1871 წელს მორგანმა პირველად გამოაქვეყნა მასალები ამ საკითხზე, ხოლო 1877 წელს მან გამოსცა ეპოქის შემქმნელი წიგნი „პირველყოფილი საზოგადოება". მორგანმა აღმოაჩინა და ძირითადად სწორადაც გაარკვია მთელი ეს ხანგრძლივი პერიოდი „პირველყოფილი საზოგადოებისა", რომელიც წინ უსწრებდა კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნას.

მარქსმა და ენგელსმა მაშინვე უდიდესი ყურადღება მიაქციეს ამ საკითხს, რადგანაც იგი, ერთი მხრით, მთელ ხარვეზს ავსებდა ისტორიულ მეცნიერებაში — ამ ისტორიის დასაწყისი და ყველაზე ხანგრძლივი პერიოდის აღმოჩენით, ხოლო, მეორე მხრით, მორგანის ეს აღმოჩენა პრეისტორიაში, ადასტურებდა „...მარქსის მიერ ორმო-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1952 წ., გვ. 37.

[2] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 9.

ცი წლის წინათ აღმოჩენილ ისტორიის მატერიალისტურ გაგებას..“[1].

მარქსმა გულდასმით შეისწავლა ეს პერიოდი და ფიქრობდა, სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა მისთვის და უფრო ზუსტად და დასაბუთებულად მოეცა პრეისტორიის ხასიათი და კანონზომიერება, ვიდრე ეს მორგანს და სხვებს ჰქონდათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ განზრახვის შესრულებას სიკვდილმა შეუშალა ხელი, და ისტორიამ დაკარგა შესაძლებლობა — თავისი დასაწყისი ეპოქა მარქსის გენიით გამოეხატა.

აღნიშნული ამოცანის შესრულება, ამ საკითხზე მარქსის მიერ დატოვებული კონსპექტებისა და შენიშვნების გამოყენებით, ენგელსმა მარტოდ იდო თავს და 1884 წელს გამოსცა კიდეც თავისი ცნობილი შრომა — „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“. 1919 წელს სვერდლოვის უნივერსიტეტში „სახელმწიფოს შესახებ“ წაკითხულ ლექციაში ლენინი ენგელსის ამ შრომაზე ამბობდა, რომ „ეს არის თანამედროვე სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი თხზულება, რომელშიც შეგვიძლია ვენდოთ ყოველ ფრაზას“[2].

ენგელსმა 1888 წელს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“-ს ახალ გამოცემას სქოლიოში დაურთო შენიშვნა იმ ფრაზას, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია“. ამ შენიშვნაში ენგელსი წერდა: „ესე იგი, ზუსტად რომ ვთქვათ, ისტორია, რომელიც წ ე რ ი ლ ო ბ ი თ წყაროებშია მოცემული. 1847 წელს თითქმის სრულიად უცნობი იყო საზოგადოების წინაისტორია, ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც წინ უძღოდა მთელ დაწერილ ისტორიას... თანდათან აღმოჩნდა, რომ სოფლის თემი საერთო მიწათმფლობელობით პირველყოფილი ფორმა იყო საზოგადოებისა ინდოეთიდან დაწყებული ირლანდიამდე. დასასრულ, მორგანმა დააგვირგვინა საქმე იმით, რომ აღმოაჩინა გ ვ ა რ ი ს ნამდვილი ბუნება და მისი მდგომარეობა ტ ო მ შ ი, რითაც ცხადჰყო ამ პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების შინაგანი ორგანიზაცია მის ტიპიურ ფორმაში. ამ პირველყოფილი თემის დაშლასთან

---

[1] იქვე, გვ. 5.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 29, გვ. 556.

ერთად იწყება საზოგადოების დიფერენციაცია განცალკევებულ და, ბოლოს, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ კლასებად"[1]. ყველა ეს საკითხები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ენგელსმა დეტალურად გააშუქა 1884 წელს გამოცემულ თავის უკვდავ წიგნში --- „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა".

ასეთია მოკლედ წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის აღმოჩენისა და შესწავლის ისტორია. ამ დროიდან დაწყებული დღემდე ბურჟუაზიული მკვლევარნი და რელიგიის მსახურნი ებრძვიან ამ თეორიას. მათ არ უნდათ იცნონ წინაკლასობრივი საზოგადოების, ამ პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების არსებობა. ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანთა საზოგადოება ყოველთვის იყო, არის და იქნება მდიდრებად და ღარიბებად, მქონებლებად და არა მქონებლებად დაყოფილი.

ამ საკითხში ერთსულოვნება არსებობს ყველა ჯურის რელიგიურ სისტემებსა და ბურჟუაზიის საერო სწავლულთა შორის. ძველი ინდოელების რელიგიის მიხედვით, ადამიანები კლასებად დაყო თვითონ ღმერთმა (ამ საკითხზე იხ. გვ. 247). „ყურანის" მიხედვითაც, სრულუფლებიანნი და უუფლებონი, ბატონები და მონები წარმოქმნა თვითონ ალახმა (თავი XLIII. § 31). ამასვე ქადაგებენ ქრისტიანული რელიგიის მესვეურნი. რომის ახლანდელი პაპი პიი XII თავის ერთ-ერთ მიმართვაში წერდა: „ისტორია გვასწავლის, რომ მდიდრები და ღარიბები ყოველთვის იყვნენ და ყოველთვის იქნებიან, ეს კაცობრიობის უცვლელი ხვედრიაო". „ქრისტეს მოადგილე" პაპი აქ უტიფრად ცრუობს. ისტორია სწორედ იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რის დამტკიცებასაც პაპი ცდილობს. რა ვუყოთ, ასეთია რომის პაპების ჯილაგი: ისინი ყოველთვის იმის საწინააღმდეგოს დამტკიცებას ლამობენ, რაც მეცნიერებას ურყევად დაუმტკიცებია.

ამგვარად, რელიგია და მისა მსახურნი ღმერთის არგუმენტით იბრძვიან პირველყოფილი კომუნიზმის თეორიის წინააღმდეგ. ისინი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამტკიცებდნენ, რომ ღმერთმა თავიდანვე ადამიანთა საზოგადოება შექმნა როგორც მდიდართა და ღარიბთა საზოგადოება, რომელიც დასაბამიდანვე არ იცნობდა ადამიანთა

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1952 წ., გვ. 37.

თანასწორობას. ბურჟუაზიული ისტორიკოსები, ეთნოგრაფები და არქეოლოგები კი, რომელნიც ღმერთის არგუმენტის მოშველიებას აშკარად ვერ ბედავენ, ცდილობენ წინაკლასობრივი საზოგადოების არსებობა ჯიუტად უარყონ ფაქტებისათვის მახინჯი ინტერპრეტაციის მიცემით და არ იცნონ იგი, თითქოს მათი ცნობა-არცნობის მიხედვით იცვლებოდეს და კეთდებოდეს, ან ისპობოდეს და იქმნებოდეს ჭეშმარიტება.

ცნობილი სოციალ-ფაშისტი ჰ. კუნოვი გადაჭრით ილაშქრებს პირველყოფილი კომუნიზმის აღიარების წინააღმდეგ. 1931 წელს ბრიუსელის უნივერსიტეტის რექტორმა სმეტსმა თავისი საინაუგურაციო სიტყვა პირველყოფილი კომუნიზმის არსებობის უარყოფას მიუძღვნა. მაგრამ ისტორიას დიდი ხანია ჩაბარდა ის დრო, როდესაც ფაქტებით დაუმოწმებელი ცარიელი სიტყვა არგუმენტად იყო მიჩნეული, როდესაც, ჰელვეციუსისა არ იყოს, „ჭეშმარიტებას ცეკვით ამტკიცებდნენ“, როგორც ეს რუანელმა იეზუიტებმა სცადეს 1750 წელს. ერთი სიტყვით, მტკიცება ფაქტებს საჭიროებს, ეს ფაქტები კი პირველყოფილი კომუნიზმის, წინაკლასობრივი საზოგადოების არსებობის სასარგებლოდ ღაღადებენ.

ეს წინაკლასობრივი ეპოქა მეტად ხანგრძლივ, თითქმის ნახევარი მილიონი წლების ისტორიას მოიცავს. იგი პერიოდებად და საფეხურებად დაყო მორგანმა, და ეს დაყოფა შემდეგ მიიღო ენგელსმა. მათვე მოგვცეს პირველად ამ პერიოდების საფუძვლიანი დახასიათება. „მ ო რ გ ა ნ ი პირველია, —წერდა ენგელსი, — ვინც საქმის ცოდნით შეეცადა გარკვეული წესრიგი შეეტანა კაცობრიობის პრეისტორიაში; სანამ მასალის მნიშვნელოვანი გაფართოება არ გვაიძულებს ცვლილება მოვახდინოთ, მისი დაჯგუფება ძალაში დარჩება“[1].

მორგანისა და ენგელსის შემდეგ მრავალი მნიშვნელოვანი აღმოჩენა მოხდა პრეისტორიაში, ამ აღმოჩენებმა უფრო ფართოვა ჩვენი ცოდნა პრეისტორიული ადამიანის ორგანიზმის კონსტიტუციისა, მისი საწარმოო იარაღების განვითარებისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებისა, პრეისტორიული ეპოქების ქრონოლოგიისა

---

1 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 23.

და სხვა საკითხებში. აღმოჩენილ იქნა პრეისტორიულ ადამიანთა — სინანთროპის (1927—1937 წწ), ჰაიდელბერგელის (1907 წ.) და სხვათა ჩონჩხების ნაშთები, აგრეთვე ადამიანის უახლოეს და შორეულ წინაპართა—პითეკანთროპის (1891 წ.), პროპლიოპითეკის, პარაპითეკის (1911 წ.) და სხვათა ნაშთები. ამ ახალი აღმოჩენების შემდეგაც ჯერჯერობით ძირითადად ისევ ძალაში რჩება პრეისტორიის მორგანისეული დაყოფა ეპოქებად და საფეხურებად, იმ ცვლილების გათვალისწინებით, რაც მასში ლენინმა შეიტანა.

ახალი მასალის აღმოჩენის შედეგად პრეისტორიის ცალკეული ეპოქების დახასიათება ახლა შედარებით უფრო სრულად შეიძლება, ვიდრე ეს წინათ იყო შესაძლებელი. ხოლო მასალის მოპოვება და დადგენა კვლავაც გრძელდება, და, ცხადია, ეს მასალა მომავალში კიდევ უფრო გაზრდის ჩვენს ცოდნას ამ ეპოქების შესახებ.

მორგანისა და ენგელსის მასალის, აგრეთვე მათ შემდეგ აღმოჩენილი ზოგიერთი სხვა მასალის მიხედვით, ჩვენ მოკლედ შემდეგნაირად წარმოგვიდგება ამ პრეისტორიის, წინაკლასობრივი საზოგადოების სურათი. იგი იწყება 500.000-იან წლებიდან „პირველი“ ადამიანის—სინანთროპის წარმოშობით, როდესაც პირველად ჩნდება ქვის უმარტივესი იარაღები, და დაახლოებით გრძელდება — თუ ბარბაროსობის ზედა საფეხურიდან ცივილიზაციისაკენ გარდამავალ პერიოდს მას მივაკუთვნებთ — ძველი წელთაღრიცხვის 4.000-იან წლებამდე. ამ ხანებში კი უძველეს ქვეყნებში—ეგვიპტესა და ბაბილონში იწყება ცივილიზაციის ეპოქა და მკვიდრდება კლასობრივი საზოგადოება ყველა თავისი ძირითადი ატრიბუტით: მონოგამიური ოჯახით, კერძო საკუთრებით, კლასებით და სახელმწიფოთი.

პრეისტორიის ეს ხანგრძლივი პერიოდი მორგანმა გაყო ორ ძირითად ეპოქად: ველურობად და ბარბაროსობად. „თითოეულს ამ ორი ეპოქიდან, — წერს ენგელსი, — იგი (ე. ი. მორგანი — მ. ა.) საარსებო საშუალებათა წარმოების პროგრესის მიხედვით ქვედა, საშუალო და ზედა საფეხურად ჰყოფს; იმიტომ რომ, ამბობს იგი, „დახელოვნებას ამ წარმოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად წინ წასულა ადამიანი და რამდენად დაუმორჩილებია მას ბუნება; ყველა არსებათაგან მხოლოდ ადამიანმა მიაღწია თითქმის განუსაზღვრელ ბატონობას საკვები მასალის წარმოებაზე. ადამიანის პროგრესის: ყველა დიდი

ეპოქა პირდაპირ თუ არაპირდაპირ საარსებო წყაროების გაფართოებას თანაემთხვევა ხოლმე"[1].

მორგანის მიხედვით ენგელსი მოკლედ ასე საზღვრავს ველურობასა და ბარბაროსობას და აღნიშნავს იმ ძირითად ნიშნებს, რომლებიც წინაკლასობრივი საზოგადოების ამ ორ ეპოქას ერთმანეთისაგან განასხვავებენ. „ველურობა, — წერს ენგელსი, — ესაა ხანა უმთავრესად მზამზარეული ბუნებრივი პროდუქტების მითვისებისა; ადამიანის ხელოვნური პროდუქტები უმთავრესად ამ მითვისების დამხმარე ხელსაწყოებს წარმოადგენენ. ბარბაროსობა — ესაა ხანა მესაქონლეობის და მიწათმოქმედების შემოღებისა და იმ მეთოდების შესწავლისა, რომელთა შემწეობით ადამიანის შრომა ამრავალკეცებს ბუნებრივი პროდუქტების წარმოებას"[2].

როგორც აღნიშნული იყო, ველურობა და ბარბაროსობა საფეხურებად იყოფა. ველურობის ქვედა საფეხური, წერს ენგელსი, „ესაა, ადამიანთა მოდგმის ბავშვობა"[3]. ველურობის ამ ქვედა საფეხურით იწყება ადამიანთა თავდაპირველი ისტორია 500.000-იანი წლებიდან; ტექნიკაში მას შეესაბამება პირველი და უმარტივესი, ქვედა პალეოლითის (ძველი ქვის) იარაღების გამოგონება, რომლის არსებობაც ადამიანთან ერთად იწყება, რადგან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისინი ერთმანეთს ქმნიან და ერთმანეთს წარმოშობენ.

ნ. მარის ცრუმეცნიერული შეხედულებით, ველურობის ამ სტადიაზე, და დიდხანს მის შემდეგაც, ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში იყო მეტად ხანგრძლივი ე. წ. „უენო პერიოდი", როცა ადამიანს არ გააჩნდა ბგერითი ენა და სარგებლობდა ჟესტების, ანუ ხელის ენით. თავის შრომაში — „ენა და აზროვნება" ნ. მარი ამტკიცებდა, რომ ადამიანის არსებობის მთელ ისტორიაში ეს „უენო პერიოდი", ანუ ხელის ენის პერიოდი რამდენიმეჯერ უფრო ხანგრძ-

---

1 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. 1938 წ., გვ. 23.

2 იქვე, გვ. 29.

3 იქვე, გვ. 23.

ლიკია, ვიდრე ბგერითი ენის პერიოდიო. „ლოკალიზაცია უყო რა მარჯვენა ხელში აზროვნებას, —წერდა ნ. მარი აღნიშნულ შრომაში, — ხელის ენამ გაიმარჯვა და სტანდარტიზებული, მთელ ქვეყანას მოედო". ნ. მარის მოწაფე ი. მეშჩანინოვი კი ბაქოში წაკითხულ თავის მოხსენებაში „იაფეტოდოლოგია და მარქსიზმი" ადამიანის მიერ პირველი ქვის იარაღების გაკეთებას ათარიღებს დაახლოებით 360.000 წლებით და წერს: „იარაღების დამზადების შემძლე ადამიანის 360.000 წლის სიგრძის არსებობიდან ხმიერი ენით მოლაპარაკე ადამიანს მხოლოდ 60.000 წელი მოუდისო".

მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ ასეთი შეხედულების სიყალბეს და აღნიშნავდნენ, რომ ადამიანთა საზოგადოების ისტორიას ასეთი „უენო პერიოდი" არა ჰქონია. მათი გაგებით, ადამიანთა საზოგადოებას თავისი ისტორიის პირველ სტადიაზევე ჰქონდა დანაწევრებული ენა. „ამ დროის (ე. ი. ველურობის ქვედა საფეხურის — მ. ა.) მთავარი შედეგი, — წერს ენგელსი, — დანაწევრებული ენის შემუშავებაა"[1]. „ბგერითი ენა ანუ სიტყვების ენა, — წერს ამხანაგი სტალინი, — ყოველთვის იყო ადამიანთა საზოგადოების ერთადერთი ენა", რადგანაც „ისტორიას არ ახსოვს ადამიანთა არც ერთი საზოგადოება, თუნდაც ყველაზე ჩამორჩენილი, რომელსაც არ ჰქონოდა თავისი ბგერითი ენა"[2].

ველურობის ამ ქვედა საფეხურზე ჯერ არ არის წარმოქმნილი ოჯახის უძველესი ფორმები. ამიტომ, მორგანის მიხედვით, სქესობრივი ურთიერთობა ამ დროს პრომისკუიტეტის ხასიათს ატარებდა, ე. ი. სრულიად მოუწესრიგებელი და შეუზღუდველი იყო. ამ დროს „...ყოველი დედაკაცი, — წერს ენგელსი, — თანაბრად ყოველ მამაკაცს ეკუთვნოდა, ხოლო ყოველი მამაკაცი ყოველ დედაკაცს ჰფლობდა"[3].

ამ საფეხურზე ჯერ წარმოქმნილი არაა არც გვარი, ამიტომ, როგორც ჯერ ენგელსმა და მერე კი უფრო მკვეთრად ლენინმა

---

1 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 23.

2 ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950 წ., გვ. 44.

3 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 33.

აღნიშნა, ადამიანები ჯოგურად ცხოვრობდნენ. ადამიანს, როგორც ყველაზე უფრო საზოგადოებრივ ცხოველს, საერთოდ, არასდროს არ შეუძლია იცხოვროს საზოგადოების, კოლექტივის გარეშე განმარტოებულად. მით უფრო ეს არ შეეძლო ცხოველთა სამეფოდან პირველად გამოყოფილ ადამიანს, რომელიც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე უმეტესად სუსტი იყო ახლა, თავისი ისტორიის ამ დასაწყისს სტადიაში. მას, რა თქმა უნდა, განმარტოებითი ცხოვრებით არც საკმაო საკვების შოვნა შეეძლო და არც თავის დაცვა ონავარი მხეცებისაგან. საკუთარი მძიმე მდგომარეობა მას სხვა ადამიანებთან გაერთიანებას უკარნახებდა.

პრომისკუიტეტის არსებობა, რომელიც გამორიცხავდა რაიმე ფართე ხასიათის ნათესაური კავშირის დადგენას, და აგრეთვე მეტად ჩამორჩენილი ტექნიკა, ველურობის ამ ქვედა საფეხურზე ადამიანთა გაერთიანების რაიმე მაღალი ფორმის შექმნის საშუალებას არ იძლეოდა, ასეთ ვითარებაში ისინი ქმნიან გაერთიანების ყველაზე დაბალ ფორმას — ჯოგს. „ისეთ უიარაღო ცხოველს, როგორიც პირველყოფილი ადამიანია, არ შეეძლო თავის გატანა არც განმარტოებით, არც იმ ინდივიდუალური შეყრის შემწეობით, რომელსაც ვესტერმარკი მონადირეების ცნობების მიხედვით გორილასა და შიმპანზეს მიაწერს. ცხოველობიდან გამოსასვლელად, იმ უდიდესი პროგრესის მისაღწევად, რომელსაც ბუნებაში ვხვდებით, კიდევ ერთი ელემენტი იყო საჭირო: ის რაც ცალკე ინდივიდუმს თავდაცვის უნარის მხრით აკლდა, უნდა შევსებულიყო ჯოგის გაერთიანებული ძალითა და საერთო მოქმედებით“[1].

ადამიანთა ჯოგური ცხოვრების ეს პერიოდი იმდენად ხანგრძლივი და აუცილებელი საფეხური იყო ისტორიულ განვითარებაში, ამავე დროს იმდენად განსხვავებული მისი მომდევნო უფრო მაღალი ფორმისაგან — გვაროვნული წყობილებისაგან ანუ პირველყოფილი კომუნისაგან, რომ ლენინი წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიას ორ ნაწილად — პირველყოფილ ჯოგად და პირველყოფილ კომუნად ჰყოფს[2].

---

1 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 36.

2 იხ. ლენინის ორი წერილი მ. გორკისადმი (1913 წ. თარიღით).

ველურობის ამ ქვედა ანუ, ლენინის მიხედვით, ჯოგურ საფეხურზე მეტად ძნელი, უხალისო და უსიხარულო იყო მთელ დანარჩენ ცხოველთა სამეფოსაგან ახლად დაცილებულ ადამიანთა ცხოვრება. ამ პირველ ადამიანებს თავისი ბუნებით ბევრი რამ ჰქონდათ საერთო იმ ცხოველებთან, რომელთა ჭიპსაც ისინი „გუშინ“ იარაღის გაკეთებამ მოსწყვიტა. ამ დროს ჯერ კიდევ „ადამიანის შრომას მოცილებული არა აქვს თავისი პირველი ინსტიქტური ფორმები“[1]. მას ჯერ კიდევ ქვის უბრალო ბლაგვი იარაღების, საკუთარი ხელების, ფეხებისა და კბილების მეტი არაფერი გააჩნია არც ბუნების და არც ონავარი მხეცების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მართალია, ქვის ამ უბრალო იარაღების გამოგონებამ განუზომლად გაზარდა ბუნების წინააღმდეგ მისი ბრძოლის ეფექტიანობა, მაგრამ, საერთოდ, იგი ჯერ მაინც მეტად უმწეო მდგომარეობაშია.

პირველყოფილი ადამიანის ეს უმწეო მდგომარეობა, ამ მდგომარეობიდან ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგაც კი — ბარბაროსობის ზედა საფეხურზე ძლიერად აღიბეჭდა ძველი ხალხების მითოლოგიაში და, კერძოდ, ფანტაზიით და გამომგონებლობით საოცრად მდიდარ ბერძნულ მითოლოგიაში. მითში „პრომეთეოსის“ შესახებ, მოთხრობილია ამბავი იმაზე, თუ რა მძიმე იყო „პირველი ადამიანების“ ცხოვრება დედამიწაზე და როგორ დაეხმარა მათ ღმერთების შთამომავალი — პრომეთეოსი ამ მძიმე მდგომარეობის დაძლევაში.

თუ ჩვენ გონების ძალით ფანტაზიაში წარმოვისახავთ ამ „პირველი ადამიანის“, ერთგვარი გაგებით, ამ პირველი „უგვარტომო“ და „ნამდვილი კოსმოპოლიტი“ ადამიანის მდგომარეობას, ჩვენთვის გასაგები გახდება რომ მისი ეს მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე კუნძულზე გარიყულ რობინზონ კრუზოსი. თუ რობინზონ კრუზოს კუნძულზე თან მიჰყვა ზოგიერთი საგანი და, რაც მთავარია, ცოდნისა და გამოცდილების დიდი მარაგი, რამაც იგი საბოლოო ანგარიშით დაღუპვისაგან იხსნა, პირველყოფილი ადამიანი ყოველივე ამას მოკლებული იყო.

მას არა მარტო არაფერი გააჩნდა, გარდა ქვის უბრალო ბლაგვი იარაღებისა, არამედ იმის გაგებაც არ ჰქონდა, თუ რა აკლდა და რა

---

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. 138.

იყო მისთვის საჭირო. ამ ვითარების გამო მეტად მარტივი იყო მისი მოთხოვნილებაც. „კულტურის პირველ საფეხურებზე, — წერს მარქსი, — მოპოვებული საწარმოო ძალა შრომისა უმნიშვნელოა, მაგრამ ასევე უმნიშვნელოა მოთხოვნილებებიც, რომლებიც ვითარდება მათი დაკმაყოფილების საშუალებებთან ერთად"[1]. პირველყოფილი ადამიანის ამ მარტივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მაინც საჭიროებდა მთელ დღეს ტყე-ღრეში ხეტიალს საჭირო საკვების მოსაპოვებლად. მის საკვებს კი ამ პერიოდში „სხვადასხვა ხეხილი, კაკალი, მცენარის ფესვი წარმოადგენს"[2].

ადამიანთა საზოგადოების განვითარების ეს დასაწყისი საფეხური დიდი ხანია უკვე განვლილია და ამჟამად დედამიწის არც ერთ კუთხეში ადამიანი აღარ დგას თავისი ისტორიის ამ სტადიაზე. ამიტომ ეთნოგრაფიას არ შეუძლია აქ რაიმე არსებითი დახმარება გაგვიწიოს. „იმ ხალხებიდან, — წერს ენგელსი, — რომელნიც ცნობილნი გახდნენ ისტორიული პერიოდის განმავლობაში, არც ერთი აღარ ეკუთვნოდა ამ პირველყოფილ მდგომარეობას. თუმცა შეიძლება ეს მდგომარეობა მრავალი ათასი წელი გაგრძელდა, მაგრამ პირდაპირი დამამოწმებელი საბუთები არ გვაქვს მის დასამტკიცებლად; მაგრამ თუკი ვაღიარებთ, რომ ადამიანი ცხოველთა სამყაროდან წარმოსდგა, ამ გარდამავალი საფეხურის მიღება აუცილებელია"[3].

ამ პერიოდში მეტად ღარიბია ადამიანის სულიერი სამყაროც. მას ჯერ კიდევ ყველაზე ძველი, ყველაზე ადვილი და შემცდარი იდეოლოგია — რელიგიაც კი არ გააჩნდა.

ველურობის საშუალო საფეხურზე ადამიანი მაშინ გადადის, როდესაც იგი იწყებს თევზის გამოყენებას საკმელად, ხახუნით ცეცხლის გაჩენას[4], შუბის გამოგონებას და სხვა. ზოგიერთი ჩამორ-

---

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. 458.

2 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 23.

3 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 23—24.

4 ბუნებაში შემთხვევით ნახული ცეცხლის ხმარება ჯერ კიდევ სიცხახთრობა იცოდა, მაგრამ მან არ იცოდა მისი ხელოვნური მიღება.

ჩენილი ავსტრალიელი და პოლინეზიელი ტომები განვითარების ამ საფეხურზე იდგნენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ცეცხლის გამოგონება და თევზის გამოყენება საჭმელად დიდი პროგრესი იყო ადამიანის ცხოვრებაში. „ამ ახალი საკვების წყალობით კი, — წერს ენგელსი, — ადამიანები დამოუკიდებელი გახდნენ ჰავისა და ადგილმდებარეობიდან; გაჰყვნენ რა მდინარეებსა და ნაპირებს, მათ თვით ველურ მდგომარეობაში შესძლეს დედამიწის უდიდესი ნაწილი დაეპირათ“[1]. ცეცხლის ხმარებამ ამ საფეხურზე ადამიანს საშუალება მისცა უფრო ფართოდ გამოეყენებინა საკვებად მცენარის შემწვარი ბოლქვები და ფესვები. ხოლო შუბის გამოგონებამ ნანადირევი მის დამატებით საკვებად აქცია[2].

აღსანიშნავია, რომ ველურობის სტადიაზე, ადამიანის ამ მითვისებით მეურნეობას დიდად უწყობდა ხელს სამხრეთის ტროპიკული ქვეყნების ტყეთა სიმდიდრე ხილითა და მრავალნაირი მცენარეულობით. ხოლო ამ საფეხურზე ადამიანი უმთავრესად სამხრეთის ქვეყნებში ცხოვრობდა. მითვისებითი მეურნეობის ეს შედარებითი სიუხვე შემდეგ ისტორიულ ხანაში და ახალ დროშიც იგრძნობოდა სამხრეთის ქვეყნებში. მარქსს მოჰყავს ცნობა, რომ მალაის არქიპელაგზე, ტყეში, სადაც საგო იზრდება, „ადგილობრივი მცხოვრებნი ხვრეტენ ხეს და, როდესაც დარწმუნდებიან, რომ გული დამწიფებულია, სჭრიან მას და ანაწილებენ მრავალ ნაჭრად; შემდეგ ამოფხეკენ გულს, შეურევენ წყალს, გასწურავენ და ამგვარად იღებენ სავსებით მოსახმარ საგოს ფქვილს. ერთი ხე ჩვეულებრივად 300 გირვანქას იძლევა და შეუძლია 500—600 გირვანქამდე მოცემა. ამნაირად, იქ ისე მიდიან ტყეში თავისთვის პურის მოსაჭრელად, როგორც ჩვენში წეშის დასამზადებლად“[3].

---

1 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 24.

2 იქვე, გვ. 24.

3 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 461.

მარქსს მოჰყავს ძველი ბერძენი ისტორიკოსის დიოდორე სიცილიელის ცნობაც ბუნებრივი პირობების სიუხვის გამო ძველ ეგვიპტეში ცხოვრების შედარებით სიადვილის შესახებ. „სრულიად დაუჯერებელია, — წერს დიოდორე, — თუ რა მცირე შრომას და ხარჯებს იწვევს მათთვის მათი ბავშვების აღზრდა. ისინი მათ სულ უბრალო საჭმელს უხარშავენ; აძლევენ მათ აგრეთვე საჭმელად პაპირუსის ძირის ნაწილს, რამდენადაც შესაძლებელია მისი ცეცხლზე შეწვა, და ჭაობის მცენარეების ფესვებსა და ღეროებს, ხანნედლს, ხან მოხარშულს და ხან შემწვარს. ბავშვების უმრავლესობა ფეხშიშველა და ტანშიშველა დაიარება, რადგანაც ჰავა ძალიან რბილია, ამიტომ ბავშვი, სანამ გაიზრდებოდეს, მშობლებს საერთოდ, 20 დრახმაზე[1] მეტი... არ უღირს"[2].

მაგრამ სამხრეთის ქვეყნების ბუნებრივი პირობების ასეთ სიუხვეს, როდესაც იგი ადამიანს მზამზარეულად საკვების ერთგვარ ნაწილს აძლევდა მისათვისებლად წარმოებითი შრომის გარეშე, თავისი უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა, რადგანაც „მეტისმეტად ხელგაშლილი ბუნება „ადამიანს, როგორც ბავშვს ხელით ატარებს". იგი არ ხდის მის საკუთარ განვითარებას ბუნებრივ აუცილებლობად"[3]. დროთა ვითარებაში, ერთი მხრით, ადამიანთა გამრავლების, ხოლო, მეორე მხრით, თვით იარაღების გაუმჯობესების გამო, ადამიანი სამხრეთის ამ ცხელი ქვეყნებიდან ჩრდილოეთით მოიწევს და ზომიერ ზონაში გადმოდის. ზომიერ ზონაში ცხოვრება კი, წლის დროთა ცვალებადობაში მეტი განსხვავებისა და ბუნების სიმკაცრის გამო, უფრო მეტად უბიძგებდა ადამიანს შრომიერი პროცესისა და საწარმოო იარაღების განვითარებისაკენ ბუნების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ველურობის ზედა საფეხური იწყება მშვილდ-ისრის გამოგონებით. „მშვილდი, ლამბი და ისარი უკვე მეტად რთულ იარაღს წარმოადგენენ. ამ იარაღის გამოგონება ხანგრძლივ დაგროვილ გამო-

---

1 ერთი დრახმა უდრის დაახლოებით 36—40 კაპიკს.

2 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 459,

3 იქვე, გვ. 459.

ცდილებას და გამახვილებულ სულიერ ძალებს გულისხმობს, მაშასადამე, იმავე დროს აგრეთვე მრავალ სხვა გამოგონებათა ცოდნას"[1]. მშვილდი, წერს არქეოლოგი გორდონ ჩაილდი, ადამიანთა საზოგადოების ერთ-ერთი პირველი მექანიკური გამოგონებაა. „ველურობისათვის მშვილდ-ისარი, — წერს ენგელსი, —იგივე იყო, რაც ბარბაროსებისათვის რკინის მახვილი, ხოლო განათლებულ ერებისათვის— თოფი„[2]. ამ პერიოდში ადამიანი უკვე აკეთებს ხის ჭურჭელს, წნავს კალათებს ლაფანისა და ლერწმისაგან, აქვს უკვე გათლილი ქვის იარაღები — ნეოლითი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ველურობის ამ სამივე საფეხურისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ადამიანი ამ პერიოდში ეწევა არა საკვებ საშუალებათა წარმოებას, არამედ ბუნებაში თავისთავად არსებული საკვების მხოლოდ მითვისებას. ასეთია, მაგალითად, მონადირეობა, მეთევზეობა, ხილისა და ძირნაყოფა მცენარეების შეგროვება და სხვა. ველურობის თვით ეს საფეხურები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მისათვისებელი საკვები საგნების გამრავალფეროვანებით და მათი მითვისების წესის (ტექნიკის) გაუმჯობესებით. ცხადია, რომ ამ პერიოდში საკვები პროდუქტების მხრივ ადამიანი მთლიანად დამოკიდებულია ბუნების წყალობაზე. ბუნების ამ წყალობისაგან თავის დაღწევა და, ამგვარად, ველურობიდან განვითარების ახალ სტადიაზე — ბარბაროსობის ქვედა საფეხურზე ასვლა ადამიანს შეეძლო მხოლოდ საკვები პროდუქტების მითვისებიდან მის წარმოებაზე გადასვლით.

საკვები პროდუქტების ეს წარმოება საშუალებას მისცემდა ადამიანს ბუნების მოწყალებას კი არ დალოდებოდა, როგორც ეს ცხოველებს ახასიათებს, არამედ წაერთმია იგი ბუნებისათვის, ე. ი. თვითონ ეწარმოებინა ეს საკვები პროდუქტები. ერთი სიტყვით, ადამიანს უნდა დაეწყო ცხოველთა მოშინაურებაზე და საკვებ მცენარეთა გაშენებაზე გადასვლა, რადგან, როგორც მაშინ, ისე ახლაც მეურნეობის მხოლოდ ეს დარგები იძლევიან საკვები პროდუქტების ხელოვნური წარმოების შესაძლებლობას.

---

1 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 21

2 იქვე, გვ. 25.

მაგრამ ცხოველთა მოშინაურება და საკვებ მცენარეთა გაშენება დიდად არის დამოკიდებული თვით ბუნებრივი პირობებისაგან. ამიტომ წერს ენგელსი, რომ თუ ველურობა ადგილმდებარეობის დამოუკიდებლად დაახლოებით ძირითადად ერთნაირი კანონზომიერებით მიმდინარეობდა ყველა ხალხისათვის, „...ბარბაროსობასთან ერთად მივაღწიეთ საფეხურს, სადაც დედამიწის ორივე დიდი კონტინენტის ბუნებრივი სხვადასხვაობა იჩენს თავს“[1].

მეჭურჭლეობის შემოღებით და მცენარეთა და ცხოველთა მოშენებით ადამიანმა თავი დააღწია ველურობას და, მასთან ერთად ბუნების მოწყალების ლოდინს და განვითარების შემდგომ საფეხურზე — ბარბაროსობის საფეხურზე გადავიდა. ამით ადამიანმა მეტად დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და მნიშვნელოვნად ამოიწია განვითარებისა და ბუნებაზე ბატონობის იმ კიბეზე, რომელიც თავისი სიგრძით, საერთოდ, დაუსრულებელია. ბარბაროსობის ზედა საფეხურზე ადამიანი აღწევს უკვე რკინის გაბოდნობას და ასოებად განაწევრებული დამწერლობის გამოგონებას. რკინის გამოყენებამ მეურნეობაში უფრო მეტად გაზარდა საკვებ საშუალებათა წარმოების პროდუქტიულობა. ბარბაროსობის ამ ზედა საფეხურს „...ეკუთვნიან გმირული ეპოქის ბერძნები, იტალიელი ტომები ახლო ხანაში რომის დაარსებამდე, ტ ა ც ი ტ ი ს გერმანელები და ვიკინგების დროის ნორმანები“[2].

ასეთია მოკლედ განვითარების ის ეკონომიური საფეხურები, რომელიც ადამიანთა საზოგადოებამ გაიარა სინანთროპიდან ცივილიზაციამდე, კლასებისა და სახელმწიფოს არ არსებობის პირობებში. სოციალური წყობის ფორმის თვალსაზრისით კი ამავე ეპოქაში საზოგადოებამ გაიარა ჯოგური და გვაროვნული წყობის პერიოდები. სწორედ ამ გვაროვნული, ანუ პირველყოფილი თემური წყობის ბაზაზე იყო შექმნილი პირველყოფილი კომუნიზმი. ამ გვაროვნულმა წყობამ კი თავის უმაღლეს განვითარებას მიაღწია ბარბაროსობის ქვედა საფეხურზე. „გვარი, — წერს ენგელსი, — იშობა ველური

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 25.

[2] იქვე, გვ. 28.

მდგომარეობის შუა საფეხურზე, ვითარდება ზედა საფეხურზე, ხოლო თავისი აყვავების ხანას... ბარბაროსობის ქვედა საფეხურზე აღწევს"[1].

ამერიკელი ეროკეზების მიხედვით ენგელსი იძლევა გვაროვნული წესწყობილების შემდეგ კლასიკურ დახასიათებას:

„რა საუცხოო ორგანიზაციაა ეს გვაროვნული წესწყობილება თავისი უშუალობისა და სიმარტივის მიუხედავად! აქ არც ჯარისკაცებია, არც ჟანდარმები და პოლიციელები, არც თავადაზნაურობა, მეფეები, მეფის მოადგილეები, პრეფექტები ან მსაჯულები, არც ციხეებია და არც პროცესები, მაგრამ ყოველივე წესიერად მიმდინარეობს. ყოველივე უთანხმოებას და დავას სწყვეტს იმ პირთა ერთეული, რომელთაც ეს ეხება, გვარი, ტომი ან გვარების გაერთიანება; სისხლის აღება მხოლოდ უკიდურეს, იშვიათ შემთხვევაში იხმარება; ამ სისხლის აღების ცივილიზაციაქმნილი ფორმა სიკვდილით დასჯაა, იგი ცივილიზაციის ყველა უპირატესობით და ნაკლითაა დატვირთული. თუმცა გვაროვნულ წესწყობილებაში მეტი საზოგადო საქმეებია გასარჩევი, ვიდრე დღეს გვაქვს, თუმცა რამდენიმე ოჯახს საერთო შინაური მეურნეობა აქვს კომუნისტურად მოწყობილი, თუმცა იქ მიწა ტომის სამფლობელოს წარმოადგენს, მხოლოდ ბაღჩებია მიკუთვნებული შინაური მეურნეობისადმი, მაგრამ მაინც იქ საჭირო არაა ჩვენი ფართო და დახლართული მმართველობის აპარატი. საქმეებს მონაწილეები სწყვეტენ და, უმრავლეს შემთხვევაში, ყოველივე საუკუნეებრივი ადათის წყალობით წესრიგდება. შეუძლებელია, რომ ღარიბები და გაჭირვებულები არსებობდნენ— კომუნისტური ოჯახი და გვარი ზრუნავენ მოხუცებულთა, სნეულთა და ომში დაავადებულთა შესახებ. ყველანი თავისუფალნი და თანასწორნი არიან, თვით დედაკაცებიც. ადგილი არ არის არც მონებისა და, ჩვეულებრივ, არც უცხო ტომების ჩაგვრისათვის"[2].

„გვაროვნული წესწყობილება, — წერს შემდეგ ენგელსი, — ისეთი საზოგადოებიდან წარმოსდგა, რომელიც შინაგან წინააღმდეგობებს არ იცნობდა; იგი მხოლოდ უკონფლიქტო საზოგადოებისა-

---

1 იქვე, გვ. 160.

2 იქვე, გვ. 97—98.

თვის იყო გამოსადეგი"[1]. მაგრამ ტექნიკის შემდგომი განვითარების, ზედმეტი პროდუქტის ზრდის და შრომის დანაწილების გამო გვაროვნული წყობილების შიგნით მალე ჩნდება ეს წინააღმდეგობები. ამ წინააღმდეგობებმა საბოლოო ანგარიშით გამოიწვიეს გვაროვნული წყობილების დაღუპვა და კლასობრივი საზოგადოების დამკვიდრება ყველა მისი ძირითადი ნიშნებით. მაგრამ კლასობრივი საზოგადოებით გვაროვნული წყობილების შეცვლა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მომხდარიყო უცბად, არამედ ეს პროცესი დიდხანს გრძელდებოდა და კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების თანდათან წარმოქმნის გზით მიმდინარეობდა. ასე მაგალითად, ბარბაროსობის შუა საფეხურზე უკვე ჩნდება „კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია ისახება..."[2]

კერძო საკუთრების ზრდა-განვითარება შემდეგ საფეხურზე ისტორიული აუცილებლობით იწვევს უკვე კლასების წარმოშობას, ხოლო, როდესაც ამ კლასებს შორის არსებული წინააღმდეგობა — კლასობრივი წინააღმდეგობა, იმდენად იზრდება, რომ ძველი ძოგვარება მმართველობის ძველ, ე. ი. გვაროვნული წყობილების ფორმებში უკვე შეუძლებელი ხდება, მაშინ ექსპლოატატორული კლასი თავისი ბატონობის უფლებისა და ქონების დასაცავად და ექსპლოატირებული კლასის დასათრგუნავად ქმნის სახელმწიფოს.

„სახელმწიფო,—წერს ლენინი,—არის კლასობრივი წინააღმდეგობათა შ ე უ რ ი გ ე ბ ლ ო ბ ი ს პროდუქტი და გამოხატულება. სახელმწიფო ჩნდება იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენადაც კლასობრივ წინააღმდეგობათა შერიგება ობიექტურად შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა"[3]. ამრიგად, ისტორიული განვითარების აუცილებლობის შედეგად „გვაროვნულმა წესწყობილებამ თავისი დრო მოსჭამა. იგი მოსპო შრომის დანაწილებამ და მისმა შედეგებმა, საზოგადოე-

---

[1] იქვე, გვ. 171.

[2] კ. ვ. ოსტროვიტიანოვი, კაპიტალიზმამდელ ფორმაციათა ეკონომიკის ნარკვევები, 1947 წ., გვ. 31.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 25, 1952 წ., გვ. 472.

ბის კლასებად გათიშვამ. მისი ადგილი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ დაიჭირა"[1]. ეს სახელმწიფო კი, რომელიც პირველად გაჩნდა ისტორიაში და გვაროვნული წყობილების ადგილი დაიჭირა, მონათმფლობელური სახელმწიფო იყო. ამ მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოქმნამ საზღვარი დაუდო თითქმის ნახევარი მილიონი წლის მანძილზე არსებულ წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიას. აქედან დაწყებული „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია.

თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ბატონი და ყმა, ოსტატი და ქარგალი, მოკლედ—მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ ანტაგონიზმში იყვნენ ერთმანეთთან, ეწეოდნენ შეუწყვეტელ — ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას, — ბრძოლას, რომელიც ყოველთვის თავდებოდა მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით ან მებრძოლ კლასთა საერთო დაღუპვით"[2].

ამ კლასობრივმა საზოგადოებამ სამი ანტაგონისტური საზოგადოებრივი ფორმაციის (მონათმფლობელობის, ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის) სახით საერთო ხანგრძლივობით სამოც საუკუნემდე იარსება, ვიდრე ლენინისა და სტალინის გენიით ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია კაპიტალიზმის კარიბჭეს შეანგრევდა და ამ ისტორიას, უმაღლესი ტექნიკისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების ბაზაზე თვით მისი კანონზომიერების მიხედვით, ისევ უკლასო საზოგადოების შექმნისკენ, კომუნიზმის შექმნისკენ მოაბრუნებდა.

ამგვარად, კლასობრივი საზოგადოება, ადამიანთა საზოგადოების ისტორიის მხოლოდ შუა წელზე დევს, და მისი არსებობა მის წინ და მის შემდეგ მდებარე უკლასო საზოგადოების პერიოდებთან შედარებით ხანმოკლეა. ეს კლასობრივი საზოგადოება, რომელიც მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოქმნით დაიწყო, დამყარებული იყო მონური შრომის ექსპლოატაციაზე. ამ ექსპლოატაციისათვის საჭირო მონათა რაოდენობა კი ძველ ქვეყნებში წარმოიქმნებოდა მრავალი სხვადასხვა წყაროდან.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 172.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი. 1952 წ. გვ. 37—38.

IV. მონობის წყაროები

მონობის წარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად და ამავე დროს უძველეს წყაროს წარმოადგენს ომი. ეს კარგად ესმოდათ უკვე ძველ ისტორიკოსებს და ფილოსოფოსებს. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ჰეოაკლიტე (ცხოვ. VI—V საუკ.) წერდა: „ომი—ძაძაა ყველაფრის... ზოგს მან ძიუთითა ყოფილიყვნენ ღმერთებად, ზოგს—ადამიანებად. ერთნი მან აქცია მონებად, მეორენი—თავისუფლებად“ [1]. I საუკუნის მიწურულსა და II საუკ. დასაწყისში მცხოვრები ბერძენი ისტორიკოსი დ. ხრიზოსტომი ამავე საკითხზე წერდა: „ბუნებრივია, რომ პირველნი, რომელთაც მოუხდათ მონობაში ყოფნა, დაბადებულნი იყვნენ არა მონებისაგან, მაგრამ ისინი დაიმორჩილეს ზღვის ყაჩაღებმა, ანდა ჩავარდნენ ტყვედ ომში და, ამგვარად, იძულებულნი იყვნენ იმათ მონებად ყოფილიყვნენ, ვინც ისინი შეიპყრო“. [2]

ძველი გაგებით, თუ ადამიანს უფლება ჰქონდა ომში მოეკლა მოწინააღმდეგე, მით უფრო ჰქონდა უფლება, ამ მოწინააღმდეგის ცოცხლად შეპყრობის შემთხვევაში, იგი თავის მოხად გადაექცია და მისი პიროვნება თავის კერძო საკუთრებად გამოეცხადებინა. ერთი სიტყვით, როგორც მაოქსი წერს, „მონობა აიხსნება ომის უფლებით...“ [3]. ომში დაძარცხებული მოწინააღმდეგის, ან ომის გზით დაპყრობილი ადამიანების მონებად გადაქცევა ხდებოდა ჯერ კიდევ კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნამდე, გვაოოოვნული წყობილების დროს, როდესაც ომში გამარჯვებულ გვაოს

---

[1] Аристотель, Политика, 1911 წ. გვ. 15 (სქოლიოში მოყვანილი ფრაგმენტი).

[2] А. Валлон, История рабства в Античном мире, Греция, 1936 წ. გვ. 253.

[3] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, 1937 წ. გვ. 10.

ან ტომს მონებად მოჰყავდათ დამარცხებული გვარისა და ტომის წევრები.

თავდაპირველად ტექნიკის ჩამორჩენილობის გამო, როცა ადამიანის სამუშაო ძალას მეტის მოცემა არ შეეძლო, ვიდრე თვით ერთი ადამიანის არსებობისათვის იყო საჭირო, ამ ტყვეებს ისინი ხოცავდნენ ან სჭამდნენ. მაგრამ შემდეგში, როცა საწარმოო ძალები იმ დონემდე განვითარდნენ, „რომ ადამიანის სამუშაო ძალას ახლა მეტის შექმნა შეეძლო, ვიდრე მისი უბრალო არსებობისათვის იყო საჭირო",[1] ომში ტყვედ წამოყვანილი ადამიანისათვის სიცოცხლის შენარჩუნებას, ექსპლოატაციის მიზნით მონად მის გადაქცევას უკვე აზრი და გამართლება მიეცა. ამ დროიდან იწყება ძველი აღმოსავლეთის უძველეს ქვეყნებში ე. წ. პატრიარქალური მონობა გვაროვნული წყობილების შიგნით და მის ფარგლებში.

მაგრამ ამ პატრიარქალურ მონობას არც ერთ ძველ ხალხში დიდი მასშტაბისათვის არ მიუღწევია, რადგანაც, როცა საწარმოო ძალები იმდენად განვითარდნენ, რომ შრომის დანაწილების ნიადაგზე შესაძლებელი გახდა ზედმეტი პროდუქტის შექმნა,—ამ გარემოებას თან მოჰყვა თვით ამ გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესიც და გვარის დაშლის გამო, დაკაბალების ნიადაგზე ყოფილი გვარის გალატაკებული წევრების მონებად გადაქცევა.

ამ დროიდან ომებიც უფრო ფართე ხასიათს იღებენ, და მონათმფლობელური ფორმაციის მთელ მანძილზე ომი მონობის წარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ რჩება.

ეგვიპტის წერილობით წყაროებში ვპოულობთ ცნობებს, რომ 3000—2750 წლებში ეგვიპტის ფარაონებმა (მეფეებმა) რამდენჯერმე ილაშქრეს ეგვიპტის სამხრეთით მდებარე ქვეყანა ნუბიაში მცხოვრები ტომების წინააღმდეგ და იქიდან ტყვედ წამოყვანილი 7000 კაცი და ქალი მონებად გადააქციეს. ეგვიპტის ფარაონმა ტუტმოს III (1525—1473 წწ) რეტენუს ქვეყანაში ლაშქრობიდან წამოიყვანა 694 და ნუბიიდან (თანამედროვე აბისინია) 300 მონა. ხეთის მეფეებს ლაშქრობათა დროს ათეულ ათასობით ტყვე მოჰყავდათ, რომელთაც ისინი მონებად აქცევდნენ.

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 146.

ომის გზით მონების შეძენის შესახებ მრავალი ცნობები მოგვეპოვება აგრეთვე ძველი ბაბილონის, ჩინეთის, ინდოეთის ასირიის და, საერთოდ, აღმოსავლეთის ყველა ძველი ქვეყნის წყაროებში. მაგრამ ომი, როგორც მონების შეძენის წყარო, უფრო ფართო ხასიათს იღებს მონათმფლობელური ფორმაციის კლასიკურ პერიოდში—ანტიკური ქვეყნების (საბერძნეთი და რომი) ისტორიაში. ბერძენ-სპარსელთა ომებში (492—449 წწ) გამარჯვებულმა ბერძნებმა მრავალი ათასი სპარსელი გადააქციეს მონად და ამ „ცოცხალი საქონლით“ გაავსეს საბერძნეთის ბაზრები. 469 წელს ევრიმედონტთან მოგებული ბრძოლის შედეგად ათენის არმიის სარდალმა კიმონმა 20.000 სპარსელი გაყიდა მონად.

მონათმფლობელურ ფორმაციაში ომების წარმოების გზით, სხვა ნადავლის მოპოვებასთან ერთად, ტყვეების ხელში ჩაგდება და მონებად მათი გადაქცევა იმდენად არსებითი იყო, რომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე შემტევი არმიები მომავალი ტყვეებისათვის (მონებისათვის) წინასწარვე იჭერდნენ გარკვეულ თადარიგს. მაგ., კართაგენის არმიებს ხშირად ომში თან მიჰქონდათ ხოლმე ურმებით ათეულ ათასობით ბორკილი, რომ მონადქცეული ტყვეებისათვის დაედოთ. ერთ-ერთ ბრძოლაში ბერძნების წინააღმდეგ კართაგენელებმა თვითონ განიცადეს დამარცხება. მაშინ გამარჯვებულმა ბერძნებმა კართაგენელებს თვითონვე დაადეს მათივე ბორკილები. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ვაჭართა მთელი ტალღა მიჰყვებოდა შემტევ არმიას, რომ იქვე, ფრონტის უახლოეს ზურგში ჩალის ფასად შეეძინათ ტყვე მონები.

რომის სახელმწიფომ, რომელმაც ძველი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი იმპერია შექმნა და რომლის საზღვრებიც გადაჭიმული იყო ბრიტანეთის კუნძულებიდან მდინარე ეფრატამდე და ბალტიის ზღვიდან აბისინიამდე, ომის წარმოების გზით მონების დიდ რაოდენობას მოუყარა თავი იტალიაში.

პუნიკური ომების პერიოდში (264—146 წწ) რომაელებმა ათეულ ათასობით კართაგენელი (როგორც ჯარისკაცი, ისე სამოქალაქო პირი) გადააქციეს მონებად. 256 წელს პირველი პუნიკური ომის დროს რომის სარდალმა რეგულუსმა 20.000 კართაგენელი ტყვე გადააქცია მონად, ხოლო მეორე პუნიკური ომის დროს სციპიონ უმცროსმა—50.000 კართაგენელი. 209 წელს რომაელებმა მონად გაყიდეს 30.000 ტარენტელი ბერძენი, 167 წელს

ეპირიის ბრძოლის შემდეგ კი— 150.000 ბერძენი. 177 წელს სემპ-რიონ გრაქხის სარდლობით რომის არმიის მიერ სარდინიის შიდაოლქების ოკუპაციის დროს რომაელებმა მონად გაყიდეს 80.000 სარდინიელი. 102—101 წლებში გერმანელი ტომების-- კიმვრებისა და ტევტონების დამარცხების შემდეგ რომაელებმა მონებად გაყიდეს 150.000-ზე მეტი გერმანელი.

ძველი წელთაღრიცხვის 65 წელს რომის არმიამ პომპეუსის სარდლობით მცხეთაში დაამარცხა იბერიის (ქართლის) მეფე არტაგი. რომის მრავალრიცხოვან და რეგულარულ არმიასთან ამ უთანასწორო ბრძოლაში, პლუტარქეს გადმოცემით, გმირულად დაეცა 9000 ქართველი ვაჟკაცი. ტყვედ ჩაგდებული ჯარისკაცები, უნდა ვიფიქროთ, რომაელებმა მონებად გაყიდეს, ხოლო დამარ-ცხებული იბერების სამი წინამძღოლი, აპიანეს გადმოცემით, რომ-ში გაგზავნეს პომპეუსის ტრიუმფისათვის.

თავის ლაშქრობათა დროს (58—51 წწ) გალიაში (ახლანდელი საფრანგეთი) ცეზარმა მონებად გაყიდა 1 მილიონი სამხედრო ტყვე. მარტო ერთჯერად მან მონად გაყიდა 63.000 კაცი. 52 წელს, ქ. ალეზიას აღების დროს, მოწინააღმდეგის ტყვედ ჩაგდებული ჯარისკაცები ცეზარმა თავის მეომართა შორის გაანაწილა და თითოს თითო მონა მისცა. იუდეიასთან ომის დროს რომაელებმა 97.000 ებრაელი გაყიდეს მონად და ა. შ.

რომაელები მონებად აქცევდნენ არა მარტო ომის დროს ტყვედ ჩაგდებულ ჯარისკაცებს და დაპყრობილი ქვეყნის მცხოვ-რებთ, არამედ რომში არსებული ტრადიციით რომაელებს შეეძ-ლოთ მონად ექციათ იმ ქვეყნის მოქალაქეც, რომელთანაც რომი ომის მდგომარეობაში არ იყო, მაგრამ რომელთანაც მას არც მოკავშირეობის ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული.

საერთოდ, ომისა და მეკობრეობის გზით მონად გადაქცევის შესაძლებლობისაგან ძველად არავინ არ იყო დაცული: არც გვირ-გვინოსანი მეფე, არც მისი ტახტის გამგრძელებელი მეფისწული, არც მისი ქვეშევრდომი, არც გენერალი და არც ჯარისკაცი. ომის გზით მონად გახდომის შესაძლებლობის სინამდვილედ გა-დაქცევა დამოკიდებული იყო მხოლოდ შემთხვევაზე, „ბედის ტრიალზე“ და საომარი მოქმედების შედეგზე. ეს იყო ეპოქა, როცა ძალა აღიარებული იყო სამართლის კოდექსად და, როცა

ამის გამო სრულიად მოულოდნელად მონობის მსხვერპლნი ხდებოდნენ არა მარტო „პოლიტიკის მკეთებელი“ მეფეები, ვეზირები და სატრაპები, არამედ ასეულ ათასობით უბრალო ადამიანები და ამქვეყნიური ცხოვრებისადმი ზოგჯერ ინდიფერენტულად განწყობილი და აზროვნების მყუდრო საკანში ჩაკეტილი ფილოსოფოსებიც.

ისტორიას არა ერთი და ორი მწარე მაგალითი აქვს, როცა ამ ქვეყნის პირველკაცნი ბედნიერების ქოჩრიდან ომის გზით პირდაპირ მონობის უფსკრულში ჩაცვივნულან. ტროადას ომში (1184 წ. ძვ. წ.) ტროადელების დამარცხების შემდეგ გამარჯვებულმა ბერძნებმა ტროადის მეფისწულები ხარებში გაცვალეს, ე. ი. მონებად გაყიდეს კუნძულ სამოსზე, ლემნოსზე და იმბროსზე. ტროადას მეფის პრიამოსის ცოლი ჰეკუბა და მისი ქალიშვილი პოლიქსენიც მონებად ჰყავდათ ბერძნებს.

ბერძენმა დრამატურგმა ევრიპიდემ (480—406 წწ) დაწერა ტრაგედია „ჰეკუბა“, სადაც მან გადმოსცა ძლიერი სულიერი აფორიაქება და „ბედის სიმუხთლე“ მონობაში ჩავარდნილი დედოფლისა და მისი ქალიშვილისა. დედასა და შვილს ცხოვრების სხვადასხვა გზაზე შემოეხვიათ მონობის ბორკილები. დედას მაშინ, როცა მას უკვე ესოდენ სანატრელად მილეული ჰქონდა წუთისოფელი და უცბად ცხოვრების ამ ბედნიერმა გზამ მეორე ბოლოდან იგი მონობის უღელში შეაბა. უფრო მწვავედ განიცდის მონობაში ჩავარდნას პრინცესა პოლიქსენი, რომელსაც მონობამ ბედნიერება ერთის დაკვრით მოუსპო და თავისი ცხოვრების გარიჟრაჟზე მეფის ასული მონობის ბორკილებამდე მიიყვანა. ტყვეობაში ჩავარდნილი პოლიქსენი ელის თავისი ძმების ხვედრს (მონად გაყიდვას) ან გასართობად გამარჯვებულთა ხელში ისევ მონად დარჩენას. მოლოდინის ამ დამწველ წუთებში პოლიქსენი წარმოსახვით ხაზავს უკან დარჩენილ მოკლე, მაგრამ ბედნიერებით აღსავსე გზას. იგი ცდილობს, გონების თვალით დაინახოს ამიერიდან უბედურებისაკენ მიმავალი ყველა შესაძლებელი გზაც. როდესაც იგი დარწმუნდება, რომ მომავალის ამ უამრავ გზათა ხლართებში არსად არც ერთი ბედნიერი წერტილი არ მოჩანს, თავის მოკვლას გადაწყვეტს. გუშინ სიცოცხლის მოტრფიალე ქალწულს დღეს სიკვდილი ერთადერთ გამოსავალად ეჩვენება.

ასე უცბად ასეთი დიდი ნაპრალი გაჩნდა მის სვე-ბედში. ამ მოულოდნელად წარმოქმნილმა ნაპრალმა ორად გახლიჩა მისი პირადი ცხოვრება—მომავალი წარსულს მოსწყვიტა.

ევრიპიდემ ძლიერი ხაზებით მოგვცა ომის გზით მონობაში ჩავარდნილი პრინცესას მთელი ეს სულიერი დრამა. „მე ვიყავი ქალთა შორის მეუფე,—ამბობს პოლიქსენი, — ულამაზესი ყველა ახალგაზრდა ქალწულთა შორის, ქალღმერთთა თანასწორი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მათ უკვდავებას. ახლა კი მე მონა ვარ! ოხ, ჩემთვის ეს უჩვეული სიტყვა მაიძულებს შევიყვარო სიკვდილი. ხომ შეიძლება მე ბატონის ხელში ჩავვარდე, რომელიც მე—ჰექტორისა და მრავალ უფლისწულთა დას მიყიდის ფულზე და მაიძულებს, მოვუმზადო მას საუმელი, დავუსუფთაო სახლი, ან დამსვას სართავ დაზგასთან და მაიძულოს, ამ ყოფაში ვათრიო მწუხარებით აღსავსე დღენი. ანდა ხომ შეიძლება საძაგელი მონა მოვიდეს ჩემთან და ამხადოს ნამუსი, რომელიც ოდესღაც ესოდენ სასურველი იყო თვით მეფეთათვის! მე ვხუჭავ თვალებს, რომ არ დავინახო დღის სინათლე და ხალისითა და სურვილით გადავცემ ჩემს სხეულს აიდას[1] სამეფოს“.

პოლიქსენის ახალმა პატრონებმა მალე გაარკვიეს მისი საკითხი. პოლიქსენს ამ შემთხვევაში „ბედმა გაუმართლა“ და, როგორც ეს მასაც უნდოდა, მის პატრონებს მისი სიკვდილით დასჯა ჰქონდათ ნავარაუდევი. იგი მსხვერპლად დააკლეს ფეხმარდი აქილესის საფლავს. სიკვდილის წინ პოლიქსენი ამბობს: მონად ვკვდები,—მეფის ქალიშვილად დაბადებულიო.

ეს ფაქტი ჩვენ ლიტერატურული წყაროდან მოვიყვანეთ, მაგრამ ამ ბოლოდროინდელი გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ტროადას ომის შესახებ შემორჩენილი ცნობები ისტორიულია. ამიტომ აქ მოყვანილი ამბავი იმდროინდელი ისტორიული სინამდვილის ანარეკლად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგრამ აი სრულიად უტყუარი, დოკუმენტური ისტორიული ფაქტებიც.

მცირე აზიის დასავლეთ კუთხეში (VI საუკ. ძველი წელთაღრიცხვით) მდებარეობდა ლიდიის ძლიერი სახელმწიფო. მისი

---

[1] აიდა—ძველი ბერძნული მითოლოგიით მიწისქვეშეთის ღმერთი იყო.

მეფე კრეზი თავს უბედნიერეს ადამიანად თვლიდა ამქვეყნად. მაგრამ 546 წ. სპარსეთის სახელმწიფომ ლიდია დაიპყრო. სპარსეთის მეფე კიროსმა კრეზი ტყვედ შეიპყრო და თავის სატახტო ქალაქში გაგზავნა როგორც მონა. ამ „უბედნიერესმა“ კაცმა სპარსეთის მეფის კარზე მონობაში მილია თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები. კრეზმა ბედნიერების მწვერვალზე დაწყებული ცხოვრება უბედურების მწვერვალზე ასვლით დაამთავრა. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე კრეზის ამ „ბედის ტრიალის“ გამო ამბობდა: არავინ არ უნდა თქვას სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნამდე რომ ის ბედნიერია, რადგან, რა იცის ამის შემდეგ როგორ წარიმართვის მისი ცხოვრება და რა განსაცდელი მოელის მასო.

ეს მეფეები, რომელთაც თვითონ ჰყავდათ ასეულობით მონები და, რომელნიც მათ ძვალსა და ტყავზე აგებდნენ თავიანთ ბედნიერებას, ისწრაფოდნენ კიდევ ახალი ქვეყნების დაპყრობისა და ახალი მონების შეძენისაკენ. ისინი შფოთავდნენ და დრტვინავდნენ იმაზე ფიქრითა და სურვილით, რომ „ის სამეფოც ჩვენი იყოსო“.

მაგრამ საკითხს სხვა ქვეყნების დაპყრობისა და სხვა ხალხთა დამონების შესახებ სწყვეტდა არა სურვილი, არამედ ძალა. როცა ეს ძალა მოწინააღმდეგეს აღმოაჩნდებოდა, მაშინ ამ სახელმწიფოს მეფეთა სურვილი — „ის სამეფოცა ჩვენი იყოსო“, თავდებოდა იმით, რომ ისინი „ამ სამეფოსაც“ და თავიანთ საკუთარ თავსაც ჰკარგავდნენ და მათი დამპყრობი მეფის ეტლის გამწევად და თავისებური „ზოოპარკის“ თავისებურ ექსპონატებად ხდებოდნენ.

ასეთს და ამის მსგავს სხვა ფაქტებს ჩვენ ბევრს აღმოვაჩენთ, თუკი ოცი და ოცდახუთი საუკუნით დავიხევთ უკან ისტორიის სიღრმეში. ყველა ამ ისტორიული მაგალითების მოყვანა ჩვენთვის საჭირო არ არის, საკმარისია ასირიის მეფის ასურბანიპალის მაგალითიც.

ასურბანიპალი ასირიის მეფედ იყო ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეში (668—626 წწ). იგი, მართალია, ძველი აღმოსავლეთის დესპოტთა შორის დიდად განათლებული მეფე იყო, მაგრამ ამავე დროს ყველაზე სასტიკი დესპოტიც იყო. მასში დიდი დოზით ღვიოდა განდიდების „ავადმყოფობა“. ეს „ავადმყოფობა“ დამყარებული იყო ომისა და გამარჯვებულის უფლებაზე და

დამარცხებული მოწინააღმდეგის დაგლახავებასა და გაბიაბრუ-ებაზე.

ძველი წყაროების გადმოცემით, ასურბანიპალი დადიოდა ეტლით, რომელშიაც შებმული ჰყავდა ოთხი ყოფილი მეფე. მონე-ბად გარდაქმნილი ეს მეფეები, რომელნიც ახლა ასურბანიპალის ეტლში ცხენების როლს ასრულებდნენ, წინათ კანონმდებელნი და პირველკაცები იყვნენ თავიანთ ქვეყნებში, მაგრამ ომმა და გა-მარჯვებულის უფლებამ ისინი ახლა მეფეებიდან პირუტყვის ფუნქ-ციების შესრულებამდე დაიყვანა.

იმავე ასურბანიპალს თავის სატახტო ქალაქ ნინევიის ქუჩებში აღმართულ ბოძებზე ჩამოკიდებულ რკინის გალიებში ჩასმული ჰყავდა მეფეთა მეორე ჯგუფი და დაპყრობილი ქვეყნებიდან მო-ყვანილი და მონებად გადაქცეული დიდებულები. მორალური დაბეჩავების, შიმშილისა, ყინვისა და სიცხის გარდა, გალიის ეს „მონა-ბულბულები“ დიდ მოუსვენრობას განიცდიდნენ არა მარტო ცნობისმოყვარე ნინევიელთა მზერისაგან, არამედ ხშირად ქუჩაში მოთამაშე ცელქი ბავშვების ჯოხების ჩხვლეტისაგანაც.

სამეფო ტახტიდან გალიამდე და მეფობიდან და დიდებულო-ბიდან ბაეშვთა და გამვლელ-გამომვლელთა გასართობ სათამაშოდ გადაქცევამდე,—ასეთი იყო ამ გუშინდელი მეფეებისა და დღე-ვანდელი ქუჩის „ექსპონატების“ ცხოვრების დასაწყისი და და-სასრული. ეს მეფეები და დიდებულები მონად გადაქცევის შემდეგ იგებდნენ, თუ რა მძიმე და აუტანელი ყოფილა მონათა ხვედრი, რომელთა მიმართაც ისინი წინათ თვითონ იყვნენ ესოდენ გულ-ცივნი და შეუბრალებელნი.

როგორც ცნობილია, ძველად მონობას ვერ აცდა მრავალი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, მწერალი და გონებრივი შრომის ბევრი სხვა დარგის წარმომადგენელი. მონებად იყვნენ: ფილოსო-ფოსი ეპიქტეტი, ისტორიკოსი პოლიბიოსი, მწერლები—ესოპე, მენიპე და სხვები.

ხშირად ომის დროს ერთი და იმავე ოჯახის ტყვედ წაყვანილ წევრებს მონებად ყიდდნენ სულ სხვადასხვა ადგილას და სხვადა-სხვა პირზე. ისინი სიცოცხლეშივე ეყრებოდნენ ერთმანეთს და უცხო წრესა და უცხო გარემოში მოხვედრილებს, არა თუ გულ-შემატკივარი, ახლობელი და ნათესავი არავინ ჰყავდათ, რომ

ურთიერთისათვის სიტყვით მაინც გაეზიარებინათ გულის ხვაშიადი და ჭირ-ვარამი, არამედ მათ ამ პირველი დამონების შემდეგ არაფერი აღარ იცოდნენ თვით ერთმანეთის ყოფნა-არყოფნის შესახებაც კი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სხვა ხალხების, მათი ქონებისა და სიცოცხლის ხელში ჩასაგდებად წარმოებულ ამ ომებს მაშინდელ დროში სრულიად სამართლიანად მიიჩნევდნენ. მონათმფლობელური კლასის ყველაზე დიდი იდეოლოგის — არისტოტელეს (384—322 წწ) მიხედვით, მონობა თვით ბუნების მიერ იყო დაწესებული. ბუნებას არასრულქმნილად და ამიტომ მონებად ჰყავდა წარმოქმნილი ყველა ბარბაროსი ხალხი. ეს ბარბაროსი ხალხები, არისტოტელეს მტკიცებით, თავისი სურვილით უნდა ემორჩილებოდნენ იმავე ბუნების მიერ გონებრივად სრულყოფილ ხალხად წარმოქმნილ ბერძნებს. მაგრამ თუ ეს ბარბაროსები არ გამოიჩენენ სურვილს, ბერძნებს ნებაყოფლობით მონებად დამორჩილდნენ, მაშინ თვით ბუნების იმ კანონთა მიხედვით, რომლითაც არასრულყოფილი სრულყოფილს უნდა ემორჩილებოდეს, ბერძნებს უფლება აქვთ ინადირონ და ომი აწარმოონ ამ ბარბაროსების წინააღმდეგ, ომისა და ნადირობის გზით დაიპყრონ და ძალით მონებად გადააქციონ ისინი. „ნადირობა,—წერდა არისტოტელე,—საჭიროა როგორც გარეულ ცხოველებზე, ასევე ისეთ ადამიანებზეც, რომელნიც თვით ბუნების განჩინებით განკუთვნილნი არიან მორჩილებისათვის, მაგრამ არ სურთ ეს მორჩილება. თავისი ბუნებით ამგვარი სახის ომი სამართლიანია“ (იხ. არისტოტელე, „პოლიტიკა“ 1, 3).

ასეთი იყო ძველად ომები, როგორც მონების წარმოქმნის წყარო, და მათი სამართლიანად აღიარების არისტოტელესეული თეორია.

ამ ომებით წარმოქმნილი მონების ძირითად არმიას შეადგენდნენ არა მეფეები, წარჩინებულნი და გონებრივი შრომის მუშაკები, არამედ ხალხთა დაბალი მასები, რომელნიც ჩვენს მიერ ზემომოყვანილ (იხ. გვ. 123—124) ციფრობრივ მასალაშია წარმოდგენილი. იმ დროს, როდესაც მეფეებისა და დიდებულების მონებად გადაქცევა ხდებოდა მხოლოდ ომით და მეკობრეობით და ისიც ხანდახან, როგორც გამონაკლისი, დაბალი ფენების მონებად გადაქცევისათვის ომის გარდა სხვა მრავალი კლასობრივი და სოციალური ხასიათის მიზეზებიც არსებობდა.

ამათგან უმთავრესია მონობის წარმოშობა დაკაბალების ნიადაგზე.

ყველა ძველ ქვეყანაში არსებობდა და კანონმდებლობით იყო განმტკიცებული საკუთარი მოქალაქის მონად გადაქცევა აღებული ვალის ვერ გადახდის, ანუ ვალაუვალობის შემთხვევაში. დაშონების ეს სახე მონობის ყველაზე ძირითადი და არსებითი წყარო იყო. სწორედ მონობის ამ წყაროს წარმოქმნამ უძველეს ქვეყნებში — ეგვიპტესა და ბაბილონში ჯერ კიდევ დაახლოებით 6000 წლის წინათ დაარღვია გვაროვნული წყობილება, გათიშა წინაკლასობრივი საზოგადოება ორ მტრულ, ურთიერთმოწინააღმდეგე კლასად—მონათმფლობელთა და მონათა კლასად და დასაბამი მისცა კლასობრივი საზოგადოების ისტორიას—სოციალური უთანასწორობისა და კლასობრივი ჩაგვრის ისტორიას.

ვალის ვერ გადახდის გამო საკუთარი თანამოქალაქის მონად გადაქცევა უფრო ადრე იყო, ვიდრე ამ ფაქტის ფიქსირებას მოახდენდა მაშინდელი კანონმდებლობა. კრედიტორის უფლება, რომ მისგან აღებული ვალის ვერ გადახდის გამო საკუთარი თანამოქალაქე მონად გადაექცია სახელმწიფოებრივი დასტურით, ე. ი. კანონმდებლობის გზით, გვხვდება უკვე ჰამურაბის (1792—1750 წწ) კანონებში, ე. ი. თითქმის 3800 წლის წინათ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰამურაბის კანონებზე ადრე არსებულ კანონებშიც, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ, ფიქსირებული იქნებოდა კრედიტორის უფლება ვალაუვალი მოვალის მონად გადაქცევისა. ერთი სიტყვით, ვალაუვალი მოვალის მონად გადაქცევა ადრევე სცილდება კერძო უფლებრივ ურთიერთობას და კანონმდებლობის გზით სახელმწიფოებრივ კატეგორიად იქცევა. ამ ფაქტში უკვე ნათლად ჩანს პირველად გაჩენილი სახელმწიფოს — მონათმფლობელური სახელმწიფოს მიერ პირველი ექსპლოატატორული კლასის—მონათმფლობელთა კლასის ინტერესების დაცვა და ამ კლასის ინტერესების სახელმწიფოებრივ ინტერესებამდე და ფუნქციამდე აყვანა.

აღსანიშნავია, რომ ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ვალაუვალი მოვალის მონად გადაქცევას არა მუდმივად, როგორც ეს საბერძნეთსა და რომში იყო,

არამედ მხოლოდ განსაზღვრული ვადით. ასე მაგალითად, ჰამურაბის კანონების 117-ე მუხლი ითვალისწინებდა ვალაუვალი მოვალის (რა თანხაც უნდა ჰქონოდა მას ვალად აღებული) მონად გადაქცევას მხოლოდ 3 წლით. ძველი ებრაული კანონმდებლობა კი, რომელიც „აღთქმის წიგნშია“ მოცემული, მსგავსივე შემთხვევის დროს ვალაუვალს მონად აქცევდა 6 წლით.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ვალის ამღების დაკაბალებასა და მონობაში ჩავარდნას ხელს უწყობდა გასესხებული თანხის მეტად დიდი სარგებლით გაცემა. ასე მაგალითად, ძველ რომში გასესხებული თანხის სარგებელი ზოგჯერ 50%-ს, ჩინეთში 100%, ხოლო ინდოეთში 500%-საც კი აღწევდა.

ჰამურაბის კანონების თანახმად ვალაუვალ პირს უფლება ჰქონდა, ამ დროებით მონობაში თავის მაგიერ გაეგზავნა თავისი ოჯახის რომელიმე წევრი. ამავე დროს კანონის 116-ე მუხლი ავალდებულებდა კრედიტორს, რომ ამ ვალაუვალი მოვალისათვის დროებით მონობაში ყოფნის დროს შეექმნა რამდენადმე ასატანი პირობები. თუ კრედიტორის ცუდი მოპყრობის გამო მასთან დროებით მონობაში მყოფი ვალაუვალის შვილი მოკვდებოდა, მაშინ სიკვდილით უნდა დასჯილიყო კრედიტორის შვილი. ამავე დროს ასეთ შემთხვევებში კრედიტორი ჰკარგავდა მთელ თავის გასესხებულ თანხასაც.

დაკაბალების ნიადაგზე მონობაში ჩავარდნილი პირის მიმართ კანონის ეს ერთგვარი მფარველობა და თვით მონობაში მისი ყოფნის ვადის განსაზღვრა მაჩვენებელია ძველ ბაბილონში მონათმფლობელური ფორმაციის მოუმწიფებლობისა. თოთხმეტ-თხუთმეტი საუკუნის შემდეგ ანტიკურ ხანაში, როცა მონობა უფრო მეტად განვითარდა, ბონის მდგომარეობაც გაცილებით მძიმე შეიქნა.

საბერძნეთში სოლონის რეფორმების (594 წ. ძველი წელთაღრიცხვით) წინა ხანებში, როგორც არისტოტელე თავის „ათენელთა სახელმწიფო წყობილებაში“ წერს (თავი II და XII), ვალის ამღები კრედიტორის წინაშე პასუხს აგებდა თავისი ქონებითა და სხეულით. „თუ მამულის გაყიდვით მიღებული თანხა ვალს არ ფარავდა,—წერს ენგელსი ამ პერიოდის ათენზე,—ან ვალი გირაოთი უზრუნველყოფილი არ იყო, მოვალეს თავისი

შვილები უნდა გაეყიდა უცხოეთში, რათა კრედიტორი დაეკმაყოფილებინა. შვილების გაყიდვა მამის მიერ—ასეთი იყო მამის უფლებისა და მონოგამიის პირველი ნაყოფი! ხოლო თუ წურბელა ამით არ კმაყოფილდებოდა, მას შეეძლო მოვალე გაეყიდა როგორც მონა. ასეთი იყო ცივილიზაციის განთიადი ათენელი ერისთვის."[1]

დაკაბალების ნიადაგზე მონად ქცეული პირის მდგომარეობა მთელ ძველ მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მძიმე იყო რომში. თორმეტი დაფის კანონი, რომელიც რომში მეხუთე საუკუნის შუა ხანებში (ძველი წელთაღრიცხვით) შეიქმნა, კრედიტორს უფლებას აძლევდა, ვალაუვალი მოვალე ბორკილგაყრილი სახლში პატიმრად ჰყოლოდა ორი თვის განმავლობაში. თუ ამ ხანში ოჯახი, ნათესავები ან ნაცნობები ამ მოვალეს არ გამოისყიდდნენ, ე ი. კრედიტორს მოვალეზე რიცხულ თანხას არ გადაუხდიდნენ, მაშინ კრედიტორს ეს მოვალე მიჰყავდა ბაზარზე და ყიდდა მონად. ხოლო ისეთ შემთხვევაში, როცა ერთ მოვალეს რამდენიმე კრედიტორის ვალი ემართა და მათი გასტუმრება არ ძალუძდა, კანონი ითვალისწინებდა ამ მოვალის სიკვდილით დასჯას და მისი გვამის იმდენ ნაჭრად აკუწვას, რამდენი კრედიტორის ვალიც ემართა მას.

ეს ბარბაროსული კანონი, რომელიც განუყოფელ საგანსაც კი (ადამიანს) ნაწილებად ყოფდა, ვალში ჩავარდნილ პირს საკუთარი სიცოცხლით, ძვლითა და ხორცით აგებინებდა პასუხს კრედიტორის წინაშე. კერძო საკუთრების სიყვარულით სიმხეცემდე მისული რომაელი კრედიტორი, მისი კლასობრივი ინტერესების დაცვისათვის შექმნილი კანონის მფარველობით და დამშვიდებული სინდისით—უსპობდა სიცოცხლეს თავის საკუთარ თანამოქალაქეს და მისი გვამის ნაკუწებს დამპალი გოგრის ნაჭრებივით ისროდა მდინარე ტიბრში.

ასეთი „სამართლიანი" აქტები, რომლითაც სავსეა კლასობრივი საზოგადოების მთელი ისტორია მისი დასაწყისიდან, კარგი იქნება, რომ არ დაივიწყონ რასიული და ნაციის ჰარმონიული

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ. გვ. 113.

თეორიის მქადაგებელმა ბურჟუაზიულმა ცრუჰუმანისტებმა, რომელნიც ძველ ისტორიაში (და არა მარტო ძველ ისტორიაში) ერთი და იმავე ხალხის კლასობრივ დაყოფას უარყოფენ, კლასობრივი ბრძოლისა და ჩაგვრის თეორიას რასიული ბრძოლის თეორიით სცვლიან და კანონმდებლობის ზეკლასიურობის დამტკიცებას ცდილობენ.

დაკაბალების ნიადაგზე თანამოქალაქეთა მონად გადაქცევას ერთგვარად საზღვარი დაედო ათენში სოლონის რეფორმების შემდეგ და რომში კი პეტელიასა და პაპირიას კანონით 313 წ. (ძველი წელთაღრიცხვით). ეს გარემოებაც გამოწვეული იყო არა კრედიტორის ჰუმანიურობითა და მასში პატრიოტიზმისა და თავისი ხალხისადმი სიყვარულის გრძნობის გაღვივებით (ამ თვისებას გაბატონებული ექსპლოატატორული კლასი ყოველთვის მოკლებული იყო), არამედ მონობაში ჩავარდნილი ფენების კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებით, და თანაც ომებისა და დაპყრობათა გზით საბერძნეთსა და რომში უცხო ქვეყნებიდან მოყვანილი მონების დიდი რიცხვის დაგროვებით და მათზე ფასის დაცემით.

მონობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა ე. წ. დაბადებით მონობა. მართალია, რომში მონას არ ჰქონდა ოჯახი და, ამგვარად, არც ცოლის შერთვის უფლება, მაგრამ მაინც არა იშვიათად ხდებოდა, რომ მონას მონა ქალთან ურთიერთობის შედეგად ბავშვი შეეძინებოდა, მაშინ ეს ბავშვი მონა მამის მეპატრონის საკუთრებად და მონად ითვლებოდა. დაბადებით მონობა — მონა ბავშვთა საკმაოდ მნიშვნელოვან რაოდენობას იძლეოდა. ასე მაგალითად, როგორც ცნობილი სატირიკოსი მწერალი პეტრონიუსი გადმოგვცემს (ცხოვრობდა I საუკ. ახ. წ.), მონათმფლობელ ტრიმალქიონის ერთ მამულში მარტო ერთ დღეს მონებისაგან 30 ბიჭი და 40 გოგო დაიბადა. მონების პატრონს შეეძლო თავისი მონების ამ ბავშვებს ისე მოქცეოდა, როგორც საკუთარი პირუტყვის „ნამატს“.

კუნძულ კრეტაზე მცხოვრებ კლაროტებს თუ შეეძინებოდათ ბავშვი, გორტინის კანონების მიხედვით, ეს ბავშვი კლაროტი მამის მეპატრონის საკუთრებად ითვლებოდა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამ ბავშვის მამის მეპატრონე თავისი კლაროტის ბავშვს არ მოისურვებდა, მაშინ ეს ბავშვი მისი დედის მეპატრო-

ნის საკუთრებაში გადადიოდა. ამგვარად, გორტინის კანონები კლაროტი მშობლების ბავშვს აკუთვნებდა არა თვით მშობლებს, არამედ ამ მშობლების მეპატრონეებს.

თავად რომში მონად ითვლებოდა თავისუფალ ქალთან მონა მამაკაცის თანაცხოვრებით დაბადებული ბავშვიც, ხოლო 52 წელს (ახ. წელთაღრიცხვით) გამოსული ედიქტით, თავისუფალი ქალი თვითონაც მონად ხდებოდა მონა მამაკაცთან თანაცხოვრებისათვის.

როგორც პირველ საუკუნეში მცხოვრები ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი გადმოგვცემს, ზოგიერთი რომაელი მონათმფლობელი აწარმოებდა სპეციალურ მეურნეობებში, საშენებში მონათა გამრავლებას. ამ მიზნით ისინი არჩევდნენ ჯანმრთელ მონა მამაკაცებსა და ქალებს და შედარებით უკეთეს პირობებს უქმნიდნენ მათ იმისათვის, რომ მათი „ნამატი“ სუსტი არ გამოსულიყო. ამ საშენებში დაბადებული და აღზრდილი „ადამიან-საქონელით“ რომაელები ამარაგებდნენ ბაზარს. ერთადერთი მიზანი, რასაც მონების ეს მომშენებელი და მათი ხორცითა და სულით მოვაჭრე რომაელი ისახავდა, იყო კომერცია. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მოგება მიეღო სახლში გამოზრდილი ამ „ადამიან-პირუტყვის“ გაყიდვით. გაველურებამდე მისული რომაელი სპეკულიანტი ამ საშენისათვის ნაყიდ მონებს უყურებდა როგორც უბრალო „საჯიშე ცხოველებს“, რომელთაც არავითარი გრძნობა არ უნდა ჰქონოდათ თავიანთი ნაშობისადმი და რომელთა სიცოცხლის მიზანი მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო, რომ მათ თავიანთი მოდგმით უზრუნველეყოთ ბაზრის მოთხოვნილება „ადამიან-საქონელზე“. მაგრამ მონების ეს ხელოვნური მოშენება რომში ფართოდ ვერ გავრცელდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი არარენტაბელური აღმოჩნდა, რადგან „საჯიშე“ მონების შენახვა და მათი „ნამატის“ აღზრდა ხშირად მეტი ჯდებოდა, ვიდრე შემდეგ მათი გაყიდვით მიღებული ფასი იყო.

მონების შეძენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ უნდა ჩაითვალოს მეკობრეობა. მეკობრეობას მისდევდნენ თითქმის ყველა ძველ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ფინიკიაში, საბერძნეთში და რომში. ძველად ადამიანზე ნადირობა ყაჩაღური შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე იყო. საქმე ისაა, რომ ადამიანს, რომელსაც თავს დაესხმოდნენ, თუნდაც წასართმევი მას სრუ-

ლიად არაფერი ჰქონოდა, ყაჩაღისათვის ის მაინც ღირებულებას წარმოადგენდა, რადგან იგი სამუშაო ძალის მფლობელი მაინც იყო და სწორედ ამის გამო ყაჩაღს შეეძლო მონად მისი გაყიდვა.

ძველ წყაროებში მრავალი ცნობები მოიპოვება მეკობრეების მიერ თავისუფალ ადამიანებზე თავდასხმისა, მათი გატაცებისა და მონებად გაყიდვის შესახებ. ერთ ბერძნულ წყაროში ამორგიდან, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეს განეკუთვნება, აღნიშნულია: „მეკობრეები ღამით მოეფინენ ქვეყანას და ტყვედ ჩაიგდეს ახალგაზრდა ქალები, დედაკაცები და სხვები, რიცხვით ოცდაათზე მეტი“. მეორე წყაროში ნათქვამია, რომ ვინმე ნიკოსტრატე ზღვის ნაპირზე ეძებდა თავის გაქცეულ სამ მონას, ამ დროს მოულოდნელად იგი თვითონ შეიპყრეს მეკობრეებმა, წაიყვანეს და კუნძულ ეგინას ბაზარზე გაყიდეს მონად.

მეკობრეობამ უფრო ფართო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო შემდეგ რომში. ფულის შეძენის სურვილით გატაცებული რომაელი ავანტიურისტი არისტოკრატები ადამიანებზე ნადირობისათვის ზოგჯერ ადგენდნენ სპეციალურ ჯგუფებს, რომის პროვინციებში იპერდნენ თავისუფალ ადამიანებს, მიჰყავდათ ისინი ბაზარზე და ყიდდნენ მონებად.

მეკობრეობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო პირველ საუკუნეებში ძველი და ახალი წელთაღრიცხვით. ამ დროს მრავალი რომაელი და პროვინციელი მდიდარი თავის კაპიტალს აბანდებდა ასეთ პირატულ წამოწყებებში. „ხმელთაშუა და შავი ზღვის წყლებში,—წერს პროფ. სერგეევი,—თავისი მსუბუქი ხომალდებით მონავარდე მეკობრეები ხელთ იგდებდნენ არა მარტო გზად შეხვედრილ ფლოტილიებს, არამედ ალყას შემოარტყამდნენ ხოლმე მთელ ქალაქებს, რომელთა მცხოვრებლებს იპყრობდნენ და მერე მიეზიდებოდნენ ტყვე მონათა ბაზრებზე. ამასთან ერთად, ჩვენ ვხვდებით დაპყრობილი ქალაქების მცხოვრებთა პირდაპირ დაპერას რომაელი პუბლიკანების მიერ“. რომაელებზე უფრო ადრე ასეთ ორგანიზებულ მეკობრეობას დიდი მასშტაბით, უცხო ქვეყნებში თავისუფალ ადამიანთა შესაპყრობად და შემდეგ მონებად გასაყიდად, ეწეოდნენ ძველი ფინიკიელები.

ასეთია მონობის წარმოქმნის ოთხი ძირითადი წყარო. გარდა ამისა, თითქმის ყველა ძველ ქვეყანაში არსებობდა მონობის წარ-

მოქმნის სხვა მეორეხარისხოვანი წყاროებიც. ძველ ინდოეთში ცნობილი იყო მონების თხუთმეტამდე კატეგორია, რომლებიც სულ სხვადასხვა მიზეზით წარმოიქმნებოდნენ. მონობის ერთ-ერთი ასეთი მეორეხარისხოვანი წყარო იყო ეკონომიურად მეტად გაჭირვებული მშობლების მიერ შვილების გაყიდვა მონებად. აღსანიშნავია, რომ მშობლების მიერ შვილების მონებად გაყიდვა სანქციონირებული იყო არა მარტო მაშინდელი მორალური ნორმებით, არამედ ოფიციალურადაც ნებადართული იყო კანონმდებლობით. მრავალ ათეულ საუკუნეთა მანძილზე მოქმედი ეს საშინელი სოციალური მოვლენა წარმოშვა უკიდურესმა გაჭირვებამ, ორივე თაობის—მშობლებისა და შვილების შიმშილით სიკვდილის საფრთხემ და ეკონომიურმა დაკაბალებამ.

სუმერულ საოჯახო კანონებში, რომელიც XXV—XXIV საუკუნეებს მიეკუთვნება, უკვე ფიქსირებულია მშობლების მიერ შვილების მონებად გაყიდვის უფლება. XX საუკუნის ბაბილონში კი ხალხში გავრცელებული ყოფილა თქმულება—„ძლიერი ადამიანი ცხოვრობს თავისი ხელებით, სუსტი კი თავისი შვილების ფასით“-ო. ძველ ჩინურ წყაროებში არის ცნობები, რომ დაკაბალებულნი და ღარიბნი „ვაჭრობენ შვილებითა და შვილიშვილებით“. ჩინეთის მეფე გაო-ძი ოფიციალურად აცხადებდა, რომ „ხალხს უფლება აქვს თავისი შვილები გაყიდოს“. ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს (484—425 წწ) გადმოცემით, თრაკიელები უცხოელებზე ყიდდნენ თავიანთ ბავშვებს. მშობლებს შვილების მონებად გაყიდვის უფლებას აძლევდა 450 წლებში (ძვ. წ.) დაწერილი ე. წ. თორმეტი დაფის კანონებიც რომში. ერთი სიტყვით, მშობლების მიერ შვილების გაყიდვის ფაქტს ჩვენ ვხვდებით თითქმის ყველა ძველი ქვეყნის ისტორიაში და მონათმფლობელური ფორმაციის მთელს მანძილზე. სოციალური დაბეჩავება და მთელი ოჯახის შიმშილით ამოწყვეტის მუქარა აიძულებდა თავისუფალ ღარიბ ადამიანს, თავისი საკუთარი შვილი ოჯახისაგან მოეწყვიტა და მძიმე მონობაში ჩაეგდო.

რა თქმა უნდა, შვილების მონებად გაყიდვაზე მშობლების მიერ გადაწყვეტილების მიღება უცბად, ძლიერი სულიერი აფორიაქებისა და მძიმე განცდების გარეშე არ ხდებოდა. ისინი ცდილობდნენ, გონების თვალით წარმოედგინათ ყველა ის უბედუ-

რება, რაც შეიძლებოდა თავს დასტეხოდა თავისუფალი ადამიანის მდგომარეობიდან მონობაში გადასულ მათ ნაშიერს. მაგრამ შეუძლებელი იყო ადამიანს თვალი გაედევნებინა ერთხელ კომერციის ორომტრიალში მოხვედრილ „ადამიან-საქონლის“ მთელი ბრუნვისათვის, მისი გადასვლისათვის ხელიდან ხელში, ერთი პატრონიდან მეორესთან და ასე დაუსრულებლივ, ვიდრე ამ „ადამიან-ნივთს“ სახმარი ღირებულების — შრომის უნარის დაკარგვა ცხოვრების მორევიდან ნაპირზე არ გამორიყავდა, როგორც უკვე ნახმარ და გაცვეთილ ნივთს. როცა მდგომარეობის ყოველმხრივ შემოწმებისა და აწონ-დაწონის შემდეგ სხვა გამოსავალი აღარ იძებნებოდა, მშობლები მხოლოდ მაშინ იღებდნენ გადაწყვეტილებას, „ესარგებლნათ“ თავიანთი იძულებითი მდგომარეობით ნაშობი უფლებით—გაეყვანათ და გაეყიდნათ საკუთარი შვილი ბაზარზე.

ბაზარზე გაყიდვის ამ აქტით თავდებოდა უმრავლეს შემთხვევაში უბედური მშობლებისა და მათი ასევე უბედური შვილის ურთიერთობა. ისინი იქ ეთხოვებოდნენ ერთმანეთს სამუდამოდ, როგორც საფლავის კართან. მათი გამოთხოვების ეს სცენა მეტად გულამაჩუყებელი და დამწველი იყო. თუმცა სხვა გარემოების გამო, ახლობელ ადამიანთა ასეთ მძიმე განშორებასა და გაყრაზე დიდი რუსთაველი იტყოდა:

„გაიყარნეს ტირილით და პირთა ხოკით, თმათა გლეჯით“.

გამოთხოვების ეს სცენაც უკვე შეცვლილ ვითარებაში ხდებოდა. შვილი მშობლებს ხელს ართმევდა და ემშვიდობებოდა, როგორც უკვე სხვის საკუთრებაში გადასული ნივთი, რომლის ახალი, გულქვა პატრონი იქვე იდგა და სრულიად დამშვიდებული სინდისით და აუღელვებლად უყურებდა ამ სცენას. გამოთხოვების შემდეგ მამა შინ ბრუნდებოდა ჯიბეში შვილის საფასურით, შვილი კი იწყებდა მონობის ტალღებში ფართხალს. და ვინ უწყის, სად და რით დამთავრდებოდა ამ უბედურის ტანტალოსის ტანჯვა. აი როგორი დამოკიდებულება შეჰქონდა ძველად მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში უკიდურეს ეკონომიურ გაჭირვებასა და მონობას, და აი რას ამბობს მის შესახებ ისტორია.

შვილების მონებად გაყიდვით გამოწვეულ მშობლების ამ სულიერ დრამას კარგად გადმოგვცემს მილანელი ამბროსი თავის ერთ თხზულებაში: „როგორ მოვიქცე? არავინ გავყიდო?—ეკითხებოდა თავის თავს მამა, რომელიც ფიქრობდა, რომ ერთი შვილის გაყიდვით დანარჩენები ეხსნა შიმშილით სიკვდილისაგან.—არც ერთი შვილი რომ არ გავყიდო, მაშინ ჩემი თვალით ვნახავ, როგორ დამეხოცება ყველა შიმშილით, და თუ გავყიდი ერთ-ერთ მათგანს, მაშინ დანარჩენები შიმშილით დახოცვას გადამირჩებიან. მაგრამ შემდეგ რა თვალით დავენახო დარჩენილ შვილებს, ჩემი სამარცხვინო საქციელი ხომ მათ ეჭვს აღუძრავს, რომ იმათაც გავყიდი? რა შერცხვენილი უნდა დავბრუნდე შინ“.

ისტორიკოს ელიანეს გადმოცემით, ძველად ხდებოდა ჩალის ფასად სულ მცირეწლოვანი ბავშვების გაყიდვაც, რომელნიც შემდეგ მათი მყიდველის და „აღმზრდელის“ მონებად ხდებოდნენ.

ისტორიაში მრავალია ისეთი შემთხვევაც, როცა მცირეწლოვან შვილებთან ერთად ტყვედ ჩავარდნილი დედები ამ შვილებს ზღვაში ყრიდნენ, რადგან ამჯობინებდნენ დაეღუპათ ისინი, ვიდრე მტრისათვის მათი მონებად გადაქცევის საშუალება მიეცათ. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, ფილონისა და სტრაბონის გადმოცემით, დარდანი, სკვითი, გალი და იბერი ქალები.

ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე, რომელსაც ძველი წელთაღრიცხვით V საუკუნის მიწურულში შემთხვევა ჰქონდა პირადად ყოფილიყო ტრაპეზუნტისა და კერასუნტის მიდამოებში, სადაც მაშინ ქართველი ტომები—ხალიბები, ტაოქები და სხვები ცხოვრობდნენ, გადმოგვცემს, რომ ტაოქი ქალები, რომელთაც ბერძნების მიერ შეპყრობა, ტყვეობა და მონობა მოელოდათ, კლდიდან უფსკრულში ისროდნენ თავიანთ ბავშვებს და შემდეგ თვითონაც ვარდებოდნენო. ამგვარად, ძველად ეკონომიური გაჭირვების ნიადაგზე ზოგჯერ მშობლები შვილებს მონებად ყიდდნენ, ზოგჯერ კი დაპყრობის გზით მონობის თავიდან ასაცილებლად მათ ხოცავდნენ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისინი გამოდიოდნენ იმ მტკიცე რწმენიდან, რომ მონობაში ყოფნას სიკვდილი და გაქრობა სჯობიაო.

ძველად ხდებოდა თავისუფალი მოქალაქის მონად გადაქცევაც სასამართლოს დადგენილებით რაიმე დანაშაულისათვის, მაგალითად, სამხედრო ვალდებულებისაგან თავის არიდებისათვის, აღთქმის დარღვევისათვის, ქურდობისათვის და სხვა. უცხოელებს (მეტეკებს) მონებად ყიდდნენ რაიმე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უკიდურეს სიღატაკეში და შიმშილით სიკვდილის საფრთხეში ჩავარდნილი თავისუფალი ღარიბი კაცი თავისი სურვილით უხდებოდა ამა თუ იმ შეძლებულ პირს მონად, რომ თავისი ადამიანური და იურიდიული უფლებების დაკარგვის გზით ეხსნა თავისი ფიზიკური არსებობა და გაყიდული სიცოცხლე.

ასეთია მოკლედ მონობის წარმოქმნის წყაროები და მისი მიზეზები. მონობის გაჩენის ეს მრავალი წყარო, არა მარტო ჰქმნიდა შესაძლებლობას მონების დიდი რაოდენობით წარმოქმნისათვის, არამედ საკმაოდ დაბლა ეწეოდა მათ ფასსაც.

V. მონათა რაოდენობა და ფასი

ზუსტი, დოკუმენტური და უტყუარი ცნობები მონათა რაოდენობის შესახებ არც ცალკეული ქვეყნებისათვის და, მით უფრო, არც ერთად აღებული ყველა ძველი ქვეყნისათვის ისტორიულ მეცნიერებას არ გააჩნია. სწორედ ამის გამო მეცნიერებაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ის ფაქტი, რომ უკვე XXX—XX საუკუნეების ეგვიპტურსა და ბაბილონურ წყაროებში ხშირად მოიხსენებიან მონები და ცალკეულ სამუშაო ობიექტებზე ზოგჯერ მათი რიცხვი უფრო მეტია დასახელებული, ვიდრე იქ მომუშავე თავისუფალი მუშებისა, ან ის გარემოება, რომ მანუს კანონმდებლობით ინდოეთში მონისა და კატის მკვლელი თანაბრად ისჯებოდა, ანდა ის, რომ ეგვიპტეში XVIII საუკუნეში (ძველი წელთაღრიცხვით) მომხდარ ერთ-ერთ აჯანყებაში მონები მეტად აქტიურ როლს ასრულებდნენ—იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ მონების რიცხვი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში საკმაოდ დიდი იყო და ამის გამო მათი ფასი მნიშვნელოვნად დაბალი.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში (ძვ. წ.) მონათა დიდი რიცხვის არსებობას უნდა მოწმობდეს ძველ ბაბილონში ის მდგომარეობაც, რომ გათხოვილ ქალს ზოგჯერ მშობლები მზითვად ატანდნენ ოცსა და ოცდაექვს მონას. ხეთისა და ბაბილონის სახელმწიფოში ცალკეულ პირებს ზოგჯერ 100-ზე მეტი მონა ჰყავდათ.

საბერძნეთსა და რომში მონათა რაოდენობის განსაზღვრისათვის უფრო მეტი სავარაუდო მასალა და წყაროები არსებობს. ჰომეროსის ცნობით, ზოგიერთ წარჩინებულს და მეფეებს, როგორც, მაგალითად, ალკიონისა და ოდისეს სასახლეში 50-მდე მონა ქალი ჰყავდათ, რაც იმას გვიჩვენებს, რომ საბერძნეთის ისტორიის უკვე ადრეულ პერიოდში მონათა მნიშვნელოვანი რაოდენობა იყო. ძველ სპარტაში ილოტების რიცხვი, რომელნიც ნახევრად მონის

მდგომარეობაში იყვნენ, აღწევდა 220.000-მდე, მაშინ როდესაც სპარტიატთა რიცხვი, რომელთათვისაც ეს ილოტები მუქთად მუშაობდნენ, დაახლოებით 32.000 კაცს უდრიდა.

ფრანგი ისტორიკოსის გლოტცის გამოანგარიშებით V საუკუნის შუა ხანებისათვის (ძვ. წ.) ატიკაში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 200.000 მონა, რაც, მისი აზრით, ატიკის მთელი მოსახლეობის ნახევარს შეადგენდა. პლატონის გადმოცემით, ზოგიერთ მდიდარ ათენელ მონათმფლობელს შინამოსამსახურედ ჰყავდა 50-მდე მონა.

უფრო მეტი იყო მონათა რაოდენობა რომში. რომის იმპერატორ ავგუსტუსის დროს, (I საუკუნე) ისტორიკოსების გამოკვლევით, რომის მთელი იმპერიის მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 75 მილიონ კაცს. აქედან მარტო იტალიაში ვარაუდობენ 20 მილიონამდე მცხოვრებს, რომელთა შორის 8 მილიონი უნდა ყოფილიყო თავისუფალი და 12 მილიონი კი — მონა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მარტო ქალაქ რომში და მის მიდამოებში 900.000-მდე მონა ითვლებოდა.

თავისუფალთა რიცხვთან შედარებით მონათა სიჭარბეს ქ. რომში ადასტურებს შემდეგი გარემოებაც: ძველი რომაელი ფილოსოფოსის სენეკას გადმოცემით, ერთხელ რომის სენატი იხილავდა საკითხს იმის შესახებ, რომ მონებისათვის შემოეღოთ განსხვავებული ტანსაცმელი, რათა ისინი თავისუფალთაგან გარეგნულადაც განსხვავებულნი ყოფილიყვნენ. დიდი დავისა და კამათის შემდეგ რომის სენატმა ეს წინადადება უარყო. უარყოფა ასე იყო დასაბუთებული: მონები უფრო ბევრნი არიან, ვიდრე თავისუფალნი, განსხვავებული ტანსაცმელის ტარებით მონები დარწმუნდებიან თავიანთ რიცხობრივ სიჭარბეში, ამის შეგნება კი მათ ააგულიანებს, აჯანყება და შფოთი მოაწყონ, რაც თავისუფალ რომაელთა სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნისო.

ანტიკურ ქვეყნებში მონათა დიდ რაოდენობაზე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ ცალკეულ მსხვილ მონათმფლობელებს ხშირად ათასობით და ათეულ ათასობით მონა ჰყავდათ. ასე მაგალითად, ათასამდე მონა ჰყავდა ათენელ მონათმფლობელს ნიკიასს. ბერძნული წყაროების გადმოცემით, ძველ კართაგენში, ხოლო გრამატიკოს და სოფისტ აფინეის გადმოცემით, ძველ რომში ზოგიერთ

მონათმფლობელს 20.000-მდე მონაც კი ჰყოლია. სულას გერის—ვინმე სკვარის მონების რიცხვი 8000 კაცამდე აღწევდა. პლინიუსის გადმოცემით, პირველ საუკუნეში მცხოვრებმა რომაელმა მონათმფლობელმა—ვინმე გაიოს ცეცილიუს ისიდორემ ანდერძით დატოვა 4116 მონა. ერთი სიტყვით, ყველა ზემომოყვანილი ფაქტი და მოსაზრება იმის დამადასტურებელ საბუთად უნდა ჩაითვალოს, რომ ანტიკური ხანის წამყვან მონათმფლობელურ სახელმწიფოებში მონების რიცხვი თავისუფალთა რიცხვზე მეტი უნდა ყოფილიყო.

ასეთია მონათმფლობელურ ქვეყნებში სოციალური სურათის ზოგადი მონახაზი. იქ მცხოვრებთა ნახევარზე მეტი მონების სახით საზოგადოებიდან გარიყულნი და ოფიციალური იდეოლოგიით „მოლაპარაკე იარაღად“ გამოცხადებულნი არიან. მათ წართმეული აქვთ ყოველგვარი ადამიანური უფლებები, ჩაყენებულნი არიან პირუტყვის მდგომარეობაში და თავიანთ გაძაღლებულ წუთისოფელს ტანტალოსისებრ ტანჯვა-წამებაში ატარებენ. ვაჭრობის საგნად გადაქცეული ეს მონები, ბაზარზე გატანილი ხურდა ფულივით ერთი მეპატრონიდან მეორის ხელში გადადიან.

მონების ეს კოლოსალური რიცხვი და ომით, მეკობრეობით, დაკაბალებით და აგრეთვე დაპყრობილ ხალხზე ხარკის დადებით მონების ხელში ჩაგდების სიადვილე მეტად დაბლა სწევდა ამ „ადამიან-პირუტყვის“ როგორც „საბითუმო“, ისე „საცალო“ ფასებს. იმ მონების ფასის განსაზღვრაში, რომელთაც რაიმე ხელობა იცოდნენ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ამ ხელობის ხასიათს და მონის მიერ მისი დაუფლების ხარისხს.

მონის ფასი, როგორც ბაზარზე გატანილი ყველა სხვა საქონლისა, კონკურენციას ემორჩილებოდა და მეტად მოძრავი და ცვალებადი იყო. ყოველი დიდი ომის დამთავრების შემდეგ, როცა ბაზარზე ამ ცოცხალი „ადამიან-საქონლის“ ახალი ნაკადი გაჩნდებოდა, მონების ფასი ეცემოდა, ხოლო ბაზარზე მათი მიწოდების შემცირების შემთხვევაში ეს ფასი ისევ იზრდებოდა. სწორედ ამის გამო არ შეიძლება მონის ერთ განსაზღვრულ და გაქვავებულ ფასზე ლაპარაკი მთელი ძველი ისტორიის მანძილზე და ერთად აღებული ყველა ძველი ქვეყნების მიმართ.

მეხუთე საუკუნის შუა წლებში (ძველი წელთაღრიცხვით) ათენის სახელმწიფოში მონა, რომელსაც კვალიფიკაცია არ გააჩნდა, საშუალოდ იყიდებოდა 160—170 დრახმად (დაახლოებით 60 მანეთად). ასეთ მონას შეეძლო პატრონისათვის დღიურად მიეცა 1 ობოლი ($6^1/_2$ კაპიკი) შემოსავალი. ამგვარად, მას სჭირდებოდა სულ 3—4 წელიწადი, რომ მყიდველისათვის აენაზღაურებინა ის თანხა, რაც მასში იყო გადახდილი. 3—4 წლის შემდეგ ეს მონა მყიდველს, როგორც იტყვიან, სუფთა მოგებაში რჩებოდა.

შემდეგ ხანებში საბერძნეთში მონის ფასი გაიზარდა. ათენში დემოსთენეს დროს (384—322 წწ) მონა საშუალოდ ღირდა 100 — 120 მანეთი, ცხენი კი—480—500 მანეთი, ამგვარად, ერთი ცხენის ფასით შეიძლებოდა 4—5 მონის ყიდვა.

ზოგჯერ მონის გაყიდვის დროს, როგორც გამონაკლისი შემთხვევა, მნიშვნელობა ეძლეოდა მის წარმოშობას და წოდებას. ასე მაგალითად, „ილიადა"-ში მოცემული ცნობების მიხედვით ერთ მონა ქალში მისცეს 4 ხარი, ლაერტმა ლამაზ ქალში მისცა 20 ხარი, მაშინ, როცა აქილესმა კუნძულ ლემნოსზე ტროას მეფის პრიამოსის შვილი ლიკაონა 100 ხარად გაყიდა. ხოლო კანასთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ (216 წ. ძვ. წ.) ჰანიბალმა ტყვედ ჩაგდებული რომაელი მხედრები გაყიდა მონებად თითო 136 მანეთად, ლეგიონერები კი—თითო 82 მანეთად.

ასეთი გამონაკლისები ხდებოდა, ერთი მხრით, იმიტომ რომ მონის მყიდველს თავი მოსწონდა, რომ მას მაღალი წარმოშობისა და მაღალი რანგის ადამიანი ჰყავდა მონად. და, მეორე მხრით, იმიტომ რომ არ იყო გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ასეთ მონას გამოსჩენოდა პატრონი, ნათესავი ან ვინმე გულშემატკივარი და გამოესყიდა იგი მონობიდან. ამ გამოსყიდვის დროს კი მასში მეტი იქნებოდა გადახდილი მისი თავდაპირველი ნასყიდობის ფასთან შედარებით. ასეთი შემთხვევები იყო გამონაკლისი და გადახვევა ძირითადი კანონიდან, რომლის მიხედვითაც მონის ფასი განისაზღვრებოდა ბაზრის მოთხოვნილებით და მონის ინდივიდუალური თვისებებით, მისი ასაკით, სილამაზით და პროფესიით.

პირველ საუკუნეში რომში მონის საშუალო საბაზრო ფასი უდრიდა დაახლოებით 300—500 დენარს (120—200 მანეთს), მაგრამ იმ წლებში, როდესაც რომის არმიის მიერ ახალი ოლქებისა და ქვეყნების დაპყრობის შედეგად ბაზარზე ერთბაშად გამოჰყავდათ გასაყიდად ათეულ ათასობით მონა, მისი ფასი კატასტროფიულად ეცემოდა. ასე მაგალითად, I საუკუნეში (ძვ. წ.), როდესაც რომმა მითრიდატე დაამარცხა და პონტოს უზარმაზარი სამეფო დაიპყრო, რომაელებმა პონტოს სამეფოდან იმდენად ბევრი მონა წაიყვანეს, რომ ბაზარზე მათი ფასი 4 დენარამდე[1], ე. ი. 1 მანეთსა და 60 კაპიკამდე დაეცა. ანტონინების დინასტიის (96—192 წწ) დროს მონის საშუალო ფასი მერყეობდა 2—210 მანეთის ფარგლებში.

ასეთი იყო მონის საშუალო ფასი სხვადასხვა დროს. რა თქმა უნდა, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მონა ამ საშუალო ფასზე უფრო დაბლა ან მაღლა იყიდებოდა. ამ შემთხვევაში მონის ფასი დამოკიდებული იყო თვით მონის ღირსება-ნაკლოვანებაზე და მის მიერ ამა თუ იმ ხელობის ცოდნასა და დასპეციალებაზე.

მონათმფლობელები დიდ ფულს იხდიდნენ ისეთი მონების შესასყიდად, რომელნიც ვირტუოზულად იყვნენ დაუფლებულნი თავის პროფესიას. განსაკუთრებით დიდ ფასად იყიდებოდნენ ლამაზი მოცეკვავე ქალები, მსახიობები და, საერთოდ, ხელოვნების წარმომადგენლები, რომელთაც შეეძლოთ გაერთოთ განებივრებული მონათმფლობელი, მისი ოჯახის წევრები და სტუმრები. პლინიუს უფროსის (23—79 წწ) გადმოცემით, ზოგიერთი ყველაზე გამოჩენილი მონა მსახიობი 700.000 სესტერცად (70.000 მანეთად) და მეტადაც იყიდებოდა.

მონის საშუალო ფასთან შედარებით მეტად დიდ ფასად იყიდებოდნენ მონა ფილოსოფოსები და გონებრივი შრომის სხვა დარგში მომუშავე მონები. ამ შემთხვევაში ხშირად ზოგიერთი ბრიყვი და გაუნათლებელი მონათმფლობელი, რომელიც მდგომარეობამ დიდი სიმდიდრისა და ათასობით სხვა ადამიანთა სიცოცხლის (ე. ი. მონების) პატრონი გახადა, მაგრამ, რომელსაც

[1] დენარი უდრიდა დაახლოებით 40 კაპიკს.

განათლება და კულტურა აკლდა, თავის ამ გაუნათლებლობის ნაკლის დაძლევას განათლებული მონების შესყიდვით ცდილობდა, თუნდაც ისინი მას მეტად ძვირადაც დასჯდომოდა.

გაუნათლებლობას ეს ნაკლი ზოგიერთი მონათმფლობელისათვის მეტად საგრძნობი იყო. ხშირად სტუმრებთან ან განათლებულ ადამიანთა წრეში საჭირო ხდებოდა ცოდნისა და ნაკითხობის გამომჟღავნება, ან წამოჭრილ თეორიულ და ლიტერატურულ საკითხზე სიტყვის გაგრძელება და კოლეგასთან თუ მობაასესთან დავა და კამათი. კომერციით, ქონების დაგროვებით გართული და გარყვნილ ცხოვრებაში ჩაფლული ზოგიერთი მონათმფლობელი „ვერც დროს შოულობდა“ და ვერც საჭირო ხალისსა და მონდომებას იჩენდა იმ დროისათვის შესაბამისი სისტემატური განათლების მისაღებად. შემდეგ კი, როდესაც ცოდნის შეძენა მას რეალურ საჭიროებად დაესახებოდა, როგორც აღნიშნული იყო, იგი იძულებული ხდებოდა ზოგჯერ მეტად დიდ ფასად ეყიდნა განათლებული მონები. იგივე პლინიუს უფროსის გადმოცემით, ერთ მონათმფლობელს მონა გრამატიკოსი დაფნისი 70.000 მანეთად უყიდია. ასეთი მონათმფლობელები ამ მონების საშუალებით ცდილობდნენ, დილეტანტურად მაინც ზიარებოდნენ იმდროინდელ კულტურას.

ერთი რომაელი მონათმფლობელის შესახებ ამბობდნენ, რომ მან ენერგიით ვერ შეძლო აქილესის და პრიამოსის სახელების დამახსოვრება. შემდეგ კი იგი ერთის დაკვრით შეეცადა ამ ნაკლის გამოსწორებას. იყიდა მონები, რომელთაც კარგად იცოდნენ ჰომეროსი, ჰესიოდე და ცხრა ლირიკოსთა ნაწარმოები; სტუმრებთან ლიტერატურული პაექრობის დროს ფარდის უკან ამოფარებული ეს მონები კარნახობდნენ და წარმართავდნენ მათი პატრონის ლიტერატურულ დავასა და ძიებას.

მაგრამ ასეთი გზით, რა თქმა უნდა, არ ხერხდებოდა მონათმფლობელის უვიცობის და უკულტურობის მნიშვნელოვნად დაძლევა. მას არ შეეძლო მცოდნე მონის თავი თვითონ მოედგა მხრებზე. რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო, ასეთ თავებს ძალითა და ფულით მონათმფლობელი ასობით იშოვიდა და მაშინ ყველაზე ძალოვანი და მდიდარი მონათმფლობელი ყველაზე მცოდნე ადამიანიც იქნებოდა ამქვეყნად.

ისტორიკოს სვეტონიუსის გადმოცემით, რომის იმპერატორ კალიგულას (37—41 წწ) განკარგულებით ბერძნული პანთეონის უმაღლესი ღმერთის—ზევსის ქანდაკებას მოანგრიეს თავი და მის დარჩენილ ტანს მოადგეს თვითონ კალიგულას თავის გამოხატულება. როგორც ჩანს, ამ შიზოფრენიკ კალიგულას ზევსის ტანი უფრო მეტად შურდა, ვიდრე მისი თავი, და ამ ტანის მისაკუთრებას იგი ასეთი ძალმომრეობის გზით ცდილობდა.

თუ მაშინდელ ეპოქაში—ღმერთების ესოდენ დიდი რწმენისა და შიშის დროს, მათაც კი არ ერიდებოდნენ და ასეთ ოპერაციებს მიმართავდნენ, რა მოსარიდებელი იქნებოდა მონა, რომელიც ცხენზე უფრო იაფი ღირდა და რომლისაც არც ეშინოდათ და არც მორიდება ჰქონდათ. მაგრამ თვით ამ მონა-სწავლულთა საბედნიეროდ, ასეთი ოპერაციები, თავისი შეუძლებლობის გამო არ ხერხდებოდა ცოცხალ ადამიანებზე. მართალია, მონების მთელი სიცოცხლე და სხეულიც მონათმფლობელს ეკუთვნოდა, მაგრამ მას არ ეკუთვნოდა და არც შეეძლო თავისად ექცია ამ მონების ნიჭი, კულტურა და ცოდნა.

ეს ცოდნა იყო გაუსესხებელი სიმდიდრე, რითაც ზოგიერთი მონა მაღლა იდგა თავის უვიც პატრონზე. ამ სიმდიდრის წართმევა კი მისთვის სიკვდილის მეტს ამ ქვეყნად არავის შეეძლო. ძალიან დიდი ხნის შემდეგ იმ ეპოქიდან, რომელსაც ჩვენ აქ ვიხილავთ, ცოდნისა და სწავლის ამ გაუკოფლობასა და წაურთმეველობაზე, რომელიც ყოველთვის ასეთად რჩებოდა და რჩება, პოეტი დავით გურამიშვილი ამბობდა:

„სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეკილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი...
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების,
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების.“

ცოდნის გაყოფა და წართმევა არ შეიძლებოდა, მაგრამ შეიძლებოდა მისი შესწავლა და შეთვისება. ეს კი საჭიროებდა დროსაც, ინტერესსაც და გონების დაძაბვასაც. ზოგიერთი წარჩინებული პირი ამაოდ ცდილობდა ამ ამოცანის უფრო იოლი გზით მიღწევას, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, ასეთი იოლი გზა მეცნიერების შესათვისებლად არ მოიპოვებოდა.

ერთი გადმოცემით, როდესაც ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ეგვიპტის მეფე პტოლემაიოსს გეომეტრიის ფუძემდებლის ევკლიდეს წიგნის—„ელემენტების“ გაგება გაუძნელდა, მან დაიბარა ევკლიდე და სთხოვა, რომ გეომეტრიის შესათვისებლად მეცნიერს მისთვის უფრო ადვილი მეთოდი ესწავლებინა, ევკლიდემ ამაყად უპასუხა პტოლემაიოსს: „მეფეებისათვის გეომეტრიაში განსაკუთრებული გზა არ არის“-ო. სწორედ ამ „განსაკუთრებულ“—„იოლი გზის“ არ არსებობა მეცნიერებაში ადებდა ფასს მონა-სწავლულებს. დიდი შეძლების რომაელთა ოჯახებში მრავლად იყვნენ ნაყიდი და მიყვანილნი მონათმფლობელისა და მისი ბავშვების აღსაზრდელად და გასანათლებლად ეს მონა-სწავლულები: ფილოსოფოსები, მწერლები, ისტორიკოსები, მასწავლებლები და სხვ.

ძველად მონა-სწავლულებით და ფილოსოფოსებით ვაჭრობა იმდენად იყო მოდაში შემოსული, რომ ამ თემაზე ცნობილმა სატირიკოსმა მწერალმა ლუკიანემ (II საუკ. ახ. წ.) სპეციალური სატირიკული ხასიათის შრომაც კი დაწერა. ამ შრომაში ფილოსოფოსთა პატრონი (ვაჭარი), სახელად ზევსი, ამბობს: „ჩვენ აუქციონით გავყიდით ყველა სახის სექტების ფილოსოფოსთ. ვისაც არ შეუძლია ნაღდი გადაიხადოს, შეუძლია მოიყვანოს თავდები.

ჰერმესი (გამომცხადებელი — მ. ა.)—ვინ გინდათ პირველ რიგში გამოიყვანოთ გასაყიდად?

ზევსი—აი ეს გრძელთმიანი იონიელი, მე მგონია, რომ იგი სრულიად წესიერია.

ჰერმესი—ჰეი, შენ, პითაგორელო, ჩამოდი და ეჩვენე აქ შეკრებილთ.

მყიდველი—საიდან ხარ შენ?

პითაგორი—სამოსიდან.

მყიდველი—სად სწავლობდი შენ?

პითაგორი—ეგვიპტეში, ადგილობრივ ბრძენებთან.

მყიდველი—აბა გაიხადე ტანსაცმელი... მე მინდა შეგხედო ტიტველს. როგორია მისი ფასი?

ჰერმესი —ათი მინა.[1]

მყიდველი—აი ფული, მე ეგ მიმყავს.

---

[1] მინა ეწოდებოდა ძველ საბერძნეთში ფულის ერთეულს. იგი უდრიდა დაახლოებით 40 მანეთს.

ზევსი—გაიგე მყიდველის სახელი და მისი სამშობლო.
ჰერმესი—მე მგონია. რომ იგი რომელიღაც იტალიელია, კროტონიდან ან ტარენტიდან.
ზევსი—გაუშვით. წაიყვანოს იგი. მოიყვანეთ შემდეგი მონა.
ჰერმესი—არ გამოუშვათ ახლა აი ის ჭუჭყიანი პონტოელი?
ზევსი—კარგი.
ჰერმესი—ეი, შენ ჩანთიანო კაცო, უსახლებო ტუნიკით... მოდი და შემოუარე აქ შეკრებილთ ირგელივ. ხომ არავინ არის მსურველი, რომ იყიდოს?
მყიდველი—რისთვის შეიძლება გამოდგეს ასეთი ჭუჭყიანი და ჩამოფლეთილი ადამიანი? იგი გამოდგება მხოლოდ იმისათვის,რომ მიწა თხაროს ანდა წყალი ზიდოს.
ჰერმესი—გამოიყენე იგი მეკარედ, ის შენ ძაღლზე უკეთესად გიდარაჯებს.[1]
მყიდველი—მე მოგცემთ მაგაში არა უმეტეს ორ ობოლს[2].
ზევსი—მოიყვანეთ შემდეგი"... და ასე გრძელდება აუქციონით ფილოსოფოსების გაყიდვა. ზემოაღნიშნულთა გარდა გაიყიდნენ ფილოსოფოსები: სოკრატე, სტოიკოსი ხრიზიპი, სკეპტიკი ფილონი და სხვ. ბი. გაუყიდავი დარჩნენ ფილოსოფოსები: დემოკრიტე, ჰერაკლიტე და სხვები.

როგორც აღნიშნული იყო, ლუკიანეს ეს ნაწარმოები ლიტერატურული ხასიათისაა. მართალია, აქ ჩამოთვლილი ფილოსოფოსები არ ყოფილან მონები და, ამგვარად, არც აუქციონით გაყიდულნი, მაგრამ, სამაგიეროდ, მონებად გაყიდეს სხვა ფილოსოფოსები, ლიტერატორები და მეცნიერები. აუქციონი კი ბაზარზე მონების გაყიდვის ერთ-ერთი ფორმა იყო. ხშირად აუქციონით ყიდდნენ არა მხოლოდ ცალკეულ მონებს, არამედ რომელიმე დაპყრობილი ქალაქის მთელ მოსახლეობასაც. აუქციონით გაყიდა, მაგალითად, ქ. ოლინთის მცხოვრებნი ალექ-

---

[1] პონტოელში იგულისხმება კასრში მცხოვრები ცნობილი ფილოსოფოსი დიოგენე. იგი პონტოელად არის მოხსენიებული, რადგანაც წარმოშობით პონტოს ქ. სინოპიდან იყო. ძველად ხშირად ძაღლის მაგიერ მონას აბამდნენ ეზოს კართან სახლის საყარაულოდ და ჰერმესიც ამ მოვალეობის შესრულებაზე აძლევს „რეკომენდაციას" ფ ლოსოფოს დ ოგენეს. ამ-ით ლუკიანეს სურს აჩვენოს, თუ სადამდე იყო მისული ძველად ადამიანის დაკნინება.

[2] ობოლი უდრის დაახლოებით $6^1/_2$ კაპიკს.

სანდრე მაკედონელის მამამ ფილიპე მეორემ. ასე რომ, ლუკიანეს აღნიშნული სატირა ალეგორიული ფორმით ისტორიულ სინამდვილეს გამოხატავს. და აი უფრო კონკრეტული ისტორიული ფაქტებიც.

ერთი გადმოცემის მიხედვით, VI საუკუნეში, ძველი წელთაღრიცხვით, მონად იყო გაყიდული იგავ-არაკების ცნობილი მწერალი ესოპე. რადგან იგი მეტად მაიინჯი ყოფილა—„მოხრილი ბეჭითა და მოქცეული კისრითა“, ამიტომ გაუყიდნიათ მეტად იაფად—60 ობლად (დაახლოებით 4 მანეთად). 387 წ. (ძვ. წ.) ქ. სირაკუზის ტირანმა დიონისემ მონად გაყიდა ქ. ეგინას ბაზარზე ძველი საბერძნეთის ცნობილი ფილოსოფოსი პლატონი. მონობიდან მისი გამოსყიდვისა და კვლავ განთავისუფლებისათვის გადახდილი იყო 20 მინა (დაახლოებით 800 მან.). ძველად მონებად იყვნენ გაყიდული ფილოსოფოსი ეპიქტეტი (I საუკუნე ახ. წ.), ისტორიკოსი პოლიბიოსი (II საუკ. ძვ. წ.) და სხვ.

რომში მრავალი მონა და აზატი (განთავისუფლებული მონა) მოღვაწეობდა კულტურის და მეცნიერების ამა თუ იმ დარგში. „რესპუბლიკის დროს და იმპერიის დასაწყისში,—წერს ინგრემი,— მრავალი მათგანი იყო გრამატიკისა და მისი მოსაზღვრე მეცნიერების პროფესორი, როგორც მაგალითად, ტირონი, ...გიგინიი—ავგუსტუსის ბიბლიოთეკარი. იყო უფრო მქუხარე სახელები—ლივიი ანდრონიკე, სტაციი ცეციილიუსი, ტერენციუსი, პუბლი სირ, ფედრი“ და სხვა. ისტორიკოსების მიერ დადგენილია, რომ საშუალო ფასი ფილოსოფოსებზე, კერძოდ სოფისტებზე, რომელთაც მჭერმეტყველების მასწავლებლად ყიდულობდნენ, უდრიდა 10—15 მინას, ე. ი. დაახლოებით 400 – 600 მანეთს.

ჩვენს მიერ ზემომოყვანილი ფაქტები და იქ გატარებული აზრი გაუნათლებელ მონათმფლობელთა მიერ განათლებული მონების შესყიდვაზე, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მონების მეპატრონეები ყველანი გაუნათლებელნი, ხოლო მონები ყველანი განათლებულნი იყვნენ. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ასეთი შემთხვევებიც იყო, და რომ ამ შემთხვევების დროს განათლებული მონა ისევე იყო ნივთად მიჩნეული და კომერციის კანონებს დაქვემდებარებული, როგორც მისი კოლეგა—გაუნათლებელი მონა. განსხვავება მათ შორის ფასში იყო და არა მდგომარეობაში. ეს მაღალი ფასი კი ეკუთვნოდა არა იმას, ვისაც ყიდდნენ, არამედ იმას, ვინც ყიდდა. ასე რომ, მონაზე

ფასის მეტნაკლებობას მნიშვნელობა ჰქონდა არა თვით მონისათვის, არამედ მისი პატრონისათვის. მონისათვის სულ ერთი იყო, რა ფასად გაყიდიდნენ მას, ისე როგორც ხარისათვის სულ ერთია 100 მანეთად გაყიდიან მას თუ 2000-ად.

ამგვარად, მონები ჰყავდათ როგორც განათლებულ, ისე გაუნათლებელ მოქალაქეებსაც, ერთი სიტყვით, ყველას, ვისაც ისინი სჭირდებოდა ამა თუ იმ მიზნით და ვისაც კი ფული ჰქონდა, რომ ისინი ეყიდა. თვითონ ლიცეის პირველ ხელმძღვანელს—არისტოტელეს 13 მონა ჰყავდა, ლიცეის შემდეგ ხელმძღვანელებს კი: თეოფრასტეს—9, სტრატონს—6, ლიკონს—12. მონები ჰყავდა ციცერონსაც.

ყოველ ქალაქში ბაზრის ერთი ნაწილი შემოღობილი იყო და იქ წარმოებდა მონებით ვაჭრობა. სტრაბონის გადმოცემით, მონათა ყველაზე დიდი ბაზარი ანტიკურ ქვეყნებში იყო ეგეოსის ზღვაში მდებარე კუნძულ დელოსზე, სადაც დღეში ზოგჯერ 10.000 მონა იყიდებოდა.

როგორც წესი, მონები ბაზარზე გაშიშვლებულნი იდგნენ, რომ მყიდველს შესაძლებლობა ჰქონოდა მათი ყოველ მხრივ შემოწმებისა და რომ მხედველობიდან არ გამორჩენოდა მათი რაიმე ფიზიკური ნაკლი ან დაავადება. ამავე დროს, მონობის ნიშნად მონებს ფეხები დაფარული ჰქონდათ თეთრი საღებავით. ყოველ გაშიშვლებულ მონას კისერზე ჩამოკიდებული ჰქონდა ფიცრის პატარა ნაჭერი—იარლიკი, რომელზედაც აღნიშნული იყო მისი სადაურობა, ეროვნება, სალაპარაკო ენა, წლოვანება, პროფესია და ზოგჯერ ფასიც.

მყიდველის მოთხოვნით მონას ზოგჯერ ჩქმეტდნენ, ახტუნებდნენ, არბენინებდნენ, სიმძიმეს აწევინებდნენ, უბრძანებდნენ, რომ მოხრილიყო, გადაღუნულიყო, ერთი სიტყვით, მიეღო სხვადასხვა მდგომარეობა: სიმარდისა, გამძლეობისა, მოქნილობისა და ამტანიანობის გამოსამჟღავნებლად; თუ კი მას გონებრივი შრომისათვის ყიდულობდნენ, მაშინაც უწყობდნენ შესაფერ გამოცდასა და შემოწმებას.

მონის მყიდველს აინტერესებდა არა ის, თუ ვინ იყო წინათ ეს მონა, რომლის ყიდვასაც იგი აპირებდა, არამედ ის, თუ რა

პროფესია ჰქონდა მას და რა საქმეში გამოდგებოდა ახლა. პლუტარქეს გადმოცემით, ერთმა მონა სპარტიატმა ბაზარზე მყიდველის შეკითხვაზე—„რის გაკეთება შეგიძლიაო“, უპასუხა—„ვიყო თავისუფალიო“. რა თქმა უნდა, ასეთი „პროფესია“ მონის მყიდველს სრულიადაც არ აინტერესებდა. გარდა ამისა, თვითონ ამ სპარტიატს ავიწყდებოდა, რომ „თავისუფლად ყოფნა“ პროფესია არ იყო და რომ ეს თავისუფლება მას უკვე ზურგს უკან ჰქონდა დარჩენილი. თვით ის ფაქტი, რომ იგი ფეხებშეღებილი, ტიტველი და კისერზე იარლიკჩამოკიდებული იდგა ბაზარზე გასაყიდად, ნიშნავდა იმას, რომ „თავისუფლად ყოფნის“ ეს „პროფესია“ მას სამუდამოდ დაკარგული ჰქონდა.

გამყიდველი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ მუშტრისათვის მონა უფრო ახალგაზრდა, უფრო ლამაზი, გონიერი, წესიერი და თავის პროფესიის ვირტუოზულ მცოდნედ მოეჩვენებინა. მონის გამყიდველსა და მყიდველს შორის იდებოდა გარკვეული სავაჭრო შეთანხმება, რომლის ძალითაც მყიდველს უფლება რჩებოდა, სავაჭრო გარიგებაში აღნიშნული ვადის გასვლამდე უკან დაებრუნებინა გამყიდველისათვის მონა, თუკი იგი ისეთი არ აღმოჩნდებოდა, როგორც მას დაუხასიათეს და თუ რაიმე უარყოფით და აუტანელ თვისებებს გამოაჩენდა.

განსაკუთრებით გულდასმით ამოწმებდნენ შინასამსახურისათვის განკუთვნილ მონებს: მზარეულებს, ექიმებს, აღმზრდელებს და სხვებს, რომელთაც შემდეგში თავიანთი მუშაობის ხასიათით ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ თავიანთ პატრონებთან და, რომელთაც ამის გამო ადვილად შეეძლოთ მათთვის რაიმე ზიანი მიეყენებინათ.

მონებს ყიდდნენ და ყიდულობდნენ „ცალობით“ და „ბითუმად“. ერთ დღეს ვინმე მნაზონმა ათასი მონა იყიდა ერთბაშად ბაზარზე. ყიდდნენ მათ ხან ჩვეულებრივი წესით, ხან კი აუქციონით. ხშირად მოხუც მონებს ახალგაზრდა მონათა გაყიდულ პარტიას თან ატანდნენ, როგორც დანაწონს („დავესკას“). ზოგიერთ შემთხვევაში მონებს პირდაპირ აძლევდნენ საჭირო საქონელში, მაგალითად, თრაკიაში მათ უბრალოდ სცვლიდნენ მარილზე.

თუ მონების მეპატრონეს სხვადასხვა საგანი სჭირდებოდა, მათი შეძენა მას შეეძლო იმ გზითაც, რომ თავისი მონები გაეყიდა და აღებული საფასურით ეს საგნები ეყიდა, და იმ გზითაც, რომ პირდაპირ გაეცვალა მათში თავისი მონები. „ადამიანი,— წერს მარქსი,—ხშირად თვით ადამიანს მონის სახით ფულის თავდაპირველ მასალად იყენებდა"-ო[1]. ადამიანი ფულის მაგიერ და ფულის როლში! აი სადამდე იყო მოხა მონათმფლობელურ ფორმაციაში დაცემული. მას წართმეული ჰქონდა ყოველგვარი ადამიანური ღირსება, და იმდენად იყო საინტერესო თავისი პატრონისათვის, რამდენადაც ამ პატრონს შეეძლო მისით სხვა საგნის შეძენა.

ძველ საბერძნეთში მონების ძირითადი მასა იკრიბებოდა ომით, მეკობრეობით და ვაჭრობით: ეგვიპტიდან, სირიიდან, არაბეთიდან, ფინიკიიდან, გალატიიდან, კაპადოკიიდან, პონტოდან, სარმატიიდან, სკვითეთიდან, თრაკიიდან, ილირიიდან და სხვ. აღსანიშნავია, რომ ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის ბერძნულ წყაროებში ჩვენ უკვე გვხვდება ცნობები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე—ტრაპეზუნტისა და კერასუნტის მიდამოებში მცხოვრები ქართველი ტომებიდან, მაგალითად, ტიბარენებიდან საბერძნეთში წაყვანილი მონების შესახებ.

შემდეგ, რომის „მსოფლიო სახელმწიფოს" წარმოქმნის დროიდან, როცა მონათა ბაზარი უფრო მეტად ფართოვდება, გარდა ჩამოთვლილი ქვეყნებისა, რომში უფრო დიდი რაოდენობით მიჰყავდათ მონები აგრეთვე სპარსეთიდან, პართიიდან, იბერიიდან (ქართლიდან), სომხეთიდან, თვით საბერძნეთიდან, კართაგენიდან, ნუმიდიიდან, მავრიტანიიდან, ესპანეთიდან, გალიიდან, ბრიტანეთიდან, გერმანიიდან და სხვა მრავალი ქვეყნიდან. ასე რომ, ჯერ საბერძნეთში და შემდეგ კი განსაკუთრებით რომში, მონებად იყვნენ მრავალი ათეული ქვეყნიდან და ხალხებიდან წაყვანილი ადამიანები. ეს ადამიანები თავიანთ კერასა და საშობლოს ათასი კილომეტრობით იყვნენ მოწყვეტილნი და ზღვებს იქით, უცხო ქვეყნად მონობაში ლევდნენ თავის სიცოცხლეს. თავიანთი ოჯახისა

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. 54.

და ქვეყნისათვის სიცოცხლეშივე დაკარგულნი, ისინი სიკვდილს ხვდებოდნენ უცხო ქვეყნების მიწა-წყალზე მორალურად დამბლადაცემულნი და ფიზიკურად განადგურებულნი, მომქანცველს შრომასა და ბორკილებში. მათ შეეძლოთ საკუთარი „ბედის“ უკულმართობაზე მეტი უფლებით გაემეორებინათ დიდი რუსთაველის სიტყვები:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!...
...სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა“.

იშვიათი არ იყო შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე ოჯახის წევრების (მათ შორის მშობლებსა და შვილებს) ჰყიდდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნებში, არამედ სხვადასხვა კონტინენტებზედაც. ასეთ შემთხვევებში, პირველი დაშორების შემდეგ მათ ერთმანეთის შესახებ არაფერი იცოდნენ. და რადგან მონა, როგორც მაოქსი წერდა, ფულის მაგიერობასაც ასრულებდა, ამიტომ ხშირად ძნელი იყო ამ „ცოცხალი ფულის“ დაუსრულებელი ბრუნვისათვის თვალის მიდევნება, თუ როდის, სად და როგორ გადავიდოდა ის ერთი მეპატრონის „ჯიბიდან“ მეორესთან და ერთი ქვეყნიდან მეორეში.

ამ მძიმე მდგომარეობაში მონებს აყენებდა მათი იაფად შეძენისა და ადვილად შენახვის შესაძლებლობა. იგივე პირობები უზრუნველყოფდა ამ მონური შრომის დიდი რაოდენობით დანერგვას მეურნეობაში.

— ———

VI. მონური შრომის გამოყენება მეურნეობაში

ძველ მონათმფლობელურ ქვეყნებში ადრევე ჩამოყალიბდა მონური შრომის ექსპლოატაციის სამი ძირითადი ფორმა.

მონური შრომის ექსპლოატაციის პირველ ფორმას წარმოადგენდა ე. წ. უშუალო ექსპლოატაცია. უშუალო ექსპლოატაციის დროს მონის პატრონი თავისსავე მამულში ან თავის სახელოსნოში (ერგასტერიაში) ამუშავებდა თავის მონას და ამ გზით იგი უშუალოდ თვითონვე ეწეოდა მის ექსპლოატაციას. მონათმფლობელური ფორმაციის მთელ მანძილზე მონური შრომის ექსპლოატაციის ეს ფორმა რჩებოდა ძირითად და გადამწყვეტ ფორმად.

მონური შრომის ექსპლოატაციის მეორე ფორმა იყო მონების გაქირავება, რომელსაც ბერძნები მისთოფორიას უწოდებდნენ. მონური შრომის ექსპლოატაციის ამ ფორმას ჩვენ ადრევე ვხვდებით ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში. ასე მაგ., ძველ სუმერეთში ურის მესამე დინასტიის დროინდელ (2118—2007 წლები) საბუთებში ლაპარაკია უკვე მონების გაქირავებაზე. მონების გაქირავების ფაქტი ფიქსირებულია ეხნატონის დროინდელ (1424—1388 წ. ძვ. წ.) ეგვიპტურ წყაროებშიც. შემდეგ ანტიკურ ხანაში (საბერძნეთსა და რომში) მონური შრომის ექსპლოატაციის ამ ფორმამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე თავის ნაშრომში „შემოსავლის შესახებ“ წერს, რომ მდიდარ მონათმფლობელ ნიკიასს—ნიკერატეს შვილს ჰყავდა 1000 მონა, რომელთაც აქირავებდა დღეში ერთ ობოლად თითოეულს. მონების გაქირავებას მიმართავდნენ აგრეთვე ნიკიასის თანამედროვე ათენელი მონათმფლობელები ჰიპო-

ნიკე და ფილემონიდი, რომელთაგანაც პირველს 600 და მეორეს 300 მონა ჰყავდა. ასეთი მაგალითები მრავალი იყო.

მონების გაქირავებას მონათმფლობელები იმ შემთხვევაში მიმართავდნენ ხოლმე, როდესაც თვითონ მონების მეპატრონეებს არ ჰქონდათ ობიექტი (მიწა, სახელოსნო და სხვა) მონური შრომის გამოსაყენებლად, ანდა თუ მათი საკუთარი სამუშაო ობიექტი არა საკმაოდ ტვირთავდა ამ მონებს სამუშაოთი.

მონის გაქირავების ფაქტი იმ მოვლენის ერთ-ერთი მაჩვენებელია, რომ მონაში წაშლილია მისი ადამიანური ღირსებისა და მისი პიროვნების დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნასახი, რომ მონა გათანაბრებულია უბრალო სამუშაო იარაღთან, რომელსაც მისი მეპატრონე მონათმფლობელი, თუ უნდა, თვითონვე უშუალოდ მოიხმარს, ხოლო თუ ამის საჭიროება მის საკუთარ მამულსა და სახელოსნოში არ არის, მაშინ გააქირავებს მას, როგორც უბრალო იარაღსა და ხელსაწყოს.

მონური შრომის ექსპლოატაციის მესამე ფორმა იყო მონების გაშვება ღალაზე. მონური შრომის ექსპლოატაციის ამ ფორმასაც ჩვენ ისევ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში ვხვდებით, მაგალითად, ბაბილონის ისტორიაში. მაგრამ იგი თავის სრულყოფას აღწევს შემდეგ ანტიკურ ქვეყნებში.

გვიანდელ ბაბილონში მონის საშუალო ფასი დაახლოებით უდრიდა 60 სიკილას, ღალაზე კი მონას უშვებდნენ წელიწადში საშუალოდ 12 სიკილად, ე. ი. მისი ფასის 20%-ად. საბერძნეთში ვინმე ტიმარქე თავის მონა მეტყავეებს ღალაზე უშვებდა დღეში 2 ობოლად, რაც წლიურად მონის ფასის 60—80% ს შეადგენდა. ერთი სიტყვით, მონის გაშვება ღალაზე, განსაკუთრებით ხელოსანი და რაიმე საქმეში გამოცდილი მონისა მონათმფლობელისათვის უფრო ხელსაყრელი და მომგებიანი იყო, ვიდრე მისი უშუალო ექსპლოატაცია ან გაქირავება. სწორედ ეს გარემოება გახდა მიზეზი ისტორიულად მონური შრომის ექსპლოატაციის ამ ფორმის განვითარებისა.

საქმე ის არის, რომ კვალიფიციურ მონას, რომელიც ვირტუოზობამდე იყო დაუფლებული თავის პროფესიას, არ ჰქონდა არავითარი ხალისი და დაინტერესება არც დაძაბული მუშაობისა და არც თავისი ხელობის მთელი სისრულითა და ბრწყინ-

ვალებით გამომეღავნებისა, რადგანაც მას არავითარი წილი არ ედო თავისი შრომით შექმნილ ღირებულებაში. ეს გარემოება ადრეეე იყო შენიშნული ხარბი მონათმფლობელების მიერ და იმისათვის, რომ მონის პირადი დაინტერესების გზით უფრო სრულად გამოევლინებინათ მისი ხელობა და უნარი და თანაც თვითონაც მეტი შემოსავალი მიეღოთ მისგან, დაიწყეს განსაზღვრული ვადით ასეთი მონების დღიურად, თვიურად ან წლიურად დროებით განთავისუფლება და მათი ღალაზე გაშვება.

ასეთი წესით გარესაშოვარზე გაშვებული მონა, თავის პატრონთან წინასწარ შეკრული პირობის მიხედვით, ვალდებული იყო ეძლია მისთვის განსაზღვრული ოალა. ეს ღალა, როგორც ზევით იყო ნათქვამი. ერთი მხრით, აღემატებოდა მონის მეპატრონის მიერ წინათ ამ მონის უშუალო ექსპლოატაციით ან მისი გაქირავებით მიღებულ თანხას, და ამდენად ბონის პატრონისათვის მონის ექსპლოატაციის ეს ფორმა ყველა დანარჩენ ფორმასთან შედარებით უფრო ხელსაყრელი იყო. ხოლო, მეორე მხრით, თვითონ მონის ცხოვრების პირობებიც ერთგვარად უმჯობესდებოდა, რადგან ღალის გასტუმრების შემდეგ თავისი შრომის გადანამეტი თვითონ მონასვე რჩებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში ამ გადანამეტის დაგროვებით ახერხებდნენ მონები პატრონისაგან თავის გამოხსნას გამოსყიდვის გზით.

იურიდიული თვალსაზრისით მონას, ვიდრე იგი მონად რჩებოდა (რაიმე გზით განთავისუფლებამდე ან თავის გამოსყიდვამდე), არ ჰქონდა რაიმე საკუთრების მფლობელობის უფლება. მონის მთელი ნაამაგდარი იურიდიულად მის პატრონს ეკუთვნოდა. ამიტომ პატრონს შეეძლო, გარდა ღალისა, ყოველ წუთს პრეტენზია განეცხადებინა ღალაზე გაშვებული თავისი მონის მიერ დაგროვილ მთელ ქონებაზე. მაგრამ ამ უფლების რეალიზაციას მონათმფლობელები ზოგჯერ არ მიმართავდნენ იმ მიზეზით, რომ არ მოესპოთ ღალაზე გაშვებული მონისათვის დამოუკიდებელი სამეურნეო მოქმედების უნარი, რაც თვით მონათმფლობელისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტად ხელსაყრელი იყო.

მონური შრომის გამოყენებამ მეურნეობასა და ოჯახში ისტორიულად მთელი რიგი საფეხურები გაიარა. თავდაპირველად, გვაროვნული წყობილების დროს და აგრეთვე მისი რღვევის დაწყების პროცესში, მონური შრომა მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა მეურნეობაში, ძირითადად კი ადამიანთა საზოგადოების არსებობისათვის საჭირო მთელი მატერიალური დოვლათის შექმნა დამყარებული იყო თავისუფალთა შრომაზე.

შემდეგში, რამდენადაც გვაროვნული წყობილების რღვევა ძლიერდებოდა და კლასობრივი საზოგადოების კონტურები თანდათან უფრო ნათლად და მკვეთრად ისახებოდა, იმდენად იზრდებოდა თვითონ მონური შრომის ხვედრითი წონაც მეურნეობასა და ოჯახში.

კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნიდან (დაახლოებით 4000 წლებიდან ძვ. წ.) დაწყებული მონური შრომის ხვედრითი წონა მეურნეობაში სწრაფად იზრდებოდა. ეგვიპტეში 2800 წლებიდან და ძველ სუმერეთში კი ურის III დინასტიის დროიდან (2118—2007 წლებში) ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევაში მონური შრომა უკვე აჭარბებს თავისუფალთა შრომას და, საერთოდ, მთელი მეურნეობა უკვე მნიშვნელოვანწილად დამყარებული ხდება მონური შრომის ექსპლოატაციაზე.

უფრო გვიან. ანტიკურ ხანაში კი მონური შრომა უკვე მთელი მეურნეობის ქვაკუთხედი და საფუძველია. მეხუთე საუკუნის შუა წლებში (ძვ. წ.) ათენის სახელმწიფოში მონური შრომის გამოყენება მეურნეობაში თავისი ხვედრითი წონით 6—7-ჯერ სჭარბობდა თავისუფალ მოქალაქეთა შრომას. შემდეგ რომის სახელმწიფოში მონური შრომის გამოყენებამ მეურნეობაში უფრო მეტი გაქანება მიიღო, ვიდრე ოდესმე ჰქონია მას ძველი ქვეყნების ისტორიაში.

ამგვარად, ანტიკურ ქვეყნებში (საბერძნეთი და რომი) მონურ შრომაზე დამყარებული წარმოება აღწევს თავისი განვითარების კულმინაციურ წერტილს და ხდება წარმოების გაბატონებულ წესად, რომლის დროსაც თავისუფალი შრომის გამოყენებას მხოლოდ დაქვემდებარებული ადგილიღა აქვს შერჩენილი. სწორედ ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ ამ ქვეყნებს მონათმფლობელურ სახელმწიფოებს. მარქსი წერს, რომ ამ ქვეყნებში „სახელმწიფოს

არსებობა და მონობის არსებობა გაუთიშავია“-ო[1]. ერთი სიტყვით, ძველი ისტორიის ამ კლასიკურ ქვეყნებში „მონობა მთელი წარმოების საფუძვლად რჩებოდა.“[2]

მონური შრომის ასეთი დიდი რაოდენობით გამოყენებას წარმოებაში ხელს უწყობდა მეტისმეტად დაბალი გასაყიდი ფასების არსებობა მონებზე. ხოლო, თავის მხრივ, ამ დაბალი ფასების არსებობა მონებზე შეპირობებული იყო თვით მონების წარმოქმნის წყაროების ხასიათით. როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. თავი—„მონობის წყაროები“), ანტიკური ქვეყნების კლასიკურ ხანაში მონობის წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი წყარო გახდა ომი და მეკობრეობა. ხოლო ომისა და მეკობრეობის გზით მონების ხელში ჩაგდება—ეს უბრალო სამხედრო ნადავლი იყო (ომი), ანდა ძალით გატაცებული ნივთი (მეკობრეობა), რომლის შეძენაზეც მნიშვნელოვანი შრომა და „კაპიტალი“ არ იხარჯებოდა.

ძველი ისტორიკოსის ველლეი პატერკულის ცნობით, გალიის კამპანიის დროს (58—51 წწ) ცეზარმა ერთ მილიონამდე მონა გაყიდა და მათში 100 მილიონ დენარამდე აიღო. ბუნებრივია, რომ ცეზარს, რაგინდ დაბალ ფასადაც უნდა გაეყიდა ეს მონები, ის „ზარალს“ ამ კომერციით მაინც ვერ ნახავდა. ასევე მეკობრეებს არ შეეძლოთ ეზარალათ, თუნდაც მათ სულ იაფად გაეყიდათ მათ მიერ ძალით მოტაცებული ადამიანი, როგორც ვერ იზარალებდა ტყიდან გამოსული ყაჩაღი, რომელიც გაყიდდა იმ ნივთს, რაც მან თავის მსხვერპლს წაართვა. ეს მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ მონის ფასს, როგორც ყოველგვარ სხვა საქონლისას, საბოლოო ანგარიშით ბაზრის მიწოდება-მოთხოვნილების კანონი აწესრიგებდა.

მონური შრომის ფართოდ დანერგვას წარმოებაში ხელს უწყობდა აგრეთვე მონის, როგორც „ადამიან-იარაღისა“ და „ადამიან-ხელსაწყოს“ უნივერსალური ხასიათი. მართლაცდა, არც ერთი უნივერსალური მანქანა არ შეიძლება შეედაროს ადამიანს. ყოველგვარი რთული მანქანა განკუთვნილია მხოლოდ განსაზღვრული წარმოებითი ოპერაციების შესასრულებლად, განსხვავებული წარმოებითი ოპერაციების შესრულება კი შეუძლია მხოლოდ განსხვავებულ და, მაშასადამე, სხვა კონსტრუქციის მანქანას.

---

[1] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 14.

[2] იქვე, გვ. 21.

„ადამიან-მანქანა“ კი, რაგინდ დაბალი იყოს მისი პროფესიული მომზადება, თავისი ბუნებით, სწორედ იმის გამო, რომ ის ადამიანია, უფრო უნივერსალურია, ვიდრე მისივე ტვინითა და ხელით შექმნილი რაიმე ხელსაწყო. მომავლის დაუსრულებელ განვითარებაშიაც შეუძლებელია ადამიანმა შექმნას საკუთარ თავზე უფრო რთული და სრულყოფილი, საკუთარი თავის შემცველელი რამ.

ამ საკითხზე ჩვენ იმიტომ შევჩერდით, რომ, როგორც მარქსი აღნიშნავს, ანტიკური გაგებით მონა მიჩნეული იყო „მეტყველების უნარით დაჯილდოებულ იარაღად“. ანტიკური გონება ვერ წვდებოდა იმას, რომ მონა ადამიანი იყო და სწორედ ამიტომ ყოველგვარ იარაღზე უფრო უნივერსალური. ამ უნივერსალობის გამო მონის შრომა მრავალმხრივი შესაძლებლობის მფლობელი იყო და საჭიროების მიხედვით მას შეეძლო გამოვლინებულიყო სულ სხვადასხვა სახის შრომით პროცესში. მას შეეძლო, როგორც ინგრემი ამბობს, წარმატებით შეეცვალა „ვირი სიმძიმის წაღებაში, ცხენი წისქვილის ქვის ტრიალში, ხარი მინდვრის სამუშაოზე, მოდარაჯე ძაღლი კარებზე“.

წარმოებაში მონური შრომის ფართო მასშტაბით დანერგვას სწორედ ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ მონის სახით ეს უნივერსალური იარაღი მეტად იაფი და ადვილად შესაძენი იყო. ამით აიხსნება, რომ მონურმა შრომამ მოიცვა წარმოებისა და ყოფა-ცხოვრების ყველა დარგი.

ამავე დროს ამა თუ იმ მონათმფლობელური ქვეყნის ეკონომიკის ხასიათი თვითონ განსაზღვრავდა მეურნეობის ცალკე დარგებს შორის მონური შრომის დაბანდებასა და განაწილებას. ასე მაგალითად, სამიწათმოქმედო ქვეყნებში მონური შრომაც ძირითადად მიწათმოქმედებაში იყო დაბანდებული (ბაბილონი, რომი), იმ ქვეყნებში კი, რომლის ეკონომიკაშიც ხელოსნური წარმოება სჭარბობდა, მონური შრომაც ძირითადად ხელოსნობაში იყო გამოყენებული (ფინიკია, საბერძნეთი).

მონურ შრომას მონათმფლობელები პირველ რიგში იყენებდნენ ყველაზე მძიმე და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ყველაზე მავნე და საშიშ დარგებში, სადაც თავისუფალი ადამიანი დაბალი ხელფასისა და მძიმე სამუშაო პირობების გამო

არ მიდიოდა. ასეთი დარგები იყო სამთამადნო წარმოება და ქვის სამტეხლოები. თითქმის ყველგან და ყველა მაღაროში: თრაკიაში, ლავრიონში, პომპეიპოლში, ახალ კართაგენში, ეთიოპიაში, არაბეთში და სხვაგან მხოლოდ და მხოლოდ მონები მუშაობდნენ. ძველი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის გადმოცემით, მარტო ახალი კართაგენის (ესპანეთი) ვერცხლის მაღაროებში 40.000 მონა მუშაობდა.

თუ რაოდენ მძიმე და აუტანელი იყო მაღაროებში მომუშავე მონების შრომითი პირობები, ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ძველი ისტორიკოსის დიოდორე სიცილიელის ცნობები. „არ შეიძლება არ შეგებრალოს,—წერს დიოდორე,—ეს უბედურნი (ოქროს მაღაროებში მომუშავეები ეგვიპტესა, ეთიოპიასა და არაბეთს შუა), რომელთაც არც კი შეუძლიათ სუფთად შეინახონ თავისი სხეული და დაფარონ თავისი სიტიტვლე. აქ ადგილი არა აქვს დათმობასა და შებრალებას არც ავადმყოფთა, არც დასახიჩრებულთა, არც მოხუცთა და ქალთა სისუსტის მიმართ. ყველამ უნდა იმუშაოს მათრახის შიშით, ვიდრე სიკვდილი ბოლოს არ მოუღებს მათ ტანჯვასა და გაჭირვებას. ამ უბედურ ადამიანებს მომავალი უფრო მეტად აშინებთ, ვიდრე აწმყო. სიკვდილს (ესოდენ უმოწყალო, ულმობელ სასჯელს), რომელიც მათთვის სიცოცხლეზე უფრო საამურია, ისინი მოუთმენლად ელოდებიან“. მეორე ძველი ისტორიკოსი პლუტარქე კი წერს, რომ ლავრიონის მაღაროებში მომუშავე მონების .დიდი ნაწილი ჩაჭედილი იყო ჯაჭვებში და ისინი ადრე თუ გვიან იღუპებოდნენ ამ მიწისქვეშა გამოქვაბულებში, სადაც ჰაერი ყოველთვის არა ჯანსაღია“.

მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მონებს მუშაობა აგრეთვე სახელოსნო წარმოებაში (ერგასტერიებში). იმის გამო, რომ ძველი ქვეყნები მ ,ნქანის გამოგონებამდე ვერ მივიდნენ (ერთადერთი მანქანა, რომელიც მათ გამოიგონეს, იყო წყლის წისქვილი და ისიც, მონური შრომის სიაფის გამო, ფართედ არ გავრცელებულა), მთელი სახელოსნო წარმოება დამყარებული იყო მხოლოდ ხელით შრომაზე. ეს მძიმე ხელით შრომა ერგასტერიებში სამუშაო დროის განუსაზღვრელობის, ანტისანიტარიის, სიტიტვლისა და საკვების მცირე რაციონის პირობებში მეტისმეტად ღლიდა,

ქანცს აცლიდა, ფიზიკურად ამახინჯებდა და ახალგაზრდობის ასაკშივე აბერებდა იქ მომუშავე მონებს.

არც სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მონათა მდგომარეობა იყო ადვილად ასატანი. მონებს ხშირად ბორკილგაყრილებს, ანდა დაბმულებს ამუშავებდნენ. რომსა და კართაგენში მონებს მათი ზედამხედველები საღამოობით მეურნეობიდან მოერეკებოდნენ, როგორც პირუტყვის ჯოგს, მიწაში გათხრილ სადგომებში ღამის გასათევად; დილით კი ამ მიწური სადგომებიდან ისინი ისევ პლანტაციებისაკენ მიჰყავდათ. ძველ ბაბილონმი სამუშაოდან დაბრუნებული მონები ღამეს ათევდნენ „პატიმრის სახლში“.

ასე ერთფეროვნად, ბორკილგაყრილ შრომაში, მიწურ სადგომებსა და „სპატიმრო სახლებში“ ილეოდა და იცრიცებოდა მონათა სიცოცხლე. აჭმევდნენ და აცმევდნენ მათ მეტად არა საკმარისად. სოფლის მეურნეობაში მომუშავე მონებს ხშირად ასწავლიდნენ სხვა რაიმე ხელობასაც, რომ არა სამიწათმოქმედო სეზონის ან ცუდი კლიმატური პირობების დროს, როცა მინდვრად მუშაობა შეწყვეტილი იყო, ამ მონებს ხელობაზე ემუშავათ და უსაქმოდ არ მსხდარიყვნენ.

მონური შრომა გამოყენებული იყო მეცხოველეობაშიც. აქ მონა მწყემსების მდგომარეობა, მეურნეობის სხვა დარგებში ჩაბმულ მონებთან შედარებით უფრო იოლი და ასატანი იყო, რამდენადაც დაკისრებული მოვალეობისა და პროფესიის სპეციფიკურობის გამო არ შეიძლებოდა მონის არც დაბმა, არც მისთვის ბორკილების გაყრა. გარდა ამისა, ხშირად ეს მონები ნადირობის საშუალებით დამატებით საკვებსა და აგრეთვე ტანსაცმელად გარეულ ცხოველთა ტყავებსაც შოულობდნენ.

მონური შრომა დიდი მასშტაბით იყო გამოყენებული საზღვაო საქმეშიც. აქ მონებს იყენებდნენ უმთავრესად მენიჩბეებად. მონა მენიჩბის მდგომარეობა მეტად აუტანელი და სახიფათო იყო. ძველი ფინიკიელები და შემდეგ ბერძნები და რომაელებიც მონა მენიჩბეებს აკრავდნენ გემებზე და აიძულებდნენ მათ, ამ მდგომარეობაში შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა. გემებზე მონა მენიჩბეების ასეთი „დამაგრებით“ მათი პატრონები ორ მიზანს ისახავდნენ: ერთი მხრით, ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ საშუალებით შეუძლებელს გახდიდნენ მონების გაქცევას ნაპირთან

მიახლოების დროს და, მეორე მხრით, რაც, მათი აზრით, უფრო მთავარი იყო, გემზე მიბმული მენიჩბე მონა ზღვაზე ატეხილი ღელვის ან საზღვაო ბრძოლის დროს მთელი თავისი უნარითა და ძალით შეეცდებოდა გემის გადარჩენას, რადგან ამ გემის დაღუპვასთან ერთად მასაც გარდაუვალად დაღუპვა მოელისო.

საზღვაო საქმის მაშინდელი განუვითარებელი პირობებისა და ზღვაზე ხშირი მარცხის გამო ასეულ ათასობით მონა ზღვის ზედაპირზე დაბმულ სიცოცხლეს ზღვის ფსკერზე ამთავრებდა თევზების საკვებად გადაქცევით.

მონური შრომა გამოყენებული იყო საამშენებლო საქმეშიც. რომის ცნობილ სარდალსა და ამავე დროს უმდიდრეს მონათმფლობელს — კრასუსს ხუთასამდე მშენებელი მუშა მონა ჰყავდა. მონებს იყენებდნენ აგრეთვე წიხქვილის ქვის სატრიალებლად, ბარგისა და ტვირთის გადასაზიდად და სხვა.

როცა მონათმფლობელს დიდი მეურნეობა ჰქონდა წარმოების სხვადასხვა დარგით, იგი თავის მონებს მათი ფიზიკური ამტანობისა და მეურნეობის დარგთა ცოდნის მიხედვით ანაწილებდა. იგივე პრინციპი ედო საფუძვლად მონა ქალთა შრომის გამოყენებასაც იმ განსხვავებით, რომ მონა ქალთაგან ყველაზე ახალგაზრდებსა და ლამაზებს მონათმფლობელი თავისი გართობისა და სიამოვნებისათვის იყენებდა, ვიდრე არ მობეზრდებოდა, შემდეგ კი მათ აიძულებდნენ დაეწყოთ დაუფარავი პროსტიტუცია და ამ გზით აღებული ფული მიეტანათ მონათმფლობელისათვის, როგორც მათი პატრონისათვის. მონათმფლობელის გასართობად მათ ადგილს იპერდნენ ბაზარში ან მონათა საშენში ნაყიდი, ანდა შინ წამოზრდილი ახალგაზრდა მონა ქალები.

გარდა კერძო მონებისა, არსებობდნენ აგრეთვე სახელმწიფო მონებიც, რომელთაც ყველაზე მეტად იყენებდნენ ხიდებისა და გზების მშენებლობაზე, მიწისქვეშა წყალსადენების გათხრასა და გაწმენდაზე, სახელმწიფო ნაგებობათა შენებაზე, აგრეთვე საპოლიციო სამსახურში. მაგალითად, ათენში საპოლიციო სამსახურში გამოყენებული იყო 1200 სკვითი მონა. რომში საპოლიციო სამსახურში ჩაბმული მონების რიცხვი კიდევ უფრო მეტი იყო. მონები ჰყავდათ საქალაქო თვითმმართველობებსაც, რომელნიც მათ ქალაქის მეურნეობასა და სახანძრო რაზმებში იყენებდნენ.

VII. მონური შრომის გამოყენება მეფეთა კარზე და ანტიკური ძველეულების ოჯახსა და ყოფა-ცხოვრებაში

მონების დიდი რიცხვი, მათი შეძენის სიადვილე და მათი შრომის სიიაფე ხელს უწყობდა მონური შრომის დიდი მასშტაბით დანერგვას არა მარტო ხელოსნობასა და სოფლის მეურნეობაში, სამთო საქმესა და ზღვაოსნობაში, არამედ მონათმფლობელთა ოჯახსა და ყოფა-ცხოვრებაშიც.

მართლაცდა, ისეთ ვითარებაში, როცა მონას, ამ „უნივერსალურ იარაღს", როგორც აღნიშნული იყო, წარმატებით შეეძლო შეეცვალა „ვირი სიმძიმის წაღებაში, ცხენი წისქვილის ქვის ტრიალში, ხარი მინდვრის სამუშაოზე, მოდარაჯე ძაღლი კარებზე" და ამავე დროს იგი იმდენად იაფი იყო, რომ ზოგჯერ მუშა-პირუტყვზე დაბალ ფასადაც კი იყიდებოდა, ეს მონური შრომა ფართო მასშტაბით უნდა დანერგილიყო და დაინერგა კიდევაც საოჯახო საქმეში და მონათმფლობელთა ყოფა-ცხოვრების წვრილმანებში.

მონათმფლობელთა ოჯახსა და ყოფა-ცხოვრებაში მონური შრომის დიდი მასშტაბით დანერგვა იწყება თვით მონათმფლობელური სახელმწიფოების წარმოქმნიდანვე. განსაკუთრებით გრანდიოზული ხასიათი მას მიღებული ჰქონდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მეფეთა კარზე და საბერძნეთისა და რომის შეძლებულ მონათმფლობელთა ოჯახებში. ძველი აღმოსავლეთის ისტორიიდან ამ ფაქტების საილუსტრაციოდ ჩვენ უმთავრესად ეგვიპტის ფარაონთა ცხოვრებაზე შევჩერდებით, რადგანაც ფარაონი შეძლებული მონათმფლობელური ზედა ფენის მწვერვალზე იდგა, და სიღატაკის მოპირდაპირე პოლუსი კი მონას ეპირა. ამიტომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში მონათა და მათ მეპატრონეთა

შორის ეკონომიურ და უფლებრივ უფსკრულს ყველაზე მეტი სიღრმე-სიგანეც სწორედ ამ წერტილში ჰქონდა მიღებული. ძველ ეგვიპტეში მონური შრომის ექსპლოატაციაზე იყო ძირითადად დამყარებული არა მარტო ფარაონთა ამქვეყნიური სიკეთისა და ფუფუნების შექმნა, არამედ მათ დასაკრძალად უზარმაზარი პირამიდების (ეგვიპტის მეფეთა საფლავების) აგებაც, რაც მონური შრომის კოლოსალური მასშტაბით გამოყენებასა და მილიარდობით შრომადღეების უნაყოფოდ დახარჯვასა და გაფლანგვას მოითხოვდა.

ეგვიპტის ფარაონთა ამ კოლოსალური და ესოდენ შრომატევადი საფლავების აგება კი, ფარაონის ღვთიურ წარმოშობასა და საიქიო ცხოვრებაზე ძველი ეგვიპტელების რელიგიის ხასიათთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ამ საოცარი პირამიდების აგება გაუგებარი იქნება, თუ ჩვენ არ შევეხებით ეგვიპტის რელიგიაში მოცემული ფარაონის კულტისა და პირამიდების აგების „რელიგიური დასაბუთების“ საკითხს.

ჯერ კიდევ ძველი სამეფოს ეგვიპტელების წარმოდგენით, ფარაონის ცოლს ფარულად უკავშირდებოდა მზის ღმერთი „რა“ და ამ ფარული რომანის შედეგად დაბადებული ფარაონის მემკვიდრე – მომავალი მეფე მიჩნეული იყო „ნამდვილი ზეციერი ღმერთის“ უშუალო შთამომაელად მიწაზე. არა მარტო ეგვიპტელებში, არამედ სხვა მრავალ ძველ ხალხშიაც იყო გავრცელებული ასეთი შეხედულება მათ მეფეებზე. ასე მაგალითად, ძველი ინდოელების წარმოდგენითაც, როგორც ეს მანუს კანონმდებლობაშია მოცემული — მეფე იყო „ღმერთი ადამიანის ფორმაში“, „უპირველესი ყოველ ქმნილებათა შორის“. ისტორიაში ცნობილია მრავალი ისეთი შემთხვევაც, როდესაც დიდ ისტორიულ პირებს მათსავე სიცოცხლეში აცხადებდნენ ღმერთებად [1].

ეგვიპტელები, ღმერთად მიჩნეულ თავიანთ ამ ფარაონებს, ტაძრებისა და სასახლეების კედლებზე ხატავდნენ ღმერთების გვერდით და მათი სიდიდის ოდენას. ფარაონთან, როგორც ღმერთთან და, როგორც უმაღლეს არსებასთან ახლო ურთიერთობაში ყოფნა უზენაეს ღირსებად და პატივად ითვლებოდა. მასთან ახლო მდგო-

---

[1] ამ საკითხზე იხილეთ ჩვენი წიგნი „ალექსანდრე მაკედონელი“, 1950 წ., გვ. 27.

ში, უმაღლესი რანგის მოხელეებისთვისაც კი სასახელოდ იყო მიჩნეული ფარაონისაგან ნებართვის მიღება მისთვის ფეხზე კოცნის შესახებ. ასე მაგალითად, ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონის სიძემ და დიდმა მოხელემ პტაშეპსესმა დაგვიტოვა მკვეხარა წარწერა, რომელშიაც ის თავმომწონეობით აღნიშნავს, რომ მას ბედნიერება ჰქონდა ფარაონისათვის ფეხზე კოცნისა.

ფარაონის ღვთაებრიობის ამ რწმენიდან გამომდინარეობდა მისდამი მოწიწებით მოპყრობა და ის შიში და ცახცახიც, რაც ეგვიპტელებს ეუფლებოდათ მასთან შეხვედრის დროს. წყაროებში შემონახულია ცნობა, რომ 2700 წლებში ეკვიპტის ფარაონ ნოფერირკარასთან შეხვედრის დროს გული შეუწუხდა და მოკვდა ფარაონის მთავარი არქიტექტორი უაშპტა. ღმერთად მიჩნეული ეს ფარაონები თავიანთ წუთისოფელს ატარებდნენ დაუსრულებელ ქეიფსა და ღრეობაში. ისინი ცხოვრობდნენ იმ დროისათვის ბრწყინვალედ აგებულ და მდიდრულად მოწყობილ სასახლეებში მრავალრიცხოვან მონა მსახურებით.

ეგვიპტელების წარმოდგენით (ისევე როგორც ეს მეტ-ნაკლებად ყველა ხალხების რელიგიას ახასიათებდა), ადამიანი ამ ქვეყნად ცხოვრობდა მხოლოდ დროებით. ეს ქვეყანა, მათი გაგებით, თითქოს მხოლოდ იმიტომ იყო შექმნილი, რომ ადამიანთა აქ ცხოვრების პერიოდში, მათი ამ ქვეყნად ცხოვრების ნირისა, მათი მოქცევისა და რელიგიის მიერ დადგენილ წესთა შესრულების მიხედვით გამორკვეულიყო, თუ იქ, საიქიოში, მუდმივი ცხოვრების დროს, ვის სამოთხეში და ვის ჯოჯოხეთში უნდა მისჩენოდა ადგილი.

ფარაონი კი, რომელიც უკვე ამ ქვეყნად ცხოვრების დროსვე ღმერთად იყო მიჩნეული, ეგვიპტელების წარმოდგენით, ამაევე რანგით აგრძელებდა თავის ყოფნას საიქიოშიც. ამიტომ, თუ ამ დროებით ქვეყანაში ფარაონი ჩვეულებრივ ადამიანებისაგან განსხვავდებოდა თავის ცხოვრების ნირით, ფუფუნებით, ხელგაშლილობით და ბრწყინვალედ მოწყობილი სასახლეებით, მით უმეტეს, „ფარაონ-ღმერთს“ უკეთესი სასახლე უნდა ჰქონოდა იქ, საიქიოში, მუდმივი ცხოვრების ადგილას.

თავისი იმქვეყნიური სასახლის, ანუ საფლავის (პირამიდის) აგებაზე ფარაონი ადრევე იწყებდა ზრუნვას. ხშირად ეს ზრუნვა

პირამიდის აგებაზე მისი გამეფების დღიდანვე იწყებოდა და მისი უშუალო კონტროლით და ზედამხედველობით წარმოებდა მთელი მისი მეფობის მანძილზე. ზოგჯერ ასეთი პირამიდის აგება ათეული წლობით გრძელდებოდა და ასეულ მილიონობით შრომადღესა, უამრავ საშენ მასალასა და ხალხის ძალების უდიდეს დაჭირვას მოითხოვდა.

ათეულ საუკუნეთა სიავისათვის, ყველაფრის მომსპობ და გარდამქმნელ დროთა დინებისათვის გაუძლია და ჩვენამდე მოუღწევია ძველი ადამიანის ხელის ამ საოცარ ქმნილებებს. ეს პირამიდები თავისი გრანდიოზულობით თავზარს სცემს თვით თანამედროვე ადამიანსაც კი. 1789 წელს პროფესორი ვიტე ლაიპციგში გამოცემულ წიგნმი მონური შრომით აგებული ამ პირამიდების შესახებ სერიოზულად ამტკიცებდა, რომ ეს პირამიდები ბუნების ნამოქმედარია, ისინი ვულკანური წარმოშობისაა და ადამიანის ხელის ქმნილებას არ წარმოადგენენო.

ეგვიპტის ფარაონთა პირამიდებს შორის ყველაზე დიდია IV დინასტიის ფარაონ ხეოპსის პირამიდა, აგებული 2800 წლებში, ე. ი. თითქმის ხუთი ათასი წლის წინათ. ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში მცხოვრები ბერძენი ისტორიკოსის—ჰეროდოტეს გადმოცემით, ხეოპსის პირამიდის აგებაზე 100.000 კაცი მუშაობდა 30 წლის განმავლობაში. პირამიდის საფუძვლის გვერდის სიგრძე უდრიდა 233 მეტრს, სიმაღლე კი—146,5 მეტრს, ე. ი. დაახლოებით 50—60 სართულიან სახლს. იგი წარმოადგენდა ოთხკუთხოვან ნაგებობას, რომელიც საფუძველში განიერი იყო და წვერისაკენ თანდათან ვიწროვდებოდა. ხეოპსის პირამიდის საფუძვლის ზედაპირი უდრის 52900 კვ. მეტრს, საერთო მოცულობა კი 2.521.000 კუბიკურ მეტრს და აგებულია 2.300.000 გათლილი ქვის უზარმაზარი ლოდისაგან, რომელთაგან თითოეული 2,5 ტონას იწონის.

ქვის ამ უზარმაზარი ლოდების მოსაპოვებლად ხეოპსს დასჭირდა ქვის მრავალი სამტეხლოს მოწყობა, რომელთაგან ზოგიერთი აგებული იყო ეგვიპტის ახლანდელი სატახტო ქალაქის—ქაიროს სამხრეთით, მდინარე ნილოსის მარჯვენა ნაპირზე. აქედან ქვის ლოდებს დიდი გაჭირვებით მიათრევდნენ მდინარის მარცხენა ნაპირზე გიზეში, სადაც აშენებულია ხეოპსის პირამიდა. ასე

არაპროდუქტიულად იფლანგებოდა ქვეყნის საწარმოო ძალა ათეული წლების განმავლობაში მეფის საფლავის აგებაზე. მარტო ხეოპსის პირამიდის აგებამ უაზროდ შეიწოვა ერთი მილიარდი და 80 მილიონი შრომადღე. თუ სხვა პირამიდების აგებაზეც, რაც საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, ასე უაზროდ კოლოსალური რაოდენობით დახარჯულ შრომადღეებს გავითვალისწინებთ, მაშინ ჩვენთვის გასაგები გახდება ეკონომიური თვალსაზრისით ძველი ეგვიპტელების ის მძიმე და საავალალო მდგომარეობა, რომელშიაც მათ აყენებდა მეფეებისათვის ამ გრანდიოზული საიქიო სასახლეების (საფლავების) მოწყობა.

მაგრამ გარდა პირამიდებისა, უდიდეს შრომას ნთქავდა აგრეთვე მეფეთა განკარგულებით უზარმაზარი სიდიდის ტაძრების აგება. ასეთი ტაძრები კი, რომელთა აგებაც ძველ ქვეყნებში პირველად 4000 წლებში დაიწყო, მეტად ბევრი იყო ეგვიპტეში. მარტო ერთი კარნაკის ტაძართა კომპლექსის სიგრძე ეგვიპტეში უდრიდა 1300 მეტრს, სიგანე კი—ნახევარ კილომეტრს. თებეში ამონის ტაძრის სიგრძე 260 მეტრს და სიგანე 55 მეტრს აღწევდა; მის მთავარ დარბაზს ეჭირა 5000 კვ. მეტრი ფართობი. ტაძარს ჰქონდა 134 სვეტი, რომელთაგან თითოეულის სიმაღლე 16 მეტრს უდრიდა.

ხშირად ამ ტაძრებთან იდგა ფარაონთა უზარმაზარი ქანდაკებები. ასე მაგალითად, აბუ-სიმბელის კლდეში გამოჭრილი ტაძრის წინ იყო ფარაონ რამზეს II (1317—1251 წწ) 4 დიდი ქანდაკება; აქ ფარაონი მჯდომარე მდგომარეობაში იყო გამოხატული. თითოეული ამ ქანდაკების სიმაღლე დაახლოებით 74 ფუტამდე იყო, მარტო გვირგვინის სიმაღლე უდრიდა 16 ფუტს, წვერის—$6^1/_2$ ფუტს, ყურების—4 ფუტს, ცხვირის—$3^1/_2$ და თვალების—$2^1/_3$ ფუტს.

ძველ ეგვიპტეში ხშირად ფარაონთა ძეგლებს სფინქსის სახით აკეთებდნენ. ქვის ამ უზარმაზარ სფინქსებს მიცემული ჰქონდათ ლომის ტანის და ადამიანის თავის ფორმა. სფინქსებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. „დიდი „სფინქსი“. ეგვიპტელ მოქანდაკეებს საკმაოდ მოზრდილი ტინის კლდისათვის, რომლის სიგრძე 57 და სიმაღლე 20 მეტრია, მიუციათ ქანდაკების ფორმა ოცდამეცხრე საუკუნეში მცხოვრებ ფარაონ ხეფრენის

პატივსაცემად. ჟამთა სიავეს და დამპყრობლის ხელს დაუზიანებია ამ ვეება მთა-ქანდაკების თავი, მაგრამ მას დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მაყურებელი.

პატარა ზომის სფინქსები ფარაონთა სადიდებლად უფრო მეტი რაოდენობით კეთდებოდა. ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნეში ფარაონ ამენხოტეპ III (1455—1424 წწ) დროს გაკეთებული 2 სფინქსი ამჟამად ლენინგრადშიაც არის დადგმული ნევის სანაპიროზე, ლეიტენანტ შმიდტის ხიდთან.

მაგრამ ძველი ეგვიპტელი ფარაონები ცდილობდნენ, არა მარტო ქვასა და კლდეზე (დიდი სფინქსი) გამოქანდაკებით უკვდავეყოთ თავიანთი სახელი, არამედ თავიანთი გვამის მუმიად შენახვითაც. გვამის მუმიად გადაქცევა კი ასე ხდებოდა. მიცვალებულს ძველი ეგვიპტელები აცლიდნენ შიგნეულს და დარჩენილ სიცრუეს ავსებდნენ ᲛᲣᲛᲘᲘᲗ, ე. ი. ფისით [1]; ამის შემდეგ, დაახლოებით 70 დღით გვამს დებდნენ რაღაც განსაკუთრებულ ხსნარში; მერე გვამს ხსნარიდან ამოიღებდნენ და ფეხის თითებიდან დაწყებული თავამდე მაგრად ხვევდნენ ტილოს სუდარაში. ასე შეხვეულ გვამს ისევ უსვამდნენ სხვა რაღაც ნივთიერებას, რომელიც სწრაფად შრებოდა და ახვევდა მთელ გვამს. ამნაირად მომზადებულ გვამს, რაც მიცვალებულის გარეგნობას ერთგვარად სცვლიდა, მაგრამ მას მაინც ათასეული წლების მანძილზე გაუხრწნელად ინახავდა, ეწოდებოდა მუმია.

მიცვალებულის მუმიად შენახვა იმდროინდელი ეპოქისათვის ეგვიპტური მედიცინის, მართლაც, განსაცვიფრებელი მიღწევა იყო. ამ ქსოვილს, რომელშიაც გვამი იყო გახვეული, გარედან ეგვიპტელები უკეთებდნენ წარწერას, თუ ვინ იყო მიცვალებული. შემდეგ მიცვალებულს სდებდნენ ხის კუბოში, ხოლო ამ კუბოს—სხვა უფრო ძვირფას, ზოგჯერ ოქროს კუბოშიც. ბოლოს ამ უკანასკნელს ათავსებდნენ მარმარილოს ან გრანიტისაგან ნაგებ კუბოში.

ასე ერთმანეთში ჩადგმულ კუბოებს ძველი ბერძნები უწოდებდნენ „სარკოფაგს“, რაც ნიშნავს „სხეულის შთანმთქმელს“. სწორედ ამ სარკოფაგში უწყობდნენ მიცვალებულს ოქროს ნიე-

[1] სიტყვა მუმია (mumiya) არაბული სიტყვაა და ნიშნავს ფისს.

თებს, ძვირფას ქვებს და სხვა საგნებს. ფარაონთა სარკოფაგი მოთავსებული იყო პირამიდაში. მაგრამ ზოგჯერ ეგვიპტელები სარკოფაგებს მუმიით ათავსებდნენ კლდეში გამოჭრილ რამდენიმე სართულისა და ოთახისაგან შემდგარ გამოქვაბულში, რომელსაც ძველი რომაელები „კატაკომბას“ უწოდებდნენ.

ამგვარად, ძველ ეგვიპტეში პირამიდები და, საერთოდ, სასასაფლაოები საკმაოდ დიდ ადგილს იკავებდნენ, რის გამოც ასე ფართო ტერიტორიაზე მიცვალებულთა დაკრძალვის ადგილს ბერძნებმა „ნეკროპოლი“, ე. ი. „მკვდართა ქალაქი“ შეარქვეს. ამ „მკვდართა ქალაქში“ მიწის ქვეშ ზოგჯერ არა ნაკლები სიმდიდრე იყო ჩამარხული, ვიდრე მიწის ზევით „ცოცხალთა ქალაქში“. ეს გარემოება იმით აიხსნებოდა, რომ ძველი ეგვიპტელები, ისე როგორც სხვა მრავალი ძველი ხალხი, მიცვალებულს თან ატანდნენ მრავალ ძვირფას ნივთსა და საგანს, რადგან, მათი წარმოდგენით, საიქიოში სიცოცხლის გაგრძელებისას მათ ეს ნივთები უეჭველად დასჭირდებოდათ.

საფლავში ჩატანებული ამ ნივთების რაოდენობა და ღირებულება დამოკიდებული იყო თვით მიცვალებულის ეკონომიურ შეძლებაზე. ფარაონებსა და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მეფეებს, რომელნიც, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო შეძლებულნი იყვნენ, დიდი რაოდენობით ატანდნენ საფლავში ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელს, ძვირფას ქვებსა და ყოფა-ცხოვრებაში საჭირო ყველა აუცილებელ ნივთს. უფრო მეტიც, ხოცავდნენ ან ცოცხლად მარხავდნენ მათთან ერთად იმ მოსამსახურეებს, რომელნიც მათ სიცოცხლეში ემსახურებოდნენ, რათა მომსახურება თავიანთი მეფეებისათვის საიქოშიც გაეგრძელებინათ.

ძველების წარმოდგენით, საიქიოში მისული მეფე და დიდებული, რომელიც თან არ მიიყვანდა მსახურთა თავის შტატს, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა. რადგანაც, ვიდრე ბუნებრივი სიკვდილით მისი მსახურნი მიიცვლებოდნენ და იმქვეყნად მივიდოდნენ, მანამ მეფეს ან დიდებულს თვითონ უნდა ეკეთებინა ყველაფერი, სწორედ ამ გარემოების თავიდან აცილებისათვის ხდებოდა საჭირო, რომ მას დაეხოცა და „იძულებით წაეყვანა თან“ თავის ამ ქვეყნიური მსახურნი.

მეფეებისათვის მსახურთა ჩატანება საფლავში ეგვიპტის გარდა სხვა ქვეყნებშიაც იყო გავრცელებული. ასე მაგალითად-ძველ ჩინეთში ცინის დინასტიის დროს (256—206 წწ) ერთ მეფეს საფლავში ჩაატანეს სამოცდაექვსი და მეორეს 177 მსახური, ხოლო მეფე ცინ ში-ხუანდს—თითქმის მთელი თავისი ჰარამხანა.

ეგვიპტის ფარაონებისათვის საფლავში (პირამიდებში) ჩატანებულ სიმდიდრეზე წარმოდგენას გვაძლევს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1922 წლის 5 ნოემბერს ინგლისელებმა ეგვიპტეში გათხრების დროს იპოვეს ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნეში მცხოვრები ფარაონის—ტუტანხამონის საფლავი, რომელიც გაძარცული არ იყო და რომელშიაც 200 კილოგრამი მარტო ოქროს ნივთები აღმოჩნდა. ტუტანხამონი 18 წლის ასაკისა გარდაიცვალა. მის დროს ეგვიპტე არეულობასა და დაცემას განიცდიდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ეგვიპტის უფრო გავლენიან ფარაონებს, რომელნიც ეგვიპტის ძლიერების ხანაში ცხოვრობდნენ, საფლავში გაცილებით უფრო მეტი სიმდიდრე ჰქონდათ ჩატანებული. მაგრამ ეს ყველაზე უფრო მდიდარი პირამიდები ადრევე იყო გაძარცული[1], რადგანაც ეგვიპტემ, მსოფლიო ისტორიის ამ ერთ-ერთმა უძველესმა ქვეყანამ, თავისი მრავალი ათეული საუკუნის ისტორიის მანძილზე, შინაგან არეულობათა და გარეშე მტრების შემოსევათა შედეგად, მრავალჯერ განიცადა აოხრება და გაძარცვა. ისეთ კრიტიკულ მომენტებში, როდესაც პირამიდებში დაცულ ფარაონთა სარკოფაგებს, მათში ჩატანებულ სიმდიდრესა და ფარაონთა მუმიებს მტრისაგან აოხრება მოელოდა, ეგვიპტელი ქურუმები იღებდნენ პირამიდებიდან მუმიებს, ძვირფას ნივთებს და კლდეში გამოჭრილ უფრო საიდუმლო გამოქვაბულში ათავსებდნენ.

---

[1] ზოგჯერ ძველ ქვეყნებში წარჩინებული მიცვალებულის საფლავზე, მძარცველთა გაფრთხილების მიზნით, სპეციალურ წარწერასაც კი აკეთებდნენ. ასე მაგალითად, ქ. სიდონის (სირიაში) ერთ-ერთი მეფის სარკოფაგს ასეთი წარწერა ჰქონდა: „ნუ ახდით კუბოს სახურავს ჩემს შესაწუხებლად. არც ოქრო, არც ვერცხლი, არც განძეულობა არ დევს ამ კუბოში, ვარ მხოლოდ მე“.

ასე მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში (1881 წელს) ეგვიპტის ადგილობრივმა მცხოვრებმა არაბმა აბდ-ერ-რასულმა შემთხვევით აღმოაჩინა ეგვიპტის ძველი სატახტო ქალაქის თებეს ახლოს, კლდეში გამოჭრილ საკმაოდ დიდი ზომის თხრილში უწესრიგოდ მიყრილი 40 ფარაონის მუმია. ეს მუმიები ქაიროს მუზეუმში გადაიტანეს მათი დაცვის მიზნით. ცნობილი ეგვიპტოლოგების—მასპეროსა და ბრუგშის აზრით, ეს მუმიები, მათი გადარჩენის მიზნით, პირამიდებიდან ამოღებული და ამ თხრილში შეყრილი უნდა ყოფილიყო ეგვიპტელ ქურუმთა მიერ, ეგვიპტეზე გარეშე მტრის ერთ-ერთი თავდასხმის დროს.

ამ 40 მეფის მუმიების (გვამების) აღმოჩენა—ეს იყო რაღაც განსაკუთრებული მოვლენა ისტორიკოსებისათვის. ქაიროს მუზეუმის დირექტორი პროფესორი მასპერო წერდა, რომ არაბ აბდ-ერ-რასულის მიერ აღმოჩენილ ფარაონთა მუმიების ამ საიდუმლო გვირაბში შესვლის დროს „გ. ბრუგში[1], რომელიც მოულოდნელად აღმოჩნდა მეფეთა ამ მრავალრიცხოვან და დიდებულ კრებაზე, თავის თვალებს არ უჯერებდა, და თვით მეც დღემდე გონს ვერ მოვსულვარ და თითქოს უნდობლად ვუყურებ ყველა ამ პირთა ხორცი ხორცთაგანს, რომელთაც მე ვიცნობდი, და ვფიქრობდი, რომ მომავალშიაც მეცნობებოდნენ მე ისინი მხოლოდ სახელით“, ახლა საბედნიერო შემთხვევა მომეცა მათი ფიზიკური ხილვისაო.

მართლაცდა, საფლავში სამი-ოთხი ათას წელზე მეტი ხნის წოლის შემდეგ ისინი „მაკურებელს წარუდგნენ“ თავიანთი დაუზიანებელი და გაუხრწნელი გვამებით. ათასეული წლების განმავლობაში ცამთა სიავეს გაუძლეს და ჩვენამდე მოაღწიეს არა მარტო ეგვიპტელთა მადლიანი ხელით ნაგებმა ქვის ლოდების უზარმაზარმა პირამიდებმა, არამედ თვით მათში „მცხოვრებმა“ ფარაონებმაც. მეცნიერებას საშუალება მიეცა ენახა არა მარტო არქეოლოგიური გზით მოპოვებული ძველ ადამიანთა ძვლები, არამედ 3000—4000 წლის წინათ მცხოვრებ ადამიანთა გაუხრწნელი გვამებიც.

---

[1] ბრუგში ქაიროს მუზეუმის დირექტორ მასპეროს მოადგილე და ცნობილი ეგვიპტოლოგი იყო. სპეციალისტებიდან ბრუგშმა პირველმა ნახა ეს მუმიები და მანვე გადაიტანა ისინი ქაიროს მუზეუმში.

ამ მუმიებში აღმოჩნდა ჰიქსოს დამპყრობთაგან ეგვიპტის განმათავისუფლებელი იახმოსის (1584—1559 წწ), ტუტმოს III (1503—1491 წწ), რომელმაც სირია ეგვიპტეს შეუერთა, და სხვა ფარაონთა მუმიები. ამ მუმიებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი წელთაღრიცხვის XIV—XIII საუკუნეში მცხოვრებ ფარაონ რამზეს II მუმია.

რამზეს II ძველი ეგვიპტის ერთ-ერთი ძლიერი და მქუხარე სახელის ფარაონი იყო. მისი მოღვაწეობა წერილობითი წყაროებით ჩვენთვის კარგად იყო ცნობილი მისი მუმიის აღმოჩენამდეც. მან იცოცხლა დაახლოებით 100 წელი და ფარაონად (მეფედ) კი იყო 66 წელი (1317—1251 წწ). მისი სიცოცხლე მაშინ მოწმე იყო ეგვიპტის ძლიერების ხანისა, როცა ეგვიპტის სახელმწიფოს საზღვრები აფრიკიდან, (სადაც საკუთრივ ძველი ეგვიპტე მდებარეობდა) აზიაში (სირია-პალესტინაში) გადმოდიოდა. ქაიროს მუზეუმში დაცული მისი მუმია კი ახლა, 3204 წლის შემდეგ, მოწმეა ეგვიპტის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მის სამშობლოში ინგლისელი ოკუპანტების თარეშისა. რამზესი რომ გაცოცხლდეს ახლა და თვალი გადაავლოს ეგვიპტის ისტორიის ამ ოცდაცამეტი საუკუნის დრთთა გრეხილს, იგი ალბათ იტყოდა რუსთაველის სიტყვებით:

„აწყა ვცან, საკმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია“-ო.

მაგრამ რამზესის ახლანდელი თანამემამულეები ხმლებს ლესავენ ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ, რათა ბრძოლით და სისხლით მოუპოვონ თავისუფლება ეგვიპტეს—მსოფლიო ისტორიის ამ უძველეს და წარსულში დიდი კულტურის მქონე ქვეყანას, და გაათავისუფლონ იგი მეოცე საუკუნის ინგლისელი ჰიქსოსებისაგან.

მაგრამ ძველი ეგვიპტის ამ დაცემასა და დასუსტებაში თვითონ მის ფარაონებსაც უდევთ წილი. ისინი ქვეყნის სიმდიდრეს ისე უყურებდნენ და ისევე ხმარობდნენ, როგორც თავის საკუთარს. ძველი წელთაღრიცხვის X საუკუნეში ეგვიპტის ერთმა ფარაონმა თავისი ქალიშვილი ცოლად მიათხოვა ებრაელთა მე-

ფე სოლომონს და მზითვად მისცა პალესტინის სამხრეთში მდებარე ან იმ დროისათვის ეგვიპტის კუთვნილი ქალაქი ღაზა[1]. მთავარი მაინც ამ ფარაონთა უგუნურ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პოლიტიკაში, მათი უზომოდ ხელგაშლილი ცხოვრება და მონური შრომით უზარმაზარი სიდიდის პირამიდების, ტაძრებისა და ქანდაკებების აგება იყო. ყველა ეს წამოწყება უაზროდ იწოვდა მილიარდობით შრომადღეებს და ხალხისათვის კი არ ქმნიდა საჭირო მატერიალურ ღირებულებასა და დოვლათს.

მაგრამ არა მარტო ეგვიპტის ფარაონები, არამედ ძველი აღმოსავლეთის ყველა დიდი ქვეყნების მეფეები, გრანდიოზულსა და მდიდრულად მოწყობილ სასახლეებში თავბრუდამხვევ და ელვარე ფუფუნებაში ცხოვრობდნენ მსახურ-მონათა უზარმაზარი შტატით.

ძველი ჩინეთის მეფე ცინ-ში-ხუანდის (246—209 წწ) სასახლის ა-ფან-ჩუნის აგებაზე 700.000-ზე მეტი კაცი მუშაობდა. მთავარი დარბაზი ამ სასახლისა, ძველი ცნობებით, თითქოს 10.000 კაცს იტევდა [2]. ძველი სპარსეთის მეფეებს კი სასახლის ზოგიერთი დარბაზები ოქროსა და ვერცხლისაგან ნაკეთები კრამიტით ჰქონდათ დახურული. ამ მეფეებს სასახლეში ჰყავდათ 15.000 მსახური. სალაშქროდ გასულ სპარსეთის მეფეს 1000-ზე მეტი მსახური მიჰყავდა თან, ასე მაგალითად, 333 წელს, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის ჯარებმა ისოსთან გამარჯვების შემდეგ ტყვედ ჩაიგდეს სპარსეთის მეფის მსაურთა სალაშქრო შტატი, ამ შტატში აღმოჩნდა 70 მერიქიფე, 329 მომღერალი და მოცეკვავე ქალი მეფის გასართობად, 40 კაცი სურნელებათა დამამზადებელი, 277 მზარეული და სხვ.

მზარეულთა ასეთი დიდი რიცხვის გამო ცალკეულ კერძის მომზადებაში მათი ვირტუოზული დასპეციალებით აიხსნებოდა ის გა-

---

[1] ებრაელთა ამ მეფე სოლომონს, რომელიც ხალაურ გადმოცემაში სოლომონ ბრძენად არის ცნობილი, ჰყავდა 700 ცოლი, რომელთა შორის პირველ და კანონიერ ცოლად ეგვიპტის ფარაონის ასული ითვლებოდა.

[2] ფაქტიურად ამ მეფის დროს დაიწყო ჩინეთის დიდი კედლის აგება, რომლის მშენებლობაც 18 საუკუნის შემდეგ, ახალი წელთაღრიცხვის XVI საუკუნეში დამთავრდა. ამ კედლის სიგრძე დაახლოებით 4500 კილომეტრს, სიმაღლე 10 და სიგანე კი 6 მეტრს უდრიდა, თავად კედლის აგების მიზანი იყო ჩრდილოეთის მხრიდან ჰუნების თავდასხმისაგან ჩინეთის დაცვა.

რემოება, რომ სპარსეთის მეფის სუფრაზე საჭმელი მეტად გემრიელი იყო[1]. საერთოდ, ძველი სპარსეთის მეფეები ათეულობით სხვადასხვა დაპყრობილი ხალხის ექსპლოატაციითა და დახარკვით მეტად ხელგაშლილად ცხოვრობდნენ. ეგრეთ წოდებული სამეფო გზით, რომელიც 2000 კილომეტრს უდრიდა და გადაჭიმული იყო სატახტო ქალაქ სუზადან ეგეოსის ზღვის სანაპიროზე მდებარე ქ. ეფესამდე, ათასი ცხენოსნით, რომელნიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ყოველი 2 კილომეტრის შემდეგ, ფოსტასთან ერთად ნედლი თევზიც გადაჰქონდათ მეფისათვის ეგეოსის ზღვიდან სუზაში, თანაც ამ გზას ცხენოსნები სულ რაღაც 20—24 საათის განმავლობაში გადიოდნენ. ამგვარად, ეს 1000 ცხენოსანი, ფოსტის გადატანის გარდა, იმისთვისაც წვალობდა, რომ 2000 კილომეტრის მანძილზე, მაშინდელი დროისათვის განსაცვიფრებელი სისწრაფით, მეფისათვის ნედლი თევზიც მიეწოდებინა.

ასეთი იყო მოკლედ ძველი აღმოსავლეთის ფარაონთა და მეფეთა ცხოვრება. ისინი ძირითადად მონური შრომით შექმნილ სიმდიდრესა და ფუფუნებაში იხრჩობოდნენ. მათ სააქაო და საიქიო სასახლეების აგებაზე მონები გმინავდნენ და წელში წყდებოდნენ. მათ სუფრას ასეულობით მზარეულები ემსახურებოდნენ, მათ გასართობად ათასი მხეალი ცეკვავდა და მღეროდა, მათი ბრწყინვალე სასახლეებისა, ამალისა და ჰარამხანების შენახვა მონების ზღვა სისხლსა და ოფლს იწოვდა. და ეს მაშინ, როცა თვით ამ სიმდიდრის შემქმნელ მონებს არც სიცოცხლისა და არც სიკვდილისათვის არაფერი არ გააჩნდათ, როცა ისინი ოქროსა და მარმარილოს შუა ტანტალოსის ყოფაში ათრევდნენ წუთისოფელს.

აი რას ამბობს ისტორია წარმართულ ეპოქაში ერთი მუჭა ვიგინდარებისა და დოვლათის შემქმნელ მონათა ცხოვრების პირობების რადიკალურ განსხვავებულობაზე და აი, რის დავიწყება არ შეიძლება მშრომელი ადამიანის ისტორიის შესწავლის დროს.

მონური შრომა შემდეგ ძველ საბერძნეთსა და რომში უფრო ფართო მასშტაბით შეიპრა მონათმფლობელური ყოფა-ცხოვრების ყოველ კუნჭულსა და დეტალში, სადაც კი საჭირო იყო ფიზიკური

---

[1] მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 319.

ენერგიის „უსიამოვნო“ ხარჯვა და შესაძლებელი იყო მონის გამოყენება ამ ენერგიის დახარჯვის წყაროდ.

საბერძნეთში, მარტო ათენის სახელმწიფოში, სადაც ძველი წელთაღრიცხვის შუა ხანებში 41.000-მდე მოქალაქე ირიცხებოდა, შინამოსამსახურედ ჰყავდათ 70.000-ზე მეტი მონა. გაცილებით მეტი იყო შინამოსამსახურე მონათა რიცხვი რომში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შინამოსამსახურენი თანაბრად არ იყვნენ და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ განაწილებულნი თავისუფალ ბერძენ და რომაელ მოქალაქეთა ოჯახებში. მაშინ, როდესაც ათასობით ღარიბთა ოჯახებს სრულიად არ ჰყავდათ მონები, რადგანაც, მონების ესოდენი სიიაფის მიუხედავად, მათ მაინც არ შეეძლოთ მათი ყიდვა და გამოკვება, შეძლებულ ბერძენთა და განსაკუთრებით რომაელთა ოჯახებში რამდენიმე მონა ყოველთვის ჰყავდათ. უფრო მდიდარ რომაელთა ოჯახებში კი შინამოსამსახურე მონათა რიცხვი ათეულობით და ასეულობით განისაზღვრებოდა.

მონათა ამ სიმრავლეს შეძლებულ მონათმფლობელურ ოჯახებში იწვევდა მათი სიიაფე და თითოეული რაიმე წვრილმანი საქმის შესასრულებლად ცალკეული მონის გაპიროვნება და ამ საქმეში მისი ვირტუოზული დახელოვნების „საპიროება“. ასე მაგალითად, მდიდარ რომაელს სუფრაზე ემსახურებოდა მონების მთელი ჯგუფი. მას ჰყავდა რამდენიმე მზარეული. სპეციალურად დანიშნული მონა სინჯავდა საჭმელს, ვიდრე მას სუფრაზე მიიტანდნენ. ცალკე იყვნენ თეთრ ტუნიკებში გამოწყობილი მერიქიფე მონები. ისინი სუფრასთან დაყენებულნი იყვნენ ასაკის, სიმაღლისა და ფერის მიხედვით. იგივე ძონები საპიროების შემთხვევაში ცივ წყალში ან რაიმე სურნელოვან სითხეში დასველებულ ხელებს უსვამდნენ თავიანთ ბატონსა და სტუმრებს თავსა და შუბლზე.

სუფრაზე სტუმრების გასართობად მღეროდნენ და ცეკვავდნენ ახალგაზრდა და ლამაზი მონა ქალები. იქვე იყვნენ ხუმრობისა და ანეგდოტების მოყვარული და მასხარის როლის შემსრულებელი მონები, მათ შორის ერივნენ კრუხის პალო—ქონდრის კაცებიც. როგორც წესი, რომაელები მხარ-თეძოზე წამოწოლილნი სადილობდნენ, ამიტომ სასადილო ოთახიც დიდი და ფართო იყო, როგორის შესაძლებლობასაც კი მაშინდელი საამშენებლო ტექნიკა იძლეოდა.

მონების საკმაოდ დიდი რიცხვი ჰყავდა მდიდარი მონათმფლობელის ცოლსაც. ერთი ჯგუფი ამ მონებისა მას მზითევში ჰყავდა მოყვანილი, ხოლო მეორე ჯგუფი მის განკარგულებაში ქმრისაგან იყო სპეციალურად გადაცემული. მას ჰყავდა: დარაჯი, მეკარე, ბებიაქალი, დედამძუძე, შიკრიკი, თმის შემღები, სურნელებათა მასხურებელი, ქოლგისა და ფეხსაცმლის მტარებელი, მაგრილებელი, ქალბატონის ძაღლის მომვლელი, საჭურისები, სასეირნო საკაცის მტარებელნი და სხვა.

მდიდარ რომაელ მონათმფლობელს ხშირად ჰყავდა სასახლეში ზემოაღნიშნულ მონათა გარდა, აგრეთვე საკუთარი ექიმი, ფილოსოფოსი, ლიტერატორი, აკრობატები, დრამისა და კომედიის მსახიობები, პანტომიმები, ძაღლის მოვალეობის შესასრულებლად ეზოს ჭიშკარზე მიბმული მონები, ბიბლიოთეკარები, მდივნები, გადამწერები. პერგამენტის მკეთებელნი, სავაჭრო აგენტები, მოურავები, ზედამხედველები, გრამატიკოსები, პედაგოგები, გლადიატორები და ა. შ.

რომში წიგნებით ცნობილ მოვაჭრესა და გამომცემელს—ატტიკს ჰყავდა მრავალი განათლებული მონა, რომელთაც ის იყენებდა წიგნების გადასაწერად. ერთი მონის კარნახით რამდენიმე ათეული მონა წერდა და ამ გზით მაშინდელი დროისთვის შედარებით ადვილად კეთდებოდა ერთი და იმავე წიგნის ათეულობით და ასეულობით ეგზემპლარები, რაც შემდეგ წიგნის ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდად. განათლებული მონები ხშირად ეხმარებოდნენ თავიანთ პატრონებს ლიტერატურულ მუშაობაში. ცნობილ რომაელ ორატორსა და პოლიტიკურ მოღვაწეს -მარკ ტული ციცერონს (106—43 წწ) ჰყავდა ხშადაბლა წამკითხველი მონა სოსიფეი. მონა ტირონი კი მას ეხმარებოდა ლიტერატურულ მუშაობაში. ციცერონის სიკვდილის შემდეგ ამ ტირონმა ატტიკთან ერთად გამოსცა ციცერონის მიმოწერა.

მონურ შრომას დიდი რაოდენობით ნთქავდა მონათმფლობელის სასახლის ფუქსავატური ცხოვრება. სახლიდან გამოსელისას მონათმფლობელს წინ და უკან მიჰყვებოდა მონათა მთელი ამალა. ის რომაელი მოქალაქე, რომელსაც ქუჩაში თავისი მონები არ ახლდნენ, ითვლებოდა ღარიბად და ისეთ კაცად, რომელიც მოკლებული იყო ხელგაშლილი ცხოვრებისა და საზოგადოების არის-

ტოკრატიულ ფენაში სათანადო მაღალი ადგილის დაკავების შესაძლებლობას. ეს გარემოება განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ტრიუმფისა და დღესასწაულების დღეებში, როცა საზეიმოდ გამოწყობილი მონათმფლობელი მონათა მთელი ამალით გამოდიოდა მოედანსა, ქალაქის მთავარ მაგისტრალსა, ან აპიუსის გზაზე რომის გარეუბანში სასეირნოდ.

ცალკეული მდიდარი არისტოკრატის ასეთი საზეიმო სვლა, თავის მხრით, წარმოადგენდა სანახაობას, რომელიც თვალსა სჭრიდა მაყურებელს და თანაც ამეღავნებდა მონათმფლობელის სიმდიდრეს, სასახლის მთელ ელვარებასა და მიუწვდომლობას. ეს იყო ცალკეულ მონათმფლობელთა შეჯიბრების გამოვლინება ფუფუნებასა, „მაღალ კულტურასა“ და გემოვნებაში, თანაც მონათა რიცხვს, მათ განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებას ასაკის, სილამაზის და ფერის მხრივ უკანასკნელი ადგილი როდი ეჭირა ამ შეჯიბრებაში.

მონები ანთებული შუშხუნებით ხვდებოდნენ თავის პატრონს და მოაცილებდნენ მას შინ საღამოჟამს, როცა იგი ფორუმიდან, სენატიდან ან ქეიფიდან ბრუნდებოდა. 32 წელს სეიანის მიერ მოწყობილი გართობა-თამაშობის შემდეგ ხალხი შინ გააცილა 5000 მონამ ანთებული შუშხუნებით.

6—8-მდე ახალგაზრდა მაღალ და ჯანმრთელ მონას ცალ-ცალკე დაჰყავდათ ტახტრევანით (ლეკტიკათი) სასეირნოდ თავისი ბატონი და ქალბატონი. ამგვარად, მონათმფლობელს თითქოს „გაუქმებული“ ჰქონდა ტანის გადაადგილებისა და მოძრაობისათვის ბუნების მიერ „მიცემული“ საკუთარი ორი ფეხი და სხვის (მონების) 12 ან 16 ფეხზე და ხელზე დაყრდნობით, ტახტრევანში წამოწოლილი ან დამჯდარი სეირნობდა ცხოველურ განცხრომასა და ფუქსავატურ ფუფუნებაში ჩაფლული. ამავე დროს მის სასეირნო ტახტრევანს გვერდით მიჰყვებოდნენ ქოლგის დამჭერი და ფარშევანგის ფრთისაგან გაკეთებული მარაოთი მაგრილებელი მხლებლები.

რომაელი მონათმფლობელი იმდენად გადაგვარებული იყო და იმ ზომამდე არ შეეძლო თავის თავის მოვლა და პატრონობა მონების მომსახურების გარეშე, რომ რაიმე დანაშაულისათვის გადასახლების დროსაც კი მას თან მიჰყავდა გადასახლების ადგილას რამდენიმე ათეული მონა თავისი პირადი სამსახურისათვის.

პირველ საუკუნეში ავგუსტუსის დროს გამოცემული კანონით, ასეთ შემთხვევაში გადასახლებულ მონათმფლობელს უფლება რჩებოდა წაეყვანა თავისთან მხოლოდ ოცი მონა. ამგვარად, რომაელი მონათმფლობელი ჭირის დროს თანამოზიარედ იხდიდა მის მიერ ლბინის დროს პირუტყვის მდგომარეობამდე დაქვეითებულ მონას.

როგორც ძველ ეგვიპტეში, ასევე ძველ რომშიც (როგორც საერთოდ ყველა ძველ ქვეყნებში) მონათმფლობელი „ვერ ახერხებდა" მონების დახმარებისა და მონური შრომის გამოყენების გარეშე თავისი „საიქიო ცხოვრების მოწყობასაც". რომში ვენერას ტაძარს მიცვალებულთა დასაკრძალავად ჰყავდა გასაქირავებელი მონები (ლიბიტინები), რომელნიც ასრულებდნენ დაკრძალვასთან დაკავშირებულ მთელ სამუშაოს: ასუფთავებდნენ და ბანდნენ მიცვალებულის სხეულს, ახდენდნენ მის დაბალზამირებას და ა. შ., ხოლო აღებული ფული ვენერას ტაძრის ფონდში შეჰქონდათ. მონური შრომით შენდებოდა აგრეთვე მავზოლეუმები. რომში ზდიდარ მონათმფლობელს მისი დაკრძალვისას ზედ აკლავდნენ რამდენიმე ათეულ მონა-გლადიატორს. ხოლო ძველ ჩინეთსა და ძველი აღმოსავლეთის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ათეულობით მონებს ხოცავდნენ და საფლავში ატანდნენ წარჩინებულ პირთ.

ზოგიერთი ფარისეველი მონათმფლობელი თავისი გარდაცვლილი მონის საფლავზე უსირცხვილოდ და მოურიდებლად ისეთ წარწერას აკეთებდა, თითქოს ეს მონა წინათ სავსებით კმაყოფილი ყოფილიყოს „ამქვეყნიური ბედით"—თავის პატრონთან ამ მონური სამსახურისათვის და ახლა თითქოს გულისტკივილს ამჟღავნებდეს, რომ სიკვდილმა წაართვა მას ბატონის ეს მოწყალება და მასთან სანეტარო ცხოვრება. „თუ სიბერის წლებში, ეუბნება მიცვალებული მონა ცოცხლად დარჩენილ თავის პატრონს საფლავის ქვის წარწერაში,—შენ იქ მოხვალ, სადაც მე ვარ, ჩემო მეუფეო, ხალისით ვიქნები აიდას სამეფოში თქვენი მონა"-ო.

ჩვეულებრივ მრავალ მიცვალებულ მონას ერთ საერთო საფლავში ყრიდნენ და, რა თქმა უნდა, არავითარ ძეგლს მათ არ ადგამდნენ. ამ შემთხვევაში მონის საფლავზე ქვის დადება გამოწვეული იყო თვით ბატონის „საპიროებით", რომ ზემოაღნიშნული წარწერა გაეკეთებინა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ისტორიკოს დიოდორე სიცილიელის გადმოცემით, მონები ხშირად სიკვდილს უყურებდნენ, როგორც გაძაღლებული ცხოვრებისა და ულმობელი მონათმფლობელისაგან თავის დახსნის საშუალებას. ასეთ ვითარებაში ეს მონები, რა თქმა უნდა, ხალისით ვერ შეპირდებოდნენ თავის ამქვეყნიურ ჯალათებს „იმქვეყნადაც“ ისევ მონობის საზარელ უღელში თავის გაყოფას.

მონური შრომის ასე ფართო მასშტაბით გამოყენებას მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში, აგრეთვე მათ ამ უმოწყალო ექსპლოატაციას ხელს უწყობდა მათი უუფლებო მდგომარეობაც.

VIII მონების უფლებრივი მდგომარეობა. დახჯის საბუთები

მონის უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი იყო მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, საზოგადოებაში არსებული გაბატონებული აზრი მონის, როგორც სამართლის ობიექტის და როგორც პიროვნების შესახებ. ძველი შეხედულებით კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მონები ან თვით ღმერთისაგან იყვნენ მონებად გაჩენილი (მაგ., მანუს ძველი ინდური კანონმდებლობის მიხედვით), ან თვით ბუნებისაგან (არისტოტელე). იგივე შეხედულება მონას მიიჩნევდა არა ადამიანად, არამედ უბრალო ხმოვან სამუშაო იარაღად, რომელზედაც მთელი სისრულით ვრცელდებოდა მესაკუთრის უფლება. ამ შეხედულებით წესრიგდებოდა მონასთან დამოკიდებულების ნორმებიც ისევე, როგორც იმავე მონის პატრონის საკუთრებაში მყოფ „ნახევრად მოლაპარაკე„ (ხარი) ან მუნჯ იარაღთან (მაგ., გუთანი, ურემი) დამოკიდებულების ნორმები.

მონათმფლობელი, უფლებრივი თვალსაზრისით, ყველა ამ „სამუშაო იარაღისადმი“ ამყარებდა ერთნაირ დამოკიდებულებასა და მოქცევას. ამ დამოკიდებულების ერთნაირობის საფუძველი ის იყო, რომ ყველა ისინი მის საკუთრებაში მყოფი სამუშაო იარაღები იყვნენ, რომელთა მოხმარება და გამოყენება მას შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ და, რომლებსაც არავითარი `პრეტენზიის უფლება არ ჰქონდათ პატრონის მიმართ ამ უკანასკნელის მხრივ მათდამი მოპყრობის გამო. მონათმფლობელისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა ჰქონდა იმას, რომ ამ „სამუშაო იარაღებიდან“ ერთი იყო „მოლაპარაკე იარაღი“ (მონა), მეორე—„ნახევრად მოლაპარაკე“ (ხარი) და მესამე კი, როგორც მაგალითად, გუთანი, ურემი და სხვა—მუნჯი იარაღი.

მონათმფლობელის თვალსაზრისით, მონას, როგორც „მოლაპარაკე იარაღს“, ამ საფუძველზე ისევე არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა პატრონის მხრივ ლმობიერი და სხვაგვარი დამოკიდებულება „ნახევრად მოლაპარაკე“ იარაღთან, ხართან შედარებით, როგორც თვითონ ამ „ნახევრად მოლაპარაკე“ იარაღს—ხარს არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა, რომ მონათმფლობელი ლმობიერად და სხვაგვარად მოპყრობოდა მას, ვიდრე იგი მუნჯ იარაღს—გუთანს თუ ურემს ეპყრობოდა.

მონის ცნების ასეთი გაგებიდან და სამუშაო იარაღთან მისი გაიგივებიდან გამომდინარეობდა შემდეგ მონათმფლობელის მთელი ის უფლებრივი ნორმები, რომლითაც იგი აწესრიგებდა თავის დამოკიდებულებას მონებთან. სწორედ ამაზე იყო დაყრდნობილი ის გარემოება, რომ „რომის ისტორიის მთელ მანძილზე მონათა უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი განმსაზღვრელი პრინციპი იყო მონის აღიარება არა სამართლის სუბიექტად, არამედ მის ობიექტად“ და, რომ მონათმფლობელს „უფლება ჰქონდა არა მონის მიმართ, არამედ მონაზე“ (პროფ. ფლეიშიცი).

ის გარემოება, რომ მონა არა სამართლის სუბიექტად, არამედ მის ობიექტად იყო ცნობილი, იმაში ვლინდებოდა, რომ მონის დასახიჩრებისა და დაზიანების შემთხვევაში საქმე აღიძვრებოდა არა სისხლის სამართლის წესით, არამედ სამოქალაქო სამართლის ხაზით. ამ ხაზითაც საქმის აღძვრის უფლება ჰქონდა არა თვით დასახიჩრებულ და დაშავებულ მონას, არამედ მხოლოდ მის პატრონს. ეს პატრონი, ისე, როგორც მისი ნიეთის ვინმეს მიერ გაფუჭების შემთხვევაში, აქაც თავისი მონის დამსახიჩრებელისაგან მოითხოვდა მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და თვითონ ისაკუთრებდა ანაზღაურებულ თანხას.

ამავე გარემოების გამო მონას, როგორც წესი, არ ჰქონდა უფლება სასამართლოში ყოფილიყო მოწმედ. მაგრამ, როგორც გამონაკლისი, იგი მოწმედ მიჰყავდათ ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც საქმის გახსნისათვის დაინტერესებული მხარე დაჟინებით მოითხოვდა მოწმე მონისაგან ჩვენების მიღებას და, როდესაც მონის მიერ ამ ჩვენების მიცემაზე მისი პატრონიც თანაამა იყო. მაგრამ ამ მოწმე მონის მიერ ჩვეულებრივი წესით ჩვენების მიცემას სასამართლოში არავითარი ძალა და მნიშვნელობა არ ჰქონ-

და, რადგანაც, მაშინდელი შეხედულებით, მონა წამების გარეშე არ იტყოდა ნამდვილად ნახულსა და გაგონილს. ერთი სიტყვით, როგორც მაშინ ამბობდნენ, საჭირო იყო ჩვენების მიღება: „არა მონის ენისაგან, არამედ მონის სხეულისაგან“.

მონებს სასამართლოსთვის, ამბობს დემოსთენე, „უნდა მიეცათ ჩვენება თავისი საკუთარი სხეულით“, ე. ი. წამებით. რაც უფრო ძლიერი იქნებოდა წამება და ამ გზით საცოდავი მოწმის „გულამდე და ღვიძლამდე დასვლა“, მაშინდელი გაგებით, მით უფრო გარანტირებული იყო მოწმე მონისაგან ჭეშმარიტი ჩვენების მიღება.

ამ წამების დროს მოწმე მონა ზოგჯერ იღუპებოდა ან მძიმედ სახიჩრდებოდა. ასეთ შემთხვევაში მოწმე მონის დაღუპვით ან დასახიჩრებით გამოწვეული ზარალი მონის პატრონისათვის უნდა აენაზღაურებინა იმას, ვინც მოითხოვდა მონისაგან ჩვენების მიღებას. მოწმე მონის დაღუპვით ან დასახიჩრებით გამოწვეულ ზარალს კი განსაზღვრავდა ის პირი, ვინც მოწმე მონის წამებას აწარმოებდა. ამგვარად, თვით მონის პატრონი თავისი მოწმე მონის დაღუპვით ან დასახიჩრებით არავითარ მატერიალურ ღირებულებას არ კარგავდა, სხვა კი მას არაფერი არ აწუხებდა.

ძველად სასამართლოში ხშირად გაიგონებდა კაცი ასეთ მუქარას: „ვაწამებ ამ მოწმე მონას და დაგიმტკიცებ შენ ამ დანაშაულის ჩადენასო“. მოწმე მონის წამებით დანაშაულის დამტკიცება ძველად იმდენად უტყუარ საშუალებად იყო მიჩნეული, რომ არისტოტელეს იგი თავის „რიტორიკაში“ მტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახედ აქვს აღიარებული.

მონათმფლობელურ სასამართლოში დანაშაულის მტკიცების ეს უგნური და უკულმართი წესი, როცა მოწმე მონა უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა, ვიდრე ბრალდებული, ადრევე იყო შენიშნული ძველი მწერლების მიერ. ასე მაგალითად, პლავტი თავის ერთ-ერთ თხზულებაში წერდა: ბრალდებულნი სასამართლოში თავისუფლად არიან, მოწმენი კი ბორკილებსა და წამებაშია.

მონის უუფლებობიდან გამომდინარეობდა ისიც, რომ თანაბარი დანაშაულისათვის მონა და თავისუფალი ადამიანი არათანაბრად ისჯებოდნენ. ასე მაგალითად, ჰამურაბის კანონთა კოდექსის მიხედვით (XVIII საუკუნე ძველი წელთაღრიცხვით), თუ გაბატონებული კლასის წევრს—ავილუს, მონა ლოყაში გაარტყამდა,

ამ მონისათვის ყური უნდა მოეჭრათ (მუხ. 205). მაგრამ, თუ სხვის მონას ავილუ ფიზიკურ ზიანს მიაყენებდა, თვალს გამოსთხრიდა ან ძვალს გაუტეხდა, მაშინ ამ ავილუს შეეძლო მატერიალური საფასურის გადახდით გამოესყიდა თავისი დანაშაული (მუხ. 199).

ძველ ინდოეთში მანუს კანონმდებლობის მიხედვით, თუ შუდრა (მონა) ბრაჰმანს, ქშატრიას ან ვაიშიას დაარტყამდა, მაშინ შუდრას სჭრიდნენ სხეულის იმ ნაწილს, რომლითაც მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მაღალი კასტების ზემოჩამოთვლილ პირთ. ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არა მარტო ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებდნენ, არამედ მოკლავდნენ კიდეც შუდრას, მათ შეეძლოთ 6 თვის მონანიებით გამოესყიდათ დანაშაული (XI—131). საერთოდ, ამ კანონმდებლობით მონის მკვლელი ისევე ისჯებოდა, როგორც კატისა და ძაღლის მკვლელი (XI—132), ე. ი. 6 თვის მონანიებით. შემდეგ ანტიკურ ქვეყნებში მონისა და თავისუფალი ადამიანის მიერ ჩადენილი თანაბარი დანაშაულისათვის განსხვავება სასჯელის არათანაბრობაში კიდევ უფრო მეტი იყო.

მონა შეიძლებოდა ყოფილიყო კერძო, კოლექტიურ ან სახელმწიფო საკუთრებაში. მონაზე კერძო საკუთრების უფლებიდან გამომდინარეობდა მისდამი, როგორც საგნისადმი, ნებისმიერი მოქცევისა და მოპყრობის უფლება, მაგალითად, მისი მოკვლა, დასახიჩრება, გაყიდვა ჩვეულებრივი ან აუქციონის წესით, გასაჩუქრება, გაქირავება, სხვა საგნებზე (მაგ. მარილზე) გადაცვლა, ვალში გირაოდ დატოვება, ჯილდოში გაცემა და ა. შ. თუ პატრონი თავის მესაკუთრეობრივ უფლებაზე მონის მიმართ ხელს აიღებდა, მაშინ ეს მონა შეიძლებოდა სხვას მიესაკუთრებინა, როგორც გადაგდებული ან მიტოვებული ნივთი.

ერთი სიტყვით, მონათმფლობელს შეუზღუდველი უფლება ჰქონდა, თავისი მონისადმი გამოეჩინა ისეთივე დამოკიდებულება და მოქცეოდა მას ისევე, როგორც მის საკუთრებაში მყოფ სხვა სულიერ ან უსულო საგნებს. ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, რომ მონას არ ჰქონდა არც ოჯახის და არც საკუთრების უფლება, არც სამოქალაქო და არც პოლიტიკური უფლებები.

მონა ქალთან მონის ცხოვრება არ შეიძლებოდა გაფორმებულიყო როგორც ქორწინება, რომ ამ გზით შეუღლებას კანონიერი სახე მიეღო, არამედ იგი ითვლებოდა და რჩებოდა უბრალო თა-

ნაცხოვრებად. ამ თანაცხოვრების შედეგად გაჩენილი მონის შვილი მონის პატრონის საკუთრებად ითვლებოდა. მონას, რომელიც თვითონ სხვის საკუთრებად ითვლებოდა, თავად არავითარი საკუთრების უფლება არ ჰქონდა.

Მონისათვის საᲫოქალაქო და პოლიტიკური უფლებების არმიცემა იმით იყო მოტივირებული, რომ ძველი შეხედულებით, მონა, როგორც „მოლაპარაკე იარაღი“, გონებრივი გარვითარების მხრივ თითქოს ნამდვილ ადამიანამდე არ იყო ამაღლებული და ამიტომ მას არც „სᲭირდებოდა“ ასეთი უფლებები. ენგელსი წერს, რომ მაშინდელი შეხედულებით, „ყველა ადამიანის თანასწორობა.... თავისუფალთა და მონათა.... ანტიკური ადამიანის გონებას არა მარტო გიჟურ რამედ ეჩვენებოდა, არამედ დანაშაულებრივადაც“[1]. მონა იმის ღირსადაც არ იყო მიჩნეული. რომ მას საკუთარი სახელი ჰქონოდა, ამიტომ მონებს ხშირად არქᲛეᲕდნენ ცხოველთა სახელებს, Მაგალითად: ტურას, მგელს, დათვს, ან ურჩევდნენ სახელს მისი ფიზიკური ნაკლის მიხედვით: კოᲭლი, ბრმა და სᲭვა, ანდა სადაურობის მიხედვით, მაგ., ილირიელი, თრაკიელი, ეგვიპტელი, სირიელი, პონტოელი და ა. შ.

ჩვენ ზემოთ (თავი VI) ვნახეთ, რომ მონები მეტად მძიმე და აუტანელ პირობებში იყვნენ. ისინი დღისით ხშირად დაბმულნი ან ბორკილგაყრილნი მუშაობდნენ მძიმე სამუშაოზე გარიჟრაჟიდან დაღამებამდე, ღამეს კი ათევდნენ მიწისქვეშა თხრილებში ერთმანეთზე მიყრილნი, როგორც ცხოველები, ხშირად მშივრები და ტიტვლები. ამ მძიმე კატორღულ შრომასა და ძაღლურ ყოფაში უსიხარულოდ ილეოდა და დნებოდა მათი ახალგაზრდობის წლები.

საშუალო ასაკს მიუღწეველნი—ისინი უკვე გატეხილნი და დაბერებულნი იყვნენ. სწორედ ამ ნაადრევი სიბერის პერიოდში მათ დაძაბუნებულ ორგანიზმში ხშირად და ადვილად იბუდებდა სხვადასხვა სენი. და მათი ისედაც მძიმე და აუტანელი ცხოვრება ახლა პირდაპირ ჯოჯოხეთური ხდებოდა. ეს ადრე მოხუცებული, არაქათგამოცლილი ან რაიმე სენით მძიმედ დაავადებული მონები, რომელთაც შრომა აღარ შეეძლოთ, არავითარ ინტერესს მათი პატრონისათვის აღარ წარმოადგენდნენ.

ისინი ახლა მოხმარებული საგნები იყვნენ, რომელთაგან უკვე გამოწოვილი იყო მთელი ის სასარგებლო ენერგია, რის გამოწოვაც მათგან შეიძლებოდა. ეს მონები ახლა იმ სამუშაო იარაღის

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, (იხ. დამატებანი) 1952 წ. გვ. 410.

მდგომარეობაში იყვნენ გადასულნი, რომელიც გაცვდა, გაილია და დაიმტვრა, რომლის შეკეთება აღარ შეიძლებოდა და ამის გამო სანაგვეზე უნდა გადაგდებულიყო.

რა თქმა უნდა, მაშინ არ არსებობდა შრომის დაცვის არავითარი კანონმდებლობა, არავითარი პენსიები მონებისათვის, თუმცა ზოგჯერ „ასეთ პენსიებს," როგორც ეს რომის იმპერატორმა ნერონმა გააკეთა, უნიშნავდნენ დოღის მობერებულ და მწყობრიდან გამოსულ ცხენებს.

ასეთ პირობებში მონის პატრონი თავისი დაბერებული ან მძიმე სენით შეპყრობილი მონის მიმართ ხელს იღებდა თავის კერძო მესაკუთრულ უფლებაზე და უბრალოდ აგდებდა ქუჩაში ან ჰკლავდა მას. ასე იქცეოდნენ მონათმფლობელები ძველ ხეთაში, საბერძნეთში და თითქმის ყველა ძველ მონათმფლობელურ ქვეყანაში.

ზოგიერთი რომაელი მონათმფლობელი კი უფრო ეშმაკურად და ცბიერად იქცეოდა. როგორც ძველი ისტორიკოსი სვეტონიუსი გადმოგვცემს, მათ ზოგჯერ ავადმყოფი მონები მდინარე ტიბრზე მდებარე ერთ-ერთ კუნძულზე გადაჰყავდათ; იქ სტოვებდნენ ბედის ანაბარად სრულიად უპატრონოდ და ჯანმრთელობის ღმერთს ესკულაპის ტაძარს ანდობდნენ მხოლოდ მათზე ზრუნვას.

ეს იყო კუნძული მოახლოებული სიკვდილის რიგში ჩამდგარი მონებისა. მათ ავადმყოფობას იქ ემატებოდა სიცივე და შიმშილი. ასეთ ყოფაში შორეულ ესკულაპზე, სამშობლოსა და ახლობლებს მოწყვეტილნი, ისინი სრულიად განიარაღებულნი ებრძოდნენ სიკვდილს. ამ ბრძოლაში მათ არ ჰქონდათ არამცთუ რაიმე მოვლა-პატრონობა, არამედ საჭირო ლუკმაპურიც და ახლობელთა ნუგეში, რასაც ზოგჯერ შეეძლო მათი გაძაღლებული წუთისოფლისათვის კიდევ ორიოდე ბედშავი დღის მიმატება.

რომაელი მონათმფლობელები, რომელთაც ამ მონების სიცოცხლე შეიწირეს და მათი ოფლითა და სისხლით სასახლეები ააგეს, ავადმყოფობისა და სიბერის ჟამს მათი მიტოვებისათვის მორალურ პასუხისმგებლობას იმით იხსნიდნენ თავიდან, რომ ისინი ამ მონებისათვის ზრუნვას ადამიანზე უფრო „ძლიერ" და „ყოვლისშემძლე" ჯანმრთელობის ღმერთს ესკულაპს ანდობდნენ. მაგრამ თვით ამ მონებმა კარგად იცოდნენ, რომ ციდან ისინი

დახმარებას ვერ მიიღებდნენ და, რომ ხსნა ზოგჯერ აქ, მიწაზე იყო, მათი ოფლით შექმნილ ლუკმაპურში. ამ ლუკმაპურს ახლა მათ აღარავინ აძლევდა, რადგან მათ პატრონებს აღარ ჰქონდათ იმედი, რომ დღეს გაღებულ ლუკმაპურს ხვალ მეტი რაოდენობით უკან დაიბრუნებდნენ.

ამგვარად, ავადმყოფი და დაბერებული მონების ასეთი განწირვა იმით აიხსნებოდა, რომ იურიდიულად ისინი, როგორც საერთოდ ყველა სხვა მონებიც, კანონგარეშე იდგნენ. ეკონომიური თვალსაზრისით კი მათი მოვლა-პატრონობა და შენახვა უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე ახალი და ახალგაზრდა მონების შესყიდვა. ასეთ ვითარებაში მონათმფლობელი ადვილად იცილებდა თავიდან უკვე გაცვეთილ და ხმარებისათვის გამოუსადეგარ „ნივთს“ დაბერებული და ავადმყოფი მონის სახით, და მის მაგიერ ბაზარზე შესყიდვით მწყობრში აყენებდა ასევე გაწამებული ცხოვრებისა და სიკვდილისათვის მონათა ახალ თაობას.

მონის სიიაფით, სამუშაო იარაღთან მისი გათანაბრებით და კანონგარეშე მისი გამოცხადებით აიხსნებოდა აგრეთვე მონების მძიმე საყოფაცხოვრებო მდგომარეობა, მათი დასჯა, წამება და სიკვდილი რაიმე უმნიშვნელო დანაშაულისათვის. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის XVIII საუკუნის ბაბილონში მონას ყურს სჭრიდნენ პატრონისათვის სიტყვის შებრუნების ან მისი უბრალო განკარგულების შეუსრულებლობის გამო. ძველ ინდოეთში კი უმაღლესი კასტის წარმომადგენლის—ბრაჰმანის უბრალო შეურაცხყოფისათვის მონას (შუდრას) პირში უდებდნენ ათი თითის სიგრძის გავარვარებულ რკინას და პირსა და ყურებში ასხამდნენ მდუღარე ერბოს.

61 წელს (ახ. წ.) რომის პრეფექტი პედანიუს სეკუნდუსი მოკლა მისმა ერთმა მონამ. მაშინ, როგორც ძველი ისტორიკოსი ტაციტი გადმოგვცემს, რომაელებმა, გარდა დამნაშავისა, სიკვდილით დასაჯეს კიდევ 400 მონა, თუმცა აღნიშნულ მკვლელობასთან არც ერთ მათგანს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია.

რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა თავისი ერთი მონა გემის ანძაზე გააკრა (ჯვარს აცვა) მხოლოდ იმიტომ, რომ მან უნებართვოდ მოხრაკა და შეჭამა მწყერი. რომის მეორე იმპერატორმა კალიგულამ ქურდობა დააბრალა თავის ერთ მონას; ამ საბაბით

მას მოსჭრა ხელები, მოკვეთილი ხელები ჩამოჰკიდა კისერზე და აიძულა, ეტრიალა მაგიდის ირგვლივ სტუმრების გასართობად და მათში ღიმილის გამოსაწვევად.

ხშირად მონებს სცემდნენ ყოველგვარი საბაბით და უსაბაბოდ. რომაელი მწერალი პლავტი წერს—ასეთი ხშირი და დაუზოგავი ცემისაგან მონებს ვირივით სქელი და ჯიქივით ზოლიანი ტყავი გაუხდათო. ძველ ეტრურიაში მონებს ფლეიტის ხმაზე სცემდნენ.

რაიმე უმნიშვნელო დანაშაულისათვის მონებს გახურებული შანთით შუბლზე დამღას უკეთებდნენ. სწორედ ამის გამო ზოგიერთ ქვეყანაში, როგორც მაგალითად, ფინიკიაში, მონას არ ჰქონდა უფლება გრძელი თმის გაზრდისა, რათა შუბლზე ჩამოშვებულ თმას ეს დამღა არ დაეფარა და ყოველ შემხვედრს დამღის საშუალებით გაეგო, რომ ეს მონა უკვე დასჯილი იყო რაღაც დანაშაულისათვის.

მაგრამ, როგორც აღნიშნული გვქონდა, ხშირად მონებს აწამებდნენ, სცემდნენ და ამტვრევდნენ ყოველგვარი დანაშაულისა და საბაბის გარეშე. ასე მაგალითად, ცნობილ მონა ფილოსოფოსს—ეპიქტეტს, რომლის ლექციებს ზოგჯერ რომის იმპერატორი ტრაიანეც უსმენდა, მისმა პატრონმა უბრალოდ, თავის გასართობად ფეხი მოსტეხა.

პირველ საუკუნეში მცხოვრები ძველი რომაელი ფილოსოფოსი სენეკა თავის თხზულებაში—„მრისხანების შესახებ" წერს რაიმე უმნიშვნელო მიზეზით ან რისამე მომიზეზებით მონების ასეთ უმოწყალო დასჯაზე: „თუ მონა სადილობის დროს დაახველებს ან ცხვირს დააცემინებს, თუ იგი გულმოდგინედ არ გარეკავს ჩვენგან ბუზებს, თუ მას უნებლიედ გასაღები დაუვარდება, ჩვენ განვრისხდებით. თუ იგი ხმაურით გასწევს ავეჯს, თუ ღვინოს თოვლით ვერ გააცივებს, ჩვენ ვცოფდებით. თუ მონა ხმამაღლა ამოილაპარაკებს, თუ მას ნაღვლიანი სახე გაუხდა, თუ იგი სიტყვას ისე ხმადაბლა წარმოთქვამს, რომ ჩვენ არ შეგვეძლება მისი გაგონება, რა უფლება გვაქვს ვცემოთ მას მათრახით, ანდა გავცეთ ბრძანება, რომ ბორკილი დაადონ? პირიქით, ასეთი მოჩმახული საბაბით ადამიანს ბორკილებს ადებენ, შეუბრალებლად სცემენ, ზოგჯერ ისე უმოწყალოდ, რომ სხეულის ნაწილს უზიანებენ,

კბილებს უმტვრევენ. და აი ადამიანი სამუდამოდ სახიჩრდება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ მრისხანება ვერ შევიკავეთ და მოთმინება ვერ გამოვიჩინეთ“.

სენეკა ივიწყებს, რომ ყველა ზემოაღნიშნული საბაბი ზოგჯერ საფუძვლად ედო არა მარტო მონის დასახიჩრებას, არამედ მის სიკვდილით დასჯასაც. უფრო მეტიც, ზოგჯერ მონის სიკვდილით დასჯას იწვევდა მონათმფლობელის უმიზეზო გამხეცება, მისი სადისტური წყურვილი—„მოეკლა ადამიანი“. სატირიკოს მწერალ იუვენალის ერთ თხზულებაში მისი ერთი გმირი მოითხოვს:

„ჯვარს აცვით ეს მონა!

მაგრამ რა დანაშაული ჩაიდინა მან, რომ ის ასე დაისაჯოს? სად არის ბრალმდებელი, სად არის მოწმე? ყური მიგდე, ჩემო მეგობარო, როდესაც საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, საჭიროა უფრო მეტად ფრთხილნი ვიყოთ!

სულელი, განა მონა ადამიანია? თუნდაც ასე: მას არ ჩაუდენია არავითარი დანაშაული, მაგრამ მე მინდა, მე მოვითხოვ ამას, და ჩემი ეს მოთხოვნა, მე მგონია, საკმაო მიზეზია“-ო.

იუვენალის ეს გადმოცემა მრავალი უტყუარი ისტორიული ფაქტით დასტურდება. ასე მაგალითად, ძველი რომის ისტორიაში ცნობილია ფაქტი, როდესაც ვინმე ფლამინიუსმა გასცა ბრძანება, რომ მოეკლათ მისი ერთი მონა მხოლოდ იმიტომ, რომ ამით გაერთო სტუმრები და დაეკმაყოფილებინა მათი „ცნობისმოყვარეობა.“ პირველ საუკუნეში მცირე აზიის პროკონსულმა ვინმე მესალიამ ერთ დღეს სიკვდილით დასაჯა 300-მდე მონა და მათ თავმოკვეთილ სხეულთა შორის გავლისას თავმომწონედ და პათოსით წარმოთქვა: მე შევასრულე მეფური საქმეო.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე ლიკურგოსის ბიოგრაფიაში გადმოგვცემს, რომ შეიარაღებული სპარტელები ყოველწლიურად მოულოდნელად ეხხმოდნენ თავს მათ მიერ დაპყრობილ მესენიელებს და, ამ უკანასკნელთაგან ყოველგვარი საბაბის მიუცემლად, უმოწყალოდ ხოცავდნენ მათ (კრიპტია) მხოლოდ იმიტომ, რომ ხელოვნურად უნდოდათ შეემცირებინათ მათი რიცხვი. რომში პირველ საუკუნეში ვინმე ვედიი პოლიონმა თავისი მონები მორენებს (თევზებს) მიუყარა საჭმელად მხოლოდ იმიტომ,

რომ უნდოდა ეყურებინა, თუ ამ უბედურთ როგორ ფლეთდნენ და ყლაპავდნენ ეს უზარმაზარი თევზები.

მონათმფლობელური არისტოკრატია მორალურად იმდენად გამაეცებული და გადაგვარებული იყო, რომ ადამიანის მოკვლა და ამ სიკვდილის აგონიისათვის ყურება მასში სიამოვნებას იწვევდა და გართობის ერთ-ერთ სახედ ითვლებოდა. ყოველივე ეს, საერთოდ, იმდენად ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ იგი დავას არ იწვევს და მტკიცებას არ საჭიროებს.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც გლადიატორთა ბრძოლა, როცა ამფითეატრის სცენაზე ამ გლადიატორებს აიძულებდნენ, ათეულ ათასობით მაყურებლის წინაშე ერთმანეთი დაეხოცათ მხოლოდ და ხოლოდ ამ მაყურებელთა გართობის მიზნით, ან როცა ლაშქრობის თუ ბრძოლის დაწყების წინ სარდალი ხოცავდა ათეულობით მონებს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯარისკაცები წინასწარ შეჩვეოდნენ სისხლისღვრას და სიკვდილის განსაცდელს, აგზნებულიყვნენ ბრძოლის ექსტაზით და გამსქვალულიყვნენ იმ რწმენით, რომ სიკვდილს ჯარისკაცი არაფრად არ უნდა აგდებდეს.

თუ საბჭოთა ადამიანს უდანაშაულო პირთა ასეთი ხოცვა-ჟლეტა გარეგობისა და სეირისათვის წარმოუდგენელ სიმხეცედ და სიგიჟედ მიაჩნია, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ათეული საუკუნეებით ვართ იმ ეპოქას დაცილებული და, რაც მთავარია, ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში და ისეთ დროს, როცა იმ შორეულ წარსულში უბრალო ნივთად მიჩნეული ადამიანი დღეს ჩვენთვის ყველაზე ძვირფას კაპიტალად არის გადაქცეული.

მონათმფლობელურმა ეპოქამ თავისი მონათმფლობელური მორალი შექმნა, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ნამდვილ მორალს და ადამიანის ღირსების ნამდვილ დაფასებას. მაშინ ადამიანი იყო ფულში გამოხატული ღირებულება და ისიც მეტად მცირე სიდიდით, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, როცა მონათა ფასს ვარკვევდით.

ამიტომ მონათმფლობელისათვის, გართობის მიზნით, მონის სიკვდილით დასჯა— ეს იყო მხოლოდ მატერიალური ღირებულების დაკარგვა, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ მდიდარ მონათმფლობელს შეეძლო ეს სათვალავში არ მიეღო.

გარდა ამისა, მაშინდელი გაგებით, არც ამ უმნიშვნელო მატერიალური ღირებულების დაკარგვა ხდებოდა „ტყუილად“ და „უმიზნოდ“, რამდენადაც ეს მონათმფლობელის გართობას და მისი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა.

მონების სიკვდილ-სიცოცხლისადმი ასეთი სასტიკი და ნებისმიერი მოპყრობის უაზრობა ძველადვე იქცევდა ზოგიერთი მონათმფლობელის ყურადღებას. სენეკა წერდა: „განებივრებული და ქაოაფშუტა ცხოვრება ადამიანებს უფრო და უფრო აღგზნებულთ ხდის. თქვენ ვერ ატყობთ, რომ, რამდენადაც იზრდება სიმდიდრე, იმდენად იზრდება სიმკაცრეც? შეხედეთ მდიდრებს, წარჩინებულ ადამიანებს, მმართველებს: წარმატებანი ბერავენ და ზრდიან სიცარიელეს და განუსჯელობას მათი გულისას... ბედნიერება ჰკვებავს მათ მრისხანებას. ეს შეუკავებელი ქარიშხალია; მან საშინელებაში უნდა მოიყვანოს განრისხებული, რომელიც თავის იარაღად იყენებს ჯურღმულებს, ხარის ძარღვებისაგან დაგრეხილ მათრახს, ციხეებს, სახრჩობელას, კოცონს, რკინის ჯანგებს, ბორკილებს, ყოველგვარი სახის წამებას, გავარვარებულ რკინას შუბლზე სამარცხვინო დამღის ამოსაწვავად, გარეული მხეცებით სავსე გამოქვაბულებს“.

ზოგიერთი მონა ამჯობინებდა სიკვდილით ეხსნა თავი ასეთ მძიმე მდგომარეობისა და გაწამებული სიცოცხლისაგან. ვალერი მაქსიმეს (I საუკ. ახ. წ.) გადმოცემით, ერთ მონას ბრალი დასდეს მკვლელობაში და სიკვდილით დასაჯეს. მას აბსოლუტურად არ უცდია თავის დაცვა და გამართლება. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ მონის მიერ „მოკლული“ კაცი მშვიდობით დაბრუნდა შინ.

ისეთი შემთხვევები, როცა მონისათვის სიცოცხლეს, სიკვდილთან შედარებით, ყოველგვარი უპირატესობა ჰქონდა დაკარგული, არც თუ იშვიათი მოვლენა იყო. ბევრი მონა არ იყო დარწმუნებული, რომ წუთისოფელს ბუნებრივი სიკვდილით გაეყრებოდა და სულ მცირედი საბაბის გამო ნაჭალადევი სიკვდილი არ მოუწევდა. პლავტის კომედიაში ერთი მონა აძბობს: „მე ვიცი, რომ ჩემი საფლავი იქნება ჯვარი. მასზე დაიღუპნენ მამაჩემი, პაპაჩემი, პაპაჩემის მამა და ყველა ჩემი წინაპარი“-ო.

კანონი მონასა და თავისუფალს არა მარტო სხვადასხვაგვარად სჯიდა ერთი და იმავე დანაშაულისათვის—პირველს უფრო

მეტად და მეორეს უფრო ნაკლებად, არამედ მაშინაც კი, როცა ეს სასჯელი თანაბარი იყო, კანონი ითვალისწინებდა განსხვავებას თვით სასჯელის სისრულეში მოყვანის ფორმების მხრივ. ასე მაგალითად, თავისუფალ ადამიანს სიკვდილით სჯიდნენ საწამლავის დალევინებით, ან ხმლით თავის მოკვეთით, ან კლდეზე გადაგდებით, მონას კი—ცულით თავის მოკვეთით, ჯვარზე გაკვრით ან მარგილზე ჩამოცმით.

საერთოდ, ძველად და შემდეგ საშუალო საუკუნეებშიც კლდეზე გადაგდება სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იყო, მაგრამ მას ხშირად მიმართავდნენ თვითმკვლელობის მიზნითაც. ნესტან-დარეჯანი ამბობს:

„ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ. ანუ მოვიკლავ დანითა“-ო.

ამ ორ ფორმაციაში სიკვდილით დასჯის ეს გავრცელებული წესი მონებისათვის მაინც ყოველთვის არ იყო მისაწვდომი.

გაწამებული ცხოვრების გამო მონებს შორის ხშირი იყო თვითმკვლელობის შემთხვევები. ასეთ ვითარებაში თვითმკვლელობის საშუალების არჩევა თვით მონაზე იყო დამოკიდებული. ის ვარდებოდა ან კლდეზე, ან წყალში, ან თავს იკლავდა ცივი იარაღით და სხვა.

ისტორიაში ცნობილია მონის მიერ სუნთქვის შეჩერებით თავის მოკვლის შემთხვევაც. 132 წელს ძველი წელთაღრიცხვით კუნძულ სიცილიაზე ქ. ტავრომენის ალყის დროს მოულოდნელად ტყვედ ჩაიგდეს და რომის არმიის სარდალს—რუპილიუსს ხელფეხშეკრული მიჰგვარეს აჯანყებულ მონათა ერთ-ერთი ბელადის—კლეონის ძმა კომანი. კომანმა კარგად იცოდა, რომ მას სასტიკი წამება მოელოდა სამხედრო საიდუმლო ცნობების გასამხელად და შემდეგ კი ასეთივე სასტიკი სიკვდილი. თავის მოკვლა კომანს ამ ორივე სატანჯვლისაგან იხსნიდა. მაგრამ მთელი სიძნელე ის იყო, თუ როგორ მოეხერხებინა ეს დაბორკილ კომანს იქვე სარდლის გვერდით, როცა მის განკარგულებაში საკუთარი ფეხები და ხელებიც აღარ იყო. კომანმა სარდალს სთხოვა—ცოტა ედროვებინათ მისთვის და თითონვე ყველაფერს იტყოდა. კომანმა ნებისყოფის ზეადამიანური დაძაბვით შეიჩერა სუნთქვა და ორიოდე წუთის შემდეგ ის უკვე უსიცოცხლოდ ეგდო ძირს.

ცნობილი მეცნიერი მედიცინაში პროფ. ფრიც კანი, რომელსაც ძველი ისტორიკოსებიდან მოჰყავს ზემოაღწერილი მაგალითი,

აღნიშნავს, რომ მედიცინის თვალსაზრისით აქ დაუჯერებელი არაფერია და რომ ცხოველებიდან ყველაზე დიდხანს (ნახევარ საათს) მხოლოდ ქამელეონს შეუძლია გასძლოს უსუნთქავად. სხვა ცხოველები კი ორგანიზმში ნახშირორჟანგა გაზის დაგროვებით უფრო მალე იხრჩობიანო.

სიკვდილით დასჯის იმ მრავალი ფორმიდან, რომლებსაც, საერთოდ, ძველად იყენებდნენ (დახრჩობა, ჩამოხრჩობა, დაწვა, ნაკუწნაკუწ დაპრა, სარზე ჩამოცმა, კედელში ჩატანება, ორ გადაღუნულ ხეზე ბიკვრა და მერე მათი აშვებით გაგლეჯა, ბოძზე ბიკვრა და მხეცების მისევა, თევზებისათვის (მორენებისათვის) შიგდება და სხვა, ყველაზე საშინელი მაინც ტომარაში გაკერვა იყო. ტომარაში ჩვეულებრივ მამის მკვლელებს კერავდნენ, მაგრამ, როგორც ზოგიერთი ძველი წყაროს მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, სიკვდილით დასჯის ამ ფორმას არა იშვიათად რაიმე დანაშაულში შეშჩნეული მონების მიმართაც იყენებდნენ. ამ წესით სიკვდილმისჯილ პირს აგდებდნენ ტყავის ტომარაში, მასთან ერთად ტომარაში სვამდნენ ქათმის მამალს, ძაღლს, მაიმუნს და გველებს. შემდეგ ტყავის ამ ტომარას უკრავდნენ პირს და აგდებდნენ ზღვაში ან მდინარეში.

მ. ტ. ციცერონი თავის ერთ-ერთ სიტყვაში (Pro S. Roscio Amerino), რომელიც მან წარმოთქვა 80 წელს ვინმე სექსტ როსციას დასაცავად, გადმოგვცემს, თუ რატომ შემოიღეს რომაელებმა მამის მკვლელთა მიმართ სიკვდილით დასჯის ასეთი საშინელი ფორმა.

„... იმათ (ჩვენს წინაპრებს),—ამბობს ციცერონი,—ესმოდათ, რომ არაფერი არსებობს იმდენად წმიდათა წმიდა, რაც ადრე თუ გვიან არ შეებღალოს თავხედობას,—და მამის მკვლელთათვის გამოიგონეს ერთგვარი განსაკუთრებული სასჯელი, რათა საშინელი სასჯელის შიშით მაინც შეეჩერებინათ დანაშაულის ჩადენისაგან ისინი, ვისაც თვით ბუნება ვერ აიძულებს პატივისცემით მოეკიდოს თავის უპირველეს მოვალეობას: იმათ ბრძანეს ცოცხლადვე ჩაესვათ ისინი ტომარაში, ამოეკერათ და მდინარეში გადაეგდოთ... რა ჭკვიანური განკარგულება გასცეს იმათ, ბატონო მოსამართლენო!—

განა იმათ არ მოაცილეს ეს კაცი ქვეყანას, არ გაათავისუფლეს ქვეყანა მისგან, როცა ერთბაშად მოაკლეს მას ჰაერიც, მზის სინათლეც, წყალიც, მიწაც, რათა თავისი არსებობის მიზეზის მკვლელს მოესპოს ყველაფერი, რაც ყოველი არსების წყაროს შეადგენს?— იმათ არ სურდათ მისი გვამი დასაგლეჯად გადაეგდოთ მხეცებისათვის, რათა ცხოველებიც კი, ასეთი საშინელი დამნაშავის მიკარებით კიდეე უფრო მძვინვარე არ გახდნენ ჩვენთვის; იმათ არ ჩააგდეს ის, ტიტველი მდინარეში, რათა მდინარებით ზღვაში ჩატანილს არ შეებილწა მისი ტალღები, რომლებიც, როგორც ეს სწამთ ხოლმე, სიბილწეთაგან განბანენ ადამიანს... რა არის საერთო ყველასათვის, თუ არა ჰაერი ცოცხალთათვის, მიწა—მიცვალებულთათვის, ზღვა იმათთვის, ვისაც ტალღები დააქროლებს, ნაპირი—ნაპირზე გამორიყულთათვის? ვიდრე ძალუძს, ის ცხოვრობს, მაგრამ არ შეუძლია ჰაერი ისუნთქოს. კვდება და—მის ძვლებს მიწას არ აბარებენ. ტალღები დააქროლებს მას, მაგრამ არასოდეს არ განბანს. ბოლოს მას გამორიყავს ნაპირზე, მაგრამ ნაპირის ქვებზეც მისი სხეული ვერ პოულობს განსვენებას.“

. რომაელი მონათმფლობელები და დამპყრობლები არ ერიდებოდნენ, ხშირად გამოეყენებინათ გონების ეს უსაშინელესი მინაღწევი იმისათვის, რომ შიშისა და დამბლის მდგომარეობაში ჰყოლოდათ მონები და დაპყრობილი პროვინციების მოსახლეობა. 59 წელს (ძველი წელთაღრიცხვით) მარკ ტული ციცერონის (რომლიდანაც ჩვენ ზემოთ ციტატა მოვიყვანეთ) ძმამ—კვინტ ტული ციცერონმა მცირე აზიაში, რომლის სატრაპადაც ის იყო გამწესებული, ორი მისიელი დასაჯა ტომარაში გაკერვით.

ერთი სიტყვით, თუ სხვადასხვა რელიგიური სისტემის მიერ საიქიოში (ჯოჯოხეთში) აღწერილი წამებანი მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია, მონათმფლობელებმა აქ, მიწაზე—სააქაო ცხოვრებაში ნამდვილად შექმნეს მონებისათვის ჯოჯოხეთური ცხოვრებაც და ჯოჯოხეთური წამების უსაშინელესი ხერხებიც. ამ ჯოჯოხეთურ წამებას, ტანჯვას და აბუჩად აგდებას განსაკუთრებით მონა გლადიატორები განიცდიდნენ.

IX. გლადიატორთა ბრძოლა

გლადიატორთა ბრძოლა—ეს იყო მონათმფლობელის განკარგულებით შეიარაღებული მონების მიერ ძალით ერთმანეთის ამოხოცვა. თავდაპირველად ამ უბედურ მონებს ერთმანეთთან აბრძოლებდნენ და ერთიმეორეს ახოცინებდნენ რომელიმე წარჩინებული რომაელის დასაფლავების დღეს მიცვალებულის პატივსაცემად. როგორც ცნობილია, ძველად მთელ რიგ რელიგიებს ახასიათებდათ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა საერთოდ, კერძოდ კი, მეფის ან წარჩინებული პირის დასაფლავების დროს ხოცავდნენ და საფლავში ატანდნენ მათ მსახურთა მთელ ჯგუფს.

გლადიატორთა ბრძოლა თავისი თავდაპირველი ფორმით, სახეშეცვლილი გადმონაშთი უნდა იყოს ამ უფრო შორეული რელიგიური მსოფლგაგებისა. განსხვავება ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ამ ძველი წესისაგან რომში ის იყო, რომ აქ ამ სამსხვერპლო ადამიანებს „სხვა კი არა კლავს“, როგორც ეს ძველად იყო, არამედ ისინი სხვისი ბრძანებით „თვითონ“ ასალმებენ ერთმანეთს წუთისოფელს. რომაელთა შეხედულებით, სწორედ ამ გარემოების გამო ერთგვარად „შერბილებული“ იყო მორალური პასუხისმგებლობა ამ უდანაშაულო მსხვერპლთა დაღუპვისათვის. ისტორიკოსთა გამორკვევით, გლადიატორთა ბრძოლა რომაელებს გადმოღებული აქვთ ძველად იტალიის ტერიტორიაზე მცხოვრები ეტრუსკებისაგან.

მიცვალებულთა დაკრძალვაზე გლადიატორების მიერ ერთმანეთის ამოხოცვა პირველად რომის ისტორიაში, წყაროების მიხედვით, ძველი წელთაღრიცხვის 264 წელს მომხდარა. ამ წელს ძმებმა ბრუტებმა მამის დასაფლავების დღეს ერთმანეთს შეაკლეს ექვსი შეიარაღებული მონა. 216 წელს (ძვ. წ.) ემილია ლეპიდეს დასაფლავებაზე გამოიყვანეს 22 წყვილი, ხოლო 200 წელს მ. ვა-

ლერი ლევინის დასაფლავებაზე 25 წყვილი გლადიატორი. 183 წელს პ. ლიციინიუსის დაკრძალვაზე ერთმანეთს შეებრძოლეს და შეაკლეს უკვე 60 წყვილი, ხოლო 174 წელს ერთი მდიდარი რომაელის დასაფლავებაზე—74 წყვილი გლადიატორი.

ბოროტი რომაელი მონათმფლობელი, რომელიც ესოდენ ხელგაშლილად ცხოვრობდა მონების სისხლითა და ოფლით შექმნილი სიმდიდრით, ცდილობდა, ამ ქვეყნიდან განშორების ჟამსაც ზედ დაეკლა და „თან წაეღო“ რაც შეიძლება მეტი მონის სიცოცხლე. ამ კანიბალისტური სურვილის განხორციელება კი დამოკიდებული იყო მხოლოდ თვით მონათმფლობელის ეკონომიურ შეძლებაზე, და მის სისრულეში მოსაყვანად სხვა არავითარი შემაკავებელი მორალური ნორმები და წინააღმდეგობანი არ არსებობდნენ.

რომში ამ დროისათვის უკვე გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლის ყველა წესსა და „ლამაზად სიკვდილის“ ხელოვნებას დაუფლებული გლადიატორების გაწვრთნა და მათი სიცოცხლით ვაჭრობა. მდიდარი რომაელი, თუ კი მას თვითონ შინ არ ჰყავდა გლადიატორები, თავისი სიცოცხლის მილევის წლებში, თავისი სურვილისა და ჯიბის შესაბამისად, დამშვიდებული სინდისით თვითონვე აძლევდა შეკვეთას გლადიატორებით მოვაჭრეს, თუ რამდენ გლადიატორს უნდა შეეწირა სიცოცხლე მისი დაკრძალვის დღეს მის პატივსაცემად.

როდესაც გარდაიცვლებოდა სახელმწიფო მოღვაწე, ცნობილი სარდალი ან, საერთოდ, ისეთი პირი, რომელსაც რაიმე მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღოდა ქვეყნის წინაშე, მის პატივსაცემად სახელმწიფო თავის თავზე იღებდა მისი დასაფლავების დროს გლადიატორთა შესყიდვისა და ბრძოლის მოწყობის ხარჯს.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის დამდეგიდან რომაელებმა პრაქტიკაში შემოიღეს დღესასწაულებისა და ტრიუმფების დროს, ხოლო შემდეგ რეგულარულადაც გლადიატორთა ბრძოლების მოწყობა ამფითეატრში. გლადიატორთა ამ ბრძოლებს აწყობდნენ ჯერ გარეულ მხეცებთან, ხოლო უფრო გვიან, პირველი საუკუნის დასაწყისიდან—თვით გლადიატორთა შორისაც.

გლადიატორთა ეს ბრძოლები მხეცებთან და ერთმანეთს შორის ახლა უკვე განთავისუფლებული იყო ყოველგვარი რელიგიური დანართისაგან და მიზნად ისახავდა მხოლოდ და მხოლოდ რო-

მაელ მაყურებელთა გართობას. აქედან დაწყებული, ვიდრე კონსტანტინე დიდის იმპერატორობამდე, როცა ნიკეის საეკლესიო კრებამ გლადიატორობა აკრძალა, ე. ი. მთელი ოთხი-ხუთი საუკუნის მანძილზე ეს გასართობი არ მოსცილებია ძველი რომაელების სანახაობათა რეპერტუარს.

ხალხის გასამხიარულებლად და საყურებლად ადამიანთა ამ ხოცვა-ჟლეტის მოწყობაში ყველაზე კარგად ჩანს რომაელ მონათმფლობელთა მიერ ადამიანის (ამ შემთხვევაში მონის) აბუჩად აგდების, სათამაშო ტიკინად მისი გადაქცევის, მისი სისხლითა და სიკვდილით გართობის მახინჯი მორალის უმძაფრესი გამოხატულება.

რომაელ მონათმფლობელს ახლა არც ის აკმაყოფილებს, რომ იგი მონების ოფლით ცხოვრობს, არც ის, რომ მას გარდაცვალებისას საფლავზე აკლავენ ამ უბედურთ. ახლა მას უჩნდება „მოთმინილება“, რომ სიცოცხლეშიც საჯაროდ უყუროს და დარკვეს მონის სისხლითა და სიკვდილით. უყუროს იმას, თუ მრავალი ათასი მაყურებლის წინაშე როგორ აყენებენ ეს შეიარაღებული და განწირული მონები ერთმანეთს სასიკვდილო ჭრილობას, როგორ გადმოჩქეფს სისხლი მათი სხეულიდან, როგორ ეცემიან ისინი და როგორ განიცდიან სიკვდილის აგონიას.

აი რას ამბობს ისტორია და აი რის დავიწყება არ შეიძლება, როცა გვინდა ისტორიულ ასპექტში შევისწავლოთ მშრომელი ადამიანის მდგომარეობა, როცა გვინდა ისტორიის მთელ სიგრძეზე თვალი გავადევნოთ საუკუნეთა სიღრმიდან მომავალი მშრომელი ადამიანის მთელ ეკლიან გზას, ვიდრე ის ბედნიერ სტალინურ ეპოქამდე მოაღწევდა.

გლადიატორთა ბრძოლას მხეცებთან ან ურთიერთშორის აწყობდა სახელმწიფოც თავის ხარჯზე და კერძო პირებიც. ამ კერძო პირებს ზოგჯერ 200-მდე გლადიატორიც კი გამოჰყავდათ საბრძოლველად. მათ უნდოდათ, ხალხისათვის ასეთი სანახაობის ჩვენებით გაეზარდათ თავიანთი პოპულარობის სახელი. ამიტომ პირველ საუკუნეებში ძველი და ახალი წელთაღრიცხვით, გლადიატორთა ბრძოლები სულ უფრო და უფრო ფართე ხასიათს იღებენ.

65 წელს ცეზარმა თავის ედილობის დროს 320 წყვილი გლადიატორი გამოიყვანა, ხოლო შემდეგ, თავისი ტრიუმფის დროს—

10.000 კაცი. 106 წ. (ახ. წ.) რომის იმპერატორმა ტრაიანემ დღესასწაულის დროს რამდენიმე დღის მანძილზე ამდენივე გლადიატორი გამოიყვანა ამფითეატრის სცენაზე. იმპერატორ ავგუსტუსის მიერ (1 საუკუნე) აფრიკულ მხეცებთან მოწყობილ 26 ბრძოლაში 10.000 გლადიატორიდან 3500 გლადიატორი გაგლიჯეს და შეჭამეს მხეცებმა.

გლადიატორთა ბრძოლები, რომის გარდა, პროვინციალურ ქალაქებშიაც ეწყობოდა. პროვინციაში მცხოვრებ რომაელ სატრაპებს არ უნდოდათ სატახტო ქალაქის მოდასა და „ბრწყინვალებას“ ჩამორჩენოდნენ და თავის მხრივაც აწყობდნენ უფრო მცირე მასშტაბის ამ საშინელ სასაკლაოებს.

სანახაობითი „ხელოვნების“ ამ ახალი დარგის განვითარებამ კოლოსალურად გაზარდა მოთხოვნილება გლადიატორთა რაოდენობასა და მათ ხარისხზე. ამ „საჭიროების“ დასაკმაყოფილებლად გაჩნდა სახელმწიფო და კერძო ხასიათის სკოლები რომსა და იმპერიის მთელ რიგ ქალაქებში: კაპუაში, პრენესტში, ალექსანდრიაში და სხვაგან. სახელმწიფო ყველაზე შეძლებულ რომაელ მონათმფლობელებს ზოგჯერ გადასახადისა და დაბეგვრის სახით ავალებდა ათეულობით და ასეულობით გლადიატორის მომზადებასა და მათ გამოყვანას მაყურებლის წინაშე, სადაც ეს უბედური მონები ან ერთმანეთის ან მხეცების მსხვერპლნი უნდა გამხდარიყვნენ.

გლადიატორთა მოსამზადებლად შექმნილი ზემოაღნიშნული სპეციალური სკოლები მიზნად ისახავდნენ რომაელ მაყურებელთა გასართობად ამ ნაძალადევი სიკვდილისათვის სულ ახალი და და ახალი კანდიდატების მოამზადებას. ამ სკოლებში ასწავლიდნენ: ცეკვას, გიმნასტიკას, ხელჩართულ ბრძოლას, ლამაზად დაცემისა და „ლამაზად სიკვდილის“ წესებს, რათა გლადიატორებს თავიანთი ამ უაზრო სიკვდილით უფრო მეტი აღტყინება და კმაყოფილება გამოეწვიათ მაყურებელში.

რომაელ მონათმფლობელებს წელიწადში შემოღებული ჰქონდათ 175-მდე სადღესაწაულო დღე, ე. ი. ორ დღეში თითქმის ერთი დღე სადღესასწაულო იყო. ამ 175 სადღესასწაულო დღიდან 10 დღე, ე. ი. დაახლოებით 6% მათ განკუთვნილი ჰქონდათ გლადიატორთა ბრძოლების საყურებლად. ზოგჯერ რაიმე მოულოდნელი გარემო-

ების გამო დამატებით მოწყობილი გლადიატორთა ბრძოლები კიდევ უფრო ზრდიდა ამ რიცხვს. მაგალითად, ტრაიანეს დროს დაკიაზე გამარჯვების აღსანიშნავად მოწყობილი გლადიატორთა ბრძოლა 100 დღეზე მეტს გრძელდებოდა. დანარჩენ სადღესასწაულო დღეებში სხვა სახის სანახაობანი იმართებოდა: 64 დღეს ეწყობოდა საცირკო შეჯიბრებები, 101 დღეს კი—თეატრალური წარმოდგენები.

ამგვარად, რომაელ მაყურებელს ხელოვნებისა და, საერთოდ, გართობისათვის დათმობილი თავისი დროის 6% რჩებოდა იმისათვის, რომ ადამიანთა (გლადიატორთა) ნაძალადევი სიკვდილი და ტანჯვა ენახა. ამ საშინელ სანახაობას იგი ყველაზე მეტად მოჰყავდა ექსტაზში და ჰგვრიდა მას ყველაზე დიდ სიამოვნებას. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ რომაელები, ბერძნებთან შედარებით, ნაკლებად ეტანებოდნენ თეატრს და გლადიატორთა ბრძოლებს კი უფრო მეტად, მაშინ ზემოაღნიშნული შეფარდება (6%) კიდევ უფრო გაიზრდება.

ცნობილია შემთხვევა, როცა 167 წელს (ძვ. წ.) რომში საუკეთესო ბერძენ ფლეიტისტებს მაყურებლები არ უსმენდნენ და ედილმა უბრძანა მათ—მიეტოვებინათ ფლეიტის დაკვრა და დაეწყოთ ურთიერთშორის მუშტი-კრივი, რათა მაყურებლებში ხალისი შეეტანათ და მოწონება დაემსახურებინათ.

გლადიატორთა ბრძოლა, მცირე გამონაკლისთა გარდა, როგორც წესი, იმართებოდა ამფითეატრში და მას ყოველთვის მოზღვავებული მაყურებელი ჰყავდა. რომის უზარმაზარი ამფითეატრი, რომელსაც საშუალო საუკუნეებში კოლიზეი შეარქვეს, აგებული იყო 80 წელს რომის იმპერატორ ტიტუსის მიერ. ეს იყო გრანდიოზული გადაუხურავი ოთხსართულიანი ნაგებობა ოვალისებრი ფორმით. მისი შიგნითა სიგრძე უდრიდა 90 საჟენს, სიგანე 72 საჟენს, სიმაღლე 22 საჟენს. პირველ, მეორე და მესამე სართულს ჰქონდა თითოეულს 80 თაღი მაყურებელთა შესასვლელ-გამოსასვლელად. შენობის შიგნით, ცენტრალურ ნაწილში, მოწყობილი იყო არენა სიგრძით 40 საჟენი და სიგანით 25 საჟენი. ამ არენის ქვეშ მოთავსებული იყო სამხეცე, გლადიატორთა ოთახები და აგრეთვე სხვადასხვა მექანიზმი, რომელთა დახმარებითაც, საჭიროებისდა მიხედვით, შეიძლებოდა

წყლის შეყვანა და არენის ტბად გადაქცევა გლადიატორთა საბ-ღვაო ან ზღვის მეცეებთან ბრძოლისათვის. შეიძლებოდა არენაზე ძალიან სწრაფად უხარმაზარი ხეების აღმართვაც და მისი ტყედ გადაქცევაც ტყის ნადირებთან გლადიატორთა ბრძოლისათვის.

სწორედ ამ არენაზე ეწყობოდა გლადიატორთა ბრძოლები ერთმანეთთან და ტყის, ველისა და ზღვის მხეცებთან და ცხოველებთან. მარტო ამ არენაზე, როგორც სიკვდილის მთავარ კონვეიერზე, ადამიანის სისხლსა და სიკვდილს მოწყურებულ გადაგვარებულ რომაელ მაყურებელთა გასართობად ოთხი საუკუნის მანძილზე ნაძალადევი სიკვდილით წუთისოფელს გამოესალმა ათეულ ათასობით მონა. ეს უხარმაზარი შენობა, რომელიც 50—70 ათასამდე მაყურებელს იტევდა, და რომლის ერთი მესამედი ნაწილი ნანგრევების სახით ცხრამეტი საუკუნის მანძილზე ისტორიას დღემდე მოუტანია, ათასგზის მოწმე ყოფილა მონა გლადიატორთა ერთმანეთთან და უძლიერეს მხეცებთან სასიკვდილოდ განწირული შემართებისა. ეს შენობა, რომლის კედლებს შიგნითაც ადამიანთა მეტი სისხლი დაღვრილა, ვიდრე მის აგებაზე წყალი დახარჯულა, თავისი ნანგრევებით დგას, როგორც წარსულის წყევლა-კრულვა, როგორც წარუმლელი სამარცხვინო ლაქა ციცერონის და ლუკრეციუსის ქვეყნისა. ეს შენობა მოწმეა ისტორიის სიღრმეში ჩაძირული იმ უკულმართი ყოფისა, რომლის შესახებაც ჩვენ შეგვიძლია თვითონ ძველ რომაელთა სიტყვებით ვთქვათ—„O tempora. o mores!"—„ვაი, დროებავ, ვაი, ზნეობავ!".

ეს დროება და ეს ზნეობა, როელმაც ეს ვეება სიკვდილის კონვეიერი ამფითეატრი ააგო მონების შრომით, თვით მონების საკლავად, ისტორიამ ამ თხუთმეტი საუკუნის წინათ წალეკა და წაიღო. მაგრამ თვით ამფითეატრის ნანგრევები დარჩნენ როგორც უტყვი მოწმენი გარდასულ დროთა ვაებისა და უკულმართობისა. ვინ უწყის, ამ „მრავალ დროების" მოწმე ამფითეატრის უტყვ ნანგრევებს რამდენი ურვა და გოდება ახსოვთ სიკვდილის სტარტზე ვამოსული მონებისა, რამდენი დაფეთებული თვალები უნახავთ ლომებთან და ნიანგებთან სასიკვდილოდ შებმული გლადიატორებისა, რამდენი გმირვა და კვნესა, რამდენი ცრემლი და სისხლი!

აქ, ამფითეატრის კედლებს შიგნით, ორი სულ სხვადასხვა მსოფლიო იყო წარმოდგენილი. აქ ნაძალადევი და გაწვალებული სიკვდილის რიგში იდგნენ უცხო ქვეყნებიდან მოყვანილი და თავიანთ სამშობ-

ლ'ასა და სახლ-კარს მოწყვეტილი გლადიატორები. ყველა მათ აერთიანებდა „ბედის“ უკუღმართობა და სტანჯავდა ფიქრი იმაზე, რომ სწორედ ამ „ბედით“ ამხანაგებს თვითვე უნდა აეკუწათ ერთმანეთი, ანდა გაგლეჯილი ყოფილიყვნენ მხეცების მიერ. ასეთ ვითარებაში ეს ქვეყანა მათ ეჩვენებოდათ ჯოჯოხეთად, რომელიც მათ სისხლს სწოვდა და სიცოცხლეს ნაძალადევად ართმევდა ესოდენ აუწერელი და აუტანელი ტანჯვა-წამების ფორმით. ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი სწყევლიდნენ თავის გაჩენას და ამ ქვეყნად მოსვლის საათს.

მეორე მხრით, აქ იყო რომის არისტოკრატია, რომელსაც სიცოცხლე სამოთხედ ჰქონდა გადაქცეული, და რომელსაც ეს სიცოცხლე დაუსრულებელ ბედნიერებად და ნეტარებად ეხატებოდა. ეს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ იმით აიხსნებოდა, რომ „ქოხებში სხვანაირად აზროვნებენ, ვიდრე სასახლეებში“ და, რომ, მარქსის თქმით, ადამიანის მდგომარეობა განსაზღვრავს მის შეგნებას.

ბუნებრივია, რომ ამ სხვადასხვა მდგომარეობაში ჩაყენებულ ადამიანებს, რომელთაგან ერთნი ბედნიერების მწვერვალზე ნებივრობდნენ და მეორენი კი უბედურების უფსკრულში გოდებდნენ, მსოფლგაგებაც სხვადასხვა უნდა ჰქონოდათ. მათი ყოფის ამ რადიკალურად განსხვავებულ მდგომარეობას უნდა განეპირობებინა მათი შეხედულებათა რადიკალური განსხვავებაც.

ამფითეატრში გლადიატორთა ბრძოლის მოწყობას სხვადასხვა დროს თანამდებობის სხვადასხვა პირები ხელმძღვანელობდნენ— თავად კონსულები, შემდეგ ედილები და ბოლოს, იმპერიის ეპოქაში პრეტორები. გლადიატორები უმთავრესად ომის დროს ტყვედ წამოყვანილი და შემდეგ მონებად გადაქცეული პირები იყვნენ. ხშირად გლადიატორად აქცევდნენ სხვა მონებსაც სულ უმნიშვნელო დანაშაულისათვის, ზოგჯერ კი გლადიატორად ხდიდნენ სიკვდილმისჯილ პირსაც, თუ ის რომის მოქალაქე არ იყო. ასეთი პირი ხომ მაინც კარგავს სიცოცხლესო, და რომაელები ისწრაფოდნენ, მისი სიცოცხლის ეს დაკარგვა თავიანთ გასართობად გამოეყენებინათ.

ამფითეატრის არენაზე გლადიატორები ბრძოლას ჯერ ბლაგვი იარაღით იწყებდნენ. ეს იყო ნამდვილი ბრძოლის ერთგვარი

შესავალი. ისინი ცდიდნენ ერთმანეთს და ემზადებოდნენ ნამდვილი ბრძოლისა და სიკვდილისათვის. მაყურებლებიც თანდათან ექსტაზს ეძლეოდნენ და თავდაჭერილობას კარგავდნენ. ისინი ურთიერთშორის იწყებდნენ დავას, არჩევას და წინასწარმეტყველებას, თუ ამა და ამ გლადიატორთაგან ვინ დარჩებოდა არენაზე განგმირული და ვინ შეინარჩუნებდა იმ დღეს სიცოცხლეს. რომაელები აქ სხვის სიკვდილ-სიცოცხლეზე უბრალოდ, გასართობად მსჯელობდნენ, როგორც დოღში გამოყვანილ ცხენებზე.

როდესაც გლადიატორებს მისცემდნენ ნამდვილი ბრძოლის დაწყების ნიშანს, მათ აძლევდნენ საბრძოლო იარაღს: ხანჯალს, ხმალს, შუბს და სხვა. მუსიკის—ფლეიტის, ბუკის, ნაღარის, დუდუკის და საყვირის გამაყრუებელ ხმაზე იწყებდნენ გლადიატორები ერთმანეთთან სასიკვდილო შებმას.

გლადიატორები ებრძოდნენ ერთმანეთს ან წყვილად—ერთი ერთს, ან ჯგუფებად — ერთი ჯგუფი მეორეს. ორთა ბრძოლაში გამარჯვებული გლადიატორი, რომელმაც მისსავე ბედში მყოფი უბედური მონა განგმირა, მაყურებელთა მოწონების შეძახილ ხმებში ტოვებდა არენას. იგი თავისუფალი იყო მორიგ სასიკვდილო შეჭიდებამდე. მაგრამ ის დარწმუნებული არ იყო, რომ ამ მორიგ შეჭიდებაში კვლავ „იღბლიანი“ დარჩებოდა და არ აღმოჩნდებოდა „ბედის“ სასწორის მეორე თეფშზე, რომელზედაც დღეს მან თავისი განგმირული ამხანაგი დააგდო.

ამგვარად, გამარჯვებული გლადიატორი არც იყო და ვერც იქნებოდა დარწმუნებული „ბედის“ სიმყარეში და თავის მომავალ მოწინააღმდეგესთან როლების შეუნაცვლებლობაში. ამიტომ მისი დღევანდელი გამარჯვების განცდა, სწრაფად გადიოდა ხვალინდელი სიკვდილის მოლოდინში.

გლადიატორს, თუ კი იგი პირველსავე ბრძოლებში არ დაეცემოდა ამფითეატრის არენაზე, რამდენსამე წელიწადს ზედიზედ უნდა ებრძოლნა იარაღით ხელში. ამ იარაღს უნდა მოეტანა მისთვის სიცოცხლე და სხვისთვის სიკვდილი. თუ კი მისი მარჯვენით მოქნეული ხმლის ანგარიშზე დაიწერებოდა ათეულობით წუთისოფელს გამოსალმებული მონა, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ჩასახოდა მას ამ საშინელი და ნაძალადევი ხელობისაგან განთავისუფლების იმედი

ერთი სიტყვით, გლადიატორს მისსავე ბედში მყოფის სისხლში ამოვლებული ხმლის წვერით მეორედ უნდა მოეპოვებინა სიცოცხლის უფლება. ამას კი ათას გლადიატორში ერთი თუ მიაღწევდა. მაგრამ განა ღირდა კი ასეთი გზით მოპოვებული ეს „მეორე“ სიცოცხლე, როცა ის „ნაყიდი“ იყო თავისი თანამოძმის სისხლითა და სიკვდილით?

არენაზე დახოცილ მონებისათვის რომაელი მონათმფლობელები შავ მიწასაც კი არ იმეტებდნენ მათ დასამარხად. ზოგჯერ დიდი დღესასწაულების დროს ამფითეატრის არენაზე ასი და ათასი გლადიატორი კვდებოდა. ვინ შეიწუხებდა თავს ამდენი ცალკე საფლავის გათხრაზე, ან ვინ გაიმეტებდა სატახტო ქალაქში ამდენ თავისუფალ მიწას მონათა საფლავებისათვის; ასეთ შემთხვევაში მათ უბრალოდ ყველას ერთად ყრიდნენ წინასწარ გათხრილ ორმოში.

ზოგჯერ ორთა ბრძოლაში გამარჯვებული გლადიატორი ხელახლა უნდა შებმოდა ახალ მოწინააღმდეგეს. ხანდახან ხდებოდა ისიც, რომ ერთ გლადიატორს აიძულებდნენ ეროდროულად ებრძოლნა ორ, სამ და ოთხ მოწინააღმდეგესთან. ასეთ შემთხვევაში გლადიატორს იმ დღით სიცოცხლის შენარჩუნების ნაკლები შესაძლებლობა რჩებოდა. ერთი სიტყვით, რომაელი მონათმფლობელები ისეთ ფორმასა და წესს აძლევდნენ სიკვდილის ამ „ხელოვნებას“— გლადიატორთა ბრძოლას, როგორიც კი მათ მოესურვებოდათ უფრო მეტი ეფექტის მისაღებად.

როცა რომელიმე გლადიატორი მძიმედ დაჭრილი დაეცემოდა არენაზე, მას შეეძლო ხელის აწევით ეთხოვა შეწყალება, რომ მოწინააღმდეგეს აღარ მიეყენებინა მისთვის ახალი ჭრილობა და, ამგვარად, არ მიეყვანა იგი მაშინვე სიკვდილამდე. შეწყალების უფლება ჰქონდა თვით ამ გლადიატორის პატრონს, როცა გლადიატორთა ბრძოლებს კერძო პირები აწყობდნენ თავიანთი ხარჯით, ან იმ პირს, ვინც საერთო ხელმძღვანელობას უწევდა გლადიატორთა ბრძოლას. შემდეგ ხანებში ეს უფლება ძაყურებელთა ხელში გადავიდა, უფრო გვიან კი იმპერატორის ხელში.

როცა ეს უფლება ცალკე პირის ხელში იყო, მას შეეძლო პირდაპირ მიეცა მითითება გამარჯვებული გლადიატორისათვის, რომ ის დახსოდა დამარცხებულ მოწინააღმდეგეს. შემდეგ, რო-

დესაც ეს უფლება მაყურებელთა ხელში გადავიდა, ეს უკანასკნელნი შეწყალების ნიშნად აქნევდნენ ცხვირსახოცებს, ხოლო თუ შეწყალებაზე უარს ანბობდნენ, მაშინ მარჯვენა ხელის დიდ თითს ძირს დახრიდნენ. მაგრამ უბედურ გლადიატორს შეწყალების მიღების უფლება მხოლოდ ნომინალურად ჰქონდა, რადგანაც მხოლოდ იშვიათი გამონაკლისით ხდებოდა შეწყალების თხოვნაზე თანხმობის მიცემა. რომაელ მონათმფლობელებს არ სიამოვნებდათ ამ გზით ინვალიდთა და დასახიჩრებულ მონათა განრავლება, რომელნიც შემდეგისათვის აოც სამუშაო ძალად და არც გასართობად აღარ გამოდგებოდნენ.

თუ რომელიმე გლადიატორს შიში დასძლეოდა, ან სხვის გასართობად ამ უაზრო სიკვდილის შეგნების გამო უკან დაიწევდა და საბრძოლო არენაზე გასვლას არ ინდომებდა, მაშინ მაყურებელთა გაბოროტებულ ყიჟინაში მათრახითა და გახურებული რკინის ცემით მიჰყავდათ იგი წინ.

მოკლულ გლადიატორთა გვამებს არენიდან მიათრევდნენ სპეციალურად საამისოდ დანიშნული, ქვესკნელის ღმერთ მერკურის ტანსაცმელში გამოწყობილი პირები. ეს გვამები გაჰქონდათ „მკვდართა კარებიდან" სპეციალურ ოთახში—პროზექტურაში, და თუ ვინმეს კიდევ ჰქონდა შერჩენილი სიცოცხლის ნიშანწყალი, იქ ულეჩქვავდნენ თავს. სისხლით მოსვრილ არენას აყრიდნენ ახალ ქვიშას[1] და რიგის მიხედვით გამოჰყავდათ სიკვდილის ახალი კანდიდატები.

ზოგჯერ ამფითეატრის არენაზე გამოჰყავდათ ცხენოსანი და ეტლოსანი გლადიატორებიც. ხანდახან ამფითეატრის არენაზე შეჰყავდათ წყალი და აწყობდნენ იქ გლადიატორთა საზღვაო ბრძოლებსაც, ე. წ. ნავმაქიებს. უფრო მეტად კი ასეთ ნავმაქიებს აწყობდნენ მდინარე ტიბრის წყლის გადაგდებით ხელოვნურად შექმნილ ტბაზე.

---

[1] ლათინური სიტყვა—arena (არენა) სიტყვასიტყვით ნიშნავს ქვიშას. ამ სიტყვამ შემდეგ სხვადასხვა მნიშვნელობა მიიღო, კერძოდ, არენა შეერქვა ამფითეატრის ცენტრში შემოღობილ მოედანს, სადაც გლადიატორთა ბრძოლები იმართებოდა.

გლადიატორთა ეს საზღვაო ბრძოლები მაშინდელი დროისათვის ზოგჯერ კოლოსალური მასშტაბით იმართებოდა. ასე მაგალითად, გაიუს იულიუს ცეზარმა თავის ტრიუმფის დღეს 46 წ. (ძვ. წ.) მოწყობილ საზღვაო ბრძოლაში 10.000 გლადიატორი გამოიყვანა. შემდეგ 2 წ. (ძვ. წ.) იმპერატორ ავგუსტუსის მიერ მოწყობილ საზღვაო ბრძოლაში, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, მონაწილეობას იღებდა 30 დიდი, მრავალი მცირე სამხედრო გემი და 30.000 გლადიატორი. ბრძოლა მიმდინარეობდა ხელოვნურად შექმნილ ტბაზე, რომლის სიგრძე 1800 და სიგანე 1200 ნაბიჯს უდრიდა. იმპერატორ კლავდიუსის მიერ მოწყობილ ნავმაქაობაში ფუცინოს ტბაზე 52 წელს (ახ. წ.) ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 50 გემი და 19.000 გლადიატორი.

რომაელ მანდილოსნებს უნდოდათ სატახტო ქალაქში ბრძოლის ყველა ნამდვილი სახე და ფორმა ენახათ და არა მათი იმიტაცია. ამიტომ ისინი ტბის ნაპირზე ჩამწკრივებული სკამებიდან დიდი ექსტაზით და ხალისით უყურებდნენ ამ საზღვაო ბრძოლებს. ეს ბოძოლები სწყვეტდნენ არა ოაიმე ნამდვილ სტრატეგიულ ამოცანას, არამედ მხოლოდ ესთეტიკურს, ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით. მაგრამ ამით როდი ნელდებოდა მათი სიმძაფრის ხასიათი და მასშტაბი. როგორც ნამდვილ ომში სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას, ისე ამ ომში რომაელ მონათმფლობელთა ამ ველური ესთეტიკური ამოცანების „გადაწყვეტას“ ეწირებოდა ათასობით სიცოცხლე, იძირებოდა გემები და ტბა სისხლით იღებებოდა. მაგრამ რომაელებისათვის მთავარი ის იყო, რომ ამ ტბა სისხლში არც ერთი წვეთი მათი საკუთარი სისხლი არ ერია.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის დასაწყისიდან (186 წლიდან) რომში შემოიღეს გლადიატორების შებრძოლება მხეცებთან და აგრეთვე თვით მხეცებისა ურთიერთ შორის. ეს ბრძოლები იმართებოდა ხან ამფითეატრის არენაზე, ხანაც ცირკში. ყველაზე საშინელი გარეული მხეცების: ლომების, დათვების, გარეული ღორების, ვეფხვების, ჯიქების და სხვა ამგვართა წინააღმდეგ გაჰყავდათ გლადიატორები ან სიკვდილმისჯილი პირები, სრუ-

ლიად შეუიარაღებელნი ან ძალზე ცუდად შეიარაღებულნი. მათ არ ჰქონდათ თავდასაცავი შეიარაღება: ფარი, ჯავშანი ან მუზარადი და სხვა. საბრძოლო შეტევითი იარაღიდან კი აძლევდნენ მხოლოდ შუბს და იშვიათად ხმალს. უმეტეს შემთხვევაში გამარჯვება მხეცებს რჩებოდათ, რომლებიც გლეჯდნენ და ფლეთდნენ ამ უბედური ხვედრის ადამიანებს. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, იმპერატორ ავგუსტუსის მიერ (1 საუკუნე) მოწყობილი 26 ბრძოლაში მხეცებმა 3500 გლადიატორი დაფლითეს და შეჭამეს.

რომში აწყობდნენ ასევეთვე გლადიატორთა ბრძოლას ნიანგებთან. ამფითეატრის არენაზე შეყვანილ წყალში უშვებდნენ ნიანგებს და ყრიდნენ შიგ გლადიატორებს. აქაც ბრძოლა ხშირად იმით თავდებოდა, რომ უბედური გლადიატორი ნიანგის ხახასა და კუჭში მოხვდებოდა ხოლმე.

რომაელ მონათმპყრობელთა მორალი იმდენად მხეცური გახდა, მათი მოთხოვნილება სისხლიანი გართობისა და „ხელოვნებისადმი“ იმდენად შორს წავიდა, რომ ისინი იგონებდნენ გლადიატორთა სიკვდილისა და წამების ახალ-ახალ ხერხებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ე. წ. „მანქანის გლადიატორები“. გლადიატორთა ბრძოლის ეს ფორმა ყველაზე მეტად მოდაში იყო სანახევროდ სულით ავადმყოფი იმპერატორის კალიგულას დროს.

„მანქანის გლადიატორებს“ ათავსებდნენ სპეციალურ საკანში, რომლის იატაკზე სხვა საკნებში მოთავსებული იყვნენ გარეული მხეცები. ეს დახურული საკნები განსაკუთრებული მექანიზმებით შემოჰქონდათ ამფითეატრის არენაზე და აქ, მაყურებელთა თვალწინ ყველა ისინი ერთდროულად მექანიკურად იხსნებოდნენ და იშლებოდნენ. უბედური გლადიატორი, რომელსაც აქამდე არავითარი ცნობა არ ჰქონდა თავისი „მეზობლების“ შესახებ, მოულოდნელად აღმოჩნდებოდა მხეცებით გარშემორტყმული და მათ პირისპირ. სწორედ მოულოდნელობის ეს მომენტი აინტერესებდათ სიკვდილის რომაელ მაყურებლებს.

მათ აინტერესებდათ, რას მოისაზრებდა ეს გლადიატორი, რა ხერხს მიმართავდა და როგორ შეეკრებოდა იგი თავის დაცვას ტორებზე შემდგარი მხეცების წინაშე. მრავალი მხეცით გარშემორტყმულ გლადიატორს ძნელი იყო გამოეჩინა გიორგი საა-

კაძის გმირობა და მოსაზრება[1]. გარდა ამისა ზოგჯერ ეს მოსაზრება შეიძლება არც ყოფილიყო საკმარისი. ამიტომ ისინი იღუპებოდნენ მხეცებთან ამ უთანასწორო ბრძოლაში.

საერთოდ, გარეულ მხეცებს რომაელთა გართობის რეპერტუარში დიდი ადგილი ეჭირათ. ძველი წელთაღრიცხვის 55 წელს ორატორი ციცერონი რომიდან სწერდა თავის მეგობარს მარკუს მარიუსს სატახტო ქალაქში მომხდარ მნიშვნელოვან ამბებზე და, სხვათა შორის, დასძენდა: „საჭიროა კიდევ გავისსენოთ გარეულ მხეცებთან ბრძოლა. იგი იმართებოდა დღეში ორჯერ ხუთი დღის განმავლობაში... უკანასკნელი დღე იყო სპილოების დღე. მან დიდი აღფრთოვანება გამოიწვია...“-ო.

რომის იმპერატორები ცდილობდნენ განეცვიფრებინათ ხალხი მოლაპარაკე ფრინველებით, მოცეკვავე სპილოებით და, საერთოდ, ყოველი ჯურის უცხო მხეცებით. „თუ კი რომში ჩაიტანდნენ ან ჩაიყვანდნენ რაიმე არაჩვეულებრივსა და ინტერესის ღირსს, ავგუსტუსი სანახაობათათვის დანიშნული დღეების გარეშეც კი გამოფენდა ხოლმე ასეთებს რომელსაც ადგილას საჩვენებლად. მაგალითად, მარტორქას— მოღობილში მარსის ველზე, ვეფხვს თეატრის სცენაზე, გველს სიგრძით ორმოცდაათ წყრთას— კომიციების ბინ“.

მაგრამ არა მარტო ავგუსტუსი, არამედ რომის სხვა იმპერატორებიც, რომელნიც ესოდენ ენერგიულად ატარებდნენ „პურისა და სანახაობის“ პოლიტიკას, დიდად ცდილობდნენ ყოველგვარი სახის გასართობით რომაელთა გულის მონადირეობას. თვით სახელმწიფოს მესვეურთა პოპულარობაც კი ზოგჯერ მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ გარემოებაზე იყო დამოკიდებული. გარდა

---

[1] არსებობს ხალხური გადმოცემა, რომ ერთხელ ირანის მეფის შაჰ-აბასის შეკითხვაზე—რა იარაღი სჯობია ბრძოლაშიო, გიორგი საკაძემ უპასუხა: დიდო შაჰო, მეოთარი უნდა ვარგოდეს, თორემ თავის დროზე ყველა იარაღი კარგიაო. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც გიორგი საკაძე ბაღში სეირნობდა, შაჰის ბრძანებით ჩასაფრებული ადამიანიდან ერთდროულად და მოულოდნელად მ უშვეს საკაძეზე ორი ლომი. უაღრესად კრიტიკული მომენტი იყო, მაგრამ საკაძე აო დაიბნა. მან ერთი ხელით მოიხადა ქუდი და მხეცს ჩასჩარა ხახაში. იმავე დროს მან მარჯვენა ხელით იძრო ხანჯალი და ერთი დარტყმით განგმირა მეორე ლომი. ვიდრე პირველი ლომი ქუდს გამოაგდებდა პ რიდან, საკაძემ მ რჯვენა ხელი გაინთავისუფლა და ხანჯლის მეორე დარტყმით ეს პირველი ლომიც მოკლა.

ამისა, თვით იმპერატორებს არა ნაკლებ აინტერესებდათ გლადიატორთა ბრძოლის ყურება.

ძველი ისტორიკოსი სვეტონიუსი გადმოგვცემს, რომ იმპერატორ კლავდიუსს (41—54 წწ) განსაკუთრებით აინტერესებდა მომაკვდავი გლადიატორის სახის გაიომეტყველების და მისი აგონიის მზერა. ხოლო ისეთი გონებასუსტი იმპერატორები, როგორიც იყვნენ: ნერონი, კალიგულა, კომოდი და სხვები პირდაპირ უსაზღვრო აღტაცებაში მოჰყავდა გლადიატორთა ბრძოლის ყურება.

გარდა იმისა, რომ რომაელებს გარეული მხეცების წინააღმდეგ განოჰყავდათ გლადიატორები, თვითონაც დიდი დღესასწაულების დროს ხშირად აწყობდნენ ამ მხეცებზე ნადირობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა პირდაპირ შებმით.

ამფითეატრისა და ცირკის არენაზე, რომელიც მაყურებელთაგან გამოყოფილი იყო მაღალი და საიმედო მოაჯირით, ძიჰყავდათ სხვადასხვა მხეცები: ლომები, ვეფხვები, სპილოები, დათვები, გარეული ღორები, მარტორქები და სხვ. იწყებოდა მათზე ნადირობა. იგი გრძელდებოდა რამდენსამე დღის და ყოველდღიურად უმატებდნენ არენას ახალ-ახალ მხეცებს. პომპეუსის მიერ მოწყობილი ასეთი ნადირობის დროს სხვადასხვა დღეებში არენაზე შეყვანილი იყო 17 სპილო, 500 ლომი და რამდენიმე ასეული სხვა აფრიკული მხეცი. ავგუსტის მიერ მოწყობილ ნადირობაზე მოკლული იქნა 3500 მხეცი. ტიტუსის დროს მოკლეს 9000 და ტრაიანეს დროს (106 წ. ახ. წ.)—11.000 მხეცი. რომის იმპერატორმა კომოდმა ერთ დღეს არენის მაღალი აივნიდან, საიდაც თვითონ მას არავითარი საფრთხე არ მოელოდა, მშვილდ-ისრით მოკლა დაბლა არენაზე 100 დათვი.

რომაელები ხშირად აწყობდნენ მხეცების ურთიერთ ბრძოლასაც არენაზე. ზოგჯერ ისინი მარტორქას უშვებდნენ სპილოს წინააღმდეგ, დათვს—კამეჩის წინააღმდეგ და სხვ. კოდებით ან ქამანდით ურთიერთზე გადაბმულ მხეცებს ჩხელეტდნენ ან ესროდნენ ჭრელი ნაჭრებისაგან შეკერილ თავის საფრთხობელებს. ამ ხერხით დამფრთხალი და განრისხებული მხეცები გლეჯდნენ და ათრევდნენ ერთმანეთს, რაც მაყურებლებში დიდ აღტყინებასა და მხიარულებას იწვევდა.

ცირკში იმართებოდა ე. წ. პანტომიმური წარმოდგენებიც, რომლებშიაც ზოგჯერ მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ სიკვდილმისჯილი მსახიობები. მსახიობთა დიდ ნაწილს რომში შეადგენდნენ მონები, და ბუნებრივია, რომ არც თუ ისეთი მძიმე დანაშაული იყო საჭირო მათთვის ასეთი განაჩენის გამოსატანად. ამ უბედურ მსახიობთა ეს განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ ცირკში.

შინაარსი ზოგჯერ ასეთი პანტომიმური წარმოდგენებისათვის აღებული იყო მითოლოგიიდან და წარსული ცხოვრებიდან. ზოგიერთ მსახიობს ხელ-ფეხით აკრავდნენ ეტლის გახურებულ თვალზე. მსახიობი დაწვითა და გაჭეჭყვით იღუპებოდა. ამით რომაელები „აღადგენდნენ“ ბერძნული მითოლოგიიდან ზევსის მიერ ვინმე მრუში იქსიონის დასჯის სცენას. ზოგს სწვავდნენ ცეცხლში. ზოგს, ლეგენდარული რომაელი გმირის მუცია სცევოლას მაგალითისამებრ, აიძულებდნენ ცეცხლში ჩაედო და მოეწვა ხელები და ა. შ.

ერთი სიტყვით, როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, ძველ ბერძნულ და რომაულ მითოლოგიაში მოხსენიებული ყველა სახის სასჯელი, რომელიც მხოლოდ ადამიანის ფანტაზიის გამოგონება იყო და რომლითაც არასდროს წინათ არავინ არ ყოფილა დასჯილი, ახლა რომაელმა მონათმფლობელებმა პრაქტიკაში განახორციელეს მონების მიმართ.

მაგრამ რომაელი მონათმფლობელები თავის გასართობად მარტო მონების სიკვდილით დასჯის ახალ-ახალი ხერხების გამოგონებით როდი კმაყოფილდებოდნენ. ისინი მხეცებთან ერთად, ზოგჯერ მონების სისხლისა და ხორცის უშუალო მომხმარებელნიც იყვნენ. ძველ ისტორიკოს სვეტონიუსის გადმოცემით, ერთხელ, როდესაც პირველი საუკუნის ორმოციან წლებში რომში ხორცზე ფასებმა აიწია და ამის გამო გლადიატორებთან შესაბრძოლებლად მოყვანილი მხეცების გამოკვება გაძვირდა, რომის იმპერატორ კალიგულას ბრძანებით, გაწყვიტეს საკმაო რაოდენობით დამნაშავენი, რომელთა შორისაც დიდი ნაწილი მონები იყვნენ და მათი ხორცით კვებაკდნენ მხეცებსო. პლინიუსის გადმოცემით კი ამფითეატრში რომაელი მონათმფლობელები სვამდნენ მომაკვდავ გლადიატორთა ჭრილობებიდან აღებულ სისხლს, რადგანაც, მაშინდე-

ლი შეხედულებით, ადამიანის სისხლი ბნედის საწინააღმდეგო წამლად იყო მიჩნეულიო.

ჭეშმარიტად, ეს იყო ადამიანის (მონათმფლობელის) ნამდვილი მორალური გაპარტახება და გადაგვარება, ამ ადამიანში ამოწოვილი იყო სიბრალულის გრძნობისა და ჰუმანიზმის ყოველი ნატამალი, მასში წაშლილი იყო კაცთმოყვარეობის ყოველგვარი ნიშანწყალი. იგი მთლიანად ჯოჯოხეთური ულმობლობისა და სისასტიკის მარწუხებში იყო მომწყვდეული. ეს იყო დრო, როცა ფორმით ადამიანად დარჩენილი რომაელი მონათმფლობელის სულსა და გულში ჩაბუდებული იყო ვამპირი, და როდესაც იგი მონისადმი თავის დამოკიდებულებას განსაზღვრავდა აკვილიუსის კანონით და ვარონის შეხედულებით. აკვილიუსის კანონი მონისა და მუშა საქონლის მოკვლისათვის თანაბარ სასჯელს აწესებდა, ხოლო ვარონი მონას ხმოვან სამუშაო იარაღთან აიგივებდა.

მონებისადმი ეს ყოვლად უდიერი მოპყრობა და დამცირება თავის „გამართლებას“ და „დასაბუთებას“ იმ შეხედულებიდან იღებდა, რომელიც მონების წარმოქმნას, მათი მდგომარეობის სიდუხჭირეს ღმერთსა და ბუნებას მიაწერდა და რომლის განხილვაზეც ჩვენ ახლა გადავდივართ.

X. შეხედულებანი მონურ შრომასა და მონაზე. არისტოტელე

მონურ შრომაზე დამყარებული საზოგადოების წარმოქმნამ ადრევე დაბადა მონობის არსებობისა და „სამართლიანობის“ იდეოლოგიური დასაბუთების საჭიროება. ამ იდეოლოგიურ დასაბუთებას უნდა უზრუნველეყო მონების უმოწყალო ექსპლოატაციისა და ჩაგვრისათვის მორალური და თეორიული გამართლების მიცემა.

მაშინდელი დროის იდეოლოგებს, მეცნიერების საერთო დონის ჩამორჩენილობისა და თავიანთი კლასობრივი მდგომარეობის შეზღუდულობის გამო, რა თქმა უნდა, არც შეეძლოთ მონობის წარმოქმნის საკითხის მეცნიერული გარკვევა, მისი დაკავშირება საწარმოო ძალების განვითარებასთან და გვაროვნული წყობილების რღვევასთან.

ამ საკითხმა თავისი მეცნიერული გადაწყვეტა მხოლოდ ათეული საუკუნეების შემდეგ—საზოგადოებრივ ფორმაციებზე მარქსიზმის კლასიკოსთა საერთო მოძღვრებასთან დაკავშირებით ჰპოვა. ამიტომ მაშინდელ ვითარებაში მონობის წარმოქმნის „ასახსნელად“ ყველაზე იოლ და თანაც მონათმფლობელთათვის მისაღებ გზად რჩებოდა ამ საკითხის მოწყვეტა მიწისაგან, მისი გადატანა ზეცაში და იქ „ქვეყნიერებისა და ადამიანის შემქმნელი“ ღმერთის მოქმედებიდან და განკარგულებებიდან მისი გამოყვანა.

ისტორიულად ამ საკითხის თავდაპირველი და უკულმართი გადაწყვეტა სწორედ ამ გზით წავიდა. ინდოეთის უძველეს კანონმდებლობაში, რომელიც ისტორიაში მანუს კანონების სახელწოდებითაა ცნობილი და რომელიც საკმაო რელიგიურ ელფერს ატარებს, ეს საკითხი შემდეგნაირად არის „გადაწყვეტილი“: უზენაესმა ღმერთმა ბრაჰმამ საზოგადოების ყველა ფენა (კასტა) გაა-

ჩინა თავისი სხეულის სხვადასხვა ნაწილისაგან. პირისაგან მან გააჩინა ბრაჰმანები, რომელთაც მიანიჭა უზენაესი ხელისუფლება და გაუწესა ისინი ქვეყნის მმართველებად და ბატონ-პატრონებად. ხელებისაგან გააჩინა ქშატრიები, რომელთაც დაავალა ქვეყნის დაცვა. ბარძაყებისაგან გააჩინა ვაიშიები, რომელთაც დაავალა მიწათმოქმედება. ფეხებისაგან კი მან გააჩინა შუდრები, ანუ მონები და „მხოლოდ ერთი საქმიანობა განუმწესა მეუფემ შუდრას— უდრტვინველად ემსახუროს სამივე კასტას“.

პირველ სამ კასტას შორისაც არსებობს გარკვეული უფლებრივი და სოციალური იერარქია. ყველაზე მაღლა დგანან ბრაჰმანები, შემდეგ ქშატრიები და მერე ვაიშიები. მიუხედავად მათ შორის არსებული ამ განსხვავებისა, სამივე კასტის წევრები მაინც ორჯერ დაბადებულად ითვლებიან და ერთიანი ფრონტით უპირისპირდებიან შუდრებს. რომელნიც თვით ღმერთ ბრაჰმას მიერ მონებად არიან გაჩენილნი.

ამ მონებს (შუდრებს) არ გააჩნიათ არც არავითარი უფლება, არც არავითარი ქონება. ბრაჰმას მიერ მათ მოვალეობად მათი გაჩენის დროს მხოლოდ ის არის დადგენილი, რომ ისინი „უდრტვინველად ემსახურონ სამივე კასტას“. ამ რელიგიური ელფერით შეღებილ კანონებში პირდაპირ წერია: „შუდრა... თვითარსის მიერ შექმნილია ბრაჰმანის მონად. შუდრა, თუნდაც მისი პატრონის მიერ იქნეს განტვირთული, არ თავისუფლდება მონობისაგან, ვინაიდან მონობა მას დაბადებით აქვს თანდაყოლილი“.

როგორც ვხედავთ, ინდოეთის ამ უძველეს კანონმდებლობაში გარკვევით და უბრალოდ არის ნაჩვენები: მონობა თვითარსის, ღმერთის მიერ არის დაწესებული. ხოლო ის, რაც ღმერთის, თვითარსის მიერ იყო დაწესებული, მაშინდელი რწმენით არ შეიძლებოდა უსამართლოდ და უკანონოდ ყოფილიყო მიჩნეული. ამგვარად, მონობის საკითხის ძიწისაგან მოწყვეტამ, ზეცაში მას მაშინვე მისცა „ახსნაცა“ და „კანონიერი“ ხასიათიც. მონობის წარმოშობის ეს რელიგიური ახსნა ხელს უწყობდა და მორალურადაც ამაგრებდა მაშინდელი გაბატონებული კლასის — მონათმფლობელთა კლასის ინტერესებს.

მანუს კანონებში შემდეგ წერია: შემოქმედი განმარტავს, რომ საზოგადოების ეს დანაწილება კასტებად (კლასებად) ისევე მუდ-

მივია, როგორც წლის დროთა თანმიმდევრობაო. როგორც აქედან ჩანს, ძველ ინდოელთა შეხედულებით, ღმერთმა არა მარტო დააწესა მონობა, არამედ იგი მარადისობის შარავანდედითაც შემოსა. მაგრამ მონების მარადიული არსებობა, რა თქმა უნდა, თავისთავად გულისხმობდა თვით ამ მონების მეპატრონე კლასის—ბრაჰმანთა კლასის მარადიულ არსებობასაც.

ამგვარად, მანუს კანონები თვით უზენაესის ნება-სურვილით ამტკიცებდნენ კლასობრივი საზოგადოების უწყვეტობასა და მუდმივობას. ეს წმინდა სოციალური ხასიათის მოვლენა მანუს კანონებში ბუნების მოვლენებთან და კანონზომიერებასთან არის გათანაბრებული. ისე, როგორც ბუნების ეს კანონზომიერება არ შეიცვლება და არ მოხდება, რომ ზაფხულს ზამთარი მოჰყვეს შემოდგომის გამოტოვებით, ასევე არ შეიცვლება ბრაჰმას (ღმერთის) მიერ საზოგადოების კასტებად (კლასებად) დანაწილების, ან ამ კასტების დადგენილ იერარქიაში ადგილების გადანაწილებაო.

ეს რელიგიური დოგმა მნიშვნელოვნად ჰბოქავდა, უიმედობის და უსამართლობის ელფერს აძლევდა საუკუნეთა მანძილზე ინდოეთის დაბალი ფენების ბრძოლას სოციალური სამართლიანობისათვის. ამავე დროს ფიზიკურ შრომას იგი ძირითადად საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენის მონების ხვედრად მიიჩნევდა, როცა აცხადებდა, რომ შუდრა (მონა) უდრტვინველად უნდა ემსახუროს სამივე კასტასო.

შემდეგ, ანტიკურ ხანაში V საუკუნიდან დაწყებული, როცა მონურმა შრომამ უფრო ფართო გამოყენება ჰპოვა წარმოებასა და ყოფა-ცხოვრებაში, როცა ესოდენ ადვილად და იაფად შეიძლებოდა მონის ყიდვა და თავისუფალი შრომის მონური შრომით შეცვლა, გამომუშავდა შეხედულება, რომ, საერთოდ, ფიზიკური შრომისათვის თვით ბუნების განჩინებით განკუთვნილნი არიან მონები. ამ შეხედულებით, თავისუფალი ადამიანისათვის შეუფერებლად და სასირცხვილოდ იყო მიჩნეული ფიზიკური შრომა საერთოდ და კერძოდ, ხელოსნობა.

ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში მცხოვრები ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე წერდა: „...მე ვიცი, რომ თრაკიელებიც, სკვითებიც, სპარსელებიც, ლიდიელებიც და თითქმის ყველა ბარბაროსები ყველაზე ნაკლებად სცემენ პატივს იმ მოქალაქეს, რომელიც ეწევა ხელით რაიმე შრომას, და ყველაზე მეტად აფასებენ

იმათ, ვინც თავისუფალია ასეთი შრომისაგან... ასეთია ყველა ბერძენის შეხედულებაც, განსაკუთრებით კი ლაკედემონელებისა“ (II, 167).

ცოტა უფრო გვიან მეორე ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე თავის „ეკონომიკა“-ში (IV,2) წერდა: „ხელით შრომა სამართლიანად არ სარგებლობს პატივისცემით, რადგანაც იგი ფიტავს იმათ სხეულს, ვინც მას ეწევა... ხოლო, როცა სიეული სუსტდება, მაშინ სულიც ჩქარა კარგავს მთელ თავის ენერგიას“-ო. „ხელით შრომა,—წერდა არისტოტელე,—არ სტოვებს დროს სახელმწიფოზე ზრუნვისათვის; იგი ხელს უშლის გონების თავისუფალ განვითარებასა და სრულყოფას“-ო.

არისტოტელეს მიხედვით, ვინც ფიზიკურ შრომას ეწევა, ის გონებრივად ბეჩავდება და ამიტომ იგი არც უნდა სარგებლობდეს მოქალაქის უფლებითო. „მოქალაქის წოდება,—წერს არისტოტელე,—არა ყველა თავისუფალ ადამიანს ეკუთვნის მხოლოდ იმიტომ, რომ ის თავისუფალია, ის ეკუთვნის მხოლოდ იმას, ვისაც თავი აქვს დახსნილი ყოველგვარი სამუშაოსაგან, რაც აუცილებელია საარსებო რჩენისათვის“ (არისტოტელე „პოლიტიკა“. III, 3).

არისტოტელეს გადმოცემით, მასზე ადრე ვინმე ფალეიმ შეადგინა კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ყველა ის, ვინც ფიზიკურ შრომას ეწეოდა, სახელმწიფო მონა უნდა ყოფილიყო.

საერთოდ, ძველ საბერძნეთში წარმოიშვა მთელი რიგი უტოპიური თეორიები და პროეკტები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ისეთი სახელმწიფოს მოწყობას, სადაც ფიზიკური შრომის ძირითადი სიმძიმე დაკისრებული ექნებოდათ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ მონებს. თითოეული მოქალაქე იმ გარემოების ძალით, რომ იგი, როგორც მოქალაქე, სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრი იყო, ამ სახელმწიფო მონების მიერ შექმნილი ფულადი ფონდიდან მიიღებდა ყოველდღიურად ფულს არსებობისათვის საჭირო პროდუქტების შესაძენად. ერთი სიტყვით, სახელმწიფოს ყოველი მოქალაქე სახელმწიფო მონების ექსპლოატაციით იცხოვრებდა.

ასეთი ხასიათის პროექტებიდან ყველაზე მეტად აღსანიშნავია ისტორიკოს ქსენოფონტეს (430—355 წწ) პროექტი, რომელსაც იგი გადმოგვცემს თავის თხზულებაში—„ქალაქ ათენის შემოსავალი“. ამ ნაწარმოებში ქსენოფონტე აყენებს წინადადებას,

რომ პირველად სახელმწიფომ იყიდოს 1200 მონა, რაც მისთვის სრულიადაც არ წარმოადგენს სიძნელეს. შემდეგ ამ მონების გაქირავებით—დღეში ერთ მონაზე ერთი ობოლის ($6^1/_2$ კაპიკის) ანგარიშით, 5—6 წლის განმავლობაში სახელმწიფოს იმდენი თანხა დაუგროვდება, რომ მას შეეძლება კიდევ იყიდოს ახალი მონები და მათი რიცხვი აიყვანოს ექვსი ათასამდე. ეს ექვსი ათასი მონა სახელმწიფოს მისცემს წლიურად 60 ტალანტ[1] შემოსავალს. ამ შემოსავლის ნაწილი სახელმწიფომ შეიძლება მოახმაროს რაიმე გადაუდებელ საჭიროებას, ნაწილით კი კვლავ უნდა განაგრძოს ახალი მონების შესყიდვა, ვიდრე მათ რიცხვს არ აიყვანს საჭირო რაოდენობამდე. ამის შემდეგ ამ მონების შემოსავალი გაიყოფა მოქალაქეთა შორის და თითოეული მათგანი ყოველდღიურად მიღებს იმდენს, რომ საშუალება ექნება მუქთად იცხოვროს სახელმწიფო მონების ამ შემოსავლითა და ექსპლოატაციით. „მე დარწმუნებული ვარ,—წერს ქსენოფონტე,—რომ თუ ქალაქი ამ საქმეს გააკეთებს ისე, როგორც მე ვურჩევ, მაშინ მას ექნება სახსარი ყველა ათენელი გამოკვებოს“.

აი როგორი იყო მაშინდელი იდეალი და როგორი სახელმწიფოს მოწყობის ძიებაში იყო ანტიკური გონება. ძველი ბერძენი არისტოკრატები აყენებდნენ პროექტებს, შეექმნათ ისეთი სახელმწიფო, რომელშიაც ყველა თავისუფალი მოქალაქე სახელმწიფო მონების ექსპლოატაციით იცხოვრებდა. ეს სახელმწიფო მონები კი კვლავ უნდა დარჩენილიყვნენ კანონს გარეშე. მათ კვლავ არავითარი ნატამალი ადამიანური და მოქალაქეობრივი უფლებისა არ უნდა ჰქონოდათ. მათი სიცოცხლის ერთადერთი მიზანი მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო, რომ გათენებიდან დაღამებამდე მძიმე და წელში გამწყვეტი ფიზიკური შრომით უზრუნველეყოთ სახელმწიფოს ყველა მოქალაქის მუქთი შენახვა და ცხოვრება.

ასეთი სახელმწიფოს მოწყობით თავისუფალი ადამიანი, ერთი მხრით, გაიჩენდა მუქთი ცხოვრების გარანტირებულ საშუალებას და, მეორე მხრით, თავს აარიდებდა ფიზიკურ შრომას, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, მაშინდელი შეხედულებით, თავისუფალი ადამიანისათვის ესოდენ სასირცხოდ და დამამცირებლად ითვლებოდა.

---

[1] ტალანტი (talentum) ბერძნული (ატიკური) წონისა (26, 2 კგ.) და ფულის (დაახლოებით 2000 ან. მეტი ოქროთი) ერთეული იყო.

რა უცნაურობად და ველურობად გვესახება მშრომელი ადამიანის ეს გათელვა და გაბიაბრუება დღეს—ოცდასამი საუკუნის შემდეგ სტალინის ეპოქასა და სტალინის ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც შრომა ღირსებისა და დიდების საქმე გახდა, სადაც მშრომელი ადამიანები არა მარტო მოქალაქენი არიან, არამედ სწორედ მათ ეკუთვნით მთელი სახელმწიფო ძალაუფლება, სადაც თვით დიდი სტალინის ხელით დაწერილი კონსტიტუციის მე-3 მუხლში პირდაპირ წერია, რომ „მთელი ძალაუფლება სსრ კავშირში ეკუთვნით ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით“, ხოლო მე-12 მუხლში ჩაწერილია, რომ „შრომა სსრ კავშირში წარმოადგენს შრომისუნარიანი თვითეული მოქალაქის მოვალეობას და ღირსების საქმეს პრინციპის მისედვით: „ვინც არ მუშაობს, ის ვერც სჭამს“.

ეი სად ჩანს ყველაზე რელიეფურად რადიკალური გარდატეხა მშრომელი ადამიანის მდგომარეობაში ძველად და ახლა—ჩვენს ქვეყანაში. ძველად ვინც შრომობდა, ის ათვალწუნებული, აბუჩად აგდებული და მუშა პირუტყვის მდგომარეობამდე დაქვეითებული იყო. ახლა კი შრომა გახდა ერთადერთი წყარო ადამიანის ღირსებისა, დიდებისა და პატივისცემისა. ძველად ვინც შრომობდა, არ სარგებლობდა მოქალაქეობის უფლებით, ახლა კი ვინც შრომობს, სწორედ მას ეკუთვნის სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება. ძველად ვინც არ მუშაობდა, ის სჭამდა და ვინც მუშაობდა, ის ვერ სჭამდა,—ახლა კი ვინც არ მუშაობს, ის ვერც სჭამს.

ეს სამართლიანი კანონი—თვით ჩვენი ცხოვრების მკერდზეა აღბეჭდილი და დაწერილი. ეს კანონი ჩვენი კონსტიტუციიდან კი არ გადავიდა ჩვენს ცხოვრებაში, არამედ თვით ჩვენს ცხოვრებაში, იგი უმალ შექმნა სტალინის გენიით ქვეყნის ხელმძღვანელობის წარმართვამ, ვიდრე იგივე გენია მოახდენდა მის ფიქსირებას კონსტიტუციაში. ამგვარად, ისტორიაში პირველად გამოჩენილი ეს დიდებული კანონი, კონსტიტუციაში გამოხატული ცხოვრების კანონია.

„...ახალი კონსტიტუციის პროექტი,—აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წელს,—წარმოადგენს განვლილი გზის შედეგს, უკვე მიღწეულ მონაპოვართა შედეგს. მაშასადამე,

იგი წარმოადგენს იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც საქმით უკვე მიღწეული და მოპოვებულია". შემდეგ ამხანაგი სტალინი დაასკვნის, რომ „ეს არის სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისებურება"-ო[1].

ჩვენ ეს პარალელები იმიტომ გავაკეთეთ, რომ მკითხველისათვის ნათელი წარმოდგენა მიგვეცა, თუ წინათ, საუკუნეთა სიღრმეში, სად იყო მშრომელი ადამიანი ჩაძირული და სად ამოსწია იგი ახლა სტალინის ეპოქამ და სტალინის გენიამ. წინათ ეს მშრომელი ადამიანი მონობის უფსკრულში ათრევდა თავის გაძაღლებულ წუთისოფელს და, როგორც ზემოთ (გვ. 148) ვნახეთ, ძაღლის როლის შემსრულებლადაც კი იყო გამოყენებული. ახლა ეს ადამიანი ქვეყნის ბატონ-პატრონია. ახლა შრომაში ყველაზე თავგამოდებულ მუშაკებს, ღირსებისა და პატივის სიმბოლოდ საკუთარ სამშობლოში ძეგლს უდგამენ. ჭეშმარიტად, ლენინის და სტალინის გენიით საბჭოთა ხალხმა ისტორია მთლიანად შემოაბრუნა და შრომას—ადამიანის კეთილდღეობის ამ ნამდვილ საძირკველს—დამსახურებისამებრ თავისი კუთვნილი ადგილი მოუნახა.

ქსენოფონტეს, არისტოტელეს და სხვათა მიერ ყურით მოთრეული „არგუმენტები", თითქოს ფიზიკური შრომა თავისთავად ადამიანს გონებრივად აბეჩავებდეს—ეს ისეთი თვითცხადი აბსურდია, რომ დროის დაკარგვაა მისი კრიტიკა და ანალიზი.

ნამდვილად, ძველად ფიზიკური შრომის ათვალწუნება და სასირცხვილო საქმედ მისი მიჩნევა აიხსნებოდა არა ქსენოფონტესა და არისტოტელეს ზემომოყვანილი უსუსური „არგუმენტებით", არამედ იმით, რომ მონათმფლობელთა კლასს ასეთი მტკიცებით უნდოდა თავი აერიდებინა ამ ფიზიკური შრომისათვის და მხოლოდ მონათა ხვედრად გამოეცხადებინა იგი.

მაგრამ ფიზიკური შრომის მხოლოდ მონათა ხვედრად გამოცხადება მაინც უსამართლობად რჩებოდა, თუ ეს მონები ისეთსავე ადამიანებად იქნებოდნენ მიჩნეული, როგორიც თავისუფალნი იყვნენ და, თუ არ „დამტკიცდებოდა" ამ მონების არასრულყოფილ, ანუ არასრულ ადამიანებად აღიარება. ამ საკითხის ამ უკანასკნელი გამოსავლით „გადაწყვეტას" შეაჭიდა მთელი თავისი უდიდესი ერუდიცია არისტოტელემ (384—322 წწ).

---

[1] ი. ბ. სტალინი, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, 1950 წ. გვ. 16—17.

არისტოტელე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ: 1. მონობა თვით ბუნების მიერ იყო წარმოქმნილი. 2. მონობა თვით მონებისათვის სასარგებლოც იყო და სამართლიანიც. 3. მონობა წარმოიქმნა ადამიანთა საზოგადოებასთან ერთად და დაიღუპებოდა მხოლოდ მასთან ერთად, ე. ი. მონობა მუდმივი და დროში თვით ადამიანთა საზოგადოების თანატოლი იყო.

თავის პირველ დებულებას არისტოტელემ მცდარი გზით ადვილად „გაართვა" თავი. არისტოტელეს მიხედვით, ბუნებას ვერც პასუხს მოვთხოვთ და ვერც ვუსაყვედურებთ, რომ მან შექმნა ცხოველთა მრავალფეროვანი სამეფო, რომელთაგან. სრულყოფის თვალსაზრისით, თითოეული სახეობა თავისი ფიზიკური ორგანიზმით და განვითარებით დაბლა ან მაღლა დგას ცხოველთა იერარქიის გრძელ კიბეზე.

სწორედ ამიტომ, არისტოტელეს აზრით, ჩვენ არც იმაზე გვეთქმის საყვედური, რომ ბუნებამ ადამიანთა ერთი ჯგუფი გონებრივად უფრო სრულყოფილი და განვითარებული გააჩინა, მეორე კი ნაკლებ სრულყოფილი და ნაკლებ განვითარებული. სრულყოფილნი და განვითარებულნი არიან ბერძნები, რომელთაც თავიანთი ამ გონებრივი სრულყოფიდან გამომდინარე უფლებით, უფლება აქვთ, ითელებოდნენ თავისუფლებად და ბატონობდნენ გონებრივად არასრულყოფილებზე. ეს არასრულყოფილნი კი, სწორედ თავიანთი არასრულყოფის გამო, უნდა იყვნენ სრულყოფილთა მიმართ დამორჩილებულის, ანუ მონობის მდგომარეობაში. ეს იმიტომ რომ, არისტოტელეს აზრით, ბუნების საყოველთაო კანონია, რომ არასრულყოფილი სრულყოფილს ემორჩილებოდეს. გონებრივად ეს არასრულყოფილი ხალხები კი ბარბაროსები არიანო. ბერძნები კი, როგორც ცნობილია, ბარბაროსებს უწოდებდნენ ყველა სხვა ხალხებს, გარდა ბერძნებისა.

ამგვარად, არისტოტელეს მიხედვით, ბერძნებს გარდა ყველა სხვა ხალხები, ე. ი. ბარბაროსები თვით ბუნების მიერ წარმოქმნილნი და განკუთვნილნი არიან მონობისათვის, რადგანაც, წერს არისტოტელე, „ბარბაროსი და მონა თავისი ბუნებით იგივეობრივი ცნებაა"-ო (იხ. „პოლიტიკა" 1.1).

„ბუნებამ მოაწყო ისე, რომ თავისუფალ ადამიანთა ფიზიკური ორგანიზაცია,—წერს არისტოტელე,—განსხვავებულია მონების ფი-

ზიკური ორგანიზაციისაგან: ამ უკანასკნელთა სხეული ძლიერი და ყარგისია აუცილებელი ფიზიკური შრომის შესრულებისათვის“ („პოლიტიკა“ 1,2). „როგორც არ უნდა იყოსო,—წერს იქვე არისტოტელე,—ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ერთი ნაწილი ადამიანებისა თავისი ბუნებით თავისუფალნი არიან, მეორენი—მონები“ (იქვე. 1,2).

ასეთია არისტოტელეს პირველი დებულების არგუმენტები. როგორც ვხედავთ, არისტოტელე აქ მონათმფლობელური საზოგადოების ორივე ძირითადი კლასის, თავისუფალთა (ე. ი. ამ შემთხვევაში არისტოტელეს მიხედვით ბერძნებისაგან შემდგარ მონათმფლობელთა) კლასის და მონების (ე. ი. არისტოტელეს მიხედვით ბარბაროსთაგან შემდგარ) კლასის წარმოქმნასაც ბუნებას ახვევს თავს. აქ არისტოტელეს მანუს კანონებისაგან არსებითად ის გარემოება ანსხვავებს, რომ მონათა და თავისუფალ ადამიანთა წარმოშობის მიზეზად მას ღმერთ ბრაჰმას მაგიერ ბუნება აქვს მიჩნეული.

თავის მეორე დებულებას, რომ მონობა თვით მონებისათვის სასარგებლოც არის და სამართლიანიცო, არისტოტელე „ამტკიცებს“ შემდეგი „არგუმენტით“: „ბატონობა და მორჩილება,—წერს იგი,—არამცთუ აუცილებელი ამბავია, არამედ სასარგებლოცაა. უკვე უშუალოდ, თვით დაბადების მომენტიდან, ზოგიერთი არსებანი იმ მიმართულებით განსხვავდებიან, რომ მათგან ერთნი როგორღაც წინასწარ განკუთვნილნი არიან მორჩილებისათვის, მეორენი კი—ბატონობისათვის“ (იქვე, 1,2). ბატონობა - მორჩილების ეს პრინციპი არისტოტელეს უნივერსალობამდე აჰყავს და აცხადებს მას ბუნების საყოველთაო კანონად, რომელსაც ემორჩილება ყველა საგანი სამყაროს ორგანული და არაორგანული სფეროდან. ეს ბატონობა და მორჩილება, არისტოტელეს აზრით, მით უფრო აუცილებელია ადამიანებში, რადგანაც „სადაც ერთი მხარე ბატონობს და მეორე კი მას ემორჩილება, მხოლოდ იქ შეიძლება ლაპარაკი რაიმე სახის მუშაობაზე“-ო. (იქვე, 1,2).

რომ მორჩილება, საერთოდ, კარგია თვით დამორჩილებულთათვისაც, ამის დამტკიცებას არისტოტელე ცდილობს შინაურ ცხოველთა მაგალითით. „შინაური ცხოველები თავისი ბუნებით,—წერს იგი,—მაღლა დგანან, ვიდრე გარეული ცხოველები, და ყველა შინაური

ცხოველისათვის უმჯობესია ადამიანისადმი მორჩილება, რადგანაც ამ შემთხვევაში მისი უშიშროება უზრუნველყოფილია“-ო (იქვე, 1,2). გარეული ცხოველები, იმის გამო, რომ ისინი შინაურ ცხოველებთან შედარებით უფრო დაბლა დგანან, ვერ ხვდებიან, ვერ იგებენ იმ სიკეთეს, რაც მოაქვს ცხოველებისათვის ადამიანისადმი მორჩილებას. ამიტომ ეს გარეული ცხოველები, არ ემორჩილებიან რა ადამიანებს, ე. ი. არ იჩენენ რა თვით დამორჩილების პრინციპიდან მათთვის გამომდინარე სარგებლიანობის გაგების უნარს, გარდაუვალად ვარდებიან უფრო მოუსვენარ და ცუდ საცხოვრებო პირობებში და ხშირად კიდევაც იღუპებიან ბუნების სტიქიასთან ბრძოლაში.

შინაური ცხოველები კი, რომელთაც, არისტოტელეს მიხედვით, ესმით ადამიანისადმი დამორჩილებიდან გამომდინარე ეს სარგებლიანობა, ემორჩილებიან კიდეც ადამიანს. მართალია, მათ ადამიანისათვის გარკვეული სარგებლიანობა მოაქვთ, მაგრამ თვით ამ ადამიანსაც მოაქვს მათთვის სამაგიერო სარგებლიანობა, რამდენადაც იგი ზრუნავს მათთვის ბინის მოწყობასა და საკვების დამზადებაზე. ეს შინაური ცხოველი რომ ადამიანს არ ემორჩილებოდეს, ეს გარემოება გააუარესებდა როგორც თვით ამ ცხოველის, ისე ადამიანის მდგომარეობასაც.

არისტოტელე შემდეგ ამტკიცებს, რომ მსგავს ურთიერთდამოკიდებულებაში არიან მონა და მისი ბატონი. მონა თვით ბუნების მიერ არასრულყოფილ ადამიანად არის დაბადებული. იგი ფლობს დიდ ფიზიკურ ენერგიას, როგორც ცხოველი, მაგრამ როგორც ადამიანი გონებრივად არასრულყოფილი და დაკნინებულია. თუმცა იგი გონებრივ სფეროშიაც მაღლა დგას ცხოველზე, მაგრამ დაბლა დგას ნამდვილ, სრულყოფილ ადამიანზე, ე. ი. ბატონზე.

სწორედ გონებრივი არასრულყოფის გამო, მონას სხვაგვარი ყოფა, თუ არა მონური, არ შეუძლია. მას არა აქვს განსჯის უნარი და ამის გამო არც დამოუკიდებელი არსებობის უნარი. ამიტომ თვით მონისათვის მონად ყოფნა სასარგებლოა, ვინაიდან არამონურ მდგომარეობაში იგი განწირული იქნება დასაღუპავად. ხოლო რადგან მონობაში ყოფნა მონებს დაღუპვისაგან იხსნის, ამიტომ მონებისათვის მონობა სამართლიანი არისო.

ამ გარემოებათა გამოო, დაასკვნის არისტოტელე, მონებისათვის „მონად ყოფნა სასარგებლოც არის და სამართლიანიც“-ო (1,2).

ერთი სიტყვით, არისტოტელეს მიხედვით, გამოდის, რომ მონები ბედნიერად უნდა თვლიდნენ თავს და მადლობასაც უცხადებდნენ თავიანთ პატრონებს, რომ მონები არიან და ბატონები და მბრძანებლები ჰყავთ. ჭეშმარიტად, დიდ უკუღმართ სოციალურ დასკვნებამდე მივიდა და რთული სოციოლოგიური პრობლემების გახსნაში დამარცხდა სხვა მხრივ და სხვა დარგებში საოცარი ძალით გამოჩენილი „არისტოტელეს ბრწყინვალე გენია“ (მარქსი).

ძველად, საერთოდ, მოდაში იყო შემოსული მტკიცება, რომ ექსპლოატატორი და ექსპლოატირებული ერთგვარი გაგებით ერთი და იმავე ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილებია. ასე იქცეოდა ჯერ კიდევ არისტოტელემდე რომაელი პატრიციაგრიპა. (იხ. გვ. 316—318) დემოკრიტე კი აცხადებდა—„მე ესარგებლობ მონებით, როგორც ჩემი ორგანიზმის ნაწილებით“-ო.

არისტოტელე კი წერს: „მონა წარმოადგენს ბატონის თავისებურ, ცოცხალ და მისი სხეულისაგან გამოყოფილ ნაწილს. ამიტომ მონასა და ბატონს შორის არსებობს ინტერესთა გარკვეული ერთიანობა და ურთიერთ მეგობრობა“-ო („პოლიტიკა“ 1,2). რა თქმა უნდა, არისტოტელეს ეს მტკიცება ვულგარულად არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი მონას ბატონის ორგანიზმის ისეთსავე უშუალო შემადგენელ ნაწილად განიხილავდეს, როგორც, მაგალითად, ფეხს, ხელს და სხვა. საკითხის ასე დაყენებით არისტოტელეს იმის თქმა უნდა, რომ ბატონსა და მონას შორის არ უნდა იყოს წინააღმდეგობა და მტრობა, როგორც ეს წინააღმდეგობა და მტრობა არ უნდა იყოს ერთი და იმავე ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილებს, ვთქვათ, თავსა და ფეხებს შორის, ან ხელებსა და თავს შორის. სწორედ იმიტომ, რომ ისინი „ერთი და იმავე ორგანიზმის“ მხოლოდ სხვადასხვა ნაწილები არიან, მათ შორის ინტერესთა გარკვეული ერთიანობა და მეგობრობაა, რადგანაც ის, რაც კარგია ერთისათვის, კარგია მეორესათვისაც და, პირიქით. აძავე დროს მონა მისი პატრონის სხეულის „ისეთი ნაწილია“, რომელმაც უნდა შეასრულოს ფიზიკური სამუშაო და რომლის მთელ ამ საქმიანობასაც მართავს არა საკუთარი, არამედ ბატონის სხეულის მხრებზე მოდგმული თავი.

ერთი სიტყვით, საკითხის ასეთ ასპექტში განხილვით არისტოტელეს უნდოდა დაემტკიცებინა მონასა და მის პატრონს შორის ინტერესთა ერთიანობის, მეგობრობისა და ჰარმონიის არსებობა. მაგრამ ამის დამტკიცება არა მარტო შეუძლებელი იყო, არამედ ის პირდაპირ სიბრმავეც იყო, რადგან ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე ბატონისა და მონის ურთიერთობაში სრულიად იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებდა, რის დამტკიცებასაც კალმით ამაოდ ცდილობდა დიდი ანტიკური ბრძენი.

არისტოტელეს მესამე დებულება—მონობა მარადის იქნებაო—„საბუთდებოდა" მისი ბეორე დებულებიდან გამომდინარე დასკვნებით. მართლაცდა, თუ მონებისათვის, როგორც არისტოტელე ამტკიცებდა, „მონად ყოფნა სასარგებლოც არის და სამართლიანიც", მაშინ მონობის ინსტიტუტის არსებობას არ შეიძლება რაიმე საფრთხე მუქრებოდეს თვით მონების მხრიდან. რატომ უნდა აჯანყდნენ ბონები მონობის წინააღმდეგ, როცა ეს მონობა მათთვის „სასარგებლოც არის და სამართლიანიც". მონობის არსებობით მით უფრო არ შეიძლება უკმაყოფილონი იყვნენ მონათმფლობელები. ამგვარად, არისტოტელეს აზრით, მონობის არსებობით კმაყოფილია ორივე მხარე, რომელთაც მონობის საკითხი ეხებათ—ერთ მხარეს, როგორც მონათმფლობელებს და მეორეს, როგორც მონებს.

უფრო მეტიც, სხვაგვარ ფორმაში ყოფნა, არისტოტელეს აზრით, ადამიანთა საზოგადოებას არც შეუძლია. იგი ან უნდა არსებობდეს, როგორც მონათმფლობელური საზოგადოება, ანდა საერთოდ არ უნდა არსებობდეს. მაგრამ რადგანაც ის უკვე არსებობს, მომავალშიაც მისი არსებობა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ როგორც მონათმფლობელური საზოგადოებისა.

არისტოტელე წერს, რომ როგორც ქალი და კაცი ერთდება მოდგმის გასაგრძელებლად და სხვა გზით არ შეიძლება ამის მიღწევა, „სწორედ ასევე ურთიერთგადარჩენის მიზნით, აუცილებელია წყვილადი გაერთიანება, თავის ბუნების ძალით მბრძანებელი არსებისა და თავისი ბუნების ძალით დამორჩილებული არსებისა. პირველს თავის ინტელექტუალურ თვისებათა წყალობით უნარი აქვს წინასწარხედვისა, და ამის გამო იგი უკვე თავისი ბუნებით არის გაბატონებული და მბრძანებელი არსება; მეორე, იმის გამო, რომ მას უნარი

აქვს თავისი ფიზიკური ძალით შეასრულოს მხოლოდ მიღებული დავალება, თავისი ბუნებით დამორჩილებული და მონური არსებაა. ამ მიმართებით ბატონსაც და მონასაც მათ ურთიერთ შეკავშირებაში ხელმძღვანელობს ინტერესთა ერთიანობა" („პოლიტიკა" 1,1. ხაზი ჩვენია—მ. ა.).

ამგვარად, არისტოტელეს მიხედვით, მონობა სასარგებლო და აუცილებელია მონებისათვისაც და მათი პატრონებისთვისაც. სწორედ ამიტომ არის მისი არსებობის მუდმივობა უზრუნველყოფილი და დაცული აფეთქების ყოველგვარი შესაძლებლობისაგან.

არისტოტელე უშვებს მონობის გაუქმებას მხოლოდ „შეუძლებელი შესაძლებლობის" დაშვების შემთხვევაში. „თითოეულ სამუშაო იარაღს რომ შეეძლოს,—ამბობს არისტოტელე, — სათანადო სამუშაო შეასრულოს სხვისი ბრძანებით ანდა თავისი ნებით, მსგავსად იმისა, როგორც დედალოსის ხელოვნების ქმნილებანი მოძრაობდნენ თავისით, ანდა როგორც ჰეფესტოს ზედადგარი თავისი ნებით იწყებდა სამღვთო სამსახურს, ამგვარად, საფეიქრო მაქო რომ თავისთავად ქსოვდეს, მაშინ არც ოსტატს დასჭირდებოდა თანაშეშწეები და არც ბატონს—მონები"[1].

ამგვარად, არისტოტელეს გაგებით, ბატონს მხოლოდ მაშინ აღარ დასჭირდება მონები, ე. ი. მხოლოდ მაშინ მოისპობა მონობა, თუ სამუშაო იარაღები თავისი ნებით ან ადამიანის ბრძანებით მოვლენ მოძრაობაში და შეასრულებენ მათთვის განკუთვნილ სათანადო სამუშაოს, თუ, მაგალითად, თოხი თავისი სურვილით ან ადამიანის ბრძანებით დაიწყებს თოხნას ან ბარი—ბარვას, თუ მონათმფლობელის პირადი მომსახურება, რასაც ახლა მონები ეწევიან, შემდეგ მხოლოდ ბრძანების გაცემით გაკეთდება და შესრულდებაო. და ა. შ.

მაგრამ არისტოტელემ კარგად იცოდა, რომ ასეთი მდგომარეობა მიუღწეველი იყო და რომ თოხნას მთოხნელი და ბარვას მბარველი უნდა. ხოლო მთოხნელი და მბარველი უნდა იყოს მონა, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, არისტოტელეს გაგებით, თვით ბუნების განაჩენით მოწოდებულია ასეთი ხასიათის ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად. ერთი სიტყვით, როგორც მარქსი

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ I. გვ. 358.

წერს: „...აზროვნების ისეთი ბუმბერაზი, როგორიც არისტოტელეა, სცდებოდა მონური შრომის შეფასებაში...“[1], როცა იგი მას მარადიულ კატეგორიად მიიჩნევდა.

არისტოტელეს უდიდესი გავლენა ჰქონდა მთელ შემდეგდროინდელ აზროვნებაზე და კულტურის ყველა დარგზე. ძველი კომედიური მწერალი კრატესი თავის ერთ თხზულებაში (ალბათ არისტოტელეს გავლენით) დასცინის იმ იდეას, რომ საგნები ბრძანებით მოვლენ მოძრაობაში და, ამგვარად, თავისი ნებით შეასრულებენ ნაბრძანებ საქმესა და გასწევენ ნაბოძანებ მომსახურებას.

კრატესის ამ თხზულებაში რეფორმატორი ამბობს: მოვა დრო, როცა „... არავის არ ეყოლება კუთვნილზე მეტი არც მონა და არც მონა ქალი“. „ეს როგორ,—ეკამათება მას მეორე,—მოხუცმაც თვითონ უნდა გაუწიოს თავის თავს მომსახურება?“ „სრულიადაც არა.—აგრძელებს სიტყვას რეფორმატორი,—მე ვაიძულებ ყველა საჭირო საგანს იმოძრაოს მასთან ყოველგვარი მიკარების გარეშე. ყოველი გემი თავისით მოახლოვდება, როდესაც მას დაუძახებენ. საჭირო იქნება მხოლოდ თქმა: მაგიდავ, დადექ ჩემს წინ! გაეწყე! ცომო, აიზილე! ჭიქავ, გაივსე! ჯამო, სადა ხარ შენ? კარგად გაირეცხე! ღვეზელა, მოდი აქ მაგიდაზე! ქოთანო, გამოიღე შენში მოთავსებული ცხოველთა შიგნეული! თევზო, მოცოცდი!—მაგრამ იტყვის ის, მე ჯერ კიდევ ორივე მხრიდან არ შევმწვარვარ,—კარგი, გადაბრუნდი, მიიყარე ქვეშ მარილი და ახლავე შეიწვი ცხიმში“.

როგორც ვხედავთ, ჯერ არისტოტელე და შემდეგ მისი გავლენით სხვა ძველი მწერლებიც მონობის მოსპობას მხოლოდ ისეთი ვითარებისათვის უშვებდნენ, რომელიც რეალურად არ შეიძლებოდა შექმნილიყო. შემდეგ კი აქედან აკეთებდნენ დასკვნას—რაკი ასეთი ვითარების შექმნა არ შეიძლება, ამიტომ არც მონობის მოსპობა შეიძლებაო.

ასეთია მოკლედ არისტოტელეს შეხედულება მონობის წარმოქმნაზე, მის სამართლიანობასა და მარადიულობაზე. ძველი ქვეყნების ამ უდიდესი მოაზროვნის სოციოლოგიურ მოძღვრებაში ყვე-

---

[1] იქვე, გვ. 46.

ლაზე ნათლად მოჩანს მთელი მისი იდეოლოგიური კრედოს კლასობრივი ხასიათი. მართლაცდა, როგორც ვნახეთ, არისტოტელე მთელი თავისი ენციკლოპედიური გენიით შეეცადა მონათმფლობელური საზოგადოების ძირითადი პრობლემების გადაწყვეტასა და დასაბუთებას თვით მონათმფლობელთა კლასის ინტერესების შესაბამისად.

ბუნების მიერ მონობის წარმოქმნის მტკიცება და ამავე დროს მისი სამართლიან და მარადიულ კატეგორიად აღიარება თავისთავად ნიშნავდა მონობის არსებობით უკმაყოფილო ყველა დაბალი ფენების და, პირველ რიგში, თვით მონების იდეოლოგიურ განიარაღებას, მათთვის დამბლის დაცემას. მართლაცდა, თუ მონობა ბუნებამ წარმოქმნა და ისიც, როგორც მარადიული კატეგორია, რა აზრი ჰქონდა მაშინ მის წინააღმდეგ ბრძოლას, როცა ამ ბრძოლით არ შეიძლებოდა არც მისი მოსპობა და არც მისი შეცვლა. გამოდიოდა, რომ ბუნების მიერ დაკანონებული მონობის წინააღმდეგ ბრძოლა ისეთივე უაზრობა იყო, როგორც იმავე ბუნების მიერ დაკანონებული დღე-ღამის მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა. ამავე დროს არისტოტელე მიუთითებს, რომ მონობის წინააღმდეგ ბრძოლა სხვა მხრივაც უკუნურებაა, რამდენადაც ეს მონობა ორივე მხარისათვის—მონათმფლობელებისთვისაც და მონებისთვისაც—სასარგებლოც არის და სამართლიანიც.

არისტოტელეს ამ თეორიის მთელი უბედურება ის იყო, რომ მას ფაქტები ახრჩობდნენ, და პერგამენტის ტყავზე კალმით „დასაბუთებული“ ამ თეორიის ნამდვილ დასაბუთებაზე თვით ცხოვრება უარს ამბობდა.

საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტებისაკენ ერთი გზა მიდის, შეცდომისაკენ კი—მრავალი. არისტოტელეს არა მარტო არ შეეძლო მის დროს დაღუპვისათვის ჯერ კიდევ მოუმწიფებელ მონათმფლობელურ ფორმაციაში ჭეშმარიტების ეს გზა ეპოვნა, არამედ არც მას და არც მის კლასს, არც ისტორიულად და არც ლოგიკურად ასეთი გზა არც აწყობდათ. ამ გზით წასვლისას დასაბუთდებოდა არა ის, რის დასაბუთებაც არისტოტელეს, რომელსაც სახლში 13 მონა უჯდა, და მის კლასს უნდოდა, არამედ სრულიად საწინააღმდეგო რამ.

არისტოტელე მონათმფლობელური ფორმაციის ძირითადი საკითხების გადაწყვეტისაკენ მცდარი გზით წავიდა და თავი ამოყო რთული სოციოლოგიური პრობლემების გადაუწყვეტავ ხლართში. მიუხედავად დიდი ერუდიციისა, მან ვერ შეძლო ამ ხლართიდან გამოსვლა და თავისი ამ თეორიის აშკარა წინააღმდეგობებისაგან განთავისუფლება.

მართლაც, ამ თეორიის ნიადაგზე დარჩენით, არც იხსნებოდა და არც მტკიცდებოდა მთელი რიგი პრინციპული მნიშვნელობის საკითხები. თავისი ძირითადი დებულების დასამტკიცებლად, რომ მონობა თვით ბუნებამ წარმოქმნა იმით, რომ, ერთი მხრით, შექმნა გონებრივად სრულყოფილი ადამიანები (ბერძნები), ხოლო მეორე მხრით, არასრულყოფილნი (ყველა სხვა ხალხები) და პირველთ მეორენი დაუმორჩილა მონებად. არისტოტელეს არავითარი ფაქტიური მასალა არ მოჰყავს (და არც შეეძლო მოეყვანა).

იგი ამ დებულებას იღებდა, როგორც თავისთავად ცხადსა და უტყუარს, რომელიც თითქოს თავისი ამ „სიცხადის" გამო არც საჭიროებდა დამტკიცებას. აქ არის არისტოტელეს ძირითადი შეცდომა და აქედან იღებენ სათავეს მონობის საკითხში მისი სხვა უკუღმართი დებულებებიც და დასკვნებიც.

არისტოტელეს ამ ძირითად დებულებას ანგრევდა მთელი ისტორიული წარსული, რადგანაც სწორედ მის მიერ ბარბაროსებად მიჩნეული ხალხები, რომელნიც თითქოს ბუნების მიერ გონებრივად არასრულყოფილად იყვნენ წარმოქმნილნი —ცივილიზაციის საჭესთან იდგნენ კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე. სწორედ არისტოტელეს მიერ ამ ბარბაროსებში მითვლილმა ხალხებმა—ეგვიპტელებმა, ბაბილონელებმა, ჩინელებმა, ინდოელებმა და ზოგიერთმა სხვებმა, დაუდეს სათავე მსოფლიო ისტორიას და სწორედ მათ შექმნეს ბერძნებზე ათეული საუკუნეებით ადრე იმ დროისათვის უმდიდრესი კულტურა. ხოლო ბერძნებმა არა მარტო ამ კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს, არამედ ბევრი რამ კიდევაც პირდაპირ გადმოიღეს მისგან.

ძველმა ეგვიპტელებმა შექმნეს უზარმაზარი პირამიდები და იეროგლიფური დამწერლობა. ჯერ კიდევ XXXV—XXX საუკუნეებში მათ ჯებირებში მოამწყვდიეს მსოფლიოს მეორე უდიდესი მდინარე ნილოსი და ირიგაციისათვის გამოიყენეს იგი. ეგვიპტელებმა იმ დროისათვის უდიდეს სიმაღლეზე აიყვანეს გეომეტრიისა და მედიცინის განვითარება.

ფინიკიელებმა პირველად გამოიგონეს ისტორიაში ანბანი. ბაბილონელებმა ძველი წელთაღრიცხვის XVIII საუკუნეში შექმნეს ცათამბჯენი ტაძრები და ჰამურაბის კოდექსი. ძველი ჩინელები და ინდოელები იმ დროისათვის უმდიდრესი კულტურის პატრონები იყვნენ.

ეს უტყუარი ისტორიული ფაქტები, რომლებიც არისტოტელესათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რომლებსაც იგი უგულებელყოფდა, თვითონ იკვრებოდნენ არისტოტელეს ამ უკუღმართ თეორიაში და შიგნიდან ბზარავდნენ და არღვევდნენ მას. გარდა ამისა, არისტოტელეს ეს თეორია შეიცავდა სხვა მრავალ შინაგან წინააღმდეგობასაც, რომელთა ახსნა ამ თეორიის ნიადაგზე სრულიად არ ხერხდებოდა.

მაგალითად, არ ხერხდებოდა იმის ახსნა, თუ რატომ იყო „ბატონობისა და მბრძანებლობისათვის“ მოწოდებული ბერძენი—მეორე ბერძენის მონა, ან „მონად დაბადებული“ ბარბაროსი ასევე „მონად დაბადებული“ მეორე ბარბაროსის მონა, ან „მბრძანებლობისათვის დაბადებული“ ბერძენი—„მონობისათვის დაბადებული“ ბარბაროსის მონა, როგორც ეს ხშირი მოვლენა იყო ძველ სპარსეთში, კართაგენში და სხვაგან, ანდა როგორ ხდებოდა, რომ ერთი და იგივე ადამიანი ხან მონა იყო, ხან კი მონის პატრონი და ა. შ.

წინააღმდეგობაზე აშენებული ამ არქირეაქციული თეორიის სისუსტეს თვითონვე გრძნობდა არისტოტელე. იგი ცდილობდა ეს წინააღმდეგობები თავისი თეორის ძირითადი კანონზომიერებიდან ერთგვარ გადახვევად მიეჩნია. მაგრამ ამ გზით ამ წინააღმდეგობათა „დაძლევას“ არისტოტელე მხოლოდ თეორიაში „ახერხებდა“. სინამდვილეში კი ეს წინააღმდეგობანი არა თუ იხსნებოდნენ, არამედ ისინი თვითონ ხსნიდნენ და აუქმებდნენ არისტოტელეს ამ თეორიის ძირითად საფუძვლებს.

არისტოტელეს ამ ზოგადი მოძღვრებიდან—მონებად ბარბაროსები უნდა იყვნენ, რადგან ისინი გონებრივი განვითარების მხრივ ბუნების მიერ არასრულყოფილად არიან წარმოშობილნი—უშუალოდ გამომდინარეობდა მისი სოციოლოგიური მოძღვრების შემდეგი ძირითადი თეზაც სამუშაო იარაღთან მონის დანათესაევებისა და გაიგივების შესახებ.

„ნიკომახის ეთიკაში“ არისტოტელე წერდა: „მონა სულიერი იარაღია, იარაღი კი—უსულო მონა“-ო. მონის ცნების ასეთი განმარტებით არისტოტელემ იგი ადამიანებს მოწყვიტა და ჩვეულებრივ სამუშაო იარაღთა რიგს მიაკუთვნა, რომელიც მათგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ იგი „სულიერი იარაღი“ იყო.

არისტოტელეს ეს შეხედულება შემდეგ უფრო მეტად განავითარეს მონათმფლობელთა იდეოლოგებმა რომის ბატონობის ეპოქაში. ცნობილი რომაელი ეკონომისტი ვარონი 37 წელს (ძვ. წ.) წერდა: „ახლა მე გეტყვით, რა და რა საშუალებით მუშავდება მიწა, ზოგიერთები ამ საშუალებებს ჰყოფენ ორ ჯგუფად: იარაღად და ადამიანებად, რომელთა გარეშეც არ შეიძლება დამუშავება. სხვები ჰყოფენ მათ სამ ნაწილად: მოლაპარაკე იარაღად, იარაღად, რომელიც გამოსცემს დაუნაწევრებელ ბგერას და მუნჯ იარაღად. მოლაპარაკე იარაღს მიეკუთვნებიან მონები, დაუნაწევრებელი ბგერის გამომცემთ—ხარები და მუნჯს—საზიდარი“.

მარქსი, ეხება რა სამუშაო იარაღების ასეთ დანაწილებას და მონის სამუშაო იარაღად მიჩნევას, წერს: „მაგრამ თვითონ მონაც აგრძნობინებს ცხოველსა და შრომის იარაღს, რომ იგი მათი მსგავსი კი არ არის, არამედ ადამიანია. ამ სულიერი განწყობილების მისაღწევად, რომ თვითონ მათვან განსხვავდება, იგი მათ ცუდად ეპყრობა და სიამოვნებით ანადგურებს. ამიტომ იმ წარმოების წესის პირობებში ეკონომიურ პრინციპად არის აღიარებული მეტად ტლანქი და მძიმე შრომის იარაღების ხმარება, ვინაიდან ამ სიტლანქისა და სიმძიმის გამო ეს იარაღები უფრო ძნელად გასაფუჭებელია“[1].

მონის სამუშაო იარაღად აღიარებიდან გამომდინარეობდა შემდეგ მონისადმი მოპყრობის ძთელი კოდექსი. პატრონს შეეძლო თავისი მონა მოეკლა, გაეყიდნა, დაესაჯა, ეწამებინა, აეძულებინა იგი, რომ ჩაედინა პირადი ღირსების შემლახველი მოქმედება და სხვ. ერთი სიტყვით, პატრონს უფლება ეძლეოდა მონას ისევე მოქცეოდა, როგორც თავის სხვა სამუშაო იარაღებს, რომელთა გატეხა, გაფუჭება თუ გადაგდება მას შეეძლო თავისი სურვილის მიხედვით, ვინაიდან მის საკუთრებაში მყოფი „სამუშაო ია-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. 156.

რაღისადმი“ მოპყრობის საკითხში იგი აბსოლუტური შეუვალობის (იმუნიტეტის) უფლებით სარგებლობდა.

მონისათვის ადამიანის სახელისა და ადამიანური „არსობის მოხსნა“ -და სამუშაო იარაღთა რიგში მისი გადარიცხვა მონათმფლობელს ხელ-ფეხს უხსნიდა და, ძველი გაგებით, მორალურ პასუხისმგებლობასაც ხსნიდა მონისადმი ყოველგვარი უდიერი და დამამცირებელი მოპყრობისათვის.

მაგრამ, ძველადვე წარმოიშვა შეხედულება, რომელიც მონებისადმი შედარებით რბილი მოპყრობის თვალსაზრისზე იდგა. ამ შეხედულების მომხრეთა მიხედვით, მონებისადმი ასეთი მოპყრობა სასარგებლო იყო თვით მონათმფლობელებისათვისაც, რადგანაც იგი მათ საშუალებას აძლევდა უფრო რაციონალურად გამოეყენებინათ მონური შრომა და უფრო მეტი ენერგია ამოეწოვათ მათგან. ეს შეხედულება თავის თეორიულ დასაბუთებას იქიდან იღებდა, რომ მონებს სრულმქნილ ადამიანებად აღიარებდა და მონობას სოციალურ კატეგორიად. ამ თვალიაზრისზე იდგნენ მაგალითად, ანტიკური ეპოქის ზოგიერთი ბერძენი და რომაელი მწერლები და ფილოსოფოსები.

XI. მოქნათა ემანსიპაციის საკითხი ანტიკურ ლიტერატურაში

ძველი ბერძენი და რომაელი მწერლებისა და ფილოსოფოსების ერთმა ნაწილმა ადრევე უარყო წინათ გაბატონებული მეხედულება, რომლის მიხედვითაც მონობა ღმერთის ან ბუნების მიერ იყო წარმოქმნილი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ არც ღმერთსა და არც ბუნებას არ წარმოუქმნია მონობა და ამიტომ მათთან მონობის წარმოქმნის დაკავშირება, შემცდარი და გაუმართლებელიაო. ბერძენი ფილოსოფოსი ალკიდამანტე ამ საკითხის შესახებ წერდა: „ღმერთებმა ყველა ჩვენ თავისუფლები გაგვაჩინესო". ასეთსავე აზრს გამოთქვამდა ზოგიერთი სხვა ფილოსოფოსი და მწერალიც.

შედარებითი უფრო ძლიერი იერიში განიცადა მეორე შეხედულებამ, რომელიც ბუნებას ახვევდა თავს მონობის წარმოქმნას. მეორე სოფისტი ფილოსოფოსი ანტიფონტე (479—411 წწ) თავის ტრაქტატში—„სამართლიანობის შესახებ" წერდა: „ბუნების მიერ ჩვენ ყველანი და ყველაფრით ერთნაირად ვართ მოწყობილნი—ბარბაროსებიც და ელინებიც... არც ერთი ბარბაროსი და არც ერთი ელინი[1] ჩვენგან არაფრით არ განირჩევა; ყველანი ვსუნთქავთ ჰაერს ცხვრით და პირით". ცნობილი ბერძენი დრამატურგი ევრიპიდე კი ამბობდა: „დეადამიწამ წარმოქმნა ყველა თავისი შვილი მისცა რა ყველას ერთნაირი შესახედაობა, მხოლოდ შემდეგ, ჟამთა ცვლაში, დაკანონების წყალობით წარმოიქმნა განსხვავება მაღალთა და დაბალთა შორის"-ო.

ამგვარად, ანტიფონტესა და ევრიპიდეს მტკიცებით, მონობის წარმოქმნის საქმეში ბუნება არაფერ შუაშია. ამიტომ, მათი

---

[1] ელინი, ე. ი. ბერძენი.

აზრით, მონობის წარმოშობის ასახსნელად ბუნების არგუმენტის მოტანა კი არ ხსნის მონობის წარმოშობის საკითხს, არამედ შეუძლებელს ხდის მის ასეთ ახსნას.

ევრიპიდეს აზრით, ბუნების მიერ თანასწორად გაჩენილ ადამიანებში შემდეგ, ჟამთა სვლაში, თვით ცხოვრების დაკანონებით შეიქმნა ეს განსხვავება. სწორედ ამიტომ წერს ევრიპიდე: „მონას არცხვენს მხოლოდ სახელწოდება, ყველა სხვა შემთხვევაში კი ეს კეთილშობილი მსახური არაფრით ჩამორჩება თავისუფალ ადამიანს", ამიტომ მონობა თავისთავად ბოროტებაა.

მეორე ბერძენი მწერალი ფილემონი წერდა: „ვინც მონად გახდა, ნუთუ იმის სხეული ისეთივე არ არის, როგორც ჩვენი? ბუნებას არავინ არ შეუქმნია მონად, ბედმა დაიმონა მისი სხეული". ერთი სიტყვით, ამ შეხედულების მომხრეთა აზრითო. წერს არისტოტელე, მონასა და თავისუფალ ადამიანს შორის ასეთი ბატონ-მორჩილებითი დამოკიდებულებისათვის არავითარი „ბუნებრივი განსხვავება არ არსებობს და მთელი ეს ურთიერთობა დამყარებულია არა სამართლიანობაზე არამედ ძალაზე".

ამგვარად, ცალკეულმა ბერძენმა მწერლებმა და ფილოსოფოსებმა საკმაო სიძლიერით მიიტანეს იერიში მონობის ღმერთის ან ბუნების მიერ წარმოქმნის არგუმენტებზე. მათ უარყვეს მონობის წარმოქმნისა და მისი სამართლიანად მიჩნევის შესახებ იმ დროს გაბატონებული შეხედულება. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მონობა ჟამთა სვლაში თვით ცხოვრების მიერ წარმოქმნილი და ძალაზე დამყარებული სოციალური მოვლენაა; მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ ვერ ახსნეს და არც შეეძლოთ აეხსნათ მონობის წარმოქმნის ნამდვილი მიზეზები.

მათი ხმა კი მონობის უსამართლობის შესახებ იკარგებოდა, როგორც ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. იგი არაფერს არ სცვლიდა და ვერც შესცვლიდა, რადგან მონობა თვით ცხოვრების აუცილებლობის ძალით იყო ნაშობი და მისი არსებობის ეს აუცილებლობა ჯერ კიდევ არ იყო გადასული მისი მოსპობის აუცილებლობაში.

შემდეგ, რომის ბატონობის ეპოქაში, მონური მეურნეობის ხვედრითი წონის ზრდასთან ერთად, მონობის არა ბუნებრიობისა და მისი უსამართლობის შესახებ უფრო მეტს წერდნენ. საინტე-

რესოა ის, რომ მონობის უსამართლობაზე ზოგჯერ სწორედ თვითონ მონათმფლობელები წერდნენ, რომელთაც შინ ხანდახან ათი და ასი მონა ჰყავდათ დაბმული.

ასეთი ყაიდის ადამიანები, რომელთა ქამელეონობაც ეჭვის ქვეშ აყენებდა მათ სინდისიერებას, პრაქტიკაში ნერგავდნენ იმას, რასაც თეორიაში უარყოფდნენ. ხშირად ისინი თეორიაში მონობას უსამართლობად აცხადებდნენ, პრაქტიკაში კი ეს დაჰყავდათ მხოლოდ ამ მონების მიმართ ერთგვარ ლმობიერ და უფრო გონივრულ მოპყრობამდე, რომ უფრო ეფექტიური და სარგებლიანი ყოფილიყო მათი ექსპლოატაცია და მათი ენერგიის ამოწოვა.

ამავე დროს ისინი ხშირად დამწუნარებელთა როლში გამოდიოდნენ იმის ქადაგებით, რომ მონობაშია მხოლოდ ადამიანის მეორეხარისხოვანი ნაწილი—ორგანიზმი, სხეული; ხოლო სული, რომელიც ძირითადი და მთავარია ადამიანურ არსებაში, მონობის გარეშე დგას, არც ხერხდება მისი დამონება და სწორედ ესაა მონა ადამიანის ნუგეშიო. ასეთი პაციფისტური და წინაქრისტიანული მიმდინარეობის ტიპიური წარმომადგენელია რომის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მონათმფლობელი, 30 მილიონი მანეთის ქონების პატრონი და ამავე დროს რომის ერთ-ერთი დიდი ფილოსოფოსი სენეკა.

სენეკამ მონებისადმი ლმობიერი მოპყრობის გონივრულობაზე უფრო მეტი დაწერა, ვიდრე პრინციპატის ეპოქის სხვა რომელიმე მოღვაწემ. მან გაიმეორა უკვე მანამდე წამოყენებული არგუმენტი ღმერთის ან ბუნების მიერ მონობის წარმოქმნის წინააღმდეგ. სენეკას ერთგვარი დამსახურება ამ შემთხვევაში არგუმენტების სიახლეში კი არ არის, არამედ იმაში, რომ მან ძველი არგუმენტები ახალი ტანსაცმლით შემოსა და მათ მეტი პათეტიკური ტონი და ძალა შესძინა. იგი ამტკიცებდა, რომ არავითარი ადამიანური თვისება მონებს არ აკლიათ, ისევე როგორც ეს თვისებები ჭარბად და მონებისაგან განმასხვავებლად არა აქვთ თავისუფალთო.

ლუცილიუსისადმი მიმართულ წერილში სენეკა წერდა: „ესენი მონებია? არა, ესენი ადამიანებია. ესენი მონებია? არა, ამხანაგები. ესენი მონებია? არა, მეგობრები დაბალი ფენებიდან... გახსოვდეს, რომ ის ვისაც შენ უწოდებ შენს მონას, წარმოიშვა იმავე მატერიისაგან, რომ-

ლისგანაც შენ წარმოიშვი, სტკბება იმავე ცით, სუნთქავს იმავე ჰაერით, ფლობს იმავე სიცოცხლეს და ელოდება იმავე სიკვდილს". ამიტომ, სენეკას აზრით, არ შეიძლება თავისუფალთა და მონათა შორის რაიმე ზღუდის აღმართვა და სრულქმნილების თვალსაზრისით ერთთათვის მეტი უპირატესობის მიცემა და მეორეთათვის ნაკლების. ასეთი განსხვავების შეტანა მონასა და თავისუფალს შორის მხოლოდ გონების ნამოქმედარი იქნება და არა თვით ცხოვრებისა და ბუნების წარმონაქმიო.

მონა ისეთივე კეთილგონიერია, როგორც თავისუფალი და მისთვის ყველაფერი ადამიანური ისევე არ არის უცხო, როგორც თავისუფალისათვის. „გზა სათნოებისაკენ,—წერს სენეკა,—არავისთვის არ არის გადაღობილი, ყველასათვის ღიაა, იგი ყველას უშვებს და ყველას იწვევს თავისთან: კეთილმობილებს, განთავისუფლებულ მონებს, მონებს, მეფეებს, გაძევებულთ; იგი ირჩევს არა სახლისა და ცენზის მიხედვით; მას სჭირდება მხოლოდ ადამიანი".

რაიმე განსხვავების შეტანა მონისა და თავისუფალი ადამიანის „სულში" სენეკას ისევე ხელოვნურად და დაუსაბუთებლად მიაჩნია, როგორც ამ განსხვავების ძებნა მათ ორგანიზმში, სხეულში. ამ განსხვავების დასამტკიცებლად მოტანილი არგუმენტები სენეკას მიაჩნია მხოლოდ გაუგებრობაზე აგებულ გარემოებად, რომელიც კი არ ამტკიცებს, არამედ უარყოფს იმას, რის დასამტკიცებლადაც მათ იმოწმებენ. სენეკა ამტკიცებს, რომ მონას აქვს ქველმოქმედებისა და სიკეთის, სათნოებისა და მადლის უნარი არა ნაკლები დოზით, ვიდრე თავისუფალს. სენეკას აზრით, მონას შეუძლია თავისი ნებით ისეთი სიკეთე მოიმოქმედოს, რომელსაც მას ვერც კანონი, ვერც ძალა და ვერც გარედან თავზე მოხვეული მოთხოვნა ვერ გააკეთებინებს. მონაში ამ სიკეთისა და ქველმოქმედების ჩათესილი უნარის გასაღები თვით უპყრია მონას ხელთ და მხოლოდ მის ნებაზეა დამოკიდებული მისი გამომჟღავნება და გამოყენება.

სენეკას ეს მტკიცება მონებში ქველმოქმედებისა და სიკეთის უნარის არსებობის შესახებ მიმართულია მის დროს მოდად შემოსული იმ გაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ადამიანის სრულქმნილება მდგომარეობს ქველმოქმედებისა და სიკეთის ისეთი, ზოგჯერ თავის თავისათვის საზიანო აქ-

ტების ჩადენაში, რასაც ადამიანი მხოლოდ თავისი სურვილით აკეთებს და რის გაკეთებასაც მას ქვეყნად არაფერი არ ავალდებულებს. ამ აზრის გაგება რომ მკითხველისათვის უფრო საგნობრივი და ამდენად უფრო გასაგები იყოს, ჩვენ ასეთ პრაქტიკულ მაგალითებს მოვიყვანთ ცხოვრებიდან.

შეიძლება ეს მაგალითები სრულად ვერ გამოხატავდეს გადმოსაცემი საკითხის შინაარსს, მაგრამ მათ შეუძლიათ კარიდან თუ არა, ფანჯრიდან მაინც ჩაგვახედონ აღებული საკითხის დედაარსში. ქველმოქმედებად და სიკეთედ ჩაითვლება, მაგალითად, ისეთი ქმედობა, როდესაც მგზავრი უცნობ ქვეყანაში შემთხვევით წააწყდება ხანძარს და პატრონს აღმოუჩენს დახმარებას მის ჩაქრობაში, ან როდესაც იგივე მგზავრი ადამიანს გადაარჩენს წყალში დახრჩობას და ა. შ. ამ ქველმოქმედებისა და სიკეთის ფორმები მრავალმხრივია და ყოველ ცალკე შემთხვევაში მას გამოვლინების თავისი კონკრეტული სახე აქვს.

ჩვენი მგზავრი თავისი ნებით კისოულობს ყველა ამ კეთილი აქტის ჩადენას და მისი შესრულების გამო არც იმჟამად და არც მოშავალში არ მოელის რაიმე ფორმით ანაზღაურებას და სამაგიერო დახმარებას. მან დაკარგა ენერგიაც და დროც, თავის საკუთარ სიცოცხლესაც საფრთხე შეუქმნა ცეცხლსა და წყალში. იგი არც ერთ ამ ორ შემთხვევაში არაფრისაგან და არავისგან ვალდებული არ იყო ეს მოემოქმედნა. მას შეეძლო არც დრო დაეკარგა, არც ხელები დაეწვა, არც წყლის სტიქიას შებრძოლებოდა, და არავის არ ეკნებოდა უფლება არა თუ პასუხი მოეთხოვა მისგან, არამედ თუნდაც გადაკრული საყვედური ეთქვა მისთვის. მან ეს გააკეთა მხოლოდ როგორც ქველმოქმედმა და კეთილმა ადამიანმა.

ძველად გავრცელებული შეხედულებით, რომლის წინააღმდეგაც სენეკა იყენებს თავისი ძლიერი გონების მთელ ძალასა და თავისი მხატვრული ფანტაზიის ყველა საღებავს, მონებს არ ჰქონდათ ქველმოქმედებისა და რაიმე კეთილი აქტების ჩადენის უნარი. მონა ვინმეს ბრძანებით შეიძლება წყალშიაც ჩავარდეს და ცეცხლშიაც, რომ უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანს მიეშველოს, მაგრამ იგი ამას არ გააკეთებს თვითდავალების შეგნებით, რადგანაც მონები ამაღლებული არ არიან ამ საერთო, არა სა-

ვალდებულო და აუნაზღაურებელი მადლის ჩადენამდეო. ძველების მტკიცებით, ამ აუნაზღაურებელი მადლის ნებაყოფლობით ჩადენა იყო ადამიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთ ძირითადი ნიშანი და რადგანაც სწორედ ეს ნიშანი აკლიათ მონებს, ისინი ადამიანებად არ ითვლებიან არც უნდა ჩაითვალონო.

სენეკას ეპოქამდეც ეს იყო ერთ-ერთი მთავარი „არგუმენტი" არისტოტელესი და შემდეგ ვარონისაც, როცა ისინი მონებს თვით ბუნების მიერ არასრულყოფილად წარმოქმნილ ადამიანებად თვლიდნენ და მათ სამუშაო იარაღთა კატეგორიაში აქცევდნენ. ახლა სენეკას ეპოქაში (1 საუკ. ახ. წ.) მონის ადამიანად მიჩნევის მოწინააღმდეგეებმა ეს „არგუმენტი" უფრო „გააძლიერეს" და უფრო მეტი ენერგიით დაიწყეს „მტკიცება"—მონაში სათნოებისა და ქველმოქმედების გრძნობა და შეგნება არ არსებობსო.

სწორედ ამ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ სენეკამ ძირითადი იერიში მორალის სფეროში გადაიტანა და ამტკიცებდა—ქველმოქმედების ეს გრძნობა და შეგნება მონებისათვის უცხო არ არისო. თანამედროვე მკითხველს საოცრებად უნდა მოეჩვენოს არა სენეკას ეს „ფუჭი" გარჯა, რომელიც ამტკიცებს იმას, რასაც, საერთოდ მტკიცება არ უნდა, არამედ თვით მაშინდელი ეპოქა, რომელიც სამტკიცებლად ხდიდა მონებში ჰუმანიზმისა და ქველმოქმედების ამ უმაღლესი ნორმების არსებობას და ამ საფუძველზე ართმევდა მათ ადამიანის სახელის ტარებისა და თვით ადამიანობის უფლებასაც.

არკვევს რა, რომ ადამიანის „სულში არსებული" სათნოებისა და ქველმოქმედებისაკენ მიმავალი გზა არავისთვის გადაღობილი არაა, სენეკა წერს: „ასეთი სული შეიძლება შეგვხვდეს როგორც რომაელ მხედარში,[1] ისე განთავისუფლებულ მონასა და მონაში. ვინაიდან რომაელი მხედარიც, განთავისუფლებული მონაც და მონაც—მხოლოდ ცარიელი სახელია, გამოგონებული პატივმოყვარეობით და უსამართლობით. ზეცაში მოხვედრა შეიძლება ყოველი ადგილიდან"-ო.

---

[1] მხედრობა რომში ერთ-ერთ უმაღლეს წოდებად ითვლებოდა, რომელსაც თვითონ სენეკაც ეკუთვნოდა.

სენეკას ეს მტკიცება, რომელიც მიზნად ისახავდა მონებისადმი, როგორც ადამიანებისადმი არაადამიანური მოპყრობის ერთგვარ შერბილებასა და შენელებას, თავისი ხასიათით, რა თქმა უნდა, დადებითი მოვლენა იყო. მაგრამ სენეკამ თავისი მოძღვრების ეს დადებითი მხარე იმით შებღალა, რომ ამ მოძღვრებაში, ამ დადებითი მომენტის პარალელურად, შეიტანა სხვა ნაკადიც, რომელიც უცილობლად რეაქციულ ხასიათს ატარებს და, საბოლოო ანგარიშით, დომინირებულ ადგილს იკავებს მის შეხედულებაში მონებზე.

ეს უარყოფითი ნაკადი სენეკას საერთო შეხედულებაში მონებზე მისი ფილოსოფიის ერთგვარი დუალისტური გაორებიდან ამოდის. სენეკას აზრით, ადამიანი შედგება სულისა და სხეულისაგან. ამავე დროს, ეს სული, სენეკას გააზრებით, უკვდავია, მაშინ, როდესაც დროებით მისი მატარებელი სხეული ამ თვისებას მოკლებულია.

საკითხის ანგარი დაყენებიდან მონობისა და მონების შესახებ სენეკას გამოჰყავს საგულისხმო, მაგრამ თავისი ხასიათით არქირეაქციული დასკვნა. მონობაში, სენეკას აზრით, ჩავარდნილია მონის სხეული, რადგან მისი დამონება ხელმისაწვდომი და შესაძლებელია ბატონისათვის. მაგრამ მონის სხეულში მოთავსებული სული არ არის და არც შეიძლება იყოს მონობაში, რადგან მისი დამონება ხელმიუწვდომელი და შეუძლებელია. „ის, ვინც ფიქრობს,—წერს სენეკა,—რომ მონობა ვრცელდება მთელ ადამიანზე, ცდება: მისი საუკეთესო ნაწილი თავისუფალია მონობისაგან. მხოლოდ სხეულია დამორჩილებული და ეკუთვნის ბატონს, სული კი თვით თავის თავის ბატონია... მხოლოდ სხეულის ბედია ბატონის ხელში, მას იგი ყიდულობს და ჰყიდის, ის კი, რაც ადამიანის შიგნით არის, ბატონს არ შეუძლია სავაჭრო მახინაციების შედეგად მისი მითვისება“.

ამავე დროს სენეკა ქადაგებს, რომ ადამიანს არ ძალუძს შეცვალოს ცხოვრება. ასეთ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი ის არის, რომ ადამიანი შეეგუოს მას და მამაცურად გადაიტანოს მისი უკეთესობა და ბედის მთელი სიმუხთლე. „ჩვენ,—ამბობს სენეკა,—არ შეგვიძლია შევცვალოთ ქვეყნის ურთიერთობანი. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთი: მოვიკრიფოთ უმაღლესი სიმამაცე ღირსი სათნო ადამიანისა და მისი დახმარებით შეურყეველად გადავიტანოთ ყველაფერი ის, რაც ჩვენთვის მოაქვს ბედს, და

მივეცეთ ბუნების კანონთა ნებას“-ო. სენეკას ეს ფილოსოფია პირდაპირ იავნანაა მონების საღათას ძილისა და მათი მორალური დამბლისათვის. ეს ფილოსოფია, მთელი სიგრძე-სიგანით იცავს მონათმფლობელთა კლასის ინტერესებს, რომელსაც თვითონაც ეკუთვნოდა ძველი რომის ეს როტშილდი.

მართლაცდა რა გამოდის სენეკას მთელი ამ ფილოსოფიური მზაკვრობიდან? იგი მონებს უქადაგებს: ნუ გეშინიათ ამ მონობის, დეე, თელოს და გვემოს თქვენი სხეული ბატონმა, თქვენს საუკეთესო ნაწილს—სულს ის ვერც მონად გაიხდის და ვერც ვერაფერს დააკლებს. თქვენს სხეულს გაყიდის და იყიდის თქვენი ბატონი, მაგრამ სული თავისუფალი დაგრჩებათ ყოველთვის. ამავე დროს, ისედაც შეწუხებულ თავს ნუ შეიწუხებთ არსებული მონათმფლობელური ურთიერთობის შეცვლის ცდით, ვინაიდან თქვენ ამას მაინც ვერ მიაღწევთ, რადგან ცხოვრების კანონების შეცვლა, საერთოდ, ადამიანებზე არაა დამოკიდებული. თქვენ გრჩებათ ერთადერთი გამოსავალი: მოიკრიფეთ ძალ-ღონე და უსიტყვოდ და უდრტვინველად გადაიტანეთ საკუთარი ბედის ყველა დარტყმა და შხამიო.

ამავე დროს სენეკა მონათმფლობელებს უქადაგებს: ნუ გაშინებთ მონების ადამიანებად აღიარება, ეს არ ნიშნავს მონობისაგან მათ განთავისუფლებას და არ გართმევთ თქვენ მათი ექსპლოატაციის უფლებას. ოღონდ მოეპყარით მათ ცოტა უფრო ლმობიერად; ეს პირველ რიგში თვით თქვენთვის არის ხელსაყრელი მათი ეფექტიური გამოყენებისა და მათგან უფრო მეტი სარგებლიანობის ამოწოვისათვისო. ამ უკანასკნელ შეხედულებას ჯერ კიდევ სენეკაზე ოთხი საუკუნით ადრე ქადაგებდა პლატონი. იგი წერდა, რომ მონათმფლობელთა მხრივ „მონებისადმი კარგი მოპყრობა საჭიროა არა მარტო მათი (ე. ი. მონების—მ. ა.), არამედ, და უფრო მეტად, თავიანთი ინტერესებისათვის“.

ასეთია სენეკას „ჰუმანიზმის“ ნამდვილი ძირი და აზრი. სენეკა შეეცადა მონათმფლობელური კაცთმოძულეობის იდეა კაცთმოყვარეობის სამოსელში გაეხვია და ამით ხელი შეეწყო მონათმფლობელური სისტემის სიმტკიცისა და ჰარმონიისათვის.

მაგრამ ამ მონათმფლობელურ სისტემაში სენეკას დროს უკვე ისახება კოლონატის სისტემა, ჩნდება პირველი სერიოზული

ნაპრალები. და სენეკას ეს ფილოსოფია, რა თქმა უნდა, უძლური იყო, არა თუ შეეკრა ეს ნაპრალები, არამედ თუხდაც ოდნავ ხელი შეეშალა უფსკრულში მათი გადაზრდისათვის. „ფილოსოფია.— წერდა სენეკა.—ზის საჭესთან და გადაჰყავს გემი საშიშ ტალღებზე. მის გარეშე არავინ არ შეიძლება იყოს მოსვენებული. ყოველ-საათობით ხდება განუსაზღვრელად მრავალი მოვლენა; ისინი საჭიროებენ რჩევას, რომელიც უნდა ჰკითხონ მას“.

მაგრამ ყველა ფილოსოფიას როდი აქვს ცხოვრების მიმართ მრჩეველისა და მესაჭის როლში გამოსვლის უნარი, როგორც ეს სენეკას ეგონა. თუ ცხოვრების კანონი ამბობს, რომ a მოვლენა შეუძლებელია b მოვლენა კი აუცილებელი, ხოლო ფილოსოფია შეეცდება შეუძლებელი a მოვლენა აუცილებელი გახადოს და აუცილებელი b მოვლენა შეუძლებელი, ასეთი ფილოსოფია იმსხვრევა და ნადგურდება თავის ამ უტოპიურ მიზანსწრაფვაში, ცხოვრება კი თავის გზით აგრძელებს სვლას. ასეთი იყო სენეკას ფილოსოფია. იგი ცდილობდა აუცილებლობის ძალით დასაღუპავად განწირული მონობის შეკეთებას და გადარჩენას. მაგრამ ცხოვრებას უკვე გამოტანილი ჰქონდა მონობის სისტემისათვის სასიკვდილო განაჩენი. ცხოვრების ეს განაჩენი არა თუ არ ემორჩილებოდა სენეკას ფილოსოფიის კასაციას, არამედ ცხოვრება, როგორც უმაღლესი ინსტანცია, თვითონ იღებდა საკასაციოდ თეორიაში გამოტანილ ყველა განაჩენს და ადებდა მას თავის ვეტოს თუ სანქციას, რომლის გაუქმებისთვისაც უკვე აღარავის აღარ ჰყოფნიდა არც ძალა და არც უფლება.

სენეკას „ჰუმანიზმი“, მისი მოძღვრება მონობაზე, მისი შეხედულება სიმდიდრის შეძულებაზე, თვით მისსავე თანამედროვეებში იწვევდა დავასა და წინააღმდეგობას, რადგან თავის პრაქტიკულ ყოველდღიურ ცხოვრებაში სენეკა სრულიად იმის საწინააღმდეგოდ იქცეოდა, რასაც ის თეორიაში ქადაგებდა. იანუსის ერთი თავით ნაქადაგარი ეწინააღმდეგებოდა იმავე იანუსის მეორე თავით ნამოქმედარს. „მე მეუბნებიან,—წერდა სენეკა,—რომ ჩემი ცხოვრება არ ეთანხმება ჩემს მოძღვრებას. ამას თავის დროს უსაყვედურებდნენ პლატონსაც, ეპიკურესაც და ძენონსაც. ყველა ფილოსოფოსები მოგვითხრობენ არა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ თვითონ, არამედ იმაზე, თუ როგორ არის საჭირო ცხოვრება. მე

ვლაპარაკობ სათნოებაზე და არა ჩემს თავზე და ვეწევი ბრძოლას მანკიერების წინააღმდეგ. მათ რიცხვში ჩემი საკუთარისაც. როცა შევძლებ, ვიცხოვრებ ისე, როგორც უნდა ცხოვრება. მე რომ ვცხოვრობდე ჩემი მოძღვრების სრული შესაბამისობით, ვინ იქნებოდა მაშინ ჩემზე ბედნიერი"-ო. შემდეგ სენეკა წერს: მე მისაყვედურებენ აგრეთვე, რომ ვქადაგებ სიმდიდრის შეძულებას, თვითონ კი ვაგროვებ მას. „ბრძენს არ უყვარს ქონება,—იძლევა პასუხს ამ ბრალდებაზე სენეკა,—მაგრამ მას უპირატესობას აძლევს სიღატაკის წინაშე; იგი აგროვებს ქონებას არა თავის სულში, არამედ თავის სახლში"-ო.

საერთოდ, თეორიისა და პრაქტიკის გათიშვა, ერთის თქმა და მეორის კეთება, თავისსავე თეორიაში იდიალურად დასახული გზისათვის თავის არიდება და პრაქტიკაში სელა თეორიაში დაწუნებული გზით—ყველა ეს ექსპლოატატორული კლასის და მისი იდეოლოგების დამახასიათებელია. სენეკაც ამ გზით მიდიოდა.

ენგელსი ახასიათებდა რა სენეკას და მის ეპოქას წერდა, რომ სენეკას ეპოქაში „ფილოსოფოსები ან უბრალო ფულის მშოვნელი სკოლის მასწავლებლები იყვნენ, ანდა მდიდარ მეტიჩარათა ხარჯზე მყოფი მასხარები. თუ რა გამოდიოდა მათგან, როდესაც მათი საქმეები კარგად მიდიოდა, ამის ნიმუშს სენეკა წარმოადგენს. ეს მოხუცი, სათნოებისა და მოთმინების მქადაგებელი, ნერონის სასახლის პირველი ინტრიგანი იყო. ასეთ მდგომარეობაში იგი. რასაკვირველია, ქვემძრომობას გვერდს ვერ აუხვევდა, ცდილობდა მიეღო საჩუქრები, ფული, ნივთები, მიწის ნაკვეთები, სასახლეები; ქადაგებდა სახარების ღარიბ ლაზარეს, ხოლო სინამდვილეში წარმოადგენდა ამავე იგავის მდიდარს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნერონმა დააპირა მისთვის ყელში ხელის მოქერა, მან სთხოვა იმპერატორს, უკანვე წაეღოთ მისგან ყველა საჩუქარი, ვინაიდან მას მისი ფილოსოფიაც ეყოფოდა"[1]. სენეკას ეს ფილოსოფია კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მონებისათვის მონობასთან შერიგების ქადაგებაში მდგომარეობდა.

---

[1] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, 1937 წ., გვ. 123.

მაგრამ მონათმფლობელურმა ეპოქამ და მისმა ფილოსოფიამ, თავისი დაღი დაასვა არა მარტო მაღალი წრეებიდან გამოსულ სენეკას მსგავს ფილოსოფოსებს, არამედ თვით მონა ფილოსოფოსებსაც. ამ უკანასკნელთაგან ყველაზე გამოჩენილებსაც კი შორეულ პერსპექტივაშიც არ ეახებოდათ არავითარი იმედი მონობის მოსპობისა. ამის შედეგად ისინი ფილოსოფიის ძირითად ამოცანასაც იმაში ხედავდნენ, რომ ექადაგნათ მონებისათვის მონობასთან შეგუებისა და შეწყობის წესებზე. ეს აზრი ყველაზე რელიეფურად არის მოცემული მონა ფილოსოფოსის ეპიქტეტის მოძღვრებაში.

ეპიქტეტი დაიბადა ახალი წელთაღრიცხვის ორმოცდაათიან წლებში ფრიგიაში. შემდეგ ახალგაზრდა ეპიქტეტი მონად იყო წაყვანილი რომში, სადაც იგი იმპერატორ ნერონის დამცველი ამალის ერთ-ერთ პირს ეკუთვნოდა. ეპიქტეტი, ისე როგორც სოკრატე, არასოდეს არაფერს არ წერდა თავის მოძღვრებაზე. ეპიქტეტის ფილოსოფიის კრედო გადმოგვცა მისმა მეგობარმა და თანამოაზრემ ფლავიუს არიანემ თავის თხზულებაში—„ეპიქტეტის სახელმძღვანელო“.

ეპიქტეტი ფატალისტია. მას სწამს, რომ არსებობს განგება, რომელიც შობს კანონს ცხოვრებისათვის და ბედს ყველა ცალკე ადამიანისათვის. ამიტომ ადამიანს არ ძალუძს არც ცხოვრების და არც საკუთარი ბედის შეცვლა. ასეთ ვითარებაში იგი ყურმოჭრილად უნდა დაემორჩილოს ყველაფერს, რაც მას თავზე აქვს მოხვეული. მან არა თუ წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოს ბედისაგან მოტანილ მისთვის არასასურველ ხვედრს, არამედ უბრალოდ არც უნდა იფიქროს ამაზე, რადგანაც, სულ ერთია, ეს უქმი ფიქრი და წინააღმდეგობა იქნება, რასაც იგი ტყუილად შეალევს დროსაც და ენერგიასაც, სასურველი მიზნისაკენ კი ერთი წერტილითაც წინ ვერ წაიწევს.

ბედი, ეპიქტეტის გაგებით, თვითონ შეუცვლის ადამიანს მდგომარეობას, თუ კი ეს თვით ამ ბედში იქნება განგების მიერ ნავარაუდევი. ბედს შეუძლია ადამიანი მონობიდან მეფედ გახადოს და მეფობიდან—მონად. ეს მისი უფლება და სურვილია. ადამიანი მხოლოდ მაშინ მიხვდება ამას, როდესაც ბედით განსაზღვრული მოვლენა განხორციელდება; ამიტომ ყველა ადამიანი კმაყოფილი უნდა იყოს თავისი ბედით. ერთს არ უნდა შურდეს მე-

ორის ბედნიერება, რადგან ბედნიერ ადამიანს ისევე არ შეუქმნია თავის თავისათვის ბედნიერება, როგორც უბედურს არ შეუქმნია თავისთვის უბედურება. ორივე მათ ეს ხვედრი განგებამ განუწესათ. აქ არც ბედნიერები და არც უბედურები თვითონ არაფერ შუაში არიან.

ეპიქტეტს ამით უკიდურესობამდე მიჰყავს სენეკას „მოთმინების“ ფილოსოფია. სენეკასა და ეპიქტეტის ფილოსოფიის დებულებებიდან ამოსულ მონათმფლობელს შეეძლო მონისათვის ეთქვა: თუ მე ყველაფრის მქონებელი ვარ და შენ არაფრის, თუ მე მონათმფლობელი ვარ და შენ მონა, თუ ჩემთვის ცხოვრება სამოთხეა და შენთვის ჯოჯოხეთი, რა ვუყოთ მერე, აქ მე არაფერ შუაში ვარ, ეს განგების ხვედრია. განგების განჩინებით მე ჩემს ბედს ვემორჩილები და შენ შენსას უნდა დაემორჩილოო. „მთავარია,— ამბობს ეპიქტეტი,—გქონდეს ჯანსაღი წარმოდგენა ღმერთების ყოფაზე და მათ მიერ ქვეყნიერების ბრძნულ მართვაზე. დაემორჩილე მათ, უდრტვინველად შეურიგდი ყველაფერს, რაც ხდება, მისდიე განგების ნებას“-ო.

მონა ეპიქტეტის ეს მონური ფილოსოფია, რომელშიც მთლიანად მონათმფლობელთა ინტერესებია გამოსახული, უფრო მკვეთრად ჩანს ეპიქტეტის შემდეგ მსჯელობაში. ეპიქტეტი თავის თანამოსაუბრეს მიმართავს: „წარმოიდგინე, რომ შენ ხარ მსახიობი და დრამაში უნდა შეასრულო პოეტის მიერ შენთვის დანიშნული როლი, დიდი იქნება ის თუ მცირე. თუ მისთვის ხელსაყრელია, რომ შენ განასახიერო მათხოვარი, შეეცადე, რომ ეს როლიც შეასრულო, როგორც წესია; იგივე შეეხება ყოველ სხვა როლსაც— კუტის, ხელმწიფის თუ ჩვეულებრივი მოქალაქის. შენი საქმეა, კარგად შეასრულო შენზე დაკისრებული როლი; როლის შერჩევა კი სხვისი საქმეა“-ო.

ამგვარად, ცხოვრებაში მონას მონის მოვალეობის შესრულება დაკისრებული აქვს განგების მიერ. მონა ვალდებულია შეასრულოს იგი, მისი საქმე არ არის ის, რომ თვითონ ითხოვოს ან სცადოს სხვა მოვალეობის შესრულება, თუ მას თვითონ განგება არ დააკისრებს ამას და, ამგვარად, ერთ მოვალეობას, ანუ, ეპიქტეტის ენაზე, ერთ როლს არ შეუცვლის მეორეთი.

სენეკასავით, ეპიქტეტიც ფიქრობს, რომ მონები მთლიანად დამონავებულნი არ არიან და, ამის გამო, არც მთლიანად უბე-

დურნი, რადგანაც სხეულის გაყიდვის და გვემის ან მძიმე მონურ მდგომარეობაში ყოფნის დროსაც მათი სული თავისუფალი და დაუმონავებელი რჩებაო. მონას შეუძლია, ამბობს ეპიქტეტი, მონათმფლობელს უთხრას: „წაიღეთ ჩემი სხეული, ჩემი ქონება, ჩემი ღირსება, ჩემი ოჯახი, მაგრამ ჩემს აზრსა და ჩემს ნებას ვერავინ წაძართმევს, არაფერს ძალუძს მათი დათრგუნვა“-ო.

სადამდე მივიდა მონების მდგომარეობა, რა ზომამდე იყვნენ ისინი გაყვლეფილნი, რომ მათი წრიდან გამოსული ფილოსოფოსი მონებს იმით ანუგეშებს, რომ მონათმფლობელმა რომ წაგართვათ და წაიღოს ყველა წასართმევი და წასაღები, მათ რიცხვში თქვენი საკუთარი სხეული და ღირსებაც, მაინც ნუ გეშინიათ, ყველაფერი არაა დაკარგული, თქვენ დაგრჩებათ საკუთარი აზრი და ნებისყოფა, რომელსაც მონათმფლობელი ვერ წაგართმევთ, რადგან თქვენს აზრსა და ნებისყოფას ვერ გამოყოფს თქვენი სხეულისაგან და ცალკე საგნად ვერ შეიტანს მათ თავისი ნაძარცვი ნივთების საწყობშიო. დეე, მონათმფლობელის მიერ მიტაცებული და მისაკუთრებული თქვენი სხეული გვემოს და ათრიოს მან. თქვენს ჰეშმარიტ და წაურთმეველ კუთვნილებას შეადგენს მხოლოდ თქვენს სხეულში „მოთავსებული“ აზრი და ნებისყოფა. მას კი სხეულის ტანჯვა და წამება ვერ მიაყენებს ზიანს, ამიტომ მონათმფლობელის მხრივ თქვენი სხეულისადმი ცუდი მოპყრობა ნუ გაშფოთებთ და ნუ გაღელვებთო.

საკითხის ამგვარად დაყენებიდან ეპიქტეტს გამოჰყავს დასკვნა, რომ მონამ თავის პატრონს არ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა უდიერ მოპყრობის გამო, რადგანაც ეს პატრონი მაინც წაიღებს მონისაგან ყველაფერს, რის წაღებაც შეიძლება და მოიხმარს ისე, როგორც მას უნდა, ხოლო რის წაღებაც მონათმფლობელს მონისაგან არ შეუძლია, იმას დაცვაც არ უნდაო. ერთი სიტყვით, ეპიქტეტის აზრით, ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობა და მოთმინება ყველაზე უფრო გონივრულ მოქმედებად არის მიჩნეული. „კინიკმა,[1] —ამბობს ეპიქტეტი,—უნდა დაანებოს, რომ მას სცემონ როგორც ვირს, და ცემის დროსაც კი უნდა უყვარდეს ის, ვინც მას სცემს“.

---

[1] კინიკი—ეწოდებოდა ფილოსოფიაში კინიკური (ძაღლური) სკოლის მიმდევარს. ამ სკოლის შეხედულებით, ტანჯვასა, ძაღლურ ყოფასა და გაჭირვებაში იყო სიამოვნება.

როგორც ცნობილია, თვითონ ეპიქტეტს აზარტში შესულმა მისმა პატრონმა „ხუმრობა-გართობის“ დროს ფეხი მოსტეხა. როცა ეპიქტეტი დარწმუნდა, რომ ეს „ხუმრობა“ საზღვარს გადასცდა და მისთვის იგი მძიმე ზიანის მიყენებით დამთავრდებოდა, მაშინაც კი საჭიროდ არ ჩათვალა, გადაკვრით მაინც ეგრძნობინებინა „ხუმრობაში“ თავდავიწყებული ბატონისათვის, რომ მას თავი შეეკავებინა. შემდეგ, როდესაც ეპიქტეტმა ფეხის მოტეხილობა იგრძნო, მან მშვიდად აუწყა მომხდარი ფაქტი თავის „ხუმარა“ პატრონს. ამგვარად, ეპიქტეტი თვითონვე ატარებდა პრაქტიკაში თავის მოთმინების ფილოსოფიას. ასეთია მოკლედ მონა ეპიქტეტის მონური სოციოლოგიის ძირითადი ხაზები.

სენეკასა და ეპიქტეტის მოთმინების ეს ფილოსოფია უაღრესად რეაქციულია. მეტი რა უნდოდათ მონათმფლობელებს, თუ კი მონები მათ უდიერ მოპყრობას მოითმენდნენ და უდრტვინველად აიტანდნენ. სენეკასა და ეპიქტეტის მოძღვრების უკუნეთში ნათელ წერტილად მოჩანს მხოლოდ მათი აზრი მონებისა და თავისუფალთა თანასწორობის შესახებ, თუმცა თანასწორობის ამ ფორმალური აღიარებიდან მათ, მონობის წინააღმდეგ მიმართული დასკვნების გამოტანის ნაცვლად, მონობასთან შერიგება და შეწყობა იქადაგეს.

შემდეგ ხანებში შეხედულება, რომ მონა ადამიანია, შედარებით უფრო მკვეთრ გამოხატულებას პოულობს რომის სამართალში. რომის იურისპრუდენციაში იქმნება ე. წ. „ბუნებრივი სამართლიანობის“ ცნება და იგი საფუძვლად ედება მონის ადამიანად აღიარების მტკიცებას. რომის გამოჩენილი იურისტი ულპიანე (ცხოვრობდა II—III საუკ.) წერდა: „ციივილური (სამოქალაქო—მ. ა.) სამართლის თვალსაზრისით, მონები არაფრად ითვლებიან, მაგრამ ეს ასე არ არის ბუნებრივი სამართლის მიხედვით, რადგანაც, ბუნებრივი სამართლის თვალსაზრისით, ყველა ადამიანი თანასწორია“-ო.

ამავე ეპოქის რომაელი იურისტის—ფლორენტინის შეხედულებით, მონობა არც ღმერთის გაჩენილია და არც ბუნების, ის სოციალური ცხოვრების პროდუქტია. „მონობა არის,—წერს ფლორენტინი,—ხალხთა უფლების დამკვიდრება, რომლის დახმარებითაც, ბუნების საწინააღმდეგოდ, ერთი ემორჩილება მეორის ძალას“. მაგრამ არც ულპიანე და ფლორენტინი და არც ანტიკური

ეპოქის სხვა რომელიმე მკვლევარი და მოაზროვნე არ მიჰყოლიან ბოლომდე მათ მიერ აღიარებული ფაქტის ლოგიკურ განვითარებას, არ გამოუტანიათ იქიდან პრაქტიკული ხასიათის დასკვნები და არ მოუთხოვნიათ მონობის მოსპობა და გაუქმება.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი ქრისტიანობას ყალბად მიაწერდა მონობის მოსპობის იდეის წამოყენებას და, მით უფრო, მონობის გაუქმებას. ასეთ თვალსაზრისზე იდგა, მაგ., ტრიფონ ჯაფარიძე, რომელიც მთლიანად იზიარებდა ვილემსის მიერ უფრო ადრე გამოთქმულ ასეთსავე შეხედულებას. ტ. ჯაფარიძე წერს: „სამართლიანად ამბობს ვილემსი, რომ „ქრისტიანობა ზნე-ჩვეულებაზე უფრო ძლიერ გავლენას ახდენდა, ვიდრე იმპერატორთა დიკრეტები, სახელდობრ, ამ მოძღვრების გავლენით მონობის სიმძიმე შერბილდა და მონობა თანდათანობით მოსპობილ იქნა დასავლეთში“[1]. აქ ერთდროულად ორი შეცდომაა დაშვებული. ჯერ ერთი, ქრისტიანობას არ წამოუყენებია მონობის გაუქმების მოთხოვნა და, მეორეც, მონობის მოსპობა მიეწერება არა ქრისტიანობის გავლენას (ასეთი შეხედულება სხვა რომ არა იყოს რა, მეტად გულუბრყვილოა), არამედ სულ სხვა მიზეზებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველად გაბატონებული შეხედულებით, მონობა მარადიულ მოვლენად მიაჩნდათ და ვერ წარმოედგინათ სხვაგვარი საზოგადოების არსებობა, თუ არა მონათმფლობელურისა, ამიტომ მათთვის უცხო იყო მონობის მოსპობის იდეა.

მართალია, ანტიკური ეპოქის ზოგიერთმა მწერალმა და ფილოსოფოსმა მონობის წარმომქმნელი მიზეზებიდან მოხსნა ღმერთისა და ბუნების არგუმენტი, მართალია, მათ მონობა ბუნების საწინააღმდეგო მოვლენად და სოციალურ კატეგორიად გამოაცხადეს, მართალია, მათ არ მოსწონდათ მონობა და გმობდნენ მას, მაგრამ ამავე დროს ისინი ამ მონობას მიიჩნევდნენ ისეთ ბოროტებად, რომელიც მუდმივად იქნებდაო. მონობის მუდმივ კატეგორიად აღიარება კი გამორიცხავდა ანტიკურ ეპოქაში მონათა ემანსიპაციის საკითხის პრაქტიკულ დაყენებას.

---

[1] Трифон Джапаридзе. Влияние христианства на положение рабов в римском государстве, Ставрополь, 1904 წ, გვ. 145.

„საკვირველია,—წერს ბუასე,—რომ ვერც ერთ ძველ მწერალთან ვერც შორეული იმედის, ვერც გადაკვრითი სურვილის და ვერც დაუჯერებელი ჰიპოთეზის სახით ჩვენ ვერ ვხვდებით იმ აზრს, რომ მონობა შეიძლება ოდესმე გაუქმდეს“.

თვითონ პლატონიც კი, რომელმაც თავისი იდეალური სახელმწიფო თავად წარმოგვიდგინა მონების გარეშე, შემდეგ დაწერილ „კანონებში“ იძულებული გახდა ელიარებინა მონობა სახელმწიფოს არსებობის პირობად. თეორიაში მარადიულად მიჩნეულ მონობის წარმავლობა აღმოაჩინა პრაქტიკამ. მონობის ამ წარმავლობის და მოსპობის ძირითადი მიზეზი კი მონური შრომის არარენტაბელურ შრომად გადაქცევა, მონათა რევოლუციები და აჯანყებები იყო.

XII. ძველ ძვეყნებში მონათა აჯანყებების ზოგადი მიმოხილვა

ბუნებრივია, რომ იმ მძიმე ეკონომიურ, უფლებრივ და მორალურ პირობებს, რომელშიაც მონები იმყოფებოდნენ, არ შეიძლებოდა არ გამოეწვია მათი სწრაფვა ამ ჯოჯოხეთურ პირობებისაგან თავის დასაღწევად. რა თქმა უნდა, მათ არ აკმაყოფილებდა და ვერც დააკმაყოფილებდა ვერავითარი ქადაგება იმის შესახებ, რომ მონობა ღმერთის თუ ბუნების გაჩენილია, რომ ის მუდმივად უნდა არსებობდეს, რომ მონები უნდა შეურიგდნენ თავის მონობას და რომ არავითარი სხვა გამოსავალი არ არსებობს.

მონები ცდილობდნენ პრაქტიკაში მოენახათ მონობისაგან თავ დასაღწევი გზა, რომელსაც მათ მოთმინების ეს მქადაგებლები წინასწარ უხშობდნენ თეორიაში. მონებისათვის პირველი ასეთი გზა, რომელსაც მათ ყველაზე ადრე მიაგნეს, იყო პატრონისაგან გაქცევა და სამშობლოში დაბრუნება, ხოლო თუ მონა სამშობლოში დაბრუნებას ვერ მოახერხებდა, ან თუ ის სამშობლოშივე მონობაში იყო, მაშინ—თავის შეფარება სხვასთან უფრო შელავათიან პირობებში, ან ფარულ ცხოვრებაზე გადასელა, ანდა უბრალოდ მეკობრეობითა და ყაჩაღობით თავის გატანა.

მონის გაქცევით მონათმფლობელი კარგავდა მუქთი ექსპლოატაციის ობიექტს და მონაში გადახდილ ფასს. ამიტომ მონათმფლობელები ყველა შესაძლებელ ღონისძიებას მიმართავდნენ, რომ აღეკვეთათ მონების გაქცევა. ასე მაგალითად, თუ კი მონისათვის დაკისრებულ სამუშაოს შესრულებას ხელს დიდად არ შეუშლიდა, მონათმფლობელი ამ მონას დაბმულს ან ბორკილ გაურილს ამუშავებდა. ეს არც თუ იშვიათი მოვლენა იყო ძველ კართაგენსა და რომში. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 2200 წლებში ძველ

ბაბილონში იყო შემთხვევები, როცა ურჩ მონებს თვალებს თხრიდნენ რომ თავიდან აეცილებინათ მათი გაქცევა, და შემდეგ ამ დაბრმავებულ მონებს შეურჩევდნენ ხოლმე ისეთ სამუშაოს, რომლის შესრულებაც მათ შეეძლოთ ასეთ მდგომარეობაში. ძველ ფინიკიაში კი გემებზე მენიჩბეებად მომუშავე მონები გალერაზე წელით იყვნენ მიბმულნი და ა. შ.

მეოცე საუკუნის ბაბილონში მონები ღამეს ათევდნენ ე. წ. „პატიმრის სახლში“, ხოლო შემდეგ რომსა და სიციდიაში—მიწისქვეშა გომურებში. ისინი დილით სამუშაოზე მიჰყავდათ და იქიდან საღამო ჟამს უკან ამ გომურებსა და „პატიმრის სახლებში“ მოჰყავდათ შეიარაღებულ ზედამხედველებს.

მონების გაქცევის წინააღმდეგ იყო მიმართული აგრეთვე როგორც ტრადიციულად მოქმედი, ისე წერილობით ფიქსირებული ძველი ქვეყნების კანონმდებლობაც, რომელიც მონათმფლობელთა ინტერესებს იცავდა მონათა ინტერესების საზიანოდ. ყველაზე ძველი კანონები—სუმერული კანონები, რომელიც მესამე ათას წლეულის დამლევს განეკუთვნება, გაქცეული მონის შემხიზვნელს აეალდებულებდა, უკან დაებრუნებინა ეს მონა ნამდვილი პატრონისათვის.

შემდეგში შექმნილი ჰამურაბის (1792—1750 ძვ. წ.) კანონები კი აწესებდა სასტიკ სასჯელს გაქცეული მონის და განსაკუთრებით კი მისი შემხიზვნელი და მიმსაკუთრებელი პირის მიმართ. ამ უკანასკნელისათვის ჰამურაბის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა. მონის შემხიზვნელსა და მიმსაკუთრებელს კანონი ასე სასტიკად იმიტომ სჯიდა, რომ ამით გაეძნელებინა მონების გაქცევა. რაც შეეხება თვით გაქცეულ და მერე შეპყრობილ მონას, მისი დასჯა ხშირ შემთხვევაში დამოკიდებული იყო თვით მის პატრონზე. პატრონს შეეძლო მას ისევე ნებისმიერად მოქცეოდა, როგორც მის საკუთრებაში მყოფ სხვა რომელსამე ნივთს. მას შეეძლო იგი მოეკლა, დაედაღა, ეცემნა, ეწამებინა ან, როგორც ეს შემდეგ რომში იყო, გაეყვანა ამფითეატრში მხეცების გასაგლეჯად, ანდა გლადიატორად გაეხადა.

გაქცეული მონების მონახვისა, შეპყრობისა და უკან დაბრუნების გასაადვილებლად დაწესებული იყო ჯილდოები. ასე მაგალითად, იმავე ჰამურაბის კანონთა კოდექსის მე-17 მუხლი ითვა-

ლისწინებდა გაქცეული მონის უკან მოყვანისათვის ჯილდოს სახით ორი სიკილა[1] ვერცხლის გაცემას. მსგავსი წესი არსებობდა შემდეგ ანტიკურ ეპოქაშიაც. ხშირად ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების ან ზავის დადების დროს შეჰქონდათ სპეციალური მუხლი, რომლითაც ხელშეკრულების ან ზავის ხელმომწერი მხარეები კისრულობდნენ ვალდებულებას, რომ ერთმანეთისათვის უკან დაებრუნებინათ მათ ქვეყანაში გაქცეული მეორე მხარის მონები. ასეთი მუხლი შეჭანილია, მაგალითად, ძველი წელთაღრიცხვის 421 წლის ათენისა და სპარტის სახელმწიფოთა შორის დადებულ ე. წ. ნიკიასის საზავო ხელშეკრულებაში. ზოგჯერ გაქცეულ მონათა ურთიერთ დაბრუნებაზე ხელშეკრულებას სდებდნენ ცალკეული ქალაქებიც.

ძველად აქა-იქ პრაქტიკაში შემოვიდა აგრეთვე სადაზღვევო სისტემის მსგავსი გარიგება, მონათა გაქცევის შემთხვევაში პატრონისათვის მონათა ფასის ანაზღაურების შესახებ. რა თქმა უნდა, მონათა პატრონს, რომელიც თავის მონებს აზღვევდა გაქცევის შემთხვევაში მათი ფასის ანაზღაურების მიზნით, წინასწარ უნდა გადაეხადა თითოეულ დაზღვეულ მონაზე გარკვეული თანხა. არისტოტელეს გადმოცემით, ასეთი სადაზღვევო სისტემის მსგავსი გარიგება შექმნა ალექსანდრე მაკედონელის ერთმა მოხელე ანტიმენმა.

ანტიმენს ალექსანდრესაგან დავალებული ჰქონია ბაბილონში მიმავალი გზების დაცვა. მას უსარგებლია ამ მდგომარეობით და მონათა პატრონებთან დაუდვია გარიგება, რომლის ძალითაც თითოეულ „დაზღვეულ“ მონაზე იგი მონათმფლობელთაგან წინასწარ იღებდა წელიწადში 8 დრახმას. ანტიმენს ვალდებულება უკისრია, რომ მონის გაქცევის შემთხვევაში მონის პატრონისათვის აენაზღაურებინა გაქცეული მონის ფასი. ანტიმენს იმ სატრაპებისათვის, რომელთა ტერიტორიაზედაც მისდამი მინდობილი გზა გადიოდა, დაუვალებია: მოძებნეთ და დაუბრუნეთ უკან მათ პატრონებს თქვენს სატრაპიებში მონათმფლობელთაგან გაქცეული მონები, ანდა გადაუხადეთ მათ ამ გაქცეული მონების ფასიო. ამ მახინაციებით ანტიმენს დიდძალი სიმდიდრე დაუგროვებია.

---

[1] სიკილა ბაბილონური ვერცხლის ფულის ერთეული იყო და წონით უდრიდა 8 გ. და 416 მგ.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ როგორც მონათა მეპატრონეების, ისე თვით მონათმფლობელური სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები მნიშვნელოვნად ზღუდავდნენ და აძნელებდნენ მონათა გაქცევას. მონათა მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ყველანი გაიქცეოდნენ და, ამგვარად, მოშლიდნენ თვით მონათმფლობელური ფორმაციის წარმოების წესს, რომ ამ გაქცევის წინააღმდეგ ესოდენ მკაცრი და ორგანიზებული ზომები არ ყოფილიყო დასახული.

მეორე და უფრო სერიოზულ გზას არსებული მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, მონები ხედავდნენ აჯანყების მოწყობაში. აჯანყების მოწყობა მოითხოვდა ორგანიზებულობას, მონათა წინასწარ ურთიერთ შეთანხმებას. საერთოდ, დიდად ორგანიზებული და მტკიცე დისციპლინითა და ერთიანი გეგმით შეკრული აჯანყების მოწყობას ვერც მიაღწიეს მონებმა თავიანთი კლასობრივი შეგნების ჩამორჩენილობისა და მტკიცე პარტიის უყოლობის გამო.

მაგრამ მონათა ეს შედარებით უორგანიზაციო აჯანყებები მაინც ადრევე ჩნდება ისტორიაში და ისინი თვით მონათმფლობელური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად თანდათან სულ უფრო მეტად იზრდებიან თავისი მასშტაბითაც და თავისი მნიშვნელობითაც. ეს აჯანყებები იყო მონათა კლასობრივი ბრძოლის უმაღლესი გამოხატულება.

ეგვიპტეში ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის XVIII საუკუნის შუა ხანებში ხდება ღარიბთა და მონათა ერთობლივი გამოსვლით დიდი აჯანყება. აჯანყებულებს დროებით ხელთ უგდიათ ძალაუფლება და მოუხდენიათ მდიდართა ქონების განაწილება. ამ აჯანყების შესახებ ჩვენამდე მოღწეულ წყაროში („იპუვერის თქმანი") პირდაპირ წერია, რომ „მონები მონათა მფლობელნი შეიქნენ", „მეფე შეპყრობილია ღარიბი ხალხის მიერ", „ეგვიპტის მარცვლეული საყოველთაო კუთვნილება გახდა", „ის, ვისაც თავისი ქონება არ ჰქონდა, ახლა სიმდიდრის პატრონი შეიქნა", „მდიდრული ტანსაცმლის მფლობელი კი ახლა ძონძებშია გახვეული" და სხვ. ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს შეინარჩუნეს აჯანყებულებმა ძალაუფლება, მაგრამ იმის ვარაუდი კი შეიძლება, რომ მათი ეს ზეიმი არც ისე დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ მონათა აჯანყებების შესახებ მეტად ცოტას წერდნენ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მემატიანეები, მიუხედავად ამისა, წყაროებში მაინც ყრუდ ისმის და ხშირად სხვა საკითხებთან დაკავშირებით მოცემულია ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები მონათა ამ აჯანყებების შესახებ.

ყველა ამ ცნობის აქ მოყვანა ჩვენს მიზანს არ შეადგენს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მონათა აჯანყებები თან დაჰყვა მონათმფლობელურ ფორმაციას და მათ მეტ-ნაკლები სიძლიერით ადგილი ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის უკლებლივ ყველა ქვეყნის ისტორიაში. ისინი პერიოდულად თავს იჩენდნენ ხოლმე ხან ერთ და ხან მეორე ადგილას ამ ქვეყნების მთელი ისტორიის მანძილზე.

ზოგჯერ ამ აჯანყებებს მეტად მძაფრი ხასიათი ჰქონდათ. ასე მაგალითად, პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ფინიკიის ქალაქ ტვიროსში მომხდარი ერთ-ერთი აჯანყების დროს აჯანყებულ მონებს ხელთ უგდიათ ძალაუფლება, ქალაქის ყველა მოზრდილი თავისუფალი მამაკაცი სიკვდილით დაუსჯიათ და მათი ქონება, ცოლები და ბავშვები ერთმანეთს შორის გაუნაწილებიათ.

ძველ საბერძნეთსა და რომში მომხდარი მონათა აჯანყებების შესახებ ცნობები შედარებით მეტია, თუმცა საკმაო სისრულით ეს ცნობები ვერც ამ ქვეყნების მონათა აჯანყებებს აშუქებენ. ეს იმით აიხსნება, რომ მაშინდელი ისტორიკოსები გამოსული იყვნენ მონათმფლობელთა წრიდან და ანტიპათიურად იყვნენ განწყობილნი მონებისა და მონათა აჯანყებების მიმართ. ამიტომ ისინი ამ აჯანყებებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და ნაკლებ ადგილს უთმობდნენ თავიანთ თხზულებებში. ამას ზედ ერთვის ის გარემოებაც, რომ ამ ისტორიკოსთა ზოგიერთმა თხზულებამ ჩვენამდე ვერ მოაღწია და, ამგვარად, დაიკარგა მათში მოცემული ეს მკრთალი ცნობებიც.

რომში უფრო მეტად იყო განვითარებული მონათმფლობელური მეურნეობა. მონების რიცხვიც მეტი იყო აქ დაგროვილი, ვიდრე საბერძნეთში. ამიტომ მონათა აჯანყებები რომში უფრო ხშირი იყო და თავისი მასშტაბით უფრო გრანდიოზული. რომის

ისტორიაში ამ მონათა აჯანყებებს ადრევე უნდა ჰქონოდათ ადგილი, მაგრამ ჩვენამდე შემოინახა ცნობები უფრო გვიანდელი შეთქმულებებისა და აჯანყებების შესახებ.

ძველი წელთაღრიცხვის 419 წელს რომში რამდენსამე მონას მოუწყვია შეთქმულება. მათი მიზანი ყოფილა ქალაქისათვის ერთდროულად რამდენიმე მხრიდან ცეცხლის წაკიდება, ქალაქის ცენტრისა და სიმაგრეების ხელში ჩაგდება, რომში მყოფი სხვა მონების ჩაბმა აჯანყებაში, მონათმფლობელების ამოხოცვა, მათი სიმდიდრის ხელში ჩაგდება და ურთიერთშორის განაწილება. მაგრამ, როგორც ისტორიკოს დიონისე ჰალიკარნასელის ცნობებიდან ჩანს, ეს შეთქმულება გაუცია ზოგიერთ მის მონაწილე მონას, შეთქმულნი შეუპყრიათ და ჯვარზე გაუკრავთ.

199 წ. (ძვ. წ.) რომის ახლოს, სეტიაში კელავ მოეწყო მონათა შეთქმულება. სეტიაში ცხოვრობდნენ კართაგენელი მძევლები, რომელნიც II პუნიკურ ომში კართაგენის დამარცხების დროს დადებული ზავის ძალით იყვნენ წაყვანილნი რომის მიერ. კართაგენელ მძევლებს სეტიაში თან ჰყავდათ მოსამსახურეებად მონებისაგან შემდგარი მთელი ამალა. სწორად ამ მონებში ჩასახულა პირველად შეთქმულების იდეა. მალე შეთქმულებაში ჩაუბამთ ადგილობრივი (სეტიაში მყოფი) და აგრეთვე ქალაქ ნორბასა და ცირცეაში მცხოვრები მონები.

გეგმის თანახმად, შეთქმულებს აჯანყება უნდა დაეწყოთ და ძალაუფლება ხელთ ეგდოთ სეტიაში იმ დროს, როცა იქ მოსახლეობა გართული იქნებოდა საზოგადოებრივი დღესასწაულებით და ასპარეზობა-თამაშით. სეტიიდან აჯანყების ტალღა უნდა გადაეტანათ ჯერ ქ. ნორბაში და შემდეგ იტალიის სხვა ქალაქებში. გამარჯვების შემთხვევაში შეთქმულთა მიზანი იგივე იყო, რაც 419 წლის შეთქმულებისა—მდიდართა ამოხოცვა და მათი ქონების განაწილება. მაგრამ ამ მიზანს მათ ვერ მიაღწიეს, რადგანაც შეთქმულების მონაწილე ორმა მონამ ისინი გასცა. რომაელები სასტიკად გაუსწორდნენ სეტიის მონებს, ორი ათასამდე მონა სიკვდილით დასაჯეს. შეთქმულების გამცემ მონებს კი თავისუფლება მიანიჭეს და თითოს ათი ათასი სპილენძის ასსი[1] მისცეს ჯილდოდ.

---

[1]. ასსი იყო სპილენძის რომაული ფულის ერთეული და წონით უდრიდა 327,45 გრამს.

სეტიის მონათა ერთმა ნაწილმა მოახერხა ქ. პრენესტში გაქცევა და იქ აჯანყების მოწყობა, მაგრამ რომაელებმა ეს აჯანყებაც ჩაახშეს და 500 მონა სიკვდილით დასაჯეს, თანაც გააძლიერეს ზედამხედველობა კართაგენელ მძევლებზე, რომელნიც რომაელებს აჯანყების წამქეზებლებად მიაჩნდათ.

196 წელს მონებმა აჯანყება დაიწყეს ეტრურიაში. რომაელებმა მთელი ლეგიონი გაგზავნეს მათ წინააღმდეგ. აჯანყება ჩაქრეს და აჯანყებულთ სასტიკად გაუსწორდნენ. „დიდი იყო მოკლულთა რიცხვი,—წერს ძველი რომაელი ისტორიკოსი ტიტ ლივიუსი,—და არა ნაკლები ტყვედ შეპყრობილთა. აჯანყების წინამძღოლები აწამეს და შემდეგ ჯვარზე აცვეს, დანარჩენები კი თავიანთ ბატონებს დაუბრუნესო“. რა თქმა უნდა ამ ბატონებმა თავის მხრივ, არა ერთსა და ორ მონას მოაცილეს თავი მხრეებიდან.

XIII. სიცილიის მონათა პირველი და მეორე აჯანყება

მონათა უფრო დიდი მასშტაბის აჯანყებები, რომელთაც ერთ ხანს შეარყიეს რომის სახელმწიფოს საფუძვლები, მოხდა მეორე საუკუნის (ძვ. წ.) ბეორე ნახევარში კუნძულ სიცილიაზე. კუნძული სიცილია რომის სახელმწიფოს ყველაზე მთავარ სასოფლო-სამეურნეო რაიონს წარმოადგენდა, სადაც მონური შრომა თავისი კლასიკური მონათმფლობელური ფორმით დიდი მასშტაბით იყო გამოყენებული. რომაელებმა კუნძული სიცილია კართაგენელებს წაართვეს ჯერ კიდევ 241 წლის ზავით. აქედან დაწყებული, რომაული „კაპიტალი" მტკიცედ იკიდებს ფეხს სიცილიის სოფლის მეურნეობაში.

მას შემდეგ კი რაც, 146 წელს ძველი წელთაღრიცხვით, რომაელებმა გადაწვეს ქ. კართაგენი, აღგავეს იგი პირისაგან მიწისა და მისი სახით თავიდან მოიცილეს ყველაზე ძლიერი მეტოქე ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში, კუნძულ სიცილიის ბედ-ილბალი მთლად მათ ჩაიგდეს ხელში. რომაელებმა მიიტაცეს კუნძულის საუკეთესო ადგილები, შექმნეს იქ მსხვილი ლატიფუნდიური მეურნეობანი, რომლებსაც მონების შრომით ამუშავებდნენ. რომაელი ეკონომისტის კატონის თქმით, სიცილია რომის მთავარი ბეღელი გახდა.

რომაელი მემამულეები დიდძალ მოგებას იღებდნენ სიცილიიდან, რადგანაც მათ მიწებიც ადვილად და იაფად იშოვეს იქ და ამ მიწების დამმუშავებელი მონებიც. სიცილიაში შექმნილ ამ უზარმაზარ ლატიფუნდიურ მეურნეობებში რომაელებმა თავი მოუყარეს ასეულ ათასობით მონებს, რომელთაგან ზოგიერთ მემამულეს ათასობით მონა ეკუთვნოდა.

მონები მეტად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. მათ ხშირად შებორკილთ გარიჟრაჟიდან დაბინდებამდე ამუშავებდნენ უწყვეტლივ მთელი წლის განმავლობაში, მაშინ, როდესაც მუშა საქონელს უქმე და სადღესასწაულო დღეებში ასვენებდნენ. ამ ქანცგამომლევი შრომის დროს მონებს არც საკმაო საკვებსა და არც საჭირო ტანსაცმელს არ აძლევდნენ. ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი წერს: „ბატონები მათ ტვირთავდნენ სამუშაოთი და ძალიან ნაკლებად ზრუნავდნენ მათ კვებასა და ტანსაცმელზე“.

იგივე დიოდორე აღნიშნავს, რომ სიცილიაში „თითოეული მსხვილი მიწათმფლობელი ყიდულობდა მიწის დასამუშავებლად მონათა მთელ ბუდობას. ზოგს ბორკილს უყრიდნენ, ზოგს მძიმე სამუშაოებით ქანცავდნენ და ყველას კი დამღას ადებდნენ სხვის დასანახად. ამიტომ მონათა ასეთმა რაოდენობამ დაფარა მთელი სიცილია. ამის გამგონეთ არ სჯეროდათ ეს და მონების რიცხვს გადაჭარბებულად თვლიდნენ. ის სიცილიელები, რომელთაც დიდძალი სიმდიდრე შეიძინეს, იტალიელებს ეჯიბრებოდნენ ქედმაღლობასა, სიხარბეში და მონათა მიმართ სიძულვილში“.

ამ მონათმფლობელთა შორის, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მონათა მხრით სიძულვილის დამსახურებაში, ყველაზე თავხედი იყო სიცილიის უმსხვილესი მონათმფლობელი დემოფილე. დიოდორე მის შესახებ წერს: „ჰენაში ცხოვრობდა ვინმე დემოფილე, მეტად მდიდარი და ყოყოჩა კაცი. იგი განსაკუთრებული ულმობლობით ექცეოდა მონებს, მისი ცოლი მეგალიდაც არ ჩამორჩებოდა ქმარს მონების მიმართ სიმკაცრესა და უადამიანობაში. ჩაგვრითა და ულმობელობით უკიდურეს საზღვრამდე მისულმა მონებმა მოილაპარაკეს, რომ აჯანყებულიყვნენ და ამოეხოცათ ბატონები“.

საერთოდ, დემოფილე მეტად მკაცრი და განუსჯელი კაცი ყოფილა. იგი თურმე ყოველდღე სულ მცირე დანაშაულისა და საბაბის გამო აწამებდა და სცემდა მონებს. აჯანყების უშუალო მიზეზად ის გარემოება გამხდარა, რომ ერთხელ დემოფილესთან ტანსაცმლის სათხოვნელად მისულა რამდენიმე მისი მონა. დემოფილეს მონების მხრივ ასეთი გამბედაობა თავხედობად მიუჩნევია და მისი განკარგულებით ისინი ბოძზე მიუკრავთ, უწამებიათ და შემდეგ ხელცარიელნი უკანვე გაუსტუმრებიათ.

დემოფილეს ასეთ ველურ მოქცევას, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მონები აჯანყების იდეამდე მიუყვანია. მათ თავიანთი ხვაშიადი გაუმჟღავნებიათ ქ. ჰენაში მცხოვრებ ვინმე ანტიგენესის მონა ევნასათვის. ევნა საინტერესო თავგადასავლის და ბიოგრაფიის პატრონია. იგი ცხოვრებამ თავისუფალი ადამიანიდან მონად აქცია, ხოლო შემდეგ მონის მდგომარეობიდან მონების მეფედ გახადა და ბოლოს სული ამოხდა მორგანტინის საპყრობილეში, სადაც იგი ტილებს შეაჭამეს. ევნა წარმოშობით სირიელი იყო, ქ. აპამეიდან. სიცილიის ქ. ჰენაში ის შინამოსამსახურე მონად მოხვდა ზემოაღნიშნულ ანტიგენესთან. ევნამ მჭერმეტყველობის, მასხრობისა და შეგუების უნარი გამოიჩინა. შემდეგ მან ხელი მიჰყო წინასწარმეტყველებას, რომლის დროსაც სხვების შეუმჩნევლად კაკლის ნაჭუჭში გახვეულ ნაკვერჩხალს იდებდა პირში და შემდეგ შებერვით ანთხევდა ალსა და ნაპერწკალს პირიდან.

ევნა საქვეყნოდ აცხადებდა, და ამას არც თავის პატრონს უმალავდა, რომ მას სიზმარში ღმერთებისაგან მიღებული დარიგების მიხედვით, შეუძლია ადამიანებს უწინასწარმეტყველოს მომავალი. დიოდორე წერს, რომ „მისი ნაბოდვარიდან ზოგჯერ ზოგი რამ ამხდარა კიდეც“-ო.

საკუთარ თავზე ევნა ამბობდა—სირიელთა ქალღმერთის მითითებით მე მეფე გავხდებიო. ამ წინასწარმეტყველებამ ევნას სახელი პოპულარული გახადა ჰენაში და მის გადაღმა მხარეშიც.

რა თქმა უნდა, მის პატრონებს არა სჯეროდათ ევნას ამ ლაყბობისა და ხშირად მიჰყავდა იგი სუფრაზე სტუმრების გასართობად. იქ სიცილ-ხარხარში სტუმრების შეკითხვაზე, თუ როგორ მოექცეოდა მათ ევნა, როცა მეფე გახდებოდა, ევნა მათ კარგად მოპყრობას ჰპირდებოდა. ისინიც „მადლობის“ ნიშნად სუფრიდან გემრიელ ნაჭრებს აწვდიდნენ მას. ასე ატარებდა მასხრობა-გართობაში ევნა თავის წუთისოფელს, ვიდრე შემთხვევამ მართლაც მოულოდნელად და ყველას განსაცვიფრებლად მეფის კვერთხი ხელთ არ მისცა.

დემოფილეს ზემოხსენებულ მონებს ევნამ მოუწონა აჯანყების განზრახვა. უფრო მეტიც, რჩევა-დარიგებისათვის მასთან მისულ მონებს ევნამ განუცხადა, რომ ღმერთების ნება-სურვილით მათ

დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მოქმედება ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. მალე ქალაქგარეთ შეიკრიბა 400 შეიარაღებული მონა, რომელნიც „წინასწარმეტყველ“ ევნას ხელმძღვანელობით შეიპრნენ ქ. ჰენაში. აჯანყებულებს ქალაქში მყოფი თითქმის ყველა მონა მიემხრო. ისინი ხოცავდნენ თავიანთ პატრონებს და უერთდებოდნენ აჯანყებულთა საერთო ტალღას.

მონებში დიდი ხნის მანძილზე უკანონო მოქცევით, წამებით, აბეჩად აგდებით, მათი ღირსების ფეხქვეშ გათელვით, მათი უდანაშაულოდ დაღვრილი ცრემლითა და სისხლით დაგუბებულმა შურისძიების მორღვმა უცბად გადმოხეთქა. ისინი, რომელთაც აქამდე საკუთარი თავი და სიცოცხლეც არ ეკუთვნოდათ, უცბად სხვისი სიცოცხლისა და ბედ-იღბლის განმკარგულებელნი გახდნენ. მათ წინაშე დაისახა საკუთარი კისრიდან მონობის უღლის მოშორების შესაძლებლობა. ამიტომ ამ გაქანებაში და თავისუფალი ცხოვრების მირაჟში მათ ზოგჯერ უძნელდებოდათ საკუთარი რისხვის საზღვრების დადგენა, რის გამოც ჩვილი ბავშვებიც კი ამოწყვიტეს.

„შეიპრნენ რა სახლებში,—წერს დიოდორე,—მონებმა ხელი მიჰყვეს მასობრივ მკვლელობას, არ ინდობდნენ თვით ძუძუთა ბავშვებსაც: მათ გლეჯდნენ დედების მკერდიდან და მიწაზე ანარცხებდნენ. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი ქალი იყო გაუპატიურებული მათი ქმრების თვალწინ“-ო.

გაგზავნილმა მონებმა ქალაქის გარეუბნიდან მალე მოიყვანეს გაბაწრული დემოფილე და მისი ცოლი მეგალიდა. მონებმა ქალაქის თეატრში კრება მოაწყეს, სადაც უნდა გადაეწყვიტათ დემოფილეს ბედი. მელა დემოფილე თავდასაცავ სიტყვაში ცდილობდა, თავი ემართლებინა და დაპირებებით შეენარჩუნებინა სიცოცხლე. მაგრამ მას მოულოდნელად მონა ჰერმიოსმა მახვილი ჩასცა გვერდში, მონა ზევსკინემ კი ცულით კისერი მოსჭრა. მეგალიდა მის ყოფილ მონა ქალებს გადასცეს დასასჯელად, რომელთაც თავიანთი ავი ქალბატონი კლდეზე გადაჩეხეს.

საინტერესოა, რომ მრისხანების აბობოქრების ამ მომენტში, როდესაც მონები ბავშვებსაც კი არ ინდობდნენ, მათ მაინც გაახსენდათ დემოფილეს ქალიშვილის კეთილი ხასიათი, რომელიც წინათ მონებს თავაზიანად ეექცეოდა და ხშირად მისი მშობლების

მიერ ნაცემსა და დასჯილებს თანაგრძნობასა და ზოგჯერ დახმარებასაც უწევდა.

ამ სიკეთის გახსენების გამო, წერს ისტორიკოსი დიოდორე, მონებიდან „არა თუ ვერავინ გაბედა ხელი ეხლო ახალგაზრდა ქალისათვის, არამედ მათ ხელუხლებლად დაიცვეს მისი სიქალწულე ყოველგვარი შეურაცხყოფისაგან. აჯანყებულმა მონებმა თავიანთ შორის ამოირჩიეს საიმედო ადამიანები, რომელთაგან ყველაზე სანდო ჰერმიოსი იყო. მათ წაიყვანეს ქალიშვილი კატანაში და ჩააბარეს ნათესავებს“.

გამარჯვებული მონების მხრივ ყოფილი ბატონის ქალიშვილისადმი ასეთი გულისხმიერი მოპყრობის გამო დიოდორე შენიშნავს: „აქედან ჩანს, რომ ყველაფერი ის, რაც მონებმა ჩაიდინეს თავიანთ ბატონთა მიმართ, არ იყო შედეგი მათი ბუნების სიმკაცრისა, არამედ წარმოადგენდა მათთვის წინათ მიყენებული შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს მიზღვას“.

მალე ევნა მონებმა მეფედ აირჩიეს. მან სახელად ანტიოქე (სირიის მეფის სახელი) შეირქვა. ცოლად შეირთო და დედოფლად გამოაცხადა ერთი სირიელი მონა ქალი. ევნამ დაიდგა სამეფო გვირგვინი, დაიწყო მდიდრულად ცხოვრება, გაიჩინა საკუთარი ამალა და შემოიღო მეფისა და სამეფო კარისათვის დამახასიათებელი ყველა ცერემონიალი. ერთი სიტყვით, ევნა, რომელმაც აქამდე მონობის შხამით სავსე ფიალა ბოლომდე დასცალა, რომელიც სხვის გასირთობად სუფრაზე მასხარად გამოჰყავდათ და რომელსაც მოლაქუცე ოთხფეხის მსგავსად მოწყალების სახით ხანდახან ნასუფრალს მიუგდებდნენ ხოლმე, ახლა, მეფედ გახდომისას შეეცადა, სიტკბოების ფიალაც ბოლომდე შეესვა, ვიდრე მას თავზე მეფობის მზე დანათოდა და ვიდრე მის ცაზე ჯერ კიდევ არ შეყრილიყო მონათმფლობელთა მიერ შურისძიებისათვის რომიდან აშლილი შავი ღრუბლები. ევნას ამ მდგომარეობის გამოსახატავად რუსთაველი ალბათ გაიმეორებდა თავის სიტყვებს:

„საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების:
ზოგჯერ ბზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების“.

და ევნაც ეჩქარებოდა საწუთროს, ვიდრე ცის ეს „მოქუხება“ მას თავიდან მოჰგლეჯდა მეფობის გვირგვინს.

თავისი ყოფილი ბატონები ანტიგენესი და პითონი ევნამ საკუთარი ხელით დასაჯა სიკვდილით. მისი განკარგულებით სიკვდილით დაისაჯნენ ქ. ჰენას სხვა მონათმფლობელებიც. სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ მხოლოდ იმათ, ვინც იარაღის მკეთებლად გამოდგებოდა. ევნამ სიკვდილით არ დასაჯა აგრეთვე ანტიგენესის სტუჭრები, რომელთაც ის წინათვე „შეჰპირდა“ ხსნას.

ევნამ შექმნა საბჭო, რომლის წევრებსაც ის თვითონვე ნიშნავდა. ამ საბჭოს წევრად დანიშნა მან ბერძენი მონა აქეიოსი და ჩაასახლა იგი მისი ყოფილი პატრონის მდიდრულად გაწყობილ სასახლეში. ევნა ხანდახან იწვევდა აჯანყებული მონების სახალხო კრებასაც. ერთი სიტყვით, ევნამ ჩამოაყალიბა იმდროინდელი მონათმფლობელური ტიპის სახელმწიფო, სადაც წინანდელ მონათმფლობელებსა და მონებს ახლა როლები ჰქონდათ შეცვლილი. ასე დაიბადა მონათა „ახალი სირიის სამეფო“ რომის სახელმწიფოს შუაგულში.

აჯანყებული მონები, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდნენ, რომ მათ წინ ჰქონდათ გადასახდელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები რომის რეგულარულ არმიასთან და რომ ამ ბრძოლების შედეგებზე იყო დამოკიდებული—გაგრძელდებოდა მათი ეს ზეიმი, თუ ისინი რომაელთა სასტიკი შურისძიების მსხვერპლნი გახდებოდნენ. აქ სხვა გამოსავალი უკვე აღარ იყო, აქ ბრძოლა სწყვეტდა სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხს.

მონებმა იცოდნენ, რომ გამარჯვებულებს არ სჯიან და, თუ ისინი ამ გამარჯვებას შეინარჩუნებდნენ, მაშინ არავის წინაშე ანგარიშვალდებულნი არ იქნებოდნენ. მაგრამ თუ დამარცხდებოდნენ, მათ სასტიკი წამებით სიკვდილი მოელოდათ. რომაელების თვალში ისინი ამ სასჯელს იმსახურებდნენ, თუნდაც მარტო იმის გამო, რომ აჯანყების დაწყება გაბედეს. სწორედ ამ გარემოების შეგნებაც ხელს უწყობდა მათ გაშმაგებასა და სიმკაცრეს.

მონებმა თავიდანვე კურსი აიღეს თავიანთი სამხედრო ძალების გაზრდასა და გაძლიერებაზე. ცოცხალი ძალის მხრივ ისინი ნაკლებობას არ განიცდიდნენ, რადგანაც ჰენაში დაწყებულ მონათა აჯანყების ხმა მალე მოედო მთელ სიცილიას და კუნძულის ყოველი კუთხიდან ათასობით მონა გარბოდა მათთან შესაერთებ-

ლად. კუნძულის ზოგიერთ ნაწილში კი ადგილზევე გაჩნდა აჯანყების კერები.

მთავარი საზრუნავი იყო აჯანყებული მონების იარაღით აღჭურვა. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა ევნას მიერ საბჭოს წევრად დანიშნულმა ბერძენმა მონა აქეიოსმა, რომელმაც სულ მოკლე ხანში შესძლო 10.000 მონის შეიარაღება ცულებით, ნამგლებით, შამფურებით, შურდულებით, კეტებით და სხვა.

რომაელებმა თავი მოუყარეს რამდენიმე ათას ჯარისკაცს. მაგრამ რომის ეს არმია, რომელსაც პრეტორი პოპილიუს ლენა სარდლობდა, ევნასა და აქეიოსის შეიარაღებულმა მონებმა დაამარცხეს. ამის შემდეგ ევნას არმიამ დაამარცხა პრეტორ ლუციუს ჰიპსეის 8000 ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმიც. რომის არმიის ძირითადი ძალები ამ დროს ესპანეთში იბრძოდნენ პარტიზანების წინააღმდეგ და თვით სიცილიაში რომაელებს არ გააჩნდათ საკმაო ძალები აჯანყებულ მონებთან გენერალური ბრძოლისათვის. რომაელები დიდი ძალების გადმოსროლას აგვიანებდნენ. ეს კი ხელს უწყობდა აჯანყების გაშლასა და გაფართოებას.

მალე სამხრეთ-დასავლეთ სიცილიის ქალაქ აგრიგენტუმში გაჩნდა მონათა აჯანყების მეოთხე დიდი კერა კილიკიელი მონის კლეონის ხელმძღვანელობით. რომაელების იმედი, რომ კლეონის ეს არმია და ევნას ჯარები ერთმანეთს შეჯახებოდნენ, ერთმანეთს დაასუსტებდნენ და ამით ობიექტურად რომაელებს გაუადვილებდნენ მათზე გამარჯვებას, არ გამართლდა. კლეონმა თავისი 70.000 არმია გადასცა ევნას განკარგულებაში, თვითონ კი ევნასა და აქეიოსის საერთო მთავარსარდლობით იკისრა 5000 კაცისაგან შემდგარი რაზმის უფროსობა.

ჰენასა და აგრიგენტუმის გარდა, სიცილიის ქალაქები—ტავრომენი, კატანა, მესენა და სხვები აჯანყებულთა ხელში გადაიდა. მალე აჯანყებულ მონათა არმიამ 200.000 კაცს მიაღწია, რომელთაგან 20.000 მაინც კარგად იყო შეიარაღებული. „ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა მონათა ისეთი აჯანყება, როგორმაც სიცილიაში იფეთქა“. წერს დიოდორე.

134 წ. რომის სენატმა კონსული ფულვიუს ფლაკი გაგზავნა ჯარებით ევნას წინააღმდეგ. მაგრამ ფლაკმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია. მაშინ სენატმა სიცილიაში გაგზავნა იმავე წელს

მეორე კონსული ლ. კალპურნი პიზონი. პიზონმა პირველად სტრატეგიული მოსაზრებით, რომ რომთან კომუნიკაციები აღედგინა, ალყა შემოარტყა და აიღო ქ. მესენა (მამერციუმი). მესენას აღების დროს, ოროზიუსის გადმოცემით, პიზონმა ბრძოლაში გაწყვიტა 8000 მონა, მრავალი ტყვედ შეპყრობილი მონა კი ჯვარზე გაკვრით წამებით დახოცა.

შემდეგ პიზონმა თავისი ძირითადი ძალებით გაილაშქრა მონების სატახტო ქალაქ ჰენას წინააღმდეგ. ქ. ჰენა (ახლანდელი კასტროჯიოვანი) მდებარეობდა კუნძულის ცენტრში 3000 ფუტის სიმაღლის მიუვალ მთებზე. მას ირგვლივ დაცემული მინდვრები ეკრა. ჰენასკენ მიმავალ მთის ვიწრო გზებზე მონები გარს შემოერტყნენ და ტყვედ ჩაიგდეს პიზონის ჯარის ცხენოსანთა ერთი რაზმი, რომელსაც კ. ტიციუსი სარდლობდა. პიზონი იძულებული გახდა, მონების წინააღმდეგ ამ მძიმე ბრძოლების დროს თავის ჯარში წესრიგის დასაცავად შემოღო სასტიკი დისციპლინა და სიკვდილით დაესაჯა დეზერტირები.

ბოლოს პიზონმა დიდი ვაი-ვაგლახით მიაღწია ჰენას და გარს შემოეწყო მას. ალყაშემორტყმულ ქალაქს რომაელებმა დაუწყეს შორდღლებით ბომბარდირება. გამოიყენეს სხვა საალყო ტექნიკაც, მაგრამ ჰენას აღება აიჯერად მაინც ვერ შეძლეს. პიზონი იძულებული გახდა ულკან დაეხია, მით უფრო, რომ მისი კონსულობის და, მაშასადამე, მთავარსარდლობის დროც ამოიწურა.

132 წლისთვის რომის სახელმწიფოს მდგომარეობა შედარებით გამოკეთდა. მას აქამდე არყევდა არა მარტო სიცილიის მონათა აჯახყება, არამედ გაჩთავებული პარტიზანული ომებიც ესპანეთში, ხოლო თვით რომში—აგრარული მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგა ტიბერიუს გრაქხი. გრაქხი მოითხოვდა მემამულეებისათვის საზოგადო მიწების ჩამორთმევას და გლეხებისათვის მის განაწილებას.

133 წლის შემოდგომაზე რომის არმიამ ესპანეთში აიღო პარტიზანთა ცენტრი—ქალაქი ნუმანცია, ჩააქრო ბოლოს პარტიზანული მოძრაობა და მას სხვა ფრონტზე გადასვლის შესაძლებლობა მიეცა. ამავე წელს რომში მოკლეს ტიბერიუს გრაქხი, რითაც აგრარული მოძრაობა შენელდა. ამ ორმა გარემოებამ რომის სე-

ნატის მდგომარეობა განამტკიცა და მან უფრო აქტიურად მოკიდა ხელი სიცილიის მონათა აჯანყების ჩაქრობას.

132 წლისათვის კონსულად აირჩიეს და ძლიერი არმიით სიცილიის მონათა აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნეს პ. რუპილიუსი. რუპილიუსმა პირველად ალყა შემოარტყა აჯანყებულ მონათა ხელში მყოფ ქალაქ ტავრომენს. ქალაქში დაიწყო შიმშილი. დიოდორე წერს, რომ რუპილიუსმა, „მჭიდროდ შემოარტყა რა ალყა, ალყაშემორტყმულნი მიიყვანა გამოუთქმელ გაჭირვებამდე და შიმშილამდე, მათ დაიწყეს ბავშვების ჭამა, შემდეგ კი გადავიდნენ ქალებზე“.

მიუხედავად ამ აუტანელი მდგომარეობისა, მონები მაინც არ ფიქრობდნენ ცოცხლად დანებებას და რომაელთა ხელში ჩავარდნას. მაგრამ ამ დროს მათ შორის გამოჩნდა მოღალატე, ციხის კომენდანტი ვინმე სერაპიონი. სერაპიონის მიერ ნაჩვენები ხვრელით რომაელები შეიჭრნენ ქალაქში და, ამგვარად, ღალატით მოახერხეს მისი აღება.

ტავრომენის ამ ალყის დროს მოიკლა თავი სუნთქვის შეჩერებით აჯანყებულთა ერთ-ერთმა გმირმა კომანმა, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ (გვ. 227). რუპილიუსმა ტავრომენში შეპყრობილი მონები სასტიკად აწამა და კლდეზე გადაჩეხა. ამის შემდეგ მან ალყა შემოარტყა მონების სატახტო ქალაქ ჰენას. მონები, რომელთაც საკმაო სურსათი არ აღმოაჩნდათ, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. ბრძოლაში დაეცა აქეიოსი. კლეონი, რომელსაც ახლა ქალაქის დაცვა ჰქონდა მინდობილი, დაიღუპა გმირული სიკვდილით ალყის გარღვევის ცდის დროს.

ამგვარად, მონებმა დაკარგეს თავიანთი საუკეთესო გენერალიტეტი. ამას ზედ დაერთო ღალატი და გაცემა შიგნიდან. „ამ ქალაქის აღებაც,—წერს დიოდორე,—შესაძლებელი გახდა მხოლოდ ღალატის შედეგად. რადგანაც თავისი მდებარეობით იგი სრულიად მიუწვდომელი იყო შეიარაღებული ძალებისათვის“-ო.

„წინასწარმეტყველი“ მეფე ევნა, რომელსაც ყველაფერი ეს „გამორჩა“ თავისი „წინასწარმეტყველებიდან“, ახლა იქ რომაელთა შეპრის შემდეგ იძულებული გახდა ათასი შეიარაღებული მონით თავი შეეფარებინა ქალაქის ყველაზე მიუვალ ადგილას. მაგრამ, როდესაც რომაელებმა მას იქაც მიაგნეს, ევნას მცველმა

მონებმა ერთმანეთი ამოხოცეს, რომ ცოცხლად არ ჩავარდნოდნენ ხელთ რომაელებს. მათ არჩიეს შეემოკლებინათ თავიანთი დღენი და იარაღით ხელში ბრძოლის ველზე შეხვედროდნენ სიკვდილს, როგორც თავისუფალნი, ვიდრე რამდენიმე დღის შემდეგ, ნაწამებთ და ნაცემთ, ჯვარზე გაკვრით მიეღოთ იგივე სიკვდილი, როგორც მონებს.

ეს ვერ გაბედა და სიკვდილს თვალი ვერ გაუსწორა მათმა მეფე ევნამ. იგი ოთხი თავისი თანმხლებლით, რომელთა შორის იყვნენ: მასხარა, მზარეული, მეპურე და მეაბანოე, მიიმალა ერთ გამოქვაბულში. იქიდან გამოთრეული ევნა რომაელებმა საკანში ჩააგდეს. ტავრომენისა და ჰენას აღების დროს რუპილიუსმა გაწყვიტა 20.000 მონა და ბოლო მოუღო მონათა ხუთი წლის ბრძოლასა და თავისუფლებას სიცილიაში (137—132 წწ).

რუპილიუსს უნდოდა ევნა რომში ჩაეყვანა და ამფითეატრის სცენაზე ჯერ მაყურებლებისათვის ეჩვენებინა ეს „სასწაულთმოქმედი წინასწარმეტყველი“, შემდეგ კი იქვე, რომაელთა თვალწინ მწვალებლური სიკვდილით გამოესალმებინა წუთისოფელს. მაგრამ ამ შემოხვევაში ევნას „ბედმა გაუღიმა“. რუპილიუსმა მალე ვერ დააღწია თავი სიცილიის საქმეთა მოგვარებას და ამ კუნძულის დაწყნარებას. ამასობაში გაბაწრული ევნა საკანში ტილებმა შეჭამეს.

სიცილიის მონათა ამ პირველმა გრანდიოზულმა აჯანყებამ საკმაოდ ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს მრავალ კუთხეში. გაჩნდა მონათა აჯანყების მრავალი კერა, რომელთა გაშლასა და გაფართოებას ბევრ ადგილას ხელი შეუშალა რომის სახელმწიფოს დამსჯელმა კონტრზომებმა. „ყველა ეს სხვადასხვა აჯანყება,—წერს ოროზიუსი,—ჩნდებოდა ხანძრის ელვარე ნაპერწკლების მსგავსად იმ პირველი აბედისაგან, რომლითაც ეს უბედურება დაიწყო სიცილიაში-ო“.

დიოდორეს ცნობით, ამ დროს 150 მონას აჯანყება მოუწყვია თვით რომში, 1000-ზე მეტს კი—ატიკაში. ოროზიუსის ცნობით კი მონათა აჯანყებები დაწყებულა ლაციუმის (იტალია) ქ. მინტურნში, სადაც რომაელებს 450 მონა გაუკრავთ ჯვარზე, ხოლო ლაციუმის მეორე ქალაქ სინუესში კი დაუმარცხებიათ 4000 აჯანყებული მონა. ნაწილობრივ სიცილიის აჯანყების გავლენით, უფრო მეტად კი, რა თქმა უნდა, ადგილობრივი პირობების გამო

მონათა და ღატაკთა აჯანყება დაიწყო მცირე აზიაშიც. ეს აჯანყება ისტორიაში ცნობილია არისტონიკეს აჯანყების სახელით (132—130 წწ).

არისტონიკეს აჯანყება რთული სოციალური და ნაციონალური ელფერის ვითარებაში მიმდინარეობდა და მკვეთრად გამოხატულ ანტირომაულ ხასიათს ატარებდა. არისტონიკემ, წერს სტრაბონი, „... სასწრაფოდ შეკრიბა უქონელ ადამიანთა და მონების დიდი რიცხვი, რომელთაც მან მოუწოდა თავისუფლებისაკენ. თავის მომხრეებს არისტონიკე უწოდებდა ჰელიოპოლიტებს“-ო.

რომაელებმა, რომელთაც 132 წელს ბოლო მოუღეს მონების „ახალი სირიის სამეფოს“ სიცილიაში, ახლა სასწრაფოდ გადმოისროლეს დიდი ძალები მცირე აზიაში არისტონიკეს მონებისა და ღარიბთა აჯანყების წინააღმდეგ. არისტონიკეს პირველ ხანებში ერთგვარი წარმატება ჰქონდა, მან აიძულა რომის არმია, ალყა მოეხსნა ზოგიერთი ქალაქებისათვის, შემდეგ კი 131 წელს ტყვედ ჩაიგდო და სიკვდილით დასაჯა თვით რომის არმიის მთავარსარდალი კონსული პუბლი ლიციინიუს კრასი. მაგრამ 130 წელს რომს ახალმა სარდალმა მარკ პერპერამ ალყა შემოარტყა არისტონიკეს ქ. სტრატონიკეაში, გაანადგურა მისი ძალები შიმშილითა და რომის იარაღის ძალით, ხოლო გაბაწრული არისტონიკე რომში გაგზავნა, სადაც იგი ციხეში დაახრჩვეს.

მონათა პირველი აჯანყებიდან 28 წლის შემდეგ სიცილიაში კვლავ იფეთქა მონათა მეორე აჯანყებამ (104—101 წწ). ეს გარემოება, თვით ცხოვრების ლოგიკის წყალობით, არც იყო და არც შეიძლებოდა გამორიცხული ყოფილიყო, რადგანაც რომაელებმა მოსპეს (ჩააქრეს) მონათა აჯანყებები და არა ის მიზეზები, რომლებიც ამ აჯანყებებს იწვევდნენ. პირველი აჯანყების დროს მიყენებული ჭრილობები და აოხრება მალე გამოასწორეს რომაელმა მონათმფლობელებმა, რომელთაც მონათა ახალი ათასები მოიყვანეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან თავიანთ ლატიფუნდიებში. ისევ ძველი მდგომარეობის აღდგენა, ისევ ძალლური სიცოცხლე მონურ ყოფაში, ისევ ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვა, უუფლებობა, შიმშილი და სიტიტვლე, ხოლო რაიმე უბრალო და-

ნაშაულისათვის—ცული კისერში ან ჯვარზე გაკვრა. აი რესტავრირებული სურათი სიცილიელ მონათა ცხოვრებისა მონათა პირველი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ.

სწორედ მონათა ეს მძიმე და აუტანელი მდგომარეობა აძლევდა საზრდოს მონათა გამოსვლებს, რომლებიც ხან უფრო დუნედ, ხან კი წამლეკი მუქარით ანთებდა მონათა აჯანყების ხანძარს რომის რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში.

ამ შემთხვევაში აჯანყება ისევ რომის სიცილიურ ბელელში დაიწყო. 105 წელს რომის არმია ჩრდილოეთში გაანადგურეს ბარბაროსებმა არაუზიონესთან. შეიძლება ეს ფაქტი აჯანყების დამაჩქარებელ დამატებით გარემოებად დაერთო მონათა ადგილობრივ მძიმე პირობებს; შეიძლება ამ ფაქტმა გამარჯვების მეტი შესაძლებლობის პერსპექტივაც დაუსახა მათ. ყოველ შემთხვევაში, არაუზიონის კატასტროფას თან მოჰყვა სიცილიაში მონათა მეორე დიდი გამოსვლა, რომელიც შემდეგ ვითარებაში დაიწყო. 104 წელს (ძვ. წ.) თავისი მდგომარეობით გამწარებულმა 30-მა სიცილიელმა მონამ მოკლა თავისი ბატონი, თავი შეაფარა გამაგრებულ ადგილს და მოუწოდა აჯანყებისაკენ სხვა მონათმფლობელთა მონებსაც. პირველსავე ღამეს მათ 120 მონა შეუერთდათ, მაგრამ მოღალატე მონის, ვინმე ტიციონიუსის გამცემლობის შედეგად, რომის სიცილიელმა პრეტორმა სწრაფად მოახდინა აჯანყებულთა ამ პირველი კერის ლიკვიდაცია.

სულ მალე კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 80-მა აჯანყებულმა მონამ მოკლა რომაელი მონათმფლობელი პუბლიუს კლონიუსი და თავი შეაფარა მთას ქ. ჰერაკლეიას მიდამოებში. მალე მათი რიცხვი 2000 კაცამდე გაიზარდა. მათ გაანადგურეს ქ. ჰენას გარნიზონიდან მათ წინააღმდეგ გაგზავნილი 600 რომაელი ჯარისკაცი და ხელთ იგდეს მათი იარაღი. „ყოველდღე,—წერს დიოდორე,—მონათა ახალი მასები ჯანყდებოდნენ და მათი რიცხვი ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ რამდენსამე დღეში 6000 მიაღწიეს“.

აღსანიშნავია, რომ სიცილიის მონათა როგორც პირველ, ისე მეორე აჯანყებასაც ერთგვარი თანაგრძნობით შეხვდნენ და ზოგიერთ შემთხვევაში მხარსაც უჭერდნენ სიცილიის გაღატაკებულ

თავისუფალთა ფენები. ზოგჯერ ისინი უშუალო მონაწილეობასაც იღებდნენ მონათა გამოსვლებში. თვით მონებიც წვრილ მეურნეობებს ფრთხილად ექცეოდნენ და უმეტეს შემთხვევაში არ აოხრებდნენ და არ აპარტახებდნენ მათ.

სიცილიის მონათა პირველი აჯანყების გამოცდილების მიხედვით, მონებმა მოიწვიეს აჯანყებულთა საერთო კრება და მეფედ დასვეს სირიელი მონა სალვი, რომელმაც ამიერიდან სახელად შეირქვა ტრიფონი. ტრიფონი ცხოველთა შიგნეულით მკითხაობდა და გამოცდილ მისნად იყო ცნობილი. მისი არმია მალე უკვე 20.000 ქვეითსა და 2000 ცხენოსანს შეადგენდა. სიცილიის რომაელმა პრეტორმა ნერვამ 10.000 კაცისაგან შემდგარი არმიით გაილაშქრა ტრიფონის წინააღმდეგ. მაგრამ მონებმა უკუაქციეს რომაელები და 4000 კაცი ტყვედ იგდეს ხელთ.

მალე სიცილიაში გაჩნდა აჯანყების მეორე დიდი კერა. ლილიბეუმის ოლქში 1000 აჯანყებულმა მონამ მეფედ გამოაცხადა მისანი-ასტროლოგი კილიკიელი მონა აფენიონი. აფენიონი თავის არმიაში იღებდა მხოლოდ ჯანმრთელ და ბრძოლისათვის გამოსადეგ მონებს, დანარჩენებს კი ამუშავებდა მონების ხელში გადასულ მეურნეობებში, რომლებსაც მონათა მოქმედი არმია უნდა მოემარაგებინათ საჭირო სურსათ-სანოვაგით და იარაღით.

როცა აფენიონის არმიამ 10.000 კაცს მიაღწია, იგი შეურთდა ტრიფონის არმიას. ტრიფონი საერთო მეფედ იქნა აღიარებული, აფენიონი კი—მთავარსარდლად. მონათა სატახტო ქალაქად გამოცხადებული იქნა კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქი ტრიოკალა, რომელიც მაღალ კლდეზე მდებარეობდა. გარდა იმისა, რომ ეს ქალაქი თავისი მდებარეობით ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა, მონებმა მას გარს შემოარტყეს ხელოვნური ნაგებობანი და იგი კიდევ უფრო გაამაგრეს. ტრიფონმა ტრიოკალაში ააშენა თავისთვის სასახლე—„სამეფო ბინა“, რომლის წინ მოწყობილი იყო დიდი მოედანი სახალხო კრებისათვის. სახალხო კრებაზე გასატან საკითხებს ტრიფონი წინასწარ იხილავდა თავისთან დაარსებულ საბჭოში.

ტრიფონმაც ხელი მიჰყო კეთილ ცხოვრებას, ატარებდა მეფობის ყველა საატრიბუტო ნიშნებს—დიადემას, ძოწეულ ტოგას

და სხვ. რომის მაღალი თანამდებობის მაგისტრების მსგავსად იგი გამოდიოდა სპეციალური ამალის—ლიქტორების თანხლებით, რომელთაც ხელში ცულები ეჭირათ.

ტრიფონს ეპვი შეეპარა—აფენიონი სამეფო ტიტულის ხელყოფას აპირებსო, და დააპატიმრა იგი. აფენიონი უდავოდ სამხედრო ტალანტის პატრონი იყო, და რაკი ტრიფონმა ხელთ ვერ იგდო უტყუარი საბუთი აფენიონის ბოროტი განზრახვისა, ამიტომ რომაელებთან გენერალური ბრძოლის წინ გაანთავისუფლა იგი პატიმრობიდან და აღადგინა თავის უფლებებში.

როცა სიცილიის ადგილობრივმა გარნიზონმა პრეტორ ნერვას სარდლობით აჯანყების ჩაქრობა ვერ შეძლო, რომის სენატმა 103 წელს სიცილიაში გაგზავნა მეორე პრეტორი ლუციუს ლიცინიუს ლუკული 17.000 კაცისაგან შემდგარი არმიით. მონათა 40.000-იანი არმია აფენიონის სარდლობით რომის არმიას შეება ტრიოკალას წინ გაშლილ ველზე სკირტასთან. მიუხედავად იმისა, რომ მონათა ძალები მოწინააღმდეგეს ერთიორად აღემატებოდნენ, მათ ვერ გაუძლეს რომის რეგულარული არმიის შეტევას, დამარცხდნენ და ბრძოლის ველზე დატოვეს 20.000 მოკლული. გადარჩენილ ჯართან ერთად ტრიფონმა უკან დაიხია და თავი შეაფარა ტრიოკალას სიმაგრეებს. ფეხში მძიმედ დაჭრილი აფენიონი ბრძოლის ველზე დარჩა. მან რომაელებს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს უკვე მკვდარი იყო. ღამით კი მკვდრებს შორის ხოხვით გაიკვლია გზა და შემდეგ ტრიოკალაში დაბრუნდა თავისიანებთან.

მონათა ერთ ნაწილში დაიწყო პანიკა და ანარქია; მათ ყველაფერი დაღუპულად ეჩვენებოდათ. მაგრამ ამჯერად საქმეს უშველა რომაელთა სარდლობის გაუბედაობამ და მოუქნელობამ. იმის მაგიერ, რომ რომის არმია ფეხდაფეს გაჰყოლოდა უკანდახეულ მონებს, ლუკული მხოლოდ 9 დღის შემდეგ მივიდა ტრიოკალას კედლებთან. მონებმა დრო იშოვეს მომარაგებისა, ძალების გადაჯგუფებისა და პანიკის შენელებისათვის. ამიტომ დაგვიანებით მისულმა ლუკულმა იერიშით ველარ შეძლო გამაგრებული ტრიოკალას აღება და უკან დაიხია.

რომში გაწვეული ლუკულის მაგიერ 102 წელს საომარი მოქმედების ასპარეზზე გაიგზავნა ახალი პრეტორი—გაიოს სერვი-

ლიუსი. მაგრამ ვერც მან შეძლო ტრიოკალას აღება. შემდეგ ლუკული და სერვილიუსიც სიცილიაში გამოჩენილი უმოქმედობისათვის რომიდან გააძევეს.

101 წელს სიცილიაში მონათა აჯანყების ჩასაქრობად დიდი ძალებით ჩამოსულმა კონსულმა მანიუს აკვილიუსმა ბოლოს გატეხა მონათა წინააღმდეგობა. ჯერ კიდევ ამ ბრძოლის დაწყებამდე გარდაიცვალა ტრიფონი, აფენიონი კი ორთაბრძოლაში განგმირა აკვილიუსმა. ტრიოკალა აღებულ იქნა. მრავალი ათასი მონა ბრძოლაში დაეცა და მრავალიც შემდეგ სიკვდილით დაისაჯა. სიცილიელი მონების ეს მეორე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაც მათი სიკვდილითა და მოსპობით დამთავრდა.

მაგრამ არც სიცილიელ მონათა ამ მეორე აჯანყების ჯალათის, რომაელი სატრაპის—მანიუს აკვილიუსის ხვედრი აღმოჩნდა სახარბიელო. მონათა სისხლში ამოსვრილმა ხარბმა აკვილიუსმა სიცილიაში დიდძალი ქონება შეიძინა გამოძალვითა და ქრთამების აღებით. ამავე სიხარბემ იგი რომის ელჩის მუნდირით მცირე აზიაში ჩაიყვანა. იქ მან აგრეთვე საკმაო სიმდიდრე გამოძალა ბითინიის მეფე ნიკომედს, რომელსაც მან რომის დახმარება აღუთქვა პონტოს მეფე მითრიდატეს წინააღმდეგ ბრძოლაში და პროვოკაციულად დაალაშქრინა მას პონტოს განაპირა პროვინციები. სწორედ ეს გარემოება გახდა უშუალო საბაბი ისტორიაში ცნობილი რომის ომებისა მითრიდატეს წინაღმდეგ, რომელმაც ასეულ ათასობით სიცოცხლე შეიწირა და აღმოსავლეთის ათეული ქვეყნები გააპარტახა.

რომ ოქრო ყველაზე დიდი „წამალი“ იყო რომაელი მანიუს აკვილიუსის მოუსვენრობისა, ეს კარგად იცოდა მითრიდატემ და 88 წელს, როდესაც აკვილიუსი ტყვედ ჩაიგდო, მითრიდატემ გამდნარი ოქროს პირში ჩასხმით დაახრჩო იგი ქ. პერგამში.

ჭეშმარიტად, აკვილიუსს შეეძლო ეთქვა, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მას ოქრო არ შემოჰკლებია და რომ ეს ოქრო მას ჰქონდა არა სხეულის გარეთ—ჯიბეში, არამედ სხეულის შიგნით—ყელშიც. ასეთია მოკლედ სიცილიის მონათა მეორე აჯანყების ჯალათისა და მითრიდატეს ომების წამქეზებლის მანიუს აკვილიუსის ისტორია.

XIV. სპარტაკის აჯანყება

ანტიკური ქვეყნების ისტორიაში მონათა ყველაზე დიდ აჯანყებას ადგილი ჰქონდა იტალიაში ძველი წელთაღრიცხვის 74—71 წლებში. ისტორიის ანალებში ამ აჯანყებას, მისი მთავარი გმირისა და ორგანიზატორის სახელთან დაკავშირებით, სპარტაკის აჯანყება ეწოდება.

ძველ წყაროებს არ შემოუნახავთ ჩვენამდე ამ კეთილშობილი რაინდისა და მონათმფლობელთა წინააღმდეგ ამხედრებული გმირის დაწვრილებითი ცნობები. ამიტომ სპარტაკის ბიოგრაფია, საერთოდ, აჯანყების დაწყებამდე ბუნდოვანი არის მოცული, რის გამოც ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ ბრძოლაში გამოხატული მისი ცხოვრებისა და ბიოგრაფიის შესახებ. აჯანყების დაწყებამდე სპარტაკი არავის არ აინტერესებდა, როგორც უბრალო მონა. აჯანყების დაწყების შემდეგ კი, როცა მან მონათა უდიდესი არმია შექმნა, და რომაელ მონათმფლობელებს ზოგს თავი წააცალა და ზოგსაც აგრძნობინა. რომ არც თუ ისე დაუსჯელად შეიძლებოდა მონებზე თარეში, ნათი სიკვდილ-სიცოცხლით ვაჭრობა და გართობა—მაშინ სპარტაკი მონათმფლობელთათვის ყველაზე საძულველი ადამიანი გახდა ქვეყნის გაჩენიდან. ამის გამო მონათმფლობელებს უნდოდათ სპარტაკის ხსენება ამოეწვათ ისტორიიდან და მათი ინტერესების დამკველი მაშინდელი ისტორიკოსები შეგნებულად არ წერდნენ სპარტაკზე.

მაგრამ სამოქალაქო ისტორიის ამა თუ იმ ფაქტის გადმოცემისას, ან ამა თუ იმ სარდლის ბიოგრაფიის შედგენის დროს, როცა ეს ფაქტი და ეს ბიოგრაფია დაკავშირებული იყო სპარტაკის ამბებთან, თვით ამ ფაქტის თუ ბიოგრაფიის სისრულისათვის, ისინი იძულებულნი ხდებოდნენ გაკვრით მაინც მოეხსენე-

ბი ათ სპარტაკი. ასე მაგალითად, ისტორიკოსი აპიანე იძულებული იყო სპარტაკის ამბებისათვის მიეძღვნა სულ ფურცელნახევარი თავის „სამოქალაქო ომების“ ისტორიაში. აპიანე აღნიშნულ შრომაში გადმოგვცემს რომში წარმოებული სამოქალაქო ომების ისტორიას 133 წლიდან, ვიდრე 37 წლამდე. სპარტაკის აჯანყება ამ თარიღებში იყო მოქცეული (74—71 წწ) და მისთვის გვერდის ავლა მთელ ნაპრალს ქმნიდა აპიანეს თხრობასა და ქრონოლოგიაში. ისტორიკოს პლუტარქეს სპარტაკის ხსენება დასჭირდება რომის სარდალ მარკ ლიციინიუს კრასუსის (რომელიც სპარტაკს ებრძოდა) ბიოგრაფიის სისრულისათვის, და მას სულ რაღაც სამგვერდნახევარი მიუძღვნა. ასევე ითქმის დიოდორეს, სალიუსტ კრისპის, ტიტ ლივიუსის, ევთროპიის, ოროზიუსის და სხვათა შესახებაც, რომელთაც კიდევ უფრო ნაკლები და უმნიშვნელო ცნობები მოეპოვებათ სპარტაკზე და სპარტაკის აჯანყებაზე.

ასე „შეიპარა“ მკვდარი ისტორიის გაყვითლებულ ფურცლებში ის ამბები, რომელმაც ცოცხალი ისტორია გაგლიჯა ამ ორი ათასი წლის წინათ და რომელიც მანამდე სოციალური ცხოვრებისა და კლასობრივი ბრძოლის ყველაზე დიდი დუღილი იყო. სპარტაკმა და მისი სარდლობის ქვეშ მყოფმა 200.000-მდე მონამ „სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ ამჯობინეს და სისხლით ჩაიწერეს თავი ისტორიაში. ისინი მუდამ იყვნენ და კვლავაც დარჩებიან მოგონების ღირსად და აღელვების საგნად შემდგომ თაობათათვის, როცა ეს უკანასკნელნი გაეცნობიან მშრომელი ადამიანის ტიტანურ შეჭიდებას ექსპლოატაციასთან და სიბნელესთან ადამიანის ღირსების დაცვისა და სინათლისათვის.

მონათმფლობელთა წინააღმდეგ მონათა ბრძოლის გრძელსა და უწყვეტ ჯაჭვში სპარტაკის აჯანყება ყველაზე დიდი და ბრწყინვალე რგოლია. ამიტომ კლასობრივი სიბრმავის გარდა, სხვა ვერაფერი შეუშლის ხელს მკვლევარს, რომ არ შენიშნოს ეს რგოლი და კუთვნილებისამებრ არ მიუზღას მას. სწორედ ეს სიბრმავე სჭირდათ ჯერ ძველ და შემდეგ კი ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს. მაგრამ ისინი ამას აკეთებდნენ გარკვეული მოსაზრებით. სპარტაკის აჯანყების, როგორც კლასობრივი ბრძოლის უზარმაზარი ტალღის აგორების ჩვენება ეწინააღმდეგებოდა მათ ქადაგებას: ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა „მამაშვილობაზე“, მათი ინტერე-

სების „ჰარმონიულობაზე“, ისტორიაში დასაბამიდანვე არსებულ „გაქვავებულ სიწყნარეზე“.

მათ არ უნდოდათ თავისი დროის მოდერნიზებულ მონათმფლობელთა წინააღმდეგ აღმართულიყო ახალი დამსჯელი ხელი და გამოჩენილიყვნენ ახალი სპარტაკები. ამიტომ ამ ახალ და უფრო საშიშ სპარტაკელებს ისინი უსპობდნენ შორეულ წინაპრებს; ისტორიის წყვდიადში ახლა კვლავ ახრჩობდნენ წინათ ფიზიკურად დამხრჩვალთა ხსოვნას. აი რით აიხსნება, რომ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია, როგორც წესი (მცირე გამონაკლისის გარდა), გვერდს უვლის სპარტაკს და სპარტაკის აჯანყებას.

ბურჟუაზიულ ისტორიკოსთაგან რომის ისტორიის ყველაზე დიდმა სპეციალისტმა თეოდორ მომზენმა (1817—1903 წწ), რომელმაც 1513 ნაბეჭდი შრომა დატოვა და რომლის მარტო „რომის ისტორია“ (ოთხტომეული) 2.500 გვერდზე მეტს შეიცავს, სპარტაკის აჯანყებას მიუძღვნა მხოლოდ სამი ფურცელი. დანარჩენი ბურჟუაზიული ისტორიკოსებიც, თავიანთი ბოროტი კლასობრივი ინტერესების გამო, ცდილობდნენ გვერდი აევლოთ, მიეფუჩჩებინათ და ისტორიის ჯურღმულებში ჩაემალათ ეს დიდი სოციალური მოვლენა. მათ არ გაეგებოდათ, რომ, საერთოდ, ისტორიას არაფრის დამალვა არ უყვარს. მით უფრო სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ამხედრებული იმ მონების სამართლიანი ბრძოლისა, რომელთაც თავიანთი საკუთარი სისხლით შეღებეს თვითონ ამ ისტორიის ფურცლები.

ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს ამ გაკვრითი, ფერმკრთალი და იძულებითი ხსენების დროსაც საკმაო არევდარევა შეჰქონდათ სპარტაკის აჯანყების საკითხში. ისინი უფრო აბნელებდნენ და თავიანთი კლასობრივი ინტერესების პროკრუსტეს სარეცელს ატოლებდნენ სპარტაკის აჯანყების ძირითად საკითხებს.

ასე მაგალითად, მომზენი წყაროების წინააღმდეგ „ამტკიცებს“, რომ სპარტაკი თავად თრაკიელი უფლისწული იყო, რომელიც ტყვედ ჩავარდნის შემდეგ რომაელებმა მონად გადააქციესო. ამით მომზენს იმის თქმა უნდა, რომ სპარტაკმა თითქოს ამ მეფური შთამამაელობის გამო გამოიჩინა ის სიმამაცე და ვონიერულობა, რაც ძველ წყაროებში აქა-იქ ესოდენ მკვეთრად გამოს-

ქვევის მის შესახებ. საერთოდ, მომზენი დიდი ზიზღით ლაპარაკობს მონებზე. უწოდებს მათ „ბანდას“, „ყაჩაღებს“ და სპარტაკს ზოგჯერ იხსენებს. როგორც „მონათა ბანდის ატამანს“.

მომზენი ვერ ხედავს და ვერ იგებს ან, უფრო სწორედ, მას არ უნდა დაინახოს და გაიგოს, რომ ყოველგვარი საბაბის გარეშე სხვისი ქონებისა და სიცოცხლის ხელმყოფ ყაჩაღსა და იმ სპარტაკელ მონებს შორის, რომელნიც საკუთარი თავის მისაკუთრებისა და სიცოცხლისათვის იბრძოდნენ, არაფერი საერთო არ არის და არც შეიძლება იყოს.

მომზენის ეს ზიზღი მონებისადმი გამომდინარეობს ნაციონალიზმით შეზავებული მისი ქედმაღლური დამოკიდებულებიდან სხვა ხალხებისა და, კერძოდ, დაბალი ფენების მიმართ. 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს მომზენი მოითხოვდა პარიზის ბომბარდირებას, 1897 წელს ავსტრიაში სლავთა საკითხის განწვავების დროს კი იგი წერდა: „თუ ჩეხების თავის ქალა მიუწვდომელია ლოგიკისათვის, მაშინ იგი სრულიად მისაწვდომი გახდება ნაჯახისათვის“-ო.

ასეთი რეაქციული თვალთახედვის ასპექტში ატარებს ძველი რომის ისტორიიდანაც ყველა სოციალურ მოვლენას მომზენი და პირველ რიგში კი სპარტაკის აჯანყებასთან დაკავშირებულ საკითხებს. „ბატონი,—წერს იგი,—კანონიერ საფუძველზე აკრავდა ჯვარზე თითოეულ შეპყრობილ მონას. რა თქმა უდა, მონებიც ხოცავდნენ თავიანთ ტყვეებს, ანდა მიმართავდნენ შურისძიების მწვალებლურ ფორმას, როცა ტყვე რომაელებს აიძულებდნენ მოეკლათ ერთმანეთი გლადიატორთა ასპარეზობაში“-ო.

ასეთი შემახვედა, რომ მონებს ტყვე რომაელები შეებრძოლებინათ ერთმანეთთან როგორც გლადიატორები, წყაროებში სულ ეროხელ არის გარკვევით მოხსენიებული. ამაზე ქუხს და დუღს მომზენი და იმას კი აღარ კითხულობს, თუ ვინ ასწავლა „ეს მშვენიერი ხელოვნება“ მონებს? ან ოა კანონიერი უფლება ჰქონდათ მონათმფლობელებს შეეპყროთ და ჯვარზე გაეკრათ თითოეული მონა? ან რა უფლება ჰქონდათ რომაელებს ამფითეატრში გასართობად დაეხოცინ და ფარჩინებულთა დაკრძალვაზე მსხვერპლად შეეწირათ ასეულ ათასობით მონა? ვინ მისცა ყველა ეს დრაკო-

ნული უფლება მონათმფლობელებს და ვინ წაართვა იგივე უფლებები მონებს? ან ვინ და როგორ დაამტკიცა, რომ მონათმფლობელთა ხელში ეს უფლებები კანონიერი და ჰუმანიურია, მონების ხელში კი უკანონო და მწვალებლური? ვინ დაამტკიცა. რომ უდანაშაულო მონის ჯვარცმა, ანდა ამფითეატრის სცენაზე მხეცებისათვის გასაგლეჯად მისი მიგდება—იადონის სიმღერაა, ხოლო დამნაშავე მონათმფლობელისათვის იგივე ან მასზე უფრო მცირე სასჯელის დადება მოხების მხიარე სიმხეცე, მწვალებლობა და კანიბალიზმია?

ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მართლაც მიუჭვდომელია მომზენის ლოგიკისათვის, რომლის უქონლობას 1897 წელს იგი ჩეხებს უკიჟისებდა. მომზენი პირდაპირ წერს, რომ სპარტაკის ხელმძღვანელობით მონათა გამოსელა ეს იყო „არა ომი, არაფერ სასაკლაო“, სადაც, მისი აზრით, დანაშავე მონები უდანაშაულო მონათმფლობელებს ხოცავდნენ. ბურჟუაზიული ისტორიკოსების ეს სიბრმავე—ბრალი დასდონ მონებს მონური მდგომარეობიდან თავის დაღწევის ცდაში. მათი სურვილი—თეთრის შავად გასაღებისა, მაინც სიბრმავედ და სურვილად რჩება და მათ არ ძალუძთ უკვე მომხდარი ისტორიული ფაქტის თავიანთი გემოვნების მიხედვით ნებისმიერი გამოჭრა.

სპარტაკის წინაძღოლობით მომხდარი აჯანყების პროგრესულ და სამართლიან ხასიათს ჭეშმარიტი ისტორია ვერც დაივიწყებს და ვერც დაამახინჯებს. სპარტაკის აჯანყება გამოწვეული იყო საერთოდ მონათა იმ ძძიმე მდგომარეობით, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. მისი მიმდინარეობა კი მოკლედ შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

ქ. კაპუაში, რომელიც რომის შემდეგ იტალიის მეორე ქალაქი იყო, ვინმე ლენტულ ბატიატს გლადიატორთა მოსამზადებლად კერძო სკოლა ჰქონდა მოწყობილი. ლენტულ ბატიატი ყიდულობდა და სკოლაში რიცხავდა ახალგაზრდა და ჯანმრთელ მონებს. ამ ე. წ. „სკოლის“ მიზანი იყო, რომელ კაცთმოძულე მაყურებელთა გასართობად ამფითეატრის არენისათვის მოემზადებინა ნაძალადევი სიკვდილის ახალი კანდიდატები.

რომაელ მაყურებელს აინტერესებდა, ენახა უბედურ მონა გლადიატორთა „ლამაზი სიკვდილი“, და რაც უფრო მეტი სპორტული სისწრაფით, მეტი მოქნილობით, საბრძოლო იარაღის ვირტუოზული დაუფლებით და ხელჩართული ბრძოლის ყველა წესისა და ეტიკეტის დაცვით ხდებოდა გლადიატორთა ეს სასიკვდილო შერკინება, მით უფრო მეტ აღტყინებას იწვევდა რომაელ მაყურებელში გლადიატორთა ეს სიკვდილი, მით უფრო მეტად კმაყოფილდებოდა ამ მაყურებლის ველური და კანიბალისტური ესთეტიკის მოთხოვნები.

ეს იყო მიზეზი, რომ ჯანმრთელი და „სიკვდილის ხელოვნებაში“ კარგად ტრენირებული გლადიატორი დიდ ფასად იყიდებოდა და კერძო საგლადიატორო სკოლებსაც მათი პატრონისათვის, კომერციის თვალსაზრისით, საკმაო მოგება მოჰქონდათ. ამავე მიზნით იყო მოწყობილი ლენტულ ბატიატის საგლადიატორო სკოლაც.

ჩვენ არ ვიცით კონკრეტული ვითარება, თუ როგორ, როდის და რა პირობებში მოხვდა ბატიატის ამ სკოლაში სპარტაკი, მაგრამ ფაქტია ის, რომ ძველი წელთაღრიცხვის 74 წელს სპარტაკი უკვე ამ სკოლაშია ჩარიცხული. ისტორიკოსი აპიანე წერს, რომ „...სპარტაკი იყო თრაკიელი. წინათ ებრძოდა რომაელებს, ჩავარდა ტყვედ და გაყიდულ იქნა გლადიატორად“. ისტორიკოსი პლუტარქე კი წერს, რომ „გლადიატორთა აჯანყება და იტალიის აოხრება, რასაც მწერალთა უმრავლესობა „სპარტაკის ომს“ უწოდებს, დაიწყო შემდეგი მიზეზის გამო: ვინმე ლენტულ ბატიატს კაპუაში ჰქონდა გლადიატორთა სკოლა, რომელშიაც გალები და თრაკიელები უმრავლესობას შეადგენდნენ, ისინი საგლადიატორო შეჯიბრებისათვის საპყრობილეში იყვნენ გამომწყვდეულნი, არა მათ მიერ ჩადენილი რაიმე ულირსი საქციელის გამო, არამედ მათი მყიდველი ბატონის უსამართლობით. მათგან ორასმა კაცმა მოილაპარაკა, რომ გაქცეულიყვნენ, მაგრამ რადგანაც შეთქმულება გასცეს და ეს თვით შეთქმულთაც დროულად გაიგეს, მხოლოდ 78 გლადიატორმა მოასწრო და, სამზარეულოში ნაშოვნი დანებითა და შამფურებით შეიარაღებულნი გამოიჭრნენ და მოიპოვეს თავისუფლება. შემთხვე-

ვით ისინი წააწყდნენ გზაში რამდენსამე ურემს, რითაც მეორე ქალაქში გლადიატორებისათვის იარაღი მიჰქონდათ, მათ ხელთ იგდეს იგი და შეიარაღდნენ. დაიკავეს რა ძლიერი პოზიცია, გლადიატორებმა თავიანთი წრიდან აირჩიეს სამი ბელადი, რომელთაგან პირველი იყო სპარტაკი, თრაკიელი ნომადი, არა მხოლოდ დიდი გამბედაობისა და ფიზიკური ძალის, არამედ ჭკუისა და ჰუმანიურობის მქონეც. ამით იგი მნიშვნელოვნად აღემატებოდა სხვებს და უფრო მეტად ელინს (ე. ი. ბერძენს—მ. ა.) მიემსგავსებოდა"-ო.

მონების აუტანელმა მდგომარეობამ საერთოდ და, კერძოდ, ლენტულ ბატიატის საგლადიატორო სკოლაში შექმნილმა მძიმე პირობებმა, მიიყვანა „დიდი გამბედაობის, ფიზიკური ძალის, ჭკუისა და ჰუმანიურობის მქონე" სპარტაკი და ბატიატის სხვა დანარჩენი მონები აჯანყების იდეამდე.

მათთვის, როგორც გლადიატორებისათვის, უკვე გარკვეული იყო აწმყო და მომავალი ცხოვრების მთელი შავბნელი გზა. საპყრობილეში ჩაყრილთ აქმევდნენ და „ასუქებდნენ" ფიზიკური ძალის მოსაკრებად და წესამატებლად, ეს ძალა მათ უნდა გამოეყენებინათ ერთმანეთისათვის მახვილის უფრო მაგრად დასარტყმელად, რომ რომაელ მაყურებელთა გასართობად ამოხოცილიყვნენ ამფითეატრის არენაზე ან რომელიმე წარჩინებული რომაელის საფლავზე.

მომავალ ცხოვრებაზე ფიქრის დროს მათ ყოველთვის თვალწინ ესახებოდათ გაშიშვლებული მახვილი, რომელიც მათივე თანამოძმის ხელით აღმართული მიიწევდა მათი საკუთარი გულღვიძლისაკენ და ემუქრებოდა მათ განგმირვითა და გაკვეთით. მუხთალი წუთისოფელი მათ უსახავდა მომაველის ამაზე უფრო შესაზარ სურათებსაც. მათ იცოდნენ, რომ წინასწარ გაუთვალისწინებელ შემთხვევებსა და ბატონების კაპრიზებს შეიძლება არც გაეხადა ისინი ადამიანის ხელით ასეთი სიკვდილის „ღირსად" და, რომ მათი სიცოცხლე შეიძლებოდა დასრულებულიყო ზღვის ან ხმელეთის რომელიმე ნადირის ხახაში.

ჭეშმარიტად, გლადიატორები იყვნენ სიკვდილმისჯილ ადამიანთა მდგომარეობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათთვის

ზუსტად არ იყო დადგენილი განაჩენის სისრულეში მოყვანის თარიღი. ცხოვრების უკუღმართობასთან პირისპირ შეჯახების ამ მტანჯველ ლოდინში, მათ ურვასა და წუხილს უფრო აძლიერებდა სხვის გასართობად უაზრო სიკვდილის შეგნება. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ სიკვდილს, მათი მხრიდან არც რაიმე დანაშაული და არც რაიმე აუცილებლობა არ ედო საფუძვლად და თანაც არც რაიმე სარგებლობა და არც რაიმე ღირსება და პატივი არ მოჰქონდა მათთვის. ისინი აღშფოთებაში მოჰყავდა რომაელ მონათმფლობელთა სიმხეცეს, რომელნიც სწორედ მათი სისხლისა და სიკვდილის ნახვით აღწევდნენ მხეცური სიამოვნების კულმინაციურ წერტილს.

რა უნდა ექნათ ასეთ ვითარებაში ლენტულ ბატიატის სკოლის გლადიატორებს? მათ წინაშე მოქმედების ორი გზა იყო მხოლოდ: ან გაეზიარებინათ თავიანთი წინა თაობათა გლადიატორების ბედი—ეთრიათ უსიხარულო დღეები და თავი გადმოეგდოთ მხრებიდან ამფითეატრის არენაზე და ასე უსახელოდ დაემთავრებინათ თავიანთი სიცოცხლე, ანდა აღემართათ მახვილი საკუთარი მტრების წინააღმდეგ, ცდილიყვნენ ბრძოლით გაეკაფათ გზა სამშობლოსა და თავისუფლებისაკენ, და თუ ამ განზრახვას ვერ მიაღწევდნენ, დაღუპულიყვნენ ბრძოლაში, როგორც გმირები. ამ გზით წასვლას უარეს შემთხვევაში მოსდევდა გმირული სიკვდილი ბრძოლის ველზე, თანაც მას შემდეგ, როცა მოწინააღმდეგეთა ბანაკიდანაც არა ერთი და ორი ავი და უზნეო მონათმფლობელი იქნებოდა გამოსალმებული წუთისოფელს. „ბედის“ წინაშე ჭედის მოხრა და პირველი გზით წასვლა ისევ ნაძალადევი სიკვდილით თავდებოდა. მეორე გზასთან განსხვავება აქ იმაში იყო, რომ ეს სიკვდილი მათ უნდა მიეღოთ არა მტრის მახვილისაგან, არამედ საკუთარი თანამობედისაგან და არა ბრძოლის ველზე, თავისი ადამიანური უფლებისათვის ბრძოლაში, არამედ ამფითეატრის არენაზე რომაელ მაყურებელთა გასართობად.

სპარტაკისათვის, როგორც დიდი გამბედაობისა, ჭკუისა და ჰუმანიურობის მქონე ადამიანისათვის ნათელი იყო უდიდესი განსხვავება ამ ორ სხვადასხვა სიკვდილს შორის, უდიდესი უპირატესობა მეორე გზისა—ბრძოლის ველზე სიკვდილისა. სწორედ ამ შეგნების შედეგად სპარტაკი „დღეს“ გმირებად გადაქცეული თავისი „გუ-

შინდელი“ მონებით მტკიცედ დაადგა ამ გზას და საკუთარ მაჯასა და მახვილს მიანდო გორდიის კვანძის გაჭრა.

სპარტაკმა გამოიჩინა უდიდესი მხედართმთავრული ნიჭი. მან იცოდა, რომ რომის რეგულარული არმიის ნაწილთათვის ადვილი იყო 78 აჯანყებული გლადიატორის ალყაში მოქცევა და მოსპობა. ამიტომ საჭირო იყო მიუდგომელი და ბუნებრივად გამაგრებული ადგილის მონახვა, იქ დაბანაკება და ბრძოლისათვის თავის არიდება საკმაო ძალების დაგროვებამდე. ამ მიზნით ქ. კაპუიდან თავისი აჯანყებული გლადიატორებით სპარტაკმა კურსი აიღო ვეზუვის მთისაკენ, სადაც იგი ფიქრობდა გამაგრებასა და და თავის შეფარებას. გზადაგზა აჯანყებულ გლადიატორებს უერთდებოდნენ სხვა მონებიც და ვეზუვის მთაზე ასვლისას მათმა რიცხვმა საკმაოდ მნიშვნელოვან რაოდენობას მიაღწია.

ვეზუვის მთას სამი მხრიდან მიუვალი კლდე ეკრა და იქ ასვლა შეიძლებოდა ერთადერთი გზით. პირველ ხანებში სპარტაკის გამოსვლას და რაღაც ასიოდე მონის გაქცევას რომაელები დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ. ამავე დროს რომაელებს არც შეეძლოთ საკმაო ძალები გამოეყვანათ სპარტაკის წინააღმდეგ, რადგან რომის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა ამ დროისათვის მეტად დაძაბული იყო.

რომი დასავლეთით ხანგრძლივ ბრძოლაში იყო ჩათრეული ესპანეთში სერტორიუსის წინააღმდეგ. რომიდან იქ გაგზავნილი პომპეუსის არმია გადამწყვეტ წარმატებას ჯერ კიდევ ვერ აღწევდა. აღმოსავლეთში მითრიდატეს წინააღმდეგ დაწყებულ მესამე ომში კი გაგზავნილი იყო 74 წლისათვის არჩეული რომის ორივე კონსული— ლუციუს ლუკული და მ. ავრელიუს კოტა. რომის მიერ დაპყრობილ მრავალ პროვინციაში ეწყობოდა აჯანყებები, ხმელთაშუა ზღვაზე მეკობრეები თარეშობდნენ და აძნელებდნენ პერიფერიასთან რომის კავშირს და რომში სურსათის შეტანას. ამ მდგომარეობას ართულებდა 75 წლის მოუსავლიანობის შედეგად რომში დაწყებული შიმშილიც. ყოველივე ეს ხელშემწყობ გარემოებად მოქმედებდა სპარტაკის აჯანყების გაშლასა და განვითარებაზე.

74 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე სპარტაკი ძალების დაგროვებას ახდენდა. ამავე დროს მისი თანაშემწეების—ენომაისა და კრიქსის რაზმები ღრმა რეიდებით მოსვენებას არ აძლევდნენ

კამპანიის ოლქის მონათმფლობელებს; მიჰქონდათ იქიდან სურსათი და ხელში ჩაგდებული საომარი შეპურვილობა. მონათა, მოჯამაგირეთა და ნაწილობრივ ღარიბთა ახალი რაზმები უერთდებოდნენ სპარტაკის აჯანყებულ მონებს. 74 წლის შემოდგომის მიწურულისათვის სპარტაკის არმია უკვე ათი ათას კაცამდე აღწევდა.

სპარტაკის აჯანყების ასეთმა წარმატებამ და აჯანყებულთა რიცხვის ასეთმა ზრდამ ახლა უკვე რომში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. რომაელებს ჯერ კიდევ დაეიწყებული არ ჰქონდათ სიცილიის მონათა პირველი და მეორე აჯანყების მრისხანე ამბები. მათ თავი მოუყარეს სამიათასიან არმიას და პრეტორ კლოდიუსის სარდლობით 73 წლის გაზაფხულსა თუ ზაფხულში გაგზავნეს იგი სპარტაკის წინააღმდეგ. კლოდიუსმა გადაჭრა ვეზუვის მთაზე ასასვლელი ერთადერთი გზა, ჩაასანგრა იქ თავისი ლეგიონი და, ამგვარად, ალყაში მოქცევით და შიმშილით ცდილობდა სპარტაკის განადგურებას.

აჯანყებულთათვის მართლაც მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. კლოდიუსის აზრით, ალყაში მოქცეული მონები ან უნდა ამოხოცილიყვნენ შიმშილით ვეზუვის მთაზე, ან უნდა დაეწიათ დაბლა და შებმოდნენ მის ჩასანგრებულ არმიას. კლოდიუსის მოლოდინით, ამ ორი შესაძლებელი გამოსავლიდან რომელიც არ უნდა აერჩიათ მონებს, ისინი ორივე შემთხვევაში უნდა დამარცხებულიყვნენ და დაღუპულიყვნენ. მაგრამ მონა სპარტაკის სამხედრო გენიამ და მოსაზრებულობამ აჯობა ნაქები რომაელი სარდლის ვარაუდს.

სპარტაკმა თვითონაც კარგად იცოდა, რომ თუ არ იქნებოდა გამოძებნილი მესამე გამოსავალი, რომელიც რომაელთა სტრატეგიით წინდაწინვე აბსოლუტურად გამორიცხული იყო, იგი მართლაც დამარცხდებოდა და დაიღუპებოდა. სპარტაკმა იპოვა ეს მესამე გამოსავალი. მან გადაწყვიტა—თავისი არმია ჩაეყვანა დაბლა, უდიდესი სიმაღლის ფრიალო კლდეზე და ამ გზით დაეღწია თავი კლოდიუსის ალყისაგან. ამ მიზნით სპარტაკმა გამოიყენა გარეული ვაზის წნელი, რომელიც ბლომად მოიპოვებოდა ვეზუვის მთაზე. ამ წნელისაგან დაწნული კიბეები გადააბა ერთმანეთს, დაჰკიდა რამდენიმე ასეთი კიბე კლდის წვერიდან კლდის ძირამ-

დე და ღამღამობით სათითაოდ ჩაჰყავდა თავისი ჯარისკაცები კლდის ძირში.

აჯანყებული მონები დღისით კიბეებს ხსნიდნენ და ეწეოდნენ მაღლა, რომ კლდეზე დაკიდებულ ამ შავსა და გრძელ წერტილებს შემთხვევით არ მიექციათ შორიდან ვისიმე ყურადღება და, ამგვარად, არ გახსნილიყო სპარტაკის სამხედრო საიდუმლოება. კლდის ძირში ადრე ჩასულ მონებს კი მიცემული ჰქონდათ სასტიკი გაფრთხილება, რომ შენიღბულიყვნენ და არ გამოემჟღავნებინათ თავისი იქ ყოფნა.

როდესაც სპარტაკმა ამ სახიფათო და სარისკო გზით მთელი თავისი არმია უვნებლად ჩამოიყვანა კლდის ძირში, იგი მოულოდნელად დაესხა თავს ზურგიდან კლოდიუსის არმიას და მთლიანად გაანადგურა იგი, თანაც ხელთ იგდო რომაელთა ბანაკი და მთელი მათი შეიარაღება. ეს იყო სპარტაკის პირველი დიდი გამარჯვება რომის არმიაზე.

კლოდიუსზე გამარჯვებამ, აჯანყებულთა რიცხვის გაზრდამ და შეიარაღების გაუმჯობესებამ დაარწმუნა სპარტაკი, რომ ახლა მას შეეძლო რომის არმიასთან პირისპირ შებმა გაშლილ ველზედაც. იგი ვეზუვის მთის ძირიდან დაიძრა აღმოსავლეთით ლუკანიაში, ადრიატიკის ზღვისაკენ, სადაც მას შეეძლო უფრო ადვილად ეშოვნა სურსათი და მიემხრო მონათა ახალი რაზმები.

სპარტაკის წინააღმდეგ 73 წლის შემოდგომაზე გაიგზავნა რომის ახალი პრეტორი პუბლიუს ვარინიუსი ორი ლეგიონით. სპარტაკმა ჯერ ცალ-ცალკე დაამარცხა ვარინიუსის ლეგატები— ფურიუსი და კოსინიუსი და შემდეგ კი დაარტყა თვით ვარინიუსს. ვარინიუსის ძალები სპარტაკმა სასტიკად გაანადგურა; ხელთ იგდო მთელი მისი ბანაკი, იარაღი, პრეტორის საკუთარი ცხენი და ლიქტორები. თვით ვარინიუსი ძლივს გადარჩა ტყვეობას. აღსანიშნავია, რომ ვარინიუსის არმიაში დისციპლინა მეტად დაცემული იყო და მრავალი მისი ჯარისკაცი, ჯერ კიდევ შეტევის დაწყებამდე გაიქცა ჯარიდან. სპარტაკის ამ ბრწყინვალე გამარჯვებებმა ასწია მისი ავტორიტეტი. გაქცეულ მონათა ახალი ნაკადების შეერთების შედეგად სპარტაკის არმია ახლა უკვე 70 ათასი კაცისაგან შედგებოდა.

სპარტაკისათვის ახლა იმდენად მნიშვნელოვანი აღარ იყო მისი არმიის რიცხობრივი ზრდა. იგი ახლა უფრო მეტად არმიის შეიარაღებასა და მისი ბრძოლის უნარიანობის გაძლიერებაზე ზრუნავს. არმიაში ამიერიდან იგი იღებს მხოლოდ ფიზიკურად უფრო ძლიერ და საიმედო მონებს. ამავე დროს სპარტაკმა არმიაში შექმნა ჯარის ახალი გვარეობა—ცხენოსანი არმია და მოაწყო თვით არმიის შიგნით იარაღისა და საჭურველის დამზადება. „სპარტაკი ახლა,—წერს პლუტარქე,—იყო დიადი და მრისხანე".

მაგრამ სპარტაკს, როგორც ნიჭიერ მხედართმთავარს, არასოდეს გაზვიადებით არ შეუფასებია თავისი ძალები და არასოდეს თავბრუ არ დახვევია წარმატებებისაგან. მან კარგად იცოდა, რომ მიუხედავად თავისი ძალების ამ შედარებითი სიძლიერისა, მას მაინც არ შეეძლო ყოველთვის იმედი ჰქონოდა რომის რეგულარული არმიის დამარცხებისა, განსაკუთრებით მაშინ, როცა რომი ხელს გაინთავისუფლებდა სხვა ფრონტებზე და მთელ ძალებს თავს მოუყრიდა მის წინააღმდეგ. ამავე დროს სპარტაკი დარწმუნებული იყო, რომ მას არ ძალუძდა ბუნებრივი და ხელოვნური სიმაგრეებით გარშემორტყმული რომის აღება, რომელიც თავის დროზე ვერ აიღო ჰანიბალის უფრო ძლიერმა არმიამ.

რა უნდა ექნა ასეთ პირობებში სპარტაკს? იტალიაში დარჩენა და ბრძოლის გაგრძელება, როცა რომზე გამარჯვების პერსპექტივას ვერ ხედავდა, მას სრულიად სამართლიანად, უაზროდ და დამღუპველად ეჩვენებოდა. შექმნილ ვითარებაში მას უფრო გონიერულად მიაჩნდა თავისი არმიით ჩრდილოეთით წასვლა აღმოსავლეთი ალპების გადალახვა, იტალიის ტერიტორიიდან გარიდება, იქ თავისი არმიის დაშლა, მონების თავთავის სახლებში გაშვება და, ამგვარად, სამშობლოში მათი დაბრუნება.

ალპებს იქით გადასულ თრაკიელებსა და ბერძნებს შეეძლოთ აღმოსავლეთის, ხოლო გერმანელებსა და გალებს ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის გზებით სამშობლოში დაბრუნება. მართალია, იტალიიდან გაქცეულ და სამშობლოში დაბრუნებულ ამ მონებს რომაელი მოხელეები იქაც მოსვენებას არ მისცემდნენ და მრავალ მათგანს შიშსა და მალვაში უნდა ეცხოვრა თავის საკუთარ მიწა-წყალზე; მაგრამ ასეთი ცხოვრებაც კი მშობლიურ მიწა-

ზე და მშობლიურ გარემოცვაში მაინც უკეთესი იყო, ვიდრე მონობაში ყოფნა შორეულ იტალიაში.

ასეთი იყო სპარტაკის სრულიად სწორი დასკვნა, და მან პრაქტიკული გადაწყვეტილებაც მიიღო მის განსახორციელებლად. სპარტაკის გეგმის ზემოაღნიშნული ხასიათი ნათლად ჩანს ძველი ისტორიკოსის—პლუტარქეს შემდეგი სიტყვებიდან: „სპარტაკმა,—წერს პლუტარქე,—შეადგინა მოქმედების სრულიად გონივრული გეგმა. არ ჰქონდა რა რომაელების საპოლოოდ დაძლევის იმედი, მან თავისი არმია წაიყვანა ალპებისაკენ, ფიქრობდა მათ გადალახვას და სამშობლოში გამგზავრებას—ზოგისას თრაკიაში და ზოგისას გალიაში“.

თავისი ამ გეგმის განხორციელების მიზნით სპარტაკმა დაიწყო ძლევამოსილი ლაშქრობა ჩრდილოეთისაკენ. მას თითქმის მთელი იტალია სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე—ლუკანიის ოლქის სამხრეთ საზღვრებიდან ალპებამდე უნდა გადაეკვეთა, ვიდრე თავის არმიას უსიფათო ადგილს მიიყვანდა და დაშლიდა. სპარტაკი დარწმუნებული იყო, რომ ამ ძლევამოსილ ლაშქრობაში ჩრდილოეთისაკენ რომის არმია მას ხელს ვერ შეუშლიდა და გზას ვერ გადაუღობავდა. ასე რომ, ამ გეგმის განხორციელება, სპარტაკის აზრით, სრულიად რეალური იყო.

მაგრამ აჯანყებულ მონათა საუბედუროდ და საბედისწეროდ, თვით მათ შორის იჩინა თავი უთანხმოებამ სპარტაკის ზემოაღნიშნული სტრატეგიული გეგმის საკითხში. სპარტაკის თანაშემწეებმა კრიქსმა და ენომაიმ არ გაიზიარეს მისი გეგმა. მათი აზრით, საჭირო იყო არა იტალიიდან გარიდება, არამედ იქ დარჩენა. ქ. რომზე გალაშქრება, მონათმფლობელთა სიმდიდრის ხელში ჩაგდება და შურისძიება მათ მიმართ. ამ დროისათვის სპარტაკის არმიაში 100.000 კაცზე მეტი ითვლებოდა. არმიის საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა —30.000-მდე კაცმა, უმთავრესად გერმანელმა და გალმა მონებმა და აგრეთვე თვით იტალიაში მცხოვრებმა მოჯამაგირეებმა და ღარიბებმა, რომელნიც სპარტაკის აჯანყებას მიეტმასნენ და ახლა აღარ ეთანხმებოდნენ მის გეგმას იტალიიდან გასვლის შესახებ, მხარი დაუჭირეს კრიქსსა და ენომაის.

კრიქსმა და ენომაიმ თავისი თანამოაზრენი გამოჰყვეს სპარტაკის არმიიდან და დაიწყეს დამოუკიდებლად მოქმედება. სპარტაკმა კი, თავისი გეგმის შესაბამისად, განაგრძო ლაშქრობა ჩრდილოეთისაკენ. ამ გარემოებამ მეტად გაუადვილა რომაელებს ბრძოლა აჯანყებულთა წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, როცა იტალიის მთავალი ოლქი აჯანყებულებმა დაიკავეს, ან აჯანყებამ მოიცვა, რომაელები დარწმუნდნენ, რომ მაინც საჭირო იყო დიდი ძალების გადასროლა აჯანყებულთა წინააღმდეგ.

72 წლის ორივე კონსული დიდი ჯარებით გაიგზავნენ სენატის დადგენილებით აჯანყების ჩასახშობად. აპიანეს გადმოცემით, ერთ-ერთმა კონსულმა იერიში მიიტანა კრიქსეს წინააღმდეგ, იგი ადრიატიკის ზღვის სანაპიროს ფრიალო კლდესთან მიიმწყვდია და გაწყვიტა მისი არმიის ორი მესამედი (20.000 კაცამდე). ბრძოლაში დაიღუპა თვითონ კრიქსეც, ენომაი კი ამაზე ადრე იქნა მოკლული. ასე დაიღუპა საკუთარი თავიც და 20.000 მონის სიცოცხლეც შეიწირა ურჩმა კრიქსემ, რომელმაც არ დაუჯერა სპარტაკის გონივრულ რჩევას.

კრიქსეს განადგურების შემდეგ რომის ორივე კონსულმა მთელი ძალები სპარტაკის წინააღმდეგ გადაისროლეს, რომელიც ამ დროს ძლევამოსილად მიიწევდა წინ ჩრდილოეთისაკენ. რომის ერთმა კონსულმა თავისი ჯარით სპარტაკს წინ გაუსწრო და გალიაში გადასასვლელი გზები გადაუჭრა, მეორე კი ზურგიდან ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მას. რომაელთა ვარაუდი, სპარტაკის არმიის ალყაში მოქცევისა და მოსპობისა, სპარტაკის მოხერხებამ ჩაშალა და გააცამტვერა.

სპარტაკმა ცალ-ცალკე მიიტანა იერიში, რომის ეს ორივე არმია დაამარცხა და გახსნა გალიაში გადასასვლელი გზები. რომაელთა განადგურებული არმიების ნაშთებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან.

ამის შემდეგ სპარტაკი შეიჭრა გალიაში და იქ 72 წლის ზაფხულში მუტინასთან გაანადგურა გალიის პროკონსულ გაიოს კასიუს ლონგინის 10 ათასიანი არმიაც.

სპარტაკის მიზანი ახლო იყო განხორციელებასთან: ერთი მხრით, მას დიდი მანძილი აღარ აშორებდა ალპების მთებს და, მეორე მხრით, ჩრდილოეთ იტალიაში არ იყო რომის ისეთი სამ-

ხედრო ძალა, რომელიც მას წინააღმდეგობას გაუწევდა ჩრდილოეთის მარშრუტის შემდგომ გაგრძელებასა და ალპების გადალახვაში. კიდევ რამდენიმე დღე და სპარტაკს შეეძლო გადაელახა მდინარე პო, შემდეგ ალპები და იქ, ალპებს გადაღმა, დაეშალა თავისი არმია და ამით მოეყვანა თავისი გეგმა სისრულეში.

საბედისწეროდ, ჩრდილოეთით გზის გაგრძელების მაგიერ, თავისი 120-ათასიანი არმიით სპარტაკი უკან მობრუნდა და უკუსვლით მოძრაობა იწყო სამხრეთისაკენ. ძველ წყაროებში გარკვევით არ არის აღნიშნული, რამ აიძულა სპარტაკი, რომ მან ასე რადიკალურად შესცვალა თავისი გეგმა. აპიანე ყრუდ აღნიშნავს, რომ სპარტაკი რომზე გამოეშურაო. შუა იტალიაში მდებარე რომზე შეტევა სპარტაკს წინათაც შეეძლო და ამისათვის აუცილებელი არ იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთ იტალიაში წასვლა, მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, სპარტაკს ასეთი ნაბიჯი მაშინ უაზროდ ეჩვენებოდა.

ახლა რამ აიძულა სპარტაკი, წინათ მის მიერვე უარყოფილ გეგმას დაბრუნებოდა, გაურკვეველია, მით უფრო, რომ უკან მობრუნების შემდეგაც სპარტაკს არც ერთხელ არ უცდია პირდაპირ რომზე გალაშქრება და, როგორც შემდეგ იგივე აპიანე წერს, სპარტაკმა ახლაც კვლავ „შესცვალა რომზე წასვლის გადაწყვეტილება“.

ზოგი ფიქრობს, რომ ჩრდილოეთში მუტინასთან გამარჯვების შემდეგ მონების დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა იტალიიდან გასვლაზე, ისინი ვერ ითმენდნენ რომის სიმდიდრის ხელუხლებლად დატოვებასო; ამავე დროს, მათ გადაჭარბებით შეაფასეს თავიანთი ძალები და ფიქრობდნენ, რომ შეეძლოთ რომაელების განადგურება და მდგომარეობის ბატონ-პატრონად საკუთარი თავის გამოცხადებაო; მიუხედავად იმისა, რომ სპარტაკი პირადად არ იზიარებდა ასეთ შეხედულებას, უჯაროდ დარჩენილი გენერლის მდგომარეობაში რომ არ ჩავარდნილიყო, იძულებული გახდა დამორჩილებოდა მონათა დიდი უმრავლესობის მოთხოვნას და მობრუნებულიყო უკან იტალიაშიო. ჩვენის აზრით, ასეთი შეხედულება უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან.

სხვების აზრით, სპარტაკი სამხრეთით იმიტომ მობრუნდა, რომ მონების სიცილიაში გადაყვანა და შემდეგ იქიდან ზღვით

მათი გაგზავნა სამშობლოში მას უფრო იოლად და უხიფათოდ ეჩვენებოდა, ვიდრე მდინარე პოსა და ალპების მთებზე გადასვლა და სახმელეთო გზებით მათი შინ გაშვებაო.

სამხრეთისაკენ სპარტაკის მობრუნებამ, ოროზიუსის განცხადებით, რომში არანაკლები პანიკა და დაბნეულობა გამოიწვია, ვიდრე ეს ჰანიბალის დროს იყო. სამხრეთით მობრუნებულ სპარტაკს პიცენიუმში კვლავ შეეჯახნენ სპარტაკის მიერ წინათ დამარცხებული რომაელი კონსულები თავიანთი ჯარების ნაშთებით, მაგრამ სპარტაკმა ისინი კვლავ დაამარცხა. რომის სენატმა სარდლობიდან გადააყენა ორივე კონსული იმ მარცხის გამო, რაც მათ მოუვიდათ.

ერთ ხანს ვერავინ ბედავდა ეკისრნა სპარტაკთან ომში რომის არმიის მთავარსარდლობის პასუხისმგებლობა—იმდენად იყვნენ დაშინებულნი სპარტაკის სიძლიერით. ბოლოს ეს მოვალეობა 72 წლის შემოდგომაზე იკისრა მარკოს ლიციინიუს კრასუსმა, მდიდარმა მონათმფლობელმა, მევახშემ და სპეკულიანტმა. კრასუსმა თავი მოუყარა ათ ლეგიონზე, დაახლოებით 50.000-ზე მეტ ჯარისკაცს. ძირითადი ძალებით იგი განლაგდა შუა იტალიაში იმ ადგილას, სადაც მისი მოლოდინით უნდა მისულიყო სპარტაკი თავისი არმიით.

კრასუსმა თავისი ლეგატი მუმმია ორი ლეგიონით გაგზავნა სპარტაკის ზურგში იმ ვარაუდით, რომ იგი შეუმჩნევლად მიჰყოლოდა სპარტაკს ფეხდაფეხ და ბრძოლისათვის თავი აერიდებინა, ვიდრე სპარტაკი მოულოდნელად არ წააწყდებოდა კრასუსის ძირითად ძალებს, მაშინ კი ორივე მხრიდან მუმმიასა და კრასუსს უნდა დაერტყათ სპარტაკისათვის. მაგრამ მუმმიამ თავი ვერ შეიკავა და დანიშნულ ადგილამდე, ერთ-ერთი შემთხვევის დროს, როცა მას მომენტი ხელსაყრელად მოეჩვენა, შეება სპარტაკს.

სუსტსა და გამოუცდელ მუმმიას უნდოდა მარტო თავისი ძალებით გაენადგურებინა ძლიერი სპარტაკი და ამით სახელი მოეხვეჭა. ნაჭდვილად კი ამ მოუფიქრებელი გადაწყვეტილებით მან საკუთარი ლეგიონებიც გაანადგურებინა სპარტაკს და თავიც შეირცხვინა. ამავე დროს მუმმიას ლეგიონებიდან მრავალი ჯარისკაცი გაიქცა და იარაღი ბრძოლის ველზე მიატოვა. მუმმიას განადგუ-

რებამ კრასუსის გეგმა ჩაშალა. სპარტაკმა განვლო შუა იტალია და სამხრეთ იტალიის უკიდურეს სამხრეთ ოლქში—ბრუტიუმში შეიჭრა.

სპარტაკთან შეტაკების დროს მუმმიას ლეგიონებიდან ჯარისკაცების გაქცევამ დაარწმუნა კრასუსი, რომ აუცილებელი იყო რომის არმიაში დრაკონული წესების შემოღებით დისციპლინის ამაღლება და განმტკიცება. სხვაგვარად არ ჩანდა დემორალიზებული არმიით სპარტაკზე გამარჯვების პერსპექტივა. ამ მიზნით კრასუსმა აღადგინა რომის არმიაში მოქმედი და შემდეგ დავიწყებული დეციმაციის წესი. მან წრედ დააყენა მუმმიას ლეგიონებიდან გაქცეული 500 ჯარისკაცი და მათგან ყოველი მეათე სიკვდილით დასაჯა. ასეთი ღონისძიებებით კრასუსმა რამდენადმე შეძლო რომის არმიაში სამხედრო დისციპლინის განმტკიცება.

ბრუტიუმში შეჭრილი სპარტაკი ერთ ხანს ქ. თურიაში გამაგრდა, შემდეგ კი უფრო სამხრეთით დაიწია და იტალიის კიდურ სამხრეთ სანაპიროზე მესენის სრუტესთან გავიდა. სპარტაკს უნდოდა ამ სრუტის გადალახვით თავისი არმიის სიცილიაში გადაყვანა. სრუტეზე არმიის გადაყვანას მას ჯერ შეჰპირდნენ იქ მოქმედი კილიკიელი მეკობრეები, მაგრამ, როცა მათ ამისათვის საკმაო საჩუქრები მიიღეს სპარტაკისაგან, ზღვაში მიიმალნენ და სპარტაკი მოატყუეს. შესაძლებელია ეს მეკობრეები მოქრთამულნიც იყვნენ სიცილიის რომაელი მმართველის—ვერესის მიერ. როცა მეკობრეების სიმუხთლე აშკარა გახდა, სპარტაკი შეეცადა გაეცურა სრუტე თვით მონების მიერ გაკეთებული ტივებით, რომლებსაც ქვევიდან კასრები ჰქონდათ მიკრული. მაგრამ ამოვარდნილმა ქარიშხალმა დალეწა და დაშალა ეს ტივები.

ვიდრე სპარტაკი აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთში, მესენის სრუტის სანაპიროდან სიცილიაში გადასვლის საკითხის მოგვარებას ცდილობდა, რომის არმიამ, კრასუსის გეგმით, სპარტაკის არმიის ზურგში ერთი ზღვიდან მეორე ზღვამდე 53 კილომეტრის სიგრძისა და ოთხ მეტრ ნახევარი სიგანისა და სიმაღლის არხი გათხარა. კრასუსს უნდოდა, სპარტაკი მოეწყვიტა მომარაგების ყველა წყაროსაგან, გადაეკრა მისთვის უკან დასახევი გზა და ამ საშუალებით შიმშილით ამოეწყვიტა მისი ჯარი, ანდა იძულებული გაეხადა იგი, ტყვედ დანებებოდა მოწინააღმდეგეს. ეს ტყვედ დანებება

კი, რა თქმა უნდა, შემდეგ თითოეული აჯანყებული მონისათვის ნიშნავდა მწვალებლურ სიკვდილს რომაელთა ხელში.

სპარტაკი მართლაც მძიმე პირობებში აღმოჩნდა. ნახევარკუნძულის კუთხეში მიმწყვდეულს, მას სამი მხრიდან ზღვა ერტყა, მეოთხე მხრიდან კი—მთელს სიგრძეზე გათხრილი ზემოაღნიშნული არხი. სპარტაკი თავისი არმიით ხაფანგში გამომწყვდეული ლომის მდგომარეობაში ჩავარდა. ვითარება ისეთი იყო, რომ მას არც იქ დარჩენა შეეძლო და არც იქიდან გამოსვლა. სურსათის მარაგი ილეოდა და შიმშილი რეალურ საფრთხედ ხდებოდა. ზღვაზე გადასვლის შესაძლებლობა გამორიცხული იყო და ხმელეთზედაც კრასუსის ალყის გარღვევა—ღრმა არხის გადალახვა მოწინააღმდეგის დარტყმის ქვეშ, უიმედო საქმედ მოჩანდა. ერთი სიტყვით, ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა სპარტაკის არმიას დაღუპვისა და სიკვდილისათვის მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ვიდრე თავის გადარჩენისა და სიცოცხლისათვის. აქ ყველაფერი ახლა იმაზე იყო დამოკიდებული—მოახერხებდა თუ არა გონება დაღუპვის მრავალ შესაძლებლობათა გზებში ხსნის ერთადერთი პატარა ბილიკის აღმოჩენას, ხოლო გამბედაობა და თავგანწირვა—ამ ბილიკით წასვლის განხორციელებას.

ასეთი მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად რუსთაველი იტყოდა:

„რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“-ო.

სწორედ ახლა, ამ უდიდესი „მიჭირვების“ ჟამს საჭირო იყო, რომ სპარტაკს გამოემჟღავნებინა გონიერება. ამ ერთი კაცის გონიერებაზე ეკიდა ახლა ასი ათასის სიცოცხლე, რომელიც მისი „უგუნური“ გადაწყვეტილების შემთხვევაში, ასი ათასის სიკვდილად შეიცვლებოდა.

დაღუპვის შესაძლებლობის ამ მრავალ გზებში ხსნის ერთადერთ შესაძლებელ ბილიკად სპარტაკმა სწორად განსაზღვრა კრასუსის ბომბარდირების ქვეშ არხის გადალახვის ცდა. თავის თანამოლაშქრეთა თავშეყრაზე სპარტაკმა განაცხადა: „უკეთესია დავიღუპოთ რკინისაგან (ხმლისაგან), ვიდრე შიმშილისაგან“-ო. ერთი სიტყვით, სპარტაკსა და მისი სარდლობის ქვეშ მყოფ მონებს. ოდესღაც ბიოლოგიური კანონებით მიღებული სიცოცხლე—ახლა

თავგანწირვაზე დამყარებული მაჯის ძალისა და ხმლის სიბასრის კანონით უნდა გაეგრძელებინათ.

ერთ თოვლიან და ქარბუქიან ღამეს სპარტაკმა წინასწარ მომზადებული ფიჩხით, მკვდარი ცხენების ლეშით და სხვადასხვა საგნებით სწრაფად ამოავსო ცალკეულ ადგილებზე ეს არხი და ასევე სწრაფად გამოიყვანა თავისი არმია ალყიდან. კრასუსმა ვერ შეძლო მისთვის ეფექტიური წინააღმდეგობის გაწევა და, ამგვარად, ფუჭად ჩაუარა ძას 53 კილომეტრის არხის გათხრამ.

სპარტაკის მიერ ასე მოხერხებულად და სწრაფად ალყიდან თავის დაღწევამ კრასუსი დააბნია. იგი ფიქრობდა, რომ სპარტაკი ახლა პირდაპირ რომზე გაილაშქრებდა. ამიტომ კრასუსმა შეატყობინა სენატს, რომ ამ უკანასკნელს ესპანეთიდან სასწრაფოდ გამოეწვია პომპეუსი თავისი ჯარებით (რომელსაც იმ დროისათვის უკვე მოთავებული ჰქონდა ომი სერტორიუსთან), ხოლო თრაკიიდან—მარკ ლიცინიუს ლუკული.

ალყიდან გამოსვლის შემდეგ სპარტაკი სრულიადაც არ ფიქრობდა რომზე გალაშქრებას. მან კურსი აიღო ბრუნდიზიუმის ნახევარკუნძულისაკენ, სადაც ადრიატიკის ზღვა ყველაზე ვიწრო იყო და საიდანაც ახლა სპარტაკი ფიქრობდა საბერძნეთში გადასვლას. ამ პერიოდში, აჯანყებულთა საბედისწეროდ, მათ არმიაში კვლავ იჩინა თავი განხეთქილებამ. სპარტაკს, განიკუსისა და კასტუსის ხელმძღვანელობით გამოეყო გალებისა და გერმანელების 35-ათასიანი არმია. ამ არმიამ, კრიქსესა და ენომაის არმიის მსგავსად, დამოუკიდებლად დაიწყო მოქმედება. განხეთქილების ძირითადი მიზეზი ისევ სტრატეგიული გეგმის საკითხი უნდა ყოფილიყო. ისინი მოითხოვდნენ იტალიაში დარჩენას და რომზე გალაშქრებას, რასაც სპარტაკის გეგმა არ ითვალისწინებდა. ლუკანიაში მდინარე სილარის სათავეებთან კრასუსმა ალყა შემოარტყა განიკუსისა და კასტუსის არმიებს და გაანადგურა ისინი. ბრძოლაში დაიღუპნენ თვით ეს სარდლებიც.

განხეთქილების შედეგად სპარტაკისაგან მნიშვნელოვანი ძალების ჩამოცილებამ და მათმა დაღუპვამ, აგრეთვე ბრუნდიზიუმში ლუკულის ჩამოსვლამ და ჩრდილოეთიდან ფრონტის ხაზთან პომპეუსის ჯარების მოახლოებამ მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩაა-

ყენეს სპარტაკი. უკანასკნელი იმედი ბრუნდიზიუმიდან საბერძნეთში გადასვლისა წაიშალა ბრუნდიზიუმში ლუკულის ჯარების ჩამოსვლის გამო.

ახლოვდებოდა უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა. რომის პირველხარისხოვან სარდლებს—პომპეუსს, ლუკულსა და კრასუსს მთელი რეგულარული ჯარები ახლა აჯანყებული მონების წინააღმდეგ მოჰყავდათ ქვეყნის ყველა კუთხიდან. სპარტაკს ყველაზე უკეთესად, ვიდრე რომელსამე სხვას მისი არმიიდან, ესმოდა, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს. იგი თავიდანვე ითვალისწინებდა ასეთ სახიფათო მდგომარეობაში აჯანყებულთა ჩავარდნის საშიშროებას. ეს მდგომარეობა კი არ შეიქმნებოდა, რომ თვითონ აჯანყებულთ არ შეეშალათ ხელი სპარტაკის გონივრული გეგმის განხორციელებისათვის.

ახლა კი უკვე ყველაფერი გვიან იყო. სპარტაკმა იცოდა, რომ რომის ამ სამივე არმიის გაერთიანების შემდეგ ის ვერც ალყას დააღწევდა თავს და ვერც პირისპირ შეტაკებაში გაიმარჯვებდა ამ გაერთიანებულ ძალებთან.

იმედნარევი ეჭვით, 71 წლის გაზაფხულზე, ადრიატიკის ზღვის სანაპიროსთან—აპულიაში სპარტაკი ეკვეთა კრასუსს. „მოხდა უდიდესი ომი,—წერს ძველი ისტორიკოსი აპიანე,—განსაკუთრებით სასტიკი სასოწარკვეთილების გამო, რომელმაც მოიცვა ხალხთა ესოდენ დიდი რაოდენობა“.

სპარტაკმაო, წერს პლუტარქე, ბრძოლის დაწყების წინ საკუთარი ცხენი განგმირა ხმლით. თუ გავიმარჯვებ, უთქვამს სპარტაკს, მაშინ მტრის ცხენებში ავარჩევ საუკეთესოს, თუ დავმარცხდები, მაშინ ცხენიც აღარ დამჭირდებაო. თუ გავიხსენებთ, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველად ხელჩართულ ბრძოლაში ცხენის შეგუებას მის მხედართან და, ამის შედეგად, მხედრის ისეთ დიდ სიყვარულს ცხენისადმი, რომ, ერთი გადმოცემით, ალექსანდრე მაკედონელმა ინდოეთში თავის ცხენის პატივსაცემად მისი სახელი (ბუკეფალა) უწოდა ერთ ახლად აგებულ ქალაქს, ხოლო იულიოს ცეზარმა თავის ცხენს პატივისცემის ნიშნად ძეგლიც კი აუგო. ახლა, ბრძოლის წინ, სპარტაკის მიერ საკუთარი ცხენის განგმირვა, შეიძლება მიგვითითებდეს სპარტაკის სულიერ მღელვარებაზე უთანასწორო ბრძოლაში, რომლის მოგებაში მას უკვე

ეპვი ეპარებოდა. ანდა იქნებ ამით სპარტაკს უნდოდა თავის თანამოლაშქრეთათვის ეგრძნობინებინა, რომ გასაქცევი და უკანდასახევი ხიდები დალეწილია და რომ ბრძოლა წარმოებს უფრო მეტად სიკვდილისათვის, ვიდრე სიცოცხლისათვის.

სპარტაკი უტეხი ნებისყოფის, მამაცი ადამიანი იყო. მან ვეზუვზე, შემდეგ ბრუტიუმში და სხვაგანაც მეტად მძიმე მდგომარეობას დააღწია თავი და იხსნა მთელი თავისი არმიაც. მაგრამ ახლა, მდგომარეობის ფხიზელი გონების შეფასების შემდეგ, იგი ველარ ხედავდა ხსნის უტყუარ პერსპექტივას. ამიტომ ახლა ის ცდილობდა, რომ, თუ გამარჯვება არ იქნებოდა, მაშინ თავისი არმიისა და საკუთარი თავის დაღუპვაც რაც შეიძლება ძვირად დაესვა მტრისათვის.

ფიცხელსა და უთანასწორო ხელჩართულ ბრძოლაში სპარტაკი ლომივით მიიწევდა რომის არმიის მთავარსარდალ კრასუსისაკენ. სპარტაკს უნდოდა ორთაბრძოლაში გამოეცადა კრასუსის მაჯის ძალა. „მაგრამ,—წერს პლუტარქე,—მებრძოლთა და დაჭრილთა სიმრავლის გამო მან ვერ შეძლო მისწვდომოდა კრასუსს. სამაგიეროდ სპარტაკმა მოკლა მასთან ბრძოლაში ჩაბმული ორი ცენტურიონი“.

მეორე ძველი ისტორიკოსის—აპიანეს გადმოცემით, ამ ბრძოლაში „სპარტაკი დასჭრეს ხელშუბით ბარძაყში. მუხლის თავებზე დამდგარი, წინ გაშვერილი ფარით იგერიებდა იგი თავდამსხმელთ, ვიდრე არ დაეცა თავისიანებთან ერთად, რომელნიც ბლომად ეხვივნენ გარს“. სპარტაკთან ერთად დამარცხებული და განადგურებული იქნა მისი არმიაც. ვიღაც მადლიერმა მონამ განგმირულ ბელადს თავი მოსჭრა, რომ რომაელებს ვერ ეცნოთ მისი გვამი და არ ეთრიათ და არ წაებილწათ დაღუპული გმირი.

შეიძლება ასე არ დამთავრებულიყო სპარტაკის ბოლო, მას რომ იტალიიდან გასვლის თავისი თავდაპირველი გეგმა განეხორციელებინა და თანამოლაშქრეთა განუსჯელ სწრაფვას არ მინდობოდა. სპარტაკთან ერთად ბრძოლაში დაეცა მისი სარდლობის ქვეშ მყოფი 60.000-მდე მონა. 5000 მონამ შეძლო ბრძოლის ველიდან გასვლა და ჩრდილოეთ იტალიისკენ გაჭრა, მაგრამ იქ ისინი ამოხოცა კრასუსის დასახმარებლად ესპანეთიდან მომავალმა პომ-

პეუსმა. 6.000 მონა კი, რომელნიც ტყვედ ჩაიგდეს რომაელებმა, ქ. კაპუიდან რომამდე მიმავალი აპიუსის გზის ორივე მხარეს ღობეებში ჩარჭობილ მარგილებზე ჩამოაცვეს ცოცხლად.

ასე დამთავრდა სპარტაკის აჯანყება, რომელმაც თავზარი დასცა რომაელ მონათმფლობელებს და რომელმაც 3 წლის განმავლობაში ცეცხლში გახვია მთელი იტალია.

„მონები,—წერს ძველი ისტორიკოსი ფლორი,—დაიღუპნენ მამაც ადამიანთა ღირსი სიკვდილით, იბრძოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ, რაც სავსებით ბუნებრივია გლადიატორის ხელმძღვანელობით წარმოებულ ომში. თვითონ სპარტაკი, განსაცვიფრებელი გაბედულობით იბრძოდა რა პირველ რიგებში, მოკლულ იქნა და დაიღუპა, როგორც ეს შეეფერებოდა რომელსამე დიდ მხედართმთავარს“. „ამ ომში,—წერს მეორე ისტორიკოსი ოროზიუსი,—რომის კონსულებმა ცალ-ცალკე და ერთადაც არა ერთხელ განიცადეს მძიმე მარცხი... მაშინ მოკლულ იქნა ბევრი წარჩინებული პირი და თვითონ მონებმაც 100 ათას კაცზე მეტი დაკარგეს“-ო.

სპარტაკის ამ აჯანყებას და თვითონ სპარტაკს დიდად აფასებდნენ მარქსიზმის კლასიკოსები, როგორც იტალიაში პირველი ჩაგრული კლასის—მონათა კლასის გაბედულ გამოსვლას მონათმფლობელთა წინააღმდეგ. „სპარტაკი,—სწერდა მარქსი ენგელსს 1861 წლის 27 თებერვალს,—საუკეთესო პირია მთელ ანტიკურ ისტორიაში. დიდი სარდალი, კეთილშობილური ხასიათით, ძველი პროლეტარიატის ჰეშმარიტი წარმომადგენელი“. ლენინი კი 1919 წელს თავის ლექციაში—„სახელმწიფოს შესახებ“ ამბობდა სპარტაკზე: „...სპარტაკი იყო ერთ-ერთი დიდად გამოჩენილი გმირი მონების ერთ-ერთი უდიდესი აჯანყებისა, რომელიც მოხდა დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ. თითქოს ყოველისშემძლე რომის იმპერია, რომელიც მთლიანად მონობაზე იყო დამყარებული, მთელი რიგი წლების განმავლობაში ირყეოდა და დარტყმებს განიცდიდა მონების უდიდესი აჯანყების გამო; მონები შეიარაღდნენ და შეერთდნენ სპარტაკის წინამძღოლობით, შექმნეს უდიდესი არმია. ბოლოს და ბოლოს ისინი მონათმფლობელებმა ამოწყვიტეს, შეიპყრეს და აწამეს[1]“.

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 29, 1952 წ. გვ. 567—568.

სპარტაკის აჯანყება, ისე როგორც მის წინ და მის შემდეგ მომხდარი მონათა სხვა აჯანყებები, განწირული იყო დასაღუპავად. მაშინ ისტორიულად შექმნილი ობიექტური და სუბიექტური პირობების გამო მათ არ შეეძლოთ ხელისუფლების აღება, გაბატონებულ კლასად გადაქცევა და თავიანთი დიქტატურის დამყარება. ისტორიაში არსებულ დაჩაგრულ და ექსპლოატირებულ კლასთაგან ამის უნარი შესწევს მხოლოდ მუშათა კლასს, როცა კაპიტალიზმის განვითარების გამო მწიფდება პირობები ბურჟუაზიული კლასის დასაღუპავად, როცა მუშათა კლასი ორგანიზებულად ეწევა ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ, როცა ამ მუშათა კლასს ნათლად წარმოდგენილი და თეორიულადაც (მარქსიზმი) დასაბუთებული აქვს თავისი ისტორიული მისია, როცა მას გარკვეული აქვს ბრძოლის ძირითადი გზები და მოხაზული აქვს ახალი, მომავალი უკლასო საზოგადოების ძირითადი კონტურები, როცა მას ამ ბრძოლაში ავანგარდად ჰყავს საზოგადოების განვითარების კანონზომიერების ცოდნას დაუფლებული პარტია. რა თქმა უნდა, ყველა ეს პირობები არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მაშინ. ყოველივე ამას მოკლებულ მონათა აჯანყებებს არ შეიძლებოდა მარცხი არ განეცადათ. ლენინი წერს: „მონები, როგორც ვიცით, აწყობდნენ აჯანყებებს, ამბოხებებს, იწყებდნენ სამოქალაქო ომებს, მაგრამ მათ ვერასოდეს ვერ შესძლეს შეექმნათ შეგნებული უმრავლესობა, ბრძოლის ხელმძღვანელი პარტიები, ვერ შესძლეს ნათლად შეეგნოთ თავიანთი მიზანი, და ისტორიის უაღრესად რევოლუციურ მომენტებშიაც კი ისინი ყოველთვის უბრალო იარაღს წარმოადგენდნენ გაბატონებული კლასების ხელში“[1].

ლენინის ეს გენიალური დებულებები მონათა აჯანყებების მარცხის შესახებ დასტურდება უამრავი კონკრეტული ფაქტებით მონათმფლობელური ფორმაციის მთელ მანძილზე. მონათა არც ერთ აჯანყებას ისტორიაში სათავეში არ ედგა პარტია, და ეს იმ უბრალო მიზეზით, რომ ასეთი პარტია მათ საერთოდ არ ჰყავდათ. თვითონ ეს მონათა აჯანყებები იწყებოდა სტიქიურად,

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 29, 1952 წ. გვ. 574.

ყოველგვარი ჩამოყალიბებული გეგმისა და პროგრამის გარეშე, მიტომ ხშირად ამ სტიქიურად დაწყებულ აჯანყებებს სათავეში უდგებოდნენ შემთხვევითი ადამიანები.

აჯანყებას ეტმასნებოდა ყველა მონა, მოჯამაგირე და ღარიბი, ვისაც კი ამისი სურვილი ჰქონდა და ვისაც საკუთარი მდგომარეობის მძიმე პირობები უბიძგებდა აქეთკენ.

ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში არსად ზუსტად და გარკვევით არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ მონათა რომელსამე აჯანყებას შეგნებულად და გააზრებულად მიზნად ჰქონდათ დასახული მონობის, როგორც სისტემის, მოსპობა და მის ნაცვლად სხვა რაიმე ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შექმნა და დამყარება. ყრუ ლაპარაკი წყაროებში იმაზე, რომ არისტონიკე მისი ხელმძღვანელობით დაწყებულ მონათა და ღარიბთა აჯანყების (132—130 წწ) მონაწილეებს „ჰელიოპოლიტებს", ანუ მზის საბელმწიფოს მოქალაქეებს უწოდებდა (სტრაბონი), ან რომ სიცილიის მონათა პირველი აჯანყების დროს მონები რამდენადმე ფრთხილად ეკიდებოდნენ წვრილ წარმოებასა და წვრილმწარმოებლებს (დიოდორე) და სხვა ასეთი—არ იძლევა საფუძველს ასეთი დასკვნის გაკეთებისათვის.

ერთი სიტყვით, როგორც ლენინი წერს, მონებმა „ნათლად ვერ შეიგნეს თავიანთი მიზანი". ამიტომ მათ არ გააჩნდათ გამარჯვების შემთხვევისათვის რაიმე ახალი ურთიერთობის მოწყობის გარკვეული სამოქმედო პოლიტიკური და ეკონომიური პროგრამა. მათი მიზანი ის იყო, რომ თვითონ პირადად ამ აჯანყებათა გზით განთავისუფლებულიყვნენ მონობისაგან.

მონების მიერ მომავლის ამ გარკვეული მიზნის უქონლობას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ხშირად ისინი თვითონვე ღალატობდნენ აჯანყებას და მონათმფლობელებს უჭერდნენ მხარს. ასე მაგალითად, როცა სიცილიის მონათა მეორე აჯანყების დროს აჯანყებულ მონათა მეფემ, სალვიმ ალყა შემოარტყა ქ. მორგანტინს და ქალაქში მყოფ მონებს შეჰპირდა განთავისუფლებას და მოუწოდა მათ მხარი დაეჭირათ აჯანყებულთათვის, მონებმა, დიოდორეს ცნობით, მხარი დაუჭირეს თავიანთ პატრონებს, როცა ეს უკანასკნელებმა მოტყუების მიზნით ასეთივე დაპირება მისცეს მონებს. სიცილიის მონათა პირველი აჯანყების დროს კი, რო-

გორც იგივე დიოდორე გადმოგვცემს, რომის სარდლობამ აჯანყებაში მონაწილე მოღალატე მონების დახმარებით შეძლო ქალაქების—ტავრომენისა და ჰენას აღება. მონების მიერ თავიანთი მიზნის გაურკვევლობისა და ახალი სოციალური ურთიერთობის შექმნის უგულებელყოფის მაჩვენებელია ისიც, რომ სიცილიის მონათა პირველი და მეორე აჯანყების მეთაურნი—ევნა, სალვი და აფენიონი მონებმა მეფეებად გამოაცხადეს, ხოლო ამ უკანასკნელთ, როგორც კი მეფის გვირგვინი დაიდგეს თავზე, მაშინვე სასახლეები მოაწყეს სამეფო კარის ყველა ატრიბუტით და მდიდრულ (მეფურ) ცხოვრებას მიჰყვეს ხელი.

გარდა ამისა, რომის და საბერძნეთის ისტორიაში არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, როცა მონებს რაიმე გზით თავი დაუღწევიათ მონობისათვის და შემდეგ თვითონ მონათმფლობელები გამხდარან. ზოგიერთ მათგანს დიდი სიმდიდრეც შეუძენია და ხშირად ასობით და ათასობით მონები ჰყოლიათ. ასეთები იყვნენ, მაგალითად: ისიდორე, ნარცისი, პალასი და სხვები. ალბათ ასეთი შემთხვევები აქვს გ. პლეხანოვს მხედველობაში, როცა წერს, რომ „სპარტაკის ხელმძღვანელობით აჯანყებული მონები ებრძოდნენ არა მონობას, არამედ თავიანთ ბატონებს; მათ რომ თავისუფლება მოეპოვებინათ, ხელსაყრელ პირობებში, თვითონვე სრულიად დამშვიდებული სინდისით მონათმფლობელები გახდებოდნენო“.

მაგრამ ის გარემოება, რომ მონებს ახალი სოციალური ურთიერთობის შექმნა არ ჰქონდათ გარკვევით დასახული და რომ ისინი შეუგნებლად და სტიქიურად მოქმედებდნენ, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მონების ამ აჯანყებებსა და რევოლუციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონოდეთ, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ მონათმფლობელური ფორმაციის დაღუპვის ძირითად მიზეზს და არ აჩქარებდნენ ამ დაღუპვას. ზემოაღნიშნული გარემოება მხოლოდ იმას გვიხსნის, თუ რატომ მოხდა, რომ მონათა აჯანყებებმა და რევოლუციებმა, რომლებმაც მონათმფლობელური ფორმაცია დაანგრიეს, ვერ შეძლეს ხელისუფლების სათავეში მონები მოექციათ და მათი დიქტატურა დაემყარებინათ.

ერთი სიტყვით, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, მონათა რევოლუციები ღუპავენ მონათმფლობელთა კლასს, რო-

გორც მონათმფლობელთა კლასს, და თავიანთ თავსაც, როგორც მონათა კლასს, და გზას უხსნიან ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის წარმოქმნას ფეოდალიზმის სახით. ამბ. სტალინი წერს: „მონების რევოლუციამ მოსპო მონათმფლობელები და გააუქმა მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა. მაგრამ მათ ნაცვლად მან დააყენა მებატონეები და მშრომელთა ექსპლოატაციის ბატონყმური ფორმა. ერთი სახის ექსპლოატატორები შეცვალეს სხვა ექსპლოატატორებმა“[1].

ძველ საბერძნეთსა და რომში მონათა რევოლუციების გაძლიერებასა და გაშლას, მონათმფლობელური ურთიერთობისა და ექსპლოატაციის მოსპობას დიდად უწყობდა ხელს თავისუფალ ღარიბებსა და მდიდრებს შორის კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება.

---

[1] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1951 წ. გვ. 524.

XV. კლასობრივი ბრძოლა მდიდრებსა და ღარიბებს შორის ძველ საბერძნეთში

მონათმფლობელური წყობილების დროს, გარდა ორი ძირითადი ფორმაციული კლასისა—მონათმფლობელებისა და მონებისა, არსებობდა წვრილი მესაკუთრე გლეხთა და ხელოსანთა ფენაც, რომელიც თავად საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. მაგრამ იაფი მონური შრომის თანდათანობითმა ზრდამ წარმოებაში, რომელთანაც ამ წვრილ გლეხებსა და ხელოსნებს კონკურენციის გაწევა არ შეეძლოთ, გამოიწვია მათი თანდათანი გაჩანაგება და გაპროლეტარება. ასე წარმოიქმნენ ძველ საბერძნეთში უქონელნი და ღატაკნი, რომელთაც ბერძნები საერთო ტერმინით „დემოსს“ უწოდებდნენ.

რუსი მკვლევარის აკადემიკოს ტიუმენევის გაპოანგარიშებით, ძველი წელთაღრიცხვის 420 წელს უქონელ მოქალაქეთა რაოდენობა ათენის მოქალაქეთა საერთო რიცხვის 42% ჟღრიდა, 100 წლის შემდეგ კი (320 წლისათვის) ეს რაოდენობა 57%-მდე გაიზარდა. რა უნდა ექნათ ასე მასობრივად წარმოქმნილ ამ გაღატაკებულ მოქალაქეებს, რომელთაც თავიანთი არსებობისათვის ახლა აღარაფერი აღარ გააჩნდათ სამუშაო ძალის გარდა, და როცა ამ სამუშაო ძალის გაყიდვასაც ისინი ვერ ახერხებდნენ მონური შრომის სიიაფის გამო. ასეთ პირობებში ისინი ან უნდა ამოწყვეტილიყვნენ შიმშილით, ანდა დაეწყოთ სამოქალაქო ომი და ცდილიყვნენ მდიდართა ქონების ექსპროპრიაციას.

თავისუფალ, უქონელ მოქალაქეთა ასეთი აჯანყებები და სამოქალაქო ომები ხშირი მოვლენა იყო, როგორც ძველი აღმოსავლეთის, ისე ანტიკური ქვეყნების (საბერძნეთი და რომი) ისტორიაში. ასე მაგალითად, 405 წელს ძველი წელთაღრიცხვით, სიცილიის ქალაქ სირაკუზში ასეთ მოქალაქეებზე დაყრდნობით სტრატეგმა

დიონისემ ხელთ იგდო ძალაუფლება და თავი გამოაცხადა ტირანად. გამარჯვებულებმა მდიდრები ამოწყვიტეს და მათი ქონება ღარიბებმა, ჯარისკაცებმა და აზატებმა თვითონ გაინაწილეს. 370 წელს კი (ძვ. წ.) არგოსში აჯანყებულმა ღარიბებმა ჯოხების ცემით ქუჩებში დახოცეს 1500-მდე მდიდარი მოქალაქე და მათი ქონება გაინაწილეს. ასეთი მაგალითები მრავალია მთელ ძველ ისტორიაში, კერძოდ, საბერძნეთშიც. ყველა მათი ჩამოთვლა აქ შორს წაგვიყვანდა.

ერთი მხრით, მონათა და მონათმფლობელთა და, მეორე მხრით, მდიდარ და ღარიბ თავისუფალთა შორის კლასობრივი ბრძოლა მონათმფლობელურ ფორმაციაში მთელი სიმძაფრით წარმოებდა. „მდიდრები და ღარიბები,—წერს ამხანაგი სტალინი,— ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი, სრულუფლებიანნი და უუფლებონი, სასტიკი კლასობრივი ბრძოლა მათ შორის—ასეთია მონათმფლობელური წყობილების სურათი"[1].

ეკონომიურად ყველაზე ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფოები, სადაც დემოკრატიული მმართველობა იყო, ცდილობდნენ, რომ ეს დაძაბულობა უქონელთა და მდიდართა შორის ნაწილობრივ იმით მაინც შეენელებინათ, რომ ამ გაღატაკებულთა ერთი ნაწილისათვის გაეწიათ მცირედი სახელმწიფო დახმარება ფულის ან პურის გაცემით. ათენში იმ ღარიბებს, რომელთა ქონებაც სამ მინაზე (ე. ი. 120 მანეთზე) ნაკლები იყო და რომელნიც ამავე დროს ფიზიკურად იმდენად ინვალიდები იყვნენ, რომ არ შეეძლოთ არც ერთ ხელობაში მუშაობა, ყოველდღიურად აძლევდნენ ორ ობოლს—13 კაპიკს.

მაგრამ ამ მუქთ სახელმწიფო დარიგებებს არ შეეძლოთ საბოლოო ანგარიშით ძველ საბერძნეთში გაღატაკებულ ფენებსა და მდიდარ მონათმფლობელთა შორის კლასობრივი ბრძოლის დაძაბულობის მნიშვნელოვნად მოდუნება. ჯერ ერთი, იმიტომ რომ ამ მუქთ დარიგებებს საბერძნეთში იღებდნენ მხოლოდ მარტო ქალაქ ათენის მცხოვრებნი და ისიც არა ყველა, არამედ მათგან მხოლოდ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ინვალიდები, გარდა ამისა, ეს დარიგებებიც ხშირად მცირდებოდა ან ისპობოდა ომისა

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950 წ. გვ. 154.

და ბლოკადის დროს, ან სახელმწიფოს მესვეურთა ნება-სურვილით და სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირებით. მეორე მხრით, იმათთვისაც, ვინც ამ დახმარებას იღებდა, იგი სრულიადაც არ იყო საკმარისი ოჯახის მინიმალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ კლასობრივი ბრძოლა გაღატაკებულ ბერძენთა და მსხვილ ბერძენ მონათმფლობელთა შორის კვლავ დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ამას ზედ ერთოდა იმ დღიურ მუშათა ბრძოლაც, რომელთაც ჯერ კიდევ გააჩნდათ სამუშაო, და აგრეთვე იმ გლეხთა და ხელოსანთა, რომელნიც თავის წარმოების საშუალებათაგან ჯერ კიდევ არ იყვნენ ექსპროპრიაციაქმნილნი და, ამგვარად, მთლიანად გაპროლეტარებულნი.

სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობაში ამ დღიურად მომუშავე მუშების ბრძოლას საფუძვლად ის გარემოება ედო, რომ მათი ხელფასი მეტად დაბალი იყო. მკვლევარ მაურის გამოანგარიშებით, თავისუფალთა დღიური ქირა ატიკაში V საუკუნის ბოლოს შეადგენდა დღეში ერთ დრახმას, ხოლო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმი ოთხი სულისაგან შემდგარი ოჯახის სარჩენად განისაზღვრებოდა წლიურად 400 დრახმით. ამგვარად, მთელი წლის განმავლობაში უწყვეტი და ქანცგამომლევი დაქირავებული ფიზიკური შრომით ღარიბ ბერძნებს არ შეეძლოთ ოჯახის რჩენა და შენახვა. „მუშებსა და გლეხებს,—წერდა V საუკუნის მიწურულის ბერძენი მწერალი პროდიკი,—ქანცი უწყდებათ დღე და ღამე მუშაობით. ამავე დროს ისინი ძლივძლივობით შოულობენ საარსებო სახსარს“-ო.

ამ ღარიბთა და უქონელთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა, და ამ ნიადაგზე წარმოშობილი მორალური დაბეჩავების შეგნება კარგად არის ასახული იმდროინდელ ბერძნულ ნახატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში. „ღარიბი იყო—ეს იმას ნიშნავს, რომ იყო ყველას მიერ ათვალწუნებული და ღირსებას მოკლებული“-ო, წერს ბერძენი მწერალი ევრიპიდე. „ღარიბს ყველა მაღლიდან უყურებს“-ო, წერს მენანდრე. ფილემონი კი ამბობდა—„ღარიბი განძარტოებულია“-ო. ამავე დროს ამ ღარიბებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ მათი ამ დამცირებისა და მორალური დაბეჩავების მიზეზი მათი სიღარიბე იყო. „ჩვენი სიღარიბე,—წერდა დიფილე,—ჩვენი მთავარი მტერია“-ო.

გაღატაკებული მასების გვერდით საბერძნეთში გაჩნდნენ ცალკეული ჯგუფები და პირები, რომელთაც ასეულ ათასობით და ზოგს კი მილიონობით ქონება ჰქონდათ. ასე მაგალითად, სპარტის ცნობილ სარდლის ლისანდრეს ქონება უდრიდა 2000 ტალანტს (დაახლოებით 4 მილ. მანეთს), ეპიკრატესის—1,5 მილიონს. 50 და 100 ათასი მანეთის ქონების მფლობელნი, რა თქმა უნდა, უფრო ბევრნი იყვნენ.

მაშინდელ ბერძნულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მდიდრებს ეს ქონება პატიოსანი გზით არ ჰქონდათ შეძენილი. „მე,—ამბობს ერთი გლეხი არისტოფანეს კომედიაში,—ღვთისმოშიში და სამართლიანი კაცი ვარ, ღარიბი ვიყავ და ვცხოვრობდი გაჭირვებაში. მდიდრებს მე სხვებს ვხედავდი: ტაძრების გამძარცველებს, მოლაყბეებს, მატყუარებს, სიკოფანტებს (დამსმენებს—მ. ა.) და ფლიდებს“-ო. მენანდრე კი ამბობს: „არც ერთი პატიოსანი კაცი არ გამდიდრებულა ჩქარა“-ო. „სიმდიდრეს სწორედ უდიდესი არამზადები გამოჰყავს პირველ რიგში“-ო,—წერს ევრიპიდე.

ეს მდიდრები ქონებას იძენდნენ არა მარტო მონათა ექსპლოატაციით და უპატიოსნო გზით—ძარცვით, ფლიდობით და დასმენით, არამედ აგრეთვე სპეკულაციით, მევახშეობით და ომებით. ძველ საბერძნეთში კი ამ ომებს თითქმის პერმანენტული ხასიათი ჰქონდათ. ჯერ კიდევ არისტოტელე და დემოსთენე აღნიშნავდნენ, რომ ომს ადამიანთა ერთი ჯგუფისათვის უბედურება, და მეორე ჯგუფისათვის კი გამდიდრება მოაქვსო. ხოლო სპეკულაცია საბერძნეთში ამ განუწყვეტელი ომების მუდმივი თანამგზავრი იყო. „ეს ხალხი,—წერს ამ სპეკულანტებზე ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში მცხოვრები ათენელი ორატორი მეტეკი ლისია,—ყველაზე მეტ მოგებას იღებენ მაშინ, როდესაც მოდის ცნობა უბედურებაზე, რომელიც თავს ატყდება ჩვენს სახელმწიფოს, მაშინ ისინი პურს უფრო ძვირად ჰყიდიან. ისინი სიხარულით უყურებენ ჩვენს ტანჯვას და ცდილობენ, სხვებზე უფრო ადრე მიიღონ ცნობა ჩვენს სახელმწიფოზე თავდატეხილ უბედურების შესახებ, ზოგჯერ კი ისინი თვითონ ავრცელებენ ცრუ ხმებს, თითქოს ჩვენი გემები პონტოში დაიღუპნენ, ან ათენში მომავალი ტრანსპორტი სპარტე-

ლებმა იგდეს ხელთ, ანდა ჩაკეტეს ნავსადგურში, ანდა თითქოს მშვიდობას ემუქრება განხეთქილება“.

ლისია შემდეგ აღნიშნავს: ეს სპეკულანტები ერთმანეთს უთანხმდებიან ფასში და გვაიძულებენ პური უფრო ძვირად ვიყიდოთო. „აი რატომ ხდება, რომ ზოგჯერ ჩვენ,—დაასკვნის ლისია,—მათი მიზეზით მშვიდობიანობის დროსაც საალყო მდგომარეობას განვიცდით“-ო. არისტოტელეს გადმოცემით კი, ერთმა სიცილიელმა სპეკულანტმა შეისყიდა იქ არსებული რკინის მთელი მარაგი და შემდეგ მაღალ ფასებში მისი გაყიდვით 50 ტალანტი მოგება მიიღო.

„იქ, სადაც საქმე ეხება გამორჩენას,—წერს V საუკუნის მწერალი ეერიპიდე,—ტკბილი იმედი გადაიქცევა გაუმაძღარ ვნებად, რომელიც ეუფლება ყველა მომაკვდავს. ქონების შეძენის გულისთვის ადამიანები მიმოქრიან ზღვებზე და, აღიზიანებენ რა თავიანთ ამ სულელურ ვნებას, მიდიან უცხო ქალაქებში“-ო.

ძველ საბერძნეთში დიდად იყო აგრეთვე გავრცელებული მევახშეობა. ანტიკური დროის ამ მევახშეობაზე ახალი დროის ცნობილი რეფორმატორი მარტინ ლუთერი წერდა: „წარმართებს შეეძლოთ თავიანთი ქკუით დაესკვნათ, რომ მევახშე ოთხმაგი ქურდი და კაცისმკვლელია“-ო.

აი ის გზები, რომლითაც ბერძენი მონათმფლობელები სიმდიდრეს აგროვებდნენ. 24—25 საუკუნის წინათ არსებული ყველა ეს ბინძური მეთოდი სიმდიდრის დაგროვებისა ერთგვარად მიემსგავსება თანამედროვე იმპერიალისტების, ამერიკელი მონოპოლისტების მეთოდებს, რომელნიც ასევე ხალხის გაჭირვების, მათი სისხლისა და ცრემლების საშუალებით, ცივი და ცხელი ომის პოლიტიკის გატარებით, მშვიდობის დარღვევით, სპეკულაციით და მარშალის ყბადაღებული მევახშური გეგმით ყელზე სალტეს უჭერენ ათეულობით სახელმწიფოებს და ასეულ მილიონობით ხალხებს თავიანთი ჯიბისათვის ზემოგების ამოსაქაჩავად. განსხვავება იმაშია, რომ ამერიკული და ინგლისელი მონოპოლისტები სხვა ეპოქასა და სხვა ვითარებაში მოქმედებენ უფრო მეტად ბინძური და თაღლითური მეთოდებით და ვეება მასშტაბით, როგორსაც ძველი მევახშეები და მძარცველები ვერც წარმოიდგენდნენ.

ძველ საბერძნეთში მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული ღრმა სოციალური უფსკრულის მაჩვენებელია იმ დროისთვის ფულადი მეურნეობის დიდი მასშტაბით განვითარება და ფულის მიწიერ ღმერთად და ყოვლისშემძლებელ ძალად მიჩნევა. „ღმერთები,—წერს ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის მწერალი მენანდრე თავის ერთ კომედიაში,—დედაარსია წყლისა და ჰაერის, მიწისა და ცეცხლის, მზისა და მნათობთა. ასე ამბობენ ფილოსოფოსები. მე კი ვფიქრობ, რომ ერთადერთი სასარგებლო ღმერთი ჩვენთვის არის ოქრო და ვერცხლი. თუ შენ მათ შეიტან შენს სახლში, მაშინ შენ შეგიძლია მოისურვო რაც მოგეხასიათება და ყველაფერი ეს მაშინვე გექნება: ქონებაც, სახლიც, ვერცხლის ჭურჭელიც, მეგობრებიც, მლიქვნელი მსახურნიც, მოწმეებიც და დამსმენნიც. საჭიროა ცოტა მეტი მისცე და შენი მსახურნი გახდებიან თვითონ ღმერთებიც“-ო[1].

ფული, წერს მეორე მწერალი ტიმოკლე, „სისხლი და სულია მომაკვდავთა. ვისაც იგი არა აქვს, დაეთრევა, როგორც მკვდარი ცოცხლებს შორის“-ო. ამ „ყოვლისშემძლებელ“ ფულს ზოგიერთი ბერძენი მწერალი მიიჩნევდა ადამიანთა შორის ყოველგვარი გათახსირებისა და უპატიოსნების წარმოქმნის მიზეზად. „ადამიანთა შორისო,—მოჰყავს მარქსს ბერძენი დრამატურგის სოფოკლეს სიტყვები,—არაფერს არ შეუქმნია ისეთი ცუდი ზნე-ჩვეულება, როგორც ფულს. იგი ანადგურებს ქალაქებს, აძევებს ხალხს სახლებიდან და რყვნის მის გონებას, კეთილ ადამიანს ცუდ საქმეზე აქეზებს და ყოველ მოქმედებაში უპატიოსნება შეაქვს“[2].

---

[1] რომის იმპერატორ ვიტელიუსის (ვიტელიუსი იმპერატორად იყო ახ. წელთაღრ. 69 წელს) მამამ იმდროინდელი რომის ორი ყველაზე მდიდარი ახალის (განთავისუფლებული მონის), ნარცისისა და პალასის (რომელთაგან პირველს 400 და მეორეს 300 მილიონი სესტერცის ქონება ჰქონდათ) სურათები ოქროში ჩამოასხა და საკუთარ სახლში შინა ღმერთების გვერდით მოათავსა.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ I. გვ. 95. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ზნეობრივ გათახსირებაზე ფულის ეს მოქმედება ასევე ჰქონდათ გაგებული რომშიაც, როგორც ეს ჩანს მონათა აჯანყების ბელადის—სპარტაკის ერთი ლონისძიებიდან. პლინიუსი თავის „ბუნების მეტყველების ისტორიაში“ ამის შესახებ წერდა; „ჩვენ ვიცით რომ სპარტაკმა თავის ბანაკში სასტიკად აუკრძალა მონებს, რომ მათ არ ჰქონოდათ არც ოქრო და არც ვერცხლი. რამდენად აღგვემატებიან ჩვენ ეს ლტოლვილი მონები“-ო,—გაკვირვებით ასკვნიდა პლინიუსი.

ასეთ ვითარებაში, როდესაც თავისუფალი მოსახლეობის ნახევარზე მეტი სრულიად გაპროლეტარებული და არაფრის მქონე იყო, ხოლო საზოგადოების მთელი დოვლათის დიდი ნაწილი და ფულადი „კაპიტალი“ ერთი მუჭა მდიდარი მონათმფლობელების, მევახშეებისა და მსხვილი სპეკულანტების ხელში იყო თავმოყრილი, ბუნებრივია, რომ კლასობრივ ბრძოლას იქ, თავისუფალთა ამ ორ ჯგუფს შორის, მეტად მძაფრი ხასიათი უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც. ეს ნათლად ჩანს მაშინდელი ეპოქის წყაროებიდანაც. ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის პოლიტიკური მოღვაწე და ორატორი ისოკრატე წერს: „მტრისა ნაკლებ ეშინიათ, ვიდრე საკუთარ თანამოქალაქეთა. მდიდრები მზად არიან უმალ ზღვაში გადაყარონ თავიანთი ქონება, ვიდრე მისცენ იგი ღარიბთ; ღარიბისათვის კი იმაზე უფრო სასურველი არაფერია, ვიდრე მდიდართა გაძარცვა. მსხვერპლს აღარ სწირავენ და საკურთხეველთან ხალხი ერთმანეთს ხოცავს. მრავალ ქალაქს ახლა მეტი ემიგრანტი ჰყავს, ვიდრე წინათ ნებელ პელეპონესს ჰყავდა“.

„ეს ხალხი,—წერს მეორე ორატორი ლისია მდიდრებზე,— თავიანთ სამშობლოდ თელიან ყველა ქვეყანას, სადაც კი მათ შეუძლიათ ნახონ ეკონომიური სარგებლიანობა, რადგანაც ისინი ხედავენ თავიანთ სამშობლოს არა სახელმწიფოში, არამედ ფულში“-ო. თავისუფალ ღარიბთა და მდიდართა კლასობრივი ბრძოლის ამ გამძაფრებისა და წინააღმდეგობის გამო, იმ პერიოდში (IV საუკუნე) მცხოვრები ფილოსოფოსი პლატონი წერდა, რომ ფაქტიურად ამ წინააღმდეგობათა გამო სახელმწიფო გაყოფილია ორ ურთიერთშორის რადიკალურად მოწინააღმდეგე ბანაკად: მდიდართა და ღარიბთა სახელმწიფოდ, რომელშიაც ისინი ურთიერთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიანო.

კლასობრივი ჩაგვრისა და დაბეჩავების ნიადაგზე საბერძნეთის დაბალ ფენებში იბადება უტოპიური თეორიები და მისწრაფებანი არსებული ურთიერთობის ისეთ საზოგადოებად გადაკეთებისა, რომელშიაც აღარ იქნებოდნენ მდიდრები და ღარიბები და, რომელშიაც ქონებრივი უთანასწორობის მოსპობას მოჰყვებოდა საზოგადოების ყველა თავისუფალი ფენის ეკონომიური ნიველირება.

ეს იდეა გამოხატულია არისტოფანეს ერთ კომედიაში „ქალები სახალხო კრებაზე“, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 392 წელს დაიდგა ათენის სცენაზე. ამ პიესის მთავარი გმირი ქალი პრაქსაგორა ქალების სახალხო კრებაზე ამბობს: „მე ვფიქრობ, რომ ამიერიდან ყველაფერი უნდა გახდეს საერთო. შორს ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ერთი ფლობს უზარმაზარ მამულებსა და ფულს და მეორეს დასამარხი ადგილიც კი არა აქვს, როცა ზოგს მონების მთელი არმია ჰყავს და ზოგს ერთი მოსამსახურეც კი არა. საერთო მფლობელობად უნდა იქცეს მინდვრები, ფული და ყველა სხვა სახის ქონება; მაშინ არ იქნებიან არც ღარიბები, არც მდიდრები, ყველას ექნება საკმარისი საჭმელი და სასმელი. არ იქნება აგრეთვე ოჯახი, რომელიც ახლაც მიუწვდომელია პროლეტარისათვის. უფროსი თაობის ყველა ადამიანი ჩაითვლება მამებად უმცროსი თაობისათვის“.

ეს დაბალი, თავისუფალი და გაღატაკებული ფენები, რომელნიც თვითონ განიცდიდნენ ეკონომიურ ჩაგვრას და მორალურ დაბეჩავებას შეძლებული კლასის მხრივ, ისწრაფვიან არა მთლიანად საზოგადოების ყველა ფენის, არამედ მხოლოდ თავისუფალთა ეკონომიური და პოლიტიკური თანასწორობისაკენ. თანასწორობის ეს მოთხოვნა არ ეხებოდა მონებს, რადგან როგორც მდიდარი, ისე ღარიბი ბერძნების შეგნებაში გამჯდარი იყო მონობის მუდმივობისა და მონათა გაძაღლებული ყოფის სამართლიანობის რწმენა. ამიტომ სახელმწიფოს გადაკეთების პრაქსაგორას ზემოაღნიშნული სოციალური ვარიანტიც მონობას ხელუხლებლად სტოვებდა ამ რეფორმირებულ საზოგადოებაში.

ამ ახალ საზოგადოებაში მონებს ისევ თავიანთი ძველი როლი უნდა შეესრულებინათ. ამ საზოგადოებაში „მინდვრებს,—ამბობს პრაქსაგორა,— ამუშაებენ მონები“. უფრო მეტიც, პრაქსაგორას პროექტით, მონებმა უნდა შეასრულონ ყველა ფიზიკური სამუშაო, რადგანაც ყველა თავისუფალის ეკონომიური გათანასწორება, მოსპობს რა სიღარიბეს მათ შორის, ამით მანამდე ფიზიკურად მომუშავე ღარიბებს გაანთავისუფლებს ამ ფიზიკური შრომის აუცილებლობისაგან. „სიღარიბე,—ამბობს პრაქსაგორა,—არავის არ აიძულებს იმუშაოს, რადგანაც ყველაფერი საერთო სამფლო-

ბელოებად იქცევა“-ო. ეს საერთო სამფლობელოები კი მონების შრომით უნდა დამუშავებულიყო.

ამგვარად, ძველ საბერძნეთში მდიდრებსა და თავისუფალ ღარიბებს შორის კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო, მონური შრომის ექსპლოატაციით შექმნილი სიმდიდრის განაწილებისათვის ბრძოლა. ამავე დროს, ამ ბრძოლაში, წვრილი მწარმოებლები ცდილობდნენ, თავი დაეცვათ და არსებობა შეენარჩუნებინათ მსხვილ მონათმფლობელთა ხელში დიდი მასშტაბით გაერთიანებულ მონური შრომის შეტევისა და კონკურენციისაგან.

პოლიტიკური უფლებების მოპოვებისა და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ღარიბთა ამ ბრძოლას უფრო მძაფრი ხასიათი ძველ რომში ჰქონდა მიღებული, სადაც წვრილმწარმოებელთა ექსპროპრიაცია უფრო დიდი მასშტაბით ხდებოდა და უფრო მძიმე შედეგებითაც თავდებოდა.

XVI. გლეხების გაღატაკება ძველ რომში, ლუმპენპროლეტარიატის წარმოქმნა და დაპყრობილი ძვეყნების (პროვინციების) ძარცვა

თავად რომი მხოლოდ პოლისი (ქალაქ-სახელმწიფო) იყო და მისი ისტორიის ადრეულ პერიოდში მისი ტერიტორია მხოლოდ თვით ქალაქითა და მის იერგვლივ მდებარე მიწებით (გარეუბნებით) განისაზღვრებოდა. მაგრამ უკვე VII საუკუნიდან იგი იწყებს მეზობელი ტომების დაპყრობას და რომის ამ აგრესიის გაძლიერებასთან ერთად მისი ტერიტორიაც თანდათან იზრდებოდა. ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის სამოცდაათიან წლებში რომი ამთავრებს უკვე აპენინის ნახევარკუნძულის მთლიანად დაპყრობასა და დამორჩილებას. რომის მომძლავრებული სახელმწიფო აღარ ჩერდება თავის ამ ბუნებრივ საზღვრებში და ხანგრძლივი ომით, რომელიც ისტორიაში პუნიკური ომების სახელწოდებით არის ცნობილი (264—146 წწ), იგი ამარცხებს და ანადგურებს კართაგენს და იპყრობს აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთით ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კუნძულ სიცილიას.

სიცილია მდიდარი სასოფლო-სამეურნეო რაიონი იყო, სადაც იმ დროს დიდი რაოდენობით მოჰყავდათ პური. რომის მსხვილმა მონათმფლობელებმა ძირითადად თვითონ ჩაიგდეს ხელში სიცილიის მარცვლეული მეურნეობა. მას ისინი მონური შრომით ამუშავებდნენ, იაფი უჯდებოდათ და დიდი რაოდენობითაც გაჰქონდათ სასაქონლო პური რომში. გარდა ამისა, ადგილობრივ მოსახლეობას რომაელები პურს ახდევინებდნენ გადასახადის ანგარიშშიც. ამ მდგომარეობის გამო ბუნებრივი იყო, რომ სიცილიიდან შეზიდულ ამ იაფ პურთან, კონკურენციის გაწევა არ შეეძლო თვით იტალიაში იტალიელი გლეხების მიერ მოყვანილ

პურს. ამიტომ იტალიაში ადგილობრივ მოყვანილ პურზე ფასები თანდათან ეცემოდა და გლეხური მეურნეობაც, რომელიც მარცვლეულის მოყვანას მისდევდა, თანდათან ხაკლებ შემოსავლიანი ხდებოდა.

ამ მდგომარეობის გამო იტალიელი გლეხი იძულებული ხდებოდა მიეტოვებინა მარცვლეულის მოყვანა და გაეყიდა მიწა. ამ მიწებს ყიდულობდნენ მსხვილი მემამულეები, რომელნიც ხორბლეული კულტურის დაბალი შემოსავლის გამო, ნაყიდ მიწებზე იწყებდნენ მრავალწლიანი ტექნიკური კულტურების (ვენახი, ზეთისხილის პლანტაციები და სხვა) გაშენებას. ტექნიკური კულტურები კი მათ საკმაო მოგებას აძლევდა. წვრილმწარმოებელ გლეხს, თავისი ეკონომიური უსახსრობის გამო, არ შეეძლო მრავალწლიან კულტურაზე გადასვლა, რადგან იგი ნაყოფის მიცემამდე რამდენიმე წელს „მუქთად" მოითხოვდა შრომასა და მოვლას. გლეხს კი ამდენი ლოდინი და წლების განმავლობაში „ავანსად" შრომის გაღება არ შეეძლო.

რომში არსებობდა აგრეთვე ე. წ. ager publicus—სახელმწიფო (საზოგადო) მიწები. სახელმწიფო მიწები რომის მიერ იტალიის სხვა ტომებისა და ხალხების დაპყრობის შედეგად იზრდებოდა, რადგანაც რომი დაპყრობილ ხალხებს ართმევდა მათი მიწების 1/3 ან 1/2. ჩამორთმეული (მიტაცებული) მიწების ერთ ნაწილს (წვრილ ნაკვეთებს) სახელმწიფო აძლევდა რომაელ გლეხებს, ნაწილს ყიდდა და ნაწილსაც სახელმწიფო მიწებს (ager publicus) უერთებდა. ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის 70-იან წლებში პლებეებმა უფლება მიიღეს სახელმწიფო მიწების იჯარით აღებისა, რისთვისაც ისინი სახელმწიფოს უხდიდნენ მარცვლეული კულტურის მოსავლის ძეათედს და საბაღო კულტურიდან კი მეხუთედს. ხორბლეული კულტურის დაბალი შემოსავლიანობის და პურზე ფასების დაცემის გამო, გლეხები იძულებულნი იყვნენ საზოგადო მიწების იჯარით აღებაც მიეტოვებინათ, რის გამოც ისინიც მსხვილმა მიწათმფლობელებმა იგდეს ხელთ.

„მდიდარი ხალხი იკავებდა,—წერს ძველი ისტორიკოსი აპიანე,—ამ გაუყოფელი მიწის დიდ ნაწილს და დროთა ვითარებაში ისინი მიეიდნენ იმ რწმენამდე, რომ მათ არავინ და არასდროს ამ მიწებს არ წაართმევდა. მდიდართა სამფლობელოების ახლოს

მდებარე ღარიბთა მცირე ნაკვეთებს მდიდრები მათი (ე. ი. ღარიბების—მ. ა.) თანხმობით ან ყიდულობდნენ ანდა ძალით ართმევდნენ... ამასთან ერთად, მდიდრები ნაყიდ მონებს იყენებდნენ როგორც მუშახელს მინდვრების დასამუშავებლად და ჯოგების მოსავლელად, რათა სამიწათმოქმედო სამუშაოებით არ მოეწყვიტათ თავისუფალ-ნი სამხედრო სამსახურის შესრულებისაგან".

ეს სამხედრო სამსახური, რომელშიაც რომაელ გლეხებს იწვევდნენ, იყო მეორე ძირითადი მიზეზი მათ მიერ მიწის ნაკვეთების დაკარგვისა და გაპროლეტარებისა. რესპუბლიკის ადრეულ ხანაში არმიაში გასაწვევი ასაკი განისაზღვრებოდა 17-დან 46 წლამდე. მართალია, როცა ომები არ იყო, ჯარისკაცებს შინ უშვებდნენ, მაგრამ ასეთი მშვიდობიანი პერიოდები რომის ისტორიაში არც თუ ისე ხშირი მოვლენა იყო, რადგან რომი თითქმის პერმანენტულად აწარმოებდა ომებს იტალიაში და მის გარეთ მცხოვრებ სხვა ტომებისა და ხალხების დასაპყრობად. აი მათ შორის ყველაზე ფართე მასშტაბის ომები: V—IV საუკუნეებში რომი ხანგრძლივ ბრძოლას აწარმოებდა ეტრუსკების ქალაქ ვეისთან, 343—341, 328—304, 298—290 წლებში რომი ომს აწარმოებდა სამნიტების წინააღმდეგ, 280—275 წლებში ომობდა პიროსთან, შემდეგ ერთ საუკუნეზე მეტ ხანს შესვენებებით ეომებოდა კართაგენს (264—146 წწ), 214—205, 200—197, 171—168 წლებში იბრძოდა მაკედონიის წინააღმდეგ, 192—189 წლებში—ანტიოქეს წინააღმდეგ, 136—132, 132—130 წლებში—აჯანყებული მონების წინააღმდეგ, 111—105 წლებში—ნუმიდიის მეფე იუგურტას წინააღმდეგ.

რომის სარდალ მარიუსის მიერ 108—104 წლებში გატარებულ სამხედრო რეფორმებით არმიაში ჯარისკაცის ყოფნა განისაზღვრა 16 წლით. ბუნებრივია, რომ წვრილმწარმოებელი გლეხის ასეთი ხანგრძლივი მოწყვეტა თავისი მიწის ნაკვეთისა და პროდუქტიული შრომისაგან აჩანაგებდა მის მეურნეობას, დაუმუშავებელს სტოვებდა მის მიწას. შემდეგ ავგუსტუსის დროს არმიაში ყოფნა განისაზღვრებოდა 20 წლით. ზოგჯერ ომის შემდეგ დაბრუნებული გლეხი, რომელსაც სახლ-კარი და მეურნეობა

გაპარტახებული ხვდებოდა, მის აღდგენას იგი ცდილობდა მევახშეთაგან აღებული ვალით, მაგრამ საავალო პროცენტი იმდენად დიდი იყო, რომ გლეხი კაბალაში ვარდებოდა და მისი მდგომარეობა უარესი ხდებოდა.

განუწყვეტელი ომების შედეგად რომაელ გლეხთა გაპროლეტარებაზე და დაკაბალებაზე მარქსი წერდა: „იგივე ომები, რომლებითაც რომაელი პატრიციები პლებეებს ანადგურებდნენ, აიძულებდნენ რა მათ, გაეწიათ საომარი ბეგარა, რაც ამ უკანასკნელთ აბრკოლებდა მათი შრომის პირობების რეპროდუქციაში და ამიტომ მათ აღატაკებდა (გაღატაკება, რეპროდუქციის პირობების ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა აქ უმთავრეს როლს ასრულებს),—იგივე ომები პატრიციების ბელლებსა და სარდაფებს ნადავლით ავსებდა სპილენძის—მაშინდელი ფულის სახით". რომაელი პატრიციები, წერს შემდეგ მარქსი, „...ამ თავისი მდგომარეობით სარგებლობდნენ იმისათვის, რომ მათგან (ე. ი. პლებეებისაგან—მ. ა.) ვეება საკუთარ სარგებელი გამოეწურათ, რითაც მოვალე მონებად აქცევდნენ პლებეებს"[1].

ასეთ პირობებში, როცა გლეხი ვეღარ იხდიდა აღებულ ვალს, იგი იძულებული ხდებოდა ამ ვალის ანგარიშში მევახშისათვის მიეცა თავისი მიწის ნაკვეთი, ანდა გაეყიდა იგი. ასეთია ის ორი ძირითადი მიზეზი—მარცვლეული კულტურების დაბალი შემოსავლიანობა და ომები, რომელიც იწვევდა იტალიელი გლეხების განადგურებას.

რომის ისტორიის მთელ მანძილზე ეს წვრილი მიწათმოქმედი პლებეები განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდნენ მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგ. „რამდენიმე ხნის წინათ,—წერდა მარქსი ენგელსს 1855 წლის 8 მარტს,—მე ისევ გავიარე რომის (ძველი) ისტორია ავგუსტუსის ეპოქამდე. შინაგანი ისტორია შეიძლება მთლიანად დაიყვანო წვრილი მიწათმფლობელობის ბრძოლაზე მსხვილთან, რა თქმა უნდა, იმ მოდიფიკაციების შეტანით, რომლებიც დაპირობებულია მონობის არსებობით"[2].

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III. ნაწ. 11, გვ. 130.

[2] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 236.

ეს ხანგრძლივი ეკონომიური ბრძოლა წვრილ და მსხვილ მიწათმფლობელთა შორის II და I საუკუნეებში, წვრილმიწათმფლობელთა, ე. ი. პლებეების განადგურებით და ლუმპენ-პროლეტარებად მათი გარდაქმნით დამთავრდა. თვით ისტორიული განვითარების ობიექტური კანონზომიერებით სხვანაირად ეს არც შეიძლებოდა მომხდარიყო. 1877 წელს მარქსი წერდა ჟურნალ „Отечественные записки"-ის რედაქციას: „კაპიტალის" სხვადასხვა ადგილას მე გაკვრით მაქვს აღნიშნული ძველი რომის პლებეების ბედი. დასაწყისში ისინი თავისუფალი გლეხები იყვნენ, რომელნიც თავის ხარჯზე ამუშავებდნენ თავის საკუთარ მიწის ნაკვეთებს. რომის ისტორიის განმავლობაში მათი თანდათანი ექსპროპრიაცია მოხდა... ამრიგად, ერთ მშვენიერ დილას აქ გაჩნდნენ, ერთის მხრივ, თავისუფალი ადამიანები, მოკლებულნი ყველაფერს, გარდა შრომის უნარისა, ხოლო, მეორე მხრივ, შრომის საექსპლოატაციოდ—ყველა შეძენილ სიმდიდრეთა მფლობელნი"[1].

აი სწორედ ეს თავისუფალი ადამიანები, რომელნიც, მარქსის სიტყვით, მოკლებულნი იყვნენ ყველაფერს, გარდა შრომის უნარისა, იქცნენ ლუმპენპროლეტარებად. ამ ლუმპენპროლეტარიატის მასობრივი წარმოქმნა რომში იწყება II საუკუნეში. იგი სწრაფად ძლიერდება მესამე პუნიკურ ომში კართაგენის დანგრევისა და სიცილიის რომთან საბოლოოდ შეერთების შემდეგ, და თავის უმაღლეს წერტილს აღწევს ძველი და ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. ამ გაღატაკებულ მასას იმიტომ შეერქვა ეს სახელი—ლუმპენ-პროლეტარიატი, რომ იგი, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული პროლეტარიატი. ექსპროპრიაციაქმნილი იყო წარმოების ყველა საშუალებისაგან და თავისი არსებობისათვის სამუშაო ძალის გარდა სხვა არაფერი გააჩნდა.

მაგრამ, მეორე მხრით, მონური შრომის სიაფის გამო, მას არ შეეძლო გაეყიდა თავისი ეს სამუშაო ძალა, ე. ი. ეშოვნა თავისი სამუშაო ძალის მომხმარებელი და ეცხოვრა მით, როგორც ამას აკეთებს ახალი დროის პროლეტარიატი. ამიტომ იგი იძულებული იყო ძონძებში (გერმანულად—Lumpen) ევლო და მათხოვ-

---

[1] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 24 რ.

რობით, როგორც დეკლასირებულ ელემენტს, გაეტანა თავი. მაგრამ ამავე დროს თვით რომის სახელმწიფოც, რომელიც იაფი მონური შრომის გამო მათ სამუშაოს ვერ აძლევდა, იძულებული იყო ნაწილობრივ მაინც ერჩინა ისინი მუქთად სახელმწიფოს ხარჯზე. სწორედ ამიტომ რომის ამ ლუმპენპროლეტარიატსა და თანამედროვე პროლეტარიატს შორის არაფერი საერთო არ არის, რადგანაც, როგორც ეს ჯერ კიდევ მოხდენილად შენიშნა სისმონდმა, „რომის პროლეტარიატი საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობდა, მაშინ, როდესაც თანამედროვე საზოგადოება ცხოვრობს პროლეტარიატის ხარჯზე“[1].

ერთი სიტყვით, როგორც მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ, ეს ლუმპენპროლეტარიატი იყო „ძველი საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენების ლპობის პასიური პროდუქტი“. „...ესენი,—წერდა ენგელსი რომის ამ პროლეტარებზე.—არ იყვნენ მშრომელი პროლეტარები, არამედ ლუმპენპროლეტარები. პროლეტართა შრომაზეა ამჟამად საზოგადოება დამყარებული, თანდათან მზარდი ხარისხით... რომის ლუმპენპროლეტარები კი პარაზიტები იყვნენ, არა მარტო უსარგებლო, არამედ მავნებელნიც საზოგადოებისათვის...“[2]. სხვა ადგილას ენგელსი რომში მცხოვრებ ავ უქონებო თავისუფალ ლუმპენპროლეტარებს სახელმწიფოს პენსიონერებს უწოდებს. ამ „პენსიებს“ კი მხოლოდ რომში მცხოვრები ლუმპენპროლეტარები ღებულობდნენ.

სახელმწიფო ამ ლუმპენპროლეტარებზე რომში საკმაო თანხებს ხარჯავდა. თავად მათ სახელმწიფო დაბალ ფასებში აძლევდა პურს. 58 წლიდან კი (ძვ. წ.) მოზრდილ მამაკაცებს მუქთად აძლევდნენ პურს თვეში ხუთ მოდიუსს, რაც დღეში დაახლოებით 2,5—3 გირვანქას შეადგენდა. სახელმწიფოსაგან მუქთად პურის მიმღებ ლუმპენპროლეტართა რიცხვი ცეზარმა შეამცირა 300 000 კაციდან 100.000 კაცამდე. შემდეგ ავგუსტუსის დროს მათი რიცხვი ისევ გაიზარდა. გარდა პურის მიცემისა, ლუმპენპროლეტარებს ზოგჯერ მოწყალების სახით ურიგებდნენ ფულსაც და უწყობდნენ სხვადასხვა სანახაობასაც. ერთი სიტყვით, ლუმპენპროლეტარების

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I. გვ. 264.
[2] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 133.

გულის მოსანადირებლად რომაელთა ზედაფენები აქტიურად ატარებდნენ ე. წ. „პურისა და სანახაობის პოლიტიკას“.

ამ მუქთი დარიგებების შემოღების მიზეზი ჩამარხულია თვით მონათმფლობელური ფორმაციის წარმოების წესში. მონური წარმოების წესმა გააღატაკა წვრილი მწარმოებელი გლეხები და ხელოსნები, შექმნა მათგან უმუშევართა უზარმაზარი არმია. რომის სახელმწიფოს, იაფი მონური შრომის არსებობის შედეგად, არ ძალუძდა ამ არმიისათვის სამუშაოს მიცემა. ასეთ ვითარებაში, რაკი სხვა გამოსავალი არ იყო, რომის სახელმწიფო იძულებული გახდა ამ უმუშევარ ლუმპენპროლეტარებისათვის გაეწია მუქთი სახელმწიფო დახმარება, რათა ამ გზით ერთგვარად შეენელებინა დაძაბულობა მათსა და მდიდარ მონათმფლობელთა შორის.

იმ თანხებს, რომელსაც რომის სახელმწიფო უმუშევარ ლუმპენპროლეტარებზე გაცემით ხარჯავდა, თვითონ ძირითადად მონათა ექსპლოატაციიდან იღებდა. ამიტომ ლუმპენპროლეტარიატის სახელმწიფოს კმაყოფაზე აყვანა ნიშნავდა მის რჩენას მონური შრომის ექსპლოატაციით. ამგვარად, ძველ საბერძნეთში და რომში არა მარტო მონათმფლობელები, არამედ ლუმპენპროლეტარებიც, ამა თუ იმ ფორმით სახელმწიფოს ხარჯზე ყოფნით, წილს იღებნენ მონათა ექსპლოატაციაში. თუმცა თვითონ ისინი უშუალოდ მათ ექსპლოატაციას არ ეწეოდნენ.

ამ ლუმპენპროლეტარებს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდათ, თავი დაეღწიათ მათხოვრული და ნახევრად მშიერი არსებობისაგან. მათი რიცხვი უფრო და უფრო იზრდებოდა, ვიდრე ბოლოს, იმპერიის პერიოდში ისინი ნაწილობრივ არ შთანთქა კოლონატის სისტემამ.

ეს ლუმპენპროლეტარები რომში იყვნენ, პროვინციებში კი გაპროლეტარებული გლეხი, რომელმაც თავისი მიწის ნაკვეთი დაკარგა და ბოგანო გახდა, ადგილზევე რჩებოდა და მოჯამაგირეობით და დღიური დაქირავებული შრომით[1] ცდილობდა თავის

---

[1] „...დაქირავებული შრომა,—წერდა ენგელსი,—რომელშიც ჩანასახისებურად უკვე მთელი კაპიტალისტური წარმოების წესია მოქცეული, მეტად დიდი ხნის მოვლენაა; განცალკევებულად და აქა-იქ მას მთელი საუკუნეების მანძილზე ვხვდებით მონობის გვერდით. მაგრამ ეს ჩანასახი კაპიტალისტური წარმოების წესად მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა გაშლილიყო, რაც ამის ისტორიული წანამძღვრები შეიქმნა“ (იხ. „ანტი-დიურინგი“ 1933 წ. გვ. 228. შენიშვნა სქოლიოში)

დარჩენას. კარაკალას 212 წლის (ახ. წელთაღ.) ედიქტის გამოცემამდე რომის პროვინციათა უმრავლესობაში მცხოვრებნი რომის მოქალაქის უფლებებით არ სარგებლობდნენ. ამიტომ მათ ამ გაპროლეტარების შემდეგ არ შეეძლოთ რომში ჩასვლა და იქ სახელმწიფოს მუქთი კმაყოფით სანახევროდ მშიერი და მათხოვრული ცხოვრება, რადგანაც მათ, როგორც რომის არამოქალაქეებს, ეს გზა უკვე დახშობილი ჰქონდათ.

ენგელსი წერს: „უქონებო თავისუფალთ რომში ჰქონებავდა და ართობდა სახელმწიფო, პროვინციებში კი მათ თავისუფლად შეეძლოთ ეცქირნათ საკუთარი დაღუპვის პროცესისთვის“ [1]. „უქონებო თავისუფალნი რომში,—წერს შემდეგ ენგელსი,—სახელმწიფოს პენსიონერები, რომელნიც სახელმწიფო პენსიით არსებობდნენ, პროვინციებში მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ. მათ უნდა ემუშავნათ და, ამას გარდა გაეძლოთ კონკურენციისათვის მონების მუშაობასთან“ [2].

პროვინციებში მცხოვრებ ღარიბთა მდგომარეობას აუარესებდა მძიმე გადასახადები და მევახშეობაც. გასესხებული თანხის სარგებელი რომში ზოგჯერ 50%-მდე ადიოდა. ამიტომ გლეხი, რომელიც ვალის აღებით ცდილობდა თავისი წვრილი მეურნეობის აღდგენასა და გამაგრებას, ხშირად კაბალაში ვარდებოდა და ამით უფრო აუარესებდა თავის მდგომარეობას. გადასახადებში კი ეს გლეხები რომის სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდიდნენ შემოსავლის მეათედს. ამის გარდა მათ ხშირად აიძულებდნენ დამატებითი გადასახადის გადახდასაც პროვინციაში არსებული რომის ბიუროკრატიული მმართველების აპარატისა; და იქ განლაგებული რომის არმიის საგარნიზონო ნაწილების შესანახად. რომის მიერ პროვინციის მცხოვრებლებზე დაწესებული გადასახადები მყარი და მუდმივი არ ყოფილა. ეს გადასახადები ხშირად იცვლებოდა თვით რომის სენატის, შემდეგ იმპერატორების და ზოგჯერ კი თვით პროვინციების უშუალო მმართველების ინიციატივით.

---

[1] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 122.

[2] იქვე, გვ. 123.

სახელმწიფო ხშირად საგარეო და სამოქალაქო რომების შედეგად მძიმე ფინანსურ კრიზისში ვარდებოდა; რომლისგანაც თავის დაღწევას მაშინდელი სახელმწიფოს მესვეურნი გადასახადების გადიდებით და ახალი გადასახადების დაწესებით ცდილობდნენ. ასე მაგალითად, რომის იმპერატორმა ვესპასიანემ (69—79 წწ), რომელიც მისდევდა დევიზს—„ფულს სუნი არა აქვსო", დააწესა საპირფარეშოს და დასაფლავების გადასახადები. ვესპასიანეს მიერ დაწესებულ ამ უცნაური გადასახადის გამო გაკვირვება გამოთქვა მისმა შვილმა (მომავალმა იმპერატორმა) ტიტუსმა. მაშინ ვესპასიანემ შვილს ცხვირთან მიუტანა საპირფარეშოს გადასახადში აღებული ოქროს დენარი და ჰკითხა: განა ამას რაიმე არასასიამოვნო სუნი უდისო? შემდეგ ხანებში, დიოკლეტიანეს დროს (284—305 წწ) გადასახადები რომის იმპერიაში კიდევ უფრო გაიზარდა.

ამ გადასახადების ამკრეფნი, გამორჩენის მიზნით, როგორც მწერალი ლოკტანციუსი აღნიშნავს, მეტად სასტიკად და თვითნებურად მოქმედებდნენ. „არც ასაკი, არც ავადმყოფობა,—ამბობს იგი,—საპატიო მიზეზად არ ითვლებოდა. ავადმყოფნი და დავრდომილნი მოჰყავდათ საკაცეებით, თვითნებურად განსაზღვრავდნენ მათ ასაკს, ბავშვებს უმატებდნენ წლოვანებას, მოხუცებს კი აკლებდნენ. ყველაფერი აღივსებოდა ცრემლებით და გოდებით. ისმოდა ცემისაგან რკინის ჟღარუნი"-ო. გადასახადების ამკრეფთ, წერს შემდეგ ლოკტანციუსი, „მიჰქონდათ ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო ადამიანის სიცოცხლის შესანარჩუნებლად" და „რაც გამოსულია ადამიანის ხელიდან"-ო.

სოფლად მცხოვრებ წვრილმწარმოებელთა ეს მძიმე მდგომარეობა კარგად აქვს მოცემული მაშინდელ მჭერმეტყველ ლიბანიოსს. იგი აღნიშნავს, რომ ამ მძიმე გადასახადების გამო სოფლად მოსახლეობა მცირდებოდა, მინდვრები დაუმუშავებელი რჩებოდა, რადგანაც გლეხები გარბოდნენ. მაგრამ იმათაც, ვინც რჩება, „არ ესაჭიროებათ საცხოვრებელი სახლების კარების გამოკეტვა, ვინაიდან მათ სახლებში არაფერი მოიპოვება დასაკარგი და არც შიში აქვთ მძარცველებისა".

პროვინციებში მცხოვრებ წვრილმწარმოებელთა და ღარიბთა ამ მძიმე მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ რომის სახელმწიფო ამ პროვინციათა დაპყრობის დროს ადგილობრივ მცხოვ-

რებთ ხშირად ართმევდა მიწებს და შემდეგ ამ მიწებს, როგორც უკვე რომის სახელმწიფოს კუთვნილებას, უკანვე აძლევდა მათ ყოფილ პატრონებს იჯარით დასამუშავებლად. ეს საიჯარო ფასი კი მეტად მაღალი იყო.

გარდა ამ გადასახადებისა, ბეგარისა, მიწის იჯარისა და სხვა, პროვინციების მცხოვრებთ, განსაკუთრებით წვრილმწარმოებლებსა და ღარიბთ მძიმე ტვირთად აწვებოდა დაპყრობის დროს რომის მიერ პროვინციებზე დადებული კონტრიბუციის გადახდა. ასე მაგალითად, პირველ პუნიკურ ომში (241 წ. ძვ. წ.) კართაგენელების დამარცხების შედეგად, რომაელებმა მათ რომის სახელმწიფოს სასარგებლოდ კონტრიბუციის სახით გადაახდევინეს 8 მილიონამდე ოქროს მანეთი, მეორე პუნიკური ომის შემდეგ (201 ძვ. წ.) კი — 24 მილიონამდე მანეთი. ასევე დიდი კონტრიბუციები გადაახდევინეს რომაელებმა მაკედონიას, სირიას და სხვა დაპყრობილ ქვეყნებს.

დაპყრობილ ქვეყნებზე მძიმე სამხედრო კონტრიბუციის დადების გარდა რომაელებს ნაძარცვისა და ნადავლის სახით მიჰქონდათ ყველა მატერიალური ფასეულობა, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. ასე მაგალითად, II საუკუნის დასაწყისში, მარტო ექვსი წლის განმავლობაში რომაელებმა ესპანეთიდან 65.000 კილოგრამი ვერცხლი და 1600 კილოგრამი ოქრო გამოზიდეს. 189 წ. მაგნეზიასთან სირიის მეფის ანტიოქეს დამარცხების შემდეგ რომაელებმა სირიიდან წამოიღეს 1230 სპილოს ეშვი, 234 ოქროს გვირგვინი, 137 000 გირვანქა ვერცხლი, ვერცხლის 224 000 ბერძნული მონეტა, ოქროს 140 000 მაკედონური მონეტა და ოქროსა და ვერცხლის მრავალი ჭურჭელი.

რომაელი მმართველები პროვინციის მცხოვრებლებს, პირადი სარფისა და გამდიდრების მიზნით, უმოწყალოდ სძარცვავდნენ. სიცილიის რომაელმა მმართველმა—პროპრეტორმა ვერესმა ძველი წელთაღრიცხვის 73—71 წლებში ადგილობრივ მცხოვრებთ 4 მილიონ ოქროს მანეთზე მეტი გამოძალა.

რომაელ დამპყრობთა მიერ პროვინციების შეუზღუდავ ექსპლოატაციასა და ძარცვაზე, ეკონომიურ დეგრადაციასა და გაბოგანოებაზე, რითაც პირველ რიგში წვრილი მწარმოებლები ჩანაგდებოდნენ, შეიძლება მოვიყვანოთ რომის წინააღმდეგ აჯან-

ყებულ ბრიტანელთა ერთ-ერთი ბელადის—კალგაკის სიტყვა, რომელსაც რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი „აგრიკოლას ბიოგრაფიაში“ გადმოგვცემს: „მსოფლიოს მძარცველი რომაელები,—მიმართავს აჯანყებულ ბრიტანელებს თავის სიტყვაში კალგაკი,—როცა მათ აღარ ჰყოფნით ასაოხრებლად ქვეყნები, იწყებენ უკვე ზღვის მოჩხრეკას; თუ მათი მტერი მდიდარია, ისინი ანგარნი არიან, თუ ღარიბი—პატივმოყვარენი, მათი გაძღომა არ შეუძლია არც აღმოსავლეთს, არც დასავლეთს. ისინი ყველას შორის ერთადერთნი არიან, რომელნიც ერთნაირი სიხარბით ეკვეთებიან ხოლმე სიმდიდრესაც და სიღარიბესაც. გატაცება, მოკვლა, გაძარცვა—ეს მათ ცრუ ენაზე იწოდება მმართველობად, ხოლო, როცა ისინი ყველაფერს უდაბნოდ აქცევენ, ამას ისინი უწოდებენ დაწყნარებას, ბუნებას უნდა, რომ თითოეულს ჰყავდეს ყველაფერზე ძვირფასი მისი ბავშვები და ნათესავები. პირველთ, ისინი ჩვენ გვართმევენ სხვა ქვეყნებში სამსახურის გაწევის საბაბით; ცოლებსა და დებს, რომელთაც მოასწრეს გაქცევა და თავი იხსნეს მტერთა მიერ გატაცებისაგან, ისინი შემდეგ ბილწავენ, მიდიან რა მათთან მეგობრებისა და სტუმრების ცრუ სახელით. ქონება და სიმდიდრე მიდის ხარკში, წლიური მოსავალი კი—პურის გადასახადზე, თვით სხეული და ხელები გველევა ტყეებსა და ჭაობებში გზების გაყვანის დროს ცემა-ტყეპასა და გინებაში. მონებს, რომელნიც დაბადებულნი არიან ჩაგვრისათვის, ბატონები ჰყიდიან მხოლოდ ერთხელ... ბრიტანეთი ყოველდღიურად ყიდულობს თავის მონობას, ყოველდღიურად ჰკვებავს თავის ბატონებს პურის გადასახადით“.

რომის მიერ დაპყრობილ პროვინციებში თავისუფალ ღარიბთა ამ მძიმე მდგომარეობით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ „რომის იმპერიაში, როგორც ცნობილია, ხშირად ხდებოდა, რომ თავისუფალი ადამიანები შიმშილის გამო შვილებსა და თავიანთ თავს მონებად მიჰყიდიდენ მდიდრებს“[1].

ამგვარად, როგორც მარქსი აღნიშნავს, ამ მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა და შიმშილით სიკვდილის საფრთხის გამო, არა

---

[1] მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2. გვ. 130.

იშვიათად იშლებოდა საზღვარი ღარიბ თავისუფალსა და მონას შორის, ნებაყოფლობით პირველის მეორის მდგომარეობაში გადასვლით. თავისუფალ ღარიბთა ასეთი მძიმე მდგომარეობით აიხსნება ძველად გავრცელებული თქმა—სიღარიბეს გულუხვ პატრონთან მონობა სჯობიაო. ასეთი გულუხვი მონათმფლობელები, რა თქმა უნდა, არ იყვნენ, მაგრამ საქმე ის იყო, რომ მონობაში ყოფნა მონას, მიუხედავად მისი მეტად მძიმე მდგომარეობისა, მაინც ერთგვარად აზღვევდა შიმშილით სიკვდილისაგან, მაშინ, როდესაც თავისუფალი ღარიბი ამ საფრთხისაგან დაზღვეული არ იყო.

ეს თავისუფალი ღარიბები—ჯერ წვრილი მწარმოებელი პლებეები და შემდეგ მათი ფენიდან წარმოქმნილი რომის ლუმპენ-პროლეტარები, ამ მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან თავის დაღწევას პოლიტიკური უფლებების მოპოვების გზით ცდილობდნენ.

XVII. პლებეების ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისათვის ძველ რომში

ძველ რომში ადრეევე ინგრევა გვაროვნული წყობილება და წარმოქმნას იწყებს კლასობრივი საზოგადოება. ძველ რომში, წერდა ენგელსი, „...ეგრეთ წოდებულ მეფობის მოსპობამდე[1] დაინგრა ძველი, პირად სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წესწყობილება და შემოღებულ იქნა ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომელიც ტერიტორიულ დანაწილებასა და ქონებრივ სხვადასხვაობაზე იყო დაფუძნებული"[2].

გვაროვნული წყობილების ამ დაშლის შემდეგ რომში წარმოქმნილი ორი კლასიდან პატრიციები წარმოადგენდნენ გაბატონებულ კლასს, რომელთა ხელშიაც თავმოყრილი იყო ძირითადად ქვეყნის მთელი სიმდიდრე და პოლიტიკური ძალაუფლებაც. პლებეები კი პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული წვრილი მიწათმფლობელები იყვნენ. პლებეების ამ პოლიტიკურმა უუფლებობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ჯერ კიდევ რომის მეექვსე მეფის, სერვიუს ტულიუსის (578—534 წწ) მიერ დადგენილ ცენზიან კონსტიტუციაში. ამ კონსტიტუციით რომაელი პლებეები ისეთსავე მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებულნი, რა მდგომარეობაშიაც

---

[1] აქ ენგელსი გულისხმობს მეფეთა პერიოდს. მეფეთა პერიოდი ეწოდება რომის ისტორიის ადრეულ პერიოდს, რომელიც მიღებული ტრადიციით 753 წლიდან 510 წლამდე გრძელდებოდა. 510 წელს კი, მეფე ტარკვინიუს ამაყის გაძევების შემდეგ, რომი გამოცხადებული იქნა რესპუბლიკად. ეს რესპუბლიკა რომში ხუთ საუკუნეზე მეტ ხანს არსებობდა და პირველ საუკუნეში (ახ. წელთაღრიცხვით) შესცვალა იმპერიამ. იმპერიის დაცემამდე (476 წ. ახალი წელთაღრიცხვით) რომში ხელისუფლებას სათავეში ედგნენ იმპერატორები.

[2] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 131.

594 წელს ათენის დემოსი ჩავარდა სოლონის ეგრეთ წოდებული ტიმოკრატიული კონსტიტუციით[1].

სერვიუს ტულიუსის კონსტიტუცია რომის მოქალაქეებს ხუთ და სოლონის კონსტიტუცია კი ათენის მოქალაქეებს ოთხ ქონებრივ ჯგუფად ყოფდა და ამ ქონების სიდიდის მიხედვით ანაწილებდა მათ შორის პოლიტიკურ უფლებებსაც. მაგრამ, რადგანაც რომში პლებეები და ათენში დემოსი თავიანთი ქონებრივი მდგომარეობით მოქცეულნი იყვნენ ეკონომიური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე, ამიტომ პოლიტიკურ უფლებებს ისინი რომისა და საბერძნეთის ისტორიის ამ ადრეულ პერიოდში სრულიად მოკლებულნი იყვნენ. „...ისტორიული სახელმწიფოების უმრავლესობაში,—წერს ენგელსი,—მოქალაქეებისადმი მინიჭებულ უფლებებს ქონების მიხედვით ზომავენ და ამით პირდაპირ ამბობენ, სახელმწიფო მფლობელი კლასების ორგანიზაციაა არამფლობელი კლასების წინააღმდეგ დასაცავადო. ათენსა და რომს შეძლებული კლასები მართავდნენ"[2].

მართლაც და, რომში პლებეებს, მიუხედავად იმისა, რომ რიცხობრივად ისინი მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ, არ ჰქონდათ უფლება არავითარი სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და პარლამენტში (სენატში) არჩევისა. უფრო მეტიც, ქორწინებაც კი პლებეებსა და პატრიციებს შორის V საუკუნის შუა წლებამდე აკრძალული იყო და საკურთხეველიც მათ ცალ-ცალკე ჰქონდათ.

ეს პლებეები თავიანთ უუფლებო მდგომარეობას ვერ ურიგდებოდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი ეკონომიურად თანდათან უფრო ღატაკდებოდა, ისინი მაინც ბრძოლას აძლიერებდნენ პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის. პლებეების ამ ბრძოლამ პატრიციების წინააღმდეგ თავიდანვე მძაფრი ხასიათი მიიღო. ამ ნიადაგზე პლებეების პირველ მასობრივ გამოსვლას ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის დასაწყისშივე. 494 წელს

---

[1] ტიმოკრატიული კონსტიტუცია არის ისეთი კონსტიტუცია, რომელიც მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებს მათი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით საზღვრავს, პრინციპით: მეტი გაქვს ქონება—მეტი გაქვს უფლება, ნაკლები გაქვს ქონება—ნაკლები გაქვს უფლება, არა გაქვს ქონება—არა გაქვს უფლება.

[2] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. 1938 წ. გვ. 175.

აჯანყებული პლებეები, როდესაც მათ პატრიციებისაგან ვერ მიიღეს შეპირებული პოლიტიკური უფლებები, გაიხიზნენ წმინდა გორაზე რომიდან ხუთი კილომეტრის დაცილებით. ზოგიერთი გადმოცემით, პლებეები აქ ფიქრობდნენ თავიანთ სახელმწიფოს დაარსებას, სადაც ისინი თვითონვე იქნებოდნენ თავიანთი თავის ბატონ-პატრონნი.

რომიდან პლებეების წასვლა პატრიციებისათვის არ იყო ხელსაყრელი, რადგანაც ქალაქი ერთბაშად კარგავდა მოსახლეობის დიდ ნაწილს და ისიც ისეთს, რომელთა ექსპლოატაციასა და საკუთარზეც მნიშვნელოვნად იყო დამყარებული პატრიციებისა და თვით ქალაქის კეთილდღეობა. პატრიციები შეეცადნენ დემაგოგიით და შეპირებებით უკან დაებრუნებინათ პლებეები. ამ მიზნით მათ გახიზნულ პლებეებთან შუამავლად გაგზავნეს ცნობილი დემაგოგი, პატრიცი მენენიუს აგრიპა.

აგრიპა გახიზნულ პლებეებს უმტკიცებდა, რომ მათი ეს აჯანყება და რომიდან გახიზვნა ისეთივე უაზრო და დამღუპველია პლებეებისთვისაც და პატრიციებისთვისაც, როგორც ის, რომ სხეულის ნაწილები აჯანყდნენ იმავე სხეულის მუცლის წინააღმდეგ იმ საბაბით, რომ ჩვენ, სხეულის ნაწილები, ვმუშაობთ და შენ, მუცელს, გაქმევთ, ამიერიდან კი ჩვენ აღარ გვინდა შენთან ასეთი ურთიერთობა და სამსახური. ასეთ შემთხვევაშიო, აკეთებდა დასკვნას მენენიუს აგრიპა, ასოებს არ ესმით, რომ მუცელი მათ საქმეს აკეთებს, კვებავს და ენერგიას აძლევს თვით ამ ასოებს და, რომ ასოების ასეთი განდგომა გამოიწვევს თვით მათ დაღუპვას მუცლის დაღუპვასთან ერთადო.

ჩვენ, პატრიციებიო, უქადაგებდა გახიზნულ პლებეებს აგრიპა, მუცლის როლს ვასრულებთ იმ დიდ ორგანიზმში, რომელსაც საზოგადოება ეწოდება, თქვენ პლებეები კი—ასოებისას. ჩვენი შეთანხმებული არსებობა და ცხოვრება აუცილებელია ორთავე ფენის—პატრიციებისა და პლებეების არსებობისათვის. პირიქით, ურთიერთის წინააღმდეგ ჩვენი აჯანყება, გამოიწვევს პატრიციებისა და პლებეების მოსპობასაც, როგორც ასოების აჯანყება მუცლის წინააღმდეგ გამოიწვევს ორივე მათგანის დაღუპვასო. თქვენ უნდა შეიგნოთ ჩვენს წინააღმდეგ თქვენი აჯანყების ეს დამღუპველობა და დაბრუნდეთ უკანო.

აღსანიშნავია, რომ მენენიუს აგრიპას მსგავს შეხედულებას, ოცდახუთი საუკუნის შემდეგ ავითარებდა ფაშისტი სოციოლოგი ოტმარ შპანი. მან შექმნა ე. წ. „ფენობრივი", ანუ „ზეკლასობრივი სახელმწიფოს" თეორია. ამ თეორიის მიხედვით, როგორც ადამიანის სხეული შედგება სხვადასხვა ნაწილისაგან, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ ორგანიზმის მთლიან სისტემაში, ასევე სახელმწიფოც შედგება სხვადასხვა ფენისაგან, რომლებიც ასევე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ ადამიანთა საზოგადოების სისტემაში. როგორც ადამიანის ორგანიზმს მართავს თავი, რომელსაც ორგანიზმის დანარჩენი ნაწილების მიმართ მმართველისა და განმკარგულებლის როლი უკავია, ისევე სახელმწიფოს მართავს არისტოკრატიული ფენა.

საკითხის ამგვარი, გონებისა და სინამდვილის საწინააღმდეგო დაყენებიდან ფაშისტ ცრუმეცნიერებს გამოჰყავდათ ასევე ცრუ და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული დასკვნები: 1. მათი აზრით, როგორც ადამიანის ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს მუდმივი ფუნქცია აქვთ დაკისრებული და არ შეიძლება მათ თავიანთი მოვალეობის შესრულება ერთმანეთს შეუნაცვლონ, მაგალითად, ის, რომ ადამიანმა თავით იაროს და ფეხით იაზროვნოს, ასევე სახელმწიფოს შემადგენელმა სოციალურმა ფენებმა არ შეიძლება ერთმანეთს შეუნაცვლონ ფუნქცია, მაგალითად, არისტოკრატიამ მძიმე და შავი ფიზიკური სამუშაოს შესრულებას მოჰკიდოს ხელი, დაბალმა ფენებმა კი—სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. ამიტომ დაბალი ფენების დარჩენა მათ მდგომარეობაში ისევე მუდმივია, როგორც ფეხებისათვის მუდმივია ორგანიზმის მოძრაობისა და გადაადგილების ფუხქცია. არისტოკრატია კი ისევე მუდმივად დარჩება სახელმწიფოს მეთაურად და მმართველად, როგორც თავი მუდმივად დარჩება ორგანიზმის მმართველად და განმკარგულებლადო. 2. სახელმწიფოს შემადგენელი სოციალური ფენების ურთიერთ ბრძოლა (კლასთა ბრძოლა) ისევე დამღუპველი და გამანადგურებელია მთელი საზოგადოებისათვის, როგორც ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილების ურთიერთ ბრძოლა დამღუპველი იქნება ადამიანის მთელი ორგანიზმისათვისო.

ამ ვულგარული და უაზრო მტკიცების საფუძველზე, ფაშისტი თეორეტიკოსები უარყოფდნენ კლასთა ბრძოლის თეორიას

და დაჰყავდათ იგი რასათა ბრძოლის თეორიამდე. წითელმა არმიამ სტალინის მთავარსარდლობით გაანადგურა ფაშიზმი მისსავე ბუნაგში და ამით გააცამტვერა ყველა ეს მახინჯი თეორიაც, რომელთა დახმარებითაც ფაშიზმი თავის მსოფლიო ბატონობის „დასაბუთებას“ ლამობდა[1].

რაც შეეხება მენენიუს აგრიპას ზემომოყვანილ დემაგოგიურ ბოდვას, იგი ჯერ კიდევ მარქსმა გაატარა სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში.

მარქსი მენენიუს აგრიპას ამ სრულიად უაზრო დემაგოგიური ანალოგიის შესახებ წერდა: „როცა რომაელი პლებეები რომაელი პატრიციების წინააღმდეგ გაიფიცნენ, პატრიცი აგრიპა მათ უმტკიცებდა, რომ პატრიციული სტომაქი პოლიტიკური სახელმწიფო სხეულის პლებეურ ასოებს ჰკვებავსო. აგრიპამ ვერ დაამტკიცა მხოლოდ, როგორ შეიძლება იკვებებოდეს ერთი ადამიანის ასოები, როცა მეორე ადამიანის სტომაქი ივსება“[2].

სხვადასხვა ვარიანტებით, მენენიუს აგრიპას ამ ყბადაღებულმა თეორიამ წამყვანი ადგილი დაიკავა სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკურ „ფილოსოფიაშიც“, ამის შესახებ 1927 წ. ამხანაგი ი. ბ. სტალინი წერდა: „ძველი „თეორია“ იმის შესახებ, რომ ექსპლოატირებულთ არ შეუძლიათ არსებობა უექსპლოატატორებოდ, ისე როგორც თავს და სხეულის სხვა ნაწილებს არ შეუძლიათ არსებობა უკუქოდ,—არ არის მარტო ძველ ისტორიაში ცნობილი რომაელი სენატორის, მენენიუს აგრიპას კუთვნილება. ეს „თეორია“ ახლა წარმოადგენს საერთოდ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური „ფილოსოფიის“, განსაკუთრებით კი—იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან კოალიციის სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ქვაკუთხედს. ეს „თეორია“, რომელმაც ცრურწმენის ხასიათი მიიღო, წარმოადგენს ახლა ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ დაბრკოლებას კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის გარეოლუციურების გზაზე“[3].

---

[1] „ფენომენი სახელმწიფოს“ შესახებ მკითხველს ზოგიერთ ცნობას მიაწვდის ჩვენი სტატია—„ფაშიზმის ანტიდემოკრატიული კონცეფცია და ძველი ისტორია“ (იხ. ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1943 წ.).

[2] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 60.

[3] ი. სტალინი, თხზ. ტ. 10. გვ. 258.

მენენიუს აგრიპას ამ დემაგოგიურ გარჯასა და „ოქროპირობას“ შედეგი არ მოჰყოლია. პლებეები გაჯიუტდნენ და რომში არ დაბრუნდნენ მანამდე, სანამ მათ არ აიძულეს პატრიციები, რომ პირველ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დათმობებზე წასულიყვნენ პლებეების მიმართ. პატრიციებმა პლებეებისათვის დააწესეს ახალი და მეტად მნიშვნელოვანი თანამდებობა. ამ თანამდებობაზე შეიძლებოდა მხოლოდ პლებეების წრიდან გამოსულ პირთა არჩევა. თავდაპირველად პლებეები ამ თანამდებობაზე ირჩევდნენ ერთი წლით ორ კაცს სახალხო კრებაზე—ტრიბუტკომიციაზე, და შეიძლება ამის გამოც შეერქვა ამ თანამდებობას ტრიბუნის თანამდებობა და თანამდებობის პირებს კი—ტრიბუნები.

ტრიბუნის ძირითადი ამოცანა იყო პლებეების ინტერესების დაცვა. ამ ამოცანის შესასრულებლად იგი დიდი უფლებამოსილებით სარგებლობდა. ტრიბუნს ჰქონდა ვეტოს უფლება, რომლის ძალითაც მას შეეძლო ხელისუფლების ყველა ორგანოს და თანამდებობის პირის დადგენილებისა თუ განკარგულების სისრულეში მოყვანის შეჩერება, თუ კი ამ დადგენილებას იგი პლებეების ინტერესების საზიანოდ მიიჩნევდა. ტრიბუნის ვეტო არ ვრცელდებოდა მხოლოდ დიქტატორისა და ცენზორის მოქმედებაზე.

ტრიბუნად ყოფნის პერიოდში ტრიბუნი სარგებლობდა ხელშეუხებლობის უფლებით. არ შეიძლებოდა მისი დაპატიმრება და პასუხისგებაში მიცემა. მის შეურაცხყოფელს სიკვდილით სჯიდნენ და ქონებას კონფისკაციის წესით ართმევდნენ. თვით ტრიბუნს კი ჰქონდა მოქალაქეთა პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის უფლება. ტრიბუნი ყოველთვის ხალხთან უნდა ყოფილიყო. მას არ ჰქონდა უფლება ერთ დღეღამეზე მეტი ხნით რომიდან გასვლისა, მისი სახლის კარები დღედაღამ ღია უნდა ყოფილიყო, რომ საჭიროების შემთხვევაში მსურველს შეძლებოდა მისი დაუყოვნებლივ ნახვა.

ტრიბუნის თანამდებობის სტრუქტურაში ნაკლი ის იყო, რომ მის ხელისუფლებას ძალა მხოლოდ ქალაქის საზღვრებში ჰქონდა, და რომ ყველა ტრიბუნი თანაბარი უფლებით სარგებლობდა. სწორედ ამ უკანასკნელი გარემოების გამო პატრიციები ერთ-ერთი ტრიბუნის მოსყიდვითა და გადაბირებით ახერხებდნენ მეორე ტრიბუნის ღონისძიებაზე ვეტოს დადებას.

პატრიციები ვერ ურიგდებოდნენ პლებური თანამდებობის ასეთ გაძლიერებას და ცდილობდნენ მის გაუქმებას. 492 წელს რომში შიმშილი დაიწყო. სხვა ქვეყნებში ნაყიდ პურს იაფად ურიგებდნენ რომის პლებეებს. მაშინ პატრიცმა გნეი მარციუს კორიოლანოსმა ასეთი ულტიმატუმი წამოაყენა პლებეების წინააღმდეგ: პლებეებმა ხელი აიღონ ტრიბუნის თანამდებობაზე და გააუქმონ იგი, ხოლო თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, მაშინ შეწყდეს მათზე იაფად პურის გაცემაო. ტრიბუნმა პასუხისგებაში მისცა კორიოლანოსი. სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, კორიოლანოსი რომის მტრებთან—ვოლსკებთან გაიქცა, მათი ჯარით წამოვიდა რომის წინააღმდეგ და ალყა შემოარტყა მას. კორიოლანოსს უნდოდა რომის აღება, პლებეების უფლებათა შეკვეცა და ტრიბუნების მიმართ შურისძიება.

კორიოლანოსს რომ ამ განზრახვაზე ხელი აეღო და რომი ვოლსკების ჯარით არ აეოხრებინა, რომაელებმა მას შუამავლად გაუგზავნეს ცოლი, ორი ბავშვი და დედა. გადმოცემით, დედამ დაუწყო კორიოლანოსს ხვეწნა და მუდარა, სთხოედა სამშობლო ქალაქის აოხრების განზრახვაზე ხელის აღებას და რომისათვის ალყის მოხსნას.

შექსპირმა ამ ისტორიულ ფაბულაზე ააგო თავისი ცნობილი დრამა—„კორიოლანოს“, რომელიც ქართულად თარგმნა ივანე მაჩაბელმა. შექსპირმა შეძლო ძლიერ ხაზებში მოეცა სამშობლო ქალაქის ბედის შესახებ დედასა და შვილს შორის გამართული ეს დიალოგი. თავად კორიოლანოსი მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე ქ. რომის აოხრებისა და ტრიბუნების დასჯის შესახებ და დედის მუდარას ცივი უარით უპასუხა. ეს ადგილი ასე აქვს მოცემული შექსპირს. კორიოლანოსი ამბობს:

> ოჰ, ეარა, დეე, მთელი რომი ვოლსკთა გადაჰხნან,
> ფარცხი გაავლონ იტალიას! ჭუკი როდი ვარ,
> რომ გრძნობას ავყვე; მე სიმტკიცეს შევინარჩუნებ,
> თითქო ჩემითვე, უდედმამოდ გავჩენილიყო.

მაგრამ, როდესაც კორიოლანოსს მუხლებზე დაჩოქილმა დედამ დაუწყო იმავე ხვეწნა-მუდარის განმეორება, მაშინ ის მოლბა და ვეღარ შეძლო თავისი გადაწყვეტილების ბოლომდე დაცვა. იგი მიმართავს დედას:

> რას სჩადი ამას! შენ უჩოქებ შენგან გაზრდილ შვილს?
> მაშ ვარსკვლავთ გუნდნი ჩაიქოლონ ხლვის კენკებითა,
> ალვის ხის შტონი მიაწვდინოს მზეს ქართა ქროლვამ,
> შეუძლებელი ნულარ იყოს ნულარაფერი!

კორიოლანოსმა მოხსნა ალყა რომს, მაგრამ ვოლსკებმა ეს მას საკუთარ სიცოცხლედ დაუსვეს. ვოლსკების ბელადი ავფიდიოსი ამბობს კორიოლანოსზე:

> დედაკაცის ცრემლს, სურდოს ნაყოფს, სიცრუესავით
> იაფს და ადვილს, ანაცვალა ის გარჯა, შრომა...
> სწორედ ამისთვის ის უნდა მოკვდეს.

და მოკლეს კიდეც კორიოლანოსი. ისტორიული წყაროების დამოწმებითაც, ასე უშედეგოდ დამთავრდა პატრიც კორიოლანოსის გალაშქრება პლებეებისა და ტრიბუნების წინააღმდეგ.

პატრიციების წინააღმდეგ ბრძოლაში პლებეებმა შეძლეს არა მარტო შეენარჩუნებინათ ტრიბუნის თანამდებობა, არამედ მათ იმასაც მიაღწიეს, რომ ყველა სხვა თანამდებობაზე არჩევის უფლებაც მოიპოვეს. ასე მაგალითად, პლებეებმა უფლება მიიღეს სამხედრო ტრიბუნის თანამდებობაზე არჩევისა 444 წელს, ქვესტორის თანამდებობაზე—409 წელს, კონსულის—336 წელს, კურილიის ედილის—364 წელს, დიქტატორის—356 წელს, ცენზორის—351 წელს, პრეტორის –337 წელს.

რადგან სენატის წევრებად უმთავრესად გაჰყავდათ ყოფილი მაგისტრები: კონსულებად, ტრიბუნებად, ქვესტორებად, ცენზორებად და სხვ. ნამყოფნი, ამიტომ, პლებსის მიერ ამ მაგისტრატურის დაკავების პარალელურად იზრდებოდა მათი რიცხვიც სენატში.

პლებეების მიერ წარმოებული ეს ხანგრძლივი ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისათვის 287 წელს (ძვ. წ.) წარმატებით დამთავრდა ე. წ. ჰორტენზიუსის კანონის მიღებით. ამ კანონით პლებეების მიერ ტრიბუტკომიციაზე (სახალხო კრებაზე) მიღებული გადაწყვეტილება საერთო სახელმწიფო კანონად ხდებოდა და მას აღარ ესაჭიროებოდა სენატის მოწონება. მაგრამ ამ უფლებების მიღება გარდატეხას არ ახდენდა პლებეების დიდი ნაწილის (მათი ღარიბი ფენების) მდგომარეობაში და ამიტომ იგი ფაქტიურ ხასიათს ატარებდა, რაც ყველაზე რელიეფურად რომის საარჩევნო სისტემაში მჟღავნდებოდა.

XVIII. არჩევნები ძველ რომში

პლებეების უმრავლესობისათვის, კერძოდ, მისი ყველაზე ღარიბი ნაწილისათვის, იმ პოლიტიკური უფლებების მიღებას, რომელიც მათ ხანგრძლივი ბრძოლით მოიპოვეს, როგორც აღნიშნული იყო წინა თავში, უფრო ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ფაქტიური. საქმე ის იყო, რომ რომში არც ერთი თანამდებობა ჯამაგირიანი არ იყო, ამიტომ ღარიბ მოქალაქეს (პლებს) უპირდა უჯამაგირო თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში მისი შესრულება.

გარდა ამისა, უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოება იყო, რომ უკვე III საუკუნის დასაწყისისათვის თვით პლებეებს შორის ხდება ძლიერი ეკონომიური დიფერენციაცია. მაშინ, როდესაც პლებეების ერთი, უფრო დიდი ნაწილი თანდათან ღატაკდებოდა, მეორე, უფრო მცირე ნაწილი მდიდრდებოდა და სწორედ ამის გამო ეს გამდიდრებული პლებეები თავისი ინტერესებით იმდენად ახლო მივიდნენ პატრიციებთან, იმდენად ერწყმოდნენ მათი ინტერესები ერთიმეორეს, რომ მათ ერთი საერთო ახალი სოციალური ფენა—ნობილიტეტი წარმოქმნეს.

ამ ნობილიტეტში გაერთიანებული იყვნენ შეძლებული პატრიციები და შეძლებული პლებეები. ამ უკანასკნელთა ინტერესები უფრო ახლო იყო მდიდარი პატრიციების ინტერესებთან, ვიდრე ღარიბ პლებეებთან, რომლებთანაც ახლად წარმოქმნილი ეს პლებური ზედაფენა წინათ თავისი წარმოშობითაც და თავისი მდგომარეობითაც იყო დაკავშირებული. პლებეების სახელით უმთავრესად მათი ეს გამდიდრებული ზედაფენა გამოდიოდა და ინაწილებდა ხელისუფლებას შეძლებულ პატრიციებთან. სწორედ ამ შეძლებული პლებეების წარმომადგენლები გაჰყავდათ პლებეების საერთო სახელით თანამდებობებზე და სენატის შემადგენლობაში.

ვილემსის გამოკვლევით, ძველი წელთაღრიცხვის 179 წელს რომის სენატი შედგებოდა 304 წევრისაგან, რომელთაგან 88 იყო პატრიცი და 216 პლები. უფრო გვიან, 55 წელს (ძვ. წ.) სენატი შედგებოდა 415 წევრისაგან, რომელთაგან 43 პატრიცი და 372 პლები იყო. 55 წლის რომის სენატის ამ შემადგენლობაში შედიოდა თავად პლებური წარმოშობის და იმ დროისათვის რომის ყველაზე მდიდარი მოქალაქე მარკ ლიციინიუს კრასუსი,[1] რომელსაც ზედმეტ სახელად Dives („მდიდარს") უწოდებდნენ და, რომელსაც მაშინ თანამედროვე ფულზე გადატანით 17 მილიონი მანეთის ღირებულების ქონება ჰქონდა. ბუნებრივია, რომ ასეთი შეძლებული პლებეები, საერთოდ, შეძლებული ფენების ინტერესების დამცველებად გამოდიოდნენ და არა ღარიბი პლებეებისა.

ამგვარად, III საუკუნიდან დაწყებული პლებეებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ თანამდებობებზე ასარჩევად იურიდიულად არაფერი არ უშლიდა ხელს. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 139 წლიდან რომში თანამდებობებზე არჩევა ფარული კენჭისყრით ხდებოდა და ყველა მოქალაქის კანდიდატურის წამოყენებაც თავისუფლად შეიძლებოდა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, პლებეების დაბალი, გაღატაკებული ფენებიდან გამოსული პირები მაინც ვერ ახერხებდნენ, რომ ამ თანამდებობებზე არჩეულნი ყოფილიყვნენ. ეს იმიტომ, რომ ასარჩევი პირის მიერ ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვას რომში პირდაპირ ეპიდემიური ხასიათი ჰქონდა, და არსად ძველ ისტორიაში ამ მოვლენას ისეთი ფართე გავრცელება არ მიუღია, როგორც რომში. რომის კანონმდებლობა უშედეგოდ ებრძოდა ამას, ბოსყიდვა პირიქით, თანდათან მეტ სიმძაფრეს და გაქანებას იძენდა.

---

[1] ეს ის კრასუსია, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 53 წელს პართელებმა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში კონტრშეტევით დაამარცხეს და ამოწყვიტეს მისი 40-ათასიანი არმია. კრასუსის შესახებ 1946 წლის თებერვალში ამხანაგი ი. სტალინი სამხედრო ისტორიკოს პროფესორ რაზინს სწერდა: „...კარგად ორგანიზებული კონტრშეტევა შეტევის მეტად საინტერესო სახეს წარმოადგენს. თქვენ, როგორც ისტორიკოსი, ამ საქმით უნდა დაინტერესებულიყავით. ჯერ კიდევ ძველმა პართელებმა იცოდნენ ასეთი კონტრშეტევა, როცა მათ რომაელი სარდალი კრასუსი და მისი ჯარები თავიანთი ქვეყნის შუაგულში შეიტყუეს, ხოლო შემდეგ კონტრშეტევა გაიჩაღეს და გაანადგურეს ისინი" (იხ. ჟურნ. „ბოლშევიკი" № 1—2, 1946 წ. გვ. 9).

შეძლებული ფენები ამ მოვლენას იმიტომ არ ებრძოდნენ, რომ ამით ისინი გზას უხშობდნენ დაბალ ფენებს ხელისუფლებისაკენ და თვითონ ინარჩუნებდნენ ამ თანამდებობათა ხელში ჩაგდების მონოპოლიას. ამ დაბალი ფენების—ღარიბი პლებეების და ლუმპენ-პროლეტარების არაორგანიზებულობა იმდენად დიდი იყო, მათი კლასობრივი შეგნების დონე იმდენად დაბალი და ეკონომიური გაჭირვება კი იმდენად ძლიერი, რომ ისინი არჩევდნენ გაეყიდნათ თავისი ხმები და დროებით მაინც მცირეოდენ ხელი მოეთბოთ ამ თავისებური შემოსავლით, ვიდრე მხარი დაეჭირათ თავისივე წრიდან გამოსული პირისათვის, რომელსაც არ შეეძლო მათთვის არც რაიმეს მიცემა და არც ნათელი პრესპექტივის დასახვა, რომ ამ არჩევით ის გააუმჯობესებდა მათ მდგომარეობას. თვით ამ არჩეულისთვისაც ძნელი იყო, რომ უჯამაგირო თანამდებობის შესრულების გამო ხანგრძლივად ხელი აეღო ლუკმაპურის სხვა გზით შოვნაზე.

არჩევნების დროს რომში ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვის შესახებ მრავალი ცნობა მოიპოვება ძველ წყაროებში. ასე მაგალითად, ძველი ისტორიკოსი პლუტარქე რომის ცნობილი სარდლისა და პოლიტიკური მოღვაწის—სულას ბიოგრაფიაში წერს: „შემდეგ წელს[1] სულამ მიაღწია პრეტურას [2], მოიპოვა რა ხალხის წყალობა ნაწილობრივ მისი გულის მონადირებით და ნაწილობრივ კი მოსყიდვით. აი ამიტომ, როდესაც იგი პრეტორი გახდა და მრისხანედ უთხრა ცეზარს [3], რომ აჩვენებდა მას თავისი ხელისუფლების ძალას, მან (ცეზარმა—მ. ა.) ღიმილით უპასუხა მას: „შენ მართალი ხარ, როცა ამ ხელისუფლებას შენად თვლი—იგი ხომ შენ ნაყიდი გაქვსო“.

იგივე პლუტარქე გაი იულიუს ცეზარის ბიოგრაფიაში წერს: „ის პირნი, რომელთაც უნდოდათ მიეღწიათ თანამდებობისათვის, მოედანზე ისხდნენ თავიანთ ფულით სავსე მაგიდებთან და უსირცხვილოდ ეწეოდნენ მდაბიო ხალხის მოსყიდვას, დაქირავებული ხალხი კი მოდიოდა კრებაზე, რომ ებრძოლა იმისათვის, ვინც მას ფული მისცა“.

---

[1] იგულისხმება 93 წელი ძველი წელთაღრიცხვით.

[2] ე. ი. პრეტორის თანამდებობაზე არჩევას. პრეტორი ხელმძღვანელობდა სამოქალაქო მართლმსაჯულებას. იყო მუდმივი სასამართლოს თავმჯდომარე.

[3] იგულისხმება არა გაი იულიუს ცეზარი, არამედ მისი ბიძა სექსტ იულიუს ცეზარი.

ანტიკურ ქვეყნებში ზნეობრივად იმდენად დაეცა ადამიანი და ფულმა იმდენად შეისრუტა მიწიერი ღმერთის ყველა თვისება, რომ ფულით, როგორც მოსწრებულად შენიშნავს კარლ ბიუხერი, „შეიძლებოდა ყველაფრის ყიდვა: ფილოსოფოსთაგან—სიბრძნისა, ორატორთაგან—ენისა, სახელმწიფო მოღვაწისაგან—გავლენისა, ელჩისაგან—რწმუნებისა, მოსამართლისაგან—ფიცისა, სარდლისაგან—დიდებისა, ჯარისკაცისაგან—მისი ძალისა, თემისაგან—მოქალაქის უფლებისა, თვითმპყრობელი ხალხისაგან—საარჩევნო ხმისა, სხვა მრავალთაგან—სამშობლოსი და თავისუფლებისა.“

რა თქმა უნდა, ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვა, რომ საბოლოო ანგარიშით მას ეფექტი გამოეღო, დიდძალ თანხებს მოითხოვდა. ზოგიერთი მდიდარი რომაელი მილიონ დენარსაც კი ხარჯავდა არჩევნების პერიოდში, ზოგი ვალსაც კი იღებდა ამ მიზნით. რადგან ერთ თანამდებობაზე რამდენიმე პირის კანდიდატურა იყო ხოლმე წამოყენებული, ამიტომ იმართებოდა მძაფრი საარჩევნო ბრძოლა ცალკეული კანდიდატებისათვის. ეს საარჩევნო კამპანია, არჩევნებამდე 24 დღით ადრე იწყებოდა ყოველწლიურად ივლისის თვეში, რადგან ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა. გარდა ცენზორისა, რომში ერთწლიანი იყო.

როცა კონსული სპეციალური ბრძანებით (ედიქტით) გამოაცხადებდა საარჩევნო კამპანიის დაწყებას, მსურველი, ვისაც რაიმე გარეგნობა არ უშლიდა ხელს, კონსულს უყენებდა თავის კანდიდატურას. ეს კანდიდატი იცვამდა თეთრ წამოსასხამს—ტოგა კანდიდას (toga Candida) და საბაზრო დღეებში დგებოდა ამაღლებულ ადგილას, რომ ყველას შესაძლებლობა ჰქონოდა დაენახა, თუ ვინ იყო თანამდებობის ეს პრეტენდენტი. შემდეგ თანამდებობის ამ პრეტენდენტს, მისი თეთრი წამოსასხამის—კანდიდას გამო შეერქვა „კანდიდატი“, და ეს სიტყვა, როგორც ცნობილია, დღესაც ასეთი გაგებით იხმარება თანამდებობაზე აარჩევად წამოყენებული პირის აღსანიშნავად.

ის, ვისაც განზრახვა ჰქონდა, რომ თავის თავი წამოეყენებინა ანა თუ იმ თანამდებობაზე კანდიდატად, რა თქმა უნდა, საარჩევნო კამპანიის ოფიციალურ დაწყებამდე იქერდა უკვე გარკვეულ თადარიგს. გარდა მოსყიდვისა, მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა გზით, მოქცევითა და დაპირებებით ამომრჩეველთა გულის მონადირებასა და გადაბირებას.

რომის ცნობილი ორატორის მარკ ტული ციცერონის ძმამ—კვინტ ტული ციცერონმა (102—43 წწ) სპეციალური რჩევა-დარიგებაც კი დაუწერა კანდიდატებს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი, რომ ამომრჩეველთა მეტი რაოდენობა გადაებირებინათ და შეეგროვებინათ. არჩევნებში „წარმატებისათვის,—წერდა კვინტ ციცერონი,—ორი აუცილებელი პირობა აქვს მხედველობაში თითოეულ კანდიდატს: მეგობრების ერთგულება და ხალხის განწყობილება მისდამი“.

კვინტ ციცერონის აზრით, კანდიდატმა თავისადმი ხალხში კეთილი განწყობილების შესაქმნელად, უნდა დაიახლოვოს ადამიანები ყველა ფენიდან: კლიენტებიდან, განთავისუფლებული მონებიდან და სხვა; კარგად უნდა მოექცეს თავის მსახურთ, რომ მათ მისი ქება გაავრცელონ ხალხში. „ზოგჯერ სულ უმნიშვნელო სამსახურის გაწევა საკმარისია,—ამბობს კ. ციცერონი,—რომ ადამიანი იძულებული გახდეს, მხარი დაუჭიროს ამა თუ იმ კანდიდატს“.

ამომრჩეველების გადასაბირებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მათდამი თავაზიან მოპყრობას, შეხვედრის დროს საკუთარი სახელით მათ მოხსენიებას. თუ ყველას საკუთარი სახელი არ იცი,—უქადაგებს კანდიდატს კვინტ ტული ციცერონი,—გაიყოლიე თან მონა, რომელიც მათი შეხვედრის დროს სალამის მიცემისას, შენ მათ სახელს მათდაშეუმჩნევლად გიკარნახებს. იცოდე, რომ „უფრო ადვილია შენს სასარგებლოდ ადამიანების დაახლოება კეთილი სიტყვით, ვიდრე ნამდვილი მადლის ქმნით“.

კვინტ ციცერონის აზრით, არჩევნების დროს საჭიროა, კანდიდატი ეცადოს თავისი მტრების გულის მოგებას და თავის მხარეზე გადაბირებასაც კი. „მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეს, ამავე დროს, შენი მტრებიცო,— აძლევს რჩევა-დარიგებას კვინტ ციცერონი კანდიდატებს,—მტრები კი შენ სამი კატეგორიის გყავს: პირველნი ისინი არიან, ვისაც შენ მიაყენე ვნება, მეორენი ისინი, ვისაც შენ ყოველგვარი საბაბის გარეშე არ უყვარხარ და, ბოლოს ისინი, ვინც შენი მოწინააღმდეგეების მეგობრები არიან. პირველთა წინაშე ბოდიში მოიხადე; უთხარ, რომ შენ იძულებული იყავ გამოსულიყავი მათ წინააღმდეგ, რადგანაც უნდა დაგეცვა შენი მეგობარი; ჩაუნერგე მათ იმედი, რომ თუ შემთხვევა გექნება, შენ მათაც ასეთივე თავგამოდებით დაიცავ,

თუ კი ისინი შენ მოგანდობენ თავიანთ ინტერესებს. მეორენი, ეცადე, დაიახლოვო რაიმე სიკეთის გაწევით, შეპირებებით და იმის გამოხატვით, რომ შენ მათდამი კარგი მიდრეკილებით ხარ. სწორედ ასევე მოიქეცი შენი კონკურენტების მეგობრების მიმართაც და ნუ შეჩერდები თვით ისეთი განცხადების წინაშე, რომ შენ კეთილად ხარ განწყობილი შენი მოწინააღმდეგეებისადმი".

კვინტ ციცერონმა კარგად იცის, რომ მის მიერ ჩამოთვლილ ამ დემაგოგიურ საშუალებებსა და შეპირებებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ისინი მაინც საკმარისნი არ არიან კანდიდატის საბოლოო წარმატებისათვის, თუ საარჩევნო კამპანიაში არ ჩაერია მთავარი საშუალება—ფული და მოსყიდვა. „კარგია,—ურჩევს კვინტ ციცერონი კანდიდატს,—თუ შენ ყოველდღე რაც შეიძლება დიდი რაოდენობით გვერდით იყოლიებ სხვადასხვა წარმოშობისა, წოდებისა და ასაკის ხალხს, რადგანაც მათი მრავალრიცხოვნება იძლევა მაღალ წარმოდგენას საარჩევნო კამპანიის იმ თანხებზე, რომელიც შენს განკარგულებაშია".

საერთოდ, კანდიდატები რომში, კანონის უგულებელყოფისა და სენატის მხრივ ყურის მოყრუების საფარქვეშ, ოფიციალურად ნიშნავდნენ თავიანთ საარჩევნო რწმუნებულებს. ეს რწმუნებულები კანდიდატის სახელითა და ფულით აწარმოებდნენ არა მარტო ცალკე ამომრჩევლების, არამედ მთელი ტრიბების (ადმინისტრაციული ერთეულების) მოსყიდვასაც. გარდა ხმების მოსყიდვისა, ხშირად ადგილი ჰქონდა თვით ხმების დათვლაშიაც სიყალბის ჩადენას და კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობის ხელოვნურად გადიდებას.

ამგვარად, ასეთი არჩევნების დროს ძველ რომში საარჩევნო კამპანიაში ხმების მოსყიდვისათვის დახარჯული ფულის სიდიდეს მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე თვით კანდიდატის ავტორიტეტს და ამომრჩეველთა ნაწილის მიერ მისთვის უანგარო მხარდაჭერას. ამიტომ საარჩევნო ბრძოლაში ხშირად ის კანდიდატი გამოდიოდა გამარჯვებული, ვინც უფრო მეტ ფულს ხარჯავდა. მისი მეტოქე კი, რომელმაც ფული დახარჯა, მაგრამ მაინც არ იქნა არჩეული, ღარიბდებოდა და ზოგჯერ ვალშიც ვარდებოდა, როგორც ეს დაემართა გაი იულიუს ცეზარს.

თანამდებობები რომში, როგორც ზევით იყო აღნიშნული მართალია, უჯამაგირო იყო, მაგრამ გამარჯვებული კანდიდატები არჩევნების დროს დახარჯულ ფულს იმით ინაზღაურებდნენ, რომ თანამდებობის ვადის გასვლის შემდეგ მათ ხშირად აგზავნიდნენ პროვინციების მმართველებად. რომის მიერ დაპყრობილი პროვინციების მმართველობა კი მაშინ საკმაოდ დეცენტრალიზებული იყო. ეს გარემოება ხელს უწყობდა ამ მმართველებს პროვინციების გაყვლეფაში და საკუთარი თავის გამდიდრებაში. ამ მდგომარეობას ნათლად გამოხატავდა მაშინ გავრცელებული გამოთქმა პროვინციების რომაელ მმართველებზე: „ღარიბი მოვიდა მდიდარ ქვეყანაში, და მდიდარი წავიდა ღარიბი ქვეყნიდანო“. ასეთი იყო რომის მონათმფლობელური დემოკრატია და თანამდებობის პირთა ფარული კენჭისყრით არჩევნების მახინჯი და ყალბი ხასიათი.

ამგვარად, როგორც ნათქვამი იყო, რომის პლებეებისა და ლუმპენპროლეტარების მიერ პოლიტიკური უფლებების ფ ო რ მ ა ლ უ რ მოპოვებას არ მოჰყოლია არც მათი მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და არც რომის შეძლებული მონათმფლობელური ფენების ეკონომიური ძლიერების შეზღუდვა. რომაელ მონათმფლობელთა ამ ეკონომიურ ძლიერებაზე იყო დამყარებული მათი თავაშვებული და ფუფუნებითი ცხოვრება, რომლის განხილვაზედაც ჩვენ ახლა გადავდივართ.

XIX. მდიდარ მონათმფლობელთა ცხოვრება რომში

წინა თავებში ჩვენ ვნახეთ, თუ რა მძიმე, უსიხარულო და აუტანელი იყო მონათა და აგრეთვე ღარიბთა მდგომარეობა ძველ ქვეყნებში და, კერძოდ, რომში. ახლა ჩვენ უნდა გავარკვიოთ საკითხი რომის შეძლებული ფენების ცხოვრების, მათი მდგომარეობისა და ყოფის შესახებ. ასეთი პარალელები მკითხველს საშუალებას მისცემს თვალნათლივ დაინახოს სოციალური ცხოვრების ის აპოთეტის უფსკრული, რომელიც ამ ორი ათასზე მეტი წლის წინათ შუაზე გზარავდა და აპობდა რომის მონათმფლობელურ საზოგადოებას, სადაც მაღალ ფენებში ადგილი ჰქონდა სიმდიდრის ჭარბ მოხმარებას, დაბალ ფენებში კი—ჭარბ სიღარიბეს.

მონათმფლობელურ ფორმაციაში ზედაფენების მიერ სიმდიდრის ეს ჭარბი, უზომო და უაზრო მფლანგველობა ბავისებურ სოციალ-ეკონომიურ ვითარებაზე იყო დაყრდნობილი. საქმე ისაა, რომ ამ ფორმაციაში სიმდიდრის დაგროვება, ძირითადად, განძად გადაქცევის ფორმით ხდებოდა. ამ განძად დაგროვილ სიმდიდრეს კი „... ერთი ფენიგიც აღარ მიემატება, თუნდაც მეორედ მოსვლამდე იყოს შენახული“[1]. ამიტომ მონათმფლობელი, რომელიც თავის ქონებას კაპიტალად არ აქცევდა ზედმეტი ღირებულების მისაღებად, მას უფრო ადვილად იმეტებდა დასახარჯავად და გასაფლანგავად.

„... ძველებს,—წერდა მარქსი,—არც უფიქრიათ ზედმეტი პროდუქტის კაპიტალად გადაქცევა. ყოველ შემთხვევაში, მათში ეს მხოლოდ უმნიშვნელოდ ხდებოდა. ფართოდ განვითარებული ჩვეულება განძის შეგროვებისა, ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, იმას მოწმობს, თუ რამდენი ზედმეტი პროდუქტი ელაგათ მათ

[1] მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 113.

მოუხმარებლად. ზედმეტი პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს ისინი მოიხმარდნენ არა პროდუქტული დანახარჯისათვის, მხატვრული ნაწარმოებებისათვის, რელიგიის საქმისათვის, საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის. მათი წარმოება კიდევ უფრო ნაკლებად იყო მიმართული მატერიალურ საწარმოო ძალთა განვითარებისაკენ—შრომის დანაწილება, მანქანების შემოღება, ბუნების ძალთა და მეცნიერების გამოყენება კერძო წარმოებაში. საერთოდ, ისინი არასოდეს არ მიდიოდნენ ხელოსნური შრომის იქით. ამიტომ სიმდიდრე, მათ მიერ კერძო მოხმარებისთვის შექმნილი, შედარებით მცირე იყო, და იგი დიდი ჩანს მხოლოდ იმის გამო, რომ თავმოყრილი იყო მცირეოდენ პირთა ხელში, რომლებმაც თუმცა არც იცოდნენ რა ექნათ მისთვის. ამიტომ ძველებში ადგილი არ ჰქონდა ჭარბ წარმოებას, სამაგიეროდ, ადგილი ჰქონდა მდიდრების მიერ სიმდიდრის ჭარბ მოხმარებას, რაც რომისა და საბერძნეთის ისტორიის უკანასკნელ პერიოდებში უგუნური მფლანგველობის ხასიათს ღებულობს.“[1]

სიმდიდრის ასეთ უგუნურ მფლანგველობას, გარდა ზემოაღნიშნული ძირითადი მიზეზისა, ხელს უწყობდა აგრეთვე მისი ხარჯვა აცა თუ იმ პირის მიერ პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლისა და დემაგოგიის გზით ბრბოს თავის მხარეზე გადაბირებისათვის და სხვ. საერთოდ, სიმდიდრის ამ უგუნური მფლანგველობის საილუსტრაციოდ ჩვენ მრავალი მაგალითების მოყვანა შეგვიძლია მონათმფლობელური ქვეყნების ისტორიიდან, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში შევჩერდებით მხოლოდ ძველი რომის ისტორიიდან აღებულ მაგალითებზე.

საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ მონათმფლობელური რომის ისტორიისათვის მეტი ადგილის დათმობა იმით აიხსნება, რომ ამ ფორმაციამ რომში მიაღწია თავის განვითარების კულმინაციურ წერტილს და ყველა თავისი ძირითადი ატრიბუტის კლასიკურ გამოსახვას. ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც სხვა მონათმფლობელური ქვეყნების ისტორიაში ემბრიონალურ მდგომარეობაში იყო მოცემული, რომში განვითარდა და თავისი

---

[1] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 110—111.

ძირითადი კანონზომიერებით გამოვლინდა. სწორედ ამიტომ მონათმფლობელური ფორმაციის ამა თუ იმ საკითხის შესწავლა რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს ისტორიის მაგალითებზე უკეთ შეიძლება და ჩვენც ამ გზით ვარჩიეთ წასვლა.

რომში ერთ პოლუსზე სიმდიდრის დაგროვებამ და მეორეზე კი სიღარიბის ზრდამ იმ დროისათვის უდიდეს განსხვავებას და მასშტაბს მიაღწია. ჯერ კიდევ მკვლევარმა იერინგმა აღნიშნა, რომ „არსად მდიდარს არ შეეძლო ისე ადვილად მილიონერი გამხდარიყო და მცირე შეძლების კაცს კი—მათხოვარი, როგორც რომში, და არსად არ იყო ასე ძნელი ადამიანი გამაგრებულიყო ვიწრო ზღუდეზე ამ ორ უკიდურესობას შორის: ერთი ნაბიჯი ან ამ ან იმ მიმართულებით და გაჭირვება, ანდა სიუხვე გაიზრდებოდა ზვავივით“.

ეკონომიური მდგომარეობის მხრივ, მდიდრებსა და ღარიბებს შორის ამ კოლოსალური განსხვავების გამო, „რომის ხალხს,—წერდა მარქსი,—არ მოეპოვებოდა აუცილებლად საჭირო საშუალება პურის საყიდლად, ხოლო რომის არისტოკრატებს იმდენი მონები მოეპოვებოდათ, რომ მორენებს (თევზებს—მ. ა.) უყრიდნენ შესაქმელად“[1].

ცალკეულ პირთა სწრაფ გამდიდრებას, მევახშეობასთან და სპეკულაციასთან ერთად, ძველ რომში უფრო მეტად ხელს უწყობდა ომის დროს ხელში ჩაგდებული ნადავლი, დაპყრობილი ქვეყნების ძარცვა და მათი ქონების მიტაცება. ასე მაგალითად, რომის ცნობილ სარდალსა და პოლიტიკურ მოღვაწეს გაიუს იულიუს ცეზარს 61 წელს ვალი ჰქონდა 25 მილიონ დენარამდე (დაახლოებით 10 მილიონი მანეთი), 46 წელს კი, როცა იგი უკვე რომის დიქტატორი გახდა, ეს ვალებიც გასტუმრებული იყო და, გარდა ამისა, დაპყრობილი ქვეყნების, განსაკუთრებით კი გალიისა და ესპანეთის გაძარცვით მას დაგროვილი ჰქონდა უკვე ათეულ მილიონობით ქონება.

როგორც ძველი ისტორიკოსი პლუტარქე გადმოგვცემს, რომის ცნობილ სარდალს მარკ კრასუსს 70-იან წლებში ჰქონდა დაახლოებით 720.000 მანეთის ქონება, 15 წლის შემდეგ, 55 წელს, პარ-

---

[1] კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 107.

თებთან ომის დაწყების წინ კი მისი ქონება უკვე 17 მილიონ მანეთს შეადგენდა. პომპეუსს ჰქონდა თითქმის 8 მილიონი მანეთის ქონება. შემდეგ იმპერიის ეპოქაში ცალკეულ პირთა სიმდიდრე კიდევ უფრო გაიზარდა. ასე მაგალითად, ტიბერიუსის დროს (14—37 წწ.) მცხოვრებ ავგური ლენტულის ქონება უდრიდა 300 მილიონ სესტერცს (დაახლოებით 30—35 მილ. მანეთს), ამდენივე ქონება ჰქონდა კლავდიუსის დროს (41—54 წწ) მცხოვრებ პალასს. რომის ისტორიის მთელ მანძილზე ყველაზე დიდი ქონების პატრონი იყო ნერონის დროს (54—68 წწ) მცხოვრები ნარცისი. რომლის ქონებაც 400 მილიონ სესტერცს (დაახლოებით 40—45 მილიონ მანეთს) უდრიდა.

ეს სიმდიდრე რომაელებს ჰქონდათ როგორც ფულის (ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის) სახით, ისე სხვადასხვა ნაგებობის, სასახლეების, ვილების, ოჯახის ძვირფასი მოწყობილობისა და ნივთების, მამულების, მონების, ჯოგების, მაღაროების, გემების და სხვათა სახით. ასე მაგალითად, ზოგიერთი მდიდარი მონათმფლობელის მამული აღწევდა 12.000 დესეტინასა და მეტს. ამავე დროს ამ მსხვილ მონათმფლობელს ზოგჯერ 20.000 მონამდე ჰყავდა.

შეძლებული პირები თავიანთ „კაპიტალს“ აბანდებდნენ იმდროინდელი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით ლამაზი სახლების აგებასა და ძვირფასი ნივთების შეძენაზე. ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში რომში აგებდნენ სამ და ოთხსართულიან სახლებს. ჯერ კიდევ პლინიუს უფროსი (23—79 წწ) რომის ამ ნაღალი სახლების შესახებ შენიშნავდა, რომ „თუ რომის სიფართოვესა და მოცულობას მივუმატებთ მისი სახლების სიმაღლეს, მაშინ სიდიდით ვერც ერთი ქალაქი მსოფლიოში მას ვერ შეედრება“-ო. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში იმპერატორმა ავგუსტუსმა საცხოვრებელი სახლების მაქსიმალური სიმაღლე 20 მეტრით განსაზღვრა.

შეძლებული მონათმფლობელები თავიანთ ფუქსავატურ ცხოვრებას ზამთრობით ატარებდნენ ქალაქად ასე მდიდრულად აგებულ და მოწყობილ სასახლეებში, ხოლო წლის ცხელ თვეებს—ასევე მდიდრულად მოწყობილ საზაფხულო აგარაკებსა და ვილებში. თუ რა დიდ თანხებს ხარჯავდნენ რომაელები ასეთი სასახლეების აგებასა და მოწყობაზე, იქიდანაც ჩანს, რომ ორატორ კრასუსის

სახლი შეფასებული იყო დაახლოებით ერთ მილიონ მანეთად, ხოლო ტრიბუნ დრუზუსის სახლის მარტო ვერცხლის ჭურჭელი— ნახევარ მილიონ მანეთად.

მდიდარი რომაელები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ჰქონოდათ შინ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, ტანზე კი—იმავე კეთილშობილი ლითონისა და ძვირფასი ქვების სამკაულები. ასე მაგალითად, ზოგიერთ მათგანს ყოველ თითზე რამდენიმე ბეჭედი ჰქონდა წამოცმული. ეს შეძლებული პირები ყოველდღე იცვლიდნენ ტოგას.

რომის არისტოკრატიაში დიდად იყო განვითარებული კოსმეტიკაც. დუხებს ისინი აკეთებდნენ შორეული ინდოეთიდან, არაბეთიდან და ეგვიპტიდან მოტანილი მასალისაგან, აგრეთვე თვით იტალიაში მზარდი მთის შროშანისა, ზამბახისა, ნარგიზისა, მაიორანისა და სხვა მცენარეებისაგან. რომაელი არისტოკრატები დუხს, ინდივიდუალური მოხმარების გარდა, აპკურებდნენ ოთახს და ლოგინს. თეატრში ჰაერს წმენდდნენ ზაფრანისა, დარიჩინისა და სხვა მცენარეთა ნარჩევისაგან გაკეთებული სურნელოვანი სითხით.

არისტოკრატიულ წრეში ჩოდად იყო გადაქცეული აგრეთვე თმის შეღებვა და პარიკის გაკეთება. რომის ცნობილი პოეტი ოვიდიუსი ანუგეშებს ერთ ქალიშვილს, რომელსაც თავისი წაბლისფერი თმა შავად შეღების ცდის დროს გაუფუჭდა: ნუ გეშინია, ეუბნება მას ოვიდიუსი,—„გერმანია გამოგიგზავნის შენ მონა ქალის თმას“. რომში არისტოკრატი ქალები იღებავდნენ აგრეთვე წარბებს ჭიანჭველის კვერცხებით, ანდა უფრო მარტივად—მურსა და მჭვარტლში ამოვლებული ნემსით.

რომში იცოდნენ მრავალი წამლის (საცხის) მომზადება კანის დასარბილებლად და მისი ფერისა და სინაზის შესანარჩუნებლად. ამ მხრივ უფრო ხშირად იყენებდნენ ვირის რძეს, პურისაგან გაკეთებული სხვადასხვა სასმელის ქაფს და ცხერის მატყლისაგან დამზადებულ საცხს.

საერთოდ, ამ ფუფუნებითი ცხოვრების და კოსმეტიკის ფართო განვითარებით აიხსნებოდა ის გარემოება, რომ რომის იმპორტში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა შორეული ქვეყნებიდან სწორედ ამ ხასიათის საგნებისა, ძვირფასი ქვებისა და ტანსაცმლის შეტანას. მარტო ინდოეთიდან ამ სახის საქონლის შეტანაზე ყოველ-

წლიურად რომი ხარჯავდა 100 მილიონ სესტერც ოქროს. რომის კანონმდებლობა ამაოდ ცდილობდა ამ ყოფაცხოვრებითი გადაგვარების აღმოფხვრას.

უაზრობამდე მისული კოსმეტიკის ეს აყვავება რომის არისტოკრატთა ფუქსავატური ცხოვრების მხოლოდ ერთი მხარე იყო. შეძლებული რომაელი მონათმფლობელები ლხინსა და ღრეობაში ატარებდნენ არა მარტო იმ 175 უქმე და სადღესასწაულო დღეებს, რომელიც მათი კალენდრით ოფიციალურად იყო დადგენილი, არამედ წლის მთელ დროს. თვით ოჯახის ეკონომიური ცხოვრების გაძღოლა მონათმფლობელს თავის მონა მოურავებისათვის ჰქონდა მინდობილი და თვითონ ძირითად მითითებათა მიცემით კმაყოფილდებოდა. ამიტომ მთელ თავისუფალ დროს, რაც მას ესოდენ უხვად ჰქონდა თავის განკარგულებაში, იგი ასეთ ფუქსავატურ გართობასა, სეირნობასა, მოგზაურობასა და ღრეობაში „ახრჩობდა" და ატარებდა.

იგი ხშირი სტუმარი იყო საცირკო სანახაობისა, რომელიც რომში წელიწადში 64 დღეს იმართებოდა. გლადიატორთა ბრძოლების შემდეგ საცირკო სანახაობას რომაელ მონათმფლობელთა გართობის რეპერტუარში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეჭირა. საცირკო ხელოვნებიდან რომაელ მაყურებელს განსაკუთრებით იზიდავდა ეტლოსანთა შეჯიბრება რბენაში.

ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის პირველ ნახევარში ვინმე კვინტ აპულეი დიოკლემ 24 წლის განმავლობაში ეტლოსანთა 4.257 შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან 1.462-ჯერ პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა, 861-ჯერ—მეორე, 575-ჯერ—მესამე და ერთხელ—მეოთხე. ამ პრიზებით მან რამდენიმე მილიონ მანეთამდე დააგროვა. გარდა ამისა, პატივისცემის ნიშნად მას ძეგლიც აუგეს. რომაელი მონათმფლობელები „პურისა და სანახაობის" პოლიტიკის გატარებისა და თავიანთი გართობისათვის ხელმომჭირნეობას არ იჩენდნენ. ცირკში მათ იზიდავდა აგრეთვე ბოქსი და სხვა ამგვარი გასართობები.

ახალი წელთაღრიცხვის 86 წლიდან რომში ეწყობოდა ე. წ. კაპიტოლიუმის შეჯიბრებები, რომლებიც ბერძნული ოლიმპიადების ყაიდაზე 4 წელიწადში ერთხელ იმართებოდა ფიზიკური და გონებრივი შეჯიბრების მრავალ სახეობაში. თეატრალური წარ-

მოდგენები, რომელიც რომში, როგორც აღნიშნული იყო, წელიწადში 101 დღეს იმართებოდა, ისეთი დიდი მოწონებით ვერ სარგებლობდა, როგორც ზემოაღნიშნული სხვა გასართობები.

მდიდარი რომაელი მონათმფლობელის გართობას ემსახურებოდა არა მარტო ეს საზოგადო და საზოგადოებრივ ადგილებში მოწყობილი სანახაობები, არამედ მის საკუთარ სასახლეშიაც მისი განკარგულებით ასეთ საქმეში დახელოვნებული მონების მიერ მოწყობილი სანახაობებიც.

გარდა ცირკში, ამფითეატრში, სტადიონზე, ოჯახში და სხვ. მოწყობილი გართობებისა, რომაელი მონათმფლობელები ხშირად გადიოდნენ რომის გარეუბნებში—აპიუსის გზაზე, მდინარე ტიბრის ნაპირების გაყოლებით ბუნების მდიდარ პეიზაჟზე სასეირნოდ. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ყოველ საღამოს, კარგ ამინდში, ცალკე ტახტრევანში (ლევკტიკაში) დაწოლილი ან დამჯდარი მონათმფლობელი და მისი ოჯახის წევრები მხრებზეშედგმული დაჰყავდათ მონებს.

მაგრამ მდიდარ რომაელ მონათმფლობელებს უყვარდათ უფრო შორეული გასეირნებისა და მოგზაურობის მოწყობაც. რომაელ მდიდართა და პირველკაცთა მიერ მოწყობილი ასეთი შორეული მოგზაურობანი სრულიად უაზროდ ნთქავდნენ მონების ოფლით დაგროვილ აუარებელ სიმდიდრეს ისე, რომ არავითარი გამართლება მათ არ ჰქონდათ.

ამ შორეული მოგზაურობის დროს სიმდიდრის რომაელი „ღმერთკაცები“ ცდილობდნენ, უცხო ქვეყნების ხალხთა თვალწინ გამოემჟღავნებინათ თავიანთი სასახლის მთელი ელვარება, ქონების მთელი ძალა, საკუთარი თავის მოწყვეტა უბრალო მოთაკვდავი ადამიანის ჩვეულებრივი, მიწიერი ცხოვრებისაგან და ნეტართა და ბედნიერთა რანგში დამკვიდრება. ამ მიზნით ისინი თავის ამ მოგზაურობას აძლევდნენ გრანდიოზულ, განსაცვიფრებელ და ბრწყინვალე ხასიათს.

რომის სახელმწიფოს პირველკაცთ და მდიდართ ასეთი შორეული მოგზაურობის დროს ხშირად თან ახლდათ მონებისა და ხელქვეითების მრავალრიცხოვანი ამალა, ასეული ეტლი და საბარგო ტრანსპორტი. ამ სამოგზაურო პროცესიას წინ მიუძღოდნენ ზოგჯერ ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილი ზანგები, ნუმიდიელი მონადირეები და მსახურნი.

მდიდრულად მოწყობილი ეტლით მიემგზავრებოდა თვითონ ეს ფუქსავატი პირველკაცი. მის ეტლში შებმული იყო რუხი ფერის ჯორები ან პატარა ტანის, მაგრამ სწრაფი გალური ცხენები. ეს ცხენები და ჯორები შეკაზმული იყო მეწამული ფერის ყაჯარითა და მოოქროვილი ლაგამით. ეტლს ჩამოშვებული ჰქონდა აბრეშუმის ფარდები, გაკეთებული ჰქონდა ოქროსა და ვერცხლის ფიგურები. ზოგიერთი ეტლი ისე იყო მოწყობილი, რომ შიგ შეიძლებოდა ლოგინის გაშლა და ძილი, წერა და კითხვა. მოწყობილი იყო აგრეთვე სხვადასხვა სათამაშო და მზისა და მტვერისაგან სახის ასარიდებლად ირგვლივ მბრუნავი საჯდომები. ზოგიერთ ეტლში იყო გავლილი მანძილისა და დროის საზომი მოწყობილობაც.

იმ დროს უკვე ბაგისტრალურ გზებზე მოწყობილი იყო სასტუმროები და ღამის გასათევი ადგილები. ზოგიერთ სასტუმროს აბრაზე ასეთი წარწერაც კი ჰქონდა გაკეთებული: „აქ, მერკური გპირდებათ სარგოს, აპოლონი—ჯანმრთელობას, სეპტიმენი—კარგ მიღებას და გამასპინძლებას. ვინც აქ შემოვა, ის თავს ჩინებულად იგრძნობს. უცხოელო, დაათვალიერე კარგად ეს ადგილი, სადაც შენ ფიქრობ დარჩენას“. სინამდვილეში ასე კარგად მოწყობილი სასტუმრო მეტად იშვიათი იყო. ამიტომ რომაელ დიდკაცებს ამ შორეული მოგზაურობის დროს უხვად მიჰქონდათ თან ყველაფერი, რაც საჭირო იყო მათი „საკადრისი“ დროს ტარებისათვის: სურსათ-სანოვაგე, ღამის თევისათვის საჭირო მოწყობილობა და ტანსაცმელი, ოქროსა და ბროლის ჭურჭელი, მხატვრული ნივთები და სხვა.

ასეთი გრანდიოზული და ელვარე მოგზაურობით რომაელი არისტოკრატები ფიქრობდნენ—თავზარი დაეცათ და გაკვირვება გამოეწვიათ უცხო ხალხებსა და ტომებში და თვითონაც ამ ხელგაშლილი მოგზაურობით თავიანთი ცხოვრების მოგონების მატიანეში საუკეთესო და ამაღელვებელი ფურცლები ჩაეწერათ.

ამ ფუქსავატური გატაცებით და უაზრო ორიგინალობისადმი მისწრაფებით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ რომის ზოგიერთი პირველკაცი პირდაპირ საოცარ თავდაუჭერლობამდე მიდიოდა და გონებისა და განსჯის ყოველგვარ საზღვარს შლიდა ამ მოგზაურობათა დროს ხალხის მიერ შექმნილი სიმდიდრის შთან-

თქმასა და განადგურებაში. ასე მაგალითად, ცნობილ მარკუს ანტონიუსს აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს თან მიჰყვებოდნენ ლომებშებმული ეტლებით; ნერონს თავის თეატრალურ ტურნეში საბერძნეთში ათასზე მეტი ეტლი ჰყავდა თავის ამალაში; ვინმე პოპეის მოგზაურობის დროს ეტლში შებმული ჯორები ოქროს ნალებით ჰყავდა დაჭედილი. პოპეის ამ სამოგზაურო ამალას თან მიაყოლებდნენ 500 ფაშატ ვირს, რომ ყოველდღიურად მოეწველათ ისინი და მათი რძით პოპეის გზაში აბაზანები მიეღო. ვირის რძეს კი, რომელსაც, როგორც აღნიშნული იყო, კანის დასარბილებლად და მისი ფერისა და სინაზის შესანარჩუნებლად იყენებდნენ, დიდი ადგილი ეჭირა რომაელთა კოსმეტიკაში.

რომის ამ ნამდვილი პლუტოსების წარმოდგენით, უმაღლესი ბედნიერებისა და სიამოვნებისაკენ მეგზურობას მხოლოდ ოქრო და, საერთოდ, სიმდიდრე ასრულებდა. ამიტომ ისინი ცდილობდნენ, ამ მიმართულებით დაავადებული ფანტაზიის ყოველგვარი წარმონასახი სინამდვილედ ექციათ, ყველაფერი შთაენთქათ და გაეფლანგათ იმისათვის, რომ სიამოვნების ევერესტის თხემს ქოჩორზე მოსჯდომოდნენ. მათ ავიწყდებოდათ, რომ ბედნიერება და სიამოვნება იმდენადვე მრავალფეროვანი იყო, რამდენადაც უბედურება და მწუხარება. მთავარი კი ის იყო, რომ მათ თვით ამ ბედნიერებისა და სიამოვნების საზომი ჰქონდათ დაკარგული, და სიმდიდრის ამ უაზრო ფლანგვას ისინი შეცდომით მიიჩნევდნენ ბედნიერებისაკენ მიმავალ ერთადერთ უტყუარ გზად. ანტიკური ეპოქიდან დიდი სნის შემდეგ ცნობილი ფრანგი მატერიალისტი ჰოლბახი წერდა: ერთი მუჭა უაზრო და უსარგებლო ადამიანებისათვის „ბედნიერება შეუძლებელია იმიტომ, რომ გზააბნეულმა ოცნებამ საზღვარი არ იცის“-ო.

მართლაცდა, სხვა რის მაჩვენებელია, თუ არა გზააბნეული ბედნიერება-სიამოვნებისა, როდესაც მარკუს ანტონიუსი, ორატორ მესალას ცნობის მიხედვით, როგორც ამას ჩვენ პლინიუსი გადმოგვცემს: „ყოველ ბუნებრივ მოთხოვნილებასა თუ ვნებათა ჟინიანობას ყოველთვის ოქროს ჭურჭლით იკმაყოფილებდა“. ჩაენმა ანტონიუსმა ბუნების სათაკილოდ ასე დაამცირა ოქროო,—წყრომით შენიშნავს პლინიუსი. ოქრომ ამგვარი „დამცირება“, როგორც ლენინი წერს (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 33, გვ. 117), შეიძლება მომავალშიაც იგემოს,

მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი გამოწვეული იქნება სულ სხვა მიზეზით, ვიდრე ამას აკეთებდა თავისი პირადი სიამოვნებისათვის ირგვლივ ღარიბთა ზღვაში მოცურავე მდიდარი ანტონიუსი.

შეძლებულ რომაელ მონათმფლობელთა მიერ სიმდიდრის ამ უგუნურ ფლანგვასა და შთანთქმას დიდი მასშტაბით ადგილი ჰქონდა მათ ყოველდღიურ მენიუში, ქეიფი!ა და ღრეობის მოწყობაში. ჩვენ მიერ ზემომოყვანილი(იხ. გვ. 330) მარქსის აზრი, რომ „ძველებში ადგილი არ ჰქონდა ჭარბ წარმოებას, სამაგიეროდ, ადგილი ჰქონდა მდიდრების მიერ სიმდიდრის ჭარბ მოხმარებას, რაც რომისა და საბერძნეთის ისტორიის უკანასკნელ პერიოდებში უგუნური მფლანგველობის ხასიათს ღებულობს“,—ყველაზე უფრო რელიეფურად რომაელ მდიდართა და პირველკაცთა სწორედ ამ ღრეობასა და მენიუში მეღავნდება.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 80-იან წლებში რომის დიქტატორმა სულამ, თავის გამარჯვებათა აღსანიშნავად, რომის მოქალაქეთათვის მოაწყო დიდი ღრეობა. როგორც ისტორიკოსი პლუტარქე სულას ბიოგრაფიაში წერს: „შესწირა რა ჰერაკლეს (ე. ი. ჰერაკლეს ტაძარს—მ. ა.) მთელი თავისი ქონების ერთი მეათედი, სულამ რამდენჯერმე მოაწყო ხალხისათვის დიდებული ღრეობა. მომზადებული საკმელი იმდენად ბევრი რჩებოდა, რომ ყოველდღიურად მას მრავლად ყრიდნენ მდინარეში. ღვინოს სვამდნენ 40 და მეტი წლისას“. 55 წელს იმ დროისათვის რომის უმდიდრესმა მონათმფლობელმა კრასუსმა, იმავე პლუტარქეს გადმოცემით, „ხალხს მოუწყო გამასპინძლება, მისცა რა თითოეულ რომაელს თავისი ქონებიდან სამი თვის სურსათი“. რომის ერთ-ერთი უმდიდრესი მოქალაქე, ცნობილი ფილოსოფოსი სენეკა, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ხშირად ლიმონის ხისა და სპილოს ძვლისაგან გაკეთებულ ხუთას მაგიდაზე უწყობდა გამასპინძლებას თავის სტუმრებს. 46 წელს ცეზარმა რომის ქუჩებში „ოცდაორი ათას მაგიდაზე მოაწყო გამასპინძლება“ რომაელი ხალხისათვის. საერთოდ, რომში არც თუ ისე იშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც ერთი გრანდიოზული ხასიათის ქეიფის მოწყობა ერთ ბილიონ სესტერცამდე ჯდებოდა.

რომის მოქალაქეთათვის მოწყობილ ასეთ ღრეობებს საფუძვლად ედო ხალხის გადაბირებისა და მისი გულის მონადირებისათვის წმინდა დემაგოგიური მიზნები. მაგრამ რომაელი პლუტოკ-

რატები არ ძუნწობდნენ არც თავიანთ სასახლეებში „კერძო ხასიათის“ ღრეობათა მოწყობის დროს. ასეთი კერძო ხასიათის ღრეობის მაგალითად ჩვენ მოვიყვანთ ძველი ლიტერატურული წყაროებიდან ერთი ასეთი ქეიფის აღწერას. ამ ქეიფის შესახებ ერთი მისი მონაწილე ამბობს:

„მე ჩემს ცხოვრებაში არ განმიცდია ამაზე უკეთესი რამ.

—მიამბე,—ეუბნება მას მეორე,—თუ ეს შენთვის ძნელი არ იქნება, რომელმა საჭმელმა დააწყნარა პირველად თქვენი გაღიზიანებული კუჭი?

—პირველად მოიტანეს ლუკანიის გარეული ღორი... სუფრაზე ირგვლივ იყო მოდუნებული კუჭის ასაგზნებად მწარე ბოლოკი... ნიახური, მარილწყალში გაკეთებული თევზი და კოსის ღვინის საფუარი. როგორც კი ეს საჭმელები წაიღეს, მსახურმა გაწმინდა ნეკერჩხლის მაგიდა მეწამული ტილოთი, მეორე მონამ კი აალაგა ყველაფერი, რაც კი უსარგებლოდ ელაგა და რასაც შეეძლო მხოლოდ მოქეიფეთა ხასიათის გაფუჭება. მაშინ ატიკელ ქალწულთა ცერერას ძღვენის მსგავსად, გამოვიდა შავგვრემანი ჰიდასპი ცეკუბის ღვინით, მის შემდეგ კი ალკონი ქიოსის ღვინით, რომელსაც ზღვა არ უნახავს. მასპინძელმა ამავე დროს თქვა: „თუ შენ, მეცენატ, ალბანიის ანდა ფალერნიის ღვინო უფრო მოგწონს, ვიდრე ეს ღვინოებია, რომელიც სუფრაზეა მოტანილი, მაშინ ჩვენ გვაქვს ესეცა და ისიც“. შემდეგ ჩამოთვლილია სუფრაზე მოტანილი საჭმელები: შემწვარი წერო, შაშვი, გარეული მტრედი, გარდა ამისა კურდღელი, მრავალგვარი თევზეულობა, კიბო და სხვა.

რომაელი არისტოკრატები საერთოდ, როგორც წესი, სუფრაზე მხარ-თეძოზე წამოწოლილნი სადილობდნენ და მათი ეს სადილი ხშირად სამ საათს გრძელდებოდა. ჩვეულებრივ რომაელი არისტოკრატები თავზე უფრო მეტად კუჭზე ზრუნავდნენ. ჰორაციოსი თავის „სატირებში“ ერთ ასეთ დიალოგს გადმოგვცემს:

—საიდან მოდიხარ და სად მიდიხარ, კატია?

—დრო არა მაქვს, მეჩქარება ჩავიწერო ახალი დარიგება. რომელიც დაჩრდილავს პითაგორასაც, ანიტას მსხვერპლსაც[1] და სწავლულ პლატონსაც“.

---

[1] აქ იგულისხმება ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე, რომლის წინააღმდეგაც ძველი წელთაღრიცხვის 399 წელს სასამართლოში საქმე აღძრა ანიტამ. ამ სასამართლოს გადაწყვეტილებით სოკრატე სიკვდილით დაისაჯა.

ეს „ახალი დარიგება“, რომლის ჩასაწერადაც ისწრაფოდა კატია, იყო კულინარიის ახალი წესები. ამგვარად, რომაელი დიასახლისის წარმოდგენით, როგორც ამას ჰორაციოსი გადმოგვცემს, კულინარიის წესების ჩაწერა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პითაგორას, სოკრატეს და პლატონის ფილოსოფია.

რომაელი არისტოკრატები არა მარტო სიცოცხლეში ნთქავდნენ და უგუნურად ანადგურებდნენ უდიდეს ქონებას, არამედ სიკვდილის შემდეგაც, მათი დაკრძალვის დროს, უფრო მეტად და უფრო უაზროდ ნადგურდებოდა ხალხის ოფლით შექმნილი უდიდესი დოვლათი.

შემონახულია ცნობები ერთი მდიდარი რომაელის, ვინმე მამურას დაკრძალვის შესახებ. ეს ცნობები ჩვენ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ საერთოდ, რაოდენ ხარჯებს იწვევდა მდიდარი რომაელის დაკრძალვა და რა გართულებული სიტუაციისა და ზარზეიმის ვითარებაში მიმდინარეობდა იგი. ზემოხსენებული მამურას გარდაცვალებისთანავე მისი სხეულის დასაკრძალავად მომზადებისათვის ვენერას ტაძრიდან მოიყვანეს საერთოდ ამ საქმეზე სპეციალურად გამოყოფილი მონები. ამ მონებმა მიცვალებულის გვამი გაბანეს თბილ წყალში, მოახდინეს მისი ბალზამირება და რაღაც განსაკუთრებული ნარევით (საცხით) მოაცილეს სახეზე სიკვდილის აგონიით გამოწვეული ლაქები. შემდეგ მამურას გვამი გახვიეს სუდარაში, რომლის ზევითაც ჯერ მას ჩააცვეს ჩვეულებრივი ტანსაცმელი, მერე ძოწეულის ტოგა და დაასვენეს სპილოს ძვლისაგან გაკეთებულ და ძვირფასი მატერიით გადაფარებულ სარეცელზე. შემდეგ გადაასვენეს ატრიუმში—სასახლის წინა ოთახში, სადაც მიცვალებული ფეხებით ქუჩისაკენ იყო მიმართული. ატრიუმის კარებზე ჩამოშვებული იყო ზღვის წყლისებრ მოშავო ფერის ფარდები, ვესტიბიულში პატარა საკურთხეველზე კი საკმეველს სწვავდნენ. 7 დღეს აქ დასვენებულ მამურას გვამს ყარაულობდა მსახური. მერვე დღეს დილით კი ქუჩებში გაგზავნილი რამდენიმე პირი ხალხს აუწყებდა: „მამურა გარდაიცვალა, ვისაც სურს, რომ იყოს მის დაკრძალვაზე, უკვე დროა წასვლის. გაიმართება ასპარეზობა და დაკრძალვის განმკარგულებელს (მამურას შვილს) გაჰყვება ამალა და ლიქტორები“.

სპეციალურად დაქირავებული ქალი იწყებდა ფლეიტისა და ლირის აკომპანემენტით მოთქმას და ტირილს. ამის შემდეგ პროცესია მიემართებოდა ფორუმისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ეს ხდებოდა დღისით, პროცესიას თან მიჰყვებოდნენ ანთებული ჩირაღდნებით. პროცესიას წინ მიუძღოდა დამკრძალავი საზოგადოების წარმომადგენელი ლიქტორებით, მას მიჰყვებოდნენ მუსიკოსები, რომელნიც მწუხარების ჰანგებს უკრავდნენ; მერე მიდიოდა სატირიკოსთა გუნდი, ისინი ასრულებდნენ კომიკურ ცეკვებს; შემდეგ მამურას განთავისუფლებული მონები, რომელთაც თავისუფლების სიმბოლოდ თავზე კონუსისებრი მაღალი ქუდები ეხურათ. მათ შემდეგ ცალკე მიდიოდა არქიმიმი—კომიკურ მსახიობთა უფროსი. არქიმიმს ეცვა მამურას მსგავსად, გაკეთებული ჰქონდა გრიმი და მისი ამოცანა იყო, რომ ყოველმხრივ მიმსგავსებოდა ცოცხალ მამურას, მისი დამახასიათებელი ყველა ჟესტით, ქცევით, მიმოხვრით, სიარულით და სხვ.

მიმიკოსების შემდეგ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიდიოდნენ ისინი, ვინც განასახიერებდნენ მამურას გარდაცვლილ წინაპრებს. მათ სახეზე ჩამოცმული ჰქონდათ მამურას წინაპართა პორტრეტების მისამსგავსებლად სანთლისაგან გაკეთებული ნიღბები. ეს ნიღბები ისეთ პირებს ჰქონდათ ჩამოცმული, რომელნიც თავიანთი სიმაღლით და მოყვანილობით მართლაც მიემსგავსებოდნენ მათ განსასახიერებელ მამურას წინაპრებს. ილუზიით განსახიერებული მამურას ეს გარდაცვლილი წინაპრები აქ „მოყვანილი" იყვნენ არა უბრალოდ, არამედ იმ თანამდებობათა ნიშნებით, რომლებიც მათ მართლაც ეკავათ სიცოცხლეში.

იმ წინაპართა ორეულებს, რომელთაც სიცოცხლეში ექირათ კონსულის, პოეტორის ან ცენზორის თანამდებობა, ახლა მამურას დაკრძალვის პროცესიაში თან მიჰყვებოდნენ ლიქტორები, ხოლო იმ წინაპრის განმასახიერებელი, რომელსაც სიცოცხლეში რაიმე დამსახურებისათვის ტრიუმფი ჰქონდა გადახდილი, ახლა პროცესიას მიჰყვებოდა ეტლითა და ძველი ტრიუმფის აღსადგენად საჭირო სიტუაციის ყველა ძირითადი ნიშნის შექმნით. ერთი სიტყვით, მაყურებელს ექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მკვდრეთით აღმდგარან და აქ მოსულან მამურას წინაპრები, და ახლა თვით მამურაც (არქიმიმის სახით) მათ წრეში და მათთან ერთად თითქოს რაღაც სულ სხვა სახის პროცესიას მიჰყვება.

მამურას ამ წინაპრების შემდეგ მიდიოდა მამურას ამალა, რომლის შემდეგაც მიჰქონდათ თვით მამურას გვამი. გვამის შემდეგ მიჰქონდათ ტახტრევანზე დაწყობილი მამურას თანამდებობათა ნიშნები. შემდეგ მიდიოდნენ მამურას ნათესავები და მეგობრები მუქ ლურჯ ტანსაცმელში. მათ შემდეგ მიდიოდნენ ქალები, რომელთა წინა რიგშიც იყვნენ მამურას დედა, დები და ცოლი. ქალებს გაწეწილი ჰქონდათ თმები, ისინი ტიროდნენ და გმინავდნენ.

ასეთ ვითარებაში სამგლოვიარო პროცესიამ მიაღწია ფორუმს—ქალაქის ცენტრალურ მოედანს, სადაც როსტრას (ფორუმზე მდგარი საორატორო ტრიბუნების) ირგვლივ გაჩერდნენ მამურას წინაპრები. აქ, ორატორთა ტრიბუნაზე, დადგეს კუბო მიცვალებულის გვამით, თვით ტრიბუნაზე კი შედგა მამურას განმასახიერებელი არქიმიმი, რომ მაყურებელთ შესაძლებლობა ჰქონოდათ დაენახათ „ცოცხალი“ მამურა. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მამურას შვილმა მარკუსმა. მან უზომოდ შეაქო თავისი მამა და „იქ მყოფი“ ყველა მისი წინაპარი. იგი ხანდახან სწყვეტდა თავის სიტყვას და ამ შუალედში ფლეიტისტები და მომღერლები ასრულებდნენ მწუხარების ჰიმნებს.

ფორუმიდან პროცესია გაემართა აპიუსის გზისაკენ, სადაც უკვე მამურას დასაწვავად წინასწარ მომზადებული იყო შეშის ნაღალი კოცონი. ეს კოცონი მორთული იყო ყვავილწნულით და კვიპაროზის ტოტებით. ვიდრე კუბოს კოცონზე შესდგამდნენ, დედამ მამურას გაუხსნა თვალები და თითზე გაუკეთა ბეჭედი, საიქიოში გადამყვანისათვის მისაცემად ტუჩებს შუა ჩაუდო სპილენძის ფული – ტრიენსი (ტრიენსი უდრიდა დაახლოებით 91 გრამს), დაკოცნა მისი გაციებული ბაგეები და მწუხარებით შესძახა: „მშვიდობით! მშვიდობით! ჩვენ ყველანი მოგყვებით შენ იმ რიგით, როგორც ამას ბედი დაგვინიშნავს“-ო.

დედის გამოთხოვების შემდეგ, საყვირის ღრიანცელში მამურას გვამი დასდეს კოცონზე და იქვე ყელი გამოსჭრეს მამურას საყვარელ ცხენებს, ძაღლებს, თუთიყუშებს, შაშვებს, ბულბულებს და მიწაზე დაღვარეს ორი დიდი ჭურჭლიდან წმინდა ღვინო და აგრეთვე დიდი რაოდენობით რძე და სამსხვერპლო ცხოველთა სისხლი.

ამ ცერემონიალის შესრულების დროს დაკრძალვის მონაწილენი განლაგდნენ კოცონის ირგვლივ პირით აღმოსავლეთისაკენ, და მარცხენა მხრისაკენ მოძრაობით დაიწყეს კოცონის შემოვლა.

შემოვლის დროს ისინი კოცონზე ისროდნენ სხვადასხვა საგნებს (საჩუქრებს): დუხს, საკმეველს, სხვადასხვა ყვავილებს, ზეთს, ღვინოს; მამურასთან ომში ნამყოფნი კოცონზე ისროდნენ გვირგვინებს და სამხედრო ხარისხის ნიშნებს. კოცონზე დადებული იყო აგრეთვე სამსხვერპლო ცხოველები და ხორაგი. ქალები ბღუჯად იგლეჯდნენ თმებს და ისროდნენ კოცონზე, იცემდნენ გულში და იკაწრავდნენ სახეს.

შემდეგ კოცონთან გაიმართა გლადიატორთა დიდი ბრძოლა, რომლის დროსაც ასოცმა გლადიატორმა ერთმანეთი ამოხოცეს მიცვალებულ მამურას პატივსაცემად. ყოველივე ამის შემდეგ მამურას შვილს—მარკუსს და რამდენსამე ნათესავს გადასცეს ანთებული ჩირაღდნები, რომლითაც მათ ცეცხლი წაუკიდეს კოცონს. ამ დროს ატეხილ სასტიკ ღრიანცელსა, გმინვასა და მწუხარების შეძახილებში კოცონიდან ავარდნილმა ცეცხლმა ფერფლად აქცია მამურას გვამი და მასზე მოყრილი საგნები და საჩუქრები.

როდესაც ცეცხლი ჩაქრა, მამურას დედამ და ცოლმა სუფთა წყლით გადიბანეს ხელები და შეკრიბეს მამურას დამწვარი ძვლების ნარჩენები, გარეცხეს ისინი ძველ ღვინოსა და რძეში და დუხთან და ვარდებთან ერთად ჩააწყეს ბრინჯაოს ურნაში. ამის შემდეგ დამკრძალავი საზოგადოების წარმომადგენელმა (დესიგნატორმა) მამურას შვილს გადასცა დაფნის ტოტი. მარკუსმა იქ მყოფთ სამჯერ ირგვლივ შემოუარა, რომლის დროსაც იგი მათ აპკურებდა სუფთა წყალს. შემდეგ კი მიმართა მათ—„თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ“-ო. ურნა მამურას ძვლებით წაიღეს შინ და მოათავსეს ატრიუმში.

მეცხრე დღეს ურნა მამურას ძვლების ნარჩენებით დადგეს აკლდამაში. იმავე დღეს მამურას პატივსაცემად მოეწყო გართობა-სანახაობანი. ღარიბებს დაურიგეს უმი ხორცი, ხოლო ფორუმზე გააწყეს გრანდიოზული სადილი.

ასეთ ვითარებაში, როგორც ეს გადმოცემულია ისტორიკოს გიროს ქრესტომათიაში, ხდებოდა მდიდარ მიცვალებულთა დაკრძალვა ძველ რომში.

მამურას ამ დაკრძალვამ შეიწირა 120 უდანაშაულო მონა გლადიატორის სიცოცხლე და დაჯდა 1 მილიონ 100 ათასი სესტერცი, მაშინ, როდესაც ღარიბთა დაკრძალვა რომში მხოლოდ რამდენიმე ასეულ სესტერცის ხარჯებს მოითხოვდა და მეტად უბრალო და

სადა ვითარებაში ხდებოდა. ზოგიერთ მდიდარ რომაელს, მამურაზე უფრო „ბრწყინვალედ“ მარხავდნენ და ამ დამარხვის ხარჯი ზოგჯერ 10 მილიონ სესტერცს, ე. ი. დაახლოებით 1 მილიონ მანეთს აღწევდა.

ასეთი იყო მდიდარ რომაელთა ცხოვრების დასაწყისი და დასასრული, ზარზეიმისა და გართულებული ცერემონიალის ვითარებაში მათი მოსვლა და წასვლა ამ ქვეყნიდან. ამავე დროს ამ ოქროსა და მარმარილოს შორის მცხოვრებ მდიდართა გვერდით მყოფი, ქვეყნის დოვლათის შემქმნელი მონები და ღარიბები გამწარებულ და გაძაღლებულ ყოფაში იყვნენ და სიკვდილს ისევე უქონლად და გაშიშვლებულად ხვდებოდნენ, როგორც დაბადებას. არც მათი დაბადება და არც მათი სიკვდილი არ აღინიშნებოდა არავითარი განსაკუთრებული ცერემონიალით, და სიცოცხლეშივე უცნობთ და ყველასაგან დავიწყებულთ, სიკვდილის შემდეგ დავიწყება აღარ სჭირდებოდათ.

აი როგორი იყო მოკლედ, ერთი მხრით, მდიდართა და, მეორე მხრით, ღარიბთა და მონათა ცხოვრების პირობები, პირველთა სამოთხე და მეორეთა ჯოჯოხეთი მონათმფლობელურ ფორმაციაში, რომელიც ჩვენგან 15—20 საუკუნის დროისაგან შეკერილი ფარდის იქით არის დარჩენილი. მაგრამ ამ ფარდის ახდა და კლასობრივი საზოგადოების ისტორიის შესწავლა მის დასაწყის ასაკში ჩვენთვის საჭიროა, თუ გვინდა, რომ უფრო კარგად და უფრო ღრმად გავიგოთ ის უდიდესი გარდატეხა, რაც მშრომელი ადამიანისათვის მსოფლიო ისტორიაში დაიწყო ოქტომბრის რევოლუციით, როდესაც ეს ისტორია, თვით მისივე კანონზომიერების მიხედვით და ლენინისა და სტალინის გენიით, თავისი განვითარების ახალ გზას დაადგა.

XX. იმპერატორთა ცხოვრება რომში. შეშლილები ხელისუფლების სათავეში

ძველი რომის მიერ ათეული ქვეყნების დაპყრობამ და აფრიკრაზიის კონტინენტებზე გადაპიმული უზარმაზარი სახელმწიფოს წარმოქმნამ ხელი შეუწყო რომში დიდძალი სიმდიდრის დაგროვებას. ეს სიმდიდრე რომში გროვდებოდა როგორც დაპყრობილი ქვეყნების კონტრიბუციით, მათი დახარკვითა და ძარცვით, ისე რომის სავახშო და სავაჭრო კაპიტალის გაშლით და მონური შრომის დიდი მასშტაბით გამოყენებითა და ექსპლოატაციით. ამ სიმდიდრის დაგროვებამ თვით ქ. რომი გადააქცია ხმელთაშუაზღვის აუზის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად და სავახშო და სავაჭრო გარიგებათა თავისებურ ბირჟად.

ქალაქ რომის ცენტრალურ მოედანზე—ფორუმზე მიწაში ჩასობილი მანძილის აღმნიშვნელ, ოქროში დაფერილი ქვიდან იწყებოდა საგზაო მაგისტრალები ყველა მიმართულებით, რომლებიც შემდეგ უამრავ განშტოებად იშლებოდნენ და ნაწილდებოდნენ [1]. ამ გზებით მიედინებოდა რომში ურიცხვი სიმდიდრე და მონები. ამ სიმდიდრის ერთი ნაწილი ხმარდებოდა თვით ქალაქის გამშვენიერებასა და მოწყობას.

რომს, რომელშიაც იმპერიის დროს დაახლოებით ერთი მილიონი მცხოვრები იყო, ირგვლივ შემორტყმული ჰქონდა აგურის მაგარი გალავანი. ამ გალავანზე აგებული იყო 383 კოშკი და ქალაქში შესასვლელად დატანებული ჰქონდა 17 კარები. რომის სიდიდესა და კეთილმოწყობაზე წარმოდგენას მოგვცემს თუნდაც შემდეგი დაახლოებითი ცნობები. კონსტანტინე დიდის დროს რომში იყო: 423 ქუჩა, 46.602 საცხოვრებელი სახლი, 1.790 სასახ-

[1] აქედან წარმოსდგება ძველი გამოთქმა—ყველა გზა რომში მიდისო.

ლე, 423 ტაძარი, 856 აბანო, 19 დიდი წყალსადენი, 1.352 წყალსაცავი (აუზი), 8 ხიდი, 36 თაღი, 28 ბიბლიოთეკა. ეს ბიბლიოთეკები იყო როგორც კერძო, ისე სახელმწიფოც. პირველი სახელმწიფო ბიბლიოთეკა რომში დააარსა აზინიუს პოლიონმა ძველი წელთაღრიცხვის 38 წელს.

რომში ფართოდ იყო გავრცელებული წიგნით ვაჭრობაც. კარნახით მონებს აწერინებდნენ ათასობით ეგზემპლარ წიგნებს, რომლებიც მიჰქონდათ მაღაზიებში გასაყიდათ. ძველ რომში წიგნის ცნობილი გამომცემელნი იყვნენ: ატიკი, სოზიუსი, ტრიფონი და სხვები. ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში რომში გამოდიოდა გაზეთის მაგვარი ცნობარიც, სადაც ათავსებდნენ ოფიციალურსა და კერძო ხასიათის ამბებს ახლად მიღებულ კანონებზე, არჩევნებზე, ასპარეზობათა მოწყობაზე და სხვა.

რომს ჰქონდა ხუროთმოძღვრების ისეთი უდიდესი ნაგებობანი, როგორიც იყო, მაგ. დიდი ცირკი, რომელიც ჯერ 150 ათას კაცს იტევდა, ხოლო გაფართოების შემდეგ—400 ათასამდეც, აგრეთვე ამფითეატრი 70 ათასი მაყურებლის ადგილით და სხვა უდიდესი მასშტაბით და გემოვნებით ნაგები ძეგლები.

ფუქსავატური ცხოვრებისა, განცხრომის და ბედის ძიებისათვის რომში თავს იყრიდა სხვა ქვეყნების არისტოკრატთა მრავალი წარმომადგენელი, აგრეთვე გონებრივი დარგის მუშაკები. იმდროინდელ ლიტერატურულ წყაროებში ქ. რომი ხშირად იხსენიება, როგორც „სამყაროს შესაკრები ადგილი", როგორც „ქვეყნის კომპენდიუმი", სადაც, სენეკას თქმით, ადამიანები „მოედინებოდნენ დედამიწის ყოველი კუთხიდან".

ასეთი იყო მოკლედ ქალაქ რომის სილამაზე და სიმდიდრე. მაგრამ ჩვენ აქ გვაინტერესებს საკითხი, თუ ვის ხელში იყო, რომის მთელ იმპერიასთან ერთად, მონებისა და ღარიბი ხალხის სისხლითა და ოფლით ნაგები ამ ანტიკური ბაბილონის ბედი. ერთი სიტყვით, ჩვენ აქ გვინდა შევჩერდეთ რომის ზოგიერთი ნახევრად შეშლილი და ჩია იმპერატორების ცხოვრებასა და დახასიათებაზე, როგორც ეს ისტორიულ წყაროებშია მოცემული. ამ იმპერატორებს, როგორც წესი, ხელისუფლების სათავეში მოქცევა შეეძლოთ მხოლოდ მემკვიდრეობის წყეული წესის ძალით.

რომის სახელმწიფო მმართველობაში ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის 80-ანი წლებიდან უკვე დაისახა რესპუბლიკური წყობილების სამხედრო დიქტატურასა და მონარქიაში გადაზრდის ნიშნები. საქმე ის იყო, რომ რომის მონათმფლობელურ კლასს რესპუბლიკური მმართველობის ფორმით თანდათან უკვე აღარ ძალუძდა თავისი ბატონობის შენარჩუნება. ხდებოდა მონათა ხშირი აჯანყებები; გაღატაკებული იტალიელი გლეხები სულ უფრო და უფრო მზარდ მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო ომებში. ამის გამო მსხვილ მონათმფლობელთა კლასის ინტერესები მოითხოვდა ხელისუფლების მმართველობის რესპუბლიკური ფორმის ერთპიროვნული მონარქიული დიქტატურით შეცვლას, როგორც ამას აკეთებდა და აკეთებს ბურჟუაზია იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც იგი ისედაც შეზღუდული ბურჟუაზიული დემოკრატიიდან ფაშისტური დიქტატურისა და რეჟიმისაკენ ძიილტვის.

რომში რესპუბლიკური მმართველობის მონარქიულ ერთპიროვნულ მმართველობაში გადაზრდა ერთ საუკუნემდე გაგრძელდა. ამ გადაზრდის საფეხურები იყო სულასა და ცეზარის დიქტატურა. შემდეგ ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დამლევსა და ახალი ერის დასაწყისში ე. წ. „ოქტავიანეს პრინციპატით“ მონარქიული ძალაუფლების დამყარება რომში შინაარსობლივად ფაქტი გახდა, თუმცა გარეგნული ფორმისა და ნიშნების მიცემა ამ მონარქიისათვის შემდეგაც გრძელდებოდა.

ოქტავიანე ენერგიული იმპერატორი იყო. სახელმწიფოს სათავეში ერთმმართველ იმპერატორად 43 წლის განმავლობაში ყოფნის შემდეგ იგი გარდაიცვალა ახალი წელთაღრიცხვის 14 წელს. ოქტავიანეს შემდეგ რომის იმპერატორად ხდება მისი ყველაზე ახლობელი ნათესავი ტიბერიუსი. ტიბერიუსი გარდაიცვალა 37 წელს და იმპერატორობა წილად ხვდა მის ნათესავ კალიგულას (37—41 წწ).

კალიგულა ნამდვილად შეშლილი და არანორმალური იყო. ძველი ისტორიკოსი სვეტონიუსი (69—141 წწ) მის შესახებ წერს: „მას არ შეიძლება ჯანმრთელი ეწოდოს არც სულიერად და არც ფიზიკურად“-ო. საერთოდ, როგორც ყველა უხამსი დესპოტი, კალიგულაც, სვეტონიუსის გადმოცემით, შეპყრობილი იყო განდიდების მანიით. მაგრამ ფსიქიკურად არანორმალურ კალიგულაში

ეს საზღვრებმოშლილი განდიდების მანია პირდაპირ სიგიჟეში იყო გადასული.

კალიგულა ფიქრობდა, რომ მისი სიდიადე უფრო რელიეფურად გამოჩნდებოდა სხვების დამცირების ფონზე. მან ერთხელ სენატორები და მაღალი თანამდებობის პირები აიძულა—ტოგაში გამოწყობილებს მისი ეტლის უკან ერბინათ რამდენიმე ათას ნაბიჯზე. გარდა ამისა, სასახლეში მან შემოიღო იმპერატორისათვის პირქვე დამხობით სალამის მიცემა და მისთვის ფეხზე კოცნა. შურისაგან, კალიგულას ბრძანებით, ზოგიერთი დიდი ადამიანის ქანდაკება დამტვრეულ და განადგურებულ იქნა. სამაგიეროდ მან ააგო იუპიტერის სახელობის ტაძარი, რომელშიაც დადგა ოქროსაგან ნაკეთები თავისი ქანდაკება. მისი ბრძანებით, ამ ქანდაკებას ყოველდღიურად აცმევდნენ ისეთ ტანსაცმელს, როგორსაც თვითონ იმპერატორი იცვამდა იმ დღეს.

მაგრამ კალიგულას მაინც არ აკმაყოფილებდა არავითარი განდიდება ადამიანის ფორმით. მისი წარმოდგენით, იგი არც ერთ იმ ადამიანს არ ჩამორჩებოდა, რომელნიც წინათ ხალხის ბრმა რწმენამ ღმერთებად გარდაქმნა. და კალიგულაც იწყებს ღმერთებისაკენ მიმავალ „ზეციურ კიბეზე ასვლას“. კალიგულას აზრით, თუ ხალხი მას ნებით არ მიიჩნევდა ღმერთად, იგი მათ ძალით მიაჩნევინებდა თავს.

მისი ბრძანებით საბერძნეთიდან რომში მიიტანეს ბერძნული პანთეონის უმაღლესი ღმერთის—ზევსის ქანდაკება, მოხსნეს მას თავი და ზევსის ქანდაკების დარჩენილ ტანს კალიგულას თავის გამოხატულება მოადგეს. ამ ოპერაციით ზევსის ქანდაკების თავი, უბადრუკი კალიგულას წარმოდგენით, უფრო „შესაფერისი გონივრული თავით“ შეიცვალა.

მაგრამ კალიგულა არა მარტო უცხო პანთეონის ღმერთებს ამცირებდა და მათ ქანდაკებებს უცვლიდა თავს „საკუთარი თავით“, არამედ მან გაბედა თვით რომაელთა მთავარი ღმერთი იუპიტერიც კი ჩამოეღო მიუწვდომლობის კვარცხლბეკიდან. მან ერთხელ ტრაგიკოს აპელას ჰკითხა: ვინ უფრო დიდია შენი აზრით—მე, კალიგულა თუ იუპიტერიო, და როდესაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მწერალმა დუმილი არჩია, კალიგულას ბრძანებით იგი სასტიკად გაროზგეს.

ღამით, როდესაც მთვარე სრულად ანათებდა, კალიგულა იწყებდა მასთან ინტიმურ ბაასს, ეარშიყებოდა მას და სთხოვდა სიყვარულზე თანხმობას. დღისით კი იუპიტერის ქანდაკებას ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა, ხან თითონ ადებდა ყურს ქანდაკებას და ამ „ბაასის“ დროს უწყებდა მას ყვირილს და ზოგჯერ გინებასაც კი. შიზოფრენიით შეპყრობილ კალიგულას უნდოდა ქედი მოეხრევინებინა და შიშის ცახცახი აეტეხა მაყურებლისათვის, ჩაენერგა მასში ძრწოლა და თრთოლვა მისი პიროვნების ამ მოჩვენებითი უძლეველობისადმი, რომლის წინაშეც ეს „უკვდავი ღმერთებიც“ კი დამბლადაცემულნი იყვნენ. მაგრამ თავისი ამ დამპალი ფანტაზიის მსხვერპლი და პირველი მორწმუნე თვითონვე იყო დონ კიხოტის ეს მდარე ანტიკური წინამორბედი.

თავისი წარმოდგენით ღმერთების პანთეონში გადასული კალიგულა, არ ერიდებოდა მისთვის, როგორც იმპერატორისა და როგორც „ღმერთისათვის“ შეუფერებელი საქციელის ჩადენას. იგი მონაწილეობას იღებდა დოღში, გლადიატორთა ბრძოლაში, მღეროდა და ცეკვავდა თეატრში და სხვა.

საერთოდ, თავის პირად ყოფაში კალიგულა წრეგადასულ თავშეუკავებლობას იჩენდა და უკიდურესობამდე მისულ გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. მას დარღვეული და გადალახული ჰქონდა მორალის ელემენტარული ნორმები. იგი შეუნიღბავად იღებდა თავის სასახლეში მეძავთ, ზოგჯერ კი სასახლეში მოწყობილი ქეიფის დროს სუფრიდან აყენებდა მიპატიჟებულ ქალებს, მიჰყავდა ცალკე ოთახში და ძალას ხმარობდა მათზე. ხოლო ერთხელ გაიუს პიზონის ქორწილში მიპატიჟებულ კალიგულას თავხედობა იქამდე მივიდა, რომ მან პატარძალი წაართვა ნეფეს და თვითონ წაიყვანა სასახლეში, საიდანაც რამდენიმე დღის შემდეგ დაითხოვა ეს უბედური ქალი.

ასეთი თავაშვებული ცხოვრება და გრანდიოზული ქეიფების მოწყობა დიდძალ თანხებს მოითხოვდა და კალიგულაც ხელგაშლილად ფლანგავდა ასეულ მილიონობით სესტერცს. ზოგჯერ იგი სასახლეში დაყრილ ოქროზე საათობით გორაობდა. ან შიშველი ფეხებით დადიოდა მასზე.

კალიგულა იჩენდა უდიდეს სისასტიკეს, როგორც ახლობელი ადამიანების, ისე იმათ მიმართაც, ვისაც იგი თვალში ამოიღებდა;

ხოცავდა ან რომიდან ასახლებდა მათ. იმპერატორად გახდომიდან ორი წლის შემდეგ კალიგულას აცნობეს, რომ მის წინააღმდეგ ეწყობოდა შეთქმულება. მან ეჭვი შეიტანა შეთქმულებაში საკუთარი დების მონაწილეობაზე და გადაასახლა ისინი. შემდეგ კი ამ გადასახლებულ დებს სწერდა—გარდა იმ კუნძულებისა, სადაც თქვენ გადასახლებული ხართ, მე ხმალიც მაქვსო. შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით მან სიკვდილით დასაჯა თავისი ახლობლები—გემელი და მაკრონი, ხოლო სიმამრი სილანი აიძულა თავი მოეკლა.

თავის ამ შეუზღუდავ ტერორსა და თავაშვებულ მოქცევას კალიგულა იმით ამართლებდა, რომ მე, როგორც იმპერატორს, „ყველაფრის ნება მაქვს ყველას მიმართ"-ო. მას თავის პრაქტიკულ ცხოვრებაში დევიზად ჰქონდა აღებული ცნობილ დრამატურგის ლუცია ატიას სიტყვები, რომლებსაც ხშირად იმეორებდა: „დეე, ვეზიზღებოდე, მხოლოდ ეშინოდეთ"-ო. ამ დევიზის მიმყოლი, იგი არ ერიდებოდა უსაძაგლესი ვერაგობის ჩადენასაც. მან ერთხელ რამდენიმე კაცი ფარულად სიკვდილით დასაჯა, მერე კი მათ სახლებში შიკრიკები გაგზავნა და სასახლეში მიიპატიჟა, ვითომდა მათ შესახებ არაფერი იცოდა.

მაგრამ კალიგულას სირეგვნე და მისი ფსიქიკური აშლილობა ყველაზე მეტად შემდეგი ორი ფაქტით გამომჟღავნდა. ერთი მათგანი არის კალიგულას დამოკიდებულება თავისი საკუთარი სადოღე ცხენის—ინციტატის მიმართ. ამ ინციტატს კალიგულამ აუშენა მარმარილოს თავლა და სპილოს ძვლის ბაგა, კაზმავდა მას ძოწეულის ფერი ასალით და ძვირფასი ქვებით მოჭედილი გულქანდათი. ამ ცხენს მოსავლელად კალიგულამ მიუჩინა მთელი შტატი. იგი სპეციალურად ჯარისკაცებს გზავნიდა და აფრთხილებდა, რომ ინციტატის „სასახლის" მეზობლად მცხოვრებ რომაელთ არ ეხმაურათ და ამ ბედნიერი ცხენისათვის მოსვენება არ დაეფრთხოთ.

ისტორიკოსი სვეტონიუსი, რომლის ნაწერებიდანაც ჩვენ ზემოაღნიშნული ცნობები მოგვყავს, კალიგულას სიკვდილიდან 28 წლის შემდეგ დაიბადა. ამიტომ საფიქრებელია, რომ მის დროსაც ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ წაშლილი არ უნდა ყოფილიყო კალიგულას „საქმენი საგმირონი", სვეტონიუსი წერს, რომ „იმასაც

კი ამბობენ, რომ მას (კალიგულას—მ. ა.) უნდოდა მისი (ე. ი. ცხენ-ინციტატის—მ. ა.) კონსულად გამოცხადება“-ო.

კალიგულას სირეგვნემ და ფსიქიკური აშლილობის გაძლიერებამ, ხოლო მეორე მხრით, მის ქვეშევრდომთა საოცარმა მოთმინებამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია კალიგულას მეორე წამოწყებაში. ეს იყო კალიგულას მიერ შუა იტალიის სანავსადგურო ქალაქ პუტეოლში 3600 რომაული ნაბიჯის (ე. ი. დაახლოებით 4 კილომეტრის) სიგანეზე ზღვაში ბაისსა და მოლოსს შორის ხიდის აგება. კალიგულას განკარგულებით. ამ სრუტეში ღუზაზე ორ რიგად გააჩერეს სატვირთო გემები და მიზიდული მიწის დაყრით ამ გემებზე გააკეთეს აპიუსის გზის მაგვარი სახმელეთო გზა.

უფლებით მდიდარს, მრისხანებით თავდაუჭერელს, მაგრამ გონებით ავადმყოფ კალიგულას ვერავინ შეჰბედა ეკითხნა, თუ რა მიზნით იყო გამოწვეული ან რა გამართლება უნდა ჰქონოდა სრუტეზე ხიდის აგების ამ უაზრო წამოწყებას, როცა ამ ხიდს არავითარი სამეურნეო და სტრატეგიული მნიშვნელობა არ შეიძლებოდა ჰქონოდა.

მაგრამ ეს მიზანი თვითონვე გამოამჟღავნა კალიგულამ, როცა ამ უცნაური ხიდის დამთავრების შემდეგ წინ და უკან მოძრაობით იგი ზედიზედ ორი დღის განმავლობაში სეირნობდა ამ ხიდზე. პირველ დღეს იგი ხიდზე სეირნობდა მდიდრულად მოკაზმულ ცხენზე შემჯდარი თავზე მუბის გვირგვინით, ხელში ხმლითა და ფარით და ძვირფასი ბერძნული წამოსასხამით. მეორე დღეს მეფეშიზოფრენიკი ხიდზე სასეირნოდ გამოვიდა ორცხენშებმული ეტლით და მეეტლის ტანსაცმლით. მის ეტლს წინ მიუძღოდა პართელი მძევალი ბიჭი, უკან კი მიჰყვებოდნენ ახლობელი პირები და პრეტორიანელთა გვარდიის მისი პირადი მცველი რაზმი.

ისტორიკოს სვეტონიუსს მოჰყავს სამი ვარიანტი, რომელთაც, მის თანამედროვეთა აზრით, უბიძგეს კალიგულას ამ ხიდის აგება. ამავე დროს არც ერთ ამ ვარიანტში არ არის და არც შეიძლება იყოს არავითარი რაციონალური მარცვალი, რომელიც ოდნავ მაინც ამართლებდეს კალიგულას ამ წამოწყებას. სამივე ვარიანტი მხოლოდ სამი სხვადასხვა მხრით გვიჩვენებენ კალიგულას ამ გიჟურ „სტრატეგიულ“ მშენებლობას.

ზოგის შეხედულებით, იმპერატორს უნდოდა ამ გრანდიოზული მშენებლობის შესახებ ხმის გავარდნით თავზარი დაეცა ჩრდილოეთში 2—3 ათასი კილომეტრის დაშორებით მცხოვრები გერმანელებისა და ბრიტანელებისათვის, რომელთა წინააღმდეგაც იგი იმ დროს ომს ამზადებდაო.

სხვების შეხედულებით, კალიგულას სურდა მიებაძნა სპარსეთის მეფე ქსერქსესათვის, რომელმაც ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის დასაწყისში (480 წელს) საბერძნეთთან ომის დროს, მცირე აზიიდან ბალკანეთში ჯარების გადმოსაყვანად, მართლაც ააგო ჰელესპონტის (ახლანდელი დარდანელის) სრუტის ყველაზე ვიწრო ადგილას ერთი მეორის გვერდით დაყენებული გემებისაგან მოძრავი ბოგირი (ხიდი). მაგრამ საქმე ისაა, რომ ქსერქსეს მიერ ჰელესპონტის ხიდის აგებასთან არაფერი ანალოგია არ აქვს კალიგულას პუტეოლის ხიდს. ქსერქსეს ამ მოძრავი, დროებითი ხიდის აგება იმ დროისათვის მეტად გონივრული და გამართლებული სამხედრო მოსაზრებულობა იყო. ამ ხერხით ქსერქსემ უფრო სწრაფად და წარმატებით გადაიყვანა რამდენიმე ათეული ათასი ჯარისკაცი სრუტის აღმოსავლეთი სანაპიროდან (მცირე აზია) დასავლეთ სანაპიროზე (ბალკანეთი). ჩვეულებრივ შემთხვევაში ქსერქსეს ეს ჯარები უნდა გადაეყვანა გემების სარეისო მიმოსვლი ი სრუტის ერთი ნაპირიდან მეორემდე, რასაც მეტი დროც უნდოდა და მეტი ჯაფაც. ჯარების გადაყვანის შემდეგ ქსერქსეს ფლოტი მოიხსნა ჰელესპონტიდან და ზღვის სანაპიროებით გაჰყვა სპარსეთის ძირითად სახმელეთო ძალებს.

ამგვარად, ქსერქსეს დიდი შრომა არ დაუხარჯნია არც ამ ხიდის აგებაზე და არც მის დაშლაზე. კალიგულას კი არც ომი ჰქონდა, არც ჯარი ჰყავდა გადასაყვანი. გარდა ამისა, უფრო განიერ სრუტეზე მიწის მიზიდვითა და დაყრით მან უაზროდ გაფლანგა ხალხის შრომა და ძალები, თანაც დააკონსერვა უდიდესი ტონაჟის საზღვაო ფლოტი.

ზოგის აზრით კიდევ, ხიდის აგება გამოწვეული იყო კალიგულას შემდეგი გიჟური ჟინიანობით. ისტორიკოს სვეტონიუსს მოჰყავს რა ორივე ზემოაღნიშნული ვარიანტი, დაასკვნის: „მაგრამ ბავშვობაში პაპაჩემისაგან გამიგია შემდეგი გადმოცემა: სასახლესთან ყველაზე ახლო მდგომმა პირებმა ასე აუხსნეს მას ის მიზეზი,

რომელმაც კალიგულას უბიძგა გაეკეთებინა ეს ხიდი. ტიბერიუსს, რომელიც შეწუხებული იყო თავის მომავალ მემკვიდრეზე ფიქრით და რომელსაც უნდოდა, რომ იმპერატორად გამოეცხადებინა თავისი შვილიშვილი, ასტროლოგმა ტრაზილმა უთხრა: იმდენადვე მცირე იმედია, რომ გაიუსი[1] იყოს იმპერატორად, როგორც ის, რომ ცხენით შეიძლებოდეს ბაისის სრუტეზე გასვლაო".

ამ მესამე ვარიანტით, კალიგულამ ხიდის აგებაზე იმიტომ დააკონსერვა საზღვაო ფლოტი და იმიტომ გაფლანგა ხალხის ესოდენ დიდი შრომა და ენერგია, რომ დაემტკიცებინა ტრაზილის მსგავსი ეჭვიანებისათვის, რომ მათი შეხედულება მასზე „მცდარია". აი ნახეთ, თუ არ შეიძლება ბაისის სრუტეზე ცხენით გავლა და კალიგულას იმპერატორობაო. ნამდვილად კი კალიგულამ თავისი ამ სულელური წამოწყებით დაადასტურა ტრაზილის შეხედულება.

კალიგულას ამ აშკარა თავაშვებული ქცევით, ტერორით, ხალხის შეურაცხყოფით, გიჟური ექსცესებით და წამოწყებებით გამოწვეული უკმაყოფილება დღითი დღე იზრდებოდა. პირველად იმპერატორის მოსაკლავად 39 წელს მოეწყო შეთქმულება, რომელსაც სათავეში ედგნენ ზემო-გერმანიის ლეგიონთა მეთაური გნეი ლენტული, კალიგულას დის ქმარი—მარკ ემილიი ლეპიდი და სხვები. მაგრამ ეს შეთქმულება კალიგულამ გახსნა და გაანადგურა.

40 წელს პრეტორიანთა გვარდიის მეთაურის ხერეას ხელმძღვანელობით კალიგულას წინააღმდეგ მოეწყო მეორე შეთქმულება. 41 წლის 24 იანვარს, საღამოს 7 საათზე თეატრში, შეთქმულებმა ხერეამ და საბინამ 13 ჭრილობა მიაყენეს და წუთისოფელს გამოასალმეს ბუნების მიერ შეშლილად დაბადებული და ცხოვრების უკუღმართობით „პირველ კაცად" გამხდარი კალიგულა.

იუპიტერისა და ზევსის „უფროსი", მთვარესთან გამიჯნურებული იმპერატორი, სახელდახელოდ მოწყობილ კოცონზე ნახევრად დამწვარი უბრალოდ ჩააგდეს საფლავში. შემდეგ, გადასახლებიდან

---

[1] გაიუსი კალიგულას ნამდვილი და თავდაპირველი სახელია. „კალიგულა" კი მას მერე შეერქვა. წინა იმპერატორი ტიბერიუსი იყო კალიგულას პაპის ძმა კალიგულა მისი ნაშვილები იყო.

დაბრუნებულმა მისმა დებმა იგი ამოიღეს საფლავიდან, დაწვეს, როგორც ამას რომაელთა მაშინდელი ტრადიცია მოითხოვდა, და დასაფლავების წესის სხვა ცერემონიალის დაცვით ხელახლა დამარხეს ეს თავიანთი მტერი და მოყვარე.

მაგრამ კალიგულას 3 წლის, 9 თვისა და 8 დღის იმპერატორობით არ გათავებულა ტახტის შიზოფრენიკებისაგან რომაელთა წამება.

კალიგულას შემდეგ რომის იმპერატორად გახდა მისი ბიძა, გერმანიკუსის უმცროსი ძმა კლავდიუსი. კლავდიუსი ჭკვიანი კაცი იყო. იმპერატორად გახდომამდე იგი ეწეოდა გონებრივ შრომას, დასწერა ეტრურიისა და კართაგენის ისტორია, ლათინურ ენაში შეიტანა სამი ახალი ანბანი და სახელმწიფო მმართველობაში გააატარა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთაც უფრო განამტკიცეს რომის მონათმფლობელური ბიუროკრატია.

მაგრამ კლავდიუსი მეტად ზარმაცი და პოლიტიკური მოღვაწეობისადმი რამდენადმე ინდიფერენტულად განწყობილი იმპერატორი იყო. ამ გარემოებით ისარგებლეს და სახელმწიფო მმართველობის სადავეები მის დროს ხელთ იგდეს აზატებმა: ნარცისმა, პალასმა, კალისტმა და სხვ.

კლავდიუსის ოჯახური ცხოვრება მეტად არეული იყო. პირველ ორ ცოლს იგი გაეყარა. მესამე ცოლმა თვითონ მიატოვა იმპერატორი და სხვას გაჰყვა. ბოლოს მან ცოლად შეირთო თავისი ქვრივი ძმისწული აგრიპინა. ამ აგრიპინას პირველი ქმრისაგან ჰყავდა შვილი ნერონი. 54 წელს, ზოგიერთი ცნობით, აგრიპინამ საწამლავის მიცემით მოკლა თავისი ბიძა და ამავე დროს ქმარი—იმპერატორი კლავდიუსი. კლავდიუსის სიკვდილის შემდეგ იმპერატორად ხდება 17 წლის ნერონი.

ნერონი იყო კალიგულას ნათესავი და ისიც კალიგულას მიდრეკილების აღმოჩნდა. ამიტომ 13 წლის შემდეგ რომაელებს კვლავ დაუდგათ მძაფრი ტერორის ხანა და თავს დაატყდათ კალიგულას დროის მთელი საშინელება.

მართალია, ნერონი სიგიჟის ისეთ აშკარა ნიშნებს არ ამჟღავნებდა, როგორც მთვარესთან მოარშიყე და ღმერთების უფროსი კალიგულა, მაგრამ სულ ნორმალურად არც ის ჩაითვლება. განდიდების მანიით შეპყრობა და ფუქსავატური ცხოვრებით გატა-

ცება, ეკვიანობა, გარყვნილი ცხოვრება, არასერიოზულობა ნერონისათვის მეტად დამახასიათებელი იყო.

უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს მართვის საქმეებისადმი დაინტერესებას ნერონი არ ამჟღავნებდა. იგი ამქვეყნად ყველაზე მეტად აფასებდა არტისტობას და თავის არტისტულ ნიჭს. იმპერატორის ხელისუფლებას იგი იმისათვის იყენებდა, რომ თავისი ამ არტისტული ნიჭისათვის სრული „გაქანებისა“ და „გაფურჩქვნის“ საშუალება მიეცა. იგი ხშირად თავისთან იძახებდა იმ დროის ცნობილ მუსიკოს ტერპნას და მისი აკომპანემენტით სადილობიდან შუაღამემდე მღეროდა და იმანჭებოდა. ამავე დროს ნერონი სხვა მხრივ ძალიან უფრთხილდებოდა თავის ხმას და ცდილობდა ბევრი არ ელაპარაკნა და თავი შეეკავებინა ხილის ან სხვა ისეთი საჭმლის მიღებისაგან, რომელიც მაშინდელი გაგებით ხმას აფუჭებდა. ხმის გაფრთხილების მიზნით, იგი აგრეთვე საათობით იწვა გულაღმა და გულზე იწყობდა ტყვიის ფირფიტებს და კუჭს იწმენდდა.

სიმღერასთან ერთად, ნერონს თავის უმაღლეს მოწოდებად და მოვალეობადაც მიაჩნდა სცენაზე ტრაგიკული და კომიკური როლების შესრულება. იგი ასრულებდა გმირებისა, ღმერთებისა, და ღმერთქალების როლებს, ხან კი მშობიარე დედაკაცის როლშიც გამოდიოდა. ნერონი განსაკუთრებით გატაცებული იყო დედისმკვლელ ორესტის, ბრმა ედიპის, ჰერაკლეს და სხვა როლების შესრულებით. როცა იგი სცენაზე მღეროდა, კარებს კეტავდნენ და თეატრიდან არავის არ უშვებდნენ; ამის გამო ყოფილა შემთხვევები, როდესაც ფეხმძიმე ქალებს თეატრში მოუმშობიარეებიათ. გადმოცემით, ნერონს სცენაზე გამოუყვანია და ძალით უმღერებია 80 წლის მოხუცი ქალი.

66—67 წლებში ნერონმა დიდის ზარზეიმით ათასამდე ეტლით და მსახურთა და პრეტორიანელთა დიდი ამალით მოაწყო თავისი არტისტული ტურნე საბერძნეთში, სადაც მან მონაწილეობა მიიღო ოლიმპიის, დელფის, ნემეის და ისთმის დღესასწაულებში. ამ ბერძნულ დღესასწაულებში რომის იმპერატორი პირადად იღებდა მონაწილეობას ეტლოსანთა დოღში, რომელშიაც ათი ცხენი იყო შებმული, ინდივიდუალურ ატლეტურ ბრძოლაში, სიმღერაში, აგრეთვე თამაშობდა სცენაზე ტრაგიკულ როლებს. ყველა ამ

შეჯიბრებაში იმპერატორი მოქრთამვითა და დაშინებით ღებულობ-
და გამარჯვების ჯილდოებს. ასეთი ჯილდოების სახით მან რომში
ჩამოიტანა 1800-მდე გვირგვინი. ხოლო ბერძნებს იმპერატორისათვის
პატივისცემის გამო სამაგიერო იმით მიუგო, რომ გაანთავისუფლა
საბერძნეთი გადასახადებისაგან.

საბერძნეთიდან რომში დაბრუნებისას ნერონმა ტრიუმფი
მოაწყო. იგი ავგუსტუსის სატრიუმფო ეტლით შეეიდა დედაქა-
ლაქში, თითქოს ბრძოლის ველიდან ბრუნდებოდა დიდ ომმოგებუ-
ლი და არა ბერძნული დღესასწაულიდან.

ნერონმა რომში დააწესა ბერძნული ოლიმპიური დღესასწაუ-
ლების მსგავსი თავისი სახელობის პერიოდული დღესასწაული
„ნერონია", რომელიც 5 წელიწადში ერთხელ იმართებოდა. ამ
დღესასწაულებზე მოწყობილ კრივში არა მარტო თვითონ იღებდა
მონაწილეობას ნერონი, არამედ აიძულებდა მაღალი თანამდებო-
ბის პირებსა და წარჩინებული წრიდან გამოსულ მოქალაქეებსაც
მიეღოთ მონაწილეობა. სვეტონიუსის გადმოცემით, ერთ ასეთ
კრივში ნერონის განკარგულებით მონაწილეობას იღებდა 400 სე-
ნატორი და 600 მხედარი.

ნერონი წერდა ლექსებსაც, და სცენის შემდეგ პოეზია იყო
მისი აშლილი სულის მეორე ნავსაყუდელი. ისტორიკოსი სვეტო-
ნიუსი წერს: „მე მქონდა მისი ჩანაწერები და რვეულები, მისი
ხელით ნაწერი და ყველასათვის ცნობილი რამდენიმე ლექსი"-ო.
შემდეგ სვეტონიუსი წერს, რომ ნერონი „თავის თავს სიმღერაში
თვლიდა აპოლონის და ეტლის მართვაში კი მზის ღმერთის თანა-
სწორად. მან გადაწყვიტა, მიებაძნა ჰერკულესის გმირობისათვის.
ამბობენ, რომ შემზადებული იყო ლომი, რომლის დახრჩობასაც
ხელით, ან კეტით მოკვლას ნერონი ფიქრობდა ამფითეატრის
არენაზე მაყურებელთა თვალწინ"-ო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სა-
ხიფათო წამოწყება შემდეგ ვილაცის რჩევით ნერონს მიუტოვებია.

ნერონს დიდად მოსწონდა და სიაქოვნებდა, როდესაც სცე-
ნაზე მდგომ არტისტ იმპერატორს მაყურებელი ტაშით აჯილდო-
ებდა. მაგრამ ზოგჯერ, მისი აზრით, უმადურმა მაყურებელმა არ
იცის, თუ რა დიდი შემოქმედებითი აგზნების მომტანია მისი ეს
უბრალო აპლოდისმენტი მსახიობისათვის. ამიტომ მაყურებელი

არ აქცევს ყურადღებას, რომ სცენიდან მიღებული სიამოვნებისათვის მანაც ამ ტაშით სამაგიერო მიუზღოს მსახიობსო.

მაყურებელთა ამ არასაკმაო „აგზნებასა და სითბოს“ სცენაზე მდგომ მსახიობისადმი ნერონმა ყურადღება მიაქცია თავისი თეატრალური მოღვაწეობის დასაწყისშივე, და ამ „ნაკლის“ დაძლევას იგი ორგანიზებული საშუალებით შეეცადა. მან 5.000 შერჩეულ ახალგაზრდას შეასწავლა აპლოდისმენტის სხვადასხვა სახე. ისინი სპეციალურად ესწრებოდნენ ნერონის ყველა გამოსვლას და ქანცის გაწყვეტამდე უკრავდნენ მას ტაშს.

ასეთი იყო მოკლედ ნერონის არტისტული მოღვაწეობა. მისი პირადი დროის დიდ ნაწილს „ხელოვნება“ ნთქავდა და ამის გამო ნერონი დროს ვეღარ შოულობდა 3 კონტინენტზე (აფრეკრაზია) გადაჭიმული იმპერიის მართვის პრობლემებისათვის, რაც მას ასე მოულოდნელად „ბედმა“ ხელთ ჩაუგდო, მაგრამ რაშიაც მას ბევრი არაფერი გაეგებოდა და არც აინტერესებდა.

ხელოვნებასთან ერთად მისი დრო მიჰქონდა ღრეობას, თავაშვებულ, მოუწესრიგებელ და გარყვნილ ცხოვრებას. იგი ხშირად თავის ახლობელ პირებთან ერთად გადაცმული დაყიალობდა ქუჩაში, დადიოდა სამეძაო სახლებში, ჩხუბობდა და სცემდა გამვლელ-გამომვლელთ. ერთხელ ასეთი შემთხვევის დროს თვითონ მას ისე მაგრად სცემეს, რომ სიკვდილს ძლივს გადარჩა.

სამეძაო სახლებში სიარულის გარდა, ნერონს მრავალი საყვარელიც ჰყავდა. პირველ ცოლს—ოქტავიას იგი გაეყარა და ვინმე ოტონს წაართვა ცოლი—პოპეია და თვითონ შეირთო, ოქტავია კი კუნძულ პანდატერზე გადაასახლა, სადაც იგი 62 წელს ნერონის განკარგულებით მოკლეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ნერონმა მუცელში წიხლის ჩაცემით მოკლა ორსული პოპეიაც.

ნერონს ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ახალგაზრდა ბიჭ სპორასთან. ისტორიკოს სვეტონიუსის გადმოცემით, რომაელები მაშინ ხშირად იმეორებდნენ ვიღაცის მიერ მოხდენილად ნათქვამ სიტყვას—„კაცობრიობა ბედნიერი იქნებოდა, რომ ნერონის მამას დომიციანესაც ასეთი ცოლი ჰყოლოდაო“. საერთოდ, ძველი საბერძნეთისა და რომის მაღალ ფენებში ეს უკულმართი მოვლენა მეტად გავრცელებული იყო. ეხება რა ამ მოვლენას ანტიკურ ქვეყნებში, ენგელსი წერს: „...ბოლოს მამაკაცი იქამდე დაქვეითდა, რომ ვაჟების სიყვარულის უკულმართობა იგემა, მან

თავისი ღმერთებიც იმდენად დაამდაბლა, რომ განიმედის მითოსი შექმნა"[1]. იმავე სვეტონიუსის გადმოცემით, ამ ფსიქიკურად არანორმალურ ნერონს ძლივს გადაათქმევინეს განზრახვა, რომ ოფიციალური საქორწილო ცერემონიალით სასახლეში მიეყვანა სპორა[2].

ნერონი თავის სასახლეში ხშირად მართავდა ორგიებს. ზოგჯერ მისი ჩვეულებრივი სადილიც კი შუადღიდან შუაღამემდე გრძელდებოდა. ნერონი აუარებელ სიმდიდრეს ანიავებდა გართობასადა თავის შექცევაზე. იგი თევზის საჭერად მიდიოდა მოოქროვილი ბადით. ქალაქის გარეთ გასულს, მას ყოველთვის თან მიჰყვებოდა 1000-მდე ეტლი, რომლებშიაც შებმული მრავალი ჯორიდან ბევრი ვერცხლის ნალებით იყო დაჭედილი.

64 წლის ივლისში იმპერატორი მთელი თავისი მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე ამალით, რომელშიაც 5000 კაცი მარტო ტაშის დამკვრელი იყო, საგასტროლოდ წავიდა ქ. ანციუმში. ტაშის დამკვრელი ახალგაზრდები გამოწყობილნი იყვნენ ძვირფას ტანსაცმელში და მარცხენა ხელზე გაკეთებული ჰქონდათ ბეჭდები. მარტო მათი უფროსი ხელფასს ღებულობდა 40.000 სესტერციის რაოდენობით. მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ნერონი, რომელიც ერთსა და იმავე ტანსაცმელს ორჯერ არ ჩაიცვამდა, დიდი მოწადინებით გამოდიოდა სცენაზე. ერთხელ მან ყურადღებაც კი არ მიაქცია ძლიერ მიწისძვრას, რომლისგანაც თეატრის მთელი შენობა ზანზარებდა და მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როდესაც თავისი ნომერი შეასრულა.

იმ დროს, როდესაც ნერონი ანციუმში თავისი სამსახიობო უნარის გამოვლინებით იყო გატაცებული, როდესაც, მისივე წარმოდგენით, აპოლონის ეს თანადარი თავისი არტისტული ნიჭით ანციუმის მაყურებელს ათრობდა და სიამოვნების მორევში ახრჩობდა, ხოლო მისი კლაკერები (დაქირავებული ტაშისმკვრელები ტაშისცემით ცას და მიწას აყრუებდნენ, მსოფლიოს კომპენდიუმი და იმპერიის ცენტრი, ოქროსა და მარმარილოს ქალაქი რომი ცეცხლში იწვოდა და იბუგებოდა. ქარიან დღეს გაჩენილი ხანძარი ექვს დღე და ღამეს გიზგიზებდა და ბორგავდა.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 65.

[2] იმპერატორ დომიციანეს (180—192 წწ) გარემში იყო 800 ქალი და ამდენივე ბიჭი.

ამ ცეცხლის ზღვაში ჩაინთქა და ჩაიფერფლა ათასი წლის ისტორიის მქონე ქალაქი თავისი სიმდიდრითა და ნაგებობებით, თავისი ისტორიული ძეგლებით და ძირითადად მონების სისხლითა და ოფლით შექმნილი კულტურით. რომაელების ცდა ხანძრის ლოკალიზაციისა უშედეგო აღმოჩნდა. ჰომეროსის არ იყოს, ცეცხლმა აჯობა წყალსა და ქალაქის 14 რაიონიდან 10 რაიონი გადაიწვა და გადაიბუგა.

ამ ხანძრის გამომწვევ მიზეზებზე ძველადვე სხვადასხვა აზრი არსებობდა. ერთი ვარაუდით ხანძრის გაჩენას მიაწერდნენ ქრისტიანებს, მეორე ვარიანტით კი ხანძარი ნერონის კარნახით გააჩინა მისი პირადი მცველი რაზმის უფროსმა ტიგელინმა, რადგანაც ნერონს არ მოსწონდა უგეგმოდ, ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით გაშენებული ძველი რომი; მას უნდოდა ქალაქის ხელახლა, გეგმიანი აშენება და მისთვის თავისი სახელის—ნეროპოლის შერქმევაო.

შესაძლებელია ხანძარი გაჩნდა შემთხვევით, მაგრამ ამ ხმებს, ნერონის კარნახით, ქალაქის გადაწვის შესახებ, ის გარემოება აძლიერებდა, რომ ხანძრის შემდეგ ნერონმა თვითონ მიისაკუთრა გადამწვარი ქალაქის ცენტრში 270 ჰექტარი მიწა. იმპერიის სხვა ქალაქებსა და პროვინციებს ახალი რომის ასაშენებლად ნერონი შეწირულების სახით (რომელსაც უფრო იძულებითი ხასიათი ჰქონდა) უდიდეს თანხებს ახდევინებდა. ასე მაგალითად, მარტო ლიონმა გადაიხადა 4 მილიონი სესტერცი.

ამ გზით შეკრებილი თანხები ნერონმა მოახმარა, უპირველეს ყოვლისა, თავისი საკუთარი ე. წ. „ოქროს სასახლის“ აგებას. ნერონის ამ სასახლის შუაში მოაწყვეს ზღვასავით გუბურა, რომლის ირგვლივაც აღმართული იყო ლამაზი სტილით ნაგები შენობები. სასახლის ამ ვეება ფართობზე გაშენებული იყო პარკები, ვენახები, ტყეები, დატოვებული იყო საძოვრები და ველები. ამ ტყეებსა და ველებში თავმოყრილი იყო აუარებელი ფრინველი და ნადირი. თვით სასახლე მოპირკეთებული იყო ოქროთი და მოჭედილი ძვირფასი ქვებით. განსაკუთრებით კარგად და ლამაზად იყო ნაგები სასადილო დარბაზები. ჭერი ამ დარბაზებისა ნაკეთები იყო სპილოს ძვლით და დამაგრებული განსაკუთრებულ სახსრებზე. ღრეობა-ნადიმის დროს შეიძლებოდა ამ ჭერის ხელოვნუ-

რად ამოძრავება სახსრების ირგვლივ. მართლაც, გადმოცემის მიხედვით, არაჩვეულებრივი სანახავი ყოფილა ეს მბრუნავი ჭერი, რომელიც წინასწარ იქ მოზიდულ ყვავილებს ბრუნვის დროს სტუმრებს აყრიდა და ასხურებდა სუნამოს. სასახლის ვესტიბიულში აღმართული იყო ნერონის ცხენიანი უზარმაზარი ქანდაკება 36 მეტრის სიმაღლისა.

ასეთ მდიდრულად მოწყობილ სასახლეში ცხოვრობდა ნერონი თავისი ღარიბი ჰკუით, ხოლო ფილოსოფოსმა დიოგენემ თავისი ცხოვრება თავისი სიმაღლის კასრში გაატარა, რომელიც მას ზურგზე მოკიდებული დაჰქონდა ელადის ერთი ქალაქიდან მეორეში.

ხანძარმა, რომელმაც რომის $^2/_3$ შთანთქა და რომელმაც ნერონს ამ გრანდიოზული სასახლის აგების საშუალება მისცა, მოსპო არა მარტო რომის დიდძალი სიმდიდრე, არამედ, გადმოცემის მიხედვით, იმსხვერპლა იმ დროს ახლად ფეხადგმული ქრისტიანული კასტის მრავალი მიმდევარიც. იმისათვის, რომ გაენეიტრალებინა ხალხში გავრცელებული ხმები ხანძრის გაჩენაში იმპერატორის თანამონაწილეობის შესახებ, ნერონმა ეს ბრალდება ქრისტიანებზე გადაიტანა და მიიჩნია რა ისინი ხანძრის გაჩენის მთავარ მიზეზად, მრავალი მათგანი სასტიკი წამებით გამოასალმა წუთისოფელს. ზოგიერთი ნადირის ტყავში გაახვია და ძაღლებს მიუგდო დასაგლეჯად, ზოგი ჯვარს აცვა და ზოგსაც ფისი და ერბო წაუსვა, ბოძებზე მიაკრა, ცეცხლი წაუკიდა და ეს ე. წ. „ნერონის ჩირაღდნები“ მოედნის გასანათებლად გამოიყენა, სადაც იმ დროს კარნავალი იყო მოწყობილი.

ნერონი, როგორც სუსტი გონების ადამიანი, შეპყრობილი იყო ძლიერი ეჭვით და მუდამ ელანდებოდა, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება ეწყობოდა. რა თქმა უნდა, ნერონის არანორმალური და თავაშვებული ცხოვრება და მოქმედება თვითონ ქმნიდა საფუძველს ასეთი შეთქმულებების მოსაწყობად, და ისინი კიდევაც ეწყობოდნენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ნერონს ეს შეთქმულებები ძლიერ გაზვიადებულად და უწყვეტ რგოლად ჰქონდა წარმოდგენილი. უმთავრესად ეს გარემოება ედო საფუძვლად მკვლელობათა იმ პერმანენტულ სერიასა და ტერორს, რომელსაც იმპერატორი მიმართავდა თავისი სიცოცხლის დასასრულამდე.

ნერონის ეს ტერორი და რისხვა, უპირველეს ყოვლისა, თავს დაატყდა მის ნათესავებსა და ახლობლებს. იმპერატორს ყველაზე მეტად სწორედ თავის ამ მახლობელთა წრეზე ეპარებოდა ეჭვი, თითქოს ისინი უწყობდნენ შეთქმულებას, ანდა წარმოადგენდნენ შეთქმულთათვის პირველ კანდიდატებს ნერონის ადგილზე, როცა ეს უკანასკნელი თავიდან მოცილებული იქნებოდა. სწორედ ამის გამო ეშლეტდა და მუსრს ავლებდა ნერონი მათ. უკვე თავისი იმპერატორობის მეორე წელს (55 წ.) ნერონმა მოწამვლით მოკლა თავისი მამინაცვლის—კლავდიუსის შვილი ბრიტანიკუსი. თავად ამ ბრიტანიკუსს, როგორც იმპერატორ კლავდიუსის შვილს, მეტი უფლება ჰქონდა ტახტზე, ვიდრე კლავდიუსის გერს—ნერონს. მაგრამ მაშინ ნერონის დედამ—აგრიპინამ, რომელიც მესამე ცოლად გაჰყვა თავის ბიძა კლავდიუსს, აიძულა იგი, რომ საკუთარი შვილის—ბრიტანიკუსის მაგიერ, იმპერატორად გამოეცხადებინა თავისი გერი ნერონი, რომელიც ამავე დროს ძმისშვილია შვილად მოხვდებოდა[1].

ნერონმა კარგად იცოდა, რომ ტახტზე ბრიტანიკუსის პრეტენზიებს სამართლიანი საფუძველი ჰქონდა და რომ ოპოზიციის ხელში ბრიტანიკუსი იმპერატორის პოსტზე შესაძლებელი კანდიდატი იყო. სწორედ ამ გარემოების გამო წაართვა უბედურ ბრიტანიკუსს ნერონმა ტახტთან ერთად სიცოცხლეც. გარდა ამისა, სვეტონიუსის გადმოცემით, აქ დამატებითი გარემოების როლს ასრულებდა ისიც, რომ ბრიტანიკუსს კარგი ხმა ჰქონდა, რის გამოც პირველ მომღერლად ოავგამოცხადებული ნერონი ვერ იტანდა მის მეტოქეობასო.

ბრიტანიკუსის თავიდან მოსაშორებლად ნერონმა საწამლავი მოამზადებინა ამ საქმეში დახელოვნებულ ქალს, ვინმე ლუკუსტის, და თავისთან სუფრაზე მიპატიჟებულ ბრიტანიკუსს ჩაურია სასმელში. ეს საწამლავი, რომელიც წინასწარ ნერონმა, თხაზე და გოჟზე გაშოსცადა, ისეთი ძლიერი კონცენტრაციის აღმოჩნდა, რომ ბრიტანიკუსი იქვე სუფრაზე, სულმოუთქმელად გაეყარა სიცოცხლეს.

---

[1] ნერონის დედა აგრიპინა კლავდიუსის ძმის—გერმანიკუსის შვილი და კალიგულას და იყო.

ამის შემდეგ ნერონმა იერიში მიიტანა საკუთარ დედა აგრიპინაზე, რომელმაც თავად მას თავისი გაიძვერობითა და მოხერხებით იმპერატორის კვერთხი მისცა ხელთ. პატივმოყვარე აგრიპინას არ მოსწონდა შვილის ასეთი საქციელი და რაკი შვილი მის მიერ დაკავებული პოსტისადმი საკმაო ყურადღებას არ იჩენდა, აგრიპინა ცდილობდა, რომ თვითონ ჩაეგდო ხელში მმართველობის საჭე და, ნერონის ზურგს უკან ამოფარებულს, ქვეყანა კულისებიდან ემართნა.

ნერონი ვერ იტანდა უფლებამოყვარული დედის ამ პოტინს ხელისუფლების სადავეებისაკენ. დედასა და შვილს შორის ამ ნიადაგზე წარმოქმნილი წინააღმდეგობა იმითაც გაღრმავდა, რომ აგრიპინა ჩაერია ნერონის პირად ცხოვრებაში და არ ურჩევდა შვილს პირველი ცოლის—ოქტავიას მიტოვებას და პოპეიას შერთვას. გულზვიად ნერონს მობეზრდა დედის ასეთი გაუთავებელი მეურვეობა და გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ მისი თავიდან მოშორება.

მაგრამ ამ საკითხში მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ აგრიპინას თავიდან მოშორება ნერონს ისე მოეხერხებინა, რომ საზოგადოებას ეს ვერ გაეგო, ტომარაში გაკერვისთვისაც თავი აერიდებინა და თანაც შესაძლებლობა დაეტოვებინა, რომ „მოულოდნელად" დაღუპული დედა შემდეგ დამღუპველს თვითონვე ეტირნა ნიანგის ცრემლებით. როგორც სვეტონიუსი გადმოგვცემს, ნერონი ფიქრობდა, რომ საწამლავის მიცემით ეს ამოცანა სწრაფად და გაუშიფრავად ვერ მოხერხდებოდა, რადგანაც ეპვიან აგრიპინას თავიდანვე ჰქონდა დაჭერილი თადარიგი და საწამლავის მცირე დოზების მიღებით ორგანიზმში იმუნიტეტის უნარი გამომუშავებულიო.

დედის მოკვლის ხერხების ძებნაში ბევრს წვალობდა და მრავალ ვარიანტს იგონებდა იმპერატორი. ერთხელ მან განიზრახა დედის საწოლ ოთახში მექანიკურად ჭერის ისე მოწყობა, რომ აგრიპინას ძილის დროს იგი ჩამონგრეულიყო და ქალი გაეჭყლიტა. მაგრამ ეს ვარიანტი შემდეგ, როგორც ჩანს, იმპერატორმა არც იმდენად საიმედოდ და კონსპირაციულად მიიჩნია, იგი გადაიფიქრა და მის მაგიერ ახალი ვარიანტი შეიმუშავა, რომლის განხორციელებასაც მან უკვე პრაქტიკულად მოჰკიდა ხელი.

ამ ვარიანტით სპეციალურად აგებული გემი, რომელსაც აგრიპინა ნეაპოლის უბეში მდებარე აგარაკზე უნდა გადაეყვანა, ისე იყო მექანიკურად მოწყობილი, რომ ზღვაში წყლით უნდა ავსილიყო, ჩაძირულიყო და თან ჩაეტანა აგრიპინა. გემის უფროსს ანიკეტს კი, რომელსაც წინასწარვე ჰქონდა დაჭერილი თადარიგი საკუთარი თავის გადასარჩენად, გემის დაღუპვა უნდა აეხსნა იმით, რომ იგი შემთხვევით მეჩეჩს დაეჯახა. ეს საბედისწერო გემი 59 წლის ერთ მშვენიერ დღეს უკვე ზღვაში იყო გასული და ნერონი დიდის აღელვებით ელოდა სასიხარულო ამბავს. მაგრამ მოულოდნელად მას აცნობეს, რომ, მართალია, გემმა ავარია განიცადა, მაგრამ ეს მოხდა ნაპირიდან არც თუ ისე შორს, და აგრიპინამ, რომელმაც ცურვა იცოდა, ნაპირამდე მოაღწია მცირედ დაშავებულმაო.

დედის გადარჩენის ამბავმა ნერონი მეტად მძიმე მელანქოლიაში ჩააგდო და, ისედაც გადარეულს, სულ დაუკარგა მოსვენება. იგი უფრო მეტად გაცეცხლდა და გაავდა. საქმე ისაა, რომ თვითონ მკვლელობაში დახელოვნებულ ცბიერი აგრიპინასთვის, რა თქმა უნდა, ძნელი არ იყო გემის ჩაძირვის ნამდვილი მიზეზის მიგნება, მისი გახსნა და გამომზეურება, რაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა იმპერატორს. ამიტომ საჭირო იყო სიჩქარე და ყოველგვარი ცერემონიების გარეშე აგრიპინასათვის ბოლოს მოღება. ნერონმა ფილოსოფოს სენეკას რჩევით აგრიპინასთან გაგზავნა პრეტორიანთა რაზმი ანიკეტის მეთაურობით. ამ უკანასკნელმა წყალში სიკვდილს გადარჩენილი დედოფალი, ხმლით გამოასალმა წუთისოფელს.

ნერონი ამ მკვლელობის გამო, ნეაპოლიდან სენატისადმი გაგზავნილ ცნობაში აღნიშნავდა—დედაჩემის მიერ ჩემს წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება გამოაშკარავდა და ამის გამო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა მან თვითონ მოისპო სიცოცხლეო. რომის სენატისათვისაც ძნელი გასაგები არ იყო აგრიპინას დაღუპვის ნამდვილი მიზეზი და გარემოება. მაგრამ შეშინებული სენატორები იძულებული გახდნენ ნერონისათვის მიელოცათ „გამარჯვება“ და მოეწყოთ ღმერთებისათვის მსხვერპლშეწირვა იმპერატორის „გადარჩენის“ ამ „ბედნიერი“ შემთხვევის აღსანიშნავად.

მალე ნერონმა სიცოცხლეს გამოასალმა თავისი მამიდაც და სხვა მრავალი ათეულობით ადამიანი, მათ შორის ბავშვებიც კი თავისი ნათესავებისა და ახლობლების წრიდან. ისტორიკოსი სვეტონიუსი წერს: „არ იყო ნერონის არც ერთი ნათესავი, რომელიც გადარჩენოდეს მის დამნაშავე ხელს"-ო. მაგრამ არა მარტო ნათესავები, არამედ მრავალი შეძლებული პირი და იმდროინდელი რომის კულტურის ბევრი ნიჭიერი წარმომადგენელიც ვერ გადაურჩა ნერონის რისხვას.

შეძლებულ პირებს სხვადასხვა საბაბის გამოგონებით ნერონი ხოცავდა მათი სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად. ამ მიზნით იგი ფართოდ იყენებდა ე. წ. „კანონს დიდებულთა შეურაცხყოფის შესახებ". მოსყიდულ დამსმენთა ჩვენების საფუძველზე, ამ შეძლებული პირების წინააღმდეგ დგებოდა საბრალდებო საქმე და გროვდებოდა „მამსილებელი" საბუთები, რაც საკმაო საფუძველი იყო მათი სიკვდილით დასჯისა და ქონების კონფისკაციისათვის. „ტიბერიუსიდან ნერონამდე განვლილ პერიოდში,—წერს ენგელსი,—ჩვეულებრივი მოვლენად გახდა ის, რომ მდიდარ რომაელებს სიკვდილს მიუსჯიდნენ ხოლმე, რათა ხელში ჩაეგდოთ მათი ქონება."[1]

ნერონის დროს უფრო გავრცელდა მექრთამეობა და თანამდებობებით ვაჭრობა. საამისო წამაქეზებელ მაგალითს თვითონ იმპერატორი იძლეოდა. როდესაც იგი ვინმეს თანამდებობაზე ნიშნავდა, წერს სვეტონიუსი, თითოეულ ცალკე შემთხვევაში დასძენდა: „შენ იცი, თუ რა არ შყოფნის მეო". და ეს, რაც მას ასეთი ხელგაშლილი, ფუქსავატური და გიჟური ცხოვრებისათვის არ ყოფნიდა, იყო ფული, რომელსაც მის მიერ დანიშნული თანამდებობის პირები შემდეგ მას დიდი რაოდენობით აძლევდნენ. ნერონმაო, ამბობს იგივე ისტორიკოსი, აკრძალა იისფერი და მეწამული ტანსაცმლის ტარება, და როდესაც ერთხელ თეატრში თავისი კონცერტის დროს რომელიღაც რომაელ მატრონას ასეთი ფერის ჩანსაცმელი დაუნახა, მან არა მარტო ძალით გაათრევინა თავის ამალას ის ქალი გარეთ, არამედ ქონებაც ჩამოართვა მასო.

თავის მოწინააღმდეგეთა და არალოიალური განწყობილების პირთა გასანადგურებლად ნერონი ხშირად მიმართავდა გადასახ-

---

[1] ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1939 წ. გვ. 11.

ლებასაც. მაგრამ ამ გადასახლებისათვის, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მცირე საბაბის გამოძებნა იყო საჭირო. ასე მაგალითად, თავისი ძიძის შვილი ტუსკა ნერონმა მხოლოდ იმიტომ გადაასახლა, რომ ეგვიპტის მმართველად ყოფნის დროს შენ იმ აბანოში გიბანავნია, რომელიც ეგვიპტეში ჩემი ჩასვლის მოლოდინში ჩემთვის იყო აშენებულიო.

ნერონის ასეთი თავაშვებულება, ტერორი, არანორმალური მოქცევა, მორალის ელემენტარული ნორმების დარღვევა, ნათესავებისა და მასთან ახლო მდგომი პირების გაბიაბრუება, შეურაცხყოფა და მათი გაჟლეტა თანდათან უფრო აუტანელი ხდებოდა რომაელებისათვის. მათთვის ნათელი იყო, რომ ამ ავხორცი, მოგიჟო და საკუთარი თავის მართვის უნარსაც მოკლებული არტისტის ხელში ქვეყნის სადავეების დიდხანს დატოვება შეუძლებელი და დამღუპველი ხდებოდა.

საჭირო იყო ახალი ხერეას გამოჩენა ნერონის სახით ახალი კალიგულას თავიდან მოსაშორებლად. ამ ახალი ხერეას როლში 65 წელს გამოვიდა კალპურნი პიზონი. პიზონთან ერთად შეთქმულებაში შედიოდნენ ან მას თანაუკრძნობდნენ პრეტორიანთა გვარდიის მეორე პრეფექტი ფენიუს რუფუსი, სენატორი ტრაზეია პეტი, ნერონის აღმზრდელი და მასწავლებელი ფილოსოფოსი სენეკა, პოპულარული პოეტი ანეი ლუკანი, ცნობილი მწერალი პეტრონიუსი, სორანიუსი და რომის სხვა მრავალი დიდკაცი და ოფიცერი. შეთქმულება ცუდად იყო ორგანიზებული და შენიღბული, გარდა ამისა, თვით შეთქმულთა შორის არ იყო ერთსულოვნება. ყოველივე ამან ხელი შეუწყო შეთქმულების გასსნას მანამდე, სანამ მისი მონაწილენი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდოდნენ.

შეთქმულთა მეთაურები შეიპყრო პრეტორიანელთა გვარდიის მეთაურმა ტიგელინმა. მათ სასტიკი წამების შედეგად დაასახელეს შეთქმულების დანარჩენი მონაწილენი და თანამგრძნობნი. გაავებულმა ნერონმა წამებით დახოცა შეთქმულების მრავალი მონაწილე, სხვები კი აიძულა თვითონ მოეკლათ თავი. ამ უკანასკნელთა შორის იყო ფილოსოფოსი სენეკაც. სვეტონიუსი წერს: „ნერონმა აიძულა, რომ მის მასწავლებელ სენეკას თვითმკვლელობით დაემთავრებინა სიცოცხლე“.

300 მილიონი სესტერცის ქონების პატრონი სენეკა ცდილობდა, თავისი ქონება ნერონისათვის მიეცა და ამით შეენარჩუნებინა სიცოცხლე. (ამ ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი კი სენეკას თავად ნერონისაგან ჰქონდა მიღებული საჩუქრების სახით). ახლა, როდესაც ნერონმა სენეკას სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა, სენეკამ იმპერატორს სთხოვა: უკანვე წაეღო მისგან ყველა საჩუქარი. მაგრამ ალექსანდრე მაკედონელისა არ იყოს, გამძვინვარებულმა ნერონმა მთელში ნაწილი არ მიიღო, სიცოცხლეც წაართვა და ქონებაც თავის ყოფილ მასწავლებელსა და აღმზრდელს.

67 წელს, როცა ნერონი თავის არტისტულ ტურნეზე იყო საბერძნეთში, იქ თავისთან იხმო და სიკვდილით დასაჯა რომის არმიის სარდალი აღმოსავლეთის ფრონტზე გნ. დომიციანე კორბულონი. კორბულონმა ძლევამოსილად ილაშქრა პართელთა წინააღმდეგ და ომი რომის სასარგებლოდ დაამთავრა. იგი მეტად პოპულარული გახდა არმიისა და რომის მოქალაქეთა თვალში. სწორედ ეს გარემოება გახდა ძირითად საბაბად მისი დაღუპვისა. სუსტი გონების ნერონს შეეშინდა კორბულონის ავტორიტეტის ზრდისა და იმისა, რომ იგი მის წინააღმდეგ მეორე შეთქმულების მიზიდულობის ცენტრი არ გამხდარიყო. ამიტომ გადაწყვიტა მან თავისი ნიჭიერი სარდლის თავიდან მოშორება.

კორბულონის დაღუპვამ დიდად შეაშფოთა არა მარტო რომაელი მოქალაქენი, არამედ უფრო მეტად, რომის იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში განლაგებული ჯარის სარდლებიც. გარდა იმისა, რომ მათ არ მოსწონდათ არტისტი ნერონი არტისტ იმპერატორად, მათ აფიქრებდათ ის გარემოებაც, რომ ახლა მათ პასუხი უნდა ეგოთ იმპერატორის წინაშე დამარცხების შემთხვევაშიც, როგორც დამარცხებულებს, და გამარჯვების შემთხვევაშიც, (კორბულონის მსგავსად) როგორც გამარჯვებულებს.

ამ გარემოებამ, აგრეთვე იმის რწმენამ, რომ თვით რომის ხალხში არავითარი სიმპატიით არ სარგებლობდა ვამპირი და დედის მკვლელი იმპერატორი, რომ მისი მოთმენა მხოლოდ ძალაზე იყო დამყარებული და გაჭირვების ჟამს მას არ აღმოაჩნდებოდნენ ერთგული მეგობრები და დამცველები, გააბედვინა ლუგდუნის გალიაში (ახლანდელი საფრანგეთის ტერიტორია) განლაგებული რომის არმიის სარდალს—გაიუს იულიუს ვინდექსს ნერონის წინააღმდეგ მახვილის აღმართვა და თავისი ლეგიონებით რომის წინააღმდეგ გამოლაშქრება.

მალე ვინდექსს მიემხრო ესპანეთის რომაელი ლეგატი—სერვიუს სულპიციუს გალბაც. მათი ძალები დაიძრნენ იტალიისაკენ ნერონის ტირანიისაგან რომის განთავისუფლებისა და რესპუბლიკის აღდგენის ლოზუნგით. როცა ნერონის წინააღმდეგ ამბოხების ამბავმა რომამდე მოაღწია, მან გაამხნევა ნერონის ტირანიით დათრგუნვილი ოპოზიციური ძალები. პრეტორიანელების სარდლად ახლად დანიშნულმა საბინმაც კი ამბოხებულთა სასარგებლოდ დაიწყო აგიტაციის გაწევა.

ღმერთებთან თავშეტოლებული ნერონი ამ ამბავმა უცბად სულიერად დასცა და დააჩიავა. ისედაც ჭკუამოკლე ნერონი, რომელსაც ახლა იუპიტერის ქვარცხლბეკიდან გადმოგდების საფრთხე რეალურად ემუქრებოდა, უფრო მეტად დაიბნა და აფორიაქდა. მან გეზი ვერ აიღო, თუ საიდან და რით დაეწყო კონტრზომების მიღება. ერთ ხანს ფიქრობდა, გალიაში წასულიყო და თან წაეყვანა ვაჟურად თმაშეკრეჭილი და ამორძალების წესზე ცულებითა და ფარებით შეიარაღებული თავისი საყვარლები, რომელნიც ახლა, ნერონის აზრით, ყველაზე უფრო სანდონი იყვნენ მისთვის.

ნერონი ფიქრობდა, რომ იქ, გალიაში, თუ იგი უიარაღოდ გამოვიდოდა და იტირებდა ამბოხებული ჯარის წინაშე, თავის შეცოდებით შეძლებდა მათი მეამბოხური სულის მოტეხვას და მათთან შერიგებას. მეორე დღეს კი ამ გზით გამარჯვება მიღწეული ნერონი გამართავდა ქეიფსა და ღრეობას, რომლის დროსაც იმღერებდა და ჯარისკაცებს თავისი „ღვთიური ხმით“ ჩაუნერგავდა მისდამი სიმპათიას და ერთხელ და სამუდამოდ დაუკარგავდა მათ სურვილს ამ ცოცხალი „აპოლონის“ წინააღმდეგ ამბოხების მოსაწყობად.

ყოველივე ამისათვის კი, ნერონის აზრით, საჭირო იყო პრაქტიკულად შესაფერისი სამზადისის ჩატარება, ახალი სიმღერებისა და რეპერტუარის შედგენა, ტრანსპორტის გამზადება რომიდან გალიაში მუსიკალური ინსტრუმენტების და ბუტაფორიის გადასატანად და სხვა. ერთი სიტყვით, ამ ვარიანტით, ნერონი შეცოდებითა და მუსიკით ფიქრობდა რომის ამბოხებული ლეგიონების დამარცხებას. მაგრამ ამ თავისთავად სულელურ და მხოლოდ ნერონის გონებისათვის შესაფერის ვარიანტზე იმპერატორმა, როგორც ჩანს, შემდეგ ვიღაცის რჩევით ხელი აიღო.

ახალი ვარიანტით მას უნდოდა სენატორების მოწამვლა, ქალაქისათვის ცეცხლის წაკიდება და ხანძრის ჩაქრობის გასაძნელებლად ზოოპარკებიდან მხეცების გამოშვება. მრავალი ასეთი რეგვნული ვარიანტების გამოგონებასა და გადაფიქრებაში დრო გადიოდა, გალბას ამბოხებული ლეგიონები კი რომს უახლოვდებოდნენ. ბოლოს, როდესაც ვერც ერთ იმ ვარიანტს, რომელიც სახავდა მდგომარეობიდან „გამოსავალს", ან იმპერატორის მტრებისათვის სამაგიეროს მიზღვას, ნერონი პრაქტიკულად ვერ დაადგა, მან თავის მოკვლა გადაწყვიტა.

მაგრამ მთელი სიძნელე ის იყო, რომ ღმერთთან თავმიტოლებულ და ამაყ ნერონს გამბედაობა არ ჰყოფნიდა თავის მოსაკლავად. ახლობლები და მსახურნი მას თანდათან ეცლებოდნენ. დრო უკვე დაყოვნებას ვეღარ ითმენდა და აფორიაქებულმა ნერონმა გადაწყვიტა, რომ, რაკი თვითონ ვერ ბედავდა თვითმკვლელობის ჩადენას, გლადიატორის ხმლისათვის გაეშვირა კისერი. ამ მიზნით მან გაგზავნა მსახური, რომ მოეყვანათ სპიკული ან სხვა რომელიმე გლადიატორი. მაგრამ გლადიატორები უკვე სასახლეში აღარ აღმოჩნდნენ. მაშინ ნერონმა გამწარებით წარმოთქვა: „ეს იმას ნიშნავს, რომ მე არც მტერი მყოლია და არც მეგობრები"-ო, და გაიქცა მდინარე ტიბრისაკენ თავის დასახრჩობად. მაგრამ მდინარემდე მისვლაში მას გამბედაობის მარაგი დაელია და გადაიფიქრა თვითმკვლელობა.

იქმნებოდა საფრთხე, რომ აჯანყებული გალბას ჯარისკაცები, რომელნიც უკვე რომს უახლოვდებოდნენ, ნერონს ცოცხლად ჩაიგდებდნენ ხელთ და, ვინ იცის, მერე რა გზით გაგზავნიდნენ მას საიქიოს. შესაძლებელია ნერონს, როგორც დედის მკვლელს, ტომარაში გაკერვაც ვერ აეცილებინა თავიდან. გალბას მოახლეებით გათამამებულმა სენატმა ნერონი კანონს გარეშე გამოაცხადა. ამის შემდეგ რომში დარჩენა ნერონისათვის უფრო სახიფათო ხდებოდა.

ნერონი თავისი ოთხი თანმხლებლით, რომელთა შორის სპორაც იყო, სასწრაფოდ ცხენით ქალაქგარეთ გაიქცა და რომიდან 6 კილომეტრის დაშორებით ერთ-ერთი აზატის, ვინმე ფაონის მამულს შეაფარა თავი. ფაონმა ნერონს შესთავაზა ორმოში დამალვა, მაგრამ ნერონმა განაცხადა: „ცოცხლად მიწაში არ ჩავალო". მან გაიზომა

ტანი და სთხოვა თავის თანმხლებელთ გაეთხარათ მისთვის საფლავი ამავე დროს ტირილით იმეორებდა: „რა დიდებული არტისტი უნდა ჩავიდეს ჩემი სახით საფლავში“-ო. საფლავის თხრის დროს ნერონი სთხოვდა სპორას, რომ მას ემღერა განშორების სამწუხარო, სამგლოვიარო სიმღერა, ან იქ მყოფთაგან ვინმეს, ნერონისადმი ერთგულებისათვის, უმალ გაეწირა თავი და ეჩვენებინა მისთვის თავის მოკვლის მაგალითი, რომ ამ მაგალითით გათამამებულ იმპერატორს უფრო ადვილად გაებედა სიკვდილი. მაგრამ ასეთი სულელი ნერონმა თავის ყველაზე ინტიმურ წრეშიც კი ვერაკინ აღმოაჩინა.

ამასობაში უკვე ფაონის მამულს მოუახლოვდნენ ნერონის საძებრად გამოგზავნილი გალბას ჯარისკაცები. ახლა უკვე დაყოვნებასა და ამბოხებული ჯარისკაცების ხელში ცოცხლად ჩავარდნას გუშინ ღმერთთან თავმიტოლებული იმპერატორისათვის დღეს სიკვდილზე უარესი წამება მოჰქონდა. განკითხვის ამ ჟამს, იუპიტერის კვარცხლბეკიდან უცბად მიწაზე დანარცხებულ ნერონს შეეშინდა წარსულში ყველა თავისი უგუნური ნამოქმედარის გამო, ახლა თავისი საკუთარი სისხლითა და ხორცით პასუხისგებისა. სიკვდილი ახლა ნერონისათვის ერთადერთი გამოსავალი და უნივერსალური საშუალება იყო, რომელიც მას ერთბაშად იხსნიდა ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, მისი განკარგულებით ჩადენილი ათასი სხვა ადამიანის მკვლელობისათვის, ბავშვებისა და მოხუცების, პოეტებისა და ფილოსოფოსების, დედისა და ნათესავების ასე გულუხვად დაღვრილი სისხლისათვის.

ფაონის მამულში შემოჭრილი ჯარისკაცების დანახვით გამოწვეულმა შიშმა ნერონს თვითმკვლელობის ჩასადენად გამბედაობა გაუძლიერა, მაგრამ მაინც არა იმდენად, რომ ეს აქტი დამოუკიდებლად, საკუთარი ხელით ჩაედინა. მან მოიშველია იქვე მყოფი თავისი მდივანი ეპაფროდიტე და მისი დახმარებით გაიყარა ყელში ხმალი. ასე დაამთავრა 32 წლის ნერონმა თავისი უმადური სიცოცხლე.

ხელისუფლების სათავეში კალიგულას ტიპის შეშლილები და ნერონის ტიპის გადარეულები ძველი ისტორიის სხვა ქვეყნებშიაც გვხვდებიან. მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ მათზე შევჩერდით, როგორც საილუსტრაციო მაგალითზე, იმის ნათელსაყოფად, თუ ზოგჯერ

მემკვიდრეობის წყეული კანონით ვის უვარდებოდა ხელთ ქვეყნებისა და ხალხების ბედი და რამდენად უფრო მძიმე ხდებოდა ამ ხალხების მდგომარეობა მათი ამ „ვაი-მმართველების“ მიერ „ოქროს საასახლეების“ შენებით, მთვარესთან არშიყობით, ღმერთებთან თავის შეტოლებით, „ზღვებზე ხიდის გადებით“ და სხვა მრავალი ამის მსგავსი გიჟური წამოწყებებით. ეს წამოწყებები, მეფეთა და იმპერატორთა უსაზღვრო ფუფუნება და მათი ავადმყოფური ბოდვების სინამდვილედ გადაქცევის ცდები დიდი მასშტაბით იწირავდა ხალხის სისხლსა და ოფლს, მათ შრომასა და ენერგიას.

ამ გზით ხალხის შრომით შექმნილი დოვლათის მნიშვნელოვანი ნაწილი მიჰქონდა მეფეთა და იმპერატორთა უკვდავყოფისა და მათი საიქიო ცხოვრების მოწყობის საქმესაც. მარტო ქ. რომში აღმართული იყო რომის იმპერატორთა 4000-მდე ბრინჯაოს ქანდაკება. ხოლო როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, ეგვიპტის ზოგიერთი ფარაონის პირამიდის აგება ერთ მილიარდზე მეტ შრომადღეს ნთქავდა.

აი რას ამბობს ისტორია ძველი ქვეყნების მეფეთა ხელგაშლილ ცხოვრებაზე, უაზრობაში გადასულ მათ ზეფუფუნებაზე და ზოგიერთი მათგანის უმეცრებაზე იმ ქვეყნების მართვა-გამგეობის საქმეში, რომლებიც მას მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული. ასეთია საუკუნეთა ბურუსში გახვეული ნამდვილი სურათი იმ მეფეებისა, რომელნიც წინათ დემაგოგიის მიზნით, „ხალხის მამად“ და „სიბრძნის ღმერთად“ იყვნენ გამოცხადებულნი. ჩვენ ვნახეთ რომ ეს მეფეები მხოლოდ საკუთარ თავზე და სააქაო და საიქიო ფუფუნებაზე ზრუნავდნენ და არაფრით არა აქვთ დამსახურებული „ხალხის მამობის“ ტიტული. სიბრძნის მაგიერ კი, როგორც ვნახეთ, მრავალი მათგანი სირეგვნით და შეშლილობით განირჩეოდა.

XXI. სამოქალაქო ომების გაძლიერება ძველ რომში (გრაქხების რეფორმები. კატილინას აჯანყება).

როგორც ჩვენ ზემოთ (თავი მე-17 და მე-18) ვნახეთ, რომში პლებეების მიერ პოლიტიკური უფლებების მოპოვებას, რასაც მათი უმრავლესობისათვის მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, არ შეეძლო გაეუმჯობესებინა მათი ძირითადი ფენების მატერიალური მდგომარეობა, რამდენადაც თვითონ მონათმფლობელური ეკონომიკა ერთგვარი ცვლილების მიუხედავად, თავისი ძირითადი კანონზომიერებით კვლავ ძალაში რჩებოდა. მონათმფლობელური სისტემა და მისი საფუძველი—მონური შრომის სიიაფე კი თანდათან უფრო აჩანაგებდა პლებეებს და ამძიმებდა მათ ეკონომიურ მდგომარეობას.

პლებეების სწორედ ეს მძიმე ეკონომიური მდგომარეობა ედო საფუძვლად იმ გააფთრებულ სამოქალაქო ომებს, რომლებმაც, განსაკუთრებით გრაქხების რეფორმების პერიოდიდან, ესოდენ მძაფრი ხასიათი მიიღეს რომში. გარედან შემოზიდულმა პურმა იტალიაში დასცა ადგილობრივ მოყვანილი პურის ფასი და ზოგიერთ შემთხვევაში იგი თვითღირებულებაზე დაბლაც დასწია. ამ გარემოებამ არარენტაბელური გახადა მარცვლოვანი კულტურების წარმოება იტალიაში და აიძულა გლეხობა მიეტოვებინა მიწათმოქმედება, გაეყიდნა თავისი მიწა და, ამ გზით, წარმოების საშუალებათაგან მოწყვეტილი, გაპროლეტარებულიყო და გაბოგანებულიყო.

ამ უმიწაწყლო გლეხთა გვერდით წარმოიქმნენ მსხვილი ლატიფუნდიური მეურნეობანი მრავალი ათეული ათასი იუგერი მიწით. ასე მაგალითად, კრასუსის მამულები შეფასებული იყო 14 მილიონ ოქროს მანეთად. ასეთი მსხვილი ლატიფუნდიური მეურნეობა ბევრი იყო იტალიაში და მის გარეთაც. ფრონტინის ცნობებით, პირველ საუკუნეში აფრიკაში ზოგიერთი კერძო პირის მამული თავისი სიდიდით მცირე სახელმწიფოთა ტერიტორიას უდრიდა. პლი-

ნიუსის გადმოცემით კი, რომის პროვინცია „აფრიკის“ ნახევარი, რომელიც თანამედროვე ტუნისსა და ლივიის ნაწილს მოიცავდა, ექვს რომაელ მაგნატს ეკუთვნოდა.

სოფლად ამ მამულებში და ქალაქად კი ხელოსნურ წარმოებაში გამოყენებული იყო იაფი მონური შრომა. ამიტომ წარმოების საშუალებათაგან ექსპროპრიაციაქმნილი გლეხები და ხელოსნები, მონური შრომის სიიაფის გამო, ვერც ქალაქად და ვერც სოფლად ვერ შოულობდნენ საკმაო სამუშაოს, რომ დაქირავებული შრომით მაინც გაეტანათ თავი.

მონათმფლობელური ფორმაციის ეკონომიკის მექანიზმით ლუმპენპროლეტარებად გადაქცეული გლეხები და ხელოსნები, რომელთაც მოქალაქეობის უფლებები ჰქონდათ, იტალიის ყველა კუთხიდან დიდი რაოდენობით აწყდებოდნენ რომს. რომში მოზღვავებულ ამ ლუმპენპროლეტარებზე სენეკა წერდა: „შეხედეთ, გეთაყვა, ამ ადამიანთა მასას, რომლისთვისაც ვიწროა თვით ამ ვეებერთელა ქალაქის კედლები. ამ ბრბომ, რომელსაც სამშობლო არ გააჩნია, თავი მოიყარა რომში მუნიციპიებიდან, კოლონიებიდან და ბოლოს მთელი ქვეყნიერებიდან“. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იმის გამო, რომ რომის სახელმწიფოს არ ძალუძდა ამ გაპროლეტარებული მასებისათვის სამუშაოს მიცემა, იგი იძულებული ხდებოდა მათთვის ერთგვარი მცირე საჯელმწიფო დახმარება გაეწია. მაგრამ ეს დახმარება იმდენად უმნიშვნელო და თანაც არარეგულარული და წყვეტადი იყო, რომ ლუმპენპროლეტარები თავს ვერ აღწევდნენ მაწანწალობასა და მათხოვრობას.

სწორედ ამ ნიადაგზე კლასობრივი ბრძოლა ამ ლუმპენპროლეტარებს, საერთოდ, რომის დაბალ ფენებსა და შეძლებულთა შორის თანდათან უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. ძმები გრაქხები შეეცადნენ კლასობრივი ბრძოლის ეს დაძაბულობა შეენელებინათ ლუმპენპროლეტარებისათვის საზოგადო მიწების მიცემით და წვრილმწარმოებელ გლეხებად მათი კვლავ გარდაქმნით, რაც თავის შედეგით გამოიწვევდა რომის არმიისათვის გლეხური რეზერვების შექმნასაც. ძველი წელთაღრიცხვის 133 წელს სახალხო ტრიბუნად არჩევის შემდეგ, ტიბერიუს გრაქხმა შეიმუშავა და სახალხო კრებას წარუდგინა დასამტკიცებლად თავისი ცნობილი აგრარული რეფორმის კანონპროექტი. ამ კანონპროექტით საზოგადო მიწებიდან მათ მფლობელთ უნდა დარჩენოდათ მხოლოდ 1000

იუგერი, ე. ი. 250 ჰექტარი მიწა, დანარჩენი ფართობი კი უნდა ჩამორთმეოდათ. ეს ჩამორთმეული მიწები უნდა დანაწილებულიყო პარცელებად (მცირე ნაკვეთებად), რომელთაგან თითოეულში ოცდაათი იუგერი (7,5 ჰექტარი) იქნებოდა და გადასცემოდათ იმ მოქალაქეთ, რომელთაც მიწა არ ჰქონდათ. ამავე დროს ტიბერიუს გრაქხი მოითხოვდა პერგამონის მეფის ატალი III მიერ ანდერძით რომის სახელმწიფოსათვის გადაცემული სიმდიდრისა და ფულის განაწილებას ამავე გლეხთა შორის, რათა ამ ფულით მათ შეეძინათ თესლი, ინვენტარი და, ამგვარად, საშუალება ჰქონოდათ ახლად მიღებულ მიწებზე მეურნეობის მოწყობისა და დამუშავებისა.

ტიბერიუს გრაქხი თავის კანონპროექტის დასაცავად სახალხო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა იტალიის გაპროლეტარებული გლეხების მძიმე პირობებს და ასაბუთებდა ამ მდგომარეობიდან მათი გამოყვანისათვის მის მიერ წარდგენილი პროექტის მიღების გონივრულობას. „ნადირებსაც კი,—ამბობდა თავის სიტყვაში ტიბერიუსი.—რომლებიც იტალიაში ცხოვრობენ, აქვთ სოროები და ბუნაგები, სადაც მათ თავის შეფარება შეუძლიათ. ამავე დროს კი იმ ხალხს, ვინც იბრძვის და კვდება იტალიისათვის, არაფერი გააჩნია ჰაერისა და სინათლის მეტი. ისინი უსახლკარონი არიან, მოკლებულნი მუდმივ ადგილსამყოფელს, და დაყიალებენ თავიანთი ცოლ-შვილით, როგორც მომთაბარენი. სარდლები ატყუებენ ჯარისკაცებს, როცა მათ არწმუნებენ ებრძოლონ მტერს და დაიცვან წინაპართა საფლავები და ტაძრები, მაშინ, როდესაც რომაელთა დიდ ნაწილს არა აქვს არც საკურთხეველი და არც წინაპართა სასაფლაოები. ჯარისკაცები იბრძვიან და იხოცებიან სხვისი სიმდიდრისა და ფუფუნებისათვის. მათ უწოდებენ მსოფლიოს მბრძანებლებს, მაშინ, როდესაც მათ ერთი ცოდა საკუთარი მიწაც კი არ გააჩნიათ“.

სახალხო კრებამ, რომლის დამსწრეთა დიდ ნაწილსაც თვითონ პლებეები შეადგენდნენ, ტიბერიუსის ეს კანონპროექტი მიიღო და კომისიაც გამოჰყო მისი განხორციელების პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის. კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც თვითონ ტიბერიუსი, მისი ძმა გაიუსი და სიმამრი აპიუს კლავდიუსი შედიოდნენ, ერთი წლის განმავლობაში ვერ შეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა, ზედმეტი მიწების დადგენა, მათი დანაწილება

და გლეხებისათვის გადაცემა. ამიტომ, წინააღმდეგ კონსტიტუციისა, ტიბერიუსმა ტრიბუნის თანამდებობაზე ასარჩევად მეორე წლისთვისაც წამოაყენა თავისი კანდიდატურა, რომ ტრიბუნად მეორედ არჩევით ბოლომდე მიეყვანა თავისი კანონპროექტის განხორციელება.

საზოგადო მიწების ჩამორთმევა სერიოზული დარტყმა იყო მსხვილი მემამულეებისათვის, რადგანაც ამით ისინი კარგავდნენ თავიანთ მფლობელობას საკმაოდ დიდი ფართობის მიწებზე, ამიტომ ისინი გაერთიანდნენ ტიბერიუსის მოწინააღმდეგეთა ბლოკში და ენერგიულად იწყეს ბრძოლა ტიბერიუსისა და მისი კანონპროექტის წინააღმდეგ.

ტრიბუნის თანამდებობაზე ტიბერიუსის მიერ თავისი კანდიდატურის მეორედ წამოყენება მათ ხელზე დაიხვიეს, როგორც კონსტიტუციის დარღვევა და ამით მას ბრალი დასდეს მეფედ თავის გამოცხადების ცდაში. სახალხო კრებაზე, სადაც მეორე წლისათვის ტიბერიუსის ტრიბუნად არჩევის საკითხი იდგა, მათ შეიარაღებული ბრძოლა მოუწყეს და მოკლეს ტიბერიუსი და მისი 300 მომხრე, რომელთა გვამებიც ღამით მდ. ტიბრში გადაყარეს. ძველი ისტორიკოსი აპიანე შენიშნავს: „ასე იქნა მოკლული კაპიტოლიუმზე ჯერ კიდევ ტრიბუნის წოდებაში მყოფი გრაქხი, შვილი ორჯელ კონსულად ნამყოფი გრაქხისა და კართაგენის სამხედრო ძლიერების შემმუსვრელი სციპიონის ქალიშვილ კორნელიასი... ეს ბილწი საქმე, რომელიც პირველად მოხდა სახალხო კრებაში, შემდეგ არა ერთხელ მეორდებოდა დროდადრო გრაქხის მსგავს სხვა პირთა მიმართ. გრაქხის მოკვლის გამო,—წერს შემდეგ აპიანე,—რომი ორ ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი გლოვობდა, მეორე კი ზეიმობდა“. ო. მართლაცდა, აქედან მოკიდებული, რომის ფორუმი, სადაც სახალხო კრებას იწვევდნენ ხოლმე, არა ერთხელ გამხდარა შეიარაღებული შეტაკების არენად პლებეებსა და პატრიციებს შორის.

123 წლისათვის სახალხო ტრიბუნად არჩეულ იქნა ტიბერიუსის უმცროსი ძმა გაიუს გრაქხი. გაიუსი შეეცადა ბოლომდე მიეყვანა ტიბერიუსის აგრარული კანონპროექტი და გაეტარებინა მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყვნენ რომის პლებსის მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ. მაგრამ შეძლე-

ბულმა ფენებმა მასაც ამ განზრახვის რეალიზაციაში სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. 121 წელს გაიუს გრაქხსა და მის მოწინააღმდეგეთა შორის რომის ერთ-ერთ რაიონში (ავენტინზე) გამართულ ხელჩართულ ბრძოლაში დაიღუპა გრაქხის 3000-მდე მომხრე. თვითონ გაიუსმა მოახერხა თავისი ერთგული მონით მდინარე ტიბრის მეორე მხარეზე გადასვლა და იქ „ფურიათა ჭალაში“ თავის შეფარება.

რომის მაშინდელმა კონსულმა ოპიმიუსმა გამოაცხადა, რომ ვინც გაიუს გრაქხს მოკლავდა და მის მოჭრილ თავს სენატში მიიტანდა, ის ამ თავის წონა ოქროს მიიღებდა. გაიუსის მოწინააღმდეგეებმა და შეპირებული ოქროთი დაინტერესებულმა მაწანწალებმა მიაგნეს გაიუსის თავშესაფარს. თავის მტრებს რომ ცოცხლად არ დანებებოდა, გაიუსმა მაძებართა მიახლოების დროს თავისთან მყოფ მონას უბრძანა, რომ ამ უკანასკნელს გაეგმირა იგი ხმლით. მონამ მოკლა გაიუსი და შემდეგ თვითონაც მოიკლა თავი. ვინმე სეპტიმიულემ, რომელმაც მიაგნო და პირველად იპოვა გაიუსის გვამი, მოსჭრა მას თავი, გამოიღო ტვინი და მის მაგიერ შიგ ტყვია ჩაასხა; ეს თავი მან კონსულ ოპიმიუსს მიუტანა, და თანახმად პირობისა, მისი წონა შეპირებული ოქრო მიიღო.

ასე დაამთავრეს სოცოცხლე რომის პლებეების მოსარჩლედ გამოსულმა ძმებმა გრაქხებმა. რომის ხალხმა შემდეგ მათ უკვდავსაყოფათ ძეგლები ააგო და ის ტერიტორია კი, სადაც ისინი მოკლეს, წმინდა ადგილად იქნა გამოცხადებული.

გრაქხების რეფორმების შეფასების საკითხში ისტორიულ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არსებობს. ერთი ჯგუფი ბურჟუაზიული ისტორიკოსებისა, განსაკუთრებით მოდერნიზატორები, რომელნიც ანტიკურ ქვეყნებში კაპიტალიზმის არსებობას აღიარებენ, როგორც მაგალითად, რ. პელმანი, როშერი და სხვები, იმ აზრს იზიარებენ, რომ გრაქხების მოთხოვნა, მსხვილი მემამულეებისაგან მიტაცებული საზოგადო მიწების ნაწილის ჩამორთმევისა და უმიწაწყლო გლეხებისათვის მათი გადაცემისა, მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც „ახალი დროის სოციალიზმის ლოზუნგი“-ო. ნამდვილად კი გრაქხების ამ რეფორმებს ახალი დროის სოციალიზმთან არაფერი აქვთ საერთო.

თუმცა გარეგნული ელფერით ეს რეფორმები ერთგვარი რევოლუციური სამოსელით წარმოგვიდგება, ნამდვილად, თავისი შინაარსით ისინი რეტროგრადული ხასიათისანი არიან, რამდენადაც თავისი განხორციელების შემთხვევაში, ერთხელ განადგურებული წვრილი გლეხური მეურნეობის რესტავრაციით, რომელსაც ისტორული აუცილებლობით ისევ განადგურება მოელოდა, ისინი უკან, განვლილი ეტაპისაკენ სწევდნენ საზოგადოების განვითარებას. გარდა ამისა, ეს რეფორმები ნაკარნახევი იყო არა იმდენად გრაქხების მიერ რომის ლუმპენპროლეტარების ინტერესების დაცვით, რამდენადაც იმით, რომ აღნიშნული რეფორმების გატარებით გრაქხები ცდილობდნენ რომის სახელმწიფოსათვის სამხედრო ძალების რეზერვების შექმნას წვრილი გლეხური მეურნეობის ბაზაზე.

ეს უბრალო ჭეშმარიტება, რომელიც ახლანდელ ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს არ ესმით, კარგად ესმოდა ჯერ კიდევ ძველ ისტორიკოსს აპიანეს. ამის შესახებ თავისი „სამოქალაქო ომების“ ისტორიაში იგი წერს: „გრაქხის მიზანი მდგომარეობდა არა იმაში, რომ ღარიბთათვის შეექმნა კეთილდღეობა, არამედ იმაში, რო მათი სახით მიეღო სახელმწიფოსათვის ბრძოლის უნარიანი ძალა“-ო.

გრაქხების რეფორმების ეპოქაში ხდებოდა მონათა დიდი აჯანყებები სიცილიასა და პერგამში. რომაელმა მონეთმფლობელებმა შესძლეს მაშინ მათ წინააღმდეგ ამხედრებული ყველა ძალების დათრგუნვა. მაგრამ ამ დათრგუნვით არ ისპობოდა ის მიზეზები, რომელიც ასაზრდოებდა დაბალი ფენების ამბოხებას. ამ ამბოხებათა მიზეზი კი ის გარემოება იყო, რომ ეს დაბალი ფენები არაფრის მქონენი იყვნენ და ამის გამო უკიდურეს ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდნენ. ძველი წელთაღრიცხვის 104 წელს, ტრიბუნ მარციუს ფილიპეს ცნობით, ქ. რომში 2000 ოჯახზე მეტს არ გააჩნდა საკუთრება, მაშინ, როდესაც ქალაქის საერთო მოსახლეობის რიცხვი ნახევარ მილიონამდე იყო. თუ ამ ცნობას ჭეშმარიტებად მივიჩნევთ, მაშინ გამოვა, რომ რომში მცხოვრებ და საკუთრების მქონე თითოეულ ოჯახზე 250 უქონელი პირი მოდიოდა. სწორედ ეს გარემოება, სწორედ მქონებელთა და უქონელთა შეფარდების ეს უდიდესი

დისჰარმონია იყო საფუძველი დაბალი ფენების იმ პერმანენტული ღელვისა და ამბოხებებისა, რასაც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ადგილი ჰქონდა რომის ისტორიაში.

რომის დაბალი ფენების კლასობრივი შეგნების მოუმწიფებლობის გამო მათ გადაბირებას თავიანთ მხარეზე ხშირად ახერხებდნენ თვით გაბატონებული მონათმფლობელური კლასის სხვადასხვა და ურთიერთ მებრძოლი პარტიები და ჯგუფები. ასე მაგალითად, ძველი წელთაღრიცხვის 80-იან წლებში ოპტიმატები (წარჩინებულნი) მხარს უჭერდნენ სულას მარიუსის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც მხედართა წი ბას (მევახშეებს, გამომსყიდველებს, მსხვილ ვაჭრებს) ეყრდნობოდა. რომის ზედაფენების ამ ორი პარტიის—ოპტიმატებისა და მხედრების ბრძოლაში ჩათრეულ იქნენ მარიუსის მომხრე რომის პლებეებიც (პოპულარები). ამ ბრძოლამ კი, როგორც აპიანე წერს, 100 ათას კაცამდე შეიწირა, რომელთაგან უმრავლესობას პლებეები წარმოადგენდნენ.

ასევე, უფრო გვიან, 60-იან წლებში, ვალებში ჩავარდნილმა არისტოკრატმა კატილინამ, რომელსაც ხელისუფლების სათავეში მოქცევა უნდოდა და კონსტიტუციური გზით კონსულის თანამდებობაზე არჩევას ვერ მიაღწია, წამოაყენა დემაგოგიური ლოზუნგები. ამ დემაგოგიური ლოზუნგებით კატილინა ცდილობდა, პლებსის თავის მხარეზე გადაბირებით და მათი მხარდაჭერით, თავისი მიზნის რეალიზაციას. კატილინამ კარგად იცოდა, რომ მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო პლებეები მტრულად იყვნენ განწყობილნი მონათმფლობელური კლასის ზედაფენებისადმი და, რომ მათში ღრმად იყო ჩათესილი ამბოხების თესლი. სწორედ ამიტომ კატილინა ფიქრობდა, რომ მათი „ინტერესების დასაცავად“ წარმოთქმული მოხდენილი დემაგოგიური სიტყვებით იგი შეძლებდა პლებეებში აღნიშნული თესლის გაღვივებას, ხოლო ამ გაღვივებით წარმოქმნილი ძალის თავისი ინტერესებისათვის გამოყენებას.

კატილინა პლებეებს პირდებოდა, რომ მათი მხარდაჭერით გამარჯვების შემდეგ იგი მათი ინტერესებისათვის მოახდენდა მდიდართა მამულების კონფისკაციას, ვალების გაუქმებას, თანამდებობათა გადანაწილებას, მისცემდა მათ სამოქალაქო ომის დროს ხელში ჩაგდებულ ნადავლს და სხვა.

ძველი წყაროები კატილინას გვიხასიათებენ, როგორც გაი-

ძვერას, ბოროტსა და მფლანგველ ადამიანს, რომელმაც სულას პროსკრიპციების დროს მოკლა ძმა, დის ქმარი და სხვა ნათესავები, რომ მათი ქონება ხელში ჩაეგდო. ხოლო შემდეგ მან საკუთარი შვილიც მოკლა, რადგანაც მას, როგორც ბავშვიანს, აპიანეს გადმოცემით, ცოლად არ მიჰყვებოდა რომაელი მატრონა, ვინმე ავრელია ორესტილე. მაგრამ ამავე წყაროების მიხედვით, კატილინა მჭერმეტყველების უდავო ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. მთელი თავისი ორატორული შესაძლებლობის არსენალს კი კატილინა სწორედ პლებეების გულის მოსანადირებლად და თავის მხარეზე გადასაყვანად იყენებდა.

კატილინა თავის სიტყვებში პლებეებისადმი ცდილობდა ეჩვენებინა მთელი ის კონტრასტი, რაც მათ მძიმე მდგომარეობასა და შეძლებულ მონათმფლობელთა ხელგაშლილ ცხოვრებასა და უაზრო ფუფუნებას შორის არსებობდა. „მაშინ, როდესაც,—მიმართავდა პლებეებს კატილინა,—ისინი (ე. ი. მდიდრები მ. ა.) ფუფუნებაში იფლობიან, მთებს იღებენ და ზღვისმაგვარ გუბურებს თხრიან, ჩვენს სახლში სიღატაკე და გადაუხდელი ვალებია, სიღარიბე აწმყოსა და მომავალში, ჩვენ არაფერი გაგვაჩნია, გარდა სულისა და ხორცისა. ამავე დროს კი ყველაფერი შეიძლება გვქონდეს. ყოველივე ბოროტებისაგან განთავისუფლებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თავისუფლების ბრძოლით მოპოვება, რასაც უკვე თავისთავად მოსდევს პატივი, დიდება და სიმდიდრე“.

შემდეგ თავის ერთ-ერთ სიტყვაში კატილინა ამბობდა, რომ „ჩვენს სახელმწიფოში ორი სხეულია: ერთი სუსტი, მაგრამ ძლიერი თავით—ესაა სენატი, მეორე კი ძლიერი, მაგრამ სუსტი თავით—ესაა ხალხი, და თუ ეს მეორე სხეული მე მხარს დამიჭერს, მაშინ იგი, ვიდრე მე ცოცხალი ვარ, უთაოდ არ დარჩება“-ო. კატილინა პირდაპირ ემუდარებოდა პლებეებს და სთხოვდა მათ მხარის დაჭერას. „მიყავით რაც გინდოდეთ: ამირჩიეთ მე თქვენს ბელადად, ან ჩემი თავი თქვენს განკარგულებაში იყოს, როგორც რიგითი ჯარისკაცი“. მაგრამ კატილინამ ვერც 65 წელს და ვერც მომდევნო 64 და 63 წლებში ვერ მოახერხა კონსულად გასვლა. მართალია, კატილინამ შეძლო პლებეების ერთი ნაწილის გადაბი-

რება თავის მხარეზე, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა კონსულად მის ასარჩევად. უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა მიზეზების გარდა, ვალებში ჩაფლულ კატილინას არ შეეძლო საარჩევნო კამპანიაში მეტი ფული დაეხარჯა, ვიდრე მისი მოწინააღმდეგენი ხარჯავდნენ.

როდესაც კატილინამ ლეგალური გზით კონსულობა ვერ მიიღო, მაშინ გადაწყვიტა არალეგალური გზით ემოქმედნა, მოეწყო შეთქმულება და მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება. შეთქმულებმა ენერგიულად დაიწყეს თავიანთი მომხრეების შეძენა როგორც ქ. რომში, ისე მის გარეთაც. ისინი შეუთანხმდნენ გალთა ტომების ალობროგების მეთაურებს, რომლებსაც შეპირდნენ გადასახადის გაუქმებას მათ მიერ შეთქმულთათვის გაწეული დახმარების სანაცვლოდ. თვით ქ. რომში კი, ისტორიკოს სალუსტის გადმოცემით, „კატილინას უახლოეს და მისი ნდობით აღჭურვილ პირად ხდებოდა ყველა არამზადა, გარყვნილი ადამიანი, ვინც თავისი ქონება გაფლანგა თამაშსა და ლოთობაში, ან დიდ ვალებში ჩავარდნილი ადამიანი, რომელსაც სურდა განთავისუფლება თავის მანკისა და ბოროტმოქმედებათაგან“.

შეთქმულთა გეგმით 63 წლის 25 ოქტომბერს მათი მომხრე სამხედრო ნაწილები უნდა გამოსულიყვნენ იტალიის მთელ რიგ პროვინციებში: ეტრურიაში, კამპანიაში, აპულიაში და სხვაგან. მათ იქ უნდა დაეპყროთ ძალაუფლება და გამოელაშქრნათ შემდეგ რომზე. კატილინას აზრით, შეთქმულთა წარმატებები პერიფერიებში გაზრდიდა თვით სატახტო ქალაქში (რომში) შეთქმულთა მომხრეების რიცხვს და გააძლიერებდა მათ აქტივობას. მაგრამ რომის 63 წლის კონსულმა ციცერონმა დამსმენთა საშუალებით ადრევე შეიტყო შეთქმულთა ეს გეგმა და 21 ოქტომბერს რომში საალყო წესები გამოაცხადა. ამ გარემოებამ შეთქმულთა გეგმა დაარღვია და მათი გამოსვლის თარიღი უკან გადასწია.

შეთქმულთა წინააღმდეგ რადიკალური ზომების მისაღებად ციცერონს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ხელთ უტყუარი დოკუმენტური მასალა. ამიტომ იგი ახლა მხოლოდ გამაფრთხილებელი, თავდაცვითი ზომების მიღებით კმაყოფილდებოდა. შეთქმულები კი, თავის მხრით, აძლიერებდნენ აქტიურობას. ამ დღეების ფარგლ

ბრძოლის დულილი კარგად გამოხატა თვით ამ ამბების მომსწრე ისტორიკოსმა სალუსტ კრისპმა. თავის წიგნში—„კატილინას შეთქმულება“ იგი წერს: „ომი არ ყოფილა, მაგრამ არც მშვიდობა სუფევდა“-ო. შემდეგ მშვიდობისა და ომის ეს ნარევი პერიოდიც მალე გათავდა და დაიწყო აფეთქების ხანა.

7 ნოემბერს ღამით შეთქმულთა მეთაურებმა სენატორ ლეკას სახლში მოიწვიეს სხდომა და გადაწყვიტეს, რომ მათი ერთი ნაწილი კატილინასთან ერთად წასულიყო რომიდან ქ. პრენესტში შეთქმულთა ჯარის სარდლობისათვის, მეორე ნაწილს კი, რომელიც რომში რჩებოდა, დაევალა რომის იმ წლის კონსულისა და მეჭერმეტყველების ერთ-ერთი უდიდესი ოქროპირის, როგორიც კი ოდესმე ისტორიას ჰყოლია—ციცერონის დახანჯვლა საკუთარ სახლში.

ციცერონის მოკვლა უნდა მომხდარიყო ამ თათბირის უმალვე—8 ნოემბერს დილით მასთან, როგორც კონსულთან, რაიმე საქმის მომიზეზებით აუდენციაზე მისულ შეთქმულთა მიერ. შეთქმულები თავიანთ მიზანსწრაფვაში ციცერონს ძირითად ბარიერად თვლიდნენ. ამიტომ პირველ რიგში უნდოდათ თავიდან მოეშორებინათ სიტყვის ეს ჯადოქარი.

მაგრამ 7 ნოემბრის თათბირის ერთ-ერთი მონაწილის—კვინტუს კურიუსის თავდაუჭერლობით, რომელმაც ყველაფერი ეს თავის საყვარელ ქალს, ვინმე ფულვიას გაუმჟღავნა, შეთქმულთა გეგმები გაცემულ იქნა. ფულვიამ ეს საშიშროება დაუყოვნებლივ აცნობა ციცერონს. ციცერონმა იმავე ღამეს გუშაგებით გააძლიერა თავისი სახლი, უარი განაცხადა მთხოვნელთა მიღებაზე და 8 ნოემბერს დღისით მოიწვია სენატის ექსტრაორდინარული (საგანგებო) სხდომა. სენატის სხდომას, როგორც სენატორი, დაესწრო კატილინაც, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ქალაქიდან გასული.

ციცერონმა შეთქმულთა წინააღმდეგ სენატის სხდომაზე წარმოთქვა ბრწყინვალე პათეტიური სიტყვა, რომელშიაც არა მარტო დამაჯერებლად ამხილა მათი გეგმები, არამედ სენატორებს ნათლად დაუხატა მთელი ის საშიშროებაც, რასაც მათ კატილინა უმზადებდა. თავის ამ სიტყვაში, მიმართავდა რა სენატის სხდომაზე მშვიდი ადამიანის პოზაში მჯდომ კატილინას, ციცერონი ამ-

ბობდა: „კიდევ დიდხანს გამოიყენებ ბოროტად ჩვენს მოთმინებას კატილინავ? კიდევ დიდხანს აბუჩად აგვიგდებენ ჩვენ შენი უგუნურებით? რაც შენ მოიმოქმედე ორი უკანასკნელი ღამის განმავლობაში და რაზედაც შენ თათბირი გქონდა, ყოველივე ეს ცნობილია თითოეული ჩვენგანისათვის", რადგანაც „თქვენმა კრებამ დაშლაც კი ვერ მოასწრო, როცა მე უკვე ყოველივე მეცნობა".

ციცერონი ცდილობდა თავის სიტყვაში დაეხატა მთელი ის ცბიერება და შეუთავსებელის შეთავსების ცდა, რასაც კატილინა ცდილობდა, რომელიც დღისით მთავრობის (სენატის) სხდომაზე იჯდა, ღამით კი შეთქმულთა კრებაზე იმავე მთავრობის ასაფეთქებლად. კატილინას ამ ვერაგული პოლიტიკით აღელვებული ციცერონი გაკვირვებით ამბობს: „უკვდავნო ღმერთებო, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ? ეს რა სახელმწიფოა? ეს რა ქალაქია?"

თავის სიტყვებში კატილინას წინააღმდეგ ციცერონი ცდილობდა, რომ კატილინაცა და მისი მომხრეებიც რაც შეიძლება უზნეო და უტიფარ ადამიანებად დაეხატა, რათა ამ გზით საზოგადოებრივი აზრი მათ საწინააღმდეგოთ დაემუშავებინა და ამით მათ დასაძლევად ბრძოლა უფრო გაეძლიერებინა და გაეადვილებინა. ამ მიზნით, ციცერონი დაუზოგავად იყენებდა თავისი მჭერმეტყველების მთელ კოლოსალურ არსენალს, თავისი სიტყვის მთელ ფერადოვნებასა და დეკორაციას. „ჩვენს მხარეზე,—ამბობდა ციცერონი თავის სიტყვაში,—არის სიცოცხლის გრძნობა, მათ მხარეზე კი—თავხედობის; ჩვენთან ზნეობრივი სისუფთავეა, მათთან—გარყვნილება; ჩვენთან არის ერთგულება, მათთან—სიცრუე; ჩვენთან არის ღვთისმოშიშობა, მათთან—უღვთოობა; ჩვენთან არის პირიანობა, მათთან—უტიფრობა; ჩვენთან არის სინდისიერება, მათთან—უსინდისობა; ჩვენთან არის თავდაჭერილობა, მათთან თავაშვებულება".

ციცერონი თავის მხრით დემაგოგიურად ცდილობდა, რომ შეთქმულთა გეგმების განხორციელებიდან გამოიდინარე საფრთხე წარმოესახა რომის ხალხის საერთო საფრთხედ და უბედურებად. „ამ ხალხმა,—ამბობდა იგი,—გადაწყვიტა სიცოცხლე წაგვართვას ჩვენ ყველას, დაანგრიოს და გაანადგუროს სახელმწიფო, ამოთხაროს რომის ხალხის სახელი".

ციცერონის მამხილებელი სიტყვით კედელზე მიკრული კატი-

ლინა მაინც შეეცადა თავის დაცვას. „ნუ იფიქრებთ, რომ მე, ჩამომავლობით პატრიცს,—მიმართავდა სენატორებს კატილინა,—ორმლის წინაპრებსაც, ისე როგორც მე, უდიდესი სამსახური გაგვიწევია რომაელი ხალხისათვის, ახლა მწყუროდეს დაცემა და დაღუპვა იმ სახელმწიფოსი, რომელსაც იცავს ოდიდანვე არა რომაელი მოქალაქე, უსახლკაროდ გადმოხვეწილი მარკუს ტულიუსი“[1].

კატილინას სიტყვამ სენატორთა თვალში მას ვერაფრით ვერ შეუმსუბუქა მდგომარეობა. სენატორები მას უწოდებდნენ: „მტერსა და მკვლელს“. მაშინ, სალუსტის გადმოცემით, გაბოროტებულმა კატილინამ წამოიძახა: „რადგანაც მე, ყოველმხრივ მტრებით გარშემორტყმული, შეუჩერებლივ მივეექანები დაღუპვისაკენ, იმ ხანძარს, რომელშიაც მე ვიღუპები, ჩავაქრობ ყველაფრის დანგრევით“-ო. კატილინამ დატოვა სენატის სხდომა და იმავე ღამეს წავიდა რომიდან შეთქმულთა არმიაში. თვითონ ციცერონი მოუწოდებდა კატილინას ქალაქიდან გასვლას. „გადი, გაგვეცალე ქალაქიდან,—ეუბნებოდა თავის სიტყვაში მას ციცერონი,—მისი კარები შენთვის დიდი ხანია ღიაა“-ო.

როცა კატილინა 8 ნოემბერს ღამით ქალაქიდან გავიდა, 9 ნოემბრის სენატის სხდომაზე ციცერონი გახარებით ამბობდა: “ი გ ი წ ა ვ ი დ ა, გ ა გ ვ შ ო რ დ ა, მ ო ჰ კ უ რ ც ხ ლ ა, გ ა ქ რ ა. უკვე ველარ იოცნებებს ეს მტარვალი შიგნიდან ჩვენი კედლების დანგრევაზე“.

ციცერონი იმიტომ მოითხოვდა კატილინას რომიდან ნებაყოფლობით წასვლას, რომ მას, ერთი მხრით, უნდოდა ამით თავიდან აეცილებინა ქალაქში სისხლის ღვრა და შეიარაღებული შეტაკება. მეორე მხრით კი, მას მაინც არ გააჩნდა ხელთ დოკუმენ-

---

[1] ციცერონის ნამდვილი სახელი იყო მარკუს და გვარი ტულიუსი. იგი სოფელში დაიბადა და ბავშვობის წლები იქვე გაატარა. ამ სოფელში ძისი წინაპრები ცერცვის, ანუ ლათინურად „ციცერო“-ს მოყვანას მისდევდნენ. სწორედ ამ პროფესიის გამო მის წინაპრებს ზედმეტ გვარად შეერქვათ „ციცერონი“. აპიანეს გადმოცემით, კატილინა ციცერონს უწოდებდა „ახალ“ ადამიანს, ხან კი „ინკვილინს“ ე. ი. ისეთ კაცს, რომელიც სხვის ბინაში ქირაობს ოთახს საცხოვრებლად იმაზე მითითებით, რომ ციცერონი ოდიდანვე რომაელი არ იყო და სოფლურ წარმოშობის დაბალ წრეს ეკუთვნოდა, კატილინას უნდოდა მისი დამცირება.

ტური მასალა შეთქმულებაზე, რომ მოეთხოვა კატილინას დაპატიმრება და დასჯა. მაგრამ 3 დეკემბერს ღამით, რომიდან გასვლის დროს, დაპატიმრებულ იქნენ გალთა ტომის—ალობროგების ელჩები, რომელნიც შეთქმულებთან იყვნენ დაკავშირებულნი და რომელთაც დაპატიმრების დროს აღმოაჩნდათ კატილინას რომში დარჩენილი შეთქმული ამხანაგების: ლენტულის, გაბინიუსის, ცეტეგის, სტატილიუსის პირადი ხელმოწერითა და ბეჭდებით დამოწმებული ცნობები შეთქმულებაში ალობროგების მონაწილეობის პირობების შესახებ, რაც ამ ელჩებს თავიანთი მეთაურებისათვის უნდა გადაეცათ.

ამ დოკუმენტების ხელში ჩაგდების შემდეგ ციცერონს შეეძლო უკვე რადიკალურად ემოქმედნა. მან დააპატიმრა კატილინას ზემოაღნიშნული ამხანაგები და სენატში 5 დეკემბერს მოითხოვა მათი სიკვდილით დასჯა. ის ქარიშხალი, რომლის პირისპირაც ჩვენ მივიმართებით, ამბობდა ციცერონი, წაგვიღებს და წაგვლეკავს, თუ კი ბოროტებას ეხლავე თავს არ წავაცლითო. სენატის დადგენილებით, მამერღინის ციხეში იმავე დღეს დაახრჩვეს შეპყრობილი შეთქმულნი.

ამავე ხანებში სენატმა ჯარები გაგზავნა ეტრურიაში კატილინას 20.000-იანი არმიის წინააღმდეგ. ბრძოლა სენატისა და კატილინას მომხრე ჯარებს შორის მოხდა 62 წლის იანვარში ეტრურიის მთაგორიან ადგილებში. ბრძოლის დაწყების წინ კატილინა თავის მიმართვაში ჯარისკაცებისადმი ამბობდა: „კარგად გიცნობთ რა თქვენ და ვიგონებ რა თქვენს ვაჟკაცურ საქმეებს, მეომრებო, მე დიდი იმედი მაქვს წარმატებისა. ამის საწინდარია ჩემთვის თქვენი გამბედაობა, თქვენი ვაჟკაცობა, თქვენი ახალგაზრდული წლები, რომელიც ძალას აძლევს მარჯვენას, და განსაკუთრებით კი თქვენი გამოუვალი მდგომარეობა, რომელმაც გაუბედავსაც კი უნდა მისცეს თავგანწირულის ვაჟკაცობა. ხოლო თუ შურიანი ბედი ჩვენ წარმატებებით არ დაგვაგვირგვინებს, დაე დავეცეთ. მაგრამ ისე, რომ სამაგიერო მიუზღოთ მტერს; ნუ ჩავარდებით ტყვედ, ნუ დავუშვებთ, რომ მტერმა აგვკაფოს ცხვრის ფარასავით. თუ მტერი მაინც მოიპოვებს გამარჯვებას, ეს იქნება მხოლოდ ჩვენს სიკვდილთან ერთად, რომელიც მას სისხლად და ცრემლად დაუჯდება“. გაცხარებულ ბრძოლაში დაეცა თვითონ კატილინა და

მისი 3000 მომხრე, რომელთა შორის დიდი ნაწილი პლებეები იყვნენ და რომელთა გადაბირებაც თავისი მხარეზე კატილინამ დემაგოგიური შეპირებებით მოახერხა.

კატილინას ეს შეთქმულება რევოლუციურ გამოსვლათ არ შეიძლება ჩაითვალოს. იგი იყო მმართველ პარტიებს შორის არსებული განხეთქილების გამოვლინება, რომელშიაც პლებსი ამ შემთხვევაში კატილინასათვის მხარდამჭერ ძალად იყო გამოყენებული. რამდენადაც მმართველი ფენების ეს ურთიერთბრძოლა მათ ასუსტებდა, ეს აჯანყება ისტორიულ მნიშვნელობას არ იყო მოკლებული. 1865 წლის 19 აგვისტოს მარქსი სწერდა ენგელსს:„ რამდენიმე კვირის წინათ პროფესორმა ბიიზლიმ „Fortnightly Review"-ში წერილი დაბეჭდა კატილინას შესახებ, რომელშიც ეს უკანასკნელი გამოსახულია როგორც რევოლუციონერი". შემდეგ მარქსი შენიშნავს: „იქ ბევრი რამაა არა კრიტიკული"-ო.

კატილინას შეთქმულების ჩახშობით ციცერონი ზეიმობდა, რომელსაც ამის გამო დიდი პატივი დასდეს და „სამშობლოს მამა" უწოდეს. ციცერონის ამ დამსახურების გამო სენატის ერთ-ერთ სხდომაზე მომავალი ტრიუმვირი კრასუსი ამბობდა: „თუ მე კიდევ სენატორი ვარ, კიდევ მოქალაქე, კიდევ ცოცხალი, ყველა ამით მე დავალებული ვარ ციცერონისაგან; ყოველთვის, როცა მე ვუყურებ ჩემ ცოლს, ჩემ სახლს, ქალაქს, ამაში მე ვხედავ ციცერონის ძღვენს"-ო.

მიუხედავად მაშინ „საყოველთაოდ ცნობილი" ციცერონის ამ „დამსახურებისა," „სამშობლოს მამა" მაინც ვერ ეღირსა ლოგინში სიკვდილს. ამ ამბებიდან ოცი წლის შემდეგ, ძველი წელთაღრიცხვით 43 წლის 7 დეკემბერს, მეორე ტრიუმვირატის ეპოქაში, სამოქალაქო ომის ახალი ტალღის აგორების დროს მარკოს ანტონიუსის დაქირაველებულ მკვლელთა ხანჯლით ციცერონის თავი მხრებს მოსწყდა. ციცერონის ეს მოკვეთილი თავი ერთ ხანს იდო ანტონიუსის სასადილო მაგიდაზე, შემდეგ კი იგი ფორუმზე იმ ტრიბუნაზე დაკიდეს, სადაც წინათ ცოცხალი ციცერონი ხშირად გამოსულა და ცეცხლი უფრქვევია კატილინასა და ანტონიუსის ტირანიის ხელყოფისაგან რომის მონათმფლობელური რესპუბლიკის დასაცავად. ციცერონის მკვლელობით აღშფოთებული, ამ მკვლელობიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ მცხოვრები ისტორიკოსი

ველეი პატერკული წყრომით მიმართავდა ანტონიუსს: „ვაი შენ მარკუს ანტონიუსო, მე გეუბნები, რომ შენ ვერაფერს ვერ მიაღწიე შენი ბოროტმოქმედებით, როდესაც ფასი დაადგინე სამშობლოს მხსნელი ამ ღვთაებრივი ნათელი თავისათვის. შენ ციცერონს წარუტაცე მხოლოდ სულ რამდენიმე მღელვარე დღე მისი მოხუცებულობის ჟამისა. შენი ბატონობის ხანს სიცოცხლე მრავალჯერ უარესია, ვიდრე სიკვდილი შენი ტრიუმვირობის დროს“-ო.

რომში თავისუფალ მდიდრებსა და თავისუფალ ღარიბებს შორის სამოქალაქო ომებს მძაფრი ხასიათი ჰქონდა კატილინას აჯანყების შემდეგაც—პირველი და მეორე ტრიუმვირატის დროს, ფარსალთან 48 წელს პომპეუსსა და ცეზარს შორის და აქციუმთან 31 წელს ოქტავიანესა და ანტონიუსს შორის ომების დროს. მაგრამ ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ ამ სამოქალაქო ომებში რომის პლებსი საკუთარი პროგრამით დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად გამოსვლას ვერ ახერხებდა და გაბატონებული კლასიდან რომელიმე მებრძოლ პარტიას ეტმასნებოდა. ოქტავიანეს პრინციპატის დროს სამოქალაქო ომები ერთგვარად მიყუჩდა, მაგრამ შემდეგ იგი კვლავ გაღვიძდა ახალი ძალით. რამდენადაც დრო გადიოდა და პლებეების მატერიალური მდგომარეობა უარესდებოდა, იმდენად მათი ბრძოლაც შეძლებული მონათმფლობელური კლასის წინააღმდეგ ძლიერდებოდა. ერთი სიტყვით, ქონებრივ მდგომარეობაში განსხვავების გაძლიერება იწვევდა კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებასაც.

შეძლებულ რომაელთა ლექსიკაში დამკვიდრდა პირველად ციცერონის მიერ ხმარებული გამოთქმა ღარიბთა მიმართ: „ის ჩემი მტერია მარტოოდენ იმიტომ, რომ მას არაფერი აქვს“-ო. ტიტ ლივიუსი გადმოგვცემს სახალხო კრებისადმი ერთი ორატორის მიმართვას, რომელიც წყრომით ლაპარაკობს—შეძლებულები ღარიბებს აბუჩად იგდებენო. „ბოლოს და ბოლოს, დაიმახსოვრეთ,—მიმართავს ეს ორატორი ღარიბებს,—რომ თქვენ აბუჩად გიგდებენ. მათ (ე. ი. მდიდრებს—მ. ა.) ისიც კი არ უნდათ, რომ თქვენ მზის სინათლით სარგებლობთ და ამის საშუალებასაც მოგისპობდნენ რომ შეეძლოთ, მათ ისიც კი აღიზიანებთ, რომ თქვენ

სუნთქავთ, რომ თქვენ ლაპარაკობთ, რომ თქვენ გაქვთ ადამიანური სახე". მაშინდელ წყაროებში ჩვენ ხშირად გვხვდება გამოთქმა, რომ „ადამიანი იმდენად წარმოადგენს რაიმეს, რამდენადაც მას რაიმე გააჩნია".

ეს „რაიმე", ე. ი. ქონება არ გააჩნდათ პლებეებს, სწორედ ამიტომ ამ „პლებეებმა, რომელნიც თავისუფალთა და მონებს შუა იდგნენ, ვერასოდეს ვერ შესძლეს ლუმპენპროლეტარიატის სტადიიდან გამოსვლა"[1]. ამ ნიადაგზე ეს პლებეები სასტიკ კლასობრივ ბრძოლებს ეწეოდნენ შეძლებულ მონათმფლობელთა წინააღმდეგ. „...ძველ რომში,—წერს მარქსი,—კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა პრივილეგიურ უმცირესობის შიგნით, თავისუფალ მდიდრებსა და თავისუფალ ღარიბებს შორის..."[2]. ეს კლასობრივი ბრძოლა იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემისა, რომლის განხილვაზეც ჩვენ ახლა გადავდივართ.

---

[1] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ., გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 116.

XXII. რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემა

რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემის მიზეზებზე, ამ დაცემის დასაწყისსა და დამთავრების თარიღზე, ერთიმეორის საწინააღმდეგო მრავალი თეორიები და შეხედულებები არსებობდა და არსებობს ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში.

ჯერ კიდევ ფრანგი განმანათლებელი მონტესკიე (1689—1755 წწ.) თავის შრომაში—„მსჯელობა რომაელთა აღზევებისა და დაცემის მიზეზებზე“ იმ აზრს ანვითარებდა, რომ რომაელთა დაცემის მიზეზი ზნეობის შერყვნა იყო, რომელიც დაპყრობათა შედეგად ქონებრივი უთანასწორობის ნიადაგზე წარმოიქმნაო. მონტესკიეს აზრით, როცა დემორალიზაციის ამ პროცესმა არმიაშიც მოიკიდა ფეხი, მან გატეხა არმიის საბრძოლო სულისკვეთება და ამით გაუადვილა ბარბაროსებს რომის დაპყრობა.

ისტორიკოსი გიბონი (1737—1794 წწ) რომის სახელმწიფოს დაცემის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმართული რელიგიის ქრისტიანული რელიგიით შეცვლაში ხედავდა. გიბონის აზრით, ქრისტიანულმა რელიგიამ ასკეტიზმის ქადაგებით დააკნინა და მოტეხა ძველი რომაული მხნეობა და სიმამაცე, შეასუსტა პატრიოტიზმის გრძნობა და გული აუცრუა ხალხს თავიანთ მოქალაქეობრივ ვალდებულებათა შესრულებაზე. გიბონის გაგებით, რომის დაცემას აჩქარებდა მისი იმპერატორების პირადი ხასიათიც, მათი დესპოტიზმი, პატივმოყვარეობა და არაგონივრული პოლიტიკა. ყოველივე ამან, გიბონის აზრით, მოადუნა დისციპლინა არმიაში და ხელი შეუწყო ბარბაროსების მიერ რომის სახელმწიფოს დაპყრობასა და დაცემას.

ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა ისეთი თეორიაც, რომელიც, საერთოდ, ძველი ქვეყნების და კერძოდ, რომის სახელმწიფოს დაღუპვასაც იმით ხსნიდა, რომ წარმართულ რე-

ლიგიებში მეცნიერების განვითარებამ მათი შემცდარი ხასიათი აღმოაჩინაო. ამ თეორიის მიხედვით, წერდა მარქსი გასული საუკუნის ორმოციანი წლების „კელნის გაზეთ“-ში, „...მთელი ძველი ქვეყანა... იმიტომ დაიღუპა, რომ მეცნიერების განვითარებამ აღმოაჩინა ძველ რელიგიათა ცთომილება“[1].

ისტორიული პროცესის ასეთ ახსნას, რომელიც რელიგიას ადამიანთა საზოგადოების ისტორიის მოძრაობის ბერკეტად აცხადებდა, მარქსი სასტიკად აკრიტიკებდა და იმავე „კელნის გაზეთ“-ში წერდა: „ძველი რელიგიების დაღუპვამ კი არ გამოიწვია ძველ სახელმწიფოთა დაღუპვა, არამედ, პირიქით, ძველ სახელმწიფოთა დაღუპვამ გამოიწვია ძველი რელიგიების დაღუპვა“[2]. აღსანიშნავია, რომ ერთი საუკუნის შემდეგ, ახლაც, თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსების ერთი ნაწილი ამავე თვალსაზრისზე დგას და რელიგიას ისტორიული პროცესის განვითარების ერთ-ერთ ძირითად და გადამწყვეტ ფაქტორად თვლის. ასეთ ისტორიკოსთა რიცხვს ეკუთვნიან ისტორიკოსები: ხარანისი, მოსი და სხვები.

ძველი მსოფლიოს დაღუპვაზე თავისებური თეორია შეჰქმნა ზეეკმა, რომელსაც მეტად პედანტურად და მარტიკად ჰქონდა წარმოდგენილი მონათმფლობელური სამყაროს დაღუპვის ეს პროცესი. ზეეკის აზრით, ამბოხებათა და ომების დროს საუკეთესო ხალხს წყვეტდნენ, ღონივრები ომში უშთამომავლებოდ იღუპებოდნენ და შინ დარჩენილნი სუსტნი და მშიშარნი ამრავლებდნენ შთამომავლობას, რის გამოც გადაგვარდა და დაიღუპა კულტურაო[3].

საერთოდ, თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ძველი ქვეყნების და კერძოდ, რომის სახელმწიფოს დაღუპვაზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო მიღებული თეორია არის ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის ედ. მეიერის მიერ გასული საუკუნის მიწურულში შექმნილი არქირეაქციული, ე. წ. ციკლისებური თეორია. მეიერის ამ მეტაფიზიკური ციკლისებური თეორიის მიხედვით, ისტორიული პროცესის განვითარება ხდება ციკლისებურად (წრისებურად),

---

[1] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 6.

[2] ი ბ ვ ე, გვ. 6.

[3] ედ. მეიერი, ძველი ქვეყნების ეკონომიური განვითარება, გვ. 88.

ამიტომ გარკვეული პერიოდის შემდეგ აუცილებლობის გზით (ციკლისებური განვითარების გამო) ადამიანთა საზოგადოება იმავე ფაზამდე ქვეითდება, საიდანაც იგი ოდესღაც დაიწყო. ადამიანთა საზოგადოების დაბრუნებით თავის ამ პირველ საწყისს მდგომარეობასთან თავდება მისი განვითარების ერთი ციკლი და იწყება მეორე, ასე შემდეგ და ასე დაუსრულებლად.

ანტიკური ქვეყნების მთელ ისტორიას მეიერი განიხილავს, როგორც ერთ დამთავრებულ ციკლს, რომლის დასაწყისად მას თვით ანტიკური ქვეყნების ისტორიის დასაწყისი (თემური, გვაროვნული წყობილება) აქვს მიჩნეული, ხოლო დასასრულად—რომის „კაპიტალისტური“ სახელმწიფოს დაცემა. მაგრამ კითხვაზე, თუ რა მიზეზები იწვევენ საერთოდ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ერთი ციკლის დამთავრებას და მეორის დაწყებას, ან რა მიზეზებმა გამოიწვიეს რომის სახელმწიფოს დაცემა და განვითარების ანტიკური ციკლის დამთავრება, მეიერი იძლევა მეტად პედანტურსა და გონებისა და ლოგიკის საწინაღმდეგო პასუხს. იგი წერს, რომ რომის იმპერიის დაღუპვა აიხსნება არა ბარბაროსთა დაპყრობით, ან III საუკუნეში წარმოებული ომებით, არამედ თვით ამ ანტიკურ საზოგადოებათა ციკლისებური განვითარების რაღაც იმანენტური და მიზეზობრიობის გარეშე მდგომი კანონზომიერებით (!?).

ედ. მეიერი ლოგიკის ელემენტარული წესების საოცარ უგულებელყოფას იჩენს, როცა „ამტკიცებს“, რომ ძველი რომის სახელმწიფოს დამრღვევი მიზეზების უქონლობა მისი (ე. ი. რომის სახელმწიფოს) დარღვევისა და დაცემის მიზეზად გახდაო. როგორც არ უნდა ახირებულად მოგვეჩვენოს უმიზეზობის მიზეზად მიჩნევის ეს პროფესორული აბსურდი, იგი ფაქტია. და ამას წერდა კაცი, რომელიც ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას ისტორიული მეცნიერების კუმირად ჰყავს მიჩნეული. აი, მეიერის „ხელიხელ საგოგმანები“ ამ „სიბრძნის“ ზოგიერთი „მარგალიტები“: „მისი შინაგანი წყობილება,—წერს რომის სახელმწიფოს დაცემაზე მეიერი,—სრულიად წესიერი იყო და არც თუ ისე რიგად საშიში გარეშე მტერი მოელინებიაო“[1]. მიუხედავად ამისა, განაგრძობს შემდეგ

[1] ედ. მეიერი, ძველი ქვეყნების ეკონომიური განვითარება, გვ. 89.

იგი, რომის „კულტურისან სახელმწიფოს სრული უზადობა, ყოველგვარი ნაკლის უქონლობა მისივე დაღუპვის მიზეზად გადაიქცაო [1].

ერთი სიტყვით, ედ. მეიერის ამ ციკლისებური განვითარების თეორიის მიხედვით, ადამიანთა საზოგადოების განვითარება წრეხაზზე მოძრაობს გვაროვნული წყობილებიდან, როგორც საზოგადოების განვითარების უმდაბლესი საფეხურიდან კაპიტალიზმამდე, როგორც იგივე საზოგადოების უმაღლეს საფეხურამდე. ამ საფეხურის მიღწევის შემდეგ საზოგადოება დეგრადაციას განიცდის და კვლავ ქვეითდება თავის თავდაპირველ საწყის საფეხურამდე— გვაროვნულ წყობილებამდე, საიდანაც იგი შემდეგ კვლავ იწყებს აღმავლობას განვითარების მეორე ციკლში და კვლავ აღწევს კაპიტალიზმს, როგორც განვითარების უმაღლეს შესაძლებელ ჭერს და ა. შ. ამ თეორიული და მეთოდოლოგიური დაშვებიდან გამოსვლით, მეიერი რომის სახელმწიფოს დაღუპვას ხსნის არა რაიმე კონკრეტული შინაგანი და გარეგანი მიზეზებით, არამედ იმით, თითქოს ისტორიულად ადამიანთა საზოგადოება თავისთავად, იმანენტურად, ციკლისებურად ვითარდებოდეს და ამის გამო, თითოეული ამ ციკლის დასრულების შემდეგ მასში ჩამარხული იყოს აუცილებელი დაღუპვის ტენდენცია. ამგვარად, რომის სახელმწიფო, მეიერის მიხედვით, არც შეიძლებოდა არ დაღუპულიყო, რადგანაც იქ კაპიტალიზმის განვითარებით ეს პირველი ციკლი უკვე დასრულებული იყოო.

შეცდომები, რომელსაც ბურჟუაზიული ისტორიკოსები, ეკონომისტები და სხვები უშვებენ რომის სახელმწიფოს დაცემის საკითხში, იქიდან გამომდინარეობს, რომ მათ ვერ გაიგეს საერთოდ ძველი, და კერძოდ კი რომის ეკონომიკის ნამდვილი ხასიათი. ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და ისტორიკოსების ერთი ჯგუფი კარლ ბიუხერის მეთაურობით ამტკიცებდა, რომ ძველი ქვეყნების ეკონომიკა რომის დაცემის ჩათვლით, ვიდრე X—XII საუკუნემდე, არ გამოსულა ნატურალური მეურნეობის მდგომარეობიდან და არ გასცილებია oikos-ური (ოჯახური) მეურნეობის ფარგლებსო. მეორე ჯგუფის წარმომადგენლები კი, რომელთაც მეიერიც მიეკუთვნება, პირი-

[1] იქვე, გვ. 93. (ხაზი ჩვენია—მ. ა.).

ქით ამტკიცებდნენ, მათი აზრით, ძველ ქვეყნებში და კერძოდ რომში არსებობდა კაპიტალიზმი ისეთი განვითარებული ეკონომიკით, რომელიც არსებითად იდენტურია თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიკისაო.

ანტიკურ ქვეყნებში (ძველ საბერძნეთსა და რომში) კაპიტალიზმის არსებობის მტკიცებით, ედ. მეიერი ცდილობს ციკლისებური (წრისებური) განვითარების თეორიის მეთოდოლოგიური საფუძვლების „დასაბუთებას“ და მარქსიზმის წინააღმდეგ მისი პოზიციების „გამაგრებას“. მართლაცდა, თუ ანტიკურ ქვეყნებში, როგორც ამას ციკლისებური განვითარების თეორია ამტკიცებს, იყო კაპიტალიზმი, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნეში დაიღუპა და შემდეგ რეგრესულ სვლის შედეგად, ეს განვითარებული ანტიკური კაპიტალისტური საზოგადოება, წინათ გავლილი ბარბაროსობის საფეხურამდე დაეცა, მაშინ გამოდის, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი მეორე კაპიტალიზმია, რომელიც პირველი კაპიტალიზმის (ანტიკური კაპიტალიზმის) დაღუპვიდან 10 თუ 12 საუკუნის ინტერვალის შემდეგ კვლავ წარმოიქმნა.

მაგრამ მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების მასშტაბით ერთი და იგივე ფორმაციის მეორედ წარმოქმნის დაშვება იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარება წრისებურად (ციკლისებურად) ხდებოდეს; რადგან მხოლოდ წრისებური განვითარების დროს გახდება შესაძლებელი, წინათ, წრეზე პირველ მოძრაობის დროს განვლილი განვითარების საფეხურების, ახლა, იგივე წრეზე მეორედ მოძრაობის დროს კვლავ აღდგენა და განმეორება. ერთი სიტყვით, ანტიკურ ქვეყნებში რომ კაპიტალიზმი ყოფილიყო და, ამგვარად, ახლანდელი კაპიტალიზმი რომ მეორე იყოს, მაშინ ციკლისებური განვითარების თეორია მართალი იქნებოდა. მაგრამ მისი უბედურება იმაშია, რომ ეს ასე არ არის, და ანტიკურ ქვეყნებში არავითარი კაპიტალიზმი არ ყოფილა.

მეიერი, პელმანი, აგრეთვე სხვა მოდერნიზატორები და ისტორიული პროცესის ციკლისებური განვითარების მიმდევრები, მარტო ლიტონი განცხადებებით და სოციალურ-ეკონომიური ხასიათის მოვლენების არამართებული ანალოგიით და პარალელებით

ანტიკურ ქვეყნებში კაპიტალიზმის არსებობას ვერ დაამტკიცებენ, ფაქტები კი მათ არ გააჩნიათ და არც შეიძლება გააჩნდეთ.

მეიერი სრულ გაუგებრობას ამჟღავნებს უბრალო ეკონომიკური ხასიათის საკითხებში. მას ჰგონია, რომ ფული, ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება, უნიშევრობა და ა. შ. მხოლოდ კაპიტალიზმის დამახასიათებელი ატრიბუტებია, და რადგანაც იგი მათ ბლომად პოულობს ანტიკურ ქვეყნებში, ამიტომ მათზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნას ამ ქვეყნებში კაპიტალიზმის არსებობის შესახებ. თავის კაპიტალურ შრომაში („ძველი ქვეყნების ისტორია", ტ. III) მეიერი წერს, რომ „ათენი V—IV საუკუნეებში იმდენადვე იდგა კაპიტალიზმის ნიშნის ქვეშ, რამდენადაც ინგლისი XVIII და გერმანია XIX საუკუნეში". თავის სხვა შრომაში მეიერი წერდა: „ამ დროის (ე. ი. ანტიკური დროის – მ. ა.) კულტურა ყოველმხრივ ისეთია, როგორც ჩვენი თანამედროვე კულტურაო"[1]. მეორე მოდერნიზატორი ისტორიკოსი მარკვარტი წერდა: ანტიკურმა „კაპიტალიზმმა დაიპყრო ვაჭრობა და მრეწველობა. ხელოსნებმა, ვაჭრებმა და მიწათმოქმედებმა—ყველამ განიცადა მისი დამღუპველი გავლენაო"[2].

მაგრამ, თუ ანტიკურ ქვეყნებში კაპიტალიზმი იყო, მაშინ იქ უნდა ყოფილიყო მუშათა კლასიც, ხოლო ამ მუშათა კლასს დროთა ვითარებაში უნდა შეექმნა თავისი პარტია და ჰქონოდა თავისი იდეოლოგიაც, როგორც ეს არის და როგორც ეს მოხდა თანამედროვე კაპიტალიზმის დროს. აღნიშნული საკითხების ამ მიმართებით გადაწყვეტას შეეცადა თავის წიგნში—„История античного коммунизма и социализма" ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოდერნიზატორი ისტორიკოსი რ. პელმანი. ზემოდასახელებულ წიგნში იგი ამტკიცებს, რომ ანტიკურ ქვეყნებში იყო მუშათა კლასი, იყვნენ კომუნისტები (გვ. 414), გვხვდება მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" მაგვარი იდეები (გვ. 494), „პროლეტარიატის განთავისუფლებისა" და „ახალი დროის სოციალიზმის ლოზუნგები" (გვ. 568, 569) და ა. შ.

ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი აკრიტიკებდნენ მოდერნიზა-

---

[1] ედ. მეიერი, ძველი ქვეყნების ეკონომიური განვითარება, გვ. 83.

[2] Г. Сальвиоли, Капитализм в античном миро., გვ. 8.

ტორი ისტორიკოსების უფროს თაობას (მომზენს და სხვებს), რომელნიც სრულიად უსაფუძვლოდ ახდენდნენ ანტიკური ქვეყნების ეკონომიკისა და პოლიტიკური წყობის მოდერნიზირებას (გაიგივება-მიმსგავსებას) თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკასა და პოლიტიკურ წყობასთან. „კაპიტალის“ III ტომში მარქსი წერდა: „კაპიტალზე, თანამედროვე აზრით, მას (მარქსს აქ მხედველობაში ჰყავს ვ. კისელბახი—მ. ა.) არავითარი წარმოდგენა არა აქვს, ისე არა, როგორც ბატონ მომზენს, რომელიც თავის რომის ისტორიაში „კაპიტალზე“ და კაპიტალის ბატონობაზე ლაპარაკობს“[1]. მარქსის აზრით, არავითარი კაპიტალიზმი ძველ ქვეყნებში არ არსებობდა და მისი ერა პირველად იწყება ახალი დროის მეთექვსმეტე საუკუნიდან[2]. ამავე აზრისაა ლენინიც, რომელიც წერდა, რომ „კაპიტალი წარმოიშვა შუასაუკუნეების დამლევს“-ო[3].

ანტიკურ ქვეყნებში კაპიტალიზმის არსებობის ეს უკულმართი თეორია არა მხოლოდ შემოვლითი გზით აყალბებს ისტორიული პროცესის განვითარებაზე მარქსიზმის შეხედულებას, ოამედ იგი პირდაპირ მიმართულია მარქსიზმის ძირითადი საკითხის—პროლეტარიატის დიქტატურის გზით სოციალიზმის ისტორიული აუცილებლობით დამყარების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ მიიღო ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ ეს თეორია ასე თბილად, გახადა იგი „ხელიხელსაგოგმანებლად“ და მიაკრა მას ისტორიული მეცნიერების „უკანასკნელი მიღწევის“ იარლიკი.

სოციალიზმის ისტორიული აუცილებლობის უარყოფისათვის დასჭირდათ ამ თეორიის ავტორებს ანტიკურ ქვეყნებში კაპიტალიზმის, მუშათა კლასისა და მისი იდეოლოგიის არსებობის გამოგონება. ისინი სრულიად თვითნებურად, ჯერ ფაქტად იღებენ ანტიკურ ქვეყნებში კაპიტალიზმის არსებობას და შემდეგ ამ „გამოგონილ ანტიკურ კაპიტალიზმს“ უპირისპირებენ მარქსიზმს. ამით მათ უნდათ საკითხი ამდაგვარად დააყენონ: თუ ანტიკური კაპიტალიზმი, ანტიკური მუშათა კლასი, მისი პარტია და მისი იდეოლოგია ისე მოისპო და დაეცა, რომ მაშინდელმა საზოგადოებამ სო-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ III.. ნაწ. I. გვ. 285.
[2] კ მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 659.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 29. გვ. 568.

ციალიზმს პრაქტიკულად ვერ მიაღწია, ასეთ ვითარებაში რა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის დაცემას სოციალიზმი მოჰყვებაო? პირიქით, უფრო სარწმუნოა საწინააღმდეგო შეხედულება, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის დაცემას სოციალიზმი არ მოჰყვება, რადგანაც ეს სოციალიზმი არ მოჰყვა ანტიკური კაპიტალიზმის დაცემასო. ერთი სიტყვით, ისინი ამბობენ: წრისებური განვითარების მეორე ციკლზე, რომელზედაც თანამედროვე საზოგადოება იმყოფება, არსად ეს საზოგადოება არ გაივლის სოციალიზმის საფეხურს, ვინაიდან იგი არ იქნა გავლილი ანტიკურ ეპოქაში და ანტიკური კაპიტალიზმის შემდეგ პირველ ციკლში. ახლანდელი მეორე წრებრუნვა, მეორე ციკლი კი პირველის (ანტიკურის) მხოლოდ ინდენტური განმეორებაა, ამიტომ თანამედროვე კაპიტალიზმის შემდეგ სოციალიზმის ისტორიული აუცილებლობის მტკიცებისათვის მარქსიზმს ღალატობს ანტიკურ ქვეყნებში კაპიტალიზმის არსებობის ფაქტიო. ნამდვილად ფაქტები თვით ამ ციკლისებური განვითარების თეორიას ღალატობენ. სწორედ ამიტომ ხდება ეს თეორია იძულებული, მიმართოს „ფაქტების გამოგონებას“ და „შეჰქმნას“ ბუნებაში არ არსებული „ანტიკური კაპიტალიზმი“. ასე უპირისპირდება ციკლიზმი მარქსიზმის მოძღვრებას სოციალიზმის ისტორიული აუცილებლობის საკითხში.

მართალია, ციკლიზმი არ ამტკიცებს კაპიტალიზმის მუდმივობას, და ციკლისებური განვითარების თეორიის ნიადაგზე დარჩენით მას არც შეუძლია ამის მტკიცება, მაგრამ იმის „მტკიცებით“, რომ კაპიტალიზმის დაღუპვის შემდეგ ადამიანთა საზოგადოება ეცემა ბარბაროსობამდე—ციკლიზმს გამოჰყავს უაღრესად რეაქციული საბრძოლო ლოზუნგი. ეს ლოზუნგია—გაუფრთხილდით კაპიტალიზმს, გააცანგრძლივეთ მისი არსებობა, რადგან მისი მოსპობის შემდეგ იწყება კაცობრიობის ნამდვილი მწუხრი—კულტურის დაცემა მთელი ათეული საუკუნეებით და გაბარბაროსებაო.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში კაპიტალიზმის დაღუპვამ მეტად გააბოროტა ციკლისებური განვითარების თეორიის მიმდევრები, რომელთაც უნდოდათ რუსეთის კაპიტალიზმის დაღუპვა წარმოესახათ, როგორც ახალი, მესამე ციკლის დასაწყისი, მსოფლიო კულტურის ნგრევის დასაწყისი და ბარბაროსობისაკენ დაბრუნება.

ზათი ამოცანა იყო—დაეშინებინათ სხვა ქვეყნების ხალხები და შეეკრათ მათი ერთიანი ფრონტი მსოფლიო კულტურისათვის, თითქოსდა რუსეთში დაწყებული „საფრთხის“ წინააღმდეგ. მაგრამ ამ ღვარძლიანმა ფანატიკამ ხალხები ვერ შეიყვანა შეცდომაში და ციკლისტებს და მათ პატრონ იმპერიალისტებს ვერ მისცათ მათთვის სასურველი ეფექტი.

ეს უსუსური და ხერხემლის ტვინით შექმნილი თეორია—სოციალიზმის შეუძლებლობასა და კაპიტალიზმის შემდეგ კულტურის დეგრადაციაზე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ჩამოაყალიბა ედ. მეიერმა, საბოლოოდ დაასამარა ოქტომბრის რევოლუციამ, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამ და მაღალი საბჭოთა სოციალისტური კულტურის შექმნამ. ამიტომ ციკლიზმთან თეორიული დავა ახლა ჩვენთვის უკვე განელილი ეტაპია, რადგანაც, როგორც ეს მარქსიზმის მოძღვრებით იყო გათვალისწინებული, ეს დავა დიდი ხანია პრაქტიკამ ჩვენთვის და ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ციკლისებური განვითარების თეორიაზე შედარებით ასე ფართოდ ჩვენ იმიტომ შევჩერდით, რომ, როგორც აღნიშნული იყო, ამჟამად ეგი ერთ-ერთი ყველაზე მიღებული თეორიაა ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში. ამასთან ერთად ჩვენ გვინდოდა წარმოგვედგინა ამ თეორიის სრული უმწეობა, ძველ რომში კაპიტალიზმის არსებობის ყალბ შეხედულებათა ნიადაგზე, რომის სახელმწიფოს დაცემის მიზეზების ახსნის საკითხში.

წინააღმდეგ ციკლიზმისა და სხვა მისი მსგავსი ანტიმეცნიერული და რეაქციული თეორიებისა, მარქსიზმის კლასიკოსებს ახსნილი აქვთ რომის სახელმწიფოს დაცემის ნამდვილი მიზეზები, რაც თავის მხრივ რომის სახელმწიფოს ეკონომიკის და პოლიტიკური წყობილების ღრმა მეცნიერული გაგებიდან ამოდის.

უპირველეს ყოვლისა, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მიხედვით, რომის სახელმწიფოს დაცემა განიხილება არა როგორც უბრალო დაცემა ცალკეული სახელმწიფოსი, როგორც, მაგალითად, კართაგენის ან სხვა პატარა და განვითარების თვალსაზრისით ჯერ კიდევ არასრულად მომწიფებული სახელმწიფოსი, არამედ, როგორც ფორმაციის, ამ შემთხვევაში, მონათმფლობელური ფორმაციის დაცემა. საკითხის ამგვარი დაყენებით

ცხადი ხდება, რომ, თუ თავად სხვა ხელშემწყობ გარემოებასთან ერთად, რომის სახელმწიფოს წარმოქმნისა და გაძლიერების ძირითადი მიზეზები ჩვენ უნდა ვეძიოთ მონათმფლობელური ფორმაციის სისტემის უპირატესობაში გვაროვნულ წყობილებასთან შედარებით (რადგანაც, როგორც ენგელსი წერს, მაშინ „...მონობის შემოღება იმდროინდელ პირობებში დიდი პროგრესი იყო“), შემდეგ რომის სახელმწიფოს დაცემის ძირითადი მიზეზიც ჩვენ ისევ მონათმფლობელური ფორმაციის ამ უპირატესობის დაკარგვასა, კრიზისში მის გადასვლასა და რეგრესულ მოვლენად (ფეოდალიზმთან შედარებით) მის გარდაქმნაში უნდა ვეძებოთ. ეს რეგრესი კი მაშინ იწყება, როდესაც მონობა თავის პირვანდელ პროგრესულ, რენტაბელურ ხასიათს ჰკარგავს და რეგრესულ, არარენტაბელურ მოვლენად იქცევა. როცა „...წარმოების განვითარებისათვის მონობა ზღუდეებს ქმნის და საჭიროა მისი გაუქმება. ამ წინააღმდეგობისაგან იღუპება მონობაზე დამყარებული ყოველი წარმოება და მასზე დაფუძნებული საზოგადოება“[1].

მაგრამ მონობაზე დამყარებული საზოგადოება როდის იღუპება უცბად და ერთბაშად. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მონათმფლობელურ და ფეოდალურ ფორმაციებს შორის მდებარე გარდამავალ პერიოდთან. ამ პერიოდში მონათმფლობელური ფორმაციის სისტემაში ხდება ორმხრივი რიგის ღრმა სოციალ-ეკონომიური ხასიათის ცვლილებები: ერთის მხრით, ისპობა მონათმფლობელური ფორმაციის დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო მეორე მხრით, თვით მონათმფლობელური ფორმაციის სისტემის შიგნით იქმნება ახლად ამომავალი ფეოდალური ფორმაციის ნიშნები.

ამ პერიოდში ძველი და ახალი ფორმაციის ნიშნები ურთიერთ უკუპროპორციული დამოკიდებულებით ვითარდებიან—პირველნი რეგრესულად და მეორენი პროგრესულად, ე. ი. რამდენადაც ისპობიან მონათმფლობელური ფორმაციის ნიშნები, იმდენად იქმნებიან ფეოდალური ფორმაციის ნიშნები. ეს პარალელიზმი არა თუ ათეული, არამედ ასეული წლების მანძილზე გრძელდება, ვიდრე ეს გარდამავალი პერიოდი არ დასრულდება რევოლუციით და

---

[1] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 224.

ახალი ფორმაციის ნიშნები არ დაიკერენ გაბატონებულ მდგომარეობას.

ერთი სიტყვით, სოციალისტური ფორმაციის წარმოქმნისაგან განსხვავებით, როდესაც პროლეტარიატი ჯერ პოლიტიკურ ძალაუფლებას იპყრობს და უკვე გაბატონებულ კლასად გადაქცევის შემდეგ იწყებს თავისი პოლიტიკური ხაზის შესაბამისად მეურნეობის სოციალისტურ მოწყობას, ყველა წინა ფორმაციებში ჩვენ სხვაგვარ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ამ ფორმაციებში ახლად ამომავალი მესაკუთრე კლასები ახალ საწარმოო ურთიერთობაზე დაყრდნობით, ჯერ მეურნეობაში ხდებიან დომინირებულ ძალად და მხოლოდ შემდეგ იპყრობენ პოლიტიკურ ძალაუფლებას. ამიტომ, თუ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობით მხოლოდ იწყება კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გარდამავალი პერიოდი, ყველა წინა ფორმაციებში, ახლად ამომავალი მესაკუთრე კლასების მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობით თავდება ეს გარდამავალი პერიოდი. ერთი სიტყვით, თუ საკითხი „ვინ—ვის?“ მეურნეობაში აქ, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ დგება, წინა ფორმაციებში ახლად ამომავალი მესაკუთრე კლასების მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისას „ვინ—ვის?“ საკითხი უკვე მთავრდება მათ სასარგებლოდ. და ეს იმიტომ, რომ მეურნეობაში მათ უკვე მოპოვებული აქვთ გაბატონებული მდგომარეობა და, ამგვარად, უკვე პრაქტიკულადაც დამტკიცებული ახალი ფორმაციის საწარმოო ურთიერთობის უპირატესობანი ძველის მიმართ.

ეს თავისებურება ანგარიშის გაწევას მოითხოვს, როდესაც ჩვენ რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემის მიზეზებს ვარკვევთ და მონათმფლობელური ფორმაციიდან ფეოდალურ ფორმაციაზე გარდამავალი პერიოდის საკითხს ვეხებით. ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ, რაც უფრო ძველ (წინა) ფორმაციებთან გვაქვს საქმე, იმდენად უფრო ხანგრძლივია მათ შორის გარდამავალი პერიოდი, რომელთა ზუსტ ქრონოლოგიაში მოქცევა და მათი საზღვრების დაწყება-დასასრულის განსაზღვრა ისევე შეუძლებელი ხდება, „როგორც დედაჰიწის ისტორიის ეპოქებს შორის“ (მარქსი).

მონათმფლობელური ფორმაციიდან ფეოდალურზე გადასვლის

ტენდენციის დასაწყისი ჩვენ უნდა ვეძებოთ თვით მონათმფლობელური ფორმაციის წარმოების წესში ჩასახულ ცვლილებებში, რომელნიც იმავე დროს ქმნიდნენ ფეოდალური ფორმაციის წარმოების წესის ემბრიოლოგიის შესაძლებლობასაც. მონათმფლობელურ ფორმაციაში დამკვიდრებულ წარმოების წესში კი ცვლილებები, რომელთაც ბოლოს ეს ფორმაცია საკუთარი თავის ნეგაციამდე მიიყვანეს, იმით დაიწყო, რომ მონური მრომის რენტაბელობა, რასაც თავად, შრომის ნაყოფიერების ზრდის გამო, ამ ფორმაციის წარმოქმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, თანდათან არარენტაბელურ შრომად ხდებოდა.

მონური შრომის არარენტაბელურ შრომად გადაქცევის ტენდენციის დაწყება, მონათმფლობელური ფორმაციის რღვევის დაწყებისა და კოლონატის სახით, ფეოდალური ფორმაციის ჩანასახის წარმოქმნის მიზეზად იქცა. სწორედ ამიტომ საკითხის მთელი არსი აქ იმაშია, თუ როდის, როგორ და რატომ შეიცვალა მონური შრომის რენტაბელობა არარენტაბელობით.

თავად, როცა ომებით და მონობის წარმოქმნის სხვა წყაროებით რომში მონათა დიდი მასა გროვდებოდა, მაშინ მონის ფასიც იაფი იყო და ამის გამო მონათმფლობელსაც უფრო ნაკლები დრო სჭირდებოდა, რომ აენაზღაურებინა მონის ყიდვის დროს მასში გადახდილი ფასი. ამ ფასის ანაზღაურების შემდეგ ამ მონის ექსპლოატაციით მიღებული ზედმეტი პროდუქტი მონათმფლობელს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სუფთა მოგებაში რჩებოდა. ერთი სიტყვით, შრომის ნაყოფიერების უცვლელობის პირობებში მონის ფასი და მონისაგან მონათმფლობელის მიერ მიღებული ზედმეტი პროდუქტი უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, ე. ი. რამდენადაც ნაკლები იყო მონის ფასი და ამ ფასის ასანაზღაურებლად საჭირო დრო, იმდენად უფრო მეტი რჩებოდა ზედმეტი შრომისათვის განკუთვნილი დრო და ამ დროის პერიოდში მონის მიერ შექმნილი ზედმეტი პროდუქტი, რომელსაც მონათმფლობელი მონის ყიდვის შემდეგ მისი ექსპლოატაციით იღებდა.

ზედმეტი შრომა, როგორც ცნობილია, მარტო კაპიტალიზმისათვის არ არის დამახასიათებელი. „კაპიტალს,—წერს მარქსი,—ზედმეტი შრომა არ აღმოუჩენია. ყველგან, სადაც საზოგადოების

ერთ ნაწილს საწარმოო საშუალებათა მონოპოლია ეკუთვნის, მუშამ, თავასუფალმა თუ არა თავისუფალმა, იმ სამუშაო დროს, რომელიც აუცილებელია მისი არსებობისათვის, უნდა მიუმატოს ზედმეტი სამუშაო დრო, რომ აწარმოოს საარსებო საშუალებანი საწარმოო საშუალებათა მესაკუთრისათვის, იქნება ეს მესაკუთრე ათენელი Kalos kagathos (არისტოკრატი), ეტრუსკელი თეოკრატი (მბრძანებელი ქურუმი), Civis romanus (რომის მოქალაქე), ნორმანელი ბარონი, ამერიკელი მონათმფლობელი, ვალაქელი ბოიარინი, თანამედროვე ლენდლორდი (მემამულე) თუ კაპიტალისტი"[1]. „ზედმეტი შრომა საზოგადოდ,—წერს მარქსი თავის სხვა თხზულებაში,—როგორც შრომა, მოთხოვნილებათა განსაზღვრული რაოდენობის ზევით ყოველთვის იარსებებს. მაგრამ კაპიტალისტურ სისტემაში, ისევე, როგორც მონურ სისტემაში და სხვ., მას ანტაგონისტურ ფორმა აქვს და იგი შევსებულია საზოგადოების ერთი ნაწილის სრული უსაქმობით"[2].

ამგვარად, ზედმეტი შრომა ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში არსებობს, მაგრამ მას ანტაგონისტური ფორმა მხოლოდ მონათმფლობელობის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროს აქვს მიღებული. ამ ზედმეტი შრომის დროს უშუალო მწარმოებლის (მონის, ყმა გლეხის, და მუშის) მიერ შექმნილ დოვლათს მონათმფლობელი, ფეოდალი და კაპიტალისტი გამოსწურავენ სხვადასხვა ფორმით. სწორედ ეს გარემოება ანსხვავებს ამ ფორმაციებს ერთიმეორისაგან. „მხოლოდ იმ ფორმით,—წერს მარქსი,—რა ფორმითაც გამოიწურება ეს ზედმეტი შრომა უშუალო მწარმოებლიდან, მუშიდან, განსხვავდება ერთმანეთისაგან საზოგადოების ეკონომიური ფორმაციები, მაგალითად, მონობაზე დამყარებული საზოგადოება დაქირავებულ შრომაზე დამყარებული საზოგადოებისაგან".[3]

როგორც ჩვენ ზემოთ ავღნიშნეთ, რამდენადაც იაფი იყო მონის ფასი, იმდენად უფრო ხანგრძლივი იყო ეს ზედმეტი დრო და, მაშასადამე, მონათმფლობელისათვის მონის შეძენა და მისი ექსპლოატაცია იმდენად უფრო რენტაბელურიც.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 191—192.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III., ნაწ. II. გვ. 337.
[3] კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. I. გვ. 175.

ცხადია, რომ ასეთი გარემოების გამო, რამდენადაც მონათა დიდი რიცხვი იქნებოდა თავმოყრილი ერთი მონათმფლობელის ხელში, იმდენად უფრო მეტი იქნებოდა მონური შრომის ექსპლოატაციისაგან ამ მონათმფლობელის მიერ მიღებული ზედმეტი პროდუქტი. ამაში მჟღავნდებოდა სწორედ მონური შრომის რენტაბელური ხასიათი. ასეთ ვითარებაში, მონათმფლობელები ცდილობდნენ-მონური შრომის ექსპლოატაციისაგან უფრო მეტი შემოსავლის (ზედმეტი პროდუქტის) მისაღებად, უფრო მეტად გაეფართოებინათ წარმოება და უფრო მეტი მონები ჩაებათ მასში.

გასაგებია, რომ თუ იმდროინდელი ტექნიკის შედარებით უძრაობისა და ჩამორჩენილობის პირობებში, ძირითადად ზემოთ გადმოცემული ვითარება აძლევდა მონურ შრომას რენტაბელურ ხასიათს, ამ ვითარების შებრუნებას, ე. ი. მონების რიცხვის შემცირებასა და მათზე ფასების გაზრდას და ა. შ., უნდა მიეცა და მისცა კიდეც ამ მონურ შრომას არარენტაბელური ხასიათი. მაშასადამე, მონური შრომის არარენტაბელურ შრომად გადაქცევის ძირითადი მიზეზი, და ამგვარად, თვით მონათმფლობელური ფორმაციის რღვევისა და ფეოდალური ფორმაციის თავდაპირველი ნიშნების წარმოქმნა რომის სახელმწიფოში, ჩვენ მონათა რიცხვის შემცირებასა და ამის შედეგად, მათზე ფასების ზრდაში უნდა ვეძიოთ.

ზემოთ ჩვენ ორი თავი მივუძღვენით მონობის წყაროებსა და ფასს და ვფიქრობთ, რომ მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს, თუ საიდან და როგორ გროვდებოდნენ დიდი რაოდენობით მონები რომში და რატომ იყო მათი ფასი იაფი. ახლა ჩვენ გვაინტერესებს საკითხი, თუ მონობის ამ წყაროების შემცირებით, როგორ მცირდებოდა თვით მონათა რაოდენობა რომში, და ამის გამო როგორ იზრდებოდა მონებზე ფასი. მონობის წყაროების და, მაშასადამე, თვით მონების რიცხვის შემცირება კი რომში შემდეგ ვითარებაში მიმდინარეობდა.

დაკაბალების ნიადაგზე რომაელი მოქალაქის მონად გადაქცევა აიკრძალა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 313 წელს ე. წ. პეტელიას და პაპირიას კანონით, რაც იმ დროისათვის რომის პლებსის (დემოკრატიის) დიდი გამარჯვება იყო. მართალია, ამ კანონის გატარებით მონობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყა-

რო ისპობოდა, მაგრამ ამ წყაროს მოსპობას არ შეიძლებოდა მაშინ მუშახელის (მონების) ნაკლებობა გამოეწვია და ამით გავლენა მოეხდინა მონური წარმოების წესზე რომში, რადგანაც ამ დროისათვის მონობის მეორე წყარო—უცხო ქვეყნების დაპყრობები, რომელიც 313 წლის შემდეგ უფრო მეტად გაბშირდა, აკომპენსირებდა ამ ლიკვიდირებული წყაროს დანაკლისს.

რომში მონების რიცხვის შემცირება დაიწყო ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან, მონობის წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი წყაროს—რომის აგრესიული ომების ჯერ მოდუნებისა და შემდეგ კი მისი შეჩერების შედეგად.

ეს გარემოება კი იმით იყო გამოწვეული, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასაწყისისათვის წვრილმწარმოებელ გლეხთა ფენა, რომელიც თავად რომის აგრესიული არმიის შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა, ახლა უკვე გაჩანაგებული იყო. რომის „არმიის შევსება,—წერს ენგელსი,— თავისუფალ იტალიელ გლეხთა შვილებით შეწყდა თვით ამ იტალიელი გლეხების გაკრობასთან ერთად[1]". ამის გამო რომის სახელმწიფოს მესვეურები იძულებულნი ხდებოდნენ არმიაში შეეყვანა უცხოელები, ე. ი. ბარბაროსები. რომის არმიის ეს ბარბარიზაცია კი იწვევდა არა მარტო არმიის ბრძოლის უნარიანობის, მისი საომარი ტექნიკისა და დისციპლინის დაცემას, არამედ მას პოლიტიკურადაც არასაიმედოდ ხდიდა რომისათვის, ვინაიდან ბარბაროსების წინააღმდეგ ისევ ბარბაროსებისაგან შედგენილი არმიით ბრძოლა არ შეიძლებოდა საიმედო და ეფექტიანი ყოფილიყო. მართლაცდა, რომის ისტორიაში არა ერთი და ორი მაგალითია ამ ბარბაროსული არმიის, მისი ცალკე ნაწილების და მეთაურების ღალატის და მტრის მხარეზე გადასვლისა.

რომის არმიის ბარბარიზაციით გამოწვეული ეს საშიშროება კარგად არის ასახული ეპისკოპოს სინესიუსის იმ წერილში, რომელიც მან იმპერატორ არკადიუსს გაუგზავნა 397—398 წლებში. „ომები სახელმწიფოს დასაცავად,—სწერდა სინესიუსი არკადიუს,—არ შეიძლება წარმატებით აწარმოონ უცხო ტომების ჯარებმა... ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ უდიდეს საფრთხეს იმაში,

[1] ფ. ენგელსი, К истории древних германцев, 1938 წ. გვ. 33.

რომ ჩვენთვის უცხო სამხედრო ხალხს, რომელთაც თქვენ მიანდეთ ჩვენი ქვეყნის დაცვა, შეუძლიათ მოისურვონ ბატონობა უიარაღო მოსახლეობაზე?"[1]. მით უფრო, როგორც ენგელსი წერს, ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი არმიით „...უკვე აღარ შეიძლებოდა ახლა დიდი შეტევითი ომების წარმოება"[2]. ახალი ქვეყნების დასაპყრობად, ახალი დიდი შეტევითი ომების შეჩერებამ კი მოშალა რომის იმპერიისათვის მონების მიწოდების ამ ძირითადი წყაროს (აგრესიული ომების) მოქმედება, რამაც დიდი გავლენა იქონია მონათა რიცხვის შემცირებაზე რომში.

რომში მონათა რიცხვის შემცირებას იწვევდა რომის მიერ წინათ დაპყრობილ ქვეყნებსა და პროვინციებში მძიმე გადასახადების, ცხოვრების პირობების გაუარესების და ეპიდემიების გამო მოსახლეობის რიცხვის შემცირებაც. ამ ქვეყნების მოსახლეობის კლებადობაზე გავლენას ახდენდა, მათი პირველად დაპყრობის დროს, იქიდან რომში მონებად შრომისა და გამრავლების უნარის მქონე ხალხის დიდი რიცხვის წაყვანაც. ამ გარემოებას ზედ ერთოდა რომის იმპერიის ტერიტორიული შემცირება, და ამასთან დაკავშირებით, ამ დაკარგულ ტერიტორიებზე მონობის ძველი რეზერვების დაკარგვა.

თანდათან მცირდებოდა და ლიკვიდაციისაკენ მიდიოდა მონობის სხვა წყაროებიც. ყოველივე ეს იწვევდა მონათა რაოდენობის შემცირებას და ამის გამო მათზე ფასების გაზრდას. მონებზე ფასების ზრდა კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არარენტაბელურს ხდიდა მონურ შრომას, რაც თავის მხრივ ძირითად მიზეზად ხდებოდა წარმოების მონათმფლობელური წესის გარდუვალი დაღუპვისათვის. აქით აიხსნება, რომ, როგორც ენგელსი წერს: „ანტიურმა მონობამ თავისი თავი ამოსწურა. არც მსხვილი მეურნეობა სოფლად, არც მანუფაქტურა ქალაქში აღარ ანაზღაურებდა დახარჯულ შრომასა და თანხებს, მათი ნაწარმოები აღარ საღდებოდა". ერთი სიტყვით, „მონობა სარგებლობას აღარ იძლეოდა,—დაასკვნის შემდეგ ენგელსი,—ამიტომ მოისპო იგი"[3]-ო.

---

[1] М. В. Левченко, История Византии, 1940 წ. გვ. 29.

[2] Ф. Энгельс, К истории древних германцев, გვ. 34.

[3] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 152.

როცა ჩვენ მონათა რიცხვის შემცირებასა და მონური შრომის არარენტაბელურ შრომად გადაქცევაზე ვლაპარაკობთ, როგორც რომის მონათმფლობელური ფორმაციის დაღუპვის ერთ-ერთ ძირითად მიზეზზე, მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ მონათმფლობელური ფორმაციის ის სპეციფიკურობა, რომლითაც ამ საკითხში იგი ბურჟუაზიული ფორმაციის დაღუპვის მიზეზებისაგან განსხვავდება. ცნობილია, რომ ბურჟუაზიული ფორმაცია არასოდეს არ იღუპება სამუშაო ძალის ნაკლებობით და დაქირავებული მუშის შრომის არარენტაბელურ შრომად გადაქცევით. პირიქით, იგი წარმოების წესის სპეციფიკურობისა და ტექნიკის განვითარების გამო, თანდათან უფრო დიდი მასშტაბით ქმნის უმუშევართა სარეზერვო არმიას და უფრო მეტად ზრდის დაქირავებული მუშის ექსპლოატაციით ზედმეტი ღირებულების სიდიდეს.

მონური შრომის არარენტაბელურ შრომად გადაქცევით გამოწვეულმა მონათმფლობელური წარმოების წესის კრიზისმა საფრთხე შეუქმნა არა მარტო ხელოსნურ წარმოებას ქალაქად, არამედ უფრო მეტად სოფლად მსხვილ ლატიფუნდიურ მეურნეობას, რომელიც აქამდე მონური შრომით მუშავდებოდა და ახლა, ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან დაწყებული მონური შრომის თანდათან არარენტაბელურ შრომად გადაქცევის გამო, იგი წინანდებურად ფართო მასშტაბით ვეღარ იყენებდა მას, მისი მზარდი გაძვირებისა და ზარალის გამო.

ასეთ ვითარებაში, რომ გამოუყენებლად არ დარჩენილიყო ეს ლატიფუნდიური მეურნეობანი—მონათმფლობელები ან საძოვრებად აქცევდნენ ამ უზარმაზარ მამულებს, „...სადაც მოსახლეობის ადგილს ცხვრის ფარა და საქონლის ჯოგი იჭერდა, რომლის მოვლა ორიოდე მონას მოითხოვდა...“[1]—ანდა წვრილ ერთეულებად, პარცელებად აქუცმაცებდნენ მათ და აძლევდნენ იჯარით უმიწაწყლო გლეხებს, ბარბაროსებს ან თვით ყოფილ მონებს, რომელთაც ახლა თავისუფალ მოიჯარადრეებად აქცევდნენ.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938წ., გვ. 151.

მიწის ამ თავისუფალ მოიჯარადრეებს, რესპუბლიკის ბოლოსა და იმპერიის დასაწყისიდან, მიუხედავად იმისა თუ ვინ იყვნენ ისინი წინათ: უმიწაწყლო გლეხები, ბარბაროსები თუ მონები—კოლონი ეწოდებათ, ხოლო მიწათმფლობელობის იმ წესს, როდესაც პარცელებად (ნაჭრებად) დანაწილებულ ყოფილ მსხვილ ლატიფუნდიურ მეურნეობას თავისუფალი საიჯარო გარიგებით ამუშავებენ ეს კოლონები—კოლონატი ეწოდება. კოლონატი არის მონათმფლობელური მეურნეობიდან ფეოდალურზე გარდამავალი საფეხური, ხოლო კოლონი—ფეოდალური ფორმაციის ყმა-გლეხის წინამორბედი.

კოლონატის ჩასახვა უნდა ვივარაუდოთ ახალი წელთაღრიცხვის ახლო ხანებიდან, ე. ი. იქიდან, საიდანაც რომში მონური შრომის არარენტაბელურ შრომად გადაქცევის პროცესი იწყება. ეს ორი მოვლენა ერთდროულად იწყება და ერთმანეთის განვითარებას განაპირობებენ პირდაპირ პროპორციული დამოკიდებულებით, ე. ი. რამდენადაც ძლიერდებოდა მონური შრომის მიერ არარენტაბელური ხასიათის მიღება, და ამ საფუძველზე მონათმფლობელური წარმოების წესის რღვევა, იმდენად ძლიერდებოდა და უფრო ღრმად ინერგებოდა მეურნეობაში კოლონატის სისტემა, როგორც ამომავალი ფეოდალური ფორმაციის წარმოების წესის ჩანასახი.

რა თქმა უნდა, არც ერთი ეს პროცესი უცბად არ დაწყებულა და არც დამთავრებულა. მათ დასჭირდათ ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, ვიდრე პირველის გაბატონებული მდგომარეობის ადგილს მეორე დაიკავებდა, და ამგვარად, დაამტკიცებდა თავის უპირატესობას შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ტექნიკის განვითარების დარგში. „მეურნეობის ფეოდალურ სისტემას რომ დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა მეურნეობის მონური სისტემის წინაშე,– ამბობს ამხანაგი სტალინი,—ამას დასჭირდა, ვგონებ, ორასიოდე წელიწადი“[1].

ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კოლონი თანდათან ყმა-გლეხის მდგომარეობაში გადადიოდა, ხოლო კოლონატი წარმოების ფეოდალურ წესში. პირველად, კოლონატის სისტემის დაწყების დროიდან, როგორც აღნიშნული იყო, კოლონი თავისუფა-

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. IX., გვ. 146.

ლი მოიჯარადრე გლეხი იყო, რომელიც, ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, 5 წლით იღებდა მიწას იჯარით და მიწის პატრონს უხდიდა მოსავლის ერთ მესამედს. სხვა არავითარი ვალდებულება თავად კოლონს მიწის პატრონთან არ აკავშირებდა, და მას შეეძლო საიჯარო პირობით გათვალისწინებული დროის (ე. ი. 5 წლის) გასვლის შემდეგ ან გაეგრძელებინა ხელშეკრულება და ან მიეტოვებინა მიწის ერთი მეპატრონე და გადასულიყო მეორესთან.

მაგრამ იმის გამო, რომ მიწის პატრონს შეიძლება ახალი კოლონი დროზე ვერარ ეშოვა, მიწა დაუმუშავებელი დარჩენოდა და ღალის სახით შემოსავალიც დაკარგოდა, მისთვის ხელსაყრელი იყო, რომ კოლონი უფრო ხანგრძლივად ან მუდმივად ყოფილიყო მიმაგრებული მიწაზე. ამას მიწის პატრონი აღწევს კიდეც კოლონის მძიმე მდგომარეობისა და მასზე ეკონომიური ზეგავლენის წყალობით. საქმე იმაში იყო, რომ კოლონთა დიდ ნაწილს იჯარით აღებული მიწის დასამუშავებლად არ გააჩნდა თესლი, ინვენტარი, გამწევი ძალა და სხვა. მიწის იჯარის მიცემასთან ერთად მემამულე კოლონს ჰპირდება დახმარებას ამ მხრივაც, თუ კი კოლონი უფრო მეტ ხანს დარჩება მიწაზე და ამ დახმარების სანაცვლოდ მიწის პატრონს ღალის მიცემის გარდა სხვადასხვა „შავ სამუშაოსაც“ შეასრულებს.

ცნობილი რომაელი ეკონომისტი კოლუმელა (50-იანი წლები, ნერონის ეპოქა) უკვე ყრუდ ლაპარაკობს, რომ კოლონს ღალის გადახდის გარდა აქვს კიდევ სხვა რაღაც ვალდებულებანი მიწის მეპატრონის მიმართო. შემდეგი ხანის წყაროებიდან ირკვევა, რომ ეს არის არარეგულარული, ექსტრაორდინალური ხასიათის ვალდებულებანი, რომელსაც კოლონი ასრულებს მიწის მეპატრონის სასარგებლოდ. ეს ვალდებულებანი არის „გზებისა და ხიდების აშენება და შეკეთება, პურის საცხობში მუშაობა, ნახშირის მოტანა, კირის გაჭოწვა, ტრანსპორტის უზრუნველყოფა საზიდრებითა და ცხენებით და ა. შ.“[1]

კოლონისათვის სხვადასხვა ბეგარის სახით ასეთი ვალდებუ-

---

[1] В. Сергеев, Очерки по истории поздниримской империи (იხ. ჟურ. „Историк Маркспст“, 1938 წ. № 5, გვ. 103).

ლებების დაკისრება უკვე მისი დაყმევის დასაწყისია. კოლონის დაყმევის ეს პროცესი ყმად მისი გადაქცევით სრულდება იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ 332 წელს გამოცემული დეკრეტით. ამ დეკრეტით კოლონს ეკრძალებოდა მიწის ერთი მეპატრონიდან მეორესთან გადასვლა. ამიერიდან ყველა კოლონები, აგრეთვე მათი შემდგომი თაობებიც იმ მიწაზე უნდა დარჩენილიყვნენ მუდმივად, სადაც მათ ამ დეკრეტმა მოუსწროთ. ასე დამთავრდა კოლონების ყმად გადაქცევის პროცესი, კოლონებისა, რომელნიც თავად, როგორც ენგელსი წერს, „...საშუალო საუკუნეების ყმების წინამორბედები იყვნენ"[1].

ასეთია მეტად ზოგადად და არასრულად წარმოდგენილი ის გზა, რომლითაც მონათმფლობელური მეურნეობა და მისი წარმოების წესი ფეოდალურისაკენ მიდიოდა. ამ ეკონომიური ხასიათის მიზეზებთან ერთად და მათ საფუძველზე, მონათმფლობელური ფორმაციის დაღუპვას და ფეოდალურში მის გადასვლას აჩქარებდა და განაპირობებდა თვით მონათა აჯანყებები და რევოლუციები.

ეს აჯანყებები და რევოლუციები, რამდენადაც მიზნად ისახავდნენ მონების განთავისუფლებას მონობიდან და მათ დაბრუნებას სამშობლოში, იმდენად უშუალო საფრთხეს უქმნიდნენ წარმოების მონურ წესს, ვინაიდან აცლიდნენ მას მის ძირითად ელემენტს—სამუშაო ძალას მონის სახით. ცნობილია, მონათა დიდი მასშტაბის აჯანყებები და გამოსვლები ჩვენ რესპუბლიკის პერიოდში გვაქვს (სიცილიის მონათა აჯანყებები, სპარტაკის აჯანყება და სხვ.), რომლის შემდეგაც კიდევ ხუთ-ექვს საუკუნეს იარსება რომის მონათმფლობელურმა სახელმწიფომ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მონათმფლობელური ფორმაციის დანგრევის საქმეში მონათა აჯანყებებისა და რევოლუციების როლი შემდეგ ხანებში მცირდებოდეს. პირიქით, ამ ფაქტორის მოქმედება იმპერიის ეპოქაში იზრდება, თუმცა სხვა ფორმით. ამიერიდან მონები აწყობენ მცირე მასშტაბის, მაგრამ უფრო მძაფრსა და უწყვეტ (პერმანენტულ) ხასიათის ბრძოლებსა და აჯანყებებს. სწორედ მონათა ამ აჯანყებებმა და რევოლუციებმა ითამაშეს გადამ-

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 152.

წყვეტი როლი რომის მონათმფლობელურ სახელმწიფოს დაცემაში. მონათა აჯანყებების საკითხი დაწვრილებით ჩვენ ზემოთ (გვ. 245—292) გავარკვიეთ და ახლა აქ მათზე აღარ შევჩერდებით.

რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენდა აგრეთვე „თავისუფალ მდიდრებსა და თავისუფალ ღარიბებს შორის[1]“ გაშლილი მწვავე კლასობრივი ბრძოლა (იხ. გვ. 302—328, 371—386).

რომის მონათმფლობელურ, შინაგანი მიზეზებით დასუსტებულ სახელმწიფოს დაცემას აჩქარებდა გარედან ბარბაროსთა შეტევები და თავდასხმები. რომის არმიის ბარბარიზაციამ, რომლის მიზეზებზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, არა მარტო შეუძლებელი გახადა ამ არმიის მიერ წინანდებურად დიდი შეტევითი, აგრესიული ომების წარმოება, არამედ მას იმის საშუალებაც არ გააჩნდა. რომ იმპერიის ძველ საზღვრებზე ყოველთვის ეფექტური, თავდაცვითი ომები ეწარმოებინა. აღმოსავლეთიდან რომის იმპერიაზე შეტევას აძლიერებდნენ სპარსელები და პართები, ჩრდილოეთიდან— რაინიდან შავ ზღვამდე—გერმანელები, დასავლეთიდან კი—ესპანელები და სხვ. ბარბაროსებისათვის წინაღმდეგობის გაწევას ისიც აძნელებდა, რომ თვით იმპერიის შიგნით მოქცეულ პროვინციებში ძლიერდებოდა დამოუკიდებლობის ლოზუნგით წამოწყებული გლეხთა აჯანყებები და მონათა გამოსვლები.

ამ გარემოების გამო რომის იმპერატორები იძულებულნი ხდებიან შემტევი ბარბაროსების წინააღმდეგ, რომელთა შეჩერება იარაღის ძალით იმპერიის ძველ საზღვრებზე მათ აღარ შეუძლიათ, იყიდონ ზავი ამ ბარბაროსებისათვის ხარკის მიცემით. მარქსი წერს, რომ ბარბაროსებისათვის ასეთი ყოველწლიური ხარკის მიცემით იყიდა ზავი რომის იმპერატორმა დომიციანემ (81—96 წწ) დაკებისაგან, კომოდმა (180—192 წწ)—მარკომანებისაგან, გალლამ (251—253 წწ)—გუთებისაგან და ა.შ.[2] ერთი სიტყვით, რომის სახელმწიფო, რომელსაც ბარბაროსები წინათ თვითონ ჰყავდა მოხარკედ, ახლა თვით შეიქნა მათ მოხარკედ.

---

[1] კ. მარქსი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, წინასიტყვაობა, გვ. 5.

[2] К. Маркс Хронологические выписки (იხ. ჟურ. „Вестник древней истории“, 1939 წ. № 2, გვ. 3, 4, 5.)

მართალია, რომაელები II—III საუკუნეებშიაც ახერხებდნენ ხანდახან ზოგიერთი ახალი ოლქების დაპყრობას (როგორც. მაგალითად, დაკიის—თანამედროვე რუმინეთის შემოერთება 106 წელს და რომის სამფლობელოების გაფართოება ჩრდილოეთ ბრიტანეთში 208—211 წლებში და სხვ.), მაგრამ ეს ხდებოდა იშვიათად და თანაც იმპერიის სხვა უფრო დიდი ოლქების დაკარგვის სანაცვლოდ, რის გამოც ეს ახალი დაპყრობები ვერ აჩერებდნენ იმპერიის ტერიტორიული შემცირების საერთო პროცესს, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. რომის იმპერატორი ადრიანე (117—138 წწ), წერს მარქსი, იძულებული ხდება ხელი აიღოს რომის აღმოსავლურ პროვინციებზე: ასირიაზე, სომხეთსა და მესოპოტამიაზე[1], რადგან დარწმუნდა, რომ მათი დაცვა რომის შესაძლებლობას აღემატებოდა. მარკ ავრელიუსის დროს (161—180 წწ) რომაელები იძულებული ხდებიან ნება მისცენ გერმანელ ბარბაროსებს მდინარე დუნაის განაპირა პროვინციებში დასასახლებლად. V საუკუნის პირველ მეოთხედში, იმპერატორ ჰონორიუსის დროს, რომს ჩამოსცილდა გალია (ახლანდელი საფრანგეთი).

საერთოდ, V საუკუნის დასაწყისისათვის რომის სახელმწიფო იმდენად იყო დასუსტებული, რომ თვით ქ. რომი, იმპერიის ეს დიდება, ხელმისაწვდომი გახდა ბარბაროსებისათვის. 410 წ. იგი გერმანელი ტომების (გუთების) ბელადმა ალარიხმა აიღო და ააოხრა. ალარიხმა რომი მხოლოდ გაძარცვისა და დიდი ხარკის აღების შემდეგ დატოვა. 420 წელს რომს ჩამოსცილდა ესპანეთი, 427 წელს რომაელებმა ნებაყოფლობით დატოვეს ბრიტანეთი, 429 წელს გერმანელი ტომები—ვანდალები ესპანეთიდან აფრიკაში გადავიდნენ და დაიპყრეს რომის აფრიკული სამფლობელოები. 455 წელს ამ ვანდალებმა აფრიკიდან დესანტის გადმოსხმით აიღეს რომი, რომელიც მათ ორი კვირის თარეშის, სასტიკად გაძარცვისა და გაპარტახების შემდეგ დატოვეს. 455 წლისათვის რომის დასავლეთ იმპერიასო, წერს მარქსი, ყველა პროვინციები დაკარგული ჰქონდა გარდა თვით იტალიისაო[2].

ამგვარად, შვიდი საუკუნის შემდეგ, ახალი წელთაღრიცხვის

---

[1] იქვე, გვ. 4.

[2] იქვე გვ. 11.

მეხუთე საუკუნის შუა ხანებში, რომის სახელმწიფო ტერიტორიულად იმავე საზღვრებში მოექცა, რომელიც მას ეკავა ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის შუაწლებში, ვიდრე იგი იტალიის გარეთ მდებარე ქვეყნების დასაპყრობად აღმართავდა მახვილს. მაგრამ საკუთრივ იტალიამაც მალე დაკარგა დამოუკიდებლობა. 476 წლის 23 აგვისტოს, რომის უკანასკნელი იმპერატორი—რომული ავგუსტული დაამხო რომის სამსახურში მყოფმა დაქირავებული გერმანელი ჯარისკაცების მეთაურმა ოდოაკრმა და თავისი თავი იტალიის ბატონ-პატრონად გამოაცხადა.

რომული ავგუსტულის ჩამოგდება ტახტიდან და იტალიაში უზურპატორ ოდოაკრის დროს ახალი სახელმწიფოს წარმოქმნა ისტორიკოსების დიდ ნაწილს მიღებული აქვს რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემის, საერთოდ, ძველი ისტორიის დასრულების და საშუალო საუკუნეების ისტორიის დაწყების თარიღად. ორ დიდ ისტორიულ ეპოქას—ძველსა და საშუალო საუკუნეების ისტორიას შორის ეს უდიდესი მნიშვნელობის მიჯნა მიჩნეულია, რა თქმა უნდა, პირობითად. მაგრამ ამ პირობითობასაც თავისი საყრდენი საფუძველი უნდა გააჩნდეს.

ასეთ საფუძვლად ჩვენ არ შეიძლება მივიჩნიოთ მცირეწლოვანი რომული ავგუსტულის დამხობა უზურპატორ ოდოაკრის მიერ და მისთვის ხელისუფლების წართმევა. „ტახტის რევოლუციის“ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები ძველ ისტორიაში მეტად მრავალია, მაგრამ ისინი ორ დიდ ისტორიულ ეპოქას (ორ ფორმაციას) შორის მიჯნად არ არიან მიჩნეული.

აქ საქმე იმაშია, რომ რომის მონათმფლობელური იმპერიის წინათ დაწყებული დაშლის პროცესი ახლა, რომული ავგუსტულის ჩამოგდების დროს იტალიის დამოუკიდებლობის დაკარგვით დამთავრდა. ყველაზე მთავარი კი აქ ის არის, რომ რომის იმპერიის ნანგრევებზე ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებში ამ დროისათვის წარმოების მონური წესი ძირითადად უკვე შეცვლილი იყო წარმოების ფეოდალური წესით. სწორედ ეს გარემოება არის მიჩნეული ორი ეპოქის მიჯნად და, ტახტის ზემოაღნიშნული გადატრიალება მხოლოდ ამ მოვლენის დაახლოებითი დათარიღების განსაზღვრისათვის არის გამოყენებული.

აღსანიშნავია, რომ რომის სახელმწიფოს დაცემის საქმეში ბარბაროსთა ამ შეტევის მნიშვნელობაზე სრულიად არასწორ შეხედულებას ვხვდებით ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში. ამ შეხედულების მომხრენი ცდილობენ, რომის დაცემა და მონათმფლობელური ფორმაციიდან ფეოდალურ ფორმაციაზე გადასვლა მხოლოდ და მხოლოდ ბარბაროსების მიერ რომის სახელმწიფოს დაპყრობით ახსნან, მაგრამ „არაფერი არაა იმაზე უფრო ჩვეული წარმოდგენა, თითქოს ისტორიაში აქამდის ყოველივე მხოლოდ დაპ-ყრობით განისაზღვრებოდა. ბარბაროსებმა დაიპყრეს რომის იმპერია და ამ დაპყრობის ფაქტით ხსნიან გადასვლას ანტიკური ქვეყნებიდან ფეოდალიზმზე"[1].

ამ ყალბ შეხედულებას, განსაკუთრებული მონდომებით ანვითარებდნენ შემდეგ პან-გერმანისტი და ფაშისტი ისტორიკოსები. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ სწორედ გერმანელი ბარბაროსების მიერ რომის დაპყრობამ დაუდო საზღვარი მონათმფლობელური ფორმაციის არსებობას ანტიკურ ქვეყნებში და კაცობრიობის ისტორიას გზა გაუხსნა თავის განვითარების ახალ, ფეოდალურ საფეხურზე გადასასვლელადო.

ერთი სიტყვით, ამ უკუღმართი თეორიის მიხედვით გამოდიოდა, რომ რომის მონათმფლობელური სახელმწიფო თავისთავად, თავის შინაგან წინააღმდეგობათა დიალექტიკით ვერ მოკვდებოდა და განვითარების შემდგომ, ფეოდალურ საფეხურზე, ვერ გადავიდოდა რაინისა და დუნაიდან წამოსული გერმანული მახვილის „დახმარების" გარეშე. ნამდვილად კი ამ შეხედულებაში იმალება რასისტულ-მესიონისტური იდეა გერმანელი ერისა, რომელიც აქ, ამ ცრუ თეორიის მიხედვით, ისტორიული პროცესის კანონმდებლად არის გამოცხადებული.

ამ ცრუ თეორიის მიმდევრებმა ვერ გაიგეს და არც უნდათ გაიგონ მარქსის ცნობილი დებულება, რომ „არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ ისპობა მანამდე, სანამ არ განვითარებულა ყველა საწარმოო ძალა, რომელთათვის იგი საკმაო გასაქანს იძლევა, და ახალი, უმაღლესი წარმოებითი ურთიერთობანი არასოდეს არ

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология. 1935 წ. გვ. 63.

ჩნდებიან მანამდე, სანამ მათი არსებობის მატერიალური პირობები თვით ძველი საზოგადოების წიაღში არ მომწიფებულან"[1].

ამგვარად, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემის ძირითადი მიზეზი იყო წარმოების მონური წესის კრიზისი, რომელიც ბორკავდა საწარმოო ძალთა შემდგომ ზრდას, არარენტაბელურ შრომად აქცევდა მონურ შრომას და საფუძვლად ედებოდა კლასობრივი ბრძოლებისა და მონათა რევოლუციების გაძლიერებას. ამით აიხსნება, რომ ოდესღაც ძლიერი რომის მონათმფლობელური სახელმწიფო, რომელიც მარიუსის, ცეზარის და დრუზის დროს ანადგურებდა და სისხლში ახრჩობდა გერმანელ ბარბაროსთა ურდოებს[2], ზემოჩამოთვლილმა შინაგანმა მიზეზებმა, როგორც ენგელსი წერს, ახლა იმდენად დაასუსტეს, რომ „მეხუთე საუკუნის დასასრულს არაქათგამოლეული, სისხლდაცლილი და უმწეო რომის იმპერია სრულიად კარებგაღებული იყო გერმანელებისათვის"[3].

ამ „კარებგაღებულ" და შინაგანი წინააღმდეგობით მომაკვდავ რომის იმპერიას, ბოლოს, ექვსი საუკუნის ბრძოლების შემდეგ სძლიეს ბარბაროსებმა, რომელნიც „გარედან ეძგერნენ რომის იმპერიის მძოვრს"[4]. ამგვარად, შინაგანი მიზეზებით, წარმოების მონური წესის კრიზისით რომის დასუსტებამ გაადვილა ის გარემოება, რომ, როგორც ამხანაგი სტალინი წერდა: „... არარომაელები, ე. ი. ყველა „ბარბაროსები" გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და ზათქით და ზარით დაამხეს რომი"[5].

ერთი სიტყვით, ბარბაროსთა შეტევა და მათ მიერ რომის დაპყრობა ერთადერთი მიზეზი კი არ არის რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემისა და ფეოდალიზმზე მისი გადასვლისა, არამედ ერთ-ერთი, თუმცა მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950 წ., გვ. 163.

[2] ძველი გერმანელების ბრძოლებზე რომის სახელმწიფოს წინააღმდეგ იხ. ჩვენი სტატია—„ისტორიული სინამდვილე და ფაშისტური მითი ძველი გერმანელების შესახებ" (ჟურ. „ბოლშევიკი" 1942 წ., № 9—10).

[3] ფ. ენგელსი, ოჯახის კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 149.

[4] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 40.

[5] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1951 წ., გვ. 548.

ზემოაღნიშნული ძირითადი მიზეზისაგან დამოკიდებული, ვინაიდან წარმოების წესი არის განმსაზღვრელი ფაქტორი საზოგადოების განვითარებისა და ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის მეორე და უფრო მაღალ ფორმაციაში გადასვლისა.

მონათმფლობელური ფორმაციის ბაზისის მოსპობას და ახალი, ფეოდალური ფორმაციის ბაზისის ჩამოყალიბებას დიდად უწყობდა ხელს თვით მონათმფლობელური ფორმაციის კრიზისის დროს ჩასახული ფეოდალური ურთიერთობის ბაზისზე წარმოქმნილი ზედნაშენი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო ეს, რადგანაც, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, საერთოდ, „ბაზისი სწორედ იმისათვის ქმნის ზედნაშენს, რომ ზედნაშენი მას ემსახურებოდეს, რომ იგი აქტიურად ეხმარებოდეს მას ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში, რომ იგი აქტიურად იბრძოდეს ძველი, დრომოჭმული ბაზისის და მისი ძველი ზედნაშენის ლიკვიდაციისათვის“[1]. მაგრამ ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის საკითხის მნიშვნელობას რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემასთან დაკავშირებით ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევხებივართ, რადგანაც ამ საკითხის აქ გაშლა ჩვენ ერთგვარად დაგვაცილებდა ჩვენი ძირითადი თემისაგან. რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემის მიზეზების შესახებ ზემოთ ზოგადად განხილული საკითხებიც ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევენ წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა ძირითადმა მიზეზებმა განაპირობეს V საუკუნის ბოლო ხანებში რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემა და კაცობრიობის ისტორიაში ახალი ფორმაციის—ფეოდალური ფორმაციის წარმოქმნა.

ამგვარად, მანუდან დაწყებული ეპიქტეტამდე მონობის მარადიულობის შესახებ არსებულმა თეორიებმა, საბოლოო ანგარიშით ხელი ვერ შეუშალეს მონობის მოსპობას, რადგანაც მონობის მოსპობის საკითხი, შექმნილი ისტორიული ვითარების გამო, აუცილებლობით დაისვა, და ეს ყალბი თეორები უძლურნი იყვნენ მოეხსნათ ეს საკითხი ცხოვრების დღის წესრიგიდან.

ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ობიექტურ კანონზომიერებათა გარდუვალობამ მონობა მოსპო, მაგრამ მონობის ამ მოსპობას არ მოჰყოლია და არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ადა-

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950 წ. გვ. 5.

ზიანთა საყოველთაო ემანსიპაცია, შრომისა და შრომის უფლების ამაღლება და ექსპლოატაციის მოსპობა. მონობა მოისპო, მაგრამ მონის როლი დარჩა. ცხოვრება ამ როლის შესასრულებლად მოითხოვდა კვლავ უუფლებო მშრომელი ადამიანის გამოძებნას და იგი კიდევაც გამოიძებნა ყმა გლეხის სახით, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო ეს. ამბიანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „ისტორია საერთოდ რაიმე არსებითს ისე არ აკეთებს, თუ ეს მაინცდამაინც საჭირო არ არის“[1]. მოცემულ შემთხვევაში, ყმა გლეხის წარმოქმნა არსებითი პირობა იყო ისტორიული აუცილებლობით განსაზღვრულ თვით ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნისა და განვითარებისათვის, სწორედ ამიტომ უნდა წარმოქმნილიყო და წარმოიქმნა კიდეც ეს ყმა გლეხი, რომელსაც ახლა ბატონად და ექსპლოატატორად ფეოდალი მოევლინა.

დაიწყო ახალი ეპოქა, რომელსაც ბევრი რამ პრინციპულად განასხვავებდა ძველისაგან, მაგრამ, რომელსაც ბევრი რამ აერთიანებდა და ანათესავებდა კიდეც მასთან. მშრომელ ადამიანთა საუბედუროდ, ამ ახალ ეპოქას ძველთან ანათესავებდა ფორმაშეცვლილი ექსპლოატაციის ველური ხასიათი. რადგანაც მონათმფლობელური ფორმაციის მოსპობამ კი არ მოსპო, საერთოდ, მშრომელი ადამიანის ექსპლოატაცია, არამედ მხოლოდ ფორმა შეუცვალა მას. „მონების რევოლუციამ,—წერს ამხანაგი სტალინი,—მოსპო მონათმფლობელები და გააუქმა მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა. მაგრამ მათ ნაცვლად მან დააყენა მებატონეები და მშრომელთა ექსპლოატაციის ბატონყმური ფორმა“[2].

ექსპლოატაციის ამ ბატონყმურ ფორმას საფუძვლად დაედო ახალ პრინციპზე და ახალ ფორმაზე აგებული მონობა მშრომელი ადამიანისა. ამ „...ახალი პრინციპის პირველი შედეგი იყო,—წერს ენგელსი, - მონობის აღდგენა სხვა, ნაკლებ სამძულველ, მაგრამ სწორედ ამიტომ პირფერულ, უფრო არაადამიანური ფორმით, ბატონყმური უფლების ფორმით“[3]-ო.

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950 წ. გვ. 8.

[2] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1951 წ., გვ. 524.

[3] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, 1937 წ., გვ. 13.

ასე დაიწყო მშრომელი ადამიანის ჩაგვრისა და წამების მეორე დიდი პერიოდი—ფეოდალიზმის პერიოდი. ამ პერიოდს არ გაუუმჯობესებია მშრომელი ადამიანის მდგომარეობა, მან მხოლოდ დროში მიუახლოვა ეს მშრომელი ადამიანი შრომის სუფევისა და ადამიანთა ნამდვილი თანასწორობის სამეფოს. ახლა ექსპლოატაციის მონური ფორმისა და ეპოქის გავლის შემდეგ, მშრომელ ადამიანს სამიდან ორი გრძელი და მძიმე (ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი) პერიოდილა აცილებდა ამ სამეფოს. მშრომელი ადამიანის (ყმა გლეხის) ჩაგვრისა და წამების ეს მეორე პერიოდი—ფეოდალიზმის პერიოდი, განხილული იქნება „აი რას ამბობს ისტორია“-ს მეორე წიგნში.

შინაარსი

		გვ.
	წინასიტყვაობა	3
	შესავალი	20
I	რელიგია და მეცნიერება დედამიწის წარმოქმნისა და ორგანული სამყაროს განვითარების შესახებ	51
II	ადამიანების წინაპრები. შრომის როლი მაიმუნ-ადამიანის გაადამიანების საქმეში	83
III	წინაკლასობრივი საზოგადოება და მისი დაშლა	101
IV	მონობის წყაროები	121
V	მონათა რაოდენობა და ფასი	140
VI	მონური შრომის გამოყენება მეურნეობაში	154
VII	მონური შრომის გამოყენება მეფეთა კარზე და ანტიკური ქვეყნების ოჯახსა და ყოფა-ცხოვრებაში	163
VIII	მონების უფლებრივი მდგომარეობა. დასჯის სახეები	180
IX	გლადიატორთა ბრძოლა	194
X	შეხედულებანი მონურ შრომაზე და მონაზე. არისტოტელე	210
XI	მონათა ემანსიპაციის საკითხი ანტიკურ ლიტერატურაში	220
XII	ძველ ქვეყნებში მონათა აჯანყებების ზოგადი მიმოხილვა	245
XIII	სიცილიის მონათა პირველი და მეორე აჯანყება	252
XIV	სპარტაკის აჯანყება	267
XV	კლასობრივი ბრძოლა მდიდრებსა და ღარიბებს შორის ძველ საბერძნეთში	293
XVI	გლეხების გაღატაკება ძველ რომში, ლუმპენპროლეტარიატის წარმოქმნა და დაპყრობილი ქვეყნების (პროვინციების) ძარცვა.	302
XVII	პლებეების ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისათვის ძველ რომში	314
XVIII	არჩევნები ძველ რომში	322
XIX	მდიდარ მონათმფლობელთა ცხოვრება რომში	329
XX	იმპერატორთა ცხოვრება რომში. შეშლილები ხელისუფლების სათავეში	345
XXI	ხამოქალაქო ომების გაძლიერება ძველ რომში (გრაკხების რეფორმები. კატილინას აჯანყება)	371
XXII	რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემა	387